



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

პედაგოგიური ფაკულტეტი
FACULTY OF PEDAGOGICS

IV საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური
კონფერენცია

მიძღვნილი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და
პედაგოგიური ფაკულტეტის 80 წლის იუბილესადმი

IV INTERNATIONAL SCIENTIFIC-METHODOLOGICAL
C O N F E R E N C E

Celebrating the 80th Anniversary of Akaki Tsereteli State University and the Faculty of Pedagogics

სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები
URGENT PROBLEMS OF TEACHING AND UPBRINGING

შ რ ო მ ე ბ ი

CONFERENCE PROCEEDING

ISSN: 2298-030X

ქუთაისი

K U T A I S I

2013



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

პედაგოგიური ფაკულტეტი
FACULTY OF PEDAGOGICS

IV საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური

კონფერენცია

მიძღვნილი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და
პედაგოგიური ფაკულტეტის 80 წლის იუბილესადმი

IV INTERNATIONAL SCIENTIFIC-METHODOLOGICAL
CONFERENCE

Celebrating the 80th Anniversary of Akaki Tsereteli State University and the Faculty of Pedagogics
სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები
URGENT PROBLEMS OF TEACHING AND UPBRINGING

შ რ ო მ ე ბ ი

CONFERENCE PROCEEDING

ქუთაისი

KUTAISI

2013

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი CONFERENCE ORGANIZING COMMITTEE

1. **გიორგი ღავთაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სრული პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე / **George Gvartadze** - Akaki Tsereteli State University, Rector, Full Professor, Head of conference organizing committee
2. **ვლადიმერ ადეიშვილი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარე / **Vladimer Adeishvili** - Akaki Tsereteli State University, Dean of the Faculty of Pedagogics, Associate Professor, Co-Head of conference organizing committee
3. **იმერ ბასილაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, სრული პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარე / **Imeri Basiladze** - Akaki Tsereteli State University, Head of the University Educational Process Management Service, Full Professor, Co-Head of conference organizing committee
4. **შალვა კირთაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, აკადემიური დოქტორი / **Shalva Kirtadze** - Akaki Tsereteli State University Deputy Rector, Doctor of Physics-Mathematical Sciences,
5. **მანანა დეისაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, აკადემიური დოქტორი / **Manana Deisadze** - Akaki Tsereteli State University, Deputy Dean of the Faculty of Pedagogics, Doctor
6. **ლეილა აბზიანიძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდოლოგია დეპარტამენტის სრული პროფესორი / **Leila Abzianidze** - Akaki Tsereteli State University, Department of Methods of Teaching, Full Professor
7. **გიგლა ონიანი** - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი / **Gigla Oniani** - Doctor of Physics-Mathematical Sciences, Doctor of Pedagogical Sciences, professor Department of Mathematics Akaki Tsereteli State University
8. **მამული ბუჩუხიშვილი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდოლოგია დეპარტამენტის კოორდინატორი, ასოცირებული პროფესორი / **Mamuli Buchukhishvili** - Akaki Tsereteli State University, Coordinator of the Department of Methods of Teaching, Associate Professor
9. **მაია ახვლედიანი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი / **Maia Akhvlediani** - Akaki Tsereteli State University, Head of the Faculty of Pedagogics Quality Assurance Office, Associate Professor
10. **თამარ მამარდაშვილი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდოლოგია დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი / **Tamar Mamardashvili** - Akaki Tsereteli State University, Department of Methods of Teaching, Associate Professor

სარედაქციო კოლეგია და მთავარი სამეცნიერო რედაქტორები დარგების მიხედვით EDITORIAL BOARD

1. **იმერ ბასილაძე** - სრული პროფესორი / **Imeri Basiladze** - Full Professor
2. **ქეთევან ჭკუასელი** - სრული პროფესორი / **Ketevan Chkuaseli** - Full Professor
3. **თამარ მამარდაშვილი** - ასოცირებული პროფესორი / **Tamar Mamardashvili** - Associate Professor
4. **ინგა კიკვიძე** - ასოცირებული პროფესორი / **Inga Kikvidze** - Associate Professor
5. **სოფიო მორალიშვილი** - ასოცირებული პროფესორი / **Sophio Moralishvili** - Associate Professor
6. **ნინო ნიჯარაძე** - ასოცირებული პროფესორი / **Nino niJaradze** - Associate Professor
7. **ვლადიმერ ადეიშვილი** - ასოცირებული პროფესორი / **Vladimer Adeishvili** - Associate Professor
8. **თამაზ მორალიშვილი** - სრული პროფესორი / **Tamaz Moralishvili** - Full Professor
9. **მერაბ მაღრაძე** - ასოცირებული პროფესორი / **Merab Maghradze** - Associate Professor
10. **ნანა შონია** - ასოცირებული პროფესორი / **Nana Shonia** - Associate Professor
11. **ნუნუ ქვიციანი** - აკადემიური დოქტორი / **Nunu Qiqodze** - Doctor of Management Sciences

საძიებელი CONTENTS

იმერი ბასილაძე - პედაგოგიური ფაკულტეტის დაარსებისა და განვითარების ისტორიიდან Imeri Basiladze - From the History of the Faculty of Pedagogics	7
პედაგოგიკა/Pedagogics	
ზურაბ სულაბერიძე - საგანმანათლებლო სისტემისა და რელიგიური იდეოლოგიის საკითხები შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში Zurab Sulaberidze - Problems of Educational System and Religious Ideology in Medieval Western Europe	16
ნელი ჩამპურიძე - ჰუმანისტური აღზრდის საკითხები Nelie Champuridze - The Basics of Humanism Education	20
ლია მენტეშაშვილი, თამარ ჯანგულაშვილი - სტუდენტთა აღზრდა - უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის მნიშვნელოვანი პრობლემა Lia Menteshashvili, Tamar Jangulashvili - Upbringing of Students – Major Problems of High School Pedagogy	24
ირმა ქურდაძე - ავთენტური სწავლის მნიშვნელობა განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის პროცესში Irma Kurdadze - The importance of Authentic Learning in the Process of Current Education System Reformation	28
დარეჯან გელაძე - სტრატეგიები აუტიზმის მქონე ბავშვების დასახმარებლად Darejan Geladze - Strategies for helping children with autism	31
ნინო სოხაძე, ლეილა აბზიანიძე - მხატვრული ლიტერატურის აღზრდელობითი ფუნქცია ორჰან ფამუქის „უმანკოების მუზეუმის“ მიხედვით Nino Sokhadze, Leila Abzianidze - The educational function of artistic literature by Orhan Pamuk's "Innocent Muzeum" Orhan Pamuk is the first Turkish writer who awarded Nobel Prize	36
რამაზ ხაჩაპურიძე - „შელოცვების ენა“ და ბავშვთა სამყარო (ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების მასალების მიხედვით) Ramaz Xhachapuridze - "Charm Language" and Children's World (According the Materials of Scientific Research of Georgian Dialectology)	39
ნაზიკო ბერიკაშვილი - მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების როლი მოტივაციის ამაღლებაში Naziko Berikashvili - The role of the student-centered teaching methods to increase motivation	45
ინეზა გაბელაია - ინკლუზიური სწავლების შესახებ (კონკრეტული შემთხვევის მაგალითზე) INEZA GABELAIA - Inclusive Teaching (On concrete events)	49
ლალი ცხვედიანი - ქვევითი პრობლემებთან გამკლავების გზები საკლასო სივრცეში აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებთან Lali Tskhvediani - „Control methods with behavioral problems in children with autism spectrum disorders in the classroom “	53
მადონა ნიკოლაიშვილი - თამაში, როგორც მოსწავლეთა გონებრივი მოქმედებების აქტივიზაციის მეთოდი Madona Nikolaishvili - The role of games, as a method for students to activate their minds	57
ლილი კორიძე - ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიულობის სინდრომის მქონე ბავშვების სწავლების სტრატეგიები Lili Koridze - Learning Strategies of pupils with Attention Deficit Hyperactive Disorder	62
ლალი (ბარბარე) აბდალაძე - უცნობი მასალები რელიგიური განათლების შესახებ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში (მე-19 საუკუნის ბოლოს) Lali (Barbare) Abdaladze - Formerly Unknown Materials on Religious Education in a Mengrelian School (90s of XIXc.)	66
ქეთევან კობრიძე - მასწავლებლის პედაგოგიური უნარ-ჩვევები და მათი გამოყენების თავისებურებები Ketevan Kokhridze - Teachers Pedagogical Skills and some peculiarities of using them in practice	70
ბაკურ ონიანი - აქსელერაცია მოზარდის ბიოსოციალური განვითარების დისჰარმონიის შესაძლო მიზეზი Bakuri Oniani - Acceleration - the possible reason of disharmony in biosocial development of the youth	74
ნინო კოსტავა - შეფასების მეთოდები Nino Kostava - The methods of estimation	77
მაია ახვლედიანი - სასკოლო განათლებასთან დაკავშირებული საკითხები თანამედროვე მსოფლიოში Maya Akhvlediani - Issues Concerning School Education in the Modern World	80
ნინო ორჯონიკიძე - სასკოლო განათლების დემოკრატიზაციის პრობლემა თანამედროვე მსოფლიოში Nino Orjonikidze - The Problem of Democratization of School Education in the Modern World	84
იაგორ ბალანჩივაძე - განათლების სფეროში კვლევის დაგეგმვის თავისებურებანი Iagor Balanchivadze - The Peculiarities of Research Planning in the Sphere of Education	88
გულიზარ შენგელია - მენტორ-მადიებლის მუშაობა საჯარო სკოლაში Gulizar Shengelia - Mentor teacher and mentee job description in public schools	92
თამარ ადიეშვილი - სასწავლო პროცესში მოსწავლის სიმბოლური აზროვნების უნარისა და კონსერვაციის პრინციპის განვითარების საკითხები	96
ხათუნა ქათამაძე - მშობელთა კომიტეტების როლი ინკლუზიურ განათლებაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად Khatuna Katamadze - The role of the Parents' Committee for filling the gaps in inclusive education	100

ქეთევან ძოწენიძე - პედაგოგიური ურთიერთობის სტილი და მათი ტექნოლოგიური დახასიათება Ketevan Dzotsenidze - The Style of Pedagogical technology and their characteristic	103
ქეთევან ძოწენიძე - პედაგოგიური სიტუაციებისა და ამოცანების არსი და სპეციფიკა Ketevan Dzotsenidze - The characteristic of Pedagogic problems and situations	107
ნატო დვალი - მასწავლებელი დღევანდელ სოციალურ გარემოში Nato Dvali - Teacher modern social surrounding	110
ქეთევან ჭკუასელი - განათლების პოლიტიკის საკითხები საქართველოში Ketevan Chkuaseli - Issues of Educational Politics in Georgia	113
ზაქარია ჩიტიაშვილი - ჩართული პედაგოგიკის ისტორიის ახლებური გააზრებისათვის Zakaria Kitiashvili - New Interpretation of the History of Georgian Pedagogics	118
Лия Инаишвили - Технология решения педагогических ситуаций ლია ინაიშვილი - პედაგოგიური სიტუაციების გადაწყვეტის ტექნოლოგიები	122
თათია ნაკაშიძე-მხარაძე - სტუდენტთა ცოდნის შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების შერჩევა უცხოური ენების სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ სწავლებისას	125
სწავლების მეთოდთა/ Methodology of teaching	
თეიმურაზ ვეფხვაძე - საშუალო სკოლაში ნაშთთა არითმეტიკის ელემენტების სწავლების შესახებ Teimuraz Vepkhvadze - About the teaching of Elements of the Residue Arithmetic at School	130
ლამარა ჭურჩიშვილი, ირმა ჭელიძე - წრფივი კორელაციის საკითხები Lamara Qurchishvili, Irma Chelidze - Different Methods to Write Equation of the Regression Line	134
ია მებონია - სასწავლო პროცესის ორგანიზების ზოგიერთი ფორმის შესახებ	138
ქეთევან ზვიადაძე, თეიმურაზ გიორგაძე - ფუნქციის ცნების განსაზღვრის სხვადასხვა ასპექტი Ketevan Zviadadze, Teimuraz Giorgadze - Different Aspects of defining the Concept of Function	142
მანანა დეისაძე - წილადებზე ზოგიერთი ამოცანის გეომეტრიული ინტერპრეტირება Manana Deisadze - Some sum's geometrical interpretation of fraction's	147
ნინო ჭელიძე - ფუნქციის ექსტრემუმის ამოცანების ამოხსნის ზოგიერთი ხერხი Nino Chelidze - Some methods of solving the function extremum problems	152
მამული ბუჩიქიშვილი, მზია მამასახლისი - შემეცნებითი აზროვნების გააქტიურება მათემატიკის გაკვეთილზე დაწყებით კლასებში Mamuli Buchikhishvili, Mzia Mamasakhlisi - The Activation of Cognitive Thinking in a Mathematics Lesson of Primary School	155
თეიმურაზ გიორგაძე - ალბათობის თეორიის ელემენტების სწავლების ზოგიერთი ასპექტი Teimuraz Giorgadze - Some Aspects of Teaching the Elements of the Theory of Probability	159
თეიმურაზ გიორგაძე, ქეთევან ზვიადაძე, ირმა ჩხიკვაძე - თავსებად ხდომილობათა გაერთიანების ალბათობის ზოგიერთი პრაქტიკული ასპექტი Teimuraz Giorgadze, Ketevan Zviadadze, Irma Chkhikvadze - Some Practical Aspects of the Unity of Compatible Occurrences	162
მანანა ზივზივაძე-ნიკოლეიშვილი - დაწყებით კლასებში ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიათა გამოყენების ზოგიერთი საკითხი Manana Zivzivadze-Nikoleishvili - IMPLEMENTING TECHNOLOGICAL DEVELOPMENTS IN THE PRIMARY SCHOOL CLASSROOMS	166
მანანა ზივზივაძე-ნიკოლეიშვილი - სიმრავლეთა შორის შესაბამისობა და მისი გამოყენება დაწყებით კლასებში Manana Zivzivadze-Nikoleishvili - Correspondence Between the Sets and Its Use in Primary Classes	170
ვლადიმერ ადეიშვილი - სიუჟეტური არასტანდარტული ამოცანები დაწყებით კლასებში Vladimer Adeishvili - Non-Standard Plot Tasks in Primary Grades	176
ინგა კახიანი - კლასის მართვის პროგრამა Mythwere e-Learning Class	183
ცოტნე მარგველაშვილი - 3D ეფექტის მქონე 8*8 მატრიცის მქონე LED კუბის შექმნის განხორციელებული პროექტი Tsozne Margvelashvili - LED Cube and application in the course of study	188
ლაშა გავაშელაშვილი - ინფორმაციის ძიების ოპტიმალური მეთოდის შემუშავების საკითხები	191
თეიმურაზ სურგულაძე - სულხან-საბა ორბელიანი და მათემატიკა Teimuraz Surguladze - Sul Khan - Saba Orbeliani and Mathematic	193
ინგა კახიანი - ლოკალური ქსელი კლასის მართვის პროგრამაში Mythwere e-Learning Class Inga Kakhiani - Local Network In Classroom Management Software	198
გურამ გოგიშვილი - მათემატიკის სწავლების რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტის შესახებ Guram Gogishvili - On some important aspects of teaching mathematics	202
ჯემალ ჯინჯიხაძე - სემიოტიკის როლი მათემატიკური აზროვნებისა და მეტყველების განვითარებაში Jemal Jinjkhadze - The Role of Semiotics in Mathematical thinking and Speech Development	204
შორენა ლომთაძე - პრაქტიკული კვლევების მნიშვნელობა მათემატიკის გაკვეთილებზე სწავლების მეთოდებისა და აქტივობების შერჩევისათვის Shorena Lomtadze - Practical research of teaching methods and activities at math lessons	209

შალვა კირთაძე - აქსიომათა დამოუკიდებლობა Shalva Kirtadze - The independence of the axioms	213
დავით წამალაშვილი - ფუნქციის განსაზღვრის არის სწავლებისათვის საშუალო სკოლაში David Tsamalashvili - For the teaching of the domain of the function in secondary schools	216
ქეთევან ჭელიძე - ელექტრონული ცხრილის მონაცემთა ანალიზისა და დაცვის ზოგიერთი საკითხი Ketevan Chelidze - Some Problems of the Spreadsheet Data Analysis and Protection	220
Кощанова Г.Р. - Научно-методические критерий отбора материалов экономического содержания в курсе математики	225
ლეილა აბზიანიძე, ნინო სოხაძე - სინამდვილის მოვლენებისადმი, პიროვნებისადმი საღი, რეალისტური მიდგომა და კლდიაშვილის ნაწარმოებებში Leila Abzianidze, Nino Sokhadze - Realistic method of person in David Kldiashvili's creation	229
ჯამბუ ავალიანი - ტიციან ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების სწავლების ზოგიერთი საკითხი სკოლაში(ტიციან ტაბიძის ტრაგიკული აღსასრული) Jambu Avaliani - Some Issues of Teaching about Life and Work of Titsian Tabidze at Schools (Tragic end of Titsian Tabidze)	235
ლელა ედგვერაძე - უბრალო დამატების სწავლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი სირთულის შესახებ Lela edzveradze - About the simple object definition problems	240
ეთერ ბრეგაძე - ექვსწლიანთა მეტყველების განვითარების საკითხები Eter bregadze - The questions of speech developing in six years old children	245
ნატო კობულაძე, ეთერ ბრეგაძე - კითხვის სწავლება დისლექსის შემთხვევაში Nato kobuladze, Eter Bregadze - To teach redading in a case of Dyslexia	250
მაკა ბერიძე - ენის სწავლების თავისებურებები ეთნიკურ უმცირესობათა სწავლებისას Maka Beridze - Features of Language Teaching to Ethnic Minorities	254
ნინო ნიჯარაძე - მეთოდური ინოვაციის დანერგვის პრობლემები Nino Nijardze - Problems of Implementation of Methodological Innovations	259
სოფიო კიპიანი, ნინო დემეტრაძე - ინტენსიური კითხვის სწავლების თავისებურებანი Sophio kipiani, Nino Demetradze - Peculiarities of teaching intensive reading	263
თამარ თვალაძე - როგორ მივაღწიოთ "კარგ სწავლებას" Tamar Tvaladze - How to achieve "good teaching"	267
თეა შავლაძე - შემოქმედებითი წერის, როგორც სასწავლო დისციპლინის შემოტანის აუცილებლობისათვის ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში Thea Shavladze - The importance of Creative Writing as a type of an academic discipline	273
ელენე იაგოვკინა - Вопросы сопоставления языков в процессе преподавания Elena Iagovkina - Comparative analysis of languages in teaching process	276
Киквидзе Инга - ИСПОЛЬЗОВАНИЕ «ОТРИЦАТЕЛЬНОГО» ДИДАКТИЧЕСКОГО МАТЕРИАЛА И ЯЗЫКОВОЙ ИГРЫ НА ЗАНЯТИЯХ ПО РУССКОМУ ЯЗЫКУ ინგა კიკვიძე - "უარყოფითი" დიდაქტიკური მასალისა და ენობრივი თამაშის გამოყენება რუსული ენის სწავლების პროცესში	280
მარიანა ბალასანიანი - რუსული ენის ეფექტურად სწავლების პროცესში წერის მეთოდოლოგიის როლის ახლებური გააზრება Mariana Balasanyan - New Understanding of the Writing Methodology Role in the Process of Teaching Russian Language	284
Мелкадзе Нанული - Лингвистическая модель недели в русском, грузинском и английском языках Melkadze Nanuli - Linguistic Model of the Week in Russian, Georgian and English Languages	287
მაგდა თხილავა - მუსიკის მოსმენის მეთოდები Magda Tkhlava - The Methods of listening Music	294
ნინო მანგალაძე, ნანა კილაძე - უჯრედის სწავლება თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მეშვიდე კლასში Nino Mangaladze, Nana kiladze - The study of cell with the rep of modern in the 7th grade	298
მადონა გიორგაძე, მარიამ გოდუაძე - გვესმის თუ ვუსმენთ?! Madona Giorgadze, Mariam Goduadze - "Hearing" or "Listening"	301
ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე - აკაკი წერეთლის პირადი წერილები Nora Nikoladze-Lomsianidze - Akak Tsereteli personal letters	305
Zinaida Chachanidze - Philosophy for Communities ზინაიდა ჩაჩანიძე - ფილოსოფია საზოგადოებისთვის	309
Sophio Moralishvili - Unique Perspectives of Mobile Learning სოფიო მორალიშვილი - მობილური ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივები სასწავლო პროცესში	313
იზოლდა ჩხობაძე - "როლური თამაშები" ბიზნეს ინგლისურის სწავლების პროცესში Izolda Chkhobadze - "Role-playing games" in the process of teaching Business English	319
ნათია ზვიადაძე - მშობლიური ენა უცხო ენის სწავლების დამხმარე საშუალება Natia Zviadadze - Native Language as a supportive means of teaching a foreign language	323
ირმა ხუნდაძე - თანამედროვე სწავლების ზოგიერთი ასპექტი Irma Khundadze - Some aspects of modern teaching	327

ლევან ჯინჯხაძე - პროექტული საქმიანობის ორგანიზება ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე დაწყებით კლასებში Levan Jinjkhadze - Organizing of project activities at the Literature reading lessons in elementary classes	331
ლუკა დვალისვილი - იაკობ გოგებაშვილი საღმრთო რჯულის დედა ენაზე სწავლების მნიშვნელობის შესახებ Luka Dvalishvili - Iakob Gogebashvili about importance of teaching religion in native language	337
ეკატერინე არჩვაძე - ინტერპერსონალური და ინტერპრეტაციული მეთოდების როლი უცხოური ენების სწავლებისას Ekaterine Archvadze - The role of interpersonal and interpretative methods in teaching foreign languages	342
თამარ მამარდაშვილი - ხმოვნითი ელემენტების საკითხისათვის მიმდებარე მარამოვებელ პროფიქსებში Tamar Mamardashvili - Vowel Elements in Participle Forming Prefixes	346
ქეთევან შოთაძე - ლირიკული ნაწარმოების სწავლების მეთოდები და სტრატეგიები Ketevan Shotadze - Methods and Strategies of Teaching Lyrical Genre Works	350
მზია კუბეცია - თვალსაჩინოებებისა და რესურსების გამოყენება გეოგრაფიის სწავლების პროცესში Mzia Kubetsia - Visual aids and resources in the process of teaching geography	356
განათლების ფილოსოფია და ფსიქოლოგია/Philosophy and psychology of education	
მერაბ მაღრაძე - ობიექტივაციის ცნების ადგილი სწავლის ფსიქოლოგიურ დახასიათებაში Merab Magradze - Place of concept of an objectivization in the psychological characteristic of the doctrine	361
მარინე სირბილაძე - განწყობის დინამიკობა-სტატიკურობისა და სიტყვის გრძობის უნარის მიმართების საკითხისათვის მეორე ენაში წარმატებულობის კონტექსტში Marine Sirbiladze - On the question about relation between the typology of set and word-feeling aptitude in the context of SLA success	365
მანანა ზანძელაძე - ეკოპეაქე და ეთიკური მსოფლმხედველობა Manana Bandzeldze - Ecopeace and Ethical Outlook	370
ომარ დევიძე - სწავლის განწყობის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები Omar devidze - Subjective and objective factors o study setting	374
ხათუნა კაპანაძე - მშობლის მზრუნველობის დეფიციტი - პედაგოგების და საზოგადოების საერთო სატკივარი	378
ელისო მაწყვალაძე, ასმათ დათიაშვილი - ყველა ბავშვს აქვს განათლების უფლება	383
მანანა ქარქაშაძე - ადაპტაციის პრობლემის საკითხები Manana Qarqashadze - adaptation problem	391
რობერტ გოლითაიანი - შემეცნებითი მსჯელობის და ღირებულების ურთიერთმიმართების საკითხი სწავლებისათვის (ზოგიერთი ასპექტი)	395
მადონა რობაკიძე - საქართველოს საეკლესიო მოღვაწენი XVIII ს. II ნახევარში (ანტონ პირველი) Madona Robakidze - THE CHURCH MEN OF GEORGIA IN THE SECOND HALF OF THE XIII CENTURY (ANTON THE FIRST)	399
სალომე ხიზანიშვილი, ხათუნა კურტანიძე - „თვითგანვითარების“ შინაგანი და გარეგანი ფაქტორები Salome khizanishvili, Khatuna kurtanidze - The internal and external factors of self-development	404
ირმა კეცხოველი - საქართველოში განათლების კულტურის საკითხისათვის IRMA KETSKHOVELI - CULTURAL OF EDUCATION IN GEORGIA	408
ირინე კიკვაძე - მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების ძირითადი ფსიქოლოგიური ასპექტები Irina Kikvadze - Students' knowledge and skills assessment of the psychological aspects	412
განათლების მენეჯმენტი/Education management	
გიორგი დავთაძე - უმაღლესი განათლების სისტემაში რეფორმების განხორციელების თეორიული საფუძვლები George Gvartadze - Theoretical Bases of Reforms in Higher Education System	418
Жанпейсова Назия Маденовна - РЕФОРМА ОБРАЗОВАНИЯ И НАУКИ В КОНТЕКСТЕ СТРАТЕГИИ ИНДУСТРИАЛЬНО-ИННОВАЦИОННОГО РАЗВИТИЯ КАЗАХСТАНА	424
ნანა შონია - აუდიტორიის მართვის ზოგიერთი ასპექტები უმაღლეს სკოლაში Nana Shonia - Some Aspects of Audience Management	427
ნუნუ ქიქოძე - მენეჯერის როლი საგანმანათლებლო სფეროს მართვის ეფექტიანობაში Nunu Qiqodze - Manager's Role in the Effective Educational Management	431
მალვინა შანიძე - წარმატებული ტრენინგის ჩატარების კომპონენტები და ფორმატი Malvina Shanidze - Successful Training components and formats	436
Ираида Кротенко, Мая Чоладзе - Дистанционное обучение в системе современного вузовского образования в Грузии Iraida Krotenko , Maia Choladze - Distant Education in Modern Educational Institutions of Georgia	441

იმერი ბასილაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

პედაგოგიური ფაკულტეტის დაარსებისა და განვითარების ისტორიიდან

1933 წლის 8 იანვრის დადგენილებით, რასაც შედეგად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღდგენა მოჰყვა, პედაგოგიური ინსტიტუტი ქუთაისში გადმოვიდა და ამავე წლის 13 თებერვლიდან აქ განაგრძო ფუნქციონირება. ქუთაისში გადმოსვლის შემდეგ სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში შეიქმნა პედოლოგიურ-პედაგოგიური განყოფილება – პედაგოგიკის, პედოლოგიისა და პოლიტექნიკური სწავლების სექციებით.

მთავრობამ მაშინვე დაიწყო ორგანიზაციული საკითხების მოგვარება. საორგანიზაციო პერიოდში გადასაჭრელი იყო ბევრი სასწავლო და არასასწავლო ხასიათის საკითხი. უმეტესი ნაწილის მოგვარება თბილისშივე გადაწყდა. დაკომპლექტდა ჯგუფები. გაფორმდა ხელშეკრულებები ქუთაისში წამოსვლელ პროფესორებთან. ამ სამზადისის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და საქმიანობის წარმმართველი იყო პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი შალვა სიხარულიძე.

პედაგოგიურ ფაკულტეტზე სამუშაოდ წამოსვლაზე თანხმობა განაცხადეს ქართული მეცნიერების ისეთმა წარმომადგენლებმა როგორებიც იყვნენ: დიმიტრი უზნაძე, ვასილ ფრანგიშვილი, გიორგი თავზიშვილი, შალვა სიხარულიძე, ანგია ბოჭორიშვილი, დავით ყიფშიძე, ნესტორ მექვაბიშვილი, რევაზ ნათაძე და სხვა.

1933 წლის 1 სექტემბრიდან განყოფილება გადაკეთდა ფაკულტეტად. დაწესდა 3 წლიანი სწავლის ნაცვლად 4 წლიანი სწავლება. პედაგოგიური ფაკულტეტის I და II კურსი მთლიანად გადმოვიდა ქუთაისში, მესამე კურსი კი სწავლის დასასრულებლად თბილისში დარჩა. ფაკულტეტის დეკანად დაინიშნა პროფ. ალექსანდრე (ვასილ) ფრანგიშვილი.

ფაკულტეტი მეცნიერულ და პედაგოგიურ ნიადაგზე აღმოცენდა. ქართული პროფესურა შეუდგა მეტად მძიმე პროცესის განხორციელებას, მასწავლებელთა კადრების მომზადებას. ეს იყო პერიოდი, როცა მხოლოდ ყალიბდებოდა პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სასწავლო კაბინეტები და ლაბორატორიები. ფუნდებოდა ამ მეცნიერებების ქართული ტერმინოლოგია. ფასდაუდებელია პროფესურის ღვაწლი ქართული პედაგოგიკის ისტორიაში.

ალექსანდრე (ვასილ) ფრანგიშვილთან, დიმიტრი უზნაძესთან, გიორგი თავზიშვილთან, ანგია ბოჭორიშვილთან, დავით ყიფშიძესთან, ნესტორ მექვაბიშვილთან და შალვა სიხარულიძესთან არის დაკავშირებული ჩვენი უნივერსიტეტის პედაგოგიური და ფსიქოლოგიური კადრების აღზრდა. მათმა აღზრდილებმა მეოცე საუკუნის 40–50 იანი წლებიდან თავისუფლად იტვირთა პედაგოგიურ ფაკულტეტზე მთელი სასწავლო-სააღმზრდელო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმართვა.

1934 წლის 1 სექტემბრიდან თბილისიდან ქუთაისში გადმოვიდა დაუსწრებელი სექტორი. პედაგოგიურ-პედოლოგიური დაუსწრებელი ფაკულტეტის პირველი დეკანი იყო პროფ. ანგია ბოჭორიშვილი.

ფაკულტეტზე სტუდენტთა სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურებოდა პედოლოგიის (გამგე პროფ. ვ. ფრანგიშვილი), პედაგოგიკის (გამგე პროფ. გ. თავზიშვილი, დოც. შ. სიხარულიძე) და ფსიქოლოგიის (გამგე პროფ. ა. ბოჭორიშვილი) კათედრები.

1935 წელიდან ფაკულტეტზე არსებობდა ასპირანტურა. ასპირანტებს ადგილზე ჰყავდათ კვალიფიციური ხელმძღვანელები: პროფ. დ. უზნაძე, პროფ. გ. თავზიშვილი და პროფ. ა. ბოჭორიშვილი, დოც. შ. სიხარულიძე.

სწავლების ფორმად დადგინდა ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და ლაბორატორიული მუშაობა. ცოდნის შემოწმების ფორმად დადგინდა გამოცდები და ჩათვლები. დამკვიდრდა სახელმწიფო გამოცდების ჩატარების ინსტიტუტი. პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრებზე კათედრის წევრებისათვის სავალდებულოდ შემოღებული იქნა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ინდივიდუალური გეგმა.

ლექციებს ეთმობოდა სასწავლო ცხრილით გათვალისწინებული საათების 35%. ლექციის შემდეგ მასალის დამუშავება ხდებოდა სემინარებზე, ლაბორატორიულ მუშაობებზე, პრაქტიკუმებზე, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისა და ინდივიდუალური დავალებების მიცემის გზით. ფაკულტეტზე ლექციის ჩატარების უფლება ჰქონდა პროფესორსა და დოცენტს. სხვა სახის სამუშაო სრულდებოდა ასისტენტის ხელმძღვანელობით და პროფესორის სავალდებულო კონტროლით.

მეცადინეობებზე სტუდენტთა მომზადებული გამოცხადება, დამოუკიდებელი მუშაობის წარმოებისა და ინდივიდუალური დავალებების შესრულებისათვის სავალდებულო იყო. სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილი იყო პედაგოგიური პრაქტიკა. პრაქტიკის პროცესს სტუდენტი პრაქტიკანტები ეცნობოდნენ პედაგოგიურ ტექნიკუმსა და სკოლებში.

პედაგოგიური პრაქტიკის პროცესი ასეთი სახით მიმდინარეობდა. სტუდენტები ჯერ გადიოდნენ პასიურ პრაქტიკას, რაც ითვალისწინებდა დაკვირვებას მასწავლებელთა გაკვეთილებზე. შემდეგ კი გადაცემდნენ სანიმუშო გაკვეთილებს. გაკვეთილზე პრაქტიკანტი დაიშვებოდა მხოლოდ წინასწარ შედგენილი და მეთოდისტების მიერ შემოწმებული კონსპექტის ვარგისიანობის შემთხვევაში. საცდელ და სანიმუშო გაკვეთილებს ესწრებოდნენ საგნის მასწავლებლები, ინსტიტუტიდან საგნის მეთოდისტები, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის წევრები.

ფაკულტეტზე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების სკოლის პედაგოგიკაში მომზადებას ემსახურებოდა პედაგოგიკის კათედრა- გამგე პროფ. გ. თავზიშვილი. კათედრაზე მუშაობდა 1 პროფესორი, 3 მეცნიერებათა კანდიდატი – დოცენტი; 4 უფროსი მასწავლებელი; ფსიქოლოგიის კათედრა გამგე პროფ. ა. ბოჭორიშვილი. კათედრაზე მუშაობდა 1 პროფესორი, 2 დოცენტი, 1 მასწავლებელი.

1933-1941 წლებში პედაგოგიკის ფაკულტეტის დეკანები იყვნენ: პროფ. ალექსანდრე (ვასო) ფრანგიშვილი(1933-1935), დოც. შალვა სიხარულიძე (1935-37), დოც. გრიგოლ სვანიძე (1937-38) და იონა ჯღარკავა (1938-1941).

1941 წლის ნოემბრიდან პედაგოგიკის ფაკულტეტმა სხვადასხვა მიზეზთა გამო შეწყვიტა არსებობა. სკოლებში გაუქმდა პედაგოგიკის, როგორც საგნის სწავლება. დასავლეთ საქართველოში არსებული პედაგოგიური სასწავლებლები დარჩნენ ამ საგნის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების გარეშე. პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრები გარდაიქმნა საერთო საუნივერსიტეტო კათედრებად. ორივე კათედრა ემსახურებოდა ყველა ფაკულტეტზე მასწავლებელთა კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კვლავ დაისვა საკითხი დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მომზადების ხარისხის გასაუმჯობესებლად. რადგან დაწყებითი სკოლა სხვა ყოველგვარი სკოლის საფუძველს წარმოადგენს და სწავლების შემდგომ საფეხურზე წარმატება არსებითად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად წიგნიერ, კულტურულ და დისციპლინირებულ ახალგაზრდობას გამოუშვებს. ამდენად სწავლების ხარისხის გაუმჯობესება მთელი სისრულით დადგა დაწყებითი სკოლის წინაშე. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ამოცანის გადაჭრა ძირითადად, რასაკვირველია, მასწავლებელზეა დამოკიდებული.

ამიტომ მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან პედაგოგიური სასწავლებლების ქსელი თანდათანობით შემცირდა. ამას თან ერთვის ისიც, რომ პედაგოგიური სასწავლებლები ვერ აკმაყოფილებდნენ მრავალმხრივი პროფილის მქონე დაწყებითი კლასების მასწავლებლის მომზადებას. აქედან გამომდინარე მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მომზადების პრობლემები გადაეტანა საქართველოს უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში და შემოეღოთ სპეციალობა „დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა“ (ქართული და რუსული განყოფილებები).

1957 წელს პედაგოგიურ ინსტიტუტს, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის შემადგენლობაში, სწავლების დღისა და დაუსწრებელ ფორმაზე შეემატა ახალი სპეციალობა „დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა“ (ქართული და რუსული განყოფილებები). დღის სწავლების მხოლოდ ამ სპეციალობაზე იყო განსაზღვრული ოთხწლიანი სწავლება. სწორედ ამ წლიდან დაევალოთ

პედაგოგიურ ინსტიტუტებს დაწყებითი (I-IV) კლასებისათვის უმაღლესი პედაგოგიური განათლების ცენტრის მქონე მაღალკვალიფიციურ მასწავლებელთა კადრების მომზადება. აღნიშნული სპეციალობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა პედაგოგიურ ინსტიტუტში ადრე არსებული პედაგოგის ფაკულტეტის (1933-1941) სპეციალობათა პროფილისგან, მაგრამ ის იქცა გაუქმებული ფაკულტეტის ღირსეულ მემკვიდრედ, რადგან აღმოჩნდა ერთადერთ საგანმანათლებლო დაწესებულებად დასავლეთ საქართველოში, რომელიც ზრდიდა კვალიფიციურ კადრებს დაწყებითი სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის. ზემოთქმულის დასტურია ისიც, რომ ფაკულტეტს ერქვა დაწყებითი სწავლების პედაგოგიკისა და მეთოდის ფაკულტეტი, მაგრამ სულ მალე იგი უნივერსიტეტში აღიარებული იქნა, როგორც პედაგოგიური ფაკულტეტი. იგი 1958 წლის სექტემბერში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტს გამოეყო და საფუძველი ჩაეყარა ახალ, დამოუკიდებელ დაწყებითი სწავლების მეთოდის ფაკულტეტს. ახლადშექმნილ ფაკულტეტზე დაწყებითი სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების ძირითადი მიმართულებით მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებდა ფაკულტეტის ადმინისტრაცია. მაღალხარისხოვნად ტარდებოდა სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული ლექციები, სემინარული, პრაქტიკული სამუშაოები და პედაგოგიური პრაქტიკები. საგრძნობლად იმატა სტუდენტთა აკადემიურმა მოსწრებამ. სერიოზული ყურადღება მიექცა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

დაწყებითი სწავლების მეთოდის ფაკულტეტის პირველი დეკანი იყო დოცენტი ი. ჯღარკავა. ფაკულტეტზე 1960 წელს შეიქმნა დაწყებითი სწავლების მეთოდისათა კათედრა. იგი აერთიანებდა 1958 წლიდან შემოღებულ დაწყებითი სწავლების პედაგოგიკისა და მეთოდის სპეციალობაზე შემავალ ყველა მაპროფილებელ სასწავლო დისციპლინას. 1961-1962 სასწავლო წელს მას გამოეყო დაწყებითი განათლების პედაგოგიკა-ფსიქოლოგიისა და პოლიტექნიკურ-ესთეტიკური აღზრდის კათედრა.

XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან სტუდენტთა ცოდნის დონის ამაღლებისა და საერთოდ სასწავლო პროცესის ხარისხობრივი გაუმჯობესების საქმეში მნიშვნელოვანი სიახლე იყო ინსტიტუტში კოლოქვიუმების ჩატარების პრაქტიკის დანერგვა. სწავლების ორგანიზაციის ეს ფორმა წარმატებით დაინერგა პედაგოგიურ ფაკულტეტზე. კოლოქვიუმების შემოღებამ ფაკულტეტზე ხელი შეუწყო სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის შედეგების მიმდინარე შემოწმებას, აკადემიური მოსწრების ამაღლებას და სწავლების ეფექტიანობის ზრდას.

1973-1991 წლებში ფაკულტეტის სტუდენტებმა მესამე შრომითი სემესტრი წარმატებით გაიარეს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში.

1974-75 სასწავლო წლიდან ფაკულტეტზე შემოტანილი იქნა ახალი სპეციალობები: 1. მუსიკა და სიმღერა; 2. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია. 1989 წლიდან დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდისა და რუსული ენა.

1933-1990 წლებში ფაკულტეტზე ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამები: 1. პედოლოგია, 2. სასკოლო პედაგოგიკა; 3. დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდის; 4. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია; 5. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა, ფსიქოლოგია და ესთეტიკა; 6. მუსიკა და სიმღერა; 7. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდისა და რუსული ენა.

1958 წლიდან 1990 წლამდე დაწყებითი სწავლების მეთოდის ფაკულტეტის დეკანები იყვნენ: დოც. ი. ჯღარკავა (1958-1960); დოც. გ. ჩხაიძე (1961-1974); დოც. ნ. ჯაჯანიძე (1974-1985); დოც. თ. ღვინიაძე (1986-1990).

1933 წლიდან 1990 წლამდე ფაკულტეტზე კათედრის გამგეებად მუშაობდნენ: 1. პედაგოგიკის (1933-1957 წწ): დოც. შ. სიხარულიძე; პროფ. გ. თავზიშვილი; დოც. დ. ყიფშიძე; დოც. ნ. მექვაბიშვილი; დოც. ი. ჯღარკავა; 2. ფსიქოლოგიის (1933-1957 წწ): პროფ. დ. უზნაძე; პროფ. ა. ბოჭორიშვილი; პროფ. შ. ჩხარტიშვილი; 3. პედაგოგიკა – ფსიქოლოგიის: პროფ. შ. ჩხარტიშვილი; დოც. ი. ჯღარკავა; დოც. კ. კოვზანაძე; დოც. ბ. ნადირაძე; პროფ. პ. ქაშიბაძე; 4. დაწყებითი სწავლების მეთოდისათა კათედრის (1960 -1990 წწ): დოც. დ. გეწაძე; დოც. კ. კუბლაშვილი; დოც. ს. ტყემელაშვილი; დოც. ლ. აბზიანიძე; 5. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა-ფსიქოლოგიისა და

პოლიტექნიკურ-ესთეტიკური აღზრდის კათედრა (1960-1990 წწ.): დოც. პ. გულუა; დოც. პ. სირბილაძე; დოც. ი. სარუხანოვა;

1960-1990 წლებში ფაკულტეტის დეკანის მოადგილის მოვალეობებს ასრულებდნენ და სასწავლო პროცესის განხორციელებას ხელს უწყობდნენ: დოც. გივი ჩხაიძე, დოც. არკადი გოგუაძე, უ/მ. ლამარა იმედაძე, უ/მ. ეთერ ბრეგაძე, უ/მ. გრამიტონ ქარციძე, დოც. შოთა ჩხარტიშვილი, დოც. გაია ჩაკვეტაძე. ფაკულტეტის სტუდენტთა მომსახურებისა და აღრიცხვიანობის ტექნიკურ პროცესს წარმართავდნენ ფაკულტეტის მდივნები: ლეილა უკლება, მარგო იობიძე, ნორა კუტივაძე, ნაზი ჭურაძე, ეთერ ბრეგაძე, ნინო კოსტავა, ნანა კიკალიშვილი.

ფაკულტეტის დაარსების დღიდან სტუდენტთა აკადემიური დონის შესაფასებლად და შესაბამისი კვალიფიკაციის მისანიჭებლად ტარდებოდა სახელმწიფო საატესტაციო გამოცდა.

ფაკულტეტზე 1990 წლიდან შედიოდა შემდეგი სპეციალობები: დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა, დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და მუსიკა, სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა, ფსიქოლოგია და ესთეტიკური აღზრდა, დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და რუსული ენა, 1993 წლიდან დაემატა დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და უცხო ენა (ინგლისური, გერმანული), 1995 წლიდან კი ფიზიკური აღზრდის სპეციალობა.

1995 წელს პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანმა დოც. თამილა ღვინიაძემ უნივერსიტეტის რექტორატის წინაშე დასვა საკითხი, რომ დაწყებითი სწავლების მეთოდიკის ფაკულტეტი გარდაქმნილიყო პედაგოგიურ ინსტიტუტად, თავისი დამოუკიდებელი ბიუჯეტით, სადაც უნდა გახორციელებულიყო ყველა საგნის მასწავლებლის მომზადება. სამწუხაროდ, ეს წინადადება არ გავიდა. მას მხოლოდ ერთი დადებითი მომენტი მოჰყვა, ფაკულტეტს სახელი შეეცვალა და ეწოდა პედაგოგიური ფაკულტეტი. მისი ფუნქცია კვლავ დაწყებითი კლასების მასწავლებლების მომზადება დარჩა. ამ საკითხის გააქტიურება, ჩვენი აზრით, ახლაც არ იქნებოდა ურიგო.

1990 წლიდან 2004 წლამდე ფაკულტეტზე ხორციელდებოდა შემდეგი საგანმანათ-ლებლო პროგრამები: 1. დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა; 2. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა, ფსიქოლოგია და ესთეტიკა (სტუდენტთა კონტინგენტის არყოლის გამო გაუქმდა 2001 წლიდან); 3. დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და მუსიკა; 4. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და რუსული ენა; 5. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და უცხო ენა (ინგლისური, გერმანული); 6. ფიზიკური აღზრდა.

2004 წლიდან 2010 წლამდე ფაკულტეტი ახორციელებდა და ახორციელებს შემდეგ სამაგისტრო პროგრამებს: 1. განათლების მეცნიერებები - სპეციალიზაციები: დაწყებითი განათლება; ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდა; განათლების მენეჯერი; 2. საგნის (საგანთა ჯგუფის) მეთოდიკა და მეთოდოლოგია - სპეციალიზაციები: დაწყებითი განათლების მეთოდიკა და მეთოდოლოგია; ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკა და მეთოდოლოგია; ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდის მეთოდიკა და მეთოდოლოგია; საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების მეთოდიკა და მეთოდოლოგია; უცხო ენების სწავლების მეთოდიკა და მეთოდოლოგია; განათლების ფსიქოლოგია.

2011-2012 წლებში ფაკულტეტზე არსებულმა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებმა წარმატებით გაიარეს პროგრამული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

1990 წლიდან ფაკულტეტის დეკანად მუშაობდნენ დოც. თ. ღვინიაძე (1990-2004 წწ.); დოც. მ. ახვლედიანი (2005 წ.), პროფ. გ. ბერძულიშვილი (2006-2011 წწ.), ამჟამად ფაკულტეტის დეკანია ასოცირებული პროფესორი ვლადიმერ ადეიშვილი.

1990 წლიდან 2005 წლამდე ფაკულტეტზე კათედრის გამგეებად მუშაობდნენ: 1. ფსიქოლოგიის: პროფ. ვ. კაკაბაძე; დოც. მ. მალრაძე; 2. პედაგოგიკის: (1990-2005 წწ.) პროფ. პ. ქაშიბაძე; დოც. შ. ჩხარტიშვილი; დოც. ი. ბასილაძე; 3. დაწყებითი სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტი: დოც. ლ. აბზიანიძე; 4. მუსიკისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა (1987-2005 წწ.): დოც. ი. სარუხანოვა (1987-1992); დოც. მ. ჩიტეიშვილი (1992-2005 წწ).

1990-2004 წლებში ფაკულტეტის დეკანის მოადგილის მოვალეობებს ასრულებდნენ და სასწავლო პროცესის განხორციელებას ხელს უწყობდნენ: დოც. შოთა ჩხარტიშვილი, დოც. გია ჩაკვეტაძე, დოც. იმერი ბასილაძე, დოც. თამარ მამარდაშვილი. ამჟამად ფაკულტეტის დეკანის მოადგილეა აკადემიური დოქტორი მანანა დეისაძე.

ფაკულტეტის სტუდენტთა მომსახურებისა და აღრიცხვიანობის ტექნიკურ პროცესს წარმართავდნენ და წარმართავენ ფაკულტეტის მდივნები: ნაზი ჭურაძე, ნატო დვალი, ნინო ჭოხონელიძე, თამარ მამარდაშვილი, ცაგული ბაქრაძე და ხათუნა ჩიხლაძე.

2005 წლიდან უმაღლესი განათლების კანონის მოთხოვნათა საფუძველზე პედაგოგიურ ფაკულტეტზე კათედრები გარდაიქმნა დეპარტამენტებად. შეიქმნა ორი დეპარტამენტი პედაგოგიკისა და სწავლების მეთოდოლოგია. 2005 წლიდან 2011 წლამდე დეპარტამენტის კოორდინატორებად მუშაობდნენ: 1. სწავლების მეთოდოლოგია: პროფ. ლ. აბზიანიძე; 2. პედაგოგიკის: ასოც. პროფ. მ. ახვლედიანი. ამავე წლის სექტემბრიდან უნივერსიტეტში მოხდა სტრუქტურული რეორგანიზაცია უნივერსიტეტში არსებული 9 ფაკულტეტის ნაცვლად შეიქმნა ოთხი ფაკულტეტი. პედაგოგიური ფაკულტეტი გაუქმდა და იგი შევიდა სამართლისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში.

დიდი ტრადიციების მქონე ფაკულტეტის ხელაღებით გაუქმებამ, ჩვენი აზრით, მეტად სავალალო შედეგი გამოიღო: 1. დაწყებითი კლასების მასწავლებლობის მსურველმა აბიტურიენტებმა და მათმა მშობლებმა ვერ გაიგეს და ვერ გააცნობიერეს, რა დაემართა ტრადიციულ ფაკულტეტს; 2. აბიტურიენტებმა, რომლებიც პირველად, ახალი წესით, ირჩევდნენ საგანმანათლებლო პროგრამებს და აბარებდნენ ეროვნულ გამოცდებს, ვერც კი წარმოიდგინეს, რატომ უნდა ყოფილიყო სამოცდაათწლოვანი ტრადიციების მქონე სპეციალობა საზოგადოებრივ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, რამაც გამოიწვია შეცდომების დაშვება სტუდენტთა არჩევანში; 3. 2005 წლის სექტემბერში დაწყებითი სწავლებისა და მეთოდოლოგიის სპეციალობაზე ჩაირიცხა 13 სტუდენტი, როდესაც ამ ფაკულტეტზე ყოველწლიურად ირიცხებოდა 200-დან 300-მდე სტუდენტი; 4. სტუდენტთა საბაკალავრო პროგრამაზე ასეთი მცირერაოდენობით მოსვლამ გამოიწვია აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვების შემცირება; 5. მომავალმა თაობებმა ინტერესი დაკარგეს მასწავლებლის პროფესიისადმი, რასაც ხელი შეუწყო კანონმა „უმაღლესი განათლების შესახებ“ - მასწავლებლის კვალიფიკაციის მინიჭების უგულვებელყოფა უმაღლეს სასწავლებლებში.

უნივერსიტეტის რექტორატმა მალე აუღო ალღო გაუქმებულ ფაკულტეტზე შექმნილ სიტუაციას. უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ გიორგი ონიანის გადაწყვეტილებით კვლავ აღდგა თავის უფლებებში პედაგოგიური ფაკულტეტი და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა დოც. გიორგი ბერძულიშვილი, ხოლო დოც. მაია ახვლედიანი დაინიშნა პედაგოგიკის დეპარტამენტის კოორდინატორად.

2006 წლის 29 აგვისტოდან უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით პედაგოგიურ ფაკულტეტზე გაუქმდა არსებული პროფესორის, დოცენტის, უფროსი მასწავლებლის და მასწავლებლის ყველა საშტატო ერთეული. შემოდებული იქნა ახალი აკადემიური თანამდებობები „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის შესაბამისად: სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ პროფესორი.

2005-2006 სასწავლო წლიდან ფაკულტეტის პირველი კურსი გადავიდა საკრედიტო სისტემაზე, რასაც ითვალისწინებს საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. საბაკალავრო პროგრამების ხანგრძლივობა განისაზღვრა ოთხი წლით, რომელიც მოიცავდა 120 კვირას, 2160 საათს, რაც ECTS ევროპული საკრედიტო სისტემით 240 კრედიტის ეკვივალენტურია.

პირველკურსელთათვის შეიქმნა ახალი სასწავლო გეგმები და სასწავლო გრაფიკები. მასში საგნები გაერთიანდა მოდულების სახით. იგი მოიცავდა სავალდებულო საუნივერსიტეტო და არჩევით დისციპლინებს. შემოდებული იქნა შეფასების ახალი სისტემა. საგნის ათვისების შედეგად მიღებული ცოდნის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დაწესდა შუალედური და ფინალური გამოცდის სისტემა. ფაკულტეტზე დაიწყო სწავლების ახალი მეთოდების დანერგვა. სწავლების

ახალი მეთოდების დანერგვამ განაპირობა სტუდენტებში კომუნიკაციური უნარ-ჩვევების, კრიტიკული აზროვნებისა და დამოუკიდებელი აქტივობების განვითარება. სწავლება/სწავლის პროცესი ორიენტირებული იქნა სტუდენტზე და არა პედაგოგზე. ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით დაიწყო სილაბუსების დამუშავება და სალექციო კურსების ახლებურად მომზადება.

2007 წლიდან ფაკულტეტზე შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეულები ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ECTS-ის კოორდინატორი.

მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სისტემის გარდაქმნის შუქზე პედაგოგიურ ფაკულტეტზე სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი საინტერესო და მიმზიდველი გახდა. თაობა, რომელიც ფაკულტეტზე ეროვნულ გამოცდებ- ჩაბარებული მოვიდა, მოვიდა არა მხოლოდ დიპლომისათვის, არამედ ცოდნისათვის.

2007 წლიდან პედაგოგიურ ფაკულტეტზე არსებობს სადისერტაციო საბჭო. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეა სრული პროფესორი გიგლა ონიანი, საბჭოს სწავლული მდივანი სრული პროფესორი იმერი ბასილაძე. პედაგოგიური ფაკულტეტის ისტორიაში ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოზე პირველი დისერტაციის დაცვა შედგა 2009 წლის 26 ივნისს. დისერტაცია პედაგოგიკის თეორიასა და ისტორიაში დაიცვა გარდამავალი ფორმატის დოქტორანტმა იაგორ ბალანჩივამ (ხელმძღვანელები: პროფ. ჯემალ ჯინჯიხაძე და პროფ. იმერი ბასილაძე) და მიენიჭა განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხი.

ფაკულტეტის ადმინისტრაცია დღიდან დაარსებისა სისტემატურ ყურადღებას აქცევდა ფაკულტეტზე ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ჩართულობას სამეცნიერო მუშაობაში. ამ მიზნით წლების განმავლობაში ტარდებოდა სამეცნიერო კონფერენციები. ეს ტრადიცია გაგრძელდა XXI საუკუნის დასაწყისშიც. ამ კუთხით ფაკულტეტზე 2008 და 2009 წელს საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად ჩატარდა საერთაშორისო რესპუბლიკური კონფერენცია სწავლებისა და აღზრდის საკითხებზე.

2010 წლიდან ფაკულტეტზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ინკლუზიური განათლების დასაწარმოებლად. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული 5 კრედიტიანი საგნის „ინკლუზიური განათლების“ ფარგლებში ფაკულტეტი ახორციელებს ჩამოთვლილ პედაგოგიურ პრაქტიკას იმ სკოლებში, რომლებთანაც გაფორმებულია ხელშეკრულებები. ფაკულტეტზე ყოველწლიურად, 2010 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით ეწყობა „ინკლუზიური განათლების საზაფხულო სკოლა“.

ფაკულტეტი 2011 წლიდან აქტიურად არის ჩართული ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში. ფაკულტეტზე მუშაობს TEMPUS-ის ორ წლიანი პროგრამა „სტუდენტთა აქტიური სწავლება ბუნებისმეტყველებაში“ („Student Active Learning in Science“. Tempus Project №511275-TEMPUS-1-GE-TEMPUS-JPCR). აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროექტის საგრანტო თანხიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში შეძენილია სამი: ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის თანამედროვე სასწავლო ლაბორატორია საჭირო ჭურჭლით და ინვენტარით.

ფაკულტეტზე უკვე რამდენიმე წელია გაიცემა შიდასაუნივერსიტეტო გრანტები. 2012 წლის ივნისიდან ფაკულტეტზე კვლავ აღდგა ტრადიცია საერთაშორისო კონფერენციების ჩატარებისა. 2012 წლის 2 და 3 ივნისს ჩატარდა III საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“.

წლების განმავლობაში ფაკულტეტზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარების ორგანიზაციისა და სრულყოფის ტექნოლოგიას. სტუდენტები იღრმავებენ პედაგოგიკაში, სწავლებისა და განვითარების თეორიებში, სასწავლო კურსის მეთოდიკებში მიღებულ თეორიულ ცოდნას. პრაქტიკულად ეცნობიან თანამედროვე განათლების სისტემას, მისი სამართლებრივი აგების საფუძვლებს, სწავლების ორგანიზაციის ფორმებს, შეფასების სისტემას, სწავლების თანამედროვე მეთოდებს. თითოეული სტუდენტი ატარებს პრაქტიკის კვლევას მის მიერ ჩატარებული მუშაობიდან გამომდინარე, იძლევა სათანადო რეკომენდაციებს სასწავლო პროცესისა

და პრაქტიკის სრულყოფასთან დაკავშირებით. ყოველივე ზემოთ თქმული ხელს უწყობს სტუდენტებში პედაგოგიური პროფესიისადმი სიყვარულის გაღვივებას.

ფაკულტეტის დეკანატი სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ჩართვის მიზნით, ახორციელებს სამეცნიერო პროექტებს: სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებსა და მუდმივმოქმედ სემინარებს. სტუდენტებს ემსახურება კეთილმოწყობილი კომპიუტერული ლაბორატორიები.

ფაკულტეტზე მიმდინარეობს აქტიური სტუდენტური ცხოვრება. მათთვის ეწყობა: ექსკურსიები, ლაშქრობები, სპორტული შეჯიბრებები, კულტურული საღამოები. დაინერგა ტრადიცია პირველკურსელ სტუდენტთათვის სტუდენტობის გელათის ახლადდადგენილ მეცნიერებათა აკადემიაში გადაცემის.

ფაკულტეტის დეკანატი და სტუდენტური თვითმმართველობა, ყოველწლიურად, პერიოდულად აწყობს საქველმოქმედო ღონისძიებებს წყალწითელას მოხუცთა და მიუსაფართა პანსიონატში.

ფაკულტეტი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა საუნივერსიტეტო და საქალაქო ღონისძიებებში.

დღეისათვის ფაკულტეტს ემსახურება 3 სრული პროფესორი, 13 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი, რომლებიც არჩეული არიან კონკურსის წესით. ასევე მოწვეული სპეციალისტები.

ფაკულტეტზე ხორციელდება შემდეგი პროგრამები: საბაკალავრო: დაწყებითი განათლება; მასწავლებლის მოსამზადებელი (minor პროგრამა); მასწავლებლის მოსამზადებელი (ერთწლიანი პროგრამა); სამაგისტრო: განათლების მეცნიერებები; საგნის (საგანთა ჯგუფის) მეთოდოლოგია და მეთოდოლოგია: სადოქტორო: განათლების მეცნიერებები (პედაგოგიკის თეორია და ისტორია, მათემატიკის სწავლების მეთოდოლოგია).

ფაკულტეტის ხელმძღვანელობა არ აპირებს მიღწეულზე შეჩერებას, რადგან გადასადგმელია მნიშვნელოვანი ნაბიჯები ფაკულტეტის გრძელვადიანი პერსპექტივისათვის, რაც გულისხმობს პედაგოგიური ფაკულტეტის კონკურენტ-უნარიან ფაკულტეტად ჩამოყალიბებას და მის წარმატებულ ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში.

პედაგოგიური ფაკულტეტი სამომავლოდ გეგმავს ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და ამოქმედებას. კერძოდ, მუშაობა მიმდინარეობს და მომავალი წლიდან ამოქმედდება პროფესიული პროგრამები „სკოლამდელი დაწესებულებების აღზრდელი“, „ინკლუზიური განათლება“. ასევე მზადდება „საგნის (საგანთა ჯგუფის) მასწავლებლის“ საბაკალავრო პროგრამები, რომლებიც მოთხოვნადია დასაქმების ბაზარზე, კერძოდ, მუსიკისა და სპორტის მასწავლებელთა მომზადების.

იგეგმება სხვადასხვა მიმართულებით მოკლევადიანი სასერთიფიკატო კურსები, საზაფხულო სკოლები, ტრენინგ-კურსები და მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მოსამზადებელი კურსები.

ფაკულტეტზე სამომავლო პერსპექტივისა და საზოგადოებრივ მოთხოვნათა გათვალისწინებით იქმნება ყველა წინაპირობა ნიჭიერი და კვლევაზე ორიენტირებული სტუდენტების მოსაზიდად.

დღეისათვის პედაგოგიური ფაკულტეტის მიერ შემოთავაზებული ყველა აკადემიური პროგრამა თანამედროვე ევროპულ საკრედიტო სისტემასა და საერთაშორისო გამოცდილებაზეა დაფუძნებული, რაც უზრუნველყოფს დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგული, ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების ახალი თაობის აღზრდას.

ამრიგად, არსებობს რვა ათწლეულის განმავლობაში პედაგოგიურმა ფაკულტეტმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა კულტურულ-ინტელექტუალური და ზნეობრივი აღზრდის საქმეში. ამ ფაკულტეტის აღზრდილთა შორის ბევრი თვალსაჩინო პიროვნებაა, რომლებიც წარმატებით ახორციელებდნენ და ახორციელებენ სწავლა აღზრდის პროცესს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

Imeri Basiladze – Full Professor of Akaki Tsereteli State University

From the History of the Faculty of Pedagogics

Following the resolution of January 8, 1933 resulting in re-establishment of Tbilisi State University, the pedagogical institute was moved to Kutaisi and started functioning here from February 13. Immediately afterwards the Department of Paedology and Pedagogy was established with sections of pedagogy, paedology and polytechnic teaching.

Dimitri Uznadaze, Vasil Prangishvili, Giorgi Tavzishvili, Shalva Sikharulidze, Angia Bochorishvili, Davit Kipshidze, Nestor Mekvabishvili, Revaz Natadze and other prominent Georgian scholars expressed their willingness to come and work here. From 1933 the department became a faculty and Prof. Alexandre (Vasil) Prangishvili was appointed as the Dean of the Faculty.

The professors took upon themselves an extremely difficult task of laying foundations for developing the Faculty, preparing and training the academic staff. This was the period when the first laboratories and study rooms for pedagogics and psychology were opened; Georgian terminology in the field of pedagogics was developed. The contribution of these professors to the history of pedagogics in Georgia can hardly be overestimated.

Education of academic staff in the fields of pedagogics and psychology at our University is closely linked with the names of Alexandre (Vasil) Prangishvili, Dimitri Uznadaze, Giorgi Tavzishvili, Angia Bochorishvili, Davit Kipshidze, Nestor Mekvabishvili and Shalva Sikharulidze. They raised a generation of scholars who managed to successfully shoulder the responsibility of academic, educational and research work at the Faculty of pedagogics in the 40-50s of the XX century.

It was agreed that teaching would be carried out through lectures, seminars, practica and laboratory work. The forms of knowledge assessment included examinations and pass/fail tests. State examinations were introduced. Individual plans of research work were made compulsory for the academic staff of the departments of psychology and pedagogics.

Lectures took up 35% of contact hours as determined by the timetable. The material introduced during lectures was further developed and processed during seminars, practica, laboratory work, independent work and individual assignments. Lectures were delivered by professors and docents while other types of academic activities were conducted under the supervision of assistants and controlled by professors.

Student attendance and preparation for sessions, active involvement in independent work and individual assignments was considered obligatory. Teaching practice was an important constituent of the academic process. Students had an opportunity to get acquainted with the practice of teaching in schools and pedagogical colleges.

Teaching practice was organized in the following way: at first students had “passive practice” i.e. they observed lessons taught by experienced teachers; next they taught demonstration lessons themselves. A trainee teacher was only allowed to teach a lesson if a detailed plan designed by him/her was approved by methodologists. Trial and demonstration lessons were observed by the school teacher as well as methodologists from the institute and members of the Department of Pedagogics and Psychology.

In 1933 – 2005 the Faculty implemented the following programs: 1. Paedology; 2. School Pedagogics; 3. Pedagogics and Methodology of Primary Education; 4. Pedagogics, Psychology and Aesthetics of Pre-school Education; 5. Music and Singing; 6. Pedagogics and Methodology of Primary Education and Russian Language; 7. Pedagogics and Methodology of Primary Education and a Foreign Language;

Starting from the academic year 2005-2006 the Faculty has adopted ECTS system in accordance with the Law of Georgia on Higher Education. The duration of bachelor’s degree courses is four years i.e. 120 weeks or 2160 hours equaling 240 credits according to ECTS.

New curricula and syllabi were designed for first-year students. The courses were grouped into modules and the curriculum now comprised compulsory and elective courses. A new system of assessment was introduced according to which upon completion of the course a student’s knowledge and skills were assessed on a scale of 100 points. This system included mid-term and year-final examinations. The Faculty started to introduce new methods of teaching which have led to development of students’ communication skills, critical thinking and independence. The focus in teaching/learning shifted from a teacher to a student. The academic staff started using modern technology and techniques in syllabus design and course development.

Quality assurance unit and ECTS coordinator are the two new structural units created at the Faculty in 2007.

We believe that as a result of the reform of the University’s educational system the academic process at the Faculty of pedagogics has become much more interesting and productive. The generation of students that came to the Faculty having taken Unified Entry Examinations was driven by the desire to receive knowledge and not only a degree certificate.

Since 2007 the Faculty of Pedagogics has had a dissertation council chaired by Prof. Gigla Oniani with Prof. Imeri Basiladze as its academic secretary. The first defence of a doctoral dissertation in the history of the Faculty was held on June 26, 2009. Iagor Balanchivadze was the first PhD student to defend a dissertation here in the field of theory and history of pedagogics (supervisors: Prof. Jemal Jinjikhadze and Prof. Imeri Basiladze) and was awarded the academic degree of PhD in Education.

The deans of the Faculty of Pedagogics during 1933-2013: Prof. Alexandre (Vasil) Prangishvili (1933-1935), Docent Shalva Sikharulidze (1935-1937), Docent Grigol Svanidze (1937- 1938), Iona Jgharkava (1938-1941, 1958-1960), Docent G. Chkhaidze (1961–1974), Docent N. Jajanidze (1974–1985), Docent T. Ghvinianidze (1986–2005), Docent M. Akhvlediani (2005), Prof. G. Berdzulishvili (2006-2011), Assoc. Prof. V. Adeishvili (2011- to present).

The Heads of the Departments during 1933-2013:

Department of Pedagogics - Docent S. Sikharulidze, Prof. G. Tavzishvili, Docent D. Kipshidze, Docent N. Mekvabishvili, Docent I. Jgharkava;

Department of Psychology – Prof. Dimitri Uznadze, Prof. Angia Bochorishvili, Prof. Sh. Chkhartishvili.

Department of Pedagogics and Psychology - Prof. Sh. Chkhartishvili, Docent I. Jgharkava, Docent K. Kovzanadaze, Docent B. Nadiradze, Prof. P. Kashibadze, Docent Sh. Chkhartishvili, Docent I. Basiladze, Assoc. prof. M. Akhvlediani;

Department of Methodology of Primary Education – Docent D. Getsadze, Docent D. Kublashvili, Docent S. Tkeshelashvili, Docent L. Abzianidze, Assoc. Prof. M. Buchukhishvili;

Department of Pedagogics and Psychology of Primary Education and Polytechnic and Aesthetic Education – Docent P. Gulua, Docent P. Sirbiladze, Docent I. Sarukhanova, Docent M. Chiteishvili.

The Faculty Dean’s office tries to promote students’ participation in research activities through planning research projects, students’ scientific conferences and workshops. Students have access to well-equipped computer laboratories. Creating conditions for active student life is also a priority for the Faculty administration. Excursions, hikes, sports competitions, cultural soirees are frequent. A tradition was established of presenting the first-year students with their student cards in newly restored Gelati Academy of Sciences.

The Faculty together with the student self-government organizes regular visits and events at Tskaltsitela Home for the Elderly and Homeless. Of course, we are actively involved in every major event at the University or in the city.

At present the Faculty has three full professors, 13 associate professors and three assistant professors, all selected on a competitive basis, as well as invited specialists.

The Faculty runs the following programs:

Bachelor’s level: Primary Education; Teacher Training (minor program); Teacher Training (one-year program);

Master’s level: Education Sciences; Methods and Methodology of a Discipline (group of disciplines);

PhD level: Education Sciences (Theory and History of Pedagogics, Methodology of Teaching Mathematics)

All the academic programs offered by the Faculty at the moment are based on European credit system and international academic experience thus ensuring that the new generations of our students acquire democratic values and become competitive in the national as well as international labour market.

Thus, during the eight decades of its existence the Faculty of Pedagogics has found its rightful place through contributing to the cause of cultural, intellectual and moral education. Many of our alumni are prominent citizens successfully working in the field of education in various schools and higher educational organizations of Georgia.

პედაგოგია/Pedagogics

ზურაბ სულაბერიძე - ისტორიის დოქტორი; ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი

საგანმანათლებლო სისტემისა და რელიგიური იდეოლოგიის საკითხები შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში

სამეცნიერო ლიტერატურაში ადრეულ შუა საუკუნეებს ხშირად მოიხსენიებენ როგორც „ბნელ პერიოდს“ კაცობრიობის ისტორიაში. მთავარ მიზეზს ამგვარი შეფასებისა წარმოადგენს V-X საუკუნეები ევროპის ქვეყნების კულტურის მკვეთრი დაცემა. განათებულ ადამიანთა დეფიციტი შეინიშნებოდა როგორც გლეხთა, ისე მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლებშიც.

ცნობილი რუსი მეცნიერის პავლე უვაროვის შეხედულებით, შუა საუკუნეების ევროპის ქვეყნების სწავლება კათოლიკური ეკლესიის იდეოლოგიაზე იყო დამყარებული სადაც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იყო იოანეს სახარების 1:1-3-ში წარმოთქმულ სიტყვებზე: „დასაწყისში იყო სიტყვა, სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი. ის დასაწყისში ღმერთთან იყო. ყველაფერი მისი მონაწილეობით გაჩნდა, მის გარეშე არაფერი შექმნილა.“ ამ სიტყვების მიხედვით, შუა საუკუნეების მსოფლმხედველობაში ყველაფრის საწყისი ღმერთი იყო. იმ პერიოდის იდეოლოგია აზრით, ადამიანს მთელი თავისი ცხოვრება ბიბლიის კითხვასა და ინტერპრეტაციისთვის უნდა მიეძღვნა. ქადაგება და ლოცვა არა მხოლოდ შუა საუკუნეების, არამედ მე-18-19 საუკუნის ევროპის საგანმანათლებლო პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

შუა საუკუნეების ევროპის საზოგადოება საუკუნეების განმავლობაში სკეპტიკურად იყო განწყობილი ანტიკური ღირებულებებისადმი. იმ პერიოდის მწიგნობარი საზოგადოებისთვის ბიბლია და ვერგელიუსის „ენეიდა“ წარმოადგენდა ცხოვრების მთავარ სულიერ საზრდოს. ასევე სქოლასტიკის ეპოქის მსოფლმხედველობის მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენდა ცნობილი მოღვაწის, ნეტარი ავგუსტინეს ქრისტიანული მსოფლმხედველობის 4 ძირითადი დოგმა: 1. „შემქმნელის შეასახებ“, 2. „ცოდვის შესახებ“; 3. „გამოსყიდვისა“ და 4 „ადღომის შესახებ“.

ადრე შუა საუკუნეების ევროპის ქვეყნებში აღმოცენებას იწყებს 4 ტიპის სკოლა.

1. სამონასტრო სკოლები, რომლებიც რომლებიც ზრდიდნენ მომავალ სასულიერო პირებსა და მომავალ საერო მოსამსახურეებს.

2. ეპისკოპოსის რეზიდენციასთან არსებული კათედრალური სკოლები მომავალი სასულიერო და საერო მომსახურეებსათვის.

3. სამრევლო სკოლები, რომლებიც უშვებდნენ მომავალ მღვდლებს. სადაც სწავლობდნენ 7-15 წლის ასაკის მოზარდები, რომლებიც სწავლიდნენ კითხვას, წერას, გამოთვლას, საეკლესიო გალობას და ა.შ.

მე-12 საუკუნიდან ევროპაში ჩამოყალიბებას იწყებს აღზრდის სრულიად ახალი მიმართულება - რაინდების აღზრდა. რაინდებისთვის უცხო იყო ფიზიკური და გონებრივი შრომა. მაგრამ რაინდებს უნდა შეძლებოდათ: მთამსვლელობა, ცურვა, ხმალობა, ნადირობა და სხვ.

მე-12-13 საუკუნეების საგანმანათლებლო პრაქტიკაში ფართო გავრცელებას ჰპოვეს ეკლესია-მონასტრებში ქალთა აღზრდა-განათლების ტრადიცია. კათოლიკური ეკლესიაც თავის მხრივ დაინტერესებული იყო ქალების რელიგიური განათლების მეშვეობით გავლენა მოეხდინა მათ მეუღლეებზე - ფეოდალებსა და რაინდებზე.

შუა საუკუნეების ევროპის განათლების განვითარებაში ხაზგასასმელია ფრანკთა იმპერატორის კარლოს დიდის ღვაწლი. კარლოს დიდისეული ცდა, რომ იმპერიაში ამალღებულყო რელიგიური განათლების დონე, კადრების უკმარისობის გამო უშედეგოდ დასრულდა. კარლოსის

გარდაცვალების შემდეგ, კულტურულმა ცხოვრებამ კვლავ მონასტრების კედლებში გადაინაცვლა [7, 131].

შუა საუკუნეების ევროპაში ქალაქების აღმოცენება-განვითარებამ განაპირობა სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა - ექიმების, სახელმწიფო მოხელეების, მოსამართლეების, პედაგოგებისა და სხვ. აუცილებლობა, რაც იმთავითვე უნივერსიტეტების წარმოშობის წინაპირობა იყო.

უნივერსიტეტების წარმოშობა ეფუძნებოდა სასკოლო ბაზას. ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში მოღვაწე პედაგოგები დროდადრო ახდენდნენ გამოყოფას და ქმნიდნენ საკუთარ კორპორაციას - უნივერსიტეტებს. ამ გზით ჩამოყალიბდა ბოლონიის, პარიზის, ფრაიბურგის და სხვა ევროპის ცნობილი უნივერსიტეტები.

შუა საუკუნეების ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში ძირითადად ფუნქციონირებდა 2 ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული სისტემა - ფრანგული და იტალიური. მათ შორის განსხვავება მდგომარეობდა იმაში, რომ თუ იტალიის უნივერსიტეტებში კორპორაციული ავტონომიის გაფართოებისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა უნივერსიტეტსა და ქალაქის ხელისუფლებას შორის, პარიზში კი ეს დაპირისპირება მიმდინარეობდა ეპისკოპოსისა და უნივერსიტეტის კანცლერს შორის. ამ გარემოებების გამო, პარიზის უნივერსიტეტი დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებდა სქოლასტიკის ტრადიციას. მხოლოდ 1246 წლისთვის პაპ ინოკენტ IV ჩარევით პარიზის უნივერსიტეტს მიენიჭა საკუთარი ბეჭედი [5, 325].

ევროპის ნებისმიერი უნივერსიტეტის მიერ მინიჭებულ სამეცნიერო ხარისხს გააჩნდა საერთო ევროპული მნიშვნელობა [6, 234-235]. რადგან სწავლება მიმდინარეობდა ერთიანი სისტემით, სადაც ლათინურ ენას უპირველესი ადგილი ეჭირა. უნივერსიტეტების ცხოვრებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა რელიგიური ორდენები - ფრანცისკანელთა, დომინიკანელთა და სხვა.

უნივერსიტეტი იყოფოდა შემდეგ სტრუქტურულ ერთეულად: ფაკულტეტებად, ნაციებად და კოლეჯებად [2, 23-28]. ფაკულტეტი თავიდანვე წარმოადგენდა ყველაზე დიდ ორგანოს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. მასწავლებლები და სტუდენტები ითვლებოდნენ ფაკულტეტის წევრებად [studium generate]. ევროპის უნივერსიტეტების საფაკულტეტო სისტემა მოწყობილი იყო პარიზის უნივერსიტეტის საფაკულტეტო მოდელზე რომელიც ბევრად წარმატებული იყო. განსხვავებული იყო ბოლონიის საუნივერსიტეტო განათლების მიღების მოდელი, რომლებიც ძირითადად ორიენტირებულნი იყვნენ ერთ დისციპლინის ირგვლივ განათლების მიღებაზე. ასევე ბოლონიის უნივერსიტეტი ადამიანური რესურსების თვალსაზრისით იყოფოდა 2 ნაწილად: პირველში ერთიანდებოდნენ სტუდენტები და ლექტორები, რომლებიც დაბადებულნი იყვნენ აპენინის ნახევარკუნძულზე, ხოლო მეორეში არა აპენინის მკვიდრნი ლექტორ-სტუდენტები. პროფესორებსაც გააჩნდათ თავიანთი კორპორაცია - collegium doctorum. ბოლონიის მოდელი ნაკლებად გამოყენებადი იყო.

ფაკულტეტს ჰყავდა ხელმძღვანელი - დეკანი (decanus) და ხაზინდარი (receptor); ფაკულტეტს გააჩნდა მედალი, ბეჭედი და წესდება. პირველი დეკანები მსოფლიოს საუნივერსიტეტო ისტორიაში ჩნდებიან მე-13 ს-ში პარიზსა და მონპელიეში. მე-14 საუკუნიდან გვხვდება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

რაც შეეხება ნაციებს, ეს წარმოადგენდა ე.წ. სათვისტომოებს. თავდაპირველად სათვისტომოები სპონტანურად აღმოცენდნენ სუდენტებისა და ლექტორების ძალისხმევით შედეგად, მოგვიანებით კი უნივერსიტეტის შემადგენელი ნაწილი გახდნენ. უნივერსიტეტების ცხოვრებაში სათვისტომოები მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. პარიზის უნივერსიტეტში წარმოდგენილი იყო შემდეგი ეროვნული სათვისტომოები: ფრანგული, პიკარდული, ნორმანული და ინგლისური. სათვისტომოებს გააჩნდა საკუთარი ბეჭედი, რეგისტრაციის, შემოსავალისა და გასავლის ჟურნალი.

მოგვიანებით უნივერსიტეტს დაემატა კიდევ ერთი ახალი კორპორაცია - კოლეჯების სახით. კოლეჯი ანუ domus scholarium, თავდაპირველად ჩამოყალიბდა, როგორც პანსიონი ღარიბი სტუდენტებისთვის. მოგვიანებით, კი ეს პანსიონები გარდაიქმნებიან ავტონომიური ან ნახევრად ავტონომიური უფლებების მქონე აკადემიურ დაწესებულებად. შუა საუკუნეების ევროპაში

ცნობილი იყო პარიზის უნივერსიტეტთან არსებული კოლეჯი [hospitia], წმ. თომას კოლეჯი [St Thomas du Louvre], დაახლოებით 1257 წელს რობერ სორბონის მიერ დაარსებული კოლეჯი. კოლეჯებს ხელმძღვანელობდა ე.წ. პროვიზორი (provisor), რომელსაც წელიწადში ერხელ ირჩევდნენ [7,289].

მთელი საუნივერსიტეტო სისტემა მოითხოვდა მკაცრ წესრიგს. არა მხოლოდ სასწავლო წელი, არამედ დღის განრიგიც იყო წინასწარ გაწერილი სტუდენტებისა და ლექტორებისთვის. ზაფხულში მეცადიენობა იწყებოდა არანაკლებ დილის 5 საათისა [ordinariae], ძირითადი ლექციები სრულდებოდა დილის 8-9 საათისთვის. საუზმის შემდეგ და სადამოს იმართებოდა კლასგარეშე კითხვები(extraordinariae).

შუა საუკუნეების უნივერსიტეტის ცხოვრებაში ურთიერთობების არაერთი მახინჯი ფაქტი არსებობდა. მაგ. დასმენა პროფესორების, თვალთვალი თანამშრომლებზე და სხვ. რაც შეეხება აუდიტორიებს, იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი საფეხურეობრვი მწკრივებით, მერხებითა და სკამებით, მოგვაგონებენ თანამედროვე უნივერსიტეტების აუდიტორიებს. ხოლო ქვემოთ განთავსებული იყო მასიური მუხის მაგიდა, სადაც იდგა პროფესორი და ლექციებს კითხულობდა. ლექციის დროს სტუდენტები ისმენდნენ ლექციას და აკეთებდნენ ჩანაწერს. სასწავლო პროცესში დიდი ადგილი ეჭირა დისკუსიებს. ამ თვალსაზრისით ცნობილია პიერ აბელიარის დაპირისპირება პარიზის უნივერსიტეტის პროფესორთან გილიომ შამპოსთან. საბოლოოდ პროფესორი შამპო იძულებული იყო ეღიარებინა აბელიარის სიმართლე და ახალგაზრდას თავისი კათედრა დაუთმო [1, 288-289].

სასწავლო კურსი უნივერსიტეტში გათვლილი იყო ხანგრძლივ პერიოდზე. მაგალითად თეოლოგიის კურსი თავიდან გათვლილი იყო 8 წელიწადზე, თუმცა იყო ტენდენცია კურსის ხანგრძლივობის გაზრდის შესახებ. ხოლო მაგისტრისა და დოქტორის ხარისხის მისღებად სტუდენტი საჭიროებდა დამატებით 4-5 წლიანი სასწავლო კურსის გავლას. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ შუა საუკუნეებში შეიძლებოდა, 7 წლის ბავშვი გამხდარიყო სტუდენტი. მაგრამ სასწავლებლობის უფლება დაშვებული იყო მხოლოდ 20 წლის შესრულების შემდეგ [4, 183].

მე-15 საუკუნის დასაწყისის ევროპაში უმაღლესი განათლების მიღება 65 უნივერსიტეტში იყო შესაძლებელი. XV-XVI საუკუნის მიჯნაზე უმაღლესი სასწავლებლების რიცხვმა 79 მიაღწია. მათ შორის ყველაზე პრესტიჟულად ითვლებოდა პარიზის, ბოლონიის, კემბრიჯის, ოქსფორდის, პრალის, ჰაიდელბერგის და კრაკოვის უნივერსიტეტები [3].

ასეთი სახით შუა საუკუნეების საგანმანათლებლო სისტემა მთლიანობაში მიმართული იყო ფეოდალური საზოგადოების გაძლიერებისკენ. ქალაქების აღმოცენებასა და ზრდასთან ერთად, ასევე გართულებული საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებში აუცილებელი გახდა ევროპული საზოგადოების ინტელექტუალური დონის ამაღლება და ახალი ტიპის საგანმანათლებლო კერების - საქალაქო სკოლებისა და უნივერსიტეტების დაარსება.

შუა საუკუნეების განათლების მიღება კონცენტრირებული იყო ეკლესიებსა და მონასტრებში, რის შედეგად რელიგიურ ხელისუფლებას უადვილდებოდა კონტროლი საგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა ცხოვრებაში. სასწავლო დაწესებულებებზე გავლენის დამყარებას ცდილობდნენ მეფე და სამეფო ხელისუფლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც. საუკუნეების მანძილზე უნივერსიტეტების აკადემიური წარმომადგენლებისა და სტუდენტების დიდი ბრძოლის შედეგად უმაღლესი სასწავლებლებმა მიაღწიეს გარკვეულ ავტონომიასა და პრივილეგიებს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. Абеляр П. История моих бедствий, М.1992
2. Гештор А. Средневековый университет: Управление и ресурсы.//ALMA MATER.- 1996.- № 5.- С.23-28.
3. Документы по истории университетов Европы, Воронеж, 1973 ელ. ვერსია: <http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Italy/XII/Univers/vved.phtml?id=6006>; დაშვება 05.04.2013
4. Копстон Ф. История средневековой философии». М., 1997
5. Уваров П.Ю. История средневековых университетов по франко-бельгийской историографии начала 80-х годов 20 в. // Средние века. Вып. 50. / Отв. ред. В.И. Рутенберг.- М., 1987
6. Университет / Энциклопедия Ф.А. Брокгауза и И.А. Ефрона (1890 - 1916гг.), 1890, репринтное издание, Т.58; М, 1993
7. Хрестоматия по истории средних веков /Под ред. Н.П. Грацианского и С.Д. Сказкина. Т.1. М., 1949

Zurab Sulaberidze - Dr. of History; Museum of Colchian Culture Caucasian International University

Problems of Educational System and Religious Ideology in Medieval Western Europe **Abstract**

The collapse was the significant feature of culture and education of the 5th- 10th century European countries. Medieval society skeptically adjusted antique values of education and culture. The main spiritual food for the reading society of the above mentioned period was the Bible and "Eneida" by Vergil. Four main dogmas of the well-known Scholasticism epoch figure - Augustus Avrely had an important place in medieval educational ideology as well.

Formation of the new cities and development of the public relations caused the needs of having different specialties that conditioned the creation of medieval universities.

At the turn of the 15th-16thcenturies it was possible to get higher education at 79 universities of Europe. The most prestigious among them were universities of Paris, Bologna, Cambridge, Oxford, Prague, Heidelberg and others.

To get education in medieval Europe was possible in the Church (monasteries, temples) that was giving chance the Church officials to have control and be in charge with educational system. The royal authorities were also actively interfering in the activities of the educational institutions. Autonomy of board and some privileges of the high education institutions were gained only after a century fight of the academic circles' representatives and students.

Зураб Сулаберидзе - Доктор истории; старший научный сотрудник Потийской музея Колхидской культуры; Научный сотрудник центра Кавказоведения Кавказскомеждународного университета

Проблемы образовательной системы и религиозной идеологии **в средневековой западной Европе**

Резюме

Европейские государства в V-X веках отличаются особенным развалом культуры и просвещения. Средневековое общество была скептически настроенов отношении античных ценностей образования и культуры. Для читающего общества вышеназванного периода Библия и «Энеида» Вергилия являлись основной духовной пищей. Также весьма важное место занимали в средневековой образовательной идеологии 4 основные догмы знаменитого деятеля эпохи Схоластики Августа Аврелия.

Образование новых городов и развитие общественных отношений обусловили потребность людей в получении разных специальностей, что явилось предпосылкой создания средневековых университетов.

На грани 15-16 веков в Европе возможно было получать высшее образование в 79 университетах. Среди них особенно престижным считался Парижский, Болонский, Кембриджский, Оксфордский, Пражский, Хайдельбергский и другие высшие учебные заведения.

Принятие образования в средневековой Европе была сконцентрировано в стенах храмов и церкви, что религиозному правительству давало возможность осуществить контроль над образовательной системой. Также активно вмешивалась в деятельность учебных заведений королевская власть. После вековой борьбы академических представителей и учащихся, высшие учебные заведения постепенно смогли получить автономию правления и некоторые привилегии.

ნელი ჭამპურიძე - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ჰუმანისტური აღზრდის საკითხები

ჰუმანიზმი (ლათინური სიტყვაა - ადამიანური, განათლებული) დაკავშირებულია კაცობრიობის განვითარების კონკრეტულ ეპოქასთან - რენესანსთან; იგი ფართო გაგებით ნიშნავს კაცთმოყვარეობას, თანასწორუფლებიანობას, პიროვნების ღირსებას, სიკეთეს, მოყვასისათვის უანგარო თავდადებას, რაც, საზოგადოდ, ოდითგანვე დამახასიათებელია ქართული მწერლობისათვის. ეს მოტივი მემკვიდრეობით მიიღო ქართულმა საბავშვო მწერლობამაც და მისთვის დამახასიათებელ ერთ-ერთ სპეციფიკურ მოტივად იქცა.

სახარებისეული ნათელი არის გამთბარი იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში ჰუმანიზმის გრძნობა. მწერალმა მთელი თავისი მოღვაწეობით ცოდნის ლამპარი დაუნთო მრავალ თაობას, გზა გაუნათა და სინათლისა და სიკეთის გზებით ატარა ისინი. „არა აღანთიან სანთელი და დასდგიან ქუეშე ხვიმირსა, არამედ სასანთელესა ზედა და ჰნათობს იგი ყოველთა, რომელნი იყუნ სახლსა შინა. ესრეთ ბრწყინავდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილონ საქმენი თქვენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქვენსა ზეცასათა,“ - ბრძანებს სახარება. (მათე, 5, 15-16)

იაკობ გოგებაშვილის სიცოცხლე წააგავს ანთებულ სანთელს, რომელიც იმისთვის ჩაიფერფლა, რომ გზა გაენათებინა მომავალი თაობებისათვის. დიდი იაკობი ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანად თვლიდა მაღალზნეობრივი თვისებებით აღჭურვილ პიროვნებას. მისი აზრით, „პატიოსნის, კეთილშობილის გრძნობით აღზრდა მოზარდი თაობის გულში კიდევ უფრო საჭირო და ძვირფასია, ვიდრე გონების გამდიდრება სხვა და სხვა ცოდნითა.“ [2,761]

იაკობ გოგებაშვილის მოთხოვნები ძირითადად ემსახურება მოზარდებში ისეთ ზნეობრივი თვისებების აღზრდას, როგორცაა „გამჭირაიხი ჭკუა, ღრმა გრძნობა, მტკიცე ხასიათი, ერთი სიტყვით კაცური კაცობა“ [3,204] ცნება „კაცური კაცობა“, რომელსაც ხშირად მიმართავდა დიდი ილია, იაკობს სხვა სამოციანელთა მსგავსად, ფართო გაგებით ესმოდა, აქ იგი გულისხმობდა ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანისათვის საჭირო ყველა დადებით თვისებას. კერძოდ, აქ იგულისხმებოდა საზოგადოების, ხალხის, ისტორიის წინაშე მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობა, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, გულწრფელობა და ალაღმართლობა, ერთგულება და თავდადება ხალხისათვის, მოყვასის სიყვარული და პატივისცემა. იაკობ გოგებაშვილის რწმენით, ეს თვისებები ალამაზებენ ადამიანის პიროვნებას, მიმზიდველსა და სასიამოვნოს ხდიან ასეთ პიროვნებასთან ურთიერთობას, უადვილებენ ადამიანებს თანაცხოვრებას და, საერთოდ, სიამტკბილობას, მშვენიერებასა და ბედნიერებას ამკვიდრებენ წუთისოფელში. თავის ყველა სახელმძღვანელოში ამ გრძნობათა აღზრდის მიზნით იაკობ გოგებაშვილს შეჰქონდა დიდი პედაგოგიური ტაქტიკა და ალღოთი შერჩეული საინტერესო და ბავშვებისათვის მიმზიდველი მასალები, რომლებიც ისეთ წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ მოზარდებზე, რომ ეს შთაბეჭდილებები ღრმა მოხუცებულობამდე გაჰყვებათ ხოლმე.

სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართების საკითხი ისეთივე ძველია, როგორც თავად კაცობრიობა. სიკეთისა და ბოროტების მარადიული პრობლემა ყოველთვის იყო ლიტერატურისა და ხელოვნების მთავარი საკითხი. საბავშვო ლიტერატურაც თავისთავად გამოირჩევა ადამიანში სიკეთის აღზრდის ნიშნეული თემატიკით. ადამიანში შესაძლებლობის სახით არსებობს სიკეთეცა და ბოროტეცა და მას არჩევანის უფლება აქვს - შეუძლია კეთილიც იყოს და ბოროტიც. ღვთისაგან ნაბომები თავისუფალი ნება კაცს არჩევანის უფლებას აძლევს, განსხვავებით სულიერი თუ უსულო ბუნებისაგან. რაკილა სიკეთეცა და ბოროტეცა ადამიანში არსებობს, მამასადამე, მათი ურთიერთმიმართების პრობლემა კოსმიურ-საყოველთაოსთან ერთად წმინდა ადამიანური პრობლემაცაა. კაცობრიობის დაბადებიდან სიკეთისა და ბოროტების, ნათელისა და ბნელის ჭიდილით არის მოცული სამყარო. თუ რომელი მათგანი სძლევს და მეტად განვითარდება, დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, სიკეთის აღზრდას ადამიანებში ქართველი კაცი სახარებისეული სიბრძნით ქადაგებდა. ჰუმანისტი მწერლისათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა

მაღალი ზნეობრივი პრინციპების ჩანერგვა ადამიანებში. სიკეთის, სიყვარულის, თანაგრძნობის, კაცთმოყვარეობის აღზრდა ყოველთვის იყო საბავშვო ლიტერატურის ძირითადი დანიშნულება.

სიკეთის გამარჯვების აპოლოგია მოგვცა იაკობ გოგებაშვილმა მოთხრობაში „იავნანამ რა ჰქმნა?!“ აღნიშნული მოთხრობა მრავალმხრივ არის საინტერესო. კაცთმოყვარეობით გამთბარი გული სანთელ-საკმეველს არასდროს არ კარგავს:

- “შეიყვარე მოყვასი შენი” (მათე 22,36).

- “... სიყვარული შობს სიყვარულსა”, _ უფლის მცნების მსგავსად გვმოდღვრავს მწერალი.

უყვარდა ქეთოს მოყვასი და იმკიდა კიდეც დიდ სიყვარულს. „სტკბებოდა თავისი სიყვარულით მოყვასისადმი და მოყვასთა სიყვარულით თავისადმი“ - აი ეს იყო ქეთოს უდიდესი ბედნიერება. სიყვარულის უძლეველი ძალის ჩვენებით მწერალი იმედოვნებს, რომ გარკვეულ წვლილს შეიტანს ადამიანებში მოყვასთა სიყვარულის გასაღვივებლად. „ღმერთმა თქვენს გულშიაც აღზარდოს, ჩემო ყმაწვილნო მკითხველნო, მოყვასთა ჩაუქრობელი სიყვარული, გაგაძლოთ მათი სიყვარულით თქვენდამი და ქეთოსავით ბედნიერად გაცოცხლოთ დიდხანს...“.[3,204]

მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა?!“ ახალგაზრდებში ნერგავს კაცთმოყვარეობისა და სიყვარულის უკეთილშობილეს გრძნობას. “ბრძენნი ამბობდნენ და ამბობენ, საუკეთესო წყარო ადამიანის ბედნიერებისათვის მოსიყვარულე გულიაო... სიმდიდრეც შეიძლება ადვილად დაჰკარგოს ადამიანმა, სიმდიდრესა და სილამაზესაც მოაკლდეს, ... მაგრამ მოსიყვარულე გული კი ათბობს და ანათებს მის სიცოცხლეს თვით სამარის კარამდისო” (მოთხრ. „იავნანამ რა ჰქმნა?“).

იაკობ გოგებაშვილის ჰუმანიზმის საფუძველია ქრისტიანული მორალი მოყვასისადმი სიკეთის კეთების, თანაგრძნობისა და თავმდაბლობის გრძნობის აღზრდა ბავშვის ზნეობრივად ფორმირების ძირითადი თავისებურებებია. სიკეთის წილ სიკეთე, ბოროტი საქციელისთვისაც კვლავ სიკეთით პასუხი. ეს ქრისტიანული მორალია გატარებული მოთხრობებში: „თავის გაწირვა მტრისათვის“, „სიკეთე ბოროტებისათვის“, „გულკეთილი ქვრივი“ და სხვ.

მოთხრობაში „თავის გაწირვა მტრისათვის“ იაკობ გოგებაშვილი სახარებისეული სიბრძნით გვმოდღვრავს, გვიყვარდეს „მტერნი ჩვენნი“, რათა ვეზიაროთ ჭეშმარიტებას. ამ ჭეშმარიტების _ ჰუმანიზმის ნათელი პრინციპების ჩანერგვას იაკობი მხატვრული ოსტატობით მოკლე და ლაკონური სიუჟეტური ქარგით ცდილობს. ორი ერთმანეთის მოძულე, მოჩხუბარი ყმაწვილი განსაცდელის დროს „სასიქადულო გულის წადილის“ კარნახით მოქმედებენ, ერთ-ერთი მათგანი ადიდებულ მდინარეში გადაეშვება მეორის გადასარჩენად. ერთ დროს მოქიშპე მტრები მალე გულითადი მეგობრები შეიქმნენ. „ამ დღიდან, - ამბობს მწერალი, - წინანდელი მოსისხლე მტერი შეიქმნენ გულითადი მეგობრები და ერთმანეთს აღარაფერი ერჩივნათ სიკვდილამდე“. „რა მაღლი იქნება, თუკი შეიყვარებთ თქვენს მოყვარულებს? ნუთუ ამასვე არ შვრებიან წარმართებიც?“ (ლუკა, 6. 32-33). “ხოლო თქვენ შეიყვარეთ მოძულენ თქვენი და არ გეყოლებათ მტერი| (ლუკა, 6,27).

სიკეთე და მოყვასისადმი თანაგრძნობა მაღალი ზნეობრივი თვისებებია. სიკეთე სიკეთისათვის დიდი სულგრძელობა როდია, მთავარია ბოროტი საქციელისათვის სიკეთით პასუხი. ეს ქრისტიანული მორალი გატარებულია მოთხრობაში „სიკეთე ბოროტებისათვის“. ამპარტავანსა და ბოროტ ვაროს განსაცდელის დროს ყველა თანაგრძნობასა და სიყვარულს სთავაზობს. ყველაზე დიდი თანაგრძნობით მას ელამი კატო ხვდება. ელამი კატო იმიტომაც მისაბამი, რომ ლამაზ ვაროს დამახინჯების შემდეგ სამაგიერო კი არ გადაუხადა, არამედ დიდი სიყვარულითა და თანაგრძნობით შეხვდა: „ვაროს ორივე თვალთაგან შვების ცრემლი წასკდა“. ეს „შვების ცრემლი“ მისი გამოსწორების საწინდარია. თითქოს სახარებისეული „ოქროს წესით“ მოძღვრავს მწერალი პატარა მკითხველს - „ამიტომ, ყველაფერში, როგორც გინდათ, რომ მოგეცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექცეთ მათ“(მათე, სახარება 7,12).

ჰუმანიზმით, უანგარო სიკეთით არის გამსჭვალული მოთხრობა „გულკეთილი ქვრივი“. გულცივი მეზობლის ეგოიზმმა გულკეთილი ქვრივი მოსავლის გარეშე დატოვა. განსაცდელში ჩავარდნილი მეზობლის დასახმარებლად წარბიც არ შეიკრა ქვრივმა, სახადით დაავადებულ მეზობლის მეუღლეს გულმოდგინედ მოუარა, მაშინ, როცა მას ყველა მეზობელმა ზურგი აქცია. გულკეთილი ქვრივის ეს საქციელი სახარებასთან ასოცირებას იწვევს: „ნეტარ არიან მოწყალენი,

რამეთუ იგინი შეიწყალნენ (მათე, 5,7). ავადმყოფის ქმარს სირცხვილი სწავდა. ამიტომ იყო, რომ მოსავლის ნახევარი შერცხვენილმა მეზობელმა ქერივს უწილადა. „ამ დღიდან მეზობელი ბოროტს ერიდებოდა და სცდილობდა მტრობისათვის მტრობა არ ექნა და სიკეთით მტერი მეგობრად გაეხადა“ - ასეთია სიკეთის უძლეველი ძალა. სამრახისი საქციელის ჩადენას სირცხვილი მოსდევს. ამიტომაც მეზობლის ვაშლის ჩუმად დამკრეფ სანდროს სინდისი ქენჯნიდა მანამ, სანამ მეზობელს არ გამოუტყდა და გამართლება არ მიიღო. დიასახლისმა დალოცა ყმაწვილი და დაამატა: „შეგარგოს ღმერთმა!“ (მოთხ. „სირცხვილის აშორება“). აღნიშნული მოთხრობა გვაგონებს იესოს იგავს დაკარგულ ცხვარზე. მიმტევებელი დიასახლისი კეთილ მწყემსს ჰგავს, რომელიც მუდამ ეძებს დაკარგულ და გზააბნეულ ცხვარს. „ასევე უფრო დიდად გაიხარებენ ზეცაში ერთი ცოდვილის გამო, რომელმაც მოინანია, ვიდრე იმ ოთხმოცდაცხრამეტი მართლის გამო, რომელთაც მონანიება არ სჭირდებათ“ (ლუკა, 15,3-7). ასეთია იგავის სიბრძნე. ნათლად უწყოდა დიდმა მწერალმა და პედაგოგმა - იაკობ გოგებაშვილმა ღვთაებრივი გონის ჭეშმარიტება და ამიტომაც ასე გამორჩეულად ისწრაფვოდა სრულყოფილებიდან. „თუკი ძალგიძს, რომ სრულად იტვირთო უფლის უღელი, სრული იქნები“ (მათე, 11,29).

იაკობ გოგებაშვილი თავის შემოქმედებას დიდი ნათელით სავსე მოთხრობებით ავსებდა და ამით მყარ საფუძველს უქმნიდა ბავშვთა სულიერ ზრდას. „აცადეთ ყრმებსა მაგას მოსვლად ჩემდა“ (მარკ. 10-14). დიდი ჰუმანისტი ხელჩაჭიდული დაატარებდა მომავალ თაობას და სიკეთის ქმნისათვის პირველ ნაბიჯებს ადგმევინებდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1991
2. ი. გოგებაშვილი, რჩ. თხზ. ტ.6, თბ. 1954
3. ი. გოგებაშვილი რჩ. თხზ. ტ. 2, თბ. 1954
4. გაზ. "მრევლი" #3 (27) თბ.1999;

რეზიუმე

იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში ჰუმანიზმის საფუძველი ქრისტიანული მორალია, რითაც სიკეთის აღზრდის ნიშნული თემატიკა მეტ შინაარსობრივ დატვირთვას ღებულობს სპონტანურად რელიგიური აზროვნების თანაზიარობით.

ჰუმანისტი მწერლისათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა მაღალი ზნეობრივი პრინციპების ჩანერგვა ადამიანებში. სიკეთის, სიყვარულის, თანაგრძნობის, კაცთმოყვარეობის აღზრდა ყოველთვის იყო საბავშვო ლიტერატურის ძირითადი დანიშნულება. იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები ძირითადად ემსახურება მოზარდებში „კაცური კაცობის“ აღზრდას, საზოგადოების, ხალხის, ისტორიის წინაშე მოვალეობას, პასუხისმგებლობის გრძნობას, გულწრფელობასა და ალაღმართლობას, ერთგულებასა და თავდადებას ხალხისათვის, მოყვასის სიყვარულისა და პატივისცემას.

Nelie Champuridze - Gori State Teaching University Full Professor

The Basics of Humanism Education Abstract

Christian morality is the basics of humanism in Jacob Gogebashvili's works. Thus, good upbringing subject together with religious thinking spontaneously receives more than the content.

It is important for a humanist writer to implant high moral principles in people. Upbringing with kindness, love, empathy to mankind has always been the main purpose of children's literature. Humanistic education mainly serves to introduce 'good habits' to young people, to develop their sense of responsibility to the society, people, history. Also it increases their sincerity, love, respect, loyalty and commitment to the people.

Нелли Чампуридзе - Горийский государственный учебный университет, профессор

Основы гуманистического воспитания Резюме

В творчестве Якова Гогешашвили основу гуманизма составляет христианская мораль, чем значимая тематика воспитания добра принимает большую содержательную нагрузку при спонтанном религиозном единомыслии.

Внедрение в людях высоких нравственных принципов является значительной проблемой для писателя – гуманиста. Воспитание добра, любви, сочувствия, человеколюбия всегда являлось главным назначением детской литературы. Гуманистическое воспитание подростков, в основном, служит воспитанию в них "настоящего человека", обязанности перед обществом, народом, историей, чувства ответственности, откровенности и правдивости, верности и самоотверженности перед народом, любви и уважения к ближним

ლია მენტეშაშვილი - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
თამარ ჯანგულაშვილი - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სტუდენტთა აღზრდა - უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის მნიშვნელოვანი პრობლემა

აღზრდა ზოგადი გაგებით პიროვნების ფორმირებისა და ჩამოყალიბების რთული სოციალური პროცესია, რომელიც მხოლოდ ადამიანთა მოდგმისათვის არის დამახასიათებელი. აღზრდას, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას, სპეციფიკური კანონზომიერებანი აქვს.

აღზრდა იწყება ადრეულ ასაკში და გრძელდება უმაღლეს სასწავლებელში- სტუდენტურ ასაკშიც. სტუდენტის აღზრდა ისეთივე აქტუალურია, როგორც სკოლის მოსწავლისა. მართალია, მოსწავლის პიროვნება საჯარო სკოლაში სათანადო პედაგოგიურ საამაღრდელ საშუალებათა ზემოქმედების გზით ყალიბდება, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში მთავრდება აღზრდა და უმაღლესმა სასწავლებელმა მხოლოდ პროფესიული სწავლებისა და განათლების საკითხებზე უნდა იზრუნოს. სწავლება სადაც არ უნდა მიმდინარეობდეს, აღმზრდელით მნიშვნელობას არ კარგავს.

ჩვეულებრივ, აღზრდა ესმით როგორც ფართო, ისე ვიწრო გაგებით. „ფართო აზრით ხმარებისას მასში იგულისხმება მრავალმხრივი საკაცობრიო გამოცდილების, თაობათა ზემოქმედების საუკეთესო შედეგების ათვისების მთლიანი პროცესი. როცა ვამბობთ, რომ აღზრდა პიროვნების განვითარების წამყვანი ფაქტორია, აქ სწორედ ფართო აზრით იხმარება იგი. ვიწრო გაგებით კი აღზრდა გულისხმობს პედაგოგთა მრავალმხრივ საქმიანობას, გამიზნულს მოზარდთა ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური განვითარებისათვის (3,10).

სტუდენტთა აღზრდაში მთავარი ის არის, რომ მან შეითვისოს ის დადებითი და საჭირო ცოდნა, ჩვევა, გამოცდილება და თვისებები, რომლებიც თანამედროვე საზოგადოების მშენებელ ადამიანებს ახასიათებთ. მაგრამ, ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ სტუდენტი უმაღლესი სკოლის მიღმა არსებულ გარემოშიც იმყოფება, სადაც იგი იძენს ცოდნას, ჩვევას და ზოგიერთ რამეში გამოცდილებასაც. ამგვარად ყალიბდება ის გარკვეული თვისებების პიროვნებად. აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტებში შეიძლება განვითარდეს ისეთი თვისებები, რომლებიც მოწონებას არ იმსახურებს.

უმაღლეს სკოლაში ისე როგორც საჯარო სკოლაში, აღზრდა ორი გზით წარმოებს: ერთი ხელმეორე აღზრდა, ე.ი ბრძოლა და აღმოფხვრა ზნეობრივი თვალსაზრისით მიუღებელი თვისებებისა და მეორე, დადებითი თვისებების განვითარება.

სტუდენტის პიროვნების ფორმირებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სოციალური ურთიერთობის სისტემას, იმ კოლექტივს, რომელშიც ის ცხოვრობს, რომლის წევრიცაა. აღსანიშნავია, რომ სტუდენტის აღზრდის პროგრამა შეუძლებელია ისეთი იყოს, როგორც სასწავლო საგნის, განათლების პროგრამაა. ასეთ პროგრამაში მოცემულია ცოდნის საფეხურები და თანმიმდევრობა. რასაკვირველია, აღზრდასაც გააჩნია თავისი საფეხურები და თანმიმდევრობა, მაგრამ ეს თანმიმდევრობა და საფეხურები სულ სხვას გულისხმობს.

ერთი შეხედვით, თითქოს ნაკლებად უნდა ვილაპარაკოთ აღზრდაზე სტუდენტურ ასაკში, ამ პერიოდში მთელი ყურადღება გადატანილი უნდა იყოს პროფესიულ დაოსტატებაზე, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტის მომზადებაზე, მაგრამ სამწუხაროდ ასე არ არის. რეალობა გვიჩვენებს, რომ სტუდენტებთან საჭიროა ინტენსიური აღმზრდელითი მუშაობა.

უმაღლეს სასწავლებელში ხანგრძლივი მუშაობისა და დაკვირვების შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ სტუდენტთა საკმაოდ დიდ ნაწილს ხელახალი აღზრდა სჭირდება. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველი მოგვცა ისევ და ისევ მათმა საუნივერსიტეტო გარემოსათვის შეუფერებელმა საქციელმა, სწავლისა და სწავლებისადმი არასერიოზულმა დამოკიდებულებამ, ფასეულ ღირებულებათა არასწორმა გაგებამ, ინტელექტუალურულმა საუბრებმა და ა.შ.

ნურავინ იფიქრებს რომ ჩვენ წარსულის ნოსტალგია გვაქვს, მაგრამ ფაქტია, სულ ახლო წარსულში შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვქონდა ახალგაზრდობის აღზრდილობის შედეგების მიხედვით. ისინი უფრო მეტად აფასებდნენ წიგნს, განათლებას, გაცნობიერებული ჰქონდათ ასაკით უფროსებთან, ლექტორებთან, მასწავლებლებთან ურთიერთობა და ა.შ

აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, რომ დღევანდელი სტუდენტი მომავალი დედა ან მამაა და მათ სწორად თუ არ ესმით აღზრდის არსი, აღზრდის როლი პიროვნების განვითარებაში და თვითონ არ გამოირჩევიან აღზრდილობის დონით, ხვალ ისინი თავიანთი შვილების აღზრდას სათანადოდ ვერ წარმართავენ.

უმაღლესი სასწავლებლის ლექტორებისათვის „არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტური ასაკისათვის დამახასიათებელი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ასპექტების ცოდნასა და მის გათვალისწინებას სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში. აუცილებელია ვიცოდეთ, ვისთან გვაქვს საქმე, რამდენად არის შესაძლებელი სტუდენტებთან სასწავლო-საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება, სტუდენტისა და პროფესორის თანამშრომლობის იმგვარად აგება, რომ დამღეულ იქნეს მთავარი საგანმანათლებლო აღმზრდელობითი ამოცანა“ (1,316).

იმისათვის რომ გაგვერკვია სტუდენტთა აღზრდილობისა და განთლების დონე, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებთან ჩავატარეთ გამოკითხვა (გამოკითხულ იქნა 100 სტუდენტი) კითხვარი შემდეგი შინაარსისა იყო.

1. თქვენი მომავალი პროფესიის გარდა რა გაინტერესებთ?
2. დადიხართ თუ არა თეატრში?
3. რა სახის გადაცემებს უყურებთ ტელევიზიით?
4. ხელოვნების რომელი დარგი გაინტერესებთ?
5. როგორ მოგწონთ თქვენი თანატოლების ქცევა?
6. რა განსხვავებას ხედავთ თქვენსა და უფროს თაობას შორის?
7. როგორ აფასებთ ცხოვრების თანამედროვე პირობებს?

გამოკითხულ სტუდენტთა პასუხებმა ცხადყო, რომ მათთან სერიოზული მუშაობის ჩატარება იყო საჭირო.

აღზრდის პრობლემები უმაღლეს სასწავლებლებში ნაწილობრივ მაინც რომ გადაიჭრას, აუცილებელია სტუდენტებმა იცოდნენ (იგულისხმება ცოდნის მინიმუმი) აღზრდის ხუთივე შემადგენელი ნაწილის (მიმართულების) შესახებ შემდეგი: გონებრივი აღზრდა ოთხი ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას გულისხმობს: ა) მეცნიერული ცოდნის სისტემის დაუფლება; ბ) მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება; საგნებისა და მოვლენების მიმართ საკუთარი შეხედულებისა და წარმოდგენების შექმნა; გ) აზროვნების განვითარება დ) გონებრივი შრომის უნარის განვითარება. გონებრივი აღზრდა წარმოუდგენელია ცოდნის შეძენის, შეთვისების გარეშე; ცოდნის შეძენა კი ხდება სწავლის, სწავლებისა და საკუთარი გამოცდილების საფუძველზე. ზნეობრივი აღზრდა გულისხმობს საზოგადოებრივი ურთიერთობის პროცესში ჩამოყალიბებული ქცევის წესების, ნორმების შეფასებას. მორალი საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმაა და მას ისტორიული ხასიათი აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ცვლილებებთან ერთად მორალური ნორმების წესებიც იცვლება. ის რაც ადრე მორალური თვალსაზრისით მისაღები იყო, შემდეგში ზოგჯერ ამორალური და მიუღებელი გახდა. ყოველივე ეს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ზნეობრივ აღზრდაში. ესთეტიკური აღზრდა მიზნად ისახავს მშვენიერების, სილამაზის აღქმის გაგებისა და განცდის უნარის გამომუშავებას. ესთეტიკურ აღზრას ორი მხარე აქვს: 1. ესთეტიკური განათლების შეძენა; 2. ესთეტიკური გემოვნების და გრძნობების განვითარება. ესთეტიკური განათლების მიღება შესაძლებელია მხატვრული ლიტერატურის კითხვის, ხელოვნების სხვადასხვა დარგების შესწავლით; ესთეტიკური გემოვნებისა და გრძნობების განვითარება ხდება საგნებსა და მოვლენებზე უშუალო დაკვირვებით, ხელოვნების სხვადასხვა დარგების გაცნობით. ესთეტიკურ აღზრდაში სკოლასთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ოჯახი. შრომითი აღზრდა გულისხმობს ცხოვრებისათვის მომზადებას, შრომის უნარ-ჩვევებით შეიარაღებას. შრომითი აღზრდა მიზნად ისახავს: ა. შრომისათვის ფსიქოლოგიურ და პრაქტიკულ მომზადებას. შრომისათვის ფსიქოლოგიური მომზადება გულისხმობს იმის შეგნების გამომუშავებას, რომ ადამიანმა უნდა იშრომოს და პატიოსანი შრომით იცხოვროს. შრომისათვის პრაქტიკული მომზადება ხორციელდება უშუალოდ შრომის პროცესში მონაწილეობით. აღზრდის

ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია აგრეთვე ფიზიკური აღზრდა. ფიზიკური აღზრდის ამოცანაა ახალგაზრდობის გამოწრთობა, ამტანობის გაძლიერებისა და ყოველგვარი წინააღმდეგობის გადალახვის უნარის გამომუშავება. ფიზიკური აღზრდა ხელს უწყობს სასიცოცხლო ტონუსის აწევას, ნერვული, ძვალკუნთოვანი სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას, ფსიქიკური პროცესების, შრომის უნარიანობის განვითარებას.

ჩვენს მიერ მოკლედ განხილული აღზრდის ნაწილები, ანუ მიმართულებები „ყოველთვის მჭიდრო კავშირშია. ისინი მოწყვეტილი კი არ არიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს“ (1,327).

უმადლეს სასწავლებლებში სტუდენტთა აღზრდა უნდა დაეფუძნოს შემდეგ პრინციპებს: სისტემატურობა და თანმიმდევრობა, მოტივაცია აღზრდაში, სტუდენტის პიროვნებისათვის მტკიცე მომთხოვნელობის შეხამება მისდამი პატივისცემასთან, აღზრდა დადებითზე დაყრდნობით, ცხოვრებასთან აღზრდის კავშირი, სტუდენტის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება.

მოკლედ განვიხილავთ აღზრდის თითოეულ პრინციპს. სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპი გულისხმობს აღმზრდელობითი ღონისძიებების არა ეპიზოდურ, არამედ სისტემურ ჩატარებას. სტუდენტთა აღზრდა მუდმივი საზრუნავია და ამიტომ უმადლეს სასწავლებლებში აუცილებელია შემუშავებულ იქნეს მათთან აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სისტემა. სტუდენტებისათვის გამიზნული ყოველი აღმზრდელობითი ღონისძიება საერთო მიზნით უნდა იყოს დაკავშირებული ერთმანეთთან. მოტივაცია აღზრდაში გულისხმობს გარკვეული მიზნის დასახვასა და სწრაფვას ამ მიზნის ხორცშესხმისათვის. დღეს, ზოგიერთ ახალგაზრდას ჰგონია, რომ სტუდენტობა ლექციებზე ხანდახან დასწრებას, კაფეებსა თუ ღამის ბარებში ხშირად სიარულს ნიშნავს. მაგრამ ეს ასე არ არის. ახალგაზრდულ ასაკში გართობა გარკვეულ წილად აუცილებელი და მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი მაინც სტუდენტობის პერიოდში არის სწავლა, ცოდნის შეძენა, მეცნიერების საფუძვლების ღრმად დაუფლება; ახალგაზრდა სწავლისა და სწავლების შედეგებზე უნდა იყოს ორიენტირებული. სტუდენტის პიროვნებისადმი მტკიცე მომთხოვნელობა გულისხმობს სტუდენტის პიროვნების აღიარებასა და პატივისცემას; რაც შეიძლება მეტი მოსთხოვე სტუდენტს, მაგრამ რაც შეიძლება მეტი პატივი ეცი მას! - ასეთია ამ პრინციპის დედაზრი. მისი არსი სწორად უნდა იქნეს გაგებული. ხშირად, მომთხოვნელობა ახალგაზრდებს გადამეტებულ სიმკაცრედ ეჩვენებათ, რაც არ არის პედაგოგიური თვალსაზრისით გამართლებული. ცხოვრებასთან კავშირის პრინციპის განხორციელება, როგორც პროფესორი ა. ასათიანი აღნიშნავს „უშუალოდ ემსახურება პიროვნების სოციალიზაციის ამოცანის შესრულებას, რომელიც უმადლეს სკოლაში აღზრდის უმთავრესი მიზანია, რაკი უმადლესი სკოლა კურსდამთავრებულებს ამზადებს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, ამ საქმეში გადამწყვეტ როლს სწორედ აღზრდის სამოქალაქო ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცება ასრულებს“ (1, 332). აღზრდა დადებითზე დაყრდნობით გულისხმობს სტუდენტის დადებითი მხარეების აღმოჩენასა და მასზე დაყრდნობით სათანადო აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებას ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. ყოველი აღმზრდელობითი ღონისძიება უნდა დაიგეგმოს სტუდენტის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ეს პრინციპი პედაგოგიკის მეცნიერების ქვაკუთხედიანია. მისი გაუთვალისწინებლობა აღმზრდელობით მუშაობაში სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანს. ყველა სტუდენტს განსხვავებული მიდგომა და ურთიერთობა სჭირდება, რადგან ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ხასიათით, ნიჭით, უნარით, ტემპერამენტით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღზრდა ადრეული ასაკიდან იწყება, ამიტომ აღზრდის ამოცანების გადაწყვეტაც მაშინ უნდა დავიწყოთ და გაგრძელდეს ბავშვისა და მოზარდის განვითარების მთელ პერიოდში. აღმზრდელობითი მუშაობა უმადლეს სასწავლებლებშიც საჭიროა და სტუდენტურ ასაკში უკვე საბოლოოდ უნდა გადაიჭრას აღზრდის შემდეგი ამოცანები:

1. ზნეობრივი შეგნების ჩამოყალიბება;
2. ზნეობრივი გრძნობების, ემოციების აღზრდა;
3. ზნეობრივი ქცევის ჩვევათა დანერგვა;

სტუდენტურ ასაკში აღზრდის წარმატება, განპირობებულია ჩვენს მიერ განხილული ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტით. დაუშვებელია, ეს ამოცანები ერთმანეთისაგან იზოლირებულიად, ცალ-ცალკე გადავწყვიტოთ (ვთქვათ, ჯერ ზნეობრივი გრძნობების აღზრდა და ა. შ).

მიზანშეწონილი და დროულია უნივერსიტეტებში შეიქმნას აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილება, რომელიც ეფექტურად მუშაობის შემთხვევაში დადებით შედეგებს მოგვცემს სტუდენტურ ასაკში არსებული აღზრდის პრობლემების გადასაჭრელად.

ლიტერატურა:

1. ასათიანი ა; უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, თბ, 2008.
2. ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია(პროფ. ა.ვ პეტროვსკის რედაქციით) ქართულ ენაზე, თბ; 1977.
3. მალაზონია შ; პედაგოგიკა, თბ; 2001.
4. ცუცქირიძე ზ; ლექციების კურსი პედაგოგიკაში, I ნაწ, აღზრდის თეორია, თბ; 1997.

რეზიუმე

აღზრდის პრობლემები უმაღლეს სასწავლებლებში რომ ნაწილობრივ მაინც გადაიჭრას, აუცილებელია სტუდენტებმა იცოდნენ (იგულისხმება მინიმუმი) აღზრდის ხუთივე შემადგენელი ნაწილის - გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, შრომითი და ფიზიკური აღზრდის არსი.

უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა აღზრდა უნდა დაეფუძნოს შემდეგ პრინციპებს: სისტემატურობა და თანმიმდევრობა, მოტივაცია აღზრდაში, სტუდენტის პიროვნებისადმი მტკიცე მომთხოვნელობის შეხამება მისდამი პატივისცემასთან, აღზრდა დადებითზე დაყრდნობით, ცხოვრებასთან აღზრდის კავშირი, სტუდენტის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება.

Lia Menteshashvili - Tbilisi Teaching University, Full Professor

Tamar Jangulashvili – Tbilisi Teaching University, Associate Professor

Upbringing of Students – Major Problems of High School Pedagogy

Summary

The article deals with the problems of upbringing in the Higher Education institutions and is given the possible ways out of this situation. These problems will be partially solved if students know (We mean minimum) the essence of mental, moral, aesthetical, labor and physical upbringing which are the major components of it.

Upbringing of students in the Higher Education institutions should be bases on the following principles: Systematization and consistency, motivation in upbringing, combination of the strong demand towards the student with his/her respect, upbringing based on positive, link of upbringing with the life, consideration of students' age and individual peculiarities.

Лия Ментешашвили – Профессор Тбилисского учебного университета

Тамар Джангулашвили – Ассоциированный профессор Тбилисского учебного университета

Воспитание студентов – важнейшая проблема педагогики высшей школы

Резюме

Для того чтобы решить хотя бы часть воспитательных проблем в высшем учебном заведении, необходимо разъяснить студентам суть пяти составляющих частей воспитательной работы (подразумевается минимум знаний) – умственного, морального, эстетического, трудового и физического воспитания.

В высшем учебном заведении, воспитание студентов должно основываться на следующих принципах: на систематичности и последовательности, строгой требовательности к студентам в сочетании с уважительным отношением к их личности. Воспитательная работа должна делать упор на положительные примеры, на связь воспитания с жизненными примерами, учитывая индивидуальные и возрастные особенности студентов.

ირმა ქურდაძე - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ავთენტური სწავლის მნიშვნელობა განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის პროცესში

თანამედროვე საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმამ ქართული საზოგადოება ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. განათლების სფეროში გარდაქმნის საჭიროება, ევროპული სტანდარტების დანერგვა მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ფონზე დროის მოთხოვნაა. ახლებური მიდგომებით, სწავლა/სწავლის პროცესი სხვა დატვირთვას იძენს, იმსხვრევა ძველი სტერეოტიპები. დღის წესრიგში დგება ავთენტური სწავლის განუზომლად დიდი მნიშვნელობა, რაც გულისხმობს სწავლის პროცესის კავშირს ცხოვრებასთან. აღნიშნული პროცესის ეფექტურობისათვის მნიშვნელოვანია, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მომავლისაკენ ფიქრის მიმართვა, ხვალისდელი დღის წარმატებისათვის სწორი ხედვის ჩამოყალიბება, რაც აქტუალურს ხდის შემდეგი რეკომენდაციების შემუშავებას. მოსწავლეებს განუვითაროთ ისეთი ჩვევები, რომლებიც მომავალში გამოადგებათ. ხშირად, უწყვეტ რეჟიმში ვისაუბროთ, ვიკამათოთ, ვითანამშრომლოთ კოლეგებთან. მიზნის მისაღწევად აუცილებელია მეტი ალტერნატივის, სხვადასხვა გზის გამოცდა. სასწავლო პროცესში ოდნავი ცვლილების შეტანაც კი მოსწავლეს ყოველდღიურ, ერთფეროვან ცხოვრებაში სასიკეთოდ წაადგება. რაც უფრო დიდია ცვლილება, მით უფრო დიდია ინტერესი მის მიმართ. მაგრამ შეიძლება მოხდეს ისე, რომ მოსწავლეებმა შეთავაზებული სიახლე გადაჭარბებით შეაფასონ, ან გული აიცრუნონ მასზე, ამიტომ შესაძლებელია მუშაობის დაწყება მცირეოდენი ცვლილებებით. სიახლეების შეტანისას სასწავლო პროცესში სასურველია ჩატარდეს გამოყენებული სტრატეგიების ანალიზი, და მხოლოდ ამის შემდეგ მიღებული შედეგების საგუძველზე მოხდეს კონკრეტული სიახლის დანერგვა.

მასწავლებელი ყოველთვის უნდა ზრუნავდეს თითოეული მოსწავლის განვითარებასა და წარმატებაზე, რაშიც დიდ როლს ასრულებს პოზიციური სასწავლო გარემოს შექმნა/ ამ პროცესში იგულისხმება:

- სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება სწავლისათვის მოწესრიგებული, მიზანმიმართული და შესაფერისი გარემოს შესაქმნელად;
- საკლასო სივრცის მაქსიმალურად გამოყენება;
- სწავლებისა და სწავლისათვის განკუთვნილი მასალების შემოქმედებითად გამოყენება;
- საკუთარი და მოსწავლის დროის მაქსიმალურად გამოყენება.

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება.

სწორედ მასწავლებლის ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული, რამდენად ეფექტიანად მიმდინარეობს სწავლება კლასში, რამდენად შეძლებს იგი მოსწავლეების დაინტერესებას ისე, რომ სწავლა უპირველეს ამოცანად გაიხადოს. რაც უფრო მეტად არის მოტივირებული მოსწავლე, მით უფრო მაღალია სწავლის ხარისხი. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისათვის მნიშვნელოვანია, თუ რამდენად აინტერესებს მოსწავლეს ესა თუ ის საგანი, რამდენად გრძნობს ამა თუ იმ საგნის სწავლის საჭიროებას, როგორია მოსწავლის თვითშეფასება (ანუ, სჯერა თუ არა საკუთარი ძალების), აქვს თუ არა ნებისყოფა და შრომის უნარი.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა ინტერესი სწავლისადმი მით უფრო მაღალია, რაც უფრო სრულყოფილადაა ორგანიზებული სასწავლო კურსი და რაც უფრო მაღალი დონის პროფესიონალი მასწავლებელი ჰყავთ, რომლის სწავლების მეთოდოლოგია დახვეწილია. ამ პროცესის წარმატებული მიმდინარეობისათვის მნიშვნელოვანია სწავლისათვის განსხვავებულ მეთოდების გამოყენება. მოსწავლეების სწავლის მოტივაცია იზრდება, როცა გაკვეთილზე არის ინტერაქციული სწავლება, სწავლის პროცესი აქტიურად უკავშირდება ავთენტური სწავლას, რაც

გულისხმობს პროცესს, როცა თემატიკა, სასწავლო პროცესი და გარემო უკავშირდება მოსწავლეების ცხოვრებას, მათ უშუალო გარემოცვაში მიმდინარე მოვლენებს, რეალურ საჭიროებას.

სანამ ავიჩვედეთ სასწავლო აქტივობას, აუცილებელია დავფიქრდეთ მოსწავლეების ცოდნასა და უნარებზე, მათ შესაძლებლობებზე და გამოცდილებაზე. შესაძლოა, სახელმძღვანელოში მოცემული სასწავლო აქტივობა სულაც არ შეესაბამებოდეს კლასის თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებს, ამიტომ არსებული მასალა გარკვეულწილად უნდა შეიცვლოს. სკეპტიკურად უნდა შევხედოთ მოსაზრებას, რომელიც პრობლემის გადაჭრის მხოლოდ ერთადერთ გზას ითვალისწინებს.

მნიშვნელოვანია მოსწავლეებს საკუთარი თავისადმი მეტი მომთხოვნელობა გამოვუმუშავოთ. საშუალება მივცეთ მცდარი პასუხის შემთხვევაშიც კი მასწავლებლის დახმარებით, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი მსჯელობით მივიღეთ სწორ გადაწყვეტილებამდე. რაც გულისხმობს საკუთარი აღმოჩენით, კეთებით, მოვებნით სწორი პოზიცია. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ეფექტურობისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პიტერ ბრეტი, პასკალ მონპონტ-გელარდი, მარია ელენა სალემა - “მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩი”. თბ, 2009
2. USAID/G-PRIED (საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი), მეთოდური ინოვაციები-კონსტრუქცივისტული მეთოდი, თბილისი, 2013
3. Chomsky. N. Aspects of the theory of syntax. USA. MIT Press. 2011

რეზიუმე

თანამედროვე საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმამ ქართული საზოგადოება ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. განათლების სფეროში გარდაქმნის საჭიროება, ევროპული სტანდარტების დანერგვა მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ფონზე დროის მოთხოვნაა. ახლებური მიდგმებით, სწავლა/სწავლის პროცესი სხვა დატვირთვას იძენს, იმსხვრევა ძველი სტერეოტიპები. დღის წესრიგში დგება ავთენტური სწავლის განუზომლად დიდი მნიშვნელობა, რაც გულისხმობს სწავლის პროცესის კავშირს ცხოვრებასთან. აღნიშნული პროცესის ეფექტურობისათვის მნიშვნელოვანია, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მომავლისაკენ ფიქრის მიმართვა, ხვალინდელი დღის წარმატებისათვის სწორი ხედვის ჩამოყალიბება. მნიშვნელოვანია მოსწავლეებს საკუთარი თავისადმი მეტი მომთხოვნელობა გამოვუმუშავოთ. საშუალება მივცეთ მცდარი პასუხის შემთხვევაშიც კი მასწავლებლის დახმარებით, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი მსჯელობით მივიდეთ სწორ გადაწყვეტილებამდე. რაც გულისხმობს საკუთარი აღმოჩენით, კეთებით, მოვძებნოთ სწორი პოზიცია. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ეფექტურობისათვის.

Irma Kurdadze - Doctor of Pedagogy, Full Professor at Samtskhe-Javakheti State University

The importance of Authentic Learning in the Process of Current Education System Reformation Resume

The current education reform in Georgia has issued new challenges to Georgian society. The need of transforming the education system, establishing European standards in the light of ongoing scientific-technical progress, is the demand of the time. With the help of the new approaches the teaching/learning process is acquiring different meaning; the old stereotypes are being broken. The authentic learning is getting great importance as it means connection of the learning process with life. In order to make this process efficient, it is important to think about future, to have proper vision for future while planning the learning process. It is important to make students be more self-demanding, to help them, even in case of having wrong answers, to come to the correct decision independently. This means finding proper position with own discoveries, doings. Such approach is important for efficiency of learning process.

Ирма Курдадзе - профессор Самцхе-Джавахетского государственного учебного университета

Роль автентичного обучения в процессе реализующихся реформ системы образования Резюме

В современной Грузии реализуемая образовательная реформа выставила перед грузинской общественностью ряд проблем. Необходимость преобразований в системе образования, внедрение европейских стандартов на фоне научно-технического прогресса - востребовано временем. Новые позиции, процесс учения/обучения находят другую нагрузку, ломают старые стереотипы. На сегодняшний день встает вопрос о неизмеримом значении автентического обучения. Эффективность вышеуказанного процесса зависит от планирования учебного процесса, обращение мыслей к будущему, формирование правильного поля зрения для завтрашнего удачного дня. Важно, дать учащемуся возможность в случае неправильного ответа на вопрос подумать, и при помощи педагога прийти к правильному выводу. Это подразумевает под собой нахождение правильной позиции действуя самостоятельно.

დარეჯან გელაძე-ბსუ, განათლების მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

სტრატეგიები აუტიზმის მქონე ბავშვების დასახმარებლად

„მოექცევი სხვას ისე, როგორც შენ გინდა, გექცეოდნენ“.

სახარებისეული ეს სწავლება თანამედროვე ტოლერანტული ღირებულებებისა და კულტურის ერთ-ერთი საფუძველია. ამ კულტურის ნაწილია ინკლუზიური განათლება, რომლის მთავარი პრინციპის მიხედვით ყველა ბავშვს, მიუხედავად შესაძლებლობებისა უნდა მიეცეს სწავლისა და განვითარების თანაბარი ადამიანების უფლება. ხარისხიანი ინკლუზიური განათლებისათვის მნიშვნელოვანია ბავშვებთან მომუშავე ადამიანების თანასწორობისა და სხვისი უფლებების პატივისცემის პრინციპზე დაფუძნებული შინაგანი რწმენა და პროფესიული ღირებულებები, პედაგოგებს კი ჰქონდეთ ახალი ცოდნის მოძიებისა და პრაქტიკაში გამოყენების სურვილი.

საქართველოში პირველად 2011 წელს აღინიშნა აუტიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მსოფლიო დღედ-2 აპრილი. ხოლო ინფორმირების გაზრდის სხვა საშუალებებთან ერთად ამუშავდა ვებ-გვერდი www.autism.ge

აუტიზმი ტვინის განვითარების ნეირობიოლოგიური დარღვევის შედეგია, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის დამყარების, სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და გონებრივი განვითარების პროცესებზე. ბავშვს პრობლემები აქვს სოციალურ განვითარებაში, კომუნიკაციაში, მეტყველებაში, ქცევაში. ის ყოველი 1000 ბავშვიდან 6 ბავშვში გვხვდება. ბიჭებში უფრო ხშირია, ვიდრე გოგონებში. პირველად აუტიზმი ლეო კანერმა აღწერა 1943 წელს. იგი გამოყოფდა აუტიზმისათვის დამახასიათებელ შემდეგ ნიშნებს:

1.სოციალური ურთიერთობის დამყარების უუნარობა; 2.კომუნიკაციის მიზნით მეტყველების გამოყენების შეუძლებლობა; 3.ცვლილებებისადმი ძლიერი რეზისტენტობა; 4.საგნებით გატაცება; 5.ამ მახასიათებლების გამომჟღავნება 30 თვის ასაკამდე.

აუტიზმის სიმპტომები, ჩვეულებრივ თავს იჩენს ბავშვის ცხოვრების პირველი სამი წლის განმავლობაში და თან სდევს მთელი ცხოვრების მანძილზე. ყველაზე ძლიერ ფორმას ახასიათებს გარემოსთან კონტაქტის შეუძლებლობა, თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობის დამყარების შეუძლებლობა, უჩვეულო თვითდამაზიანებელი და აგრესიული ქცევა, შიშები. აუტიზმის ყველაზე სუსტი ფორმა ჰგავს პიროვნულ აშლილობას, დასწავლის უნარის დარღვევას. ასეთ ბავშვებს იშვიათად თუ შეუძლიათ იცხოვრონ მშობლების ზრუნვის, თერაპიული ინტერვენციისა და ზოგჯერ ჰოსპიტალიზაციის ან მკურნალობის გარეშე. აუტიზმის მქონე პირს პირველ რიგში, გარემოსთან კონტაქტის დამყარების პრობლემა აქვს. ასეთი ბავშვი ყურადღებას არ აქცევს ოჯახის წევრებს, თითქოს ვერ ამჩნევს მათ, ის არ თამაშობს სხვა ბავშვებთან, უჭირს საკუთარი აზრების, ემოციების სხვებისთვის გაზიარება. მათთვის მეტყველება კომუნიკაციის საშუალებას არ წარმოადგენს, ისინი ხშირად უცნაურ მეტაფორებს ხმარობენ აქვთ მონოტონური ხმა, ან გაწეილი, წამღერებითი ინტონაცია. საკუთარ თავზე ისინი ლაპარაკობენ მესამე პირში.

რა არის დაავადების მიზეზი? უკანასკნელ ხანს აუტიზმს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, რაც მისი გახშირებით აიხსნება, დაავადებულთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ოპიოს შტატის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ ორსულებს, რომლებმაც ორსულობის 24-28-ე კვირას გადაიტანეს ძლიერი სტრესი (მაგალითად, ახლობლის სიკვდილი, სამსახურიდან დათხოვნა ან ძლიერი შიში), დიდი შანსი აქვთ, აუტიზმით დაავადებული შვილები გაუჩნდეთ.

როგორ მკურნალობენ აუტიზმით დაავადებულებს? ზოგიერთი მკვლევრის აზრით, აუტიზმის დროული აღმოჩენა და ინტერვენცია ბავშვის სოციალიზაციას 60 %-მდე ზრდის. მკურნალობა კომპლექსურია და მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება. აუტიზმით დაავადებული არ იკურნება, მაგრამ სწავლობს, იყოს დამოუკიდებელი, საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, ითვისებს სოციალური ადაპტაციის ჩვევებს. თერაპია მოიცავს დამამშვიდებელ საშუალებებს, დიეტას, ფსიქოსოციოლოგიურ მეთოდებს, აუდიოვიზუალურ ტრენინგებს. აუცილებელია მუდმივი

სპეციალური სამკურნალო ფიზკულტურა, რათა ბავშვი სწორად ფლობდეს თავის სხეულს. ბირმინგემის უნივერსიტეტის მკვლევარები ირწმუნებიან, რომ მოცეკვავე რობოტებს (მაქსი და ბენი) შეუძლიათ აუტიზმით დაავადებული ბავშვების კომუნიკაციის უნარი გააუმჯობესონ. ეს ორი მოცეკვავე რობოტია, რომლებსაც ცეკვა, ჭადრაკის თამაში და ადამიანებთან ურთიერთობა შეუძლიათ.

რადგან რობოტებს ემოციის გამოხატვა არ შეუძლიათ, აუტიზმით დაავადებული ბავშვები მათ საფრთხედ არ აღიქვამენ. ბირმინგემის დაწყებით სკოლაში რობოტების გამოცდა ნახევარი წელია წარმატებით მიმდინარეობს.

გარემო მათთვის უსიამოვნო შეგრძნებების და უარყოფითი ემოციების მომგვრელია, განსაკუთრებით გამაღიზიანებელია ადამიანის სახე, სწორედ ამიტომ გაურბიან პირდაპირ მზერას. ბავშვი არჩევს საჭმლის ფაქტურას და გემოს, არ ჭამს გარკვეული ტიპის საჭმელს, მაგრამ შეუძლია პირში ჩაიდოს და შეჭამოს : ქაღალდი, ფოთლები. მუდმივი სენსორული დისკომფორტის ფონზე მათ აღენიშნებათ თვითსტიმულაცია (ტანის ქანაობა, ხტუნვა, ტრიალი). სწორედ თვითსტიმულაციის საშუალებით ცდილობს ის შფოთვის და უსიამოვნო გარემოს მიერ გამოწვეული უარყოფითი ემოციების დაძლევის და დადებითი ემოციური მდგომარეობის მიღწევას. ასეთ ბავშვებს ხშირად აქვთ ხატვის, მუსიკის, ანგარიშის, მათემატიკის, ფაქტების დამახსოვრების, მხედველობითი გარჩევის და ა.შ. გამლიერებული უნარი. ახალი გარემო მათთვის უარყოფითი ემოციის და შიშის წყაროა. აუტიზმის მქონე ბავშვები ხშირად დადიან ერთი და იმავე გზით, ერთნაირი თანმიმდევრობით იცვამენ. ჩვეულებრივი საგნები და მოვლენები, შესაძლოა ძლიერი შიშის აღმოცენების მიზეზი იყოს, ასევე შიშს იწვევს ახალი სიტუაცია, ახალი საგნები. აუტისტური შიშები ამახინჯებს გარემოს აღქმას. სათამაშოებზე მეტად მათთვის მიმზიდველია სხვადასხვა მასალა, მაგალითად: ბოთლები, ღილები, თავსახურები. ხშირად იზიდავს საგნის რაიმე თვისება: ტრიალი, ნახვრეტი, ბრჭყვიალი, ფერი. ცნობილია, რომ ადრეულ ასაკში თავის ტვინის პლასტიურობა ბევრად მაღალია, რის გამოც რეაბილიტაციის დროულად დაწყებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

სტარტეგები, რომლებიც დაგეხმარება აუტიზმის მქონე ბავშვების დასახმარებლად:

- მოსწავლის ინდივიდუალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის შექმნილი სწავლების პროგრამები და სპეციალური დამხმარე მომსახურება მოზრდილთათვის საცხოვრებელი და სამუშაო პირობების მიხედვით საშუალებას იძლევა, რომ აუტიზმით დაავადებულმა ბავშვებმა და მოზარდებმა იცხოვრონ და იმუშაონ საზოგადოებაში.

- აუტისტი ბავშვის სწავლების ეფექტურობისთვის, მნიშვნელოვანია მისი „სწავლის სტილის“ დადგენა. „სწავლის სტილი“ აღწერს იმ მეთოდს, რომლითაც ადამიანები ღებულობენ ინფორმაციას გარემოს შესახებ. ადამიანებმა შეიძლება ისწავლონ დანახვით (ვიზუალურად), მოსმენით ან შეხებით ან საგნების მანიპულირებით (კინესთეტიკურად, „ხელით სწავლა“). აუტისტი ბავშვები უფრო ხშირად სწავლის ერთ რომელიმე სტილს იყენებენ. ადამიანზე დაკვირვებით შეიძლება გავიგოთ მისი სწავლის ძირითადი სტილი. მაგ. თუ აუტისტი ბავშვი ათვალერებს (სურათებიან) წიგნს, უყურებს ტელევიზორს (აწეული ან დაწეული ხმით), აკვირდება ხალხს და საგნებს, მისი სწავლის სტილი ვიზუალურია. თუ აუტისტი ბავშვი ბევრს ლაპარაკობს, მოსწონს, როცა მას ელაპარაკებიან, უსმენს რადიოს ან მუსიკას, მისი სწავლის სტილი-აუდიტორულია. ხოლო თუ აუტისტი ბავშვი გამუდმებით ნაწილებად შლის საგანს, ადებს და ხურავს უჯრებს და ხელს აჭერს ღილაკებს, ეს ნიშნავს, რომ ასეთი ბავშვი კინესთეტიკურად ანუ შეხებით სწავლობს. ბავშვის სწავლის სტილის გარკვევა ზრდის ალბათობას, რომ ბავშვი შესძლებს სწავლას. თუ დარწმუნებული არა ხართ, სწავლის რომელი სტილი ახასიათებს ბავშვს ან ასწავლით სწავლის სხვადასხვა სტილის მქონე ბავშვების ჯგუფს, საუკეთესო მეთოდია სწავლის სამივე სტილის გამოყენება. მაგ. სიტყვა „ფანქარი“ სწავლებისას უნდა აჩვენოთ ფანქარი (ვიზუალური), აღწეროთ მისი თვისებები: ფერი, შემადგენლობა, გამოყენება (სმენითი) და შემდეგ ხელი მოაკიდებინო (კინესთეტიკური).

- აუტისტი ბავშვების ერთი საერთო თვისებაა საკლასო ოთახში სირბილი და მასწავლებლისადმი უყურადღებობა. ასეთი ბავშვი შესაძლოა სმენით ვერ სწავლობდეს და ამდენად

მასწავლებლის სიტყვებს ყურადღებას არ აქცევს. თუ ბავშვი კინესთეტიკური მიდრეკილებისაა, მასწავლებელმა შეიძლება მხარზე ხელი დაადოს და თავის ადგილზე დააბრუნოს, ან მივიდეს სკამთან და მიაჩოჩოს ის ბავშვისკენ. თუ ბავშვი ვიზუალურად სწავლობს, მას უნდა მიუთითოთ სკამზე ან მისცეთ სკამის ნახატი და ანიშნოთ რომ დაჯდეს.

- საკლასო ოთახი ისე უნდა იყოს მოვარჯიშო, რომ დაეხმაროს პროგრამის რეალიზებას. აუტიზმით დაავადებული მოსწავლეები უკეთ ითვისებენ და ნაკლებად იბნევიან, როდესაც ინფორმაცია მიეწოდებათ, როგორც სიტყვიერად, ისე ვიზუალურად. მნიშვნელოვანია აგრეთვე არაუნარდაქვეითებულ თანატოლებთან ურთიერთობა, რადგან ისინი იძლევიან ჩვეულებრივი სალაპარაკო, სოციალური და ქცევის ჩვევების მოდელს. შევქმნათ ისეთი გარემო, რომ რაც შეიძლება ნაკლებ გამაღიზიანებელი იყოს აუტიზმის მქონე ბავშვისათვის, ისე, რომ მისი კლასიდან იზოლირება არ მოხდეს.

- გავამარტივოთ მეტყველება, განაკუთრობით მაშინ, როდესაც ბავშვი გაღიზიანებული ან გულდაწყვეტილია. მაგალითად ხელიც დაუქნიე და სიტყვიერადაც უთხარი: „მოდით აქ.“ ასწავლეთ ბავშვს გზები, როგორ გაუმკლავდეს უსიამოვნო შეგრძნებებს. თუ ბავშვი შეწყუბუნებულია ხმების გამო, მიეცით მას საშუალება ყურის საცობები ან ყურსაფარები ატაროს, როცა ეს საჭიროა. მნიშვნელოვანია დავიცვათ ბალანსი მასტიმულირებელ სოციალურ აქტივობებსა და მშვიდ საათებს შორის. გახსოვდეთ, რომ აუტიზმის მქონე ადამიანები მალე იღლებიან სოციალურ აქტივობებისაგან. ეცადეთ ადეკვატური იყოთ ბავშვის სენსორული მოთხოვნილებისადმი. საჭიროების შემთხვევაში მაგრად ჩაეხუტეთ, გამორთეთ შუქი, შესთავაზეთ ქუდი და ა. შ. აქციეთ ეს გამოცდილება ყოველდღიური აქტივობების ნაწილად. ეს დაეხმარება ბავშვს და დაამშვიდებს მის აღზნებულ ნერვულ სისტემას.

- თუ ბავშვს კითხვა შეუძლია, დავუწერეთ, რისი თქმაც გასურთ, რათა სტრესულ სიტუაციებში კომუნიკაცია დაამყაროთ. მაგალითად, თუ ბავშვი სუპერმარკეტშია და გაღიზიანდა, რადგან ბურბუშელა ჩვეულ ადგილას არ დახვდა დაუწერეთ: „მოდით მეორე მაღაზიაში ვიყიდოთ“.

- გამოვიყენოთ ბავშვის დღის განრიგის ვიზუალური და სიტყვიერი სქემა. გამოვიყენოთ ნახატები, დაწერილი სიტყვები, საგნები, რათა გააგებინოთ ბავშვს, რისი ჯერი მოდის. ბავშვს შეუძლია გადახაზოს ისინი, როდესაც აქტივობა დასრულებულია. კედელზე ჩამოკიდებული დღის განრიგი მისთვის სიმშვიდისა და დაცულობის განცდის მომანიჭებელის. ვიზუალური მიმანიშნებლების ეფექტურად გამოყენება შეიძლება ბავშვისათვის მოსალოდნელი ცვლილების წინასწარ ასახსნელად.

- გამოვიყენოთ კალენდარი, რათა მოამზადოთ ბავშვი განსაკუთრებული დღეებისთვის, დღესასწაულებისათვის, არდადეგებისათვის. გამოვიყენოთ ნახატიანი დაწერილი სიტყვები, რომ კარგად ავუხსნათ ამ დღეების არსი და მათი მიმდინარეობის ჩვეული სცენარი(რას ვაკეთებთ, განვიცდით, ვამბობთ ამ დღეს). ბავშვს შეუძლია ყოველდღიურად გადახაზოს კალენდარზე გასული დღეები, რათა ვიზუალური წარმოდგენა შექმნას იმის შესახებ, თუ რამდენად ახლოსაა მოსალოდნელი დღე.

- გამოვიყენოთ „ჯერ“ და „შემდეგ“ სტრატეგია-გამოვიყენოთ ნახატები და სიტყვები ბავშვთან კომუნიკაციისას „ჯერ ხელი დაიბანე, შემდეგ უყურე მულტფილმს“.

- ვიყოთ თანმიმდევრული, რაც უფრო მშვიდი და თანმიმდევრული ვიქნებით, მით უფრო დაცულად იგრძნობს თავს ბავშვი. ბავშვებს მოსწონთ, როცა იციან „ თუ მე ამას გავაკეთებ, ეს მოხდება“. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა ვიყოთ მეტისმეტად სწორხაზოვანი ჩვენს მიერ დაწესებული წესებისა და მოლოდინების მიმართ.

- მივცეთ ბავშვებს არჩევანის უფლება. გააკეთოს არჩევანი სურათებითა თუ ნაწერი სიტყვების მეშვეობით (ჰამბურგერი გინდა თუ თამაში?). თუ ბავშვს უჭირს არჩევანის გაკეთება, დავეხმაროთ აირჩიოს რომელიმე ვარიანტი და დავეხმარეთ შესრულების პროცესში. რამდენჯერმე დახმარების შემდეგ, სავარაუდოდ, იგი დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთებას დაიწყებს.

აუტიზმით დაავადებულ ადამიანებს სპეციალურად მომზადებული მწვრთნელების მხრიდან ესაჭიროებათ დახმარება. ისინი მუშაობენ მხატვრებად, პიანინოს ამწყობებად, ფერმის მუშებად, ჭურჭლის მრეცხავებად, კონვეიერებზე, სახელოსნოებში.

უკვე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი აუტიზმის ალტერნატიული მკურნალობის საკითხში. ხელმისაწვდომი გახდა მეტაბოლური გზების აღმოჩენის ცდები. ახალი მოდელები გვეხმარება გავიგოთ, როგორ უვითარდებათ აუტიზმი „ზედმეტად მგრძნობიარე“ ბავშვებს. თუ აქამდე ნერვული და იმუნური სისტემები ცალ-ცალკე განიხილებოდნენ, ახლა აუტიზტ ბავშვებთან „სენსორული ინტეგრაციის“ პრობლემების გვერდით მათი იმუნური სისტემის გადატვირთულობის შესაძლებლობებიც განიხილება. კვლევებმა ცხადყო, რომ აუტიზტ ბავშვებს, თუმცა ყველას ერთნაირად არ აწუხებთ იმუნური სისტემის და მეტაბოლური ანომალიები. მათი უმრავლესობის სისხლის სურათი აჩვენებს იმუნური სისტემის რეგულირების დარღვევას.

2012 წელს გამოქვეყნებული მონაცემებით აუტიზმი გვხვდება 88 ბავშვიდან ერთში, ხოლო თუ მისი გენდერული თავისებურების გათვალისწინებით 54 ვაჟიდან ერთს აქვს აუტიზმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. ლალიძე, მ. ბაგრატიონი, თ. პაჭკორია-„ინკლუზიური განათლება“. თბილისი, 2009;
2. თ. პაჭკორიას რედაქციით. „ვისწავლოთ ერთად-ინკლუზიური განათლება“. თბილისი, 2008;
3. ხ.დოლიძე, ე. კეკელია, ე. გაგოშიძე, ქ. გველესიანი, ნ. ცინცაძე-„ინკლუზიური განათლება. ათი განსაკუთრებული გაკვეთილი.“თბილისი;
4. „ინკლუზიური განათლება,“ სარესურსო წიგნი პედაგოგებისათვის.თბილისი, 2004;
5. თ. გაგოშიძე, პრაქტიკული მუშაობა ბავშვებთან წიგნი II წიგნი, თბილისი 2007;
- 6.თ. გაგოშიძე, თ. ჭინჭარაული, ქ. ფილაური, მ. ბაგრატიონი-„ინკლუზიური განათლების პრინციპები“. თბილისი, 2008;
7. თ. ისაკაძე-„გზამკვლევი მშობელთათვის“-თბილისი, 2010;
8. www.autism.ge

რეზიუმე

სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობა გადამწყვეტია აუტიზმის მქონე ბავშვის რეაბილიტაციისათვის. აუტიზმის მქონე ბავშვები ფიზიკურად არ განსხვავდებიან სხვებისაგან, მაგრამ გვახსოვდეს, მათ სხვისი გრძნობების გაგება და გათვალისწინება ძალიან უჭირთ. აუტიზმით დაავადებული არ იკურნება, მაგრამ სწავლობს, იყოს დამოუკიდებელი, საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, ითვისებს სოციალური ადაპტაციის ჩვევებს.

აუტიზმის მქონე ბავშვებთან მუშაობის პოცესში ყველაზე დიდი გამარჯვებაა, როდესაც მათ თანატოლებთან დამეგობრების სურვილი უჩნდებათ და ჩვენ ამ მიზნის მიღწევის გზების აღმოჩენაში ვეხმარებით. მნიშვნელოვანია ყველა დავრწმუნდეთ, რომ აუტიზმი განვითარების დარღვევაა და არა ფსიქოზი.

საქართველოში არის აუტიზმის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა აუტიზმის მქონე ადამიანების ოჯახის წევრების და დარგში მომუშავე სპეციალისტების ერთობლივი ინიციატივის შედეგად. საზოგადოების დანიშნულებაა ხელი შეუწყოს აუტიზმის მქონე ადამიანების ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციას.

Darejan Geladze - Batumi state University, **Education PhD, Assistant Professor**

Strategies for helping children with autism

Abstract

The partnership between the school and the family is decisive for the rehabilitation of children with autism. Children with autism are not physically different from others, but one must remember that they have difficulty in understanding and taking the feelings of others into consideration. Children with autism cannot be ‘cured,’ but they can study to be independent, full-fledged members of society by introducing themselves to the social adaptation skills.

In the process of working with children with autism, the biggest victory is when they have a desire to make friends with their peers and when we can help them to discover ways to achieve this goal. It is important for everyone to make sure that autism is only a violation of development and not a form of psychosis.

In Georgia the autism community was founded by family members of people with autism and professionals working in the field. The purpose of this community is to promote the realization of the fundamental rights of people with autism.

Дареджан Геладзе - доктор педагогических наук, ассистент-профессор

Стратегии направленные на оказание помощи детям с аутизмом

Резюме

Сотрудничество школы и семьи является важным и решающим моментом в реабилитации детей с аутизмом. Дети с этим диагнозом физически не отличаются от своих, однако необходимо помнить, что им трудно понимать чувства других людей. Большой аутизмом не излечивается, но обучается тому, чтобы быть независимым, полноценным членом общества, осваивает навыки социальной адаптации.

В процессе работы с детьми больных аутизмом, самой большой победой является появление желания у ребенка дружить со своими ровесниками. Необходимо, чтобы все вокруг ребенка поняли, что аутизм – это нарушение в развитии, а не психоз.

По инициативе членов семей больных аутизмом и специалистов, работающих в этой сфере, в Грузии создано «Общество аутизма». Целью общества является способствование больных аутизмом в реализации фундаментальных прав.

ნინო სოხაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ლეილა აბზიანიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

მხატვრული ლიტერატურის აღმზრდელობითი ფუნქცია ორჰან ფამუქის „უმანკოების მუზეუმის“ მიხედვით

მეცნიერება სინამდვილეს ასახავს ცნებებში, ხელოვნება კი მხატვრულ სახეებში. სხვაგვარად ეს იმას ნიშნავს, რომ მეცნიერება ზუსტად, ობიექტურად, ადექვატურად ასახავს სინამდვილეს, ხელოვნება კი - ემოციურად.

ხელოვნების ნაწარმოები, როგორც ჩვეულებრივ ამბობენ, ცხოვრების გამოსახულებაა. მხატვრული ნაწარმოები ეხმარება ცალკეულ ინდივიდს საკუთარი საზრისის გარკვევაში, ასწავლის აზროვნებას, ნამდვილი ფასეულობების პატივისცემას, შეცდომის აღიარებას.

დღეს, როცა მხატვრული ლიტერატურის ქმნილებები სავსეა „ტექნიკური გაუცხოებით“. თურქი მწერლის ორჰან ფამუქის „უმანკოების მუზეუმი“ გაოცებული გტოვებს ამ „არაადამიანურ სამყაროში“ ადამიანური გრძნობების სიუხვით.

გამართლება დავარქვათ იმას, როცა ადამიანს გაქვს სიამოვნება კარგი წიგნის წაკითხვის. საბედნიეროდ, მსოფლიო კლასიკა გვამძღვრებს იმის საშუალებას, რომ ბევრი კარგი წიგნი წავიკითხოთ ერთხელ კი არა მრავალჯერ. ყველა ადამიანს აქვს თავისი საყვარელი წიგნები. რამდენიმე, რომელსაც რამდენჯერმე კითხულობს და აღმოაჩენს, რომ ბევრი „უცხო“ არის ამ წიგნში. ყველა მხატვრული ნაწარმოების მიმართ არის ის დამოკიდებულება, რასაც მხატვრული ტექსტის აღქმა ქვია.

რა არის მხატვრული ნაწარმოების აღქმა? ის, თუ როგორ გაიგე ნაწარმოები. მწერალი ხომ არ იძლევა შეფასებებს ამა თუ იმ გმირის ქცევაზე. ამის ანალიზი შენ უნდა გააკეთო. ამისათვის აუცილებელია ნაწარმოების მიმართ მკითხველის „ნდობა“ და „ნამდვილობა“. თუ ამაში ეჭვი გეპარება, ეს ნაწარმოები შენი არ არის.

ნაწარმოები რომ მიიღო, ამისათვის ასევე მნიშვნელოვანია მკითხველის განწყობა. მკითხველის აზროვნებაში წიგნთან ურთიერთობის მომენტში ხდება ადამიანის ცნობიერების გადართვა იმ რეალობაში, რასაც მკითხველი კითხულობს.

მკითხველი იმასაც იჯერებს, რომ ის ამბავი, რასაც წიგნი გვიყვება არ არის რეალური, ესე იგი არ ხდება მის თავს, მაგრამ ამავე დროს არც არარეალურია.

ესე იგი, მკითხველის გადართვა ხდება რეალური სინამდვილიდან და მისი ცნობიერების გადართვა მხატვრულ სინამდვილეზე. ამ დროს ხდება ემპირიული არსებობიდან ამოვარდნა.

გოეთე ამბობს: „იცით, როგორ მკითხველს ვინატრებდი, ისეთს, რომელიც მეც, თავის თავსაც და მთელ სამყაროს დაივიწყებდა და მხოლოდ ჩემი წიგნით იცოცხლებდა“. ამრიგად, როგორც ვხედავთ, სინამდვილის დავიწყება გოეთესაც მხატვრული კომუნიკაციის მნიშვნელოვან წინაპირობად მიაჩნდა.

არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე, თუ რას გულისხმობს ნაწარმოების გაგება, ესე იგი როდის შეგვიძლია ვთქვათ, რომ მკითხველმა სწორად გაიგო იგი. ლიტერატურული ნაწარმოების მიმართ ერთმნიშვნელოვანი კრიტერიუმი არ არსებობს.

ხანდახან გიჩნდება აზრი, რომ მკითხველმა ვერაფერი გაიგო ნაწარმოების შინაარსის მიმართ. როცა ნაწარმოების შეფასებას ვიწყებთ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ყველა იყოს ერთმანეთის მსგავსი. ამით იმის თქმა მინდა, რომ მკითხველმა გაიგო სწორად, მაგრამ არ გაიზიარა იგი.

შუა საუკუნეებში იცოდნენ, რომ ლიტერატურული ნაწარმოების ათვისება საფეხურებად ხდება, ხოლო დანტე ლიტერატურის ოთხმაგ შინაარსზე მიუთითებდა. ორივე შემთხვევაში იგულისხმებოდა, რომ ლიტერატურული ნაწარმოებების კდემამოსილი შინაარსი სიუჟეტური განვითარების დონეზე კი არ არის საძებნი, არამედ მის მიღმა.

ნაწარმოები, ერთი მხრივ იძლევა სახელმძღვანელოს, მითითებას, თუ როგორ უნდა იყოს წაკითხული.

ბედნიერებაა, როცა ოცდამეერთე საუკუნეში იქმნება ისეთი ღირებულების ნაწარმოები როგორც არის ორჰან ფამუქის ”უმანკოების მუზეუმი”. მწერალი ოსკარის პრემიის ლაურეატია, მაგრამ ეს მთავარი არ არის. ის თურქი მწერალი გახლავთ.

ყველასათვის ნათელია, რომ თანამედროვე კულტურა, განათლება გარკვეულ კრიზისს განიცდის. იქმნება ნაწარმოებები, იხატება ტილოები, იწერება წიგნები, იღებენ ფილმებს და მათ არქმევენ მოდურ სახელებს და საზოგადოებისათვის ისინი ”უცხოა”. საზოგადოება მათ ვერ გებულობს და, შესაბამისად, არ მოსწონს.

ნაწარმოები იკითხება მისი სიდიდის მიხედვით სწრაფად. ”უმანკოების მუზეუმი” მოგვითხრობს თანამედროვე თურქული ოჯახის ცხოვრებაზე. წიგნში ძალიან ფაქიზად არის მოცემული ახალგაზრდა წყვილის სიყვარულის ისტორია. ფუსუნისა და ქემელის საბედისწერო ურთიერთობები, განსხვავებული და განსაკუთრებული. ნაწარმოები საინტერესოა ზნეობრივი ურთიერთობების თვალსაზრისით, ახალი გამდიდრებული თურქების ურთიერთობაზე, რომელთაც დაუკარგავთ საკუთარი ღირსება, მხოლოდ მექანიკურ საგნებს ხედავენ.

როგორები არიან ნაწარმოების მთავარი პერსონაჟები ქემელი და ფუსუნი. ორივე ზნეობრივი პიროვნებაა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი შეცდომის დაშვება უხდებათ, მაგრამ ამის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია.

ქემელი ძალიან მდიდარია, ფუსუნი, მასთან შედარებით, ძალიან ღარიბი, მაგრამ ორივე არის პიროვნება და ამით უმთავრესია ნათქვამი. ქემელი, რომელიც უცხოა თითქოს ”თავის წრეში” იმიტომ, რომ ფასეულობები მისთვის სხვაა და ფუსუნი, რომლისთვის ძნელია ის სიღარიბე, სადაც ის ცხოვრობს.

ორივე თავისუფალი პიროვნებაა. ისინი თავისუფლები არიან, რამდენადაც არასოდეს ლაღატობენ საკუთარ პრინციპებს. მათ არ უყვართ პოზა და პოზაში გახვეული ცხოვრება.

სიყვარულის თემაზე ბევრი კლასიკური ნაწარმოებია შექმნილი და ამ ლამაზი გრძნობის გალერეა კიდევ ერთი უბრალო, განსაკუთრებით ისეთი, როგორც ფუსუნია, რომანი მიემატა. ახალგაზრდობამ უნდა წაიკითხოს და შეძლოს ანალიზის გაკეთება ამ წიგნის მიხედვით. რომ დაინახონ, რა არის მშვენიერი და ვინ შეიძლება იყოს მშვენიერი. წიგნთან ერთად ამ ნაწარმოების ისტორიაც არსებობს - ”უმანკოების მუზეუმი”, სადაც ეცნობი ყველაფერ იმას, რასაც ადამიანური ურთიერთობები ჰქვია.

გამოყენებული ლიტერატურა.

1. ორჰან ფამუქი. ”უმანკოების მუზეუმი”. გამომცემლობა ”დიოგენე”, 2011 წ.
2. ზურაბ კაკაბაძე. ”ფილოსოფიური საფუძვლები”, ”საბჭოთა საქართველო”, 1988 წ.

რეზიუმე

ორჰან ფამუქი პირველი თურქი რომანისტი, რომელსაც ნობელის პრემია მიენიჭა. ”უმანკობის მუზეუმი” ბევრ პრობლემურ საკითხს სვამს და ზოგჯერ თვითონ, ზოგჯერ კი შენ გიტოვებს პასუხის გაცემის აუცილებლობას. ნაწარმოები თურქეთში ევროპული ცივილიზაციის შესვლის შემდეგ ბევრ ზნეობრივ პრობლემას აყენებს.

ევროპელები, რომლებსაც ბევრი ფული აქვთ, მაგრამ არ ეტყობათ. თურქები, რომელთა ფული კივის. აი, რა არის მდაბიო უბრალოება. ნაწარმოებში ერთმანეთს უპირისპირდება ევროპული ყაიდის თურქეთი ქემელის სახით და ღარიბთა უბადრუკი უბნები ფუსუნის სახით. მაგრამ ორთავე დახვეწილი, ღირსეული პიროვნებები არიან, რომლებიც ახდენენ სიმდიდრე-სიღარიბის სინთეზს და არცერთს არ ანიჭებენ უპირატესობას.

ნაწარმოები კლასიკური წიგნია და სიყვარულის ურთიერთობებზე. ზოგადად, წიგნი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ არაფერი არ არის ისეთი თბილი და უბრალო, როგორც სიყვარულია. წიგნში ეს მრავალი ხაზით არის მოცემული : ფუსუნის და ქემალის სიყვარული, ფუსუნის და მამის სიყვარული, ქემალის და დედის სიყვარული. სიყვარული მაშინ შეგიძლია, როცა თავისუფალი პიროვნება ხარ და შეგიძლია იცნობდე შენს თავს.

Nino Sokhadze, Leila Abzianidze - Akaki Tsereteli State University

The educational function of artistic literature by Orhan Pamuk’s “Innocent Muzeum” Orhan Pamuk is the first Turkish writer who awarded Nobel Prize.

Abstract

The book stop many problems sometimes itself sometimes you must thinking about problems.

In book we say how people live in Turkey after when European civilization come in Turkey. And this make a lot of ethical problem.

Europeans which have much money but you can note this and Turkey who the money cry. This is common simplicity.

In book it is oppose Europe side Turkey likes Kemal and miserable district like Pusun but all are perfected, valuable persons which make synthesize rich and poverty and all are nice.

The book is classical book about modern love. The book remember once not is such warm and nice as love. In book we see this a lot of lines. Love Kemal and Pusun, love Pusun and her father, love Kemal and his mother. You can love when you are free person and when you know yourself.

Нино Сохадзе, Леила Абзианидзе - Государственный университет Акакия Церетели

Воспитательная функция художественной литературы по роману Орхана Памука «Музей нравственности».

Резюме.

Орхан Памук – первый турецкий романист, получивший Нобелевскую премию.

«Музей нравственности» ставит множество проблемных вопросов, иногда сам же дает ответы, иной раз позволяет читателю самому находить ответы.

Произведение посвящено многим нравственным проблемам, возникшим в Турции после проникновения европейской цивилизации.

რამაზ ხაჭაპურიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური დოქტორი

**„შელოცვების ენა“ და ბავშვთა სამყარო
(ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების მასალების მიხედვით)**

შელოცვა ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი უძველესი, საყოველთაოდ გავრცელებული და მასალებით მდიდარი ჟანრია. შელოცვა თავდაპირველად მოქმედებით სრულდებოდა, შრომასთან იყო დაკავშირებული. მოქმედებას თანდათან სიტყვა დაუკავშირდა, მოქმედების მაგია შეცვალა სიტყვის მაგიამ, ანუ “შელოცვების ენა”, სიტყვის შესახებ მაგიური ძალის წარმოდგენამ. ‘სიტყვა გახდა საშუალება მაგიური ზემოქმედებისა’ (ი. გაგულაშვილი, 1986, გვ. 136). ენისა და აზროვნების მაგიური ძალის გამო ადამიანმა უსულო საგნებიც კი სულიერად წარმოადგინა, ირწმუნა მათზე სიტყვიერი ზემოქმედების შესაძლებლობა. ჩამოყალიბდა მაგიური გამოთქმები, სიმბოლოები, შელოცვები და მათდამი რწმენა. შელოცვები იქმნებოდა და იქმნება ხანგრძლივი დროის განმავლობაში სხვადასხვა ხალხებში. შელოცვების მრავალსახეობა თავს იჩენს ქართველ საზოგადოებაში, ქართველ ხალხში.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილი შელოცვების ენაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ არა მხოლოდ საკუთრივ ქართული ენის დიალექტებში (აჭარული, იმერული, მესხური, ხევსურული...), არამედ სხვა ქართველურ კილოებში (ბალსზემოური, ბალსქვემოური, ზუგდიდური, სამურზაყანოული, სენაკური...) “შელოცვების ენის” ძირითად ფენად აშკარად იკვეთება ქართული სალიტერატურო ენისთვის დამახასიათებელი სიტყვაფორმები. მაგრამ ძალიან ხშირ შემთხვევაში, როდესაც მოზარდს რაიმე ტიპის ბატონები “შეეყრება” “შელოცვების ენა”, ბავშვთა სამყაროსთვის გაუგებარია. ესე იგი, გაუგებარი სიტყვების ენა ესმით მოზარდებს და ამ “შელოცვების ენით” მათზე მაგიური ზემოქმედებით ხდება განკურნება.

არა იშვიათად გვხვდება შელოცვის გაურკვეველად, ხმადაბლა, ჩიფჩიფითა და ბუტბუტით წარმოთქმის, იშვიათად - ნაწერის წაკითხვის შემთხვევები. შედარებით გარკვევით წარმოითქმება შელოცვის დასაწყისი და დასასრული - მაგიური ძალისადმი მიმართვა. შედარებით გაურკვეველად წარმოითქმება შელოცვის შუა ნაწილი - ‘სიტყვის საიდუმლოებას’ იცავდნენ მეტი შთაგონებისა და ფსიქიკური ზემოქმედების მიზნით. სწორედ შელოცვების შუა გულში გამოიკვეთება “შელოცვების ენისა” და ბავშვთა სამყაროს ურთიერთდამოკიდებულება, რაც ხშირ შემთხვევაში ბავშვთა და მოზარდთა განკურნებით მთავრდება.

შელოცვა მოქმედებისაგან მთლიანად მაინც ვერ განთავისუფლდა. ადამიანის, მოსავლის, ცხოველის, ფრინველისა თუ სხვა სახის სამკურნალო შელოცვას ხშირად მოქმედებაც თან ახლდა. მით უფრო სამკურნალო შელოცვების წარმოთქმასთან ერთად ხალხური მედიცინით აპრობირებულ წამლებს - ბალახებს, მინერალურ წყლებს, თაფლს, ქონეულსა და სხვა საგნებსაც იყენებდნენ ან მიმართავდნენ ხალხურ ქირურგიას. ყოველივე ეს კარგ შედეგს იძლეოდა და მას შელოცვის ძალას მიაწერდნენ.

შელოცველი, ანუ ბატონებში „მიღებული“, ქალები ხშირად შელოცვების დროს გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს იყენებდნენ. ასეთი სიტყვები და გამოთქმები შელოცვებს მაგიური რწმენისა და ძალის მნიშვნელობას ანიჭებდა. შემლოცველი თუ „გამომლოცველი“ ქალები (არცთუ იშვიათად მამაკაციც გვხვდებოდა) გაუგებარ სიტყვებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, თითქოს და დარწმუნებულები იყვნენ, რომ ასეთი “შელოცვების ენით” კურნავდნენ ავადმყოფს.

„აბრაკადაბრების - გაუგებარ სიტყვათა და ფრაზების გამოყენება ქართულ შელოცვებშიც გვხვდება. ეს შელოცვას თითქოს მაგიური რწმენის მნიშვნელობას ანიჭებს. ფიქრობდნენ: რაც უფრო გაუგებარია ტექსტი, მით უფრო მეტი ზემოქმედების ძალა გააჩნია მას“ (ი. გაგულაშვილი, 1986, გვ. 137)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით მიმართულებაში დაცული მასალების მიხედვით, “შელოცვების ენის”, ანუ გაუგებარ

სიტყვათა კომბინაციები მეტწილად გვხვდება შელოცვის დასაწყისში, ზოგჯერ უშუალოდ ტექსტში და იშვიათად დასასრულს. წარმოვადგენთ სათანადო ნიმუშებს:

ა) აბრაკადაბრები შელოცვის დასაწყისში

ნათვალების ლოცვა:

“ასალა, მასალა, შავი ჭირი სანსალა. ასკილი ბამგარა მის სულს, მის გულს. მისი სუას, მისი ჭამოს, ჩუენ ჯვარი დაქვეწეროს...” (მთქმელი: თამარა მერკვილაძე-კუბლაშვილი, სოფ. ორპირი).

თვალის ლოცვა:

“ალისასა, მალისასა, შეულოცავ თვალისასა, ავი თვალისა, ავი სულისას, შინოურია, გარეულია, თვალშავია, თვალჭრელია, კოჭლია...” (მთქმელი: თამარა მერკვილაძე-კუბლაშვილი, სოფ. ორპირი).

ხოკის ლოცვა:

1. “აჩუნჩალა, მაჩუნჩალა, კარსა მელორიასა, მელორემ უთხრა: სად მიხვალ? ქრისტე ღმერთის შემაზე. მას დოუკლავს ხარი და ძროხა, მეც არ ვიციო, იმას არ უწიო, შეხვიდოდი ღორის ყბაში, აჩხივებდი, აკივებდი, შემოხვიდოდი ფატივით” (მთქმელი: ვერიჩკა უკლება-გიორგაძე, სოფ. ჯვარისა).

თიაქარის ლოცვა:

“სამჯერ: სახელითა ხვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა, ენითა. ენენია, მენენია, დანა სამართებელია, ძალლი მყავდა, გავუშვი, ზემო მთაში აუშვი, შე ურჯულო თიაქარო, ავატყოფი აუშვი. არგე ღმერთო, ბრძანებაა შენი, დალოცვაა ჩემი! (მთქმელი: ნინა სილაგაძე-ხუჟაძე, სოფ. ნაბოსლები).

ბ) აბრაკადაბრები შელოცვის შიგნით

ნათვალების ლოცვა:

“ალისასა, მალისასა, შენ გილოცავ თვალისასა, შინაურისასა, გარეულისასა, ყოველი ავი თვალისასა! გასკტა შავი კდე, შიგ გამოვიდა შავი ქალი, შავი კაცი თავის საიარაღობით, გადააბიჯა ღობეზე, ის მეიშალა ღონეზე, გავიდა სიპზე, გასკდა ჭიპზე, არული, არული, არული კუდიანებს! მისი სვას, მისი ჭამოს, ჩვენსას ჯვარი დაგვიწეროს. ეკალი-ბამგარა მის სულის, მის გულს, რამაც სულმა ავი გულით შექვხედოს და შემოგვხედოს. მის სულს, მის გულს ნევსები და მახათები” (მთქმელი: ვერიჩკა უკლება, სოფ. ჯვარისა).

თვალის ლოცვა:

“სახელითა ხვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა! ალისასა, მალისასა, მე ვულოცავ თვალისასა, კუთხისასა, მეზობლისას, ქალისას, კაცისას, შინაურისასა და გარეულისასა! გასკტა წითელი კტე, გამოის წითელი ქალი და კაცი, გასკტა თეთრი კტე, გამოის თეთრი ქალი და კაცი, გასკტა შავი კტე, გამოის შავი ქალი და კაცი... აქჭრი ანითა, ბანითა, ანითა, ბანითა ანითა, ბანითა, შავტარიანი დანითა, ნაჟახითა და ხმალითა. ჩავადგამ ქვაბსა იარვალისასა, ცეცხსა. მუუმთოფ წუნწუფისა და კრიახისასა; გავკკრავ ბარსა და ნიჩაფსა, გავატნევ ქარსა და ნიავსა...” (მთქმელი: ნინა გელაძე-ლომთაძე, სოფ. ჭონია).

“სამი ძმები სამებითა ძალითა შევიყარეთ, წევედით სანადიროთ, ვიპოვეთ აროჟი, მაროჟი, ქრისტე... ახლა ამ წყეულმა გეიგონა: “არა, არაჟ, მარაჟ...” (მთქმელი: ნანი გაბრიაძე-ბოგვერაძე, სოფ. ცუცხვათი).

“ალისასა, მალისასა, მე გილოცავ თვალისასა, გილოცავ თვალისასა, შინაურისასა, გარეულისასა, თვალჭრელისას, თვალთბოროტისასა, მანჩხისას, ჯვარი გიწერია ამ დდიდან, ბებრიდან, ახალგაზდიდან, გათხოვილიდან, გასათხოვრიდან, ჟვარი დაქწეროს ყოველმა ავმა თვალმა, ავმა სულმა, ანსალი, სანსალა, ანსალი, სანსალა, ანსალი, სანსალა, შავიო ჭირი სანსალა, შენი ავი თვალით შემომხედავს ჯვარი გიწერია ავი სულისაგან, ავი თვალისაგან, გაქრით, განიავდით! (მთქმელი: აგრაფინა კირკიტაძე-ჩხიკვაძე, სოფ. ორპირი).

ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მასალებსა და გამოქვეყნებულ ლიტერატურაში გაურკვეველი შინაარსის მქონე სიტყვები და გამოთქმები ძირითადად გამოყენებულია გათვალისწინებული შელოცვებში.

გ) აბრაკადაბრები შელოცვის დასასრულს

თვალის ლოცვა:

“ალისასა, მალისასა, შეულოცავ თვალისასა, ავი თვალისა, ავი სულისას, შინოურია, გარეულია, თვალშავია, თვალჭრელია, კოჭლია...”

ალისასა, მალისა, ვულოცავ თვალისას, კოჭლი, ბრუციანისასა, შურიანი გულო, ავი სულო, დაქწვავ ცეცხლით და დაგფერფლავ შურიანო გულო, ავი სულო, ავი გულო, დაქწვავ ცეცხლითა, დაქფერფლავ. ჩამომორდი, თვალთა მთვალავო, მხართა მხარგავო, თქვენ მუცელს შეეყარეთ, იმას გამეყარეთ, ვინცხას, ვონცხას შეეყარეთ...

შამი ძმები სამებითა ძალითა შევიყარენით, წევედით სანადიროთ, ვიპოვეთ აროჟი, მაროჟი, აროჟი, მაროჟი, აროჟი, მაროჟი, ქრისტე... ახლა ამ წყეულმა გეიგონა: “არა! არაჟ, მაროჟ, არაჟ, მაროჟ, არაჟ, მაროჟ! არგე ლოცვა ჩემი!” (მთქმელი: ნანი გაბრიამძე-ბოგვერამძე, სოფ. ცუცხვათი).

წყლისას ლოცვა:

“სახელი სახელითა ხვთითა, მამითა, სულითა და წმინდითა. ანი იყო, ბანი იყო, ნავითა, შუა ქალი იყო, ადი, ქალო, მომიტანე კალამი და კალმისძირი. წავალ ზეცას, ვკითხავ დედას. წამოვალ, წამევიკრიფავ ეკლისა ძეწარს. აკარახი, მაკარახი, აკარახი, მაკარახი, აკარახი, მაკარახი, გოჭის კუდი კაკარახი. წყლისაო, რას ჩამოსულხარ წყალისა პირსა, საბარცხალო მზისაო, ოუსვი და დოუსვი, გეიპარა წყლისაო! ღმერთო, ლოცვა ჩემი არგე, ბრძანებაა შენი!” (მთქმელი: ელისაბედ ჩიტბე-ლომთაძე, სოფ. ორპირი).

დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის მასალებში დაცულია ისეთი ტიპის შელოცვები, რომლებშიც გვხვდება გაუგებარ სიტყვათა კომბინაციები: “შტამა, შტუმა, შტუმფურცელსა... ბაუშაი, ელეჯ-მეჯელ...”

ხოკის ლოცვა:

"აჩუნჩალა, მანჩუნჩალა, კარსა მელორისა, მელორემ უთხრა: სად მიხვალ? ქრისტე ღმერთის შემაზე. მას დოუკლავს ხარი და ძროხა. მეც არ მიწიო, იმას არ უწიო, შეხვდი დიდი ღორის ყბაში, აჩხივებდი, აკვივებდი, შემოხვიდოდი ფატივით, შტამა, შტუმა, შტუმფურცელსა..." (მთქმელი: ვერიჩკა უკლება-გიორგამძე, სოფ. ჯვარისა).

თიაქარის ლოცვა:

სახელითა ხვთითა, მათა, ძითა, სულითა წმინდითა, ენითა. ენენია-მენენია, დანა სამართებელია. ძალი მყავდა, გაუშვი, ზემო მთაში აუშვი. შე ურჯულო თიაქარო, ავატყოფი აუშვი. არგე ღმერთო, ბრძანება შენი და ლოცვა ჩემი. ბაუშაი, ელეჯ-მეჯელ... (მთქმელი: ნინა სილაგამძე-ხუჯაძე, სოფ. ნაბოსლევი).

გაუგებარ სიტყვათა ერთი ნაწილი ქართულში წარმომავლობით უცხო - ძირითადად თურქული, არაბული, სპარსული, ბერძნული, ლათინური... სიტყვების შემოტანის, მათი შელოცვებში ხმარებისა და დროთა განმავლობაში მნიშვნელობის დაკარგვასთან ერთად ტრანსფორმაციის პროცესის გავლის შემდგომ მიღებულ აბრადაკრების ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი გაუგებარი სიტყვის ამჟამინდელი ფორმა ძალზე ჩამოჰგავს რომელიმე (განსაკუთრებით აღმოსავლურ) ენაში არსებულ სიტყვას ან შესიტყვებას. “შელოცვების ენა” და ბავშვთა სამყარო ერთმანეთს იმით ავსებს, რომ ბავშვები ყურადღებით უსმენენ “მლოცველ” ქალბატონებს და ფსიქოლოგიური ზემოქმედების გავლენის მოხდენის შემდეგ, დაახლოებით 9 დღეში კარგად ხდებიან.

დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი მასალების მიხედვით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ რიგი აბრაკადაბრების ქართულ საფუძველზე წარმოშობილი ჩანს და ისინი ძირითადად სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფის ვარიანტების შედეგს წარმოადგენს. საკმაოდ დაიძებნება “ალისასა, მალისასა” ან “ანი იძრა, ბანი იძრა” ტიპის აბრაკადაბრები. მაგალითად:

ნათვალების შელოცვა

1. “ალისასა, მალისასა, მე გილოცავ თვალისასა, შინოურისა, გარეგანისასა, ბოვშისასა, კაცისასა, ქალისა. გასკტა შავი კტე, გამევიდა შავი კაცი, შავათ შეიარაღებული: “სა მიხვალ, შავო? მივალ ამ ადამიანის გასათვალავათ! არა!, მამამე და წმიდამ არ გაგიშვებ მის გასათვალავათ (მთქმელი: თამარ მამრიკიშვილი-დოლონაძე, სოფ. კოკა).

2. “ალისასა, მალისასა, მე გილოცავ თვალისასა, შინოურისას, გარეულისას, შავი თვალისას, ჭრელი თვალისას; ქერივი ქალისას. ყოველი ავი თვალისას. გეიარა ლობეზე, მეიშალა ღონეზეო, გეიარა ფხალი, ჩამოუვარდა ფხარი, გეიარა ბალი, წავარდა მარჯვენა თვალი, გევიდა სიპზე, გასკტა ჭიპზე, რავა უნდა ყოფა, რავა უნდა ჯდომა, შენი ავი თვალით შემხედავს, ავი ტურით შემხედავს, დავჩეხავ, ჩავადგამ ქვავსა ვარვალისასა, ვხარშავ სამა სამოზდახუთ წელიწაცსა, ავკრეფ ბარსა-ნიჩაფსა, გავატნევ ქარსა და ნიავსა. სამას სამოზდახუთო წმინდა გიორგო!, დასწერე ჯვარი, გარაბლე თვალი, არგე, ღმერთო, ლოცვა ჩემი, ბძანება შენი!” (მთქმელი: თამარ დიდბარძიძე-დოლონაძე; სოფ. კოკა).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნათვალის ლოცვების დასაწისისთვის დამახასიათებელია: “ალისას, მალისასა” ტიპის აბრაკადაბრებით დაწყება.

სულიერის შელოცვა:

1. “ანი დადგა, ბანი დადგა, ხე დადგა, წყალი დადგა, ქვიშა დადგა, უძრავი იძრა, ნაძრავი დადგა, დრომდი და ალომდი, რამაც საქონელმა ეს შექამოს მის მუცელში სურიელი იძრა და დადგა, იძრა და დადგა, იძრა და დადგა” (მთქმელი: გუგული კუბლაშვილი-ბაკურაძე, სოფ. ზედა ჭყეპი).

2. “ანი დადგა, ბანი დადგა, დრო დადგა და ჟამი დადგა. დროსა და ალომდი ამ ქალის, ანუ საქონელია მუცელში ნაყოფი დადგა” (მთქმელი: გუგული კუბლაშვილი-ბაკურაძე, სოფ. ზედა ჭყეპი).

აბრაკადაბრების ტრანსფორმაციის პროცესი დღესაც მიმდინარეობს და ჩვეულებრივ გაუგებარ სიტყვათა, ფრაზების რიგში დგანან.

ქართული შელოცვების შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ ეროვნულ ნიადაგზე. მართალია, ცალკეული გაუგებარი სიყვები, ფრაზები, ესე იგი, აბრაკადაბრები, ანუ “შელოცვების ენა” საკმაოდ გვხვდება ქართულ და მათს შორის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის მასალებში, მაგრამ ასეთი ფრაზებისა თუ სიტყვების რაოდენობა ოდნავადაც ვერ ჩრდილავს თვითმყოფად ქართულ შელოცვებს და მათ სხვადასხვა სახეობებს, რომელსაც ქართველი საზოგადოების გარკვეული ნაწილი აქტიურად იყენებს, მით უფრო ბავშვთა სამყაროში.

ლიტერატურა

1. ი. გაგულაშვილი, 1986 - ი. გაგულაშვილი, ქართული მაგიური პოეზია, თბ., 1986.
2. კ. დანელია, ა. ცანავა, 1991 - ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, ტ. II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს კ. დანელიამ და ა. ცანავამ, თბ., 1991.
3. დსკი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.
4. ზ. კიკნაძე, 1996 - ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, I, ქუთაისი, 1996.
5. თ. შიოშვილი, 1994 - თ. შიოშვილი, ქართული ხალხური შელოცვები, ბათუმი, 1994.
6. ე. დადიანი., 2005 - ე. დადიანი, ნ. ნაკანი, ტ. ფუტკარაძე, რ. ხაჭაპურიძე, შელოცვების ენა ქართველური დიალექტების მონაცემთა მიხედვით, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. V, ქუთაისი, 2005.

რეზიუმე

შელოცვა ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი უძველესი, საყოველთაოდ გავრცელებული და მასალებით მდიდარი ჟანრია. შელოცვა თავდაპირველად მოქმედებით სრულდებოდა, შრომასთან იყო დაკავშირებული. მოქმედებას თანდათან სიტყვა დაუკავშირდა, მოქმედების მაგია შეცვალა სიტყვის მაგიამ, ანუ “შელოცვების ენა”, სიტყვის შესახებ მაგიური ძალის წარმოდგენამ. სიტყვა გახდა საშუალება მაგიური ზემოქმედებისა” (ი. გაგულაშვილი, 1986, გვ. 136). ენისა და აზროვნების მაგიური ძალის გამო ადამიანმა უსულო საგნებიც კი სულიერად წარმოადგინა, ირწმუნა მათზე სიტყვიერი ზემოქმედების შესაძლებლობა. ჩამოყალიბდა მაგიური გამოთქმები, სიმბოლოები, შელოცვები და მათდამი რწმენა. შელოცვები იქმნებოდა და იქმნება ხანგრძლივი დროის განმავლობაში სხვადასხვა ხალხებში. შელოცვების მრავალსახეობა თავს იჩენს ქართველ საზოგადოებაში, ქართველ ხალხში.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილი შელოცვების ენაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ არა მხოლოდ საკუთრივ ქართული ენის დიალექტებში (აჭარული, იმერული, მესხური, ხევსურული...), არამედ სხვა ქართველურ კილოებში (ბალსზემოური, ბალსქვემოური, ზუგდიდური, სამურზაყანოული, სენაკური...) “შელოცვების ენის” ძირითად ფენად აშკარად იკვეთება ქართული სალიტერატურო ენისთვის დამახასიათებელი სიტყვაფორმები. მაგრამ ძალიან ხშირ შემთხვევაში, როდესაც მოზარდს რაიმე ტიპის ბატონები “შეეყრება” “შელოცვების ენა”, ბავშვთა სამყაროსთვის გაუგებარია. ესე იგი, გაუგებარი სიტყვების ენა ესმით მოზარდებს და ამ “შელოცვების ენით” მათზე მაგიური ზემოქმედებით ხდება განკურნება.

არა იშვიათად გვხვდება შელოცვის გაურკვეველად, ხმადაბლა, ჩიფჩიფითა და ბუტბუტით წარმოთქმის, იშვიათად - ნაწერის წაკითხვის შემთხვევები. შედარებით გარკვევით წარმოითქმება შელოცვის დასაწყისი და დასასრული - მაგიური ძალისადმი მიმართვა. შედარებით გაურკვეველად წარმოითქმება შელოცვის შუა ნაწილი - „სიტყვის საიდუმლოებას“ იცავდნენ მეტი შთაგონებისა და ფსიქიკური ზემოქმედების მიზნით. სწორედ შელოცვების შუა გულში გამოიკვეთება “შელოცვების ენისა” და ბავშვთა სამყაროს ურთიერთდამოკიდებულება, რაც ხშირ შემთხვევაში ბავშვთა და მოზარდთა განკურნებით მთავრდება.

Ramaz Khachapuridze-Tsereteli State University Scientific Research Center; Doctor of History

“ Charm Language” and Children’s World (According the Materials of Scientific Research of Georgian Dialectology)

Charm is one of the oldest widely accepted with rich materials genes. First charm was performing with action in connection with a work. Gradually the action was touched with a word. The magic word has changed into the magic action or the “Spells Language”, imagination of the magic power about the word. The word became enabled of magical effects (I. Gagulashvili, 1986 p.136). Because of magical power of language and thinking a man imagined inanimate things as animated one, believed in the possibility of oral influence on them. Were formed magic expressions, symbols and charm. Spells were and are now creating during the long period of time and among various peoples.

Observation of recorded spells in different parts of Georgia revealed that not only in own Georgian dialects (adjarian, Imeretian, Meskhan, Khevsurian..), but in any other Georgian dialects (Balszemouri, Balsqvemouri, Zugdiduri, Samurzakanouli, Senakuri)

As the main layer of charm is distinct the form words typical for Georgian literary language, but in most cases when the child is fallen ill with any kind of “batonebi” of the charm language is unclear for the children’s world, it means that children do not understand this unclear words but this “Charm language” under the influence of magical language it is cured.

Not often we meet pronunciation of this in low voice or even whispering, seldom writing is read. Most clearly is pronounced the beginning and the end –apply to the magic power. Relatively unclearly may be pronounced the middle part of the charm to protect the confidentiality of the word with the aim of inspiration and mental effects. This is why in the middle is reveals the interdependence between “Charm language” and children’s world, that in most cases end with healing of children.

რაზაზ ხაჩაპურიძე – Научно-исследовательский центр Государственного Университета Акакия Церетели; Академический доктор историй

«Язык заговоров» и детский мир

(По материалам научно-исследовательского направления грузинской диалектологии)

Заговор является одним из старейшим, всеобщим распространенным и материалами богатым жанром устной словесности. Первоначально заговоры осуществлялись действием и были связаны с трудовой деятельностью. Постепенно действия стали сопровождаться устной речью, магию действия заменила магия слова, т.е. «язык заговоров», представление о магической силе слова. «Слово стало способом магического воздействия» (И. Гагулашвили, 1986,ст.136). Из-за магической силы языка и мышления человек даже неодушевленные предметы наделил духовностью, поверил в возможность воздействия на них словом. Сформулировались магические высказывания, символы, заговоры и вера в них. Заговоры создавались и создаются продолжительное время в разных народах. Многообразие заговоров проявляется и в грузинском обществе, в грузинском народе.

Наблюдения за записанными в разных регионах Грузии заклинаниями показало, что не только в диалектах грузинского языка (Аджарский, Имеретинский, Месхииский, Хевсуретиинсий), но и в других грузинских наречиях (верхнебалское, нижнебалское, зугдидское, мурзаканское, сенакское...), основным пластом «языка заговоров» является характерные для литературного грузинского языка словообразования. Но часто, когда ребенок заболевает каким-нибудь «батонеби», «язык заговоров» непонятен для детского восприятия. Причем, непонятные слова слушают дети и магическим воздействием этим «языком заговоров» происходит исцеление.

Нередко встречается произнесение заговоров непонятно, шепотом, шамканьем, бормотанием, редко – чтение записанного текста. Сравнительно понятно произносятся начало и конец заговора – обращение к магической силе. Более непонятно произносится середина заговора – «таинство слова» оберегали с целью большего внушения и психического воздействия. Именно в середине заговора выявляется взаимосвязь между «языком заговоров» и детским миром, что в большинстве случаев завершается исцелением детей и подростков

ნაზიკო ბერიკაშვილი - გორის რაიონის სოფელ ტინისხიდის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული პედაგოგი

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების როლი მოტივაციის ამაღლებაში

XXI საუკუნე გამოწვევათა საუკუნეა. მიმდინარე ათწლეულში საგანმანათლებლო სისტემაში ძირეული ცვლილებები განიცადა, შეიცვალა სწავლისა და სწავლების სტანდარტები. თანამედროვე ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროცესში ჩართვამ მასწავლებელს შესაძლებლობა მისცა და მანაც უარი თქვა პასიურ როლზე. იგი მოსწავლეებს საგნობრივ მასალასთან ერთად სწავლის სტრატეგიებსა და ტექნიკასაც სთავაზობს, მოსწავლეზეა ორიენტირებული და იმ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, რომლებიც გლობალურ ეკონომიკაში კონკურენტუნარიანობას შეუნარჩუნებს (**ნეფარიძე, 2012:19**).

თანამედროვე გაგებით, აქტიური სკოლა გულისხმობს ბავშვზე ორიენტირებულ და კონცენტრირებულ სკოლას, სადაც ბავშვი აღიქმება, როგორც პიროვნება და არა მხოლოდ როგორც მოსწავლე (**იგიჩი, 14**). ასეთ შემთხვევაში სწავლის მოტივაცია პიროვნულია და შინაგანი. სწავლებისას დომინირებს აქტიური მეთოდები, პრაქტიკული უნარ-ჩვევები. თუ როგორ, რა გზებითა და მეთოდებით მოახერხებს მასწავლებელი მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას სწავლა-სწავლების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

მოსწავლეთა მოტივაციის სხვადასხვა ფაქტორები განაპირობებს, ზოგიერთისათვის კარგად სწავლის მოტივაცია დასჯის შიშია (თუმცა, ეს ფაქტორი ასაკის მომატებისას თანდათანობით ქრება), სხვათათვის - ინტერესი, ნაწილისათვის - აღიარების მოთხოვნილება.

ცნობილია, რომ მოსწავლის აკადემიური მოსწრების ძირითადი მახასიათებლებია მისი გონებრივი შესაძლებლობა, ეკონომიკური სტატუსი და ოჯახური გარემო.

სამწუხაროდ, ამ მახასიათებელთაგან მასწავლებელს არც ერთის შეცვლა არ შეუძლია. ამ ლოგიკით გამოდის, რომ მასწავლებლის როლი სწავლის პროცესში გადამწყვეტი არ არის და მას მხოლოდ დამხმარე ფუნქცია აქვს მინიჭებული. თუმცა, ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-იან წლებში მეცნიერება იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მასწავლებელი დიდ გავლენას ახდენს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. მაგ. ამერიკელი მეცნიერი ს. რაიტი, რომელმაც კოლეგებთან ერთად ამ მიზნით ასეულობით სკოლაში ჩაატარა კვლევა, მასწავლებლის როლთან დაკავშირებით წერდა: „კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ სხვა ფაქტორთა შორის, მასწავლებელი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. ...ნათლად იკვეთება, რაც უნდა ჰეტეროგენული იყოს კლასი, ეფექტური მასწავლებელი წარმატებულად მუშაობს სხვადასხვა აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან, შესაბამისად, თუ მასწავლებელი არაეფექტურია, მოსწავლეებში სათანადო აკადემიური პროგრესი არ ფიქსირდება“ (**რაიტი, 1997:63**).

გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ სხვადასხვა აქტივობების გამოყენებისას (მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება, პრაქტიკული და ლაბორატორიული აქტივობები) ეფექტის სიდიდე ყველაზე მაღალი სწორედ მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას გააჩნია (1,07). შესაბამისად, კრიტიკული უნარ-ჩვევების სწავლების სიდიდე იყო 0,12, ხოლო პრაქტიკული და ლაბორატორიული აქტივობების - 0,85 (**მარზანო, 2009:11**).

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ერთ-ერთი ძირითადი პირობა მისი მოტივაციის ამაღლებაა. მოტივაცია მოქმედებისაკენ მისწრაფებათა განმსაზღვრელი ერთობლიობაა. იმისათვის, რომ მოთხოვნილებამ გარკვეული მოქმედება გამოიწვიოს, საჭიროა სტიმული, რომელიც ადამიანს კონკრეტული ქმედებისაკენ უბიძგებს, ამას მოტივი ეწოდება. იგი შეიძლება იყოს სურვილი, მრწამსი, ჯილდო, იდეალი და სხვ. რომელიც მოქმედებისაკენ უბიძგებს ადამიანს ბუნებრივ, სულიერ და სოციალ-ეკონომიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

სწავლის მოტივები შეიძლება ორ კატეგორიად დავეყოთ. ერთი დაკავშირებულია სასწავლო საქმიანობის შინაარსსა და მისი შესრულების პროცესთან, ხოლო მეორე გარემოსა და ბავშვის ურთიერთობასთან (**ნოზაძე, 2012:6**).

იმისათვის, რომ მოსწავლეებს სწავლის მოტივები ჩამოუყალიბოს, მასწავლებელმა უნდა შეძლოს მოსწავლეებში ისეთი ქმედებების შესრულება, რომლებიც მასში გამოიწვევს დადებით ემოციურ განცდებს, დააკმაყოფილებს მის ინტერესებს, ჩაუნერგავს პრობლემათა გადალახვის შესაძლებლობების რწმენას. ამ მიზნით მოტივაციის ამალგების ყველაზე შედეგიანი ხერხებია მათთან თბილი, ურთიერთობათა და პატივისცემით გამსჭვალული გარემოს შექმნა, შემოქმედებითი ინიციატივების სტიმულირება, კრიტიკული აზროვნებისა და პოზიტიური ქცევის წახალისება (ნოზაძე, 2012:6).

კონსტრუქტივიზმის ძირითადი იდეაც ხომ სწორედ ის არის, რომ მოსწავლეებს ვასწავლოთ ძველი და ახალი ცოდნის მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, ცოდნის კონსტრუირება-შენება (გორდეზიანი, 2012: 24). ასეთი სწავლებისას მასწავლებელი მოსწავლეებს ეხმარება თავად ააგონ ცოდნა. დამოუკიდებელი ანალიზისა და შედარების თვალსაზრისით ასეთ შემთხვევაში ინიციატივა თვით მოსწავლეებისაგან მოდის, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათ მოტივაციას. მასწავლებელი მხოლოდ ხარაჩოს (სკაფოლდინგის) ფუნქციას ასრულებს (უთითებს შესაბამის ლიტერატურას, თვალსაჩინოებას, საიტებს და სხვ.).

მოსწავლეთა დაინტერესებისა და მოტივირებისათვის მასწავლებელთა მხრიდან საუკეთესო გამოსავალია სასწავლო პროექტებში მოსწავლეთა ჩართვა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათ პროდუქტიულობას და უვითარებს თანამშრომლობით, კვლევით უნარებს.

მაგ. ცნობილი ქართველი მამულიშვილის - ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავის აღსანიშნავად, სკოლაში დაგვეგმეთ ღონისძიებათა კვირეული ახალდაბის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად. კვირეულის დასკვნითი ნაწილი მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენცია იყო, რომელთაც შეარჩიეს თემები თაყაიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან, კონფერენციაში ჩავრთეთ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა მოსწავლეთა მოტივაცია.

კვირეულის დღეებში მოსწავლეთა ინიციატივით დაიგეგმა ექსკურსია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში, სადაც მოსწავლეები პირადად გაეცნენ ექვთიმეს ნივთებსა და ნაწერებს.

კვირეულის მსვლელობაში ინიციატივა ძირითადად მოსწავლეებს ეკუთვნოდათ და მასწავლებლების მონაწილეობა, ძირითადად, საკონფერენციო თემების მომზადებისას შესაბამისი ლიტერატურის მითითებითა და ექსკურსიის ორგანიზებაში გამოიხატა.

ექვთიმე თაყაიშვილის ხელნაწერების ნახვამ მოსწავლეებზე ღრმა შთაბეჭდილება დატოვა. კონფერენციაზე წაკითხული თემები გამოირჩეოდა მათ მიერ მოძიებული ფოტოებისა და სლაიდების სიმრავლით. კონფერენციამ და კვირეულმა თანატოლები დაამეგობრა და თვითონვე წამოაყენეს ინიციატივა, ურთიერთშორის გაემართათ ინტელექტუალური კონკურსი „რა? სად? როდის?“

ღონისძიებისადმი მათ შთაბეჭდილებასა და მოტივაციაზე ისიც მეტყველებს, რომ ორივე სკოლის მოსწავლეები კვირეულის შესახებ საკმაოდ დიდ ხანს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს ერთმანეთს „Facebook“-ზე.

თუმცა, ზემოთქმული „ხარაჩო“ სულაც არ ნიშნავს, რომ მასწავლებლის როლი პროცესში მეორეხარისხოვანია. პირიქით, ძალზე მნიშვნელოვანია და დიდ დაკვირ ვებასაც მოითხოვს. მან უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტელექტუალური და მოტივაციის დონე. თუ დასმული საკითხი (პრობლემა) ან ძალიან რთულია, ან ძალიან ადვილი, მისი ღირებულება ორივე შემთხვევაში დაბალი იქნება.

არის კიდევ ერთი საშიშროება. მასწავლებელი შესაძლოა მისდაუნებურად იმდენად ჩაერთოს პრობლემის გადაჭრის პროცესში, რომ მოსწავლეებს მისი გადაწყვეტისას მხოლოდ ილუზიადა შეერჩეთ, და პირიქით, არასაკმარისი ჩართვის შემთხვევაში მასწავლებლის საჭიროება თითქმის იკარგება (ივიჩი, 22).

მასწავლებლის მოვალეობაა, არა მხოლოდ ღრმად იცოდეს საგანი, არამედ დაარწმუნოს მოსწავლეები მისი შესწავლის საჭიროებაში. მოსწავლე უნდა გრძნობდეს, სად და როგორ გამოიყენოს სკოლაში მიღებული ცოდნა და უნარები.

ამ მხრივ განასხვავებენ დეკლარაციულ (ცნებების, პრინციპების, ისტორიების, მოსაზრებების, თეორემებისა და წესებისა და სხვ.) და პროცედურულ, ანუ სტრატეგიულ ცოდნას. პირველი გულისხმობს იმის უნარს, თუ როგორ გამოიყენოს დეკლარაციული ცოდნა ისე, რომ პრაქტიკული მოქმედება ეფექტური იყოს, ხოლო მეორედ უშუალოდ იმ უნარებს, თუ რისი გაკეთება შეუძლია (ბიბლიოთეკაში საჭირო ინფორმაციის მოძიება, წიგნის რეცენზიის დაწერა და სხვა უნარები) (**ჯონ გ. ქარფისი, 2010:121-122**).

დეკლარაციული ცოდნა საჭიროა, თუმცა ეფექტური პრაქტიკული მოქმედებებისათვის არასაკმარისი. საჭიროა მოსწავლეებს ცოდნის გამოყენებისა და მისი კონკრეტულ სიტუაციებთან შესაბამისობის დადგენის სტრატეგიები და პროცედურებიც შევასწავლოთ, სხვანაირად მათი მოტივაციის ამაღლებას ვერ შევძლებთ.

კრიტიკულ აზროვნებაში მოტივაციის ამაღლებაზე დიდ როლს თამაშობს შინაგანი ემოციური ფაქტორები: ცნობისმოყვარეობა, გამოწვევა და ფანტაზია. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ახალი მასალის გადაცემისას გავაღვიძოთ მათი ცნობისმოყვარეობა. ახალი მასალა დავუკავშიროთ მათში უკვე არსებულ ცოდნასა და იმ კონტექსტს, რომელშიც შეძლებენ ნასწავლი მასალის გამოყენებას.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლა-სწავლების პროცესში შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენას და ხელისშეწყობას. ბევრ მასწავლებელს თეორიულად მართლაც სურს მოსწავლეებში ეს უნარები განავითაროს, მაგრამ პრაქტიკაში ტრადიციული საგანმანათლებლო პრინციპებისა (დიდი რაოდენობით ფაქტების ცოდნა, სტანდარტული მეთოდების ზუსტი გამოყენება, დახეპირებული მასალის ზუსტად გახსენება და სხვ.) და შემოქმედებითობაზე ორიენტირებულ პრინციპებს (პრობლემების აღმოჩენა, მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი, ღია კითხვები და სხვ.) შორის მუდმივი ჭიდილია. მასწავლებლისათვის პირველი საჭირო აღარ არის, ხოლო მეორე ჯერ კიდევ ნაკლებად მისაღებია (**კროპლი, 2010:149**) იმის მიუხედავად, რომ მრავალი კვლევა მიუთითებს შემოქმედებითობასა და გაუმჯობესებულ აკადემიურ მოსწრებას შორის პირდაპირ კავშირზე. სწავლებისა და სწავლის მეთოდები, რომლებიც შემოქმედებას წინა პლანზე აყენებს, მოსწავლის მოტივაციაზე, სკოლის მიმართ დამოკიდებულებაზე და საკუთარი თავის იმიჯზეც დადებით გავლენას ახდენს (**კროპლი, 2010:151**).

თუმცა, შემოქმედება პირველ რიგში კრეატიული და ეფექტური უნდა იყოს. ხიდი როგორადაც ლამაზი არ უნდა იყოს, მისი უპირველესი ფუნქცია სატრანსპორტო საშუალებების მდინარეზე გადაყვანაა (**კროპლი, 2010:155**).

დღეისათვის სასურველი ინფორმაციის მოძიების გაადვილებამ დიდი დოზით წარმოშვა ისეთი პრობლემა, როგორც პლაგიატობაა. ფაქტების პოვნა ინტერნეტში მარტივია, თუმცა დავალებების ეფექტური, დახვეწილი და განზოგადებული მსჯელობებისათვის - არასაკმარისი. კავშირი შეფასების პროცედურას, სწავლების შინაარსს, მეთოდებს და ისეთ ყოველდღიურ პრობლემას შორის, როგორიცაა გადაწერა, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სკოლებში შემოქმედების ხელშეწყობა ყოვლისმომცველ მიდგომას მოითხოვს, სადაც განათლების ყველა ასპექტი იქნება განხილული.

დამოწმებული ლიტერატურა

1. არტურ კროპლი და დავიდ კროპლი, შემოქმედებითობის სტიმულირება შეფასების მეშვეობით, კრებულში: „სტატიები განათლების საკითხებზე“, თბ., 2010;
2. გორდეზიანი ნინო, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი, ჟურნ. „მასწავლებელი“, N 1, 2012;
3. ივან ივიჩი, ანა პესიკანი, სლობოდანკა იანოვიჩი, სვეტლანა კიევკანინი, სწავლება- სწავლის ახალი მიდგომები, „იუნისეფის“ ბელგრადის განყოფილება.
4. რაიტი ს. ფ.; ჰორნი ს. ფ.; სანდერსი უ. ლ. „რა ზეგავლენას ახდენს მასწავლებელი და კლასის გარემო მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე“, დასკვნები მასწავლებელთა შეფასებისათვის, განათლების სფეროში დასაქმებულთა ჟურნალი, N 11, 1997 წ.;
5. რობერტ ჯ. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი, ჯეინ ი. ფოლოქი, ეფექტური სწავლება სკოლაში, თბ., 2009;

6. ნეფარიძე თეო, XXI საუკუნის მასწავლებლის გამოწვევები, ჟურნ. „მასწავლებელი“, N 4; 2012 წ.;
7. ნოზაძე გიორგი, საგნობრივ შედეგებზე ორიენტირებული გაკვეთილების დაგეგმვა, ჟურნ. „მასწავლებელი“ N 2; 2012;
8. ჯოან გ. ქარფისი, კოგნიტური პროცესები კრიტიკულ აზროვნებაში, კრებულში: „სტატიები განათლების საკითხებზე“, 2010 წ.;

რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია სწავლა-სწავლების პროცესის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება.

ავტორი ანალიზისას ეყრდნობა როგორც საკუთარ მრავალწლიან გამოცდილებას, ასევე საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ ტექნოლოგიებს, ამერიკელ მეცნიერთა აღიარებულ კვლევებს.

საკითხი აქტუალურია საგანმანათლებლო სტანდარტის გაზრდილი მოთხოვნების უზრუნველყოფის მხრივაც.

სტატიაში სწავლა-სწავლების პროცესის არაერთი პრობლემატური საკითხია წამოწეული: მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების სხვადასხვა მეთოდები, გზები და საშუალებები, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და მათი მნიშვნელობა. ცნობისმოყვარეობა, გამოწვევა და ფანტაზია. მათი მართვა და მორგება საგანმანათლებლო პროცესთან.

Naziko Berikashvili - Gori district village. Tiniskhidi school Georgian language and literature teachers certified

The role of the student-centered teaching methods to increase motivation

The article is analyzed such important question of teaching - learning process as student-centered learning. In the process of analyzed the author based as his own wide experience, as the existing technology in an educational environment and American scientist's research.

The question is current for ensuring increased requirements of educational standards. This article consists of a number of important issues, such as the different methods of increase students motivate, ways and means of creative skills-curiosity, challenge and fantasy. Managing and adjusting with their educational process.

Назико Берикашвили - Сертифицированная учительница грузинского языка и литературы Тинисхидской гос. школы г. Гори

Ориентировочная роль в повышении мотивации обучения учащихся

В статье проанализирован такой важный вопрос обучения-учебного процесса, каким является личностно-ориентированного обучения.

Автор статьи во время анализа основывается как личного многолетнего опыта, так и исследований признанных американских учённых.

Вопрос актуален для обеспечения повышенных требований образовательного стандарта.

В статье затронут ряд проблемных вопросов в процессе обучения-учебного процесса: различных методов, средств и способов для повышения мотивации учеников. Формирование и развитие творческих навыков и его значения. Любопытство и фантазия, управление и подборание их в образовательном процессе.

ინეზა გაბელაია - ორპირის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ინკლუზიური სწავლების შესახებ (კონკრეტული შემთხვევის მაგალითზე)

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან კლასში, თუ ინდივიდუალურად მუშაობის მიზანია მათი შესაძლებლობების, უნარების და მიდრეკილებების განვითარება, საზოგადოებაში ჩართულობა, მოტივაციის ამაღლება. ჩვენს მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდებით ვცდილობთ და ვახერხებთ კლასში და დამოუკიდებლად მუშაობის დროს სსსმ მოსწავლეთა სწავლების პროცესის სწორად მართვას, მათი მეცადინეობისა და სხვა საქმიანობის დროში სწორ განაწილებას, სოციალური სფეროს, შემეცნების, მეტყველების, თვითმომსახურების უნარ-ჩვევების განვითარებას. ბავშვი იღებს ცოდნას, უვითარდება შემეცნებითი ნიჭი, უყალიბდება მსოფლმხედველობა, ხდება მისთვის ყველაზე უმთავრესი სოციალიზაცია.

სსსმ ბავშვთა გონებრივი და პიროვნული სრულყოფისაკენ მიმართული, ჩვენს მიერ გამოყენებული მეთოდები, ხერხები და მიდგომები:

პრობლემის ეტაპობრივი გადაწყვეტის მეთოდით სსსმ მოსწავლე ახდენს ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებას და მათ შორის კავშირის დამყარებას.

კოლაუ ნადირაძის ლექსის “25 თებერვალი” სწავლებამდე ავუხსნი, როგორ იყო ყველა პატრიოტი მზად იმისთვის, რომ საკუთარი სიცოცხლე დაეთმოთ სამშობლოსთვის, მომავალი თაობისათვის შთაენერგათ და არ გაენელებინათ პატრიოტიზმი; გამოვიყენებ უკვე ნასწავლ მასალას, მაგ: აკაკის “განთიადს”, შოთა ნიშნიანიძის “ცოტნე დადიანს”...

ლაბორატორიული და დემონსტრირების მეთოდი: საკითხის, პრობლემის არსის უკეთ შეცნობისთვის, დადებითი ემოციის გამომუშავებისთვის და ეფექტური შედეგის მიღების მიზნით მასალას მივაწოდებ ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით.

კოლაუ ნადირაძის ლექსის “25 თებერვალი” სწავლებისას კლასთან ერთად და დამოუკიდებლადაც ვუხსნი ტერმინ “გასაბჭოების” მნიშვნელობას, ამის შემდეგ ვაჩვენებ რუსეთის საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებულ დოკუმენტურ ფილმს. ვაჩვენებ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის თავდადებულ მამულიშვილთა სურათებს. იმავდროულად მარტივი, გასაგები ენით ვესაუბრები მათი ცხოვრებისეული მომენტების შესახებ. ავუხსნი, რომ ისინი შეეწირნენ სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას.

დისკუსია/დებატები: იმავე ლექსის, “25 თებერვალი” სწავლების დროს, რომ გასაგები გახდეს პოეტის სათქმელი, არსი, კლასში ვსვამ და ინკლუზიური განათლების საჭიროების მქონე ბავშვსაც ვაპასუხებინებ კითხვებზე: რას ნიშნავს საქართველოს დამოუკიდებლობა? ვინ იყვნენ წითელარმიელები და რა შედეგი მოიტანა ამ არმიის შემოსვლამ საქართველოში? რას ნიშნავს “შემოდოდა სიკვდილი ცელით”? რას ნიშნავს, რომ “თბილისს ებურა თალხი”? შესაძლებლობაშეზღუდულ ბავშვს პასუხის თანადროულად ჩავრთავ კლასის დანარჩენ წევრებთან ერთად დისკუსიაში თემაზე: რა არის “გოლგოთა”, “სისხლი”, “გაყიდვა”, “წამების ჯვარი”?

აღნიშნული მეთოდი ამაღლებს სსსმ მოსწავლის აქტივობას, უვითარებს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

შემთხვევის ანალიზი: სულხან-საბა ორბელიანის არაკის “კაცი და გველი” სწავლებამდე გავახსენებ, თავად მოვუთხრობ უმადური ადამიანის და ადამიანის მიერ ჩადენილი მადლის შესახებ. ამ მაგალითის საფუძველზე თავად მივიყვან დასკვნამდე, რა უფრო სამართლიანი იქნება ცუდი მოქმედებისთვის, სამაგიეროს გადახდა, თუ ცუდის სანაცვლოდ კარგის ქმნა?

ახსნა-განმარტებითი მეთოდი: უნარშეზღუდულ მოსწავლეს ჩავრთავ მსჯელობაში მოცემული საკითხის ირგვლივ, მომყავს კონკრეტული მაგალითები. სულხან-საბა ორბელიანის არაკის “მოცინარი და მოტირალი” სწავლებისას ავუხსნი, თუ რამდენად შეიძლება ერთი მიზეზი ჰქონდეს

სიცილს (ხალისს) და მწუხარებას; რომ არ შეიძლება სატირალზე არ იტირო და პირიქით¹. შევეცდები ნათელი გავხადო, თუ ვისი საქციელია შესაქებელი მოცემულ იგავში; რომ სწორ გზაზე უნდა დააყენო აუცილებლად ამქვეყნიური, საზრუნავიდან დაშორებული ადამიანები; მივახვედრებ, რომ გამუდმებული რჩევა-დარიგებით შეიძლება გამოასწორო ადამიანი.

წერითი მუშაობის მეთოდი: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს გაკვეთილის მიმდინარეობის დროსაც და სახლშიც ვავალებ მცირე ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთებას, მისი შესაძლებლობის შესაბამისი ესეს შესრულებას მხოლოდ სახლში.

დადებით შედეგს იძლევა **სხვადასხვა მეთოდთა შერწყმა**. მაგ., გაკვეთილზე მასალის ვიზუალური პრეზენტაციის სახით წარმოდგენას თან ვურთავ ვერბალურ განმარტებას. ვცდილობ ავუხსნა და სწორად გავაზრებინო საკითხი. ვაღწევ მიზანს, რომ პრობლემას მიუდგეს შემოქმედებითად, გამოიმუშაოს და გამოთქვას განსხვავებული აზრი, იდეა.

უდიდეს ყურადღებას ვაქცევ შესაბამისი დონის სასწავლო გეგმას. ჩემს მიერ სასწავლო პროგრამაში დაგეგმილი და გამოყენებული ზოგიერთი სტრატეგია ითვალისწინებს: შესაძლებლობაშეზღუდული მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით დავალების შერჩევას; არც იშვიათად მისთვის არჩევანის უფლების მინიჭებას; თავისი, თუნდაც საწინააღმდეგო მოსაზრების თამამად გამოხატვის შესაძლებლობას; სახლში და სკოლაში სსსმ ბავშვის დამოუკიდებელი მეცადინეობის დროს თამაშის ტიპის სახალისო აქტივობების ჩართვას.

გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ შეფასების მეთოდები: **დაკვირვება** (ჩანაწერები, კომენტარები და შენიშვნები სსსმ მოსწავლის მიღწევების და პრობლემების შესახებ); **თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება** სსსმ ბავშვს უზრდის საკუთარი თავის რწმენას. მასწავლებელს კი აძლევს ცოდნის ეფექტიანობის შემოწმება-სრულყოფის შესაძლებლობას.

სსსმ ბავშვთან მუშაობისას შედეგისთვის მთავარია **მოტივაცია და კომუნიკაცია**.

კომუნიკაციის პროცესი ეფექტურია მაშინ, როცა მოსწავლე გაიგებს მასწავლებლის მიცემულ ინფორმაციას. კომუნიკაციის ორივე მხარე, მასწავლებელიცა და მოსწავლეც ითვალისწინებს მოსმენას, დაკვირვებასა და შეგრძნებას. ვცდილობ გამოვრიცხო ეფექტურად აღიარებული კომუნიკაციის ხელისშემშლელი გარემოებები: განსხვავება სსსმ ბავშვის დროის დეფიციტი აღქმის, ყურადღების მობილიზების საქმეში, ემოციური განწყობა, უნდობლობა, შიში.

მოსწავლის მოტივაციას განსაზღვრავს ზოგადად მასწავლებლის, და ოჯახის მიერ მისთვის შექმნილი მიმზიდველი სასწავლო ჯანსაღი, კომფორტული გარემო, თანატოლები. აღნიშნულს ვაღწევ სსსმ ბავშვისთვის თანამშრომლობით (ვითვალისწინებ კლასისი ინტერესს), სამართლიანი მიდგომით, იუმორით, თავაზიანობით, მოსმენით, მისი დაცულობის გრძნობის უზრუნველყოფითა და ღირსების წარმოჩენით.

სწავლების მოტივაციის ამალღების ერთი მაგალითი: მურმან ლებანიძის ლექსი “ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო” შესწავლის დაწყებისას ბავშვებთან ერთად ვაჩვენებ საქართველოს ისტორიის კონკრეტული პერიოდის ამსახველ ფილმს “ბაში-აჩუკი”, ვპირდები, რომ კლასთან ერთად, ექსკურსიით ვაჩვენებ ფილმში გადაღებულ შუა მთის მონასტერს. მისთვის სასურველი ეს შეთავაზება ამალღებს სსსმ ბავშვის მოტივაციას და შეეცდება ტექტის შესწავლას.

მუდმივი შეხსენება, რომ **შენ შეგიძლია და აუცილებლად შეასრულებ**, სსსმ მოსწავლეს ნიადაგს უმზადებს მის წინაშე არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

¹ შევახსენებ ეპიზოდს ფილმიდან “რაც გინახავს ვეღარ ნახავ”, როგორ ზეიმობენ უკეთურების ჩამდენი მაღალი არისტოკრატიული წრის გადაგვარებული წარმომადგენლები გლეხის ბიჭისთვის საცოლის მოტაცების შემდეგ და როგორ წუხან ისინი, ვისაც არაფრად ჩაუგდეს სიყვარული. მივიყვან დასკვნამდე, უფლებო, თუ შეუძლო ადამიანი არ უნდა დაჩაგრო; მარტივი, გასაგები ენით მოვუთხრობ ილია ჭავჭავაძის “გლახის ნამბობის” შესახებ. შინაარსის მოყოლის შემდეგ ავუხსნი, რომ უბედურებას, რომელსაც მწერალი აღწერს, არაფრად აგდებს დაწინაურებული, მაგრამ სახედაკარგული ნაწილი საზოგადოებისა.

სსსმ ბავშვთან ოჯახში დამოკიდებულების საფუძველზე ვრწმუნდები, რომ აუცილებელია: საზოგადოებაში მისი ჩართულობა; რაც შეიძლება მეტი (შეიძლება ასაკითაც მასზე ბევრად უფროს ადამიანებთანაც) კომუნიკაცია; მისი დარწმუნება, რომ ვინაიდან უსმენენ და არ აწყვეტინებენ, ვინაიდან არ ღებულობენ გადაწყვეტილებას მის ნაცვლად და არ უარყოფენ მის გრძნობებს, ის ღირებული ადამიანია.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ: ა). სსსმ ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება იმ გარემოში, სადაც მისი თანატოლები სწავლობენ; ბ). სასწავლო მასალები, სწორი სასწავლო მეთოდოლოგია, შეთანხმებული და თანასწორუფლებიანი ურთიერთდამოკიდებულება არის სასურველი შედეგის მიღების საფუძველი; გ). სსსმ ბავშვის საჭიროების შესაბამისად სწავლების მეთოდების, შეფასების მექანიზმების შერჩევა, საგაკვეთილო სისტემის მართვის ხელოვნება უნდა განვიხილოთ როგორც უწყვეტი პროცესი და არა როგორც ერთჯერადი ღონისძიება.

ლიტერატურა და წყაროები

1. ვისწავლოთ ერთად ინკლუზიური განათლება, პასუხისმგებელი რედაქტორი თათია პაჭკორია, 2008
2. ანა ლალიძე, მანა ბაგრატიონი, თათია პაჭკორია, ინკლუზიური განათლება, გზამკვლევი მასწავლებლებისათვის, 2009
3. სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლება, პასუხისმგებელი რედაქტორი თ. პაჭკორია, 2010
4. www.cec.sped.org; www.des-sped.org; www.inklusio.com; www.idonline.org

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან, უნარებიდან და მიდრეკილებებიდან გამომდინარე, ჩემ მიერ სკოლასა და ოჯახში გამოყენებული სწავლების მეთოდები, გადაცემის ხერხები, მიდგომისა და ურთიერთობების ფორმები, რომლის შედეგადაც ბავშვი იღებს ცოდნას, უვითარდება შემეცნებითი ნიჭი, უყალიბდება მსოფლმხედველობა, ხდება მისთვის ყველაზე უმთავრესი სოციალიზაცია. განხილულია აგრეთვე უნარშეზღუდულ ბავშვებთან კლასში და დამოუკიდებლად მუშაობის დროს სწავლების პროცესის სწორად მართვის დროში სწორი განაწილების და სოციალური სფეროს, შემეცნების, მეტყველების, თვითმომსახურების უნარ-ჩვევების უპირატესობისა და მნიშვნელობის საკითხები.

INEZA GABELAIA – Georgian and History Teacher of Tkibuli Municipal Orpiri Public School

Inclusive Teaching (On concrete events)

The works studied studies the teaching methods particular form of approaches and relations for the children need special educational using, at school and at home. As a result the child gets knowledge, develops cognitional talent, forms their ideology, happens the main to them socialization. Studied also right distribution of the time of studying process with incapable children. The question of social sphere, cognation, speech self-service is preference too.

The practice made sure that while working must be used the explanatory method (based on discussion about the question) to solve the problem gradually (pupil arranges to fix the facts and connection between them independently) The analyze of occasion(improves pupils activities’) discussion, (improves ability of expressing the opinions and prove them.); laboratory and demonstrational method, written work (give them at the process of the lesson and as a home task, to make some extractions and writings, creating some thesis) While teaching is used entertaining activities (praise, high marks, to free from some home task).

These children need special studying will be make into enjoyable process motivation and communication; the synthesis of different methods (to make a visual presentation to the material is added the verbal explanations) .

The positive results gives : farness, sense of humor, politeness, securing and report their value.

Experiences showed that methods of estimation (observation, writings, comments about children’s achievement and problems. Self –appraisal and estimation of their classmates increase their belief.

In conclusion a)the children with incapable abilities have right of education in plural surroundings where study the children of the same age. b) Teaching materials, with correct educational methods. The base of taking of best result is coordinating and equal in rights dependence. Selecting the teaching methods and mechanisms for incapable children, the art of the lesson system must be the continuous process and not one time event.

Об инклюзивном обучении (на примере конкретного случая)

В работе рассмотрены специальные образовательные, используемые в школе и в семье методы обучения, способы передачи информации, формы подхода и взаимоотношений с подростками, в результате чего дети, нуждающиеся в специальном образовании получают знания, развивают познавательные способности, совершенствуют мировоззрение и самое главное, происходит их социализация. Также рассмотрены вопросы о правильном распределении времени в учебном процессе, о значении приоритетов познания, устной речи, навыков самообслуживания.

Практика доказывает, что во время работы мы должны использовать: метод объяснения; метод поэтапного решения проблемы; анализ случаев; дискуссия-дебаты; лабораторные и демонстративные методы; метод письменной работы; используемые во время занятий или игр поощрительные активности, (похвала, высокая оценка, освобождение от некоторых заданий).

Для детей, нуждающихся в специальном в образовании процесс обучения в приятное занятие превращает мотивация и коммуникация, слияние разных методов (к представленному визуальному материалу презентации прилагается вербальные объяснения). Положительный результат также дает: справедливость, юмор, вежливость, слушание, чувство защищенности и выявление достоинств.

Опыт показывает, что методы оценки: наблюдение (записки, комментарии и замечания о достижениях и проблемах); самооценка и оценка сверстников повышает веру в себя, и дает ученикам возможность совершенствовать свои знания.

В виде заключения можно отметить, что: а) дети, нуждающиеся в специальном образовании имеет право получать образование в той среде, что и его сверстники; б) учебный материал, правильная учебная методология, согласованные и равноправные взаимоотношения являются основами получения желаемого результата.

ლალი ცხვედიანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი

ქვევითი პრობლემებთან გამკლავების გზები საკლასო სივრცეში აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებთან

დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემის ერთერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ინკლუზიური განათლება, რომელიც საშუალებას აძლევს სხვა დასხვა დარღვევის მქონე ბავშვებს ჩართული იქნან საჯარო სკოლების სასწავლო სივრცეში. მათ შორის არიან ბავშვები აუტისტური სპექტრის დარღვევით.

აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვის ჩართვა მოითხოვს განსაკუთრებულ დაგეგმვას, რაც ამ დარღვევის სპეციფიურობითაა განპირობებული (კომუნიკაციის, მეტყველების, ქცევითი პრობლემები).

წინამდებარე ნაშრომით მინდა შემოგთავაზოთ ის ქვევითი პრობლემების თავისებურებები და მასთან გამკლავების მეთოდები, რომელიც აუტისტი ბავშვისთვის არის გამახასიათებელი და მიმართულებას მისცემს მასწავლებელს მათთან მუშაობისას.

პირველ რიგში აუცილებელია ქვევით მუშაობა აქტიურად წარიმართოს სკოლაში შესვლამდე, რომ მისმა ხშირმა გამეორებამ არ ჩაშალოს საგაკვეთილო პროცესი და ბავშვი სკოლაში მივიდეს ნაკლები ქვევითი პრობლემებით, თუმცა აუტიზმის შემთხვევაში ბოლომდე ვერ ვიქნებით დაზღვეულები სირთულეებისგან.

საყოველთაოდ აღიარებული მეთოდები (საკლასო წესების შემოღება, სასწავლო განრიგისადმი მოლოდინების ჩამოყალიბება) აუტისტი ბავშვისათვის მიწოდებული უნდა იქნას დამატებით ვიზუალური ფორმით (სურათებით). მაგრამ ამან შეიძლება ვერ უზრუნველყოს ქვევითი პრობლემებისგან თავის დაღწევა.

შემოგთავაზებთ რთული ქცევების მცირე ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება შეგხვდეთ პრაქტიკაში: ყვირილი, საგნების გადაყრა, ხელ-ფეხის ბრაზუნა, კბენა, ნივთების დაზიანება, კედელზე თავის დარტყმები, ცემა, კლასში სირბილი და სხვა.

მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვას-ეს ქცევა ვისთვის არის ხელისშემშლელი: თვითონ ბავშვისათვის, თუ გარემომყოფთათვის?. მაგალითი: ბავშვი ატრიალებს ხელში პასტას ან ისრისავს ყურის ბიბილოს, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის მობილიზებაში, თუმცა აღიზიანებს მასწავლებელს, რის გამოც ეს ქცევა მასწავლებლის თვალში პრობლემური ქცევაა. გასარკვევია, ღირს თუ არა ამ ქცევაზე მუშაობა, კერძოდ, მისცემს თუ არა ეს ბავშვს მნიშვნელოვან პროგრესს-მასწავლებლის რესურსი სულაც არ არის განუსაზღვრელი, ამდენად ენერჯია უნდა ჩაიდოს უფრო მნიშვნელოვანი ქცევის ჩამოყალიბებაზე.

სანამ ქცევაზე მუშაობას დავიწყებთ, საჭიროა განისაზღვროს რთული ქცევის ფუნქციური დანიშნულება, ანუ რას ემსახურება ეს ქცევა. პრობლემურ ქცევას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი ფუნქციები:

- მიიღოს სასურველი საგანი ან მოქმედება, მაგ: ბავშვს სურს ჭამოს გაკვეთილზე. აკრძალვის შემთხვევაში დავარდება იატაკზე და კივის - მასწავლებელი აძლევს ჭამის უფლებას.
- არასაუსველი სტიმულის ან მოქმედებისგან თავის არიდება, მაგ მას სთხოვენ გააფერადოს სურათი - ამის მაგიერ ბავშვი ხევე ფურცელს, რის შემდეგაც აღარ სთხოვენ დაფერადებას.
- ყურადღების მიქცევა-მოსწავლე გაკვეთილზე ისვრის დაჭმუჭნულ ფურცლებს, რითაც იპყრობს ყურადღებას.
- სენსორული სტიმულაციის მიღება-აქნევს ხელებს, (თავს ურტყამს კედელს და სხვა), - ღებულობს სენსორულ სიგნალებს.

შემთხვევა, როცა ქცევა სასურველის მიღების საშუალებაა, პრობლემატურია არა ბავშვისათვის, არამედ გარეშე მყოფთათვის. როცა ბავშვი ისტერიკას მართავს რაიმეს მისაღებად, როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება ხოლმე, მასწავლებელს (ასევე მშობლებს) არ ყოფნის წინააღმდეგობის ძალა და უთმობს - ეს ამტკიცებს პრობლემურ ქცევას.

ქცევასთან მუშაობისას მასწავლებელი აუცილებელია იყოს თანმიმდევრული, გამოიყენოს ქცევის მართვის ტექნიკები: მაგ ყურადღების გადატანა სხვა საგანსა თუ მოქმედებაზე. თუ ეს არ იმუშავებს, გამოიყენოს იგნორის ტექნიკა. საწყისად ქცევის იგნორირება, როგორც წესი, გამოიწვევს ქცევის ინტენსივობის გაძლიერებას, გამრავალფეროვნებას (თუ მანამდე მხოლოდ კიოდა, ახლა შეიძლება იატაკზე გაგორდეს ხელები და ფეხები უბრაზუნოს და სხვა), მაგრამ თუ მასწავლებელი შეძლებს იყოს ასერტული და ბოლომდე გაატაროს არჩეული სტრატეგია, მაშინ ბავშვისთვის ქცევა დაკარგავს სტიმულის მიღების საშუალებას და თანდათან ჩაქრება.

იმ შემთხვევაში, როცა საქმე იმდენად რთულდება რომ საფრთხე ემუქრება საგაკვეთილო პროცესს, შეიძლება კლასიდან ბავშვის გაყვანა, ისე რომ ვერ მიიღებს სასურველ სტიმულს (საგანს თუ მოქმედებას). თუმცა კლასიდან გაყვანა საფრთხილოა, რომ არ მოხდეს მისი განმტკიცება. აღნიშნული სტრატეგია ზოგადი ხასიათისაა, მაგრამ როცა საქმე გვაქვს აუტისტი ბავშვთან, დამატებითი ღონისძიებების გატარებაა საჭირო:

აუტიზმის შემთხვევაში ხშირად ბავშვი ვერ გამოთქვამს თავის სურვილებს, არ შეუძლია სურვილის გადავადება. ამ შემთხვევაში საჭიროა ერთის მხრივ გაამოვიყენოთ ალტერნატიული კომუნიკაციური საშუალებები (სურათებით კომუნიკაცია, ჟესტების, სიმბოლოების) და მეორეს მხრივ ჩამოვუყალიბოთ და მუდმივად წავახალისოთ ახალი ქცევები (დამოუკიდებლად თამაშის, ინიციატივის გამოვლენის, თანამშრომლობის), რაც თავი მხრივ შეამცირებს პრობლემური ქცევის გამოვლენის სიხშირეს.

იმისათვის, რომ ვასწავლოთ ქცევის გადავადება, ძალიან ეფექტურია ვიზუალური სტიმულების მიმდევრობის სქემის გამოყენება. ამისათვის საჭიროა იმ მოქმედებების სურათების მოძიება, რომელთა შესრულებაც მოეთხოვება ბავშვს და მათი თანმიმდევრულად განლაგება. ამ სქემის მიხედვით თავიდან წარმოდგენილი იქნება ის მოქმედება (ან მოქმედებები), რომელიც მას მოეთხოვება და შემდგომ ის, რომელიც მისთვის სასურველია. მაგ, როცა ბავშვი ითხოვს კომპიუტერთან თამაშს, მასწავლებელი მას ეუბნება: ჯერ გააფერადებ სურათს (ვაჩვენებთ სიმბოლურად ფანქრების სურათს), შემდეგ დაწერ ასოებს (ვაჩვენებთ სურათს ასოების გამოსახულებით) და შემდეგ დაჯდები კომპიუტერთან (გამოსახულება კომპიუტერთ - მისთვის სასურველი). აქვე შეიძლება ვასწავლოთ არჩევანის გაკეთება, მაგ: შევთავაზოთ ორი არასასურველი მოქმედებიდან ერთ-ერთი და ვკითხოთ რომელს აირჩევს გასაკეთებლად. სურათებით მიცემული ინსტრუქცია მისთვის გასაგები ხდება, რაც შეიძლება გაუგებარი ყოფილიყო მხოლოდ ვერბალური ფორმით მიწოდებისას.

ანალოგიურად შეიძლება მივაწოდოთ მოქმედებათა თანმიმდევრობა წარწერების სახითაც - ეს იმ შემთხვევაში, როცა ბავშვს შეუძლია კითხვა, მაგ ბარათები წარწერებით 1. გაფერადება, 2. წერა, 3. კომპიუტერი.

განვიხილოთ შემთხვევა, როცა ბავშვი პრობლემური ქცევით ცდილობს ყურადღების მიპყრობას ამ სიტუაციაშიც წარმატებული სტრატეგია არის იგნორირება. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ბავშვს ვასწავლოთ ყურადღების მიპყრობის ალტერნატიული საშუალებები, ყოველივე ამისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას ბავშვის მიერ სიმბოლოები, სურათები და ჟესტები, იმ შემთხვევისათვის, როცა არ შეუძლია სიტყვიერად ამის გადმოცემა. სასურველია აუტისტი ბავშვის მიმართ აქტიური იყოს მასწავლებელი, რომ ხშირად ჰყავდეს ჩართული როგორც საგაკვეთილო, ასევე კლასგარეშე აქტივობებში. მაგ: დასვენების დრო კარგად იყოს გამოყენებული ჯგუფურ თამაშებში ჩართვისათვის, რაც ერთის მხრივ შესაძლებელს ხდის ბავშვის მხრიდან სოციალური უნარების, თამაშის წესების, შეჯიბრების პრინციპის, ემოციების ურთიერთგაცვლის დასწავლას, მეორეს მხრივ შეამცირებს პრობლემური ქცევის გამოვლენის ალბათობას - მთელი ამ ხნის მანძილზე იგი მიიღებს აქტიურ ყურადღებას.

ხშირ შემთხვევაში აუტისტი ბავშვები არ ემორჩილებიან მასწავლებლის მოთხოვნებს, რომელიც შეეხება როგორც სასწავლო პროცესს, ასევე მარტივ მოთხოვნებს (მაგ: გადაჯექი სხვა ადგილზე, ან აიღე ფანქარი იატაკიდან) და ამას გამოხატავენ აქტიურად-კვილით, საგნების გადაყრით, კბენით,

ავტოაგრესიით..... ან შეიძლება პროტესტი გამოხატონ პასიურად - უყურებდნენ ერთ წერტილს და არ რეაგირებდნენ-ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს რთულ ქცევას.

პირველ რიგში, უნდა ვასწავლოთ ბავშვს წინააღმდეგობის გამოხატვის ალტერნატიული ფორმა, რაც გულისხმობს უარის თქმას ვერბალურად, ან ბარათის საშუალებით - გვაჩვენის ბარათი წარწერით: არ მინდა. ბარათის გამოყენება უნდა წახალისდეს მასწავლებლის მიერ და მივცეთ საშუალება მცირე ხნით სხვა რამით დაკავდეს.

შემდგომ ეტაპზე უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ მისთვის მიცემული დავალება იყოს თავდაპირველად შედარებით მარტივი და თანდათანობით მოხდეს მისი გართულება, რომ არ დაკარგოს მოტივაცია. პარალელურად შევძლოთ ქცევის მართვა - ვიყოთ ბოლომდე თანმიმდევრულები. თუ ჩვენ ვითხოვთ, რომ მან უნდა შეასრულოს დავალება, ამოხსნას 5 მაგალითი, ის კი ხევს რვეულს, მასწავლებელი მშვიდად უდებს წინ ახალ ფურცელს და ეუბნება, რომ შეუძლია შეასრულოს დავალება, როცა დაწყნარდება და ელოდება. ხშირ შემთხვევაში ლოდინს თავისი შედეგი გამოაქვს და რამოდენიმე წუთის შემდეგ ის ასრულებს მიცემულ დავალებას, მხოლოდ არ უნდა მივცეთ მას გაქცევის საშუალება და თუ მაინც გაიქცა, მშვიდად დავაბრუნოთ ადგილზე და გაუუმეოროთ მოთხოვნა.

ზოგიერთ შემთხვევაში რთული ქცევაზე დაკვირვება გამოავლენს იმ წინაპირობას, რომელიც ქცევის მიზეზია, მაგ: თუ ბავშვი ძალიან დაიღალა, ან რაიმე ხმაურმა გააღიზიანა, ამ შემთხვევაში სრულიად საკმარისია დავალება არ მივცეთ დადლილზე, ან მოვამოროთ გამღიზიანებელი ხმაური.

განვიხილოთ კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც სპეციფიურია და სხვა მიდგომას საჭიროებს - ეს ის შემთხვევაა, როცა პრობლემური ქცევის ფუნქცია სენსორული სტიმულაციის მიღებაა. აქ ბევრს ვერაფერს გახდები ზემოთ აღნიშნული მეთოდებით. თუ ბავშვი კედელს თავს ურტყამს ან იკბენს ხელზე და ამით ღებულობს ნეიროსტიმულაციას, აქ განმამტკიცებლები უშედეგოა. დარტყმების შედეგად ბავშვი ღებულობს სენსორულ სიგნალებს, რაც კიდევ ამტკიცებს ქცევას.

ამ შემთხვევაში მცდელობა უნდა მიმართონ იმ შეგრძნებების შეკავებაზე, რომელსაც ბავშვი განიცდის პრობლემური ქცევის განხორციელებისას. კერძოდ, თავზე უნდა დავახუროთ სქელი ქუდი, ან ხელზე ჩამოვაცვათ უხეში ხელთათმანი. სრულიად შესაძლებელია, რომ იგივე შეგრძნებები, რომელსაც იწვევს ქცევა, გამოწვეული იყოს სხვა მისაღები ქცევებით, მაგ: სპორტული აქტივობებით, ამიტომ უნდა ვასწავლოთ ბავშვს სირბილი, ხტუნვა, კოტრიალი, ცურვა და ამ ფორმით მოვახდინოთ ჩანაცვლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. გაგომიძე თ. ჭინჭარაული.. „ინკლუზიური განათლების პრინციპები“
2. Ю. Мерц ,, О программе АВА“

რეზიუმე

სასკოლო სივრცეში შშმ ბავშვთა ჩართვა მთელ რიგ პრობლემებთან ასოცირდება. მასწავლებლები ხშირად გადაუჭრელი პრობლემების წინაშე დგებიან, ამიტომ მათ მუდმივი მხარდაჭერა საჭიროებათ. წინამდებარე ნაშრომიც ამ მხარდაჭერის გამოხატულებაა.

სტატიაში საუბარია აუტისტ ბავშვებთან მუშაობისას არსებულ სირთულეებზე კლასში,რაც განპირობებულია ამ დარღვევის სპეციფიკით, კერძოდ, კომუნიკაციის, მეტყველების და ქცევითი თავისებურებებით.

სტატიაში წარმოდგენილია პრობლემური ქცევის კლასიფიკაცია და კონკრეტულ შემთხვევებში მუშაობის მეთოდები. მკითველს ვთავაზობთ აუტისტ ბავშვებთან მუშაობისას ურთიერთობის ალტერნატიულ მეთოდებს, კერძოდ, სურათებით შესტებით და სიმბოლოებით კომუნიკაციას ქცევის რეგულაციისათვის.

და ბოლოს, განვიხილავთ სპეციფიურ შემთხვევას, როცა ქცევის მიზეზი ბიოლოგიური საფუძველია და წარმოდგენილია რეკომენდაციები მსგავსი შემთხვევისათვის .

Lali Tskhvediani-State University named after A. Tsereteli

„Control methods with behavioral problems in children with autism spectrum disorders in the classroom “

Summary

The inclusion of children with disabilities in public schools, are associated with a number of problems. Teachers often find themselves facing insurmountable problems, so they need constant support. This article is a manifestation of this support.

The article deals with the difficulties of working in a classroom with autistic, that due to the nature of the breach, in particular the characteristics of communication, speech and behavior, classification of problem behavior and work methods in specific cases. For teachers, there are some tips how to evaluate the behavior and to determine the need to work on it. We offer alternative methods of working with autistic children, in particular the method of communication with the help of pictures, gestures and symbols to regulate behavior.

In conclusion, we consider the special cases where the cause are the behavior of a biological basis. The article presents the recommendations in such cases.

Лали Цхведиани- Государственный университет имени А. Церетели

„Способы управления с поведенческими проблемами у детей с расстройствами аутистического спектра в классе“

Резюме

Включение детей с ограниченными возможностями в публичных школах, ассоциируются с целым рядом проблем. Учителя часто оказываются перед неразрешимыми проблемами, поэтому им нужна постоянная поддержка. Данная статья является проявлением этой поддержки

В статье идет речь о трудностях в работе в классе с аутистами, что обусловлено спецификой данного нарушения, в частности особенностями коммуникации, речи и поведения, представлена классификация проблемного поведения и методы работы в конкретных случаях. Для учителей даны рекомендации, как оценивать поведение и определить необходимость работы над ним. Мы предлагаем альтернативные методы работы с детьми аутистами, в частности метод коммуникации с помощью картинок, жестов и символов для регулирования поведения.

И в заключении, мы рассматриваем специфические случаи, когда причиной поведения является биологическая основа. В статье представлены рекомендации в подобных случаях.

მადონა ნიკოლაიშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის დოქტორანტი

თამაში, როგორც მოსწავლეთა გონებრივი მოქმედიანობის აქტივიზაციის მეთოდი

უკანასკნელ ათწლეულებში თამაშს, როგორც სწავლებისა და აღზრდის მეთოდს, დიდი ყურადღება მიექცა პედაგოგიკის თეორიასა და პრაქტიკაში, თუმცა თამაშის აღზრდელობითი ფუნქცია დიდი ხნის წინათაც იყო ცნობილი. მას იყენებდნენ, როგორც ფიზიკური სრულყოფის, გარკვეულ უნარ-ჩვევათა განმტკიცების, ან არასასწავლო დროის პედაგოგიურად ორგანიზების საშუალებას.

თამაში ქცევის ისეთი ფორმაა, რომლის მიზანია მოთამაშე სუბიექტის ძალთა აქტივობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ყოველი ქცევა გარკვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება, ანუ, ნებისმიერი ქცევის მიზეზი არის თვით ეს მოთხოვნილება, მიზანი - მისი დაკმაყოფილება. სულ სხვაა ბავშვის თამაში. თამაშით ბავშვი კმაყოფილებას განიცდის, თავის ძალებს ავარჯიშებს და ცოდნასაც კი იძენს. თუმცა მისი მიზანი არ არის არც გავარჯიშება და არც ცოდნის მიღება, არამედ თვით ეს აქტივობაა. ამით განსხვავდება თამაში ქცევის სხვა სახეებისაგან. იგი პროცესზე ორიენტირებული ქცევაა და არა შედეგზე. როდესაც თამაშს ვიყენებთ სასწავლო პროცესში, არსებითია იმის გარკვევა, თუ კონკრეტულად რა გავლენას ახდენს თამაში მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესის განვითარებაზე და რა ფორმითა და დოზითაა მიზანშეწონილი თამაშის, როგორც გონებრივი მოქმედიანობის აქტივიზაციის მეთოდის, გამოყენება სასწავლო პროცესში.

თამაშის ფენომენის ახსნას ბევრი მეცნიერი ცდილობდა. ამ საკითხს მიემდგვნა გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსისა და სოციოლოგის ჰერბერტ სპენსერის კონცეფცია, რომელიც თამაშს ჭარბი ენერჯისაგან გათავისუფლების საშუალებად მიიჩნევს, კარლ გროსის „თამაშის თეორია“ თამაშს წაბაძულობის გამოვლენად თვლის. მისი თქმით „ჩვენ იმიტომ კი არ ვთამაშობთ, რომ ბავშვები ვართ, არამედ სწორედ იმისთვის გვაქვს ბოძებული ბავშვობა, რომ ვითამაშოთ.“ [4]. მისი აზრით, თამაშის სტიმული თანდაყოლილი ძალების ამოქმედებაა, მიზანძველობა კი ბავშვის თანდაყოლილი თვისება. ცნობილი გერმანელი ფსიქოლოგი კარლ ბიულერი თამაშს ფუნქციონალურ სიამოვნებას უწოდებს. [4]. მისი აზრით, აქტივობის სურვილი უსიამოვნების მდგომარეობაა, რომელიც აღძრავს მიზანმიმართულ აქტივობას, ხოლო დაკმაყოფილება, სიამოვნების მდგომარეობაა, რომელიც მოჰყვება მიზნის მიღწევას. მიუხედავად საკითხის კვლევისა, უნდა აღინიშნოს, რომ მითითებულ მეცნიერთაგან თამაშის შინაგან ბუნებას ვერც ერთი ვერ ხსნის.

ცნობილი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე თვლის, რომ თამაში გარკვეული ასაკის ბავშვის ასაკობრივი გარემოსთვის ზედმეტი ძალების, ზედმეტი ენერჯის, ზედმეტი ფუნქციების ამოქმედებას წარმოადგენს. [2]. ეს ძალები ზრდასრული ადამიანის შრომის პროცესში შექმნილსა და გამოსაყენებელ ფუნქციებს შეიცავს, რომელიც შვილებს მექვიდრეობით გადაეცემა, ამდენად, თამაში, როგორც ამ ფუნქციების აქტივაციის ფორმა, სერიოზული საქმიანობის, ფუნქციონის, აქტივობის სახეს ინარჩუნებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბავშვს აქვს გარკვეული შესაძლებლობები და მას არ შეუძლია არ იმოქმედოს. ამ აქტივობის, ე.ი. თამაშის დახშობა მისთვის ბუნებრივი მდგომარეობის დარღვევა იქნება, ხოლო ამ ბუნებრივი მდგომარეობის აღდგენას სიამოვნების განცდა ექნება. ამიტომ მიაკუთვნებენ ფსიქოლოგები თამაშს - ინტროგენულ, ანუ პიროვნების შინაგანი ფაქტორებით განპირობებულ ქცევებს. ექსტროგენული ქცევებისგან განსხვავებით, სწორედ სიამოვნების განცდაა თამაშის მოტივი. როგორც ვხედავთ, თამაშს უფრო მიმზიდველი მოტივი წარმართავს, ვიდრე შრომას და ამიტომაც მოთამაშის აქტივობა მაღალია, ხოლო შედეგი - ეფექტიანი.

თამაშს, როგორც აღზრდის მეთოდს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული პედაგოგიკის კლასიკოსი იაკობ გოგებაშვილი. აი, რას წერს იგი თავისი პედაგოგის, იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის, იგივე გერასიმე ქიქოძის შესახებ, რომელიც პატარა იაკობის სემინარიაში სწავლის პერიოდში დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად: „წინათ თამაშობას

სემინარიაში უყურებდნენ, როგორც გარდუვალ ბოროტებას და ყოფაქცევის მხრივ წინ აყენებდნენ იმ მოსწავლეებს, რომლებიც თამაშობაში სრულებით არ მონაწილეობდნენ და თავი მოჰქონდათ მშვიდ და უწყინარ არსებებად. გერასიმე ქიქოძემ სულ სხვა თვალსაზრისი დაამყარა. ის თამაშობას თვლიდა უცილობლად სასარგებლო მეცადინეობად არა მარტო სხეულისათვის, არამედ სულისთვისაც და ეჭვით უყურებდა იმ აღსაზრდელებს, რომლებიც უქმად ატარებდნენ დროს, როცა მათი ამხანაგები მხიარულად თამაშობდნენ სემინარიის ეზოში. ნასადილევს ეს ეზო წარმოადგენდა ფრიად მრავალგვაროვან, მაგრამ სავსებით წესიერ თამაშობათა ასპარეზს და ჰაერში გაისმოდა მოთამაშე ბავშვთა თავისუფალი, წკრიალა ხმები... ამის შედეგად აშკარად შემცირდა ბავშვთა საიდუმლო ბიწიერებანი, რომლებიც ასე გავრცელებული იყო დახურულ სასწავლებლებში. შემცირდა აგრეთვე დაავადებათა რიცხვი, ბავშვები უფრო ჯანმრთელად გამოიყურებოდნენ; ძლიერ ამალდა მოსწავლეთა წარმატება.“[3,]- მოყვანილი ნაწყვეტიდან ნათლად ჩანს თამაშის აკადემიური და სოციალური ფუნქცია.

თამაშს განსაკუთრებული მისია აკისრია პიროვნების ფორმირებაში. რაში გამოიხატება პიროვნების სრულყოფილება და როგორ აღვზარდოთ საზოგადოების ღირსეული წევრები? ცნობილი პედაგოგის შალვა ამონაშვილის აზრით, აღმზრდელობითი ზეგავლენის სიძლიერე და ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ინდივიდუალურია იგი თითოეული მოსწავლის სულიერი ძალების გამოსავლენად და პიროვნული თვისებების ფორმირებისათვის და რამდენად შეუძლია ჩაუნერგოს თითოეულ მათგანს ურთიერთის მიმართ კეთილგანწყობისა და სიკეთის სულისკვეთება. [7] თითოეულს უნდა უზაროდეს ამხანაგის წარმატება, ეგოიზმის, მხოლოდ პირადი სარგებლისა და კეთილდღეობის გრძნობის ყოველგვარი გამოვლენა უნდა გადავლახოთ ერთობლივი მუშაობის, ერთობლივი მიზნის დასახვითა და ამ მიზნის მიღწევის ერთობლივი მცდელობით. ამ კუთხით განსაკუთრებით გამოიკვეთა თამაშის, როგორც აკადემიური, ისე განმავითარებელი ფუნქცია სოციალური აღზრდის პირობებში. სწორედ კოლექტიური აღზრდის პირობებში ყალიბდება პასუხისმგებლობა, ღირსების გრძნობა, პიროვნებათაშორისი კავშირები, რომლებიც თამაშის პირობებში უფრო მძაფრად ვლინდებიან, ვიდრე ეს ხდება არასათამაშო გარემოში.

ზოგჯერ მიიჩნევენ, რომ თამაში არასერიოზული მოქმედებებია, რომელსაც ღირებული სოციალური მიზნები არ გააჩნია, არაპროდუქტიულია და რაიმეს შექმნას არ ისახავს მიზნად. მეცნიერება თამაშს ასე მარტივად არ განიხილავს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თამაშის არსი ის არის, რომ მასში მთავარია არა შედეგი, არამედ თვითონ პროცესი, სათამაშო მოქმედებებთან დაკავშირებული განცდები. ბავშვის მიერ გათამაშებული სიტუაციები თუმცა გამოგონილია, მაგრამ ამ სიტუაციებში აღმოცენებული გრძნობები და განცდები სავსებით რეალურია. თუ პედაგოგის ბრწყინვალე თეორეტიკოსს ანტონ მაკარენკოს დავესხებებით, „ბავშვს აქვს თამაშისაკენ ლტოლვა და იგი უნდა დაკმაყოფილდეს. მას არა მარტო სათამაშო დრო უნდა მიეცეთ, არამედ მთელი მისი ცხოვრება თამაშით უნდა განიმსჭვალოს“. [8] ბავშვობის ასაკში თამაში ნორმაა და ბავშვი ყოველთვის უნდა თამაშობდეს, მაშინაც კი, როცა სერიოზულ საქმეს აკეთებს. ამ თვალსაზრისის გასამყარებლად არაერთი არგუმენტის მოყვანა შეიძლება: გავიხსენოთ თუნდაც საბავშვო კინოსტუდია „პიონერფილმი“, რომელსაც თავისი ნამუშევრებით არაერთხელ გაუხარებია პატარები, ან მაგალითად ან. მაკარენკოს ზემოაღნიშნულ ნაშრომში ნახსენები უმაღლეს დონეზე აღჭურვილი ქარხანა, სადაც ბავშვები ამზადებდნენ ფოტოაპარატ „ლაიკას“ ერთ მიკრონამდე სიზუსტით, მაგრამ ეს მაინც თამაში იყო. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ შრომასა და თამაშს შორის დიდი განსხვავება არ არის როგორც ფორმის, ისე შინაარსის მიხედვით. განსხვავება მხოლოდ მოტივებშია.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებში სწავლის მიმართ განწყობა სკეპტიკურია, რადგან ისინი თვლიან, რომ სწავლა თამაშთან შედარებით პასიური საქმიანობაა. სწორედ აქ სჭირდება პედაგოგს თავისი ცოდნისა და გამოცდილების მობილიზაცია, რათა სასწავლო პროცესი გავხადოთ ეფექტიანი. იმისათვის, რომ მოსწავლე ხალისით ერთვებოდეს სასწავლო პროცესში, მას უნდა სჯეროდეს, რომ ეს

თამაშის ნაწილია. მაშინ მას დადებითი ემოციური დამოკიდებულება ექმნება ამ პროცესისადმი და შედეგად აუცილებლად დადებითი იქნება.

პედაგოგიური თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როლურ თამაშებს. როლური თამაში ფაქტობრივად იგივეა, რაც შემოქმედებითი თამაში, რადგან თამაშში გარკვეული როლის შესრულება შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს. როლში შესვლისას მოზარდი მოქმედიანობის სრულფასოვანი სუბიექტი ხდება, იგი თვითონ წყვეტს კონკრეტულ ამოცანებს. ეს ავითარებს ბავშვში წარმოსახვისა და აბსტრაქტული აზროვნების ელემენტებს. ამ თვისებების გამო როლური თამაშები დიდი მოწონებით სარგებლობს მოსწავლეებში და ენთუზიაზმით აღავსებს მათ.

სწავლების საშუალო საფეხურზე მუშაობისას დიდი მნიშვნელობა აქვს საქმიან თამაშებს მოსწავლეთა სოციალური ორიენტაციის მიზნით. მაგალითად, მათემატიკაში წრფივი დაპროგრამების ამოცანების სიმპლექს-მეთოდის გამოყენებით ამოხსნის სწავლებას შეიძლება მივცეთ საქმიანი თამაშის სახე, თუ ამოცანაში გამოვიყენებთ რაიმე კონკრეტული ობიექტის საშენი მასალებით მომარაგების მონაცემებს, ხოლო ყველაზე ოპტიმალურ მოდელს მოსწავლეები გადასცემენ სამშენებლო ორგანიზაციას პრაქტიკულად განსახორციელებლად. თამაშის ეს სახე აადვილებს პიროვნების სოციალიზაციას, მის ჩართვას შრომით, საოჯახო, საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

სასწავლო პროცესში გამოყენების თვალსაზრისით თამაშებს შორის მეტად მნიშვნელოვანია ციფრული თამაშები. ელექტრონული თამაშები თანამედროვე ინფორმაციული სამყაროს განუყოფელი ნაწილია, რომელიც ახალ პერსპექტივებს სახავს პედაგოგთა წინაშე. ციფრული თამაშები ავითარებს შემეცნებით, სივრცულ და მოტორულ უნარებს, ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრის უნარის, გუნდური მუშაობის, ლიდერობის, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობის უნარების განვითარებასა და განმტკიცებას. ელექტრონული თამაშების ხიბლი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მოიცავს ვიზუალური, ინტელექტუალური, ხმოვანი და შეგრძნებითი სტიმულების ერთობლიობას, რაც მათ მიმზიდველს ხდის ბავშვებისათვის, ანუ ხელს უწყობს მოტივაციის გაზრდას. ამასთან ერთად, ციფრული თამაშების გამოყენება შემეცნებითი მიზნებისათვის შეიძლება სწავლების ყველა საფეხურზე, თითქმის ყველა საგანში, დაწყებული უმარტივესი ამოცანებით ასოების, რიცხვების, საგნების დასახელების სწავლებიდან, წრფივი დაპროგრამების ამოცანების ჩათვლით. საგანმანათლებლო რესურსად მათი გამოყენების სურვილის შემთხვევაში პედაგოგმა უნდა შექმნას სცენარი, რომლის მიხედვით თამაში ყველაზე სარგებლიანი იქნება მოსწავლეთათვის და ამ სცენარის გათვალისწინებით უნდა შეძლოს სათამაშო სესიის ორგანიზება, ხოლო თამაშის შემდეგ მნიშვნელოვანია თამაშის დროს წამოჭრილი ძირითადი საკითხების გაანალიზება, მათი დაკავშირება მისაღწევ შედეგებთან და მიღებული ცოდნის სიღრმისეულად გააზრება.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ სწავლა არ არის უბრალოდ ინფორმაციის დაგროვება. თუ ჩვენი მოსწავლე ბეჯითად ისწავლის წესებს, ფორმულებს, თარიღებს და ა. შ. ანუ დააგროვებს უამრავ ინფორმაციას, ამით მას ეცოდინება, რომ არსებობს პრობლემები და ამ პრობლემების გადაჭრის გზები, მაგრამ არ (ან თითქმის არ) ექნება ამ პრობლემის პრაქტიკულად გადაჭრისათვის აუცილებელი უნარები, ე.ი. მისი ცოდნა იქნება მხოლოდ დეკლარატიული. იმისათვის, რომ ცოდნა გახდეს პროცედურული, და მით უმეტეს, პირობისეული, იგი უნდა გამოვიდეს „ვიცი“-ს, ანუ სტატიური კატეგორიიდან და უნდა გახდეს დინამიური, ფუნქციური, მოსწავლემ უნდა შეძლოს ცოდნის გამოყენება ადეკვატურად. აქედან გამომდინარე, სწავლა არის პრობლემის გადაჭრის ალგორითმის შექმნა, ანუ პროცესი, რომელშიც ჩართული უნდა იყოს როგორც გონება, ასევე სხეული, სხვადასხვა შეგრძნება ერთდროულად. მხოლოდ ამ ჭრილში განხილვა მოგვცემს ზუსტ ორიენტირებს, თუ როგორ უნდა წარიმართოს სასწავლო პროცესი, რათა მოსწავლეებმა ცოდნა გააზრებულად და საფუძვლიანად შეიძინონ. ამ უმაღლესი პედაგოგიური მიზნის მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მძლავრი იარაღია თამაშით სწავლა-სწავლება, თუმცა პედაგოგის ყოველი ქმედება ამ მეთოდის გამოყენებისას უნდა განხორციელდეს იმის შეგნებით, რომ სწავლა კი არ

ვაქციოთ თამაშად, პირიქით, თამაში ვაქციოთ სწავლის, შემეცნების, ცოდნისა და გამოცდილების დაგროვების პროცესად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაძე. ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნ. (2011) სწავლებისა და სწავლის ინტერაქტიური მეთოდები, აქტივობის ფორმები, შეფასების კრიტერიუმები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. გოგიჩაიშვილი. თ., (2006) ზოგადი ფსიქოლოგიის კურსი. თბილისი: „უნივერსალი“.
3. იაკობ გოგებაშვილი. (1990) რჩეული თხზულებანი, ტომი II. თბილისი: „განათლება“.
4. იმედაძე ირ. (2008) ფსიქოლოგიის ისტორია. თბილისი: „მწიგნობარი“.
5. მალაზონია შ. (2001) პედაგოგიკა. თბილისი.
6. პედაგოგიური ფსიქოლოგია. (1975); პროფ. შ. ჩხარტიშვილის რედ. ნაწილი I, თბილისი: „განათლება“.
7. Амонашвили Ш.А. (1986) Как живёте, дети? Москва: «просвещение».
8. Макаренко А. С. (1958) Сочинения Т.5, Москва.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მეთოდის არსი და მისი გამოყენების პერსპექტივები სასწავლო პროცესში. სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებების შეჯერებით განაალიზებულია თამაშის, როგორც პროცესზე ორიენტირებული ქცევის შინაარსი.

აღნიშნულია, რომ თამაშს გარკვეული მისია აკისრია პიროვნების ფორმირებაში. განსაკუთრებით ღირებულია თამაშის, როგორც აკადემიური, ისე განმავითარებელი ფუნქცია სოციალური აღზრდის პირობებში. როდესაც თამაშს ვიყენებთ სასწავლო პროცესში, არსებითია იმის გარკვევა, თუ კონკრეტულად რა გავლენას ახდენს თამაში მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესის განვითარებაზე და რა ფორმითა და დოზითაა მიზანშეწონილი.

განსაკუთრებული პედაგოგიური დატვირთვა აქვს როლურ, როგორც შემოქმედებით თამაშებს. სწავლების საშუალო საფეხურზე მუშაობისას დიდი მნიშვნელობა აქვს საქმიანი თამაშების გამოყენებას მოსწავლეთა სოციალური ორიენტაციის მიზნით. მეტად მნიშვნელოვანია ციფრული თამაშებიც, რომლებიც ავითარებს შემეცნებით, სივრცულ და მოტორულ უნარებს, ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, გუნდური მუშაობის, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობის და სხვ. უნარების განვითარებასა და განმტკიცებას.

Madona Nikolaishvili - doctorant of school education, I. Gogebashvili Telavi state university.

The role of games, as a method for students to activate their minds

RESUME

In this article, there is examined about the point of this method and perspectives of using games in the learning process. There is summed up considerations of different scientists about game, as it is content of behaviour oriented on process. It is affirmed, that games have a distinct mission in forming a person. Game is very important when growing up a child in social conditions. When we use games in learning process, it is important to find out exactly, what is the effect of games in developing student`s curiosity and what is the best form and doze of using games like that. A special pedagogic importance have creative games. When working for a secondary learning structure, business games have a great use to develop student`s social orientation. Also computer games are very useful to develop knowledge and cognition skills. They also help becoming better in critical thinking, working in a group, getting known with ICT and so on.

Мадона Николаишвили-докторант школы просвещения Телавского государственного университета имени Якова Гогешавили

Игра, как метод активации умственных деяний учеников

Резюме

В статье рассматривается сущность метода и перспективы его применения в учебном процессе, сочетанием различных мнений учёных проанализировано содержание игры, как ориентированного на процесс поведения. Отмечено, что игра имеет определённую миссию в формировании личности. особенно ценны академические и развивающие функции игры в условиях социального воспитания. При использовании игры в учебном процессе важно выяснить, как конкретно влияет игра на познавательные способности учащихся, в какой форме и дозе целесообразно её применить. Особенную учебную нагрузку имеют творческие игры. На старшем уровне обучения большое значение имеет применение деловых игр в целях социальной ориентации. Наиболее важны и цифровые игры, которые развивают познавательные, пространственные и двигательные навыки, способствует развитию и укреплению критического мышления, работы в группе, владению ИКТ и других навыков.

ლილი ქორიძე - წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, განათლების მაგისტრანტი

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვების სწავლების სტრატეგიები

„გახსოვდეს შენი პროფესია ხელობა კი არა ღვთის მსახურებაა“ მასწავლებელთა ათი მცნებიდან ეს ერთერთი ფრაზა ყველაფრის მთქმელია მასწავლებელთა მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე. ღვთისმსახურება იმდენად მრავლის მთქმელია, რომ ნებისმიერი მასწავლებელი დააკავშირებს მას თავის საქმიანობასთან და მიხვდება თუ როგორ უნდა მოექცეს ის მოსწავლეებს განურჩევლად სქესისა, რასისა, რელიგიისა თუ შესაძლებლობებისა. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს ინკლუზიური განათლების მნიშვნელობას დღევანდელ საზოგადოებაში. ინკლუზიური განათლების დამკვიდრება და მართვაც ხომ ღვთისმსახურებაა. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ ვისაც ეს ძალიან სჭირდება.

საქართველოში ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის თემას მხოლოდ ბოლო ათწლეულში მოექცა პროფესიონალთა (ბავშვთა ნევროლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი) განხილვის არეში. შესაბამისად გაჩნდა აღნიშნული სინდრომის არსებობისა და გავრცელების შესწავლის საჭიროება. ჩვენ დეტალურად შევისწავლეთ ზემოთ ხსენებული სინდრომის სიმპტომები თუ კვლევები და მოვარგეთ ჩვენს ქვეყანას, კერძოდ ჩავატარეთ გამოკითხვა ბათუმსა და აჭარის მაღალმთიან რაიონებში ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის გავრცელებაზე და მასწავლებელთა ADHD მქონე ბავშვებთან მუშაობისათვის მზაობაზე.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი ვლინდება ერთერთ მთავარ პრობლემად სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვების სწავლა-განათლებაში. ADHD (Attention deficit hyperactivity disorder) ბავშვთა ასაკის ერთერთი ყველაზე გავრცელებული ნეირობიოლოგიური და ქცევითი (ბიჰევიორული) დარღვევაა, რომელიც ხასიათდება ქცევის ქრონიკული მოშლილობით და ახასიათებს ისეთი თვისებები, როგორცაა მოუსვენრობა, უყურადღებობა, დაუფიქრებლობა, გაფანტულობა, დავალების შესრულებისას ხშირი შეცდომა, ასაკის შესაბამის უნართან შედარებით ინსტრუქციის გაგების სიძნელე, გარკვეული ხნით ყურადღების კონცენტრაციის შეუძლებლობა, საქმიანობის დაგეგმვის, ორგანიზებისა და ბოლომდე მიყვანის პრობლემები, რუტინული საქმიანობის განხორციელების შეუძლებლობა, გულმავიწყობა და ა.შ.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომს მიჰყავს ბავშვი ირგვლივ მყოფ ადამიანებთან ცუდ ურთიერთობებამდე და უარყოფითად მოქმედებს სასწავლო პროცესზე. ასეთი ბავშვები ვერ ითვისებენ სასკოლო გეგმით გათვალისწინებულ მასალას, აქვთ დაბალი თვითშეფასება და არ სჯერათ საკუთარი შესაძლებლობების. ამას შეიძლება დაემატოს აგრესიულობა და ქცევის დარღვევა თანატოლებთან, რაც შეიძლება ზრდასრულ ასაკში გადაიზარდოს ალკოგოლიზმსა და ნარკოტიკების მიმართ მიდრეკილებაშიც კი. ასეთ ბავშვებს უყალიბდებათ ნევროზი და ექმნებათ უდიდესი პრობლემები სოციალურად ადაპტაციაში.

ყდჰს დიაგნოსტიკა საკმაოდ რთული საკითხია. არ არსებობს ყდჰს უნივერსალური მეთოდი. არასწორმა დიაგნოზმა შეიძლება ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანოს. ყდჰს სიმპტომები შესაძლებელია წააგავდეს სხვა პათოლოგიურ დაავადებებს და ასევე შეიძლება ჰქონდეს ჩვეულებრივ ჯანმრთელ ბავშვებსაც, რაც კიდევ უფრო მატებს არასწორი დიაგნოსტიკის საშიშროებას. ერთმანეთში შეიძლება აგვერიოს აქტიური, ცელქი ბავშვები და ყდჰს მქონე ბავშვები. დიაგნოსტიკურ და სტატისტიკურ სახელმძღვანელოში (1997) გამოყოფენ ყდჰს დიაგნოსტიკის 6 აუცილებელ საფეხურს: 1. მშობელთან კონსულტაცია; 2. ბავშვთან კონსულტაცია ოჯახის, სკოლისა და სოციალურ დაკავშირებით; 3. ქცევის შესაფასებელი კითხვარის შევსება; 4. ინფორმაცია სკოლიდან ბავშვის აკადემიური მიღწევების, წერის ნიშნების შესახებ; 5. ფსიქოლოგიური ტესტი IQ; 6. ფიზიკური და ნევროლოგიური გამოკვლევა.

ყდჰს დიაგნოსტიკისთვის ფართოდ იყენებენ ფსიქიკური განვითარების დარღვევების დიაგნოსტიკურ და სტატისტიკურ სახელმძღვანელოების (DSM-IV) და დაავადებათა საერთაშორისო

კლასიფიკაციის (ICD-10) ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის შეფასების კრიტერიუმებს.

ასევე ცნობილია კეით კონერსის(Keith Connors) მასწავლებელთა რეიტინგული შკალა, რომელიც შედგება 28 დებულებისაგან და ასახულია ბავშვის ქცევის სხვადასხვა ასპექტი. კითხვარში რამდენიმე ფაქტორია გამოყენებული: ა) მართვის პრობლემები; ბ) ჰიპერაქტიურობა; გ) უყურადღებობა-პასიურობა; დ) ჰიპერაქტიურობის ინდექსი. ეს შკალა ძირითადად აფასებს მართვის სიმძლეებსა და სკოლაში დაუჯერებლობის პრობლემებს.

ADHD-ის არ იწვევს ერთი კონკრეტული მიზეზი. მკვლევარები ცდილობენ ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზების გენეტიკურ, ბიოქიმიურ, ნეირობიოლოგიურ და გარემო პირობებთან დაკავშირებულ ფაქტორთა ახსნას. ერთ-ერთი მოდელი (კენი 1980) შედგება შემდეგი ურთიერთმოქმედი კომპონენტისაგან: 1. გენეტიკური მიდრეკილება; 2. ჩამორჩენა განვითარებაში; 3. საშუალოზე დაბალი ინტელექტუალური და სოციალური უნარი; 4. აზროვნების სპეციფიკური პრობლემები; 5. არახელსაყრელი გარემო (ნადრევი დაბადება, საკვების ნაკლებობა, მწირი სოციალური დახმარება); 6. ემოციური პრობლემები და ცუდი დამოკიდებულება ოჯახში.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი გაცილებით მეტია ბიჭებში ვიდრე გოგონებში მისი მაჩვენებელი 4:1 ზე მოდის. პოპულაციაში მისი გავრცელების სიხშირე 3–5%-ია, ზოგიერთი კვლევების მიხედვით 2–12%. აღნიშნული სინდრომი ვლინდება ადრეულ ასაკში 7 წლამდე, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მისი დიაგნოსტიკა ხდება მაშინ, როდესაც ბავშვები ხვდებიან სასკოლო გარემოში. მასწავლებელი, რომელსაც ბავშვებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვს ხშირად პირველი ამჩნევს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სიმპტომებს. თბილისში ყდჰს გავრცელებულობაზე ჩატარდა კვლევა, გამოკითხული 1043 ბავშვიდან ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის დიაგნოზი დაესვა 26 ბავშვს(20 ვაჟი და 6 გოგონა). ჩატარებული კვლევის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ქართულ პოპულაციაში ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის სიხშირე 6–7 წლის ასაკში არის 2,6%, ვაჟების შეფარდება გოგონებთან 3:1.

ჩავატარეთ კვლევა ბათუმის, ქობულეთის და მალაღმთიანი რაიონის საჯარო სკოლებში. ჩვენი მიზანი იყო ყდჰს გავრცელების დაახლოებითი სიხშირის დადგენა აჭარაში, რისთვისაც გამოვიყენეთ კონერსისა და DSM-IV შეფასების კრიტერიუმები, შევადარეთ ისინი ერთმანეთს და დავადგინეთ მათი სანდოობა. ზემოთ ხსენებული კითხვარი დაჯერივით მასწავლებლებს, აღმოჩნდა, რომ 500 მოსწავლიდან ყდჰს სიმპტომებით ხასიათდებოდა 35 დან 40 მოსწავლემდე. მაგრამ ეს რატომღაც არ გულისხმობს იმას, რომ ამ ბავშვებს დაესვათ ყდჰს დიაგნოზი. ამას სჭირდება მულტიდისციპლინარული გუნდის ერთობლივი მუშაობა. გარდა ამისა მოვიძიეთ სტატისტიკური ინფორმაცია აჭარაში ყდჰს დიაგნოზირებული ბავშვებისა. აღმოჩნდა, რომ ბათუმში ამ დიაგნოზით მე-6 საჯარო სკოლაში სწავლობს 1 მოსწავლე გოგონა, რომელსაც ამას გარდა კიდევ სხვა თანმხლები დაავადებები ახასიათებს. ასევე ბათუმის მე-14 საჯარო სკოლაში სწავლობს ერთი მოსწავლე -ბიჭი, რომელსაც ახასიათებს გონებრივი ჩამორჩენილობითა და სხვა სიმპტომები.

ჩვენ ასევე მოვიძიეთ ინფორმაცია იმის შესახებ თუ რამდენი მოქმედი მასწავლებელია აჭარაში და აქედან რამდენს აქვს გავლილი ტრენინგი ინკლუზიურ განათლებაში და კონკრეტულად ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მიმართულებით. აღმოჩნდა, რომ ბათუმის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის დაახლოებით 2000–2500 მასწავლებლიდან 2 დღიანი ტრენინგი გავლილი აქვს 659 მასწავლებელს. რაც მიუთითებს იმაზე, რომ აჭარაში საჭიროა კიდევ უფრო ფართო მასშტაბით ჩატარდეს ტრენინგები ინკლუზიურ განათლებაში და გაიზარდოს ტრენინგის საათობრივი მოცულობა, რათა მასწავლებლებმა კარგად გაიზარონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიები. თუ კლასში გვაქვს ყდჰს მქონე მოსწავლე აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ სწავლების შემდეგი სტრატეგიები:

- წინასწარ დავგეგმოთ გაკვეთილი;
- მიმოვიხილოთ განვლილი მასალა;

- დავახოთ გაკვეთილის მოლოდინები – ავეხსენათ მოსწავლეებს, რას გააკეთებენ ისინი გაკვეთილზე;
 - ჩამოვყალიბოთ ქცევის წესები;
 - განვსაზღვროთ სასწავლო მასალა;
 - მივაწოდოთ დამატებითი მასალა;
 - გავამარტივოთ ინსტრუქციები;
 - ვიყოთ პროგნოზირებადი;
 - ხელი შევუწყვოთ მოსწავლის ჩართულობას;
 - გამოვიყენოთ აუდიო–ვიზუალური მასალა;
 - დავეხმაროთ მოსწავლეს შეცდომების გამოვლენაში– აუხსენით მოსწავლეებს როგორ აღმოაჩინონ და შეასწორონ საკუთარი შეცდომები;
 - დავყოთ სამუშაო მცირე ნაწილებად;
 - გამოვიყოთ მთავარი საკითხები;
 - შევამციროთ ფიქსირებულ დროში შესასრულებელი დავალებების რაოდენობა;
 - გამოვიყენოთ ჯგუფური მუშაობა;
 - ვმართოთ ხმაურის დონე;
 - აქტიურად გამოვიყენოთ პოზიტიური ქცევის წახალისების სტრატეგია;
 - შევვალოთ წახალისების მეთოდი და შინაარსი;
 - შექებისას ვიყოთ თანმიმდევრული და სამართლიანი
 - შერჩევით უგულვებელყოთ ზოგიერთი ნეგატიური ქცევა;
 - მივცეთ მოსწავლეს გარეთ გასვლის საშუალება;
 - დავამყაროთ მოსწავლესთან ვიზუალური კავშირი;
 - ვასწავლოთ სოციალური უნარ–ჩვევები;
 - სწორად შევურჩიოთ ადგილი -დავსვათ ფანჯრიდან და კარებიდან მოშორებით;
 - სწორად შევარჩიოთ სასკოლო ავეჯი;
- სწორად შერჩეული სწავლების სტრატეგიები საშუალებას მოგვცემს ყდჰს მქონე მოსწავლე გამოჩენილ ადამიანად ვაქციოთ. მათ ახასიათებთ ძლიერი მხარეები, როგორცაა: კრეატიულობა, იმპროვიზირების უნარი, კონტაქტის ადვილად დამყარება. მოძრავ და სპორტულ დავალებებში აქტიურობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. გაგოშიძე – „ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები“. თბილისი 2007.
2. ა. ლალიძე, მ. ბაგრატიონი, თ. პაჭკორია– „ინკლუზიური განათლება“. თბილისი, 2009;
3. თ. პაჭკორიას რედაქციით. „ვისწავლოთ ერთად–ინკლუზიური განათლება“. თბილისი, 2008;
4. ბროშურა– რა უნდა ვიცოდეთ ყურადღების დეფიციტსა და ჰიპერაქტივობის სინდრომის შესახებ. თბილისი 2009.
5. Richard A. Lougy, David K. Rosenthal, ‘ADHD- A survival guide for Parents and Teachers’. USA 2002;
6. Elizabeth P. Sparlow- ‘Essentials of Connors Behaviour Assessments’ 2010 Canada, New Jersey.
7. Ю. В. Микадзе – «Нейропсихология детского возраста- учебное пособие» СПб.: Питер 2013

რეზიუმე

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე სკოლა ვალდებულია განახორციელოს მხარდამჭერი ინიციატივები, რაც ხელს შეუწყობს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის მქონე მოსწავლის სწავლებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა დაიგეგმოს სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები, გამოყენებული მასალა, სახელმძღვანელოები. ინკლუზიური განათლების მიდგომის თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და მის სასწავლო პროცესში ჩართვა უმთავრესი პრიორიტეტია.

Lili Koridze- Saint T. Abuserisdze learning University. Master of education.

Learning Strategies of pupils with Attention Deficit Hyperactive Disorder.

Abstract

According to all above, school is obliged to implement supporting initiatives, what will help teaching pupils with Attention Deficit and Hyperactive Disorder. An Individual Learning Plan should include detailed learning strategies, learning activities, used materials and text-books. According to Inclusive education, attending pupils with special needs in school providing general education and in its learning process is the main priority.

ЛИЛИ КОРИДЗЕ - ТБЕЛИ, МАГИСТРАНТ ПЕДАГОГИЧЕСКИХ НАУК

Обучением Детей с Синдромом Дефицита Внимания и Гиперактивности

РЕЗЮМЕ.

Исходя из всего вышеизложенного, общеобразовательная школа обязана поддерживать все инициативы, связанные с обучением детей с синдромом дефицита внимания и гиперактивности (СДВГ). В рамках индивидуальной учебной программы должна быть детально разработана стратегия учебы и учебная активность, используемые материалы, учебные пособия. Включение детей специальной образовательной программы в систему школ общего образования и их в учебный процесс – главнейший приоритет.

ლალი (ზარბარე) აბდალამე - გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

უცნობი მასალები რელიგიური განათლების შესახებ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში (მე-19 საუკუნის ბოლოს)

მარტვილი უძველესი დროიდან ცნობილია, როგორც განათლებისა და კულტურის დიდი კერა. ისტორიული და კულტურული წარსულის გამო 1830 წელს სასულიერო სასწავლებელი სწორედ აქ დაფუძნდა. მე-19 საუკუნის ბოლოს სამეგრელოში ის ერთადერთი ოფიციალური და რელიგიური სასწავლებელი იყო (1. გვ. 4), ამასთან, საქართველოს ეგზარქოსს დაქვემდებარებულ ახალ სასულიერო სასწავლებლებს შორის (თბილისისა და ქუთაისის შემდეგ) რიგით მესამე, სადაც სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე წარმოებდა და მიზნად ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გატარებას ისახავდა.

1831 წლიდან მარტვილის სასულიერო სასწავლებელი თბილისის სემინარიის გამგეობას დაუქვემდებარეს (2. გვ. 164), 1894 წლიდან კი – ქუთაისის სასულიერო სემინარიას (4. საქ. 2146), რომლის ოლქიც განისაზღვრა დასავლეთ საქართველოს სამი (ქუთაისის, ოზურგეთისა და სამეგრელოს) სასულიერო სასწავლებლებით.

აღნიშნული სასწავლებლის შენობა არაერთგზის დაიწვა: 1873წ., 1874წ., 1881წ., 1897წ., 1881წ. მორიგმა ხანძარმა და თბილისის სარკინიგზო ხაზის გაყვანამ, რამაც აქ მოსახლეობის სწრაფი ზრდა გამოიწვია, განაპირობა სასწავლებლის ახალსენაკში გადატანა (1.4). ამ დროიდან იგი ეკუთვნოდა იმერეთის ეპარქიას, რომელსაც მართავდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე).

ქუთაისის ცენტრალურ არქივში ჩვენ მიერ მოკვლეულია 165- ფურცლიანი დოკუმენტი (3.104) – სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის 1897 წლის რევიზიის მასალები – წარმოადგენს 1897/98 სასწავლო წლის მონაცემებს და სრულად ასახავს მარტვილის სასულიერო სკოლაში რელიგიური განათლების სავალალო მდგომარეობას. მასალებს ხელს აწერს ქუთაისის სემინარიის მმართველობის წევრი, მასწავლებელი, ღვთისმსახურების მაგისტრი ნიკოლოზ არხანგელსკი, ვის შესახებაც ნ. დურნოვო ნაშრომში „ბედი ქართული ეკლესიისა“ წერს, რომ იგი არის ქუთაისის სემინარიის ყოფილი რექტორი, პოლიტიკანი და „მიაღწია იმას, რომ ყველა ქართული სასულიერო სასწავლებლიდან გააძევიბინა ქართველი პედაგოგები“.

ავტორის მიერ სარევიზიო მასალებში წარმოდგენილია ინფორმაცია მოსწავლეთა საეკლესიო-რელიგიური სწავლა-აღზრდის, საეკლესიო-სლავური და ქართული საეკლესიო გალობის, საღმრთო ისტორიისა და კატეხიზმოს სწავლების საკითხების, საგნობრივი სისტემის, სწავლისა და სწავლების შედეგების, მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის, ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდის მეთოდების, პედაგოგიური რესურსების, სწავლების დონის ასამაღლებლად გატარებული ღონისძიებების შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება დარღვევები სასწავლო პროცესში, მასწავლებელთა თანამდებობებზე დანიშნისას, სამეურნეო ნაწილში, სარევიზიო კომიტეტების საქმიანობაში. გამოიკვეთა ყოვლადუსამღვდელოეს გაბრიელის დამოკიდებულება სასწავლო პროცესისა და ზედამხედველის მიმართ, სასწავლებლის მმართველობის საქმიანობის დეტალები.

მოცემულია სტატისტიკური მონაცემები სასწავლებელში მოსწავლეთა კონტიგენტის შესახებ კლასების მიხედვით, ასაკისა და აკადემიური მოსწრების ჩვენებით, დაწვრილებითაა აღწერილი მოსწავლეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები. ფაქტია, რომ სკოლა არ გამოირჩეოდა დიდი ფინანსური შესაძლებლობებით და სოციალური საკითხების მოგვარებით.

წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ მარტვილის სასულიერო სასწავლებელში იყო სამსაფეხურიანი სწავლება, რომელიც მოიცავდა 4 კლასს: ა) დაბალი (I-II კლასები) – 80 მოსწავლე, 10 წლიდან 16 წლამდე ასაკის; ბ) საშუალო – 34 მოსწავლე, 11 წლიდან 18 წლამდე; გ) უმაღლესი

განყოფილების მოსამზადებელი – 50 მოსწავლე, 11 წლიდან 18 წლამდე. ამავე დროს, დიდი ასაკობრივი სხვაობა მოსწავლეებს შორის დასაშვები იყო.

ქვემოთ მივუთითებთ იმ მიზეზებს, რომლებმაც, რევიზორის დასკვნით, განაპირობა სასწავლებელში რელიგიური და საეკლესიო აღზრდის სავალალო მდგომარეობა:

პირველი არის ის, რომ სასწავლებელს არ ჰქონდა საკუთარი ეკლესია და მოსწავლეთა ნახევარი თითქმის მთელი წლის განმავლობაში მოკლებული იყო ლიტურგიაზე დასწრების შესაძლებლობას. თავადმა დ. მხეიძემ შესთავაზა სასწავლებელს, ესარგებლა მისი საკუთარი, ქალაქგარეთ მდებარე ეკლესიით, მაგრამ მას სასწავლებელი იშვიათად იყენებდა და უპირატესობას ანიჭებდა კლასებში მოკლე მსახურების ჩატარებას.

ამავე დროს, მოსწავლეებმა არ იცოდნენ საეკლესიო კითხვა არც სლავურად, არც ქართულად და ეკლესიის წინამძღვრის მიერ ჩატარებულ მსახურებას ახასიათებდა ბევრი ნაკლი: გაუნათლებლობა, უცოდინრობა, უგულობა, დაუდევრობა, რის გამოც მასალებში უარყოფითადაა შეფასებული სასწავლებლის მღვდლის, მოსამზადებელი კლასის უმაღლესი განყოფილების პედაგოგ ვლადიმერ ელიავასა და ახალსენაკის ეკლესიის წინამძღვარ არისტარხ კალანდარაშვილის საქმიანობა.

მეორე და ყველაზე მთავარ მიზეზად რევიზორი მიიჩნევს ზედამხედველ გოლუბევის სრულ გულგრილობას ღვთისმსახურებისადმი, რომელიც სრულდებოდა ნაჩქარევად, უგულისყუროდ, წესების დარღვევით. საჭირო წიგნები არც ეკლესიაში იყო და არც სასწავლებელში. მეოთხე კლასის მოსწავლეებს წარმოდგენაც არ ჰქონიათ ზიარების შემდგომ ლოცვებზე. ზედამხედველი მოსწავლეებს ცუდ მაგალითს აძლევდა: მარხვის დროს ბანქოს თამაშობდა, ნადირობდა, ზოგჯერ კი ახალსენაკის საზოგადოების მხრიდან შეურაცხყოფის ობიექტი ხდებოდა. რევიზორი ამხელს მას, როგორც ამორალურ პიროვნებას, რომელმაც განადგურებამდე მიიყვანა საცოდავი სასულიერო სასწავლებლის ინტერესები და შეარცხვინა რუსის სახელი „იმ მხარეში, სადაც რუსები მოწოდებულნი არიან განათლების, პატიოსნების და კულტურის გასატარებლად“, ამასთან, სამართლიანად მოითხოვა სასწრაფოდ მისი ჩამოშორება თანამდებობიდან.

ეს განცხადება, რევიზორის დასკვნის შედეგი, ემსახურება სასწავლებლის რეპუტაციის აღდგენასა და სწავლების ხარისხის ამაღლებას. ნ. არხანგელსკი უკმაყოფილო იყო აღმზრდელთა რელიგიური განწყობით. მიაჩნდა, რომ რელიგია და ეკლესიურობა უკანა პლანზე იდგა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში, რაზედაც მეტყველებდა თუნდაც ხატების არათვალსაჩინო ადგილას განთავსებისა და მათ მიმართ დაუდევრად მოპყრობის ფაქტი. ერთადერთი რამ, რაც დადებითად შეაფასა, იყო გულსაკიდი ჯვრების ტარება მოსწავლეების მიერ. არხანგელსკი სამწუხარო მოვლენად თვლიდა ლოცვის მიმართ არასწორ დამოკიდებულებას, რის გამოც ლოცვა აუჩქარებლად და გულმოდგინედ არ იკითხებოდა. ბუნებრივია, რელიგიური მოთხოვნილებებით დაუკმაყოფილებელი, ეკლესიის სათანადო ზეგავლენასა და ღვთისმსახურებას მოკლებული სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები მორალურ-ზნეობრივად უხეში და მწელად აღსაზრდელები უნდა ყოფილიყვნენ.

პედაგოგიური პერსონალი შედგებოდა 12 ადამიანისაგან (ზედამხედველის გარდა). რევიზორის შენიშვნით, ამ დიდი ინტელიგენტური ძალის სწორად წარმართვა აუცილებლად მოითხოვდა კარგ შედეგებს, მაგრამ რეალურად, აღნიშნული სასწავლებლიდან, რომელსაც ჰყავდა სამასამდე მოსწავლე, სემინარიაში სწავლას აგრძელებდა 3 ან 4. სემინარიაში საგამოცდო კომისია ხშირად აღნიშნავდა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა ცოდნის დაბალ დონეს. მათ არ იცოდნენ მარხვის, დღესასწაულების, მართლმადიდებლური ტაძრის აგებულების, სადღესასწაულო ღვთისმსახურებების, საეკლესიო მსახურების რიგის, ნეტარების მცნებების, სარწმუნოების სიმბოლოების შესახებ ბევრი რამ.

როგორც ჩანს, თავად პედაგოგებსაც აღელვებდათ სასწავლებელში მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრების საკითხი და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით სთავაზობდნენ მმართველობას სწავლების ახალ სისტემას, კერძოდ, კლასობრივის ნაცვლად საგნობრივი სისტემის შემოღებას. აღნიშნულის განხორციელება ხელს შეუწყობდა მასწავლებელთა დახელოვნებას და მოსწავლეთა უფრო უკეთ და სწრაფად განვითარებას, თითოეული საგნის

სწავლებით მისი შესაბამისი მასწავლებლის მიერ. ამ მოსაზრებას ეთანხმება და სრულად ითვალისწინებს რევიზორი არხანგელსკი.

ჩვენთვის ასევე საყურადღებოა ინფორმაცია თავად მასწავლებელთა შესახებ, რომელთა დახასიათებასაც ვეცნობით სარევიზიო ნაშრომში.

უმცროსი განყოფილების მოსამზადებელი კლასის მასწავლებელი, ს. ძიმისტარიშვილი, მიუხედავად დაბალი ცენზისა, შეფასებულია, როგორც საკმაოდ გამოცდილი ადამიანი, რომლის წარმატებასაც ხელს უშლიდა სასწავლებელში შექმნილი უკონტროლობისა და განუკითხაობის გარემო, ამავე კლასის საშუალო განყოფილების პედაგოგი ტ. ჯოხთაბერიძე კი გაკრიტიკებულია ლოცვის მექანიკურად, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე სწავლების გამო.

ქართულ ენას ასწავლიდა სემინარიის სტუდენტი ს. მატარაძე. სამწუხაროდ, ბევრმა მოსწავლემ არ იცოდა ზეპირად ლოცვები და გალობანი, სარწმუნოების სიმბოლოები, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საკითხი, არ ისწავლებოდა ზნეობრივ-რელიგიური შინაარსის სტატიები. სკოლა ვერ უზრუნველყოფდა ტაძრისთვის მკითხველების მომზადებას.

ქართულ საეკლესიო გალობას ასწავლიდა დ. ჭალაღანიძე, რომლის პედაგოგიური ნიჭისა და გულმოდგინების წყალობითაც ბავშვები კარგად მღეროდნენ, მაგრამ რევიზორს არ აკმაყოფილებს ეს ფაქტი და მიუთითებს ქართული სასულიერო სასწავლებლის დიდ როლსა და მნიშვნელობას ქართული და სლავური გალობის დაახლოების საქმეში, თვლის, რომ სლავური კილოებითა და მოტივებით უნდა შესრულდეს ქართული გალობა. ასევე დამაკმაყოფილებლად აფასებს საღვთო ისტორიის სწავლების საკითხს, რომელსაც უძღვება ზედამხედველის თანაშემწე, ღვთისმეტყველების კანდიდატი, დ. ალაღოვი. რაც შეეხება კატეხიზმოსა და საეკლესიო წესდების სწავლებას, ეს საკითხი წინა რევიზიის მასალებშიც მკაცრი კრიტიკის საგანია, გამომდინარე იქიდან, რომ მათი მასწავლებელი, სასწავლებლის ზედამხედველი თ. ბოგოლუბოვი „ხშირად არ ამთავრებს აზრს და უყურადღებოა მოსწავლეთა მიმართ... მოსწავლეთა ცოდნა შემოიფარგლება სახელმძღვანელოს დაზეპირებით“.

მარტვილის სასულიერო სასწავლებელი რელიგიური და პედაგოგიური აზროვნების ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია. კვლევის შედეგები ქვეყნის იმდროინდელი სოციალ-კულტურული და პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების კუთხით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ლიტერატურა:

1. მიქაძე ი, გაგუა.ვ. ძველი სენაკის საშუალო სკოლა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1978 წ., გვ.4.
2. ხუნდაძე ტ., ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნე), საქ. სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიური ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 1951 წ., გვ.164.
3. ქცა. ფ.5 საქ. 104.
4. ქცა. ფ.21, საქ. 2146.

რეზიუმე

მე-19 საუკუნის ბოლოს სამეგრელოში ერთადერთი ოფიციალური და რელიგიური სასწავლებელი იყო მარტვილის სასულიერო სკოლა. აღნიშნული სასწავლებლის 1897 წლის რევიზიის მასალებში, რომელსაც ხელს აწერს ქუთაისის სემინარიის მმართველობის წევრი, ღვთისმსახურების მაგისტრი ნ. არხანგელსკი, ასახულია იქ არსებულის სასულიერო განათლების სავალალო მდგომარეობა.

ხორციელდებოდა რელიგიური რუსიფიკაციის პროცესი, სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე წარმოებდა და რუსეთის იმპერიულ ინტერესებს ექვემდებარებოდა. 1894 წლიდან მარტვილის სასულიერო სასწავლებელი გადაეცა იმერეთის ეპარქიას, რომელსაც მართავდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე).

მასალებში წარმოდგენილია ინფორმაცია მოსწავლეთა საეკლესიო-რელიგიურისწავლა-აღზრდის, ქართული საეკლესიო გალობის, საღმრთო ისტორიისა დაკატეხიზმოს სწავლების საკითხების, მოსწავლეთა კონტიგენტის, ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდის მეთოდების, პედაგოგიური რესურსების, სწავლების დონის ასამაღლებლად გატარებული ღონისძიებების შესახებ.

მარტვილის სასულიერო სასწავლებელი რელიგიური და პედაგოგიური აზროვნების ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია. კვლევის შედეგები ქვეყნის იმდროინდელი სოციალ-კულტურული და პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების კუთხით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

Lali (Barbare) Abdaladze - The Dean of the Faculty of Christian Art of Gelati Ecclesiastical Academy, PhD student of Akaki Tsereteli State University

Formerly Unknown Materials on Religious Education in a Mengrelian School (90s of XIXc.) Abstract

At the end of the XIX c. the only official and religious school in Samegrelo was Martvili ecclesiastical school. The materials of the school inspection in 1897 signed by N. Arkhangelsky, Master of Theology and a member of the board of Kutaisi Seminary, reveal dismal state of religious education provided there.

The process of religious Russification was in progress. Teaching was conducted only in Russian and was guided by the interests of Russian empire. From 1894 Martvili ecclesiastical school was placed under control of Imereti eparchy headed by Bishop Gabriel (Kikodze).

The existing materials provide information on ecclesiastical and religious education of pupils, Georgian church hymns, the issues in teaching religious history and catechism, student population, methods of physical and moral education, academic staff, and measures directed at raising the level of teaching.

Martvili ecclesiastical school is an interesting part of the history of religious and pedagogical thinking. The research findings are of particular importance in evaluating social, cultural, political and economic environment in the country at the time.

Лали (Варвара) Абдаладзе - декан христианского искусства Гелатской духовной академии, докторант Государственного университета им. Акакия Церетели

Неизвестные материалы о религиозном образовании в учебном заведении Мегрелии (90-е годы XIX в.) Резюме

В конце XIX в. в Мегрелии единственным официальным и религиозным учебным заведением являлась Мартвильская духовная школа. В материалах ревизии указанного учебного заведения за 1897 год, подписанных членом правления Кутаисской семинарии, магистром богословия Н. Архангельским, отражено существующее там плачевное состояние духовного образования.

Осуществлялся процесс русификации, обучение велось только на русском языке и подчинялось интересам Российской империи. С 1894 года Мартвильское духовное учебное заведение было передано под начало Имеретинской епархии, которой управлял Владыка Габриэль (Кикодзе).

В материалах представлена информация о вопросах церковно-религиозного обучения и воспитания учащихся, о вопросах обучения грузинскому церковному песнопению, Божьей истории и Катехизису, о контингенте учащихся, методах нравственного и физического воспитания, педагогических ресурсах, о мероприятиях, проведенных с целью повышения уровня обучения.

Мартвильское учебное заведение – одна из интереснейших страниц в истории религиозного и педагогического мышления. Результаты исследования приобретают особое значение с точки зрения тогдашнего социально-культурного и политико-экономического положения страны.

ქეთევან კობრიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტის დოქტორანტი

მასწავლებლის პედაგოგიური უნარ-ჩვევები და მათი გამოყენების თავისებურებები

პედაგოგიური პროფესია ორმაგ ფუნქციას ასრულებს - პიროვნების გარდაქმნასა და მის მართვას. ხოლო იმისათვის, რომ პიროვნების განვითარება ვმართოთ, უნდა ვიყოთ კომპეტენტური. მასწავლებლის პროფესიული კომპეტენტურობა გამოიხატება მისი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული პედაგოგიური საქმიანობის ერთობლიობაში, რაც მის პროფესიონალიზმზე მეტყველებს. მასწავლებლის პროფესიულ კომპეტენტურობას თავისი სტრუქტურა გააჩნია. მის საფუძველს წარმოადგენს თავად პედაგოგის ცოდნა, და განსკუთრებით ამ ცოდნის გამოყენების, როგორც ზოგადი ისე კერო უნარები. ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო ზოგად უნარად ითვლება პედაგოგიური აზროვნება და მოქმედება, რომელსაც ექვემდებარება ფაქტებისა და მოვლენების თეორიული ანალიზი. დასახელებული უნარები შეილება გამოვლინდეს ინტუიციურ, ემპირიულ და თეორიულ დონეზე. მასწავლებლის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენებაში გამოიხატება მისი პედაგოგიური ხელოვნება,

მასწავლებელი სწორედ ხელოვნებისა და პროფესიული მზადყოფნის წყალობით ახერხებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სათანადო უნართა შერჩევასა და გამოყენებას. ისიც ფაქტია, რომ ეს არ არის მხოლოდ პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ცოდნის შეჯამება. ჩვენი აზრით, მთავარი მისი პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება, რომლის საფუძველზე მასწავლებელმა უნდა გამოამჟღავნოს არა მხოლოდ ზოგადი პედაგოგიური აზროვნება, არამედ ანალიტიკური, პროგნოსტიკული, პროექტული და რეფლექსური უნარები.

ანალიტიკური უნარის მეშვეობით ვლინდება პედაგოგიური აზროვნება. მისი საშუალებით შესაძლებელია მასწავლებლის პედაგოგიური ხელოვნების კრიტერიუმის დადგენა. ანალიტიკური უნარი შედგება რიგი უნარებისაგან:

- პედაგოგიური მოვლენის დანაწევრება შემადგენელ ნაწილებად (პირობები, მიზეზები, მოტივები, სტიმულები, საშუალებები, გამოვლენის ფორმები);
- ფაქტორების თეორიული ანალიზი;
- პედაგოგიური მოვლენის დიაგნოსტიკა, საჭირო ამოცანების განსაზღვრა;
- მოცემული ფაქტის ან მოვლენის გამოკვეთა, მისი გამოყოფა სხვა ფაქტორებიდან და მოვლენებიდან;

პროგნოსტიკული უნარი გულისხმობს სოციალური პროცესების მართვას, რომელსაც ყოველთვის მოსდევს შედეგი. პედაგოგიური პროფესიის თავისებურებიდან გამომდინარე, მიზანდასახულობა და ამოცანის გადაწყვეტის საშუალებათა ანალიზი ქმნის პედაგოგიურ სიტუაციას, რომლის შედეგის წინასწარ დანახვა და გააზრება შესაძლებელია მხოლოდ მასწავლებლის მიერ თავად პედაგოგიური პროცესის არსისა და ლოგიკის ცოდნის საფუძველზე.

პროგნოსტიკული უნარების შემადგენლობა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

- პედაგოგიური ამოცანებისა და მიზნების დასახვა;
- პედაგოგიური მიზნების მიღწევის საშუალებების შერჩევა;
- შედეგის შესაძლო გადახრებისა და არასასურველი მოვლენის წინასწარი გათვლა;
- პედაგოგიური პროცესის ეტპების განსაზღვრა;
- დროის განსაზღვრა და მოსწავლეებთან ერთად აქტივობის ერთობლივი დაგეგმვა;

პროგნოსტიკული უნარები პროგნოზის ობიექტის მიხედვით შეიძლება გავაერთიანოთ სამ ჯგუფად:

1. კოლექტივის განვითარების პროგნოზირება, მისი სტრუქტურის დინამიკა;
2. პიროვნების განვითარების პროგნოზირება (მისი პიროვნულ-საქმიანობრივი თვისების, ნებისა და ქცევის, პიროვნების განვითარების გადახრების, თანატოლებთან ურთიერთდამოკიდებულების სირთულეები);

3. პედაგოგიური პროცესის განვითარების პროგნოზირება (სასწავლო მასალის აღმზრდელობითი, საგანმანათლებლო და განმავითარებელი საშუალებების, სწავლებისა და აღზრდის მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების შედეგების გამოყენება);

პედაგოგიური პროგნოზირება მასწავლებლისაგან მოითხოვს ისეთ მაპროგნოზირებელ უნარებს, როგორცაა მოდელირება, ჰიპოთეზის წამოჭრა და გამოყენება, აზრობრივი ექსპერიმენტი და სხვა.

პროექტული უნარების სამეული: ანალიზი - პროგნოზირება - პროექტი გულისხმობს უნართა სპეციალური ჯგუფის გამოყოფას, რომელიც ვლინდება პედაგოგიური პროგნოზირების შედეგების მატერიალიზაციაში სწავლებისა და აღზრდის კონკრეტულ გეგმებში. აღმზრდელობითი პროექტის შემუშავება ნიშნავს, პირველ რიგში, სწავლებისა და აღზრდის მიზნების გადატანას პედაგოგიურ ენაზე, მათ მაქსიმალურ კონკრეტიზაციასა და ეტაპობრივი რეალიზაციის დასაბუთებას. შემდეგი ნაბიჯი არის აქტივობის შინაარსისა და ფორმების განსაზღვრა რომლის განხორციელება მოსწავლეების მიერ უზრუნველყოფს მაპროგნოზირებელი თვისებების განვითარებას.

რეფლექსური უნარების გამოყენება ხდება მასწავლებლის მიერ საკონტროლო - შეფასებითი მოქმედების დროს. მას უკავშირებენ პედაგოგიური ამოცანის გადაჭრის საბოლოო ეტაპს, როგორც თავისებურ პროცედურას საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი საქმიანობის შედეგების შესაჯამებლად. ამისდა მიუხედავად, ცნობილია კონტროლის სხვადასხვა სახეები:

1. კონტროლი მიღებული შედეგების მოცემულ ნიმუშებთან შედარების საფუძველზე;
2. კონტროლი ფაქტიურად შესრულებული მოქმედების მზა შედეგების ანალიზის საფუძველზე.

თითოეული ამ კონტროლის სახეს ერთნაირად აქვს ადგილი პედაგოგიურ საქმიანობაში, თუმცა ეტაპობრივად არის დანაწილებული პედაგოგიური ამოცანის გადასაჭრელად. მიგვაჩნია, რომ კონტროლის ამ სახეობათა ეფექტურად განხორციელებისათვის პედაგოგს უნდა ჰქონდეს რეფლექსიის უნარი, რომელიც საშუალებას მისცემს გონივრულად და ობიექტურად გაუკეთოს ანალიზი საკუთარ მსჯელობებს, ქცევებს, ჩანაფიქრის განხორციელების თვალსაზრისით. რეფლექსია ხომ არა მხოლოდ, სუბიექტის მიერ საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის გაცნობიერება და ცოდნა, არამედ იმის გარკვევაც, თუ რამდენად იციან და ესმით სხვებს (მოსწავლეებს, კოლეგებს, მშობლებს) პიროვნების, მისი ემოციის და შემეცნების.

მასწავლებლის პრაქტიკული მზადყოფნის შინაარსი გამოიხატება გარე უნარებში, ე.ი. მოქმედებაში, რომელზეც თვალის დევნება შესაძლებელი. მათ მიეკუთვნება ორგანიზატორული და კომუნიკაციური უნარები.

ორგანიზატორულ უნარებს მიეკუთვნება: მობილიზაციური, საინფორმაციო, განმავითარებელი და საორიენტაციო.

მობილიზაციური უნარები უკავშირდება ბავშვის ყურადღების მიპყრობასა და სწავლის მიმართ მათი მყარი ინტერესების განვითარებას, აქტივობის სხვადასხვა ფორმებით დაინტერესებას, ცოდნის მოთხოვნილების ჩამოყალიბებას, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საფუძველებით შეიარაღებას, წახალისებისა და დასაჯის მეთოდების გონივრულად გამოყენებას, სამუშაოს დაგეგმვას, ობიექტურ შეფასებას და სხვა.

საინფორმაციო უნარებს მიეკუთვნება სასწავლო ინფორმაციის უშუალო გადმოცემა, სხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვების და დიდაქტიკურად მისი გადამუშავების უნარები, მასალის გადმოცემის ინდუქციური და დედუქციური მეთოდების ორგანულად გამოყენება, ახალ მეთოდთა სისტემის განვითარება, რომელიც დამახასიათებელი არ არის დღევანდელი სკოლისათვის, ტექნიკური საშუალებების გამოყენება, მოსწავლის მიერ ახალი მასალის ათვისების ხარისხის ოპერატიულად დიაგნოზირების უნარი და სხვა.

განმავითარებელი უნარები ითვალისწინებს მოსწავლეთა „განვითარების უახლესი ზონის“ განსაზღვრას (ლ.ვიგოტსკი): აღსაზრდელთა შემეცნებითი პროცესების, გრძობებისა და ნების განვითარებისათვის შესაბამისი პრობლემური სიტუაციებისა და პირობების შექმნას, შემეცნებითი დამოუკიდებლობისა და შემოქმედებითი აზროვნების სტიმულირებას, ლოგიკური და

ფუნქციონალური დამოკიდებულების დამყარებას, კერძოდან ზოგადისაკენ, მიზეზიდან შედეგამდე, კონკრეტულიდან აფსტრაქტულამდე (მიზეზი - შედეგი, მიზეზი - საშუალება, ხარისხი - რაოდენობა, მოქმედება - შედეგი), სწავლების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას, რომელიც ასაკობრივი ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, პედაგოგიკისა და სასწავლო ჰიგიენის მონაცემების შესატყვისი იქნება, მოსწავლეებისადმი ინდივიდუალურ მიდგომას და სხვა.

საორიენტაციო უნარები მიმართულია იმისკენ, რომ მოსწავლეებში დავნერგოთ სასწავლო საქმიანობისა და პროფესიული მოღვაწეობისადმი მტკიცე ინტერესი, მათი შესაძლებლობებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე ერთობლივი შემოქმედებითი საქმიანობის ორგანიზაცია, რომლის მიზანია პიროვნების სოციალურად მნიშვნელოვანი თვისებების განვითარება.

რა თქმა უნდა, ჩვენს მიერ ჩამოთვლილი და განხილული ზოგადპედაგოგიური ორგანიზატორული უნარები არ ამოწურავს ყველა უნარს, რომელიც აუცილებლად სჭირდება ყველა მასწავლებელს. მასწავლებელი, აგრეთვე უნდა ფლობდეს კომუნიკაციური კვლევითი მოქმედების უნარებს. ასე მაგალითად, სიტყვის მეშვეობით პედაგოგი უყალიბებს მოსწავლეებს სწავლის დადებით მოტივაციას, შემეცნებით მიმართულებას და ქმნის ერთობლივი შემეცნებითი ძიებისა და მსჯელობის ფსიქოლოგიურ გარემოს. სიტყვის მეშვეობით კლასში იქმნება ფსიქოლოგიური გარემო, დაძლეული ხდება პიროვნული ბარიერები, ყალიბდება პიროვნებათშორისი დამოკიდებულებები და სხვა.

კომუნიკაციური უნარები სტრუქტურულად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: პერცეფტული უნარებისა და პედაგოგიური ურთიერთობის უნარების სახით.

პერცეფტული უნარები ითვალისწინებს პირველ რიგში, სხვა ადამიანთა ფასეულობითი კომპენტაციების ცოდნას.

პედაგოგიური ურთიერთობის უნარები. პედაგოგი მომავალი ურთიერთობის მოდელირების ეტაპზე უპირველესად თავის მეხსიერებასა და აღქმის უნარს ეყრდნობა. მან აზრობრივად უნდა აღიდგინოს კლასთან და ცალკეულ მოსწავლეებთან ურთიერთობის თავისებურებანი. ამასთან უნდა ახსოვდეს მათი ინდივიდუალური თავისებურებანი, რომელიც მათ რეაქციებსა და ქცევებში ვლინდება. ამ ეტაპზე მასწავლებლის წარმოსახვის უნარი ვლინდება საკუთარი თავის სხვის ადგილზე წარმოდგენით, ანუ მასთან იდენტიფიცირებით, მისი თვალებით სამყაროს და მასში მიმდინარე მივლენების დანახვით.

პედაგოგიური ურთიერთობის წარმატებული მართვა მოითხოვს ყურადღების განაწილებისა და მისი შენარჩუნების უნარს, მთელი კლასისა და ცალკეულ მოსწავლეთა მიმართ შესაბამისი მოპყრობისა და მიდგომის შერჩევას, რომელიც უზრუნველყოფს მათ მზადყოფნას ინფორმაციის მიღებისათვის და აღქმისათვის, ეხმარება ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვაში, აახლოებს მოსწავლეს მასწავლებელთან, ქმნის კლასში კეთილ ატმოსფეროს და სხვა.

ამდენად, პედაგოგიური უნარები წარმოადგენენ წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობის არა მარტო პირობას, არამედ მის შედეგსაც. იგი პიროვნების აზროვნების, გრძნობისა და ნებისყოფის მრავალი თვისების სინთეზს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. ბასილაძე, ქეთევან ძოწენიძე „მასწავლებლის პედაგოგიური ხელოვნება“;
2. Слостенин В.А „Педагогика“, Москва 2000г;

რეზიუმე

პედაგოგიური პროფესია ორმაგ ფუნქციას ასრულებს - პიროვნების გარდაქმნასა და მის მართვას. ხოლო იმისათვის, რომ პიროვნების განვითარება ვმართოთ, უნდა ვიყოთ კომპეტენტური. მასწავლებლის პროფესიული კომპეტენტურობის საფუძველს წარმოადგენს თავად პედაგოგის ცოდნა და განსკუთრებით ამ ცოდნის გამოყენების, როგორც ზოგადი, ისე კერძო უნარები.

მასწავლებლის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენებაში გამოიხატება მისი პედაგოგიური ხელოვნება. სწორედ ხელოვნებისა და პროფესიული მზადყოფნის წყალობით ახერხებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სათანადო უნართა შერჩევასა და გამოყენებას. ისიც ფაქტია, რომ ეს არ არის მხოლოდ პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ცოდნის შეჯამება. ჩვენი აზრით, მთავარია მისი პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება, რომლის საფუძველზე მასწავლებელმა უნდა გამოამჟღავნოს არა მხოლოდ ზოგადი პედაგოგიური აზროვნება, არამედ ანალიტიკური, პროგნოსტიკული, პროექტული და რეფლექსური უნარები. მასწავლებლის პრაქტიკული მზადყოფნის შინაარსი გამოიხატება გარე უნარებში, ე.ი. მოქმედებაში, რომელზეც თვალის დევნებაა შესაძლებელი. მათ მიეკუთვნება ორგანიზატორული და კომუნიკაციური უნარები.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი ფლობდეს კომუნიკაციური კვლევითი მოქმედების უნარებს. კომუნიკაციური უნარები სტრუქტურულად შეიძლება წარმოვიდგინოთ: პერცეპტული უნარებისა და პედაგოგიური ურთიერთობის უნარების სახით.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ პედაგოგიური უნარები წარმოადგენენ წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობის არა მარტო პირობას, არამედ მის შედეგსაც. იგი პიროვნების აზროვნების, გრძნობისა და ნებისყოფის მრავალი თვისების სინთეზს წარმოადგენს.

Kutaisi State University Pedagogical Department Doctorate Searcher Ketevan Kokhreidze

Teachers Pedagogical Skills and some peculiarities of using them in practice

Pedagogy implies two main functions – the person transformation and his guidance. In order to guide the way person develops, we need to be competent. It means teachers should master the appropriate knowledge and be able to find right way of experiencing it. Pedagogical art is one the most important aspect which helps teachers find the ways of using the right skills in different circumstances. On the other hand, it does not include only pedagogical knowledge but the way how to use it in practice, in order to expose teachers analytical, prognostic, and reflective skills.

Teachers' practical readiness should be visibly proceeded in outer skills such as organizing and communicative ones.

It is also important for teachers to have the ability at communicative research that can be represented as interaction of pedagogical skills.

Therefore we consider pedagogical skills to be the means of successful pedagogical experience as well as its result. It is a synthesis of person's way of thinking, his feelings and patience as well.

Кетеван Кохреидзе - докторант департамента педагогики Государственного университета Акакия Церетели

Педагогические навыки преподавателя и особенности их применения.

Резюме.

Педагогическая профессия выполняет двойную функцию – преобразование личности и управление ею. А для того, чтобы управлять развитием личности, мы должны быть компетентны. Основой педагогической компетентности педагога являются знания самого педагога и особенно как общие, так и частные навыки использования этих знаний. В применении учителем знаний и навыков выражается его педагогическое искусство. Именно благодаря искусству и профессиональной подготовке может он подобрать и применить соответствующие навыки в каждом конкретном случае. Факт, что это не только суммирование педагогических и психологических знаний. По нашему мнению, главным является их применение в практической деятельности, на основе которой учитель должен выражать не только общее педагогическое мышление, но и аналитические, прогностические, проектные и рефлексивные навыки. Содержание педагогической подготовки учителя выражается во внешних навыках, то есть в действии, которое можно проследить наглядно. К ним принадлежат коммуникативные и организаторские навыки.

Также важно, чтобы учитель обладал навыками коммуникативных исследовательских действий. Коммуникативные навыки структурно можно представить в виде перцептивных навыков и навыков педагогических отношений.

Поэтому, мы считаем, что педагогические навыки представляют не только условия успешной педагогической деятельности, но и ее результат. Они представляют синтез многих качеств мышления, чувств и воли личности.

ბაკურ ონიანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აკადემიური დოქტორი

აქსელერაცია მოზარდის ბიოსოციალური განვითარების დისჰარმონიის შესაძლო მიზეზი

აქსელერაცია (acceleratio — დაჩქარება) რთული მოვლენაა, რომელიც დამოკიდებულია მრავალ სოციალურ და ბიოლოგიურ ფაქტორზე. აქსელერაცია გულისხმობს მოზარდის ფიზიკური განვითარებისა და სქესობრივი მომწიფების ტემპების დაჩქარებას. როგორც ჩანს ძირითადი მნიშვნელობა აქვს სოციალურ და გარემოს ფაქტორთა კომპლექსს, რომელიც ინდივიდუალურ განვითარებაზე და გენეტიკური ინფორმაციის რეალიზაციაზე ახდენს გავლენას. ეს ფენომენი განსაკუთრებით თვალშისაცემია ბოლო 50 წლის მანძილზე და წარმოადგენს იმის მკაფიო დადასტურებას, თუ როგორ არის დამოკიდებული მოზარდის განვითარება სოციალურ და ბიოლოგიურ ფაქტორებზე. ამ ფაქტორთა კომპლექსს ქმნის მედიცინის მიღწევები, ახალი ტექნოლოგიების შემოჭრა ადამიანის ყოფაში, ეკოლოგიური ხასიათის ცვლილებები ადამიანის საცხოვრებელ გარემოში, დიდი მოცულობის ინფორმაცია, დიეტის ხარისხობრივი ცვლა, ქალაქის ყოფა და მისთვის დამახასიათებელი სტრესები, მაღალი ურბანიზაცია, გახშირებული ქორწინებები სხვადასხვა რასის ადამიანებს შორის (ჰეტეროზისი). ფიზიკური დატვირთვების შემცირება — ჰიპოდინამია. აქსელერაციის მიზეზებს შორის ხშირად სახელდება მზის აქტივობის ციკლორობა, რომლის შესუსტებაც თითქოს თან ახლავს აქსელერაციის აფეთქება. რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს ესა თუ ის ბიოლოგიური თუ სოციალური ფაქტორი, აქსელერაცია ვერ აიხსნება ერთი რომელიმე მათგანით.

აქსელერაციის პროცესი მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო. მოგვიანებით გლობალური გახდა. ამ პროცესს „ეპოქური მარში“, „საუკუნის ტენდენცია“ უწოდეს. ეს თანამედროვე ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ძირითადი თავისებურებაა. განასხვავებენ ბიოლოგიურ და სოციალურ აქსელერაციას. ბიოლოგიური აქსელერაცია მოიცავს ადამიანის განვითარების ბიოლოგიას (სქესობრივი განვითარება, სხეულის პარამეტრები: ზომა, წონა). სოციალურ აქსელერაციაში იგულისხმება ბავშვთა სოციალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების დაჩქარება, ცოდნის მოცულობის გაზრდა. თანამედროვე ბავშვების ცოდნის მოცულობა და მრავალფეროვნება გაცილებით მეტია ათობით წლის წინანდელ თანატოლებთან შედარებით. აქსელირებულ ბავშვებს არა მარტო მაღალი ინტელექტი, გონებრივი განვითარების მაღალი დონეც აქვთ 50 წლის წინანდელ თანატოლებთან შედარებით. თანამედროვე ბავშვები და მოზარდები არა მარტო უფრო დიდები და მაღლები არიან წინა თაობების თანატოლებთან შედარებით, არამედ გამოირჩევიან უფრო ადრეული სქესობრივი მომწიფებით. სხეულის ფორმებით და პროპორციებით ისინი უფრო სწრაფად უახლოვდებიან ზრდასრულთა ფიზიკურ განვითარებას. ფიზიკური სიმწიფის დონე ხშირად წინ უსწრებს ფსიქიური და სოციალური სიმწიფის დონეს. მოზრდილებსა და მოზარდებს შორის კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნაში ამას გარკვეული მნიშვნელობა აქვს. აქსელერაცია გარკვეულ გავლენას ახდენს ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობაზე. სხვადასხვა ასაკის ბავშვთა ფიზიკური განვითარების თავისებურებების შესწავლამ უჩვენა, რომ მათი ბევრი ფუნქციონალური სისტემის განვითარება წინ უსწრებს მათი განვითარების ქრონოლოგიას 50 წლის წინანდელ თაობაში. დაახლოებით 2-2,5 სმ-ით გაიზარდა ახალდაბადებულთა სხეულის სიგრძე. წონა გაიზარდა 0,5 კგ-ით. უფრო სწრაფად ხდება ჩონჩხის ცალკეული ნაწილებისა და ენდოკრინული სისტემის განვითარება, რაც ადრეულ სქესობრივ მომწიფებას განაპირობებს — დაახლოებით 1,5-2 წლით ადრე, ვიდრე ეს ხდებოდა XX ს-ის დასაწყისში. შემცირდა ზრდის ხანგრძლივობა. დღეს მოზარდები ზრდას ამთავრებენ რამდენიმე წლით ადრე [1].

აქსელერაციის გავლენა ადამიანის ბიოსოციალურ სტატუსზე არაერთგვაროვანია. აქსელერაცია ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგია. ერთ-ერთის დაჩქარება მეორის დაჩქარებას იწვევს. ბიოლოგიური განვითარების დაჩქარებას შეიძლება

თან არ ახლდეს „სოციალური მომწიფების“ დაჩქარება, რაც ქმნის გარკვეულ სირთულეებს პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. ბიოლოგიური და სოციალური განვითარების ტემპებს შორის დიდი სხვაობა ქმნის გარკვეულ დისჰარმონიას ადამიანში („დაძაბულობის სინდრომი“). ეს საბოლოო ჯამში ასუსტებს ადამიანის ადაპტაციურ შესაძლებლობებს [3]. ორგანიზმის დაჩქარებული ფიზიოლოგიური გარდაქმნა მოზარდში იწვევს ეჭვს საკუთარ შესაძლებლობებში. მიმდინარეობს ახალ სხეულთან შეგუების პროცესი, ხდებიან მოუქნელები. მოზარდის ფსიქოფიზიკური ბალანსი იცვლება სასქესო ჯირკვლების მოქმედების შეცვლის შედეგად. მოზარდებში უფრო ადრე შეიმჩნევა ნერვული აგზნებადობა, საკუთარ თავში ჩაკეტვა, საკუთარი შესაძლებლობების გადაფასება, სხვების ნაკლოვანებების კრიტიკა. ამის ერთ-ერთი მიზეზია ბიოლოგიურად აქსელირებული მოზარდის ჩამორჩენა სოციალურ განვითარებაში. ასეთ ბავშვებს უჭირთ თანატოლებს შორის მაღალი სტატუსის მოპოვება. შეიძლება პირიქით მოხდეს. მაგ. სოციალურად და გონებრივად განვითარებული ბავშვი თანატოლებს ჩამორჩეს ფიზიკურად, ამიტომ საჭიროა შემცირდეს სხვაობა ფიზიკური, სქესობრივი, სოციალური და ფსიქიკური განვითარების ტემპებს შორის. ამისათვის საჭიროა სწავლების პროცესის, მეთოდებისა და პროგრამების მუდმივი ადაპტაცია აქსელერაციის პროცესთან, ფსიქოლოგიური, ფიზიკური და გონებრივი დატვირთვების ნორმების ოპტიმიზება, სქესობრივი აღზრდის საკითხების ასაკობრივი გადანაწილების გადახედვა სკოლაში, აღზრდაში ოჯახის როლის გაძლიერება, შესაბამისი სასკოლო გარემოს შექმნა, მშობლის ინფორმირება აქსელერაციის თანმხლებ პრობლემებზე.

აღსანიშნავია, რომ ასაკის მატებასთან ერთად აქსელერაციის ფონზე ფსიქოფიზიკური ბალანსი სტაბილიზდება, იშვიათად შეიძლება ინტელექტუალური აქსელერაცია შენარჩუნდეს (გაგრძელდეს) და გამოვლინდეს განსაკუთრებული უნარებით ინტელექტუალური საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში. აღზრდისა და განვითარების განსაკუთრებულ მეთოდიკათა გამოყენებით შესაძლებელი ხდება ბავშვის შესაძლებლობების უფრო სრული რეალიზაცია, თუმცა სპეციალისტები წინააღმდეგი არიან ხელოვნური გონებრივი აქსელერაციისა (როცა ძალიან ინტენსიფიცირებულია გონებრივი განვითარება), როცა ანგარიშს არ უწევენ ბავშვის შესაძლებლობებს. რაც საბოლოოდ ბავშვის ემოციურ სტაბილურობას ემუქრება. აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში ბავშვის მზაობას ენთუზიაზმით მიიღოს გარდდილი მოთხოვნები [4]. აღზრდისა და განათლების თანამედროვე სისტემამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ თანამედროვე ცხოვრება ფსიქიკას უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს, ვიდრე რამდენიმე ათწლეულის წინ.

ბავშვის განვითარების თითოეული ეტაპი დაფუძნებულია წინამორბედზე და ქმნის საფუძვლებს მომდევნოსათვის, ბავშვების ახალი უნარების გაჩენა და განვითარება შესაძლებელი ხდება წინა პერიოდების „მიღწევების“ შედეგად [2]. ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად მახინჯდება ბავშვების განვითარების პერიოდების თანმიმდევრობა. ხელოვნურად ხდება ბავშვის განვითარების ტემპების ფორსირება. განათლების რეფორმის მოტივით საბავშვო ბაღებსა და დაბალ კლასებში შეაქვთ საკმაოდ რთული დისციპლინები (მაგ. უცხო ენა, კომპიუტერი, რიტორიკა, ფიზიკა და სხვა). მართალია, ეს საგნები ბავშვებს მიეწოდებათ მაქსიმალურად გამარტივებული ფორმით. ბავშვის განვითარების ასეთი ხელოვნური დაჩქარება ანუ აქსელერაცია პროვოცირდება უფროსების მიერ და ხელოვნურად ამარტივებს ბავშვის საზოგადოებაში ინტეგრაციას. ა.ვ. ზაპოროჟეცის მიხედვით ასეთ შემთხვევაში ბავშვების განვითარება განიცდის სიმპლიფიკაციას — „მეტისმეტ გაღარიბებას და გამარტივებას“. ბავშვის განვითარებაზე სულ უფრო ნაკლებ გავლენას ახდენს ბუნებრივი (ნამდვილი) მიზეზები, რაც საბოლოოდ იწვევს ბავშვის საერთო განვითარების დონის დაწევას და მის ჩამორჩენას საერთო ნორმებთან [5].

ხელოვნური ჩარევები იწვევს ბიოლოგიური და სოციალური აქსელერაციის ბუნებრივი ნორმებიდან მკვეთრ გადახრას, რამაც თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს მოზარდის ბიო-სოციალური სტაბილიზების ვადების გადაწევა, გახანგრძლივება, ან სულაც ბიო-სოციალური დისჰარმონია.

ლიტერატურა:

1. ბერკი ლ. — ბავშვის განვითარება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკა.
2. ჯანაშია ნ. — სოციალური განვითარება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი 2009.
3. Исаев Д.Н. - Психология детского возраста. М. 2001.
4. Соколов Д.К. - Каким быть подростку. М. 1988.
5. Смирнова Е.О. - Детская психология. М. 2003.

რეზიუმე

აქსელერაცია თანამედროვე ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ძირითადი თავისებურებაა. არსებობს ბიოლოგიური და სოციალური აქსელერაცია. ბიოლოგიური და სოციალური განვითარების ტემპებს შორის დიდი სხვაობა, რაც ხშირად ხელოვნურადაა პროვოცირებული, გარკვეულ პრობლემებს უქმნის მოზარდის ბიოსოციალურ ჰარმონიას. სასურველია, შემცირდეს სხვაობა ფიზიკური, სქესობრივი, სოციალური განვითარების ტემპებს შორის. ამისათვის საჭიროა სწავლების პროცესისა და პროგრამების ადაპტაცია აქსელერაციის პროცესებთან. ფსიქოლოგიური, გონებრივი და ფიზიკური დატვირთვების ოპტიმიზება.

Bakuri Oniani

Acceleration - the possible reason of disharmony in biosocial development of the youth (Summary)

Acceleration in the characteristic to the development of the present-day youth. We can distinguish biological and social acceleration. There is great difference between the speed of biological and social development, which is very often provoked artificially and can cause certain problems for the harmony of youth. It is advisable to reduce distinction between the speed of physical, sexual and social development. The only may to be done is to adapt studying process and the studying programs with the acceleration process, as well as to optimizes physical and mental exercise.

Бакури Ониани

Акселерация - возможная причина дисгармонии в биосоциальном развитии подростка Резюме

Акселерация - основная характерная черта развития современных детей и подростков. Существует биологическая и социальная акселерация. Определённую проблему в биосоциальном гармонии подростков создаёт большая разница между темпами биологического и социального развития детей, которая зачастую спровоцирована искусственно. Желательно уменьшить разницу между темпами физического, полового и социального развития. Для этого необходима постоянная адаптация учебного процесса и программ с процессами акселерации, оптимизация физических, психологических и умственных нагрузок.

ინო კოსტავა - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

შეფასების მეთოდები

პედაგოგიაში ცოდნის შემოწმება-შეფასების მრავალი მეთოდი არსებობს. მათგან დავახასიათებთ რამდენიმეს.

მიმდინარე დაკვირვება. დაკვირვება მიმდინარე შეფასების ერთ-ერთი მეთოდია. საჭიროა ლექტორმა აწარმოოს სისტემატური, ყოველდღიური დაკვირვება იმაზე, თუ როგორი ყურადღებით უსმენს სტუდენტი პროფესორს, რამდენად აქტიურად მონაწილეობს სასწავლო პროცესში. დაკვირვება თავისი არსით და ბუნებით უფრო რთულია ვიდრე ზეპირი გამოკითხვა. ამ შემთხვევაში პროფესორს უხდება ყურადღების დანაწილება. იგი ერთი მხრივ უნდა აზროვნებდეს, მსჯელობდეს და ყურადღებას ამახვილებდეს გარკვეული მიმართულებით, ხოლო მეორე მხრივ, თვალყურს ადევნებდეს თითოეული სტუდენტის აქტივობას და ქმედებას.

პროფესორი თავის წიგნაკში აწარმოებს დაკვირვების ჩანაწერებს. სავალდებულო არ არის დაკვირვების ჩანაწერებს რაიმე კონკრეტული სტრუქტურა ჰქონდეს. პროფესორი აწარმოებს სტუდენტის სწავლების ყოველ ეტაპზე დაკვირვებას- როდესაც სტუდენტი დასმულ შეკითხვებს პასუხობს, ჯგუფურ მუშაობაში, პრეზენტაციასა და დისკუსიაში მონაწილეობს, ინდივიდუალურ სამუშაოს ასრულებს და სხვა.

მიმდინარე დაკვირვების საშუალებით პროფესორი სისტემატურად აგროვებს ინფორმაციას სტუდენტის პროგრესის, ყურადღებისა და აქტივობის შესახებ. ამ გზით ლექტორს შეუძლია მუდმივი ყურადღების არეში იყოლოს თითოეული სტუდენტი. ურჩიოს რა გააუმჯობესოს და როგორ მიაღწიონ უკეთეს შედეგებს. მიმდინარე დაკვირვების ჩანაწერები მოკლე და ინფორმაციული უნდა იყოს.

ამრიგად, მიმდინარე დაკვირვება სტუდენტის განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ნაწილია.

კომენტარი. მიმდინარე შეფასების ერთერთი მეთოდია. კომენტარი ის ინფორმაციაა, რომელსაც ლექტორი აწვდის სტუდენტს იმის შესახებ, თუ როგორ აფასებს იგი სტუდენტის პასუხს ან მის მიერ შესრულებულ კონკრეტულ სამუშაოს.

სისტემატური კომენტარები სტუდენტს აწვდის ობიექტურ ინფორმაციას მისი წარმატებებისა და პრობლემების შესახებ. ზრდის მასში საკუთარი თავის რწმენას. უვითარებს კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევებს, აღუმრავს ინტერესს და უღვივებს სწავლის სურვილს.

ზეპირი გამოკითხვა. ზეპირი გამოკითხვა დაკავშირებულია შემდეგ ძირითად მომენტებთან: 1. შეკითხვების შერჩევა და ფორმულირება; 2. სტუდენტის პასუხის ხარისხი; 3. პროფესორის რეაგირება სტუდენტის პასუხზე. ზეპირი გამოკითხვა ორგანოა **ინდივიდუალური და ფრონტალური**. ინდივიდუალურია გამოკითხვა, როდესაც სტუდენტს ვიძახებთ და საფუძვლიანად ვამოწმებთ. თავიდან ბოლომდე ვისმენთ მის პასუხს მოცემულ პროგრამულ საკითხზე.

ფრონტალურია გამოკითხვა, როდესაც პროფესორი წინასწარ შერჩეული, დახვეწილი და დაზუსტებული შეკითხვების დასმით ამოწმებს როგორ დაძლია ჯგუფმა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალა.

ზეპირი გამოკითხვის დადებითი მხარეებია:

1. მოითხოვს მასწავლებლის მხრიდან დროის ხარჯვას კითხვების მომზადებისათვის; 2. სტუდენტის პასუხები იქვე ფასდება; 3. შედარებით ყველაზე იაფი მეთოდია; 4. ხელს უწყობს ვერბალური კომუნიკაციის განვითარებას; 5. ეხმარება ლექტორს გაუღვიძოს სტუდენტებს ინტერესი და მოტივაცია, შეისწავლოს საგანი; 6. ზეპირ კითხვებზე სტუდენტების პასუხები არის ის ინდიკატორი, თუ რამდენად სწორად იყო სასწავლო პროცესი დაგეგმილი პროფესორის მიერ, რამდენად სწორად იყო მიწოდებული მასალა. 7. ეხმარება პროფესორს განსაზღვროს მომდევნო მეცადინეობის შინაარსი და სიმართლე.

ზეპირი გამოკითხვის უარყოფითი მხარეები:

1. ზეპირი გამოკითხვა შეიძლება იყოს სუბიექტური; 2. ზეპირი გამოკითხვის სანდოობა შედარებით დაბალია.

წერითი გამოკითხვა. წერითი გამოკითხვა(წერითი სამუშაო, თხზულება, კარნახი, რეფერატი) საშუალებას იძლევა ერთდროულად მოვახდინოთ მთელი ჯგუფის შემოწმება და თითოეული სტუდენტი შევაფასოთ მის წინაშე დასმული ამოცანის გადაწყვეტის ხარისხის მიხედვით.

გრაფიკული სამუშაოების შესრულების შემოწმება. გრაფიკების, ცხრილების სქემების, ნახაზების შესრულების პროცესში სტუდენტები(განსაკუთრებით საიჟინრო დისციპლინებში) თვალსაჩინოდ უჩვენებენ, თუ როგორ ესმით დამოკიდებულება მოვლენებსა და პროცესებს შორის.

ტესტი. იგი სტუდენტის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს. მისი საშუალებით შეგვიძლია დავადგინოთ, თუ რა და როგორ შეითვისეს სტუდენტებმა.

ტესტი ეს არის ეფექტური საშუალებაა მცირე დროში მაქსიმალურად სრული ინფორმაციის მისაღებად ჯგუფის მიერ მასალის აღქმის გაგების ხარისხის შემოწმებისა და იდენტიფიცირებისათვის (ქულობრივ გამოსახულებაში). ის ხელს უწყობს სტუდენტთა ოპერატიული აზროვნების, ყურადღების კონცენტრაციის, ინტუიციისა და პროგნოზირების უნარის განვითარებას. ტესტი რამდენიმე აუცილებელ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს:

ა) **სანდოობა** – ტესტი სანდოდ ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ტესტის საშუალებით სტუდენტთა განმეორებითი შემოწმებისას მსგავს შედეგს მივიღებთ.

ბ) **ვალიდობა ანუ ობიექტურობა** – გულისხმობს ზომავს თუ არა ტესტი დაგეგმილ პარამეტრებს. ტესტი შეიძლება ვალიდური იყოს ერთი კონკრეტული მიზნისათვის.

გ) **გაზომვადობა**-გულისხმობს იმას, რომ ტესტის შედეგები უნდა ფასდებოდეს წინასწარ შემუშავებული პასუხებით ან შეფასების სქემით. წინასწარ უნდა იყოს დადგენილი ქულების რაოდენობა სწორი პასუხისათვის.

დ) **გამჭირვალობა**- ტესტი გამჭირვალედ ითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც სტუდენტებმა წინასწარ იციან რა ფორმატისაა ტესტი, რას ამოწმებს, როგორია შეფასების მექანიზმი და რა დროა მისთვის გამოყოფილი.

ე) **დროს ლიმიტი**- ტესტის შედეგის დროს პროფესორმა უნდა გაითვალისწინოს დროის ფაქტორი. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტესტის შესრულების პროცედურა, არამედ ისიც, ჩაეტევა თუ არა სტუდენტი გამოყოფილ დროში.

ტესტური შეკითხვები შეიძლება იყოს ღია და დახურული. დახურულია ისეთი შეკითხვა, როდესაც სტუდენტი მოცემული პასუხების არჩევანიდან მხოლოდ ერთ სწორ ვარიანტს ირჩევს. ღია კითხვების შემთხვევაში კი პასუხების არჩევანი არ არის მოცემული და სტუდენტმა პასუხი თვითონ უნდა მოიფიქროს.

ტესტს გააჩნია დაგეგმვის სქემა: 1. ტესტირების მიზნის განსაზღვრა; 2. ტესტის სპეციფიკის განსაზღვრა; 3. შესატყვისი პუნქტების შერჩევა; 4. ცალკეული პუნქტების მომზადება; 5. ტესტის შედგენა; 6. ტესტის შემოწმება; 7. ტესტის შეფასება; 9. შედეგების გამოყენება.

არსებობს ტესტის რამდენიმე სახე:

1. მრავალვარიანტული (ამ ტიპის ტესტები მრავალი ვარიანტიდან ერთ სწორ პასუხს შეიცავს, რომელიც სტუდენტმა უნდა ამოიცნოს); 2. ტესტი ალტერნატიული პასუხით(ამ ტიპის ტესტები გულისხმობს შემოთავაზებული მტკიცებულების აღიარებას ან უარყოფას. სტუდენტმა უნდა აღნიშნოს – სწორი / მცდარი ან დიახ/არა.); 3. ტესტი დასაკავშირებელი სიტყვებით(ასეთ ტესტებში მოცემულია მითითება თუ რა უნდა დააკავშირონ ერთმანეთთან); 4. შესავსები ტესტი(მოცემული საკითხები გარკვეული ინფორმაციის ჩაწერას, პასუხს ან შეცვლას მოითხოვს ტესტში); 5. ტესტი-კითხვარი.(ყველა მოდული ან ყველა თემა არ იძლევა ობიექტური ტესტის შედეგის საშუალებას. ამიტომ, თუ პედაგოგს სურს ტესტის ეფექტის მიღება (შეფასების თვალსაზრისით) რეკომენდირებულია ე.წ. ტესტი-კითხვარის გამოყენება. კითხვები არ შეიცავს ალტერნატიულ პასუხებს, მაგრამ მოითხოვს ლაკონიური პასუხების გაცემას დასმულ შეკითხვებზე.

ამ ტიპის ტესტები უფრო მეტად ამჟღავნებს სტუდენტის პოტენციალს, ვიდრე ობიექტური ტესტები, რადგან არ გვაძლევს მზა პასუხებიდან არჩევის საშუალებას.სტუდენტმა კითხვაზე

საპასუხოდ ადეკვატური ინფორმაცია უნდა გადმოსცეს, ამასთან ლაკონურად სპეციფიკური ტერმინოლოგიის გამოყენებით);

6. ტესტი-დავალება (შეფასების ეს მეთოდი ტესტის სახემეცვლილი ფორმაა, რომელიც ტესტიკითხვარისაგან განსხვავებით შედგება არა კითხვებისაგან, არამედ დავალებებისაგან. თითოეული სახის შედგენას თავისი სპეციფიკა აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს მსოფლიოში ტესტი როგორც შეფასების მეთოდი ძალზედ გავრცელებული და პოპულარულია, მიგვაჩნია, რომ იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ უნივერსალურ მეთოდად, რადგან, სპეციფიკის გამო, ყოველთვის ვერ იძლევა სრულ სურათს სტუდენტთა ცოდნის დონეზე. ვერ ავლენს მსჯელობის, ანალიზის, კრიტიკული აზროვნების უნარს, არ გამოირჩევა ცოდნის გამოვლენის მაღალი სიზუსტით. ამდენად, შემოწმების ეს ფორმა ძირითადად უნდა გამოვიყენოთ მაშინ, როდესაც საჭიროა ექსპრესინფორმაცია ამა თუ იმ მიკრო ეტაპზე მიღწეული შედეგების შესახებ და განისაზღვროს შემდგომი ეტაპის ამოცანები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. იმერ ბასილაძე, ნინო ჭოხონელიძე, ნინო კოსტავა–სწავლებისა და სწავლის ინტერაქტიური მეთოდები, აქტივობის ფორმები, შეფასების კრიტერიუმები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება, ქუთაისი, 2011 წელი

რეზიუმე

პედაგოგიაში ცოდნის შემოწმება-შეფასების მრავალი მეთოდი არსებობს. სტატიაში განხილულია რამდენიმე მათგანი, კერძოდ: მიმდინარე დაკვირვება; კომენტარი; ზეპირი გამოკითხვა, რომელშიც განხილულია ინდივიდუალური და ფრონტალური გამოკითხვები. გარჩეულია ზეპირი და წერითი გამოკითხვები და მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები; გრაფიკული სამუშაოების შესრულების შემოწმება. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული ტესტებზე, როგორც ცოდნის შემოწმება-შეფასების მეთოდზე. განხილულია რამდენიმე აუცილებელი მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ტესტი, კერძოდ ა) სანდოობა, ბ) ვალიდობა ანუ ობიექტურობა, გ) გაზომვადობა, დ) გამჭირვალეობა, ე) დროის ლიმიტი. შეფასების თითოეული მეთოდის მიმართ გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები და მოცემულია რეკომენდაციები მათი პრაქტიკაში გამოყენების შესახებ.

Nino Kostava – Tsereteli State University

The methods of estimation

In Pedagogics we have a lot of estimation's methods. In this article was discussed some of them. Observation, commentary oral inquiries which analysed individual and frontal inquiries. We make analyse oral and writing sides, their positive and negative values. How has be done graphic work.

The main attention was about tests such as estimation method of knowledge. It was discussed some demand which must satisfacted in test. These are: trust, objectivity, measuring, the limit of time. Each of this methods we have resolutions and we have recommends how to use these in practice.

Нино Костава

Методы оценки

Резюме

В педагогике существует множество методов проверки и оценивания. В статье обсуждаются несколько из них, в частности: текущее наблюдение; комментарий, устный опрос, в которой обсуждаются индивидуальный и фронтальный опросы. Разобраны устный и письменный опросы и их положительные и отрицательные стороны; проверка выполнения графических работ. В труде особенное внимание уделяется тестам, как методе проверки и оценивания знаний. Обсуждены несколько обязательных требований, которые должны удовлетворять тест. В частности: а) доверенность; б) валидность, то есть объективность; в) измеримость; г) прозрачность; д) лимит времени. Сделаны соответствующие выводы по отношению к каждому методу и даны рекомендации для применения их на практике.

მაია ახვლედიანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სასკოლო განათლებასთან დაკავშირებული საკითხები თანამედროვე მსოფლიოში

სკოლის მუშაობის თეორიული ბაზა მთელ მსოფლიოში მუდმივ განახლებასა და კორექტირებას განიცდის. ამ მუდმივ პროცესს ხელს უწყობს ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტორი: მუდმივად მზარდი ცოდნის მოცულობა, ბავშვების ბუნების კვლევის შედეგები, სასწავლო დაწესებულებათა მუშაობის გამოცდილება და სხვა. სკოლას რეგულარულად სჭირდება გარკვეული ხშირად ერთობ სერიოზული ცვლილებები. სკოლა აუცილებლად უნდა მოვიდეს შესაბამისობასი წარმოების, მეცნიერებისა და კულტურის ახალ დონესთან. ამრიგად, სკოლის მუშაობის, სასკოლო განათლების განახლება აქტუალური და გარდაუვალი ამოცანაა.

მსოფლიო თანამეგობრობა განსაზღვრავს ახალი განათლების შინაარსს. ამ პროცესში იგი ეჯახება ზღვარგადასულ სტანდარტიზაციასა და რეგლამენტაციას, რითაც იქმნება იმის ილუზია, რომ თითქოს ყველაფრის სწავლება შეიძლება მკაცრი ლოგიკური თანამიმდევრობით. ხშირად უგულვებელყოფენ იმის აუცილებლობას, რომ სწავლების საშუალებით წახალისდეს საღი აზრი, ცნობისმოყვარეობა, ექსპერიმენტირებისაკენ ლტოლვა. განათლებას (განსაკუთრებით ევროპაში) ჯერ კიდევ აწევს აბსტრაქტული სწავლების ტვირთი, რომლის მიხედვითაც მთავარი არ არის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

სხვადასხვა ქვეყანაში განათლების მნიშვნელობა და მიზნები რომ გავიაზროთ, აუცილებელია ეროვნული ტრადიციების გათვალისწინება. ინგლისში განათლებას მომავალი სოციალური მდგომარეობის შესაბამისად აფასებენ; გერმანიასა და საფრანგეთში შესამჩნევია ინტელექტუალური განათლების პატივისცემა; აშშ-ის განათლებას პრაგმატისტულად უდგებიან. ინგლისელი მეცნიერი მ. სადლერი ამგვარ სიტუაციას რომ აღწერს, შენიშნავს: ”როცა განათლებაზე ჩამოვარდება სიტყვა, გერმანელი კითხულობს - რა ეცოდინება. ფრანგს აინტერესებს როგორი იქნება გამოცდები, ამერიკელს - რის გაკეთებას შესძლებს, ინგლისელს - კარიერა”.

თანამედროვე მსოფლიოს მზარდი ინტეგრაციისა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში იცვლება განათლების მიზნები და ამოცანები. ამის ტიპიური მაგალითია დიდი ბრიტანეთის განათლების ეროვნული კომიტეტის მოხსენებაში გადმოცემული იდეები (1993). ეფექტიანი განათლების მთავარი ამოცანა, - ნათქვამია მოხსენებაში, - ვასწავლოთ აღსაზრდელებს წარმატების მიღწევა.

სასკოლო განათლებასთან დაკავშირებული საკითხები აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოლიტიკური ლიდერების ყურადღების ცენტრშია. მნიშვნელოვანი სასკოლო რეფორმების ინიციატორები იყვნენ მ. ტეტჩერი (ინგლისი), ი. ნაკასონე (იაპონია), პრეზიდენტები: რეიგანი, ბუში, კლინტონი (აშშ), ჟისკარ დესტენი (საფრანგეთი) და ა. შ.

სასკოლო განათლების საკითხებზე მუშაობს ბევრი ეროვნული ცენტრი, პირველ ყოვლისა პედაგოგიური უნივერსიტეტები, საუნივერსიტეტო კათედრები და დეპარტამენტები. გარდა ამისა, ამ თემებზე მუშაობენ სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი პედაგოგიური ცენტრები: განათლების ეროვნული აკადემია (აშშ), ეროვნული პედაგოგიური ინსტიტუტი და პედაგოგიური დოკუმენტაციის ცენტრი (საფრანგეთი), განათლების აკადემია (რუსეთი), პედაგოგიური კვლევის ეროვნული ინსტიტუტი (იაპონია) და სხვ.

დასავლეთელ და რუს მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ სასკოლო განათლების თეორიის დამუშავებაში თავიანთი ძალები უნდა გააერთიანონ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა. ამჟამად საკოორდინაციო ფუნქციას ასრულებს ისეთი სამეცნიერო ცენტრები, როგორც არის: აღზრდის ინტერნაციონალური ბიურო (შვეიცარია), პედაგოგიკური კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტი (გერმანია), საერთაშორისო პედაგოგიური ცენტრი (საფრანგეთი), განათლების საერთაშორისო ინსტიტუტი (აშშ) და სხვები.

მოწინავე სახელმწიფოები ქმნიან სასკოლო განათლების დიდმასშტაბიან პროექტებს. არის ენობრივი ბარიერების ლიკვიდირების სერიოზული ცდებიც. დასავლეთ ევროპის ქვეყნების

განათლების მინისტრებმა დაამტკიცეს პროგრამები - "ერაზმუსი" (1987) და "ლინგვა" (1989), სადაც უცხოური ენის შესწავლა ნავარაუდევია უკვე დაწყებით სკოლაში, საშუალო სკოლაში კი ბავშვმა ორი უცხოური ენა უნდა იცოდეს. 1996 წელს "საერთაშორისო ბაკალავრიატის" სასწავლო დაწესებულებები ფუნქციონირებდნენ თითქმის 80 ქვეყანაში. ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულებს ეძლევათ დიპლომი, რომელიც უფლებას აძლევთ მათ სწავლა განაგრძონ მსოფლიოს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში.

დღეს პედაგოგიკის თეორეტიკოსები გვთავაზობენ სკოლის კრიზისიდან გამოყვანის ორ ძირითად გზას: **წინმსწრები** და **ინტენსიური** სწავლების გზებს. წინმსწრებმა სწავლებამ მოსწავლეები უნდა მოამზადოს მომავალი სოციალური, ეკონომიკური, კულტურული გარდაქმნებისათვის. ინტენსიური სწავლება ორიენტირებულია არა რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ ცვლილებებზე სასკოლო განათლებაში.

დასავლეთ ევროპაში ტრადიციული დიდაქტიკის გავლენა მუდამ ძლიერი იყო. ტრადიციონალიზმი, მაგალითად, დამახასიათებელია ფრანგული პედაგოგიკური აზროვნებისათვის. გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი ალენი (ვ. შარტიე) თავის დიდაქტიკურ მითითებებში ერთგულია ფორმალური განათლებისა და მთავარ ყურადღებას უთმობს ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებას.

ალენის მოსაზრებანი პრინციპულად ემთხვევა ჩვენს პედაგოგიკაში დამკვიდრებულ შეხედულებებს, რომელიც ზოგიერთ ფსევდორეფორმატორს კომუნისტური რეჟიმის პროდუქტი ჰგონია ან XIX საუკუნის უიმედო გადმონაშთად მიიჩნევს.

ალენის არგუმენტაციამ განვითარება ჰპოვა ზოგიერთ სოციოპედაგოგიურ კონცეფციაში (ჟ. მაჟო, ლ. კარო, ჟ. კაპელი და სხვ.).

სასკოლო განათლების ტრადიციონალიზმისაკენ მობრუნების ტენდენცია აშკარად არის გამოხატული ამერიკულ პედაგოგიკურ აზროვნებაშიც (გ. კველტი, დ. რავიჩი, ც. ფინი და სხვები), სადაც გამოცოცხლდა აკადემიური განათლების იდეა. ისინი თანდათან სცილდებიან პრაგმატიზმს სწავლებაში. ბევრი ამერიკელი მეცნიერი პედაგოგი პირველ პლანზე აყენებს მტკიცე, მეცნიერულად სტრუქტურირებულ სწავლებას.

დასავლეთის სასკოლო განათლებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სკოლის **რაციონალისტური მოდელი**. მის ავტორებს მიაჩნიათ, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა უნდა დაეუფლოს ცოდნას და შეეგუოს ცნობიერების სოციალურ პირობებს სასკოლო განათლების საშუალებით.

სასკოლო ცოდნას რაციონალისტები განიხილავენ როგორც ობიექტური ფაქტების სისტემას. მასწავლებელი - "მენეჯერი" არეგულირებს მოსწავლეების მიერ ამ ფაქტების ათვისებას. მოსწავლეთა როლი მეტწილად პასიურია.

სხვა შეხედულება აქვთ სასკოლო განათლებაზე **ფენომენოლოგიური მიმართულების** წარმომადგენლებს. ისინი ქადაგებენ სწავლების ჰუმანურ მიმართულებას და მიაჩნიათ, რომ სწავლება უნდა იყოს პერსონალური, თითოეული მოსწავლის პიროვნების შესაბამისი. ფენომენოლოგიური მიმართულების ერთ-ერთი მამამთავარია ამერიკელი მეცნიერი ა. მასლოუ.

დიდაქტიკაში ფენომენოლოგიურ მიმართულებას მიეკუთვნება "ახალი პედაგოგიკის" ზოგიერთი კონცეფცია და თეორია, მაგალითად, "ღია სწავლება", "არადირექტიული დიდაქტიკა" და სხვ. "ღია სწავლების" წარმომადგენლებმა ააღორძინეს პრაგმატისტული განათლება ("სწავლება მოქმედების საშუალებით"). ისინი მაგალითად, ამერიკელი ც. პეტერსონი, მიიჩნევენ, რომ მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება თვითონ აირჩიონ მიზანი, პრობლემები და მოქმედების სახეები. მასწავლებელი ამ შემთხვევაში "შემეცნების წყაროა", რომელიც აიოლებს შემეცნების პროცესს.

დასავლეთში თუ თანამედროვე დიდაქტიკის შემუშავების ცენტრი აშშ-ია. აღმოსავლეთში ამგვარი ცენტრი უეჭველად რუსეთია. რუსმა მეცნიერებმა (ვ. კრავსკი, ი. ლერნერი, მ. სკატკინი) დაამუშავეს სასკოლო განათლების კონცეფციები, კერძოდ, ზოგადი საშუალო განათლების კონცეფცია.

განათლების გლობალურ მიზნად მათ მიაჩნიათ ახალგაზრდა თაობის მიერ სოციალური გამოცდილების საფუძვლების ათვისება:

ბუნების, საზოგადოების, ტექნიკის, ადამიანისა და მოქმედების შესახებ ცოდნა;

უნარ-ჩვევების განვითარება;

შემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილება;

სამყაროსა და საქმიანობისადმი ემოციურ-ღირებულებითი დამოკიდებულების გამოცდილება.

განათლების შინაარსში მთავარი, - მათი აზრით, - არის სოციალური დაკვეთა, რომელიც უნდა "ითარგმნოს" პედაგოგიკის ენაზე. ამისათვის ჯერ უნდა შემუშავდეს განათლების შინაარსის შესახებ ზოგადი თეორიული წარმოდგენები, შემდეგ კი წარმოდგენა სასწავლო საგნის დონეზე, ბოლოს კი წარმოდგენა სასწავლო მასალაზე. ამრიგად, სწავლების შინაარსი რეალურად არსებობს მხოლოდ სასწავლო პროცესში. ეს პროცესი მოითხოვს ინფორმაციის შეგნებულ აღქმასა და მის დამახსოვრებას. მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთდაკავშირებული მოქმედება უნდა აისახოს სწავლების მეთოდებში. მოსწავლეებმა აუცილებლად უნდა გაიარონ ცოდნის ათვისების ორი ეტაპი:

შეგნებული აღქმა და დამახსოვრება;

მისი გამოყენება. რეალურ სასწავლო პროცესში.

ეს დონეები ვარიანტულად ცვლიან ერთმანეთს.

იაპონიაში განათლების მიზნად მიჩნეულია მომზადების დადგენილი დონის მიღწევა და ახალი ცოდნის და უნარ-ჩვევების მოპოვებისათვის საჭირო გარკვეული უნარ-თვისების ჩამოყალიბება. როგორც იაპონელი მეცნიერები ტაკელა მასანო და სუბუკი სინიჩი აღნიშნავენ, უკანასკნელ წლებში განათლების მიზანმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა: მაღლდება ზოგადი განათლების დონე, შემოღებულია ახალი სასწავლო დისციპლინები და სასწავლო საქმიანობის სახეები და ფორმები. განათლების შინაარსი იცვლება ახალი ცხოვრებისეული პრიორიტეტების შესაბამისად. კერძოდ, დღის წესრიგშია ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობა, განათლების გადაქცევა უფრო მეტად მოტივირებულ პროცესად და ა. შ.

ლიტერატურა:

1. ზ. ცუცქირიძე, ნ. ორჯონიკიძე, განათლების თანამედროვე თეორიები, თბ., 2005;
2. ბ. შვეცივი, ფრანგული სკოლა 2000 წლისათვის, ჟურ., პედაგოგიკა 1992, N1-2;
3. ა. ხორვატი, ო. მოხაი, განათლების გლობალიზაცია აღმოსავლეთ ევროპაში, ჟურ., პერსპექტივი 1992, N 2;
4. საქართველოს განონი განათლების შესახებ, წიგნში განათლების რეფორმა და მისი საზოგადოებრივი უზრუნველყოფა, თბ., 2005;

რეზიუმე

მუდმივად მზარდი ცოდნის მოცულობა, ბავშვის ბუნების კვლევის შედეგები, სასწავლო დაწესებულებათა მუშაობის გამოცდილება და თეორიული ბაზა სკოლის მუშაობის მუდმივ განახლებასა და კორექტირებას მოითხოვს.

სასკოლო განათლების შინაარსი იცვლება ახალი ცხოვრებისეული პრიორიტეტების შესაბამისად, ამიტომ იგი უნდა გადაიქცეს უფრო მეტად მოტივირებულ პროცესად.

მსოფლიო თანამეგობრობა განსაზღვრავს ახალი განათლების შინაარსს. ამ პროცესში იგი ეჯახება ზღვარსგადასულ სტანდარტიზაციასა და რეგლამენტაციას. ხშირად უგულველყოფენ იმის აუცილებლობას, რომ სწავლების საშუალებით წახალისდეს საღი აზრი, ცნობისმოყვარეობა, ექსპერიმენტისკენ ლტოლვა. განათლებას ჯერ კიდევ აწევს აბსტრაქტული სწავლების ტვირთი, რომლის მიხედვითაც მთავარი არ არის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

სასკოლო განათლების მიზნად მიჩნეულია მომზადების დადგენილი დონის მიღწევა და ახალი ცოდნის მოპოვებისათვის საჭირო უნარ-თვისებების ჩამოყალიბება.

მეცნიერულ-ტექნიკურმა და ტექნოლოგიურმა რევოლუციამ და ინფორმაციულად ორიენტირებული საზოგადოებისაკენ შემობრუნებამ სასკოლო განათლების წინაშე მაღალი მოთხოვნები დააყენა. სკოლა აუცილებლად უნდა მოვიდეს შესაბამისობაში წარმოების, მეცნიერებისა და კულტურის ახალ დონესთან.

ამრიგად, სკოლის მუშაობის, სასკოლო განათლების განახლება აქტუალური და გარდაუვალი ამოცანაა.

Maya Akhvlediani

Issues Concerning School Education in the Modern World

Summary

Continuously increasing knowledge, the results of the research of child psychology, the experience of educational institutions and theoretical basis requires constant updating and modifying school activity.

The content of school education changes according to new priorities. That is why it should become a more motivated process.

The international community determines the content of new education. In this process it faces excessive standardization and regimentation. The necessity to encourage common sense, curiosity and the aspiration to experiments is frequently ignored. Education is still overloaded with abstract teaching which does not emphasize the development of practical skills.

The aim of school education is to achieve a determined level of knowledge and to develop the skills for acquiring new knowledge.

The scientific-technical and technological revolution and the focus on information-oriented society have set high educational standards. School education must be relevant to the new level of economy, science and culture.

Thus, it is a vital task to update school activity and school education.

Майя Ахвледзиани

Вопросы, связанные со школьным образованием в современном мире

Резюме

Все возрастающий объем знаний, итоги исследования природы ребенка, опыт работы учебных заведений и теоретическая база требует постоянного обновления и корректировки работы школы.

Содержание школьного образования меняется в зависимости от новых жизненных приоритетов, поэтому оно должно превратиться в более мотивированный процесс.

Целью школьного образования считают достижение установленного уровня подготовки и формирование необходимых для овладения новых знаний умений и навыков.

Научно-техническая и технологическая революции поворотом информационно ориентированному обществу предъявили высокие требования школьному образованию. Школа обязательно должна соответствовать высокому уровню производства, науки и культуры.

Таким образом, обновление работы школы, школьного образования является актуальной и непреложной задачей.

ნინო ორჯონიკიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აკადემიური დოქტორი

სასკოლო განათლების დემოკრატიზაციის პრობლემა თანამედროვე მსოფლიოში

ჩვენს საზოგადოებაში არასწორი წარმოდგენაა დამკვიდრებული სასკოლო განათლების დემოკრატიზაციის თაობაზე. კერძოდ, მიჩნეულია, რომ ჩვენი ტრადიციული სასკოლო განათლება ცალსახად ანტიდემოკრატიული იყო, ხოლო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში კი სანიმუშო დემოკრატიული საგანმანათლებლო სისტემებია. უცხოელ მეცნიერთა ნაშრომებისა და სასკოლო პრაქტიკის შესახებ არსებული ინფორმაციის ანალიზი გვარწმუნებს, რომ ეს ასე არ არის.

სწორედ ამიტომ, სასკოლო განათლების დემოკრატიზაციის პრობლემა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საზოგადოების ყურადღების ცენტრში კვლავაც რჩება.

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სკოლა მთელ მსოფლიოში დემოკრატიზაციისაკენ მიემართება. ამ პროცესს აქვს როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშნები.

პირველ ყოვლისა ყურადღებას იქცევს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დემოკრატიზაციისადმი ორი ურთიერთსაპირისპირო მიდგომა.

პირველი მიდგომა ეფუძნება ეგალიტარიზმისა (გათანაბრების) და ერთსახოვნების იდეას. ამგვარი მიდგომა გაბატონებული იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში და იაპონიაში. თუმცა ამ ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური სისტემები არაფრით ჰგვანდნენ ერთმანეთს.

ეგალიტარისტული მიდგომის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ შეუძლებელია თითოეული მოსწავლის მაღალხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა, ამიტომ გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა ჯგუფების ინტერესები და შესაძლებლობანი, რაც ერთსახოვანი განათლების პრინციპს ამკვიდრებს.

უკანასკნელ ათწლეულში სულ უფრო მეტი მომხრე უჩნდებათ განათლების სისტემის დემოკრატიზმის გაგებისადმი ანტიეგალიტარისტული მიდგომის მომხრეებს. მაგალითად, ცნობილი იაპონელი მეცნიერი პედაგოგი იოსიკი კანემაცუ წერს, რომ განათლების ნებისმიერი სისტემა ორ ფუნქციას ასრულებს - საკუთრივ სწავლებისა და სოციალური შერჩევის ფუნქციებს. დროა გავიგოთ, - ამბობს კანემაცუ, - რომ სკოლამ ეფექტიანად უნდა შეასრულოს ორივე ფუნქცია და ამით გადაჭრას დემოკრატიული განათლების ამოცანები. ამ მეცნიერის აზრით, თუ პირველი ფუნქციის დანიშნულებაა ყველასათვის საერთო განათლების მიცემა, მეორე ფუნქცია გულისხმობს განათლების დივერსიფიკაციას, ე. ი. სწავლებას ინდივიდუალური უნარების, მიდრეკილებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

ინგლისელ მეცნიერს ჯ. ჰოლდენს მიაჩნია, რომ ეგალიტარიზმი საფრთხეს უქმნის სასკოლო განათლების დემოკრატიზაციას.

სასკოლო განათლების დემოკრატიზაციისადმი ანტიეგალიტარული მიდგომა განათლების საფეხურების მემკვიდრეობითობას ეფუძნება და ამასთან ერთად, ემხრობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ვარიანტულობის, პლურალიზმისა და დივერსიფიკაციის იდეას. ამ მიდგომას მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები იზიარებენ, რაც იმის პერსპექტივას ქმნის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სტრუქტურაში ჩამოყალიბდეს მიზნების, შინაარსისა და ტიპების მიხედვით მრავალმნიშვნელოვანი სასწავლო დაწესებულებები.

”სასკოლო განათლების სისტემის დემოკრატიზაციის” ცნების ახსნა რამდენიმე პირობის გათვალისწინებას მოითხოვს. ცხადია, აქ ცალსახად ერთნაირი შეხედულება არც უცხოელ მეცნიერთა შორის არსებობს. ჩვენ საყურადღებოდ მიგვაჩნია ჰოკაიდოელი პროფესორის ტაკედა მასანოს მოსაზრება. იგი დემოკრატიული განათლების სისტემის რამდენიმე არსებით ნიშანს გამოჰყოფს. დემოკრატიულობის პირველ ნიშნად მასანოს მიაჩნია საზოგადოების ყველა წევრის თანასწორობა განათლების მიღებაში. მეორე ნიშნად იგი ასახელებს სასკოლო სისტემის დეცენტრალიზაციას, რაც გულისხმობს ადგილობრივი ორგანოების უფლებათა გაფართოებას.

დაახლოებით ასეთი პრინციპები დაედო საფუძვლად პოსტსაბჭოურ სივრცეში არსებული სახელმწიფოების უმრავლესობაში მიმდინარე სასკოლო რეფორმებს, მათ შორის, საქართველოშიც.

რა თქმა უნდა, ყველა ზემოაღნიშნული ნიშანი ჯერჯერობით არ ახასიათებს ჩვენს საგანმანათლებლო სისტემას, რაც სოციალურ-ეკონომიკური პირობებით არის გამოწვეული.

განათლების თანამედროვე დასავლურ თეორიებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დემოკრატიზაციის კონტექსტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა განათლების უფლების უზრუნველყოფის გარანტიები. ამ პრობლემას დასავლელი ავტორები (ბ. საიმონი, ს. ფრენიე, ნ. ჰანსი და სხვ.) თანამედროვე მსოფლიოს რეალურ პირობებთან კავშირში განიხილავენ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ დასავლური სასკოლო განათლების სისტემა შორსაა დემოკრატიულობისაგან, რისი ილუზიაც მესამე სამყაროში დიდი ხნის განმავლობაში ყალიბდებოდა ”საყოველთაო კეთილდღეობის” პოლიტიკური დოქტრინის პროპაგანდის შედეგად.

დასავლეთში ფართოდ არის გავრცელებული აზრი იმის თაობაზე, რომ თანამედროვე ეპოქამ წარმოშვა ახალი წინააღმდეგობა სასკოლო სისტემის შედარებით დემოკრატიზმსა და განათლების მიღების სოციალურ ფაქტორებს შორის. როგორც ევროპარლამენტის კომისიის მოხსენებაშია აღნიშნული, ღარიბი ოჯახებიდან გამოსული ბავშვები წინააღმდეგობას აწყდებიან განათლების მიღების პროცესში. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ბევრ მოსწავლეს არ აქვს საშუალება მიიღოს სრულყოფილი განათლება.

ასეთი მოსაზრება ობიექტურ გამოკვლევებს ეფუძნება. მაგალითად, გერმანიის შრომისა და პროფესიების ინსტიტუტის მეცნიერებმა გაანალიზეს გერმანული სკოლების მუშაობის შედეგები 90-იანი წლების დასაწყისში და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ხარისხიანი განათლების მიღების ტრადიცია, რაც განპირობებული იყო სოციალური მდგომარეობით, დღესაც უცვლელია.

ამგვარი უთანასწორობის დაძლევის ერთ-ერთ გზად ”განათლების თეთრი წიგნის” (სტრასბურგი, 1995) ავტორები საზოგადოებას სთავაზობენ წახალისონ ”მეორე შანსის სასწავლო დაწესებულებების” საქმიანობა. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუწყონ იმ ახალგაზრდების მომზადებას, რომლებმაც სათანადო განათლება ვერ მიიღეს განათლების ტრადიციულ სისტემაში. ასეთი ტიპის სკოლებს მიეკუთვნება ”დაჩქარებული სკოლები” (აშშ), ლტოლვილთა სკოლები (ისრაელი), იმიგრანტთა სკოლები (ნიდერლანდები, საფრანგეთი, ესპანეთი და სხვ.).

სასკოლო განათლების დემოკრატიზმის არსებითი ნიშანია სავალდებულო განათლება.

სასკოლო განათლების შედარებით დემოკრატიზმსა და სოციალურ უთანასწორობას შორის არსებული წინააღმდეგობის ყველაზე მწვავე შედეგების დაძლევის მიზნით, დასავლეთის მეცნიერები რეფორმის ორ მიმართულებას გვთავაზობენ:

1. ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების მხარდაჭერის სოციალური ღონისძიებების განსაზღვრა;

2. თვით სასკოლო სისტემების სრულყოფა.

სოციალური ღონისძიებებს განეკუთვნება ცალკეული მოსწავლეებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა, დამატებითი სუბსიდიების გამოყოფა იმ რეგიონებისათვის, სადაც ყველაზე დაბალია სწავლების ხარისხი.

ამგვარი პრაქტიკა ხორციელდება აშშ-ში, საფრანგეთში და სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში.

სამწუხაროა, რომ თანამედროვე დასავლურ პედაგოგიკურ თეორიებში არსად ფიგურირებს ქართული სკოლისა და პედაგოგიკის გამოცდილება. სწავლების დიფერენცირების პრაქტიკასა და თეორიასთან დაკავშირებით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული პედაგოგიური აზროვნება მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ავანგარდში დგას. დასაძინია, რომ ქართველმა პედაგოგებმა თავიანთ ნოვატორულ საქმიანობას ამ მიმართულებით საერთაშორისო რეზონანსი ვერ მისცეს. ნაწილობრივი ეს იმჟამინდელი ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის ბრალიც იყო, თუმცა იმ პირობებშიც ასე თუ ისე შეიძლებოდა გარკვეული ინფორმაციის გავრცელება მსოფლიო მასშტაბით.

მკითხველს შევახსენებთ, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველები ქართველი პედაგოგები იყვნენ, რომლებმაც ინტენსიურად დაიწყეს სწავლების დიფერენცირების იდეის დამუშავება. 80-იან წლებში იგი ექსპერიმენტის სახით აქტიურად იწერებოდა სკოლებში ცნობილი პედაგოგისა და განათლების დარგის ორგანიზატორის ლევან ჩიქვანიას

ხელმძღვანელობით. სწავლების დიფერენცირების პრობლემასთან დაკავშირებით შეიქმნა თეორიული და პრაქტიკულ-მეთოდოლოგიური ნაშრომები. მიუხედავად იმისა, რომ სწავლების დიფერენცირების იდეას ჩვენში სერიოზული მოწინააღმდეგეები ჰყავდნენ, იგი მაინც თითქმის საყოველთაოდ მისაღები გახდა. თუმცა იმჟამინდელი განათლების ტოტალიტარული სისტემის ჩარჩოებში იგი ბოლომდე სრულყოფილად ვერ განხორციელდა.

ამდენად, სწავლების ინვერსიფიკაციის იდეები, რაც დასავლეთისათვის თეორიული სიახლეა, ჩვენი პედაგოგიკისათვის კარგა ხანია ცნობილი და მისაღებია, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ დასავლურ საგანმანათლებლო სისტემებთან ჩვენ შეგვიძლია სავსებით თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა.

განათლების სისტემის მართვის ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციაზე დასავლეთელ მეცნიერთა შორის აზრთა ერთიანობა არ არის. მეცნიერთა ერთი ნაწილი თუ მიიჩნევს, რომ მართვის დეცენტრალიზაცია სასკოლო განათლების დემოკრატიზმის აუცილებელი ნიშანია, მეორე ნაწილს სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვს. ისინი თვლიან, რომ განათლების სისტემის ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციას არსებითად ეკონომიკური შინაარსი აქვს და იგი არ არის დაკავშირებული აკადემიური პროცესების ორგანიზაციასთან. მათი შეხედულებით (ბ. საიმონი და სხვები), განათლების სისტემის მართვის დეცენტრალიზაცია ქვეყანაში არსებული თავისუფალი კაპიტალის განათლების სისტემაში მოზიდვის საშუალებაა. ქვეყანას თუ ეკონომიკური კეთილდღეობა აკლია, მაშინ ცენტრალიზებული მართვა ბევრად უფრო ეფექტიანია.

აქედან გამომდინარე, რუსეთის პოზიცია ამ საქმეში გამართლებულია, რადგან, როგორც რუსი ავტორები წერენ (ტ. ცირილინა, ა. ჯურინსკი), რუსეთში არ არის იმის ეკონომიკური პირობები, რომ დეცენტრალიზაციის შედეგად რეგიონებში საგანმანათლებლო საქმე გაუმჯობესდეს. პირიქით, დეცენტრალიზაციის პირობებში რუსეთში შეიძლება ერთიანი საგანმანათლებლო სივრცეც კი მოიშალოს.

უცხოეთის ქვეყნების სასკოლო განათლების დემოკრატიზაციის შესახებ არსებული მასალების ანალიზი, მეცნიერთა სხვადასხვა ჯგუფების მოსაზრებათა ურთიერთშეჯერება იმის უღებვას გვაძლევს, დავასკვნათ:

1. ეჭვს არ იწვევს სასკოლო განათლების სისტემის დემოკრატიზაციის აუცილებლობა და იგი მსოფლიო საგანმანათლებლო პოლიტიკაში შეუქცევადი მოვლენაა;
2. უფროს კლასებში (ჩვენს სისტემაში, სწავლების მესამე საფეხურზე) აუცილებელია სწავლების დიფერენციაცია, რაც მოსწავლეთა ნიჭის, უნარის, მიდრეკილებებისა და ინტერესების უფრო სრულყოფილად დაკმაყოფილების პირობებს ქმნის;
3. სისტემის მართვა და ორგანიზაცია უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს, არსებულ ტრადიციებსა და ეროვნულ ინტერესებს. ამ სფეროში ერთიანი მსოფლიო რეცეპტი შემუშავებული ვერ იქნება და საჭიროც არ არის.
4. სასკოლო განათლების დემოკრატიზაციის შინაარსი და მიმართულება უშუალოდ უკავშირდება ადამიანის უფლებების დაცვას, რაც დღევანდელი დემოკრატიული სამყაროს უმთავრესი პრიორიტეტია.

ლიტერატურა:

1. ვ. ა. ტიტოვი, საზღვარგარეთის ქვეყნების პედაგოგიკა; მ., 2010 (რუსულ ენაზე).
2. ვ. პ. ლაპჩინსკაია, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა თანამედროვე ინგლისში, მ., 1977 (რუსულ ენაზე).
3. ზ. ა. მალკოვა, ბ. ლ. ვულფსონი, თავამედროვე სკოლა და პედაგოგიკა კაპიტალისტურ ქვეყნებში; მ., 1975 (რუსულ ენაზე).
4. ა. ე. შირინსკი, განათლება განვითარებად ქვეყნებში; მ., 1977 (რუსულ ენაზე).
5. www.studentur.ru

რეზიუმე

სასკოლო განათლების დემოკრატიზაციის პრობლემა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საზოგადოების ყურადღების ცენტრში რჩება. იგი რაიმე ერთჯერადი ამოცანა არ არის, არამედ განუწყვეტელი პროცესია. პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ დემოკრატიზაციის ცნების გაგებაში მსოფლიოში ერთიანობა სულაც არ არის. ამ პრობლემაზე განუწყვეტელივ მუშაობენ გავლენიანი პედაგოგიური ასოციაციები, მასწავლებელთა და მშობელთა ფედერაციები, თანამედროვე სკოლის კოოპერატივები და სხვები.

ყურადღებას იქცევს სკოლის დემოკრატიზმისადმი ორი ურთიერთსაპირისპირო მიდგომა (ეგალიტარისტული და ანტიეგალიტარისტული). თუმცა, მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე სკოლა მთელს მსოფლიოში დემოკრატიზაციისაკენ მიემართება და მისი შინაარსი და მიმართულება უშუალოდ უკავშირდება ადამიანის უფლებების დაცვას, რაც დღევანდელი დემოკრატიული სამყაროს უმთავრესი პრიორიტეტია.

უცხოეთის ქვეყნების სასკოლო განათლების დემოკრატიზაციის შესახებ არსებული მასალების ანალიზი, მეცნიერთა სხვადასხვა ჯგუფების მოსაზრებათა ურთიერთშეჯერება იმის უფლებას გვაძლევს, რომ დავასკვნათ: ეჭვს არ იწვევს სასკოლო განათლების დემოკრატიზაციის აუცილებლობა და იგი მსოფლიო საგანმანათლებლო პოლიტიკაში შეუქცევადი მოვლენაა.

Nino Orjonikidze

The Problem of Democratization of School Education in the Modern World

Summary

The problem of democratization of school education remains the centre of attention of the societies of leading countries. It is not a single task, but a continuous process. The problem is that there is controversy over understanding the concept of democratization. The process is studied by outstanding pedagogical associations, the federations of teachers and parents, modern school cooperatives, etc.

There are two controversial approaches to school democratization (egalitarian and anti-egalitarian). However, it is worthy of note that contemporary school is inclined to democratization in the whole world, its content and direction being directly related to human rights' defense, which is one of the key priorities of today's democratic world.

The analysis of democratization of school education in foreign countries, the synthesis of the views of different scientific groups allow us to conclude that the necessity of democratization of school education is obvious, constituting an irreversible process in the world educational policy.

Нино Орджоникидзе

Проблема демократизации школьного образования в современном мире.

Резюме.

Проблема демократизации школьного образования остается в центре внимания обществ ведущих стран мира. Это не единичная задача, а непрерывный процесс. Проблема состоит в том, что в мире нет единого понятия демократичности. Над этой проблемой беспрестанно трудятся влиятельные педагогические ассоциации, федерации учителей и родителей, современные школьные кооперативы и др.

Привлекают внимание два противоположных подхода к демократизации школы (эгалитаристский и антиэгалитаристский). Хотя, несмотря на это, необходимо сказать, что современная школа во всем мире движется к демократизации и ее содержание и направленность непосредственно связана с защитой прав человека, что является главнейшим приоритетом сегодняшнего демократического мира

იაგორ ბალანჩივაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. განათლების აკადემიური დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი

განათლების სფეროში კვლევის დაგეგმვის თავისებურებანი

განათლების სფეროში კვლევის დაგეგმვას საკმაოდ დაფიქრება ჭირდება, მისთვის დამახასიათებელი გარკვეული ასუბექტები და თავისებურებანი. კვლევის დაგეგმვის ერთი სწორი სქემა არ არსებობს. სქემების განსხვავებულობა დამოკიდებულია კვლევის მიზანზე, რადგან სქემა აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს მიზანს. კვლევის მიზანი განსაზღვრავს ასევე კვლევის მეთოდოლოგიას და დიზაინს. წინასწარ უნდა გაიწეროს კვლევის პირობები და მისი წარმართვის მექანიზმი, თუ გვინდა, რომ ის დამაჯერებელი, ლეგიტიმური და განხორციელებადი იყოს. მას შემდეგ, რაც მათ შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია, მკვლევარს უკვე ყველა პირობა აქვს შექმნილი კვლევის დასაწყებად. დაწყებამდე კარგად უნდა გაირკვეს: რა შეიძლება გაკეთდეს/რისი გაკეთება სურს მკვლევარს და რეალურად რა იმუშავებს/რისი გაკეთება შეუძლია მკვლევარს; ეს ხელს უწყობს კვლევის მუშაობას. კვლევის დაგეგმვაში ორი ფაზაა: დივერგენციის და კონვერგენციის. დივერგენციის ფაზა მკვლევარს არსებულ შესაძლო ვარიანტებს სთავაზობს, კონვერგენციის ფაზა კი გაფილტრავს ამ შესაძლებლობებს, ნახავს, მათ შორის რომელია სასურველი, რომელი რომელს შეესატყვისება, რომელი იმუშავებს მოცემულ სიტუაციაში და გადაინაცვლებს მოქმედების გეგმაზე, რომელიც რეალურად იმუშავებს.

კვლევა ოთხი ძირითად სფეროდ შეიძლება გაერთიანდეს: **საორიენტაციო გადაწყვეტილებები; კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია; მონაცემების ანალიზი; შედეგების წარდგენა და მოხსენება.**

საორიენტაციო გადაწყვეტილებები ის გადაწყვეტილებებია, რომლებიც კვლევის საზღვრებს ან შეზღუდვებს აწესებს. მაგალითად, ვთქვათ, კვლევის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი ისაა, რომ ექვს თვეში უნდა დასრულდეს. ეს გავლენას მოახდენს მთელ წამოწყებაზე. ერთი მხრივ, ეს საჭიროებს „გონების მოკრფვას“, საკითხების პრიორიტეტულობის მიხედვით დალაგებას და მონაცემების შედარებით მცირე დროში შეგროვებას. მეორე მხრივ, ამან შეიძლება შეამციროს მკვლევრისთვის ხელმისაწვდომი შესაძლებლობების მრავალფეროვნება. მაშასადამე, დროის გადანაწილებასთან დაკავშირებული საკითხები გავლენას მოახდენს:

- კვლევის კითხვებზე, რომლებზეც შესაძლებელი იქნებოდა რეალური, ობიექტური და მიუკერძოებელი პასუხების გაცემა (მაგალითად, ზოგიერთი კვლევის კითხვა შეიძლება მონაცემების მოგროვებისთვის ხანგრძლივ დროს საჭიროებდეს);
- მონაცემების შეგროვებისთვის გამოყენებული ინსტრუმენტების რაოდენობაზე (მაგალითად, დრო შეიძლება მხოლოდ რამდენიმე ინსტრუმენტის გამოყენებისთვის იყოს საკმარისი);
- წყაროებზე (ადამიანებზე), ვისთანაც მივიდოდა მკვლევარი (მაგალითად, დრო შეიძლება მხოლოდ მცირეოდენი ადამიანების ინტერვიუებისთვის იყოს საკმარისი);
- კვლევითი ნაშრომის ზომასა და ხასიათზე (დრო შეიძლება მხოლოდ შუალედური, წინასწარი ანგარიშის მომზადებისთვის იყოს საკმარისი).

დროის შუალედის დადგენით კვლევაში რეალიზმის მნიშვნელოვანი ელემენტი შედის, რაც შესაძლებელს ხდის, რომ პასუხი გაეცეს კითხვებს პრაქტიკულობის შესახებ. დროის გარკვეული ინტერვალი გარკვეული ტიპის კვლევების ჩატარების საშუალებას იძლევა – მოკლე დროში მცირე მოცულობის საკითხებზე პასუხების გაცემა შეიძლება, ხოლო უფრო ფართო კვლევა მონაცემების შესაგროვებლად უფრო მეტ დროს საჭიროებს, რათა რამდენიმე საკითხი დაიფაროს. დროის, რესურსებისა და ადამიანების ხარჯები შეიძლება გავლენას ახდენდნენ მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტების არჩევაზეც. მაგალითად, დროისა და ხარჯის საკითხი მკვლევრისგან მოითხოვს სკოლაში მასწავლებლების ან სტუდენტების მინიმალური რეპრეზენტაციული შერჩევის ზომის განსაზღვრას, ვინაიდან ინტერვიუს დიდი დრო სჭირდება და ძვირადღირებულია. კვლევის ორი

რეალური შეზღუდვა არსებობს, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას. კვლევის ადრეულად დაგეგმვა მკვლევარს მისცემს იმ საზღვრების დადგენის საშუალებას, რომელშიც უნდა იმუშაოს და, ასევე, შეზღუდვების განსაზღვრის შესაძლებლობას.

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია. საორიენტაციო გადაწყვეტილებები სტრატეგიული მნიშვნელობისაა, მაშინ ველზე მიღებული გადაწყვეტილებები - ტაქტიკურია. ისინი ადგენენ კვლევის პრაქტიკულობას, უშვებენ რა, რომ ზოგადად მისი განხორციელება შესაძლებელია. აქ გადაწყვეტილებები მოიცავს ისეთი კითხვების დასმას, როგორცაა: რა კონკრეტული მიზნები აქვს კვლევას? როგორაა ოპერაციონალიზებული კვლევის ზოგადი მიზნები კვლევის კონკრეტული კითხვებით? კვლევის რა კონკრეტული კითხვები არსებობს? რაზე უნდა ფოკუსირდეს კვლევა, რომ კვლევის კითხვებს უპასუხოს? რა ძირითადი მეთოდოლოგიაა კვლევაში გამოყენებული (მაგალითად, რაოდენობრივი გამოკითხვა, თვისებრივი კვლევა, ეთნოგრაფიული თუ პრაქტიკული კვლევა, ა. შ.)? რა სახის მოსაცემებია საჭირო? და ა. შ.

ოპერაციონალიზაციის პროცესს არსებითი მნიშვნელობა აქვს ეფექტური კვლევისთვის. ოპერაციონალიზაცია ნიშნავს ოპერაციების ან ქვევების ერთობლიობის დადგენას, რომელიც შეიძლება გავზომოთ, შევისწავლოთ ან ვცვალოთ. ოპერაციონალიზაციისას კვლევის ძალიან ზოგადი მიზანი კონკრეტულ კითხვად გარდაიქმნება, რომელზეც ასეთივე კონკრეტული პასუხის გაცემა შესაძლებელია. ეს ზოგადიდან, აბსტრაქტულიდან კონკრეტულსკენ, კერძოსკენ მოძრაობის პროცესია. ამგვარად, მკვლევარი კვლევის თითოეულ ზოგად მიზანს უფრო სპეციფიკურ მიზნებად და მდგენელებად ანაწევრებს და ეს პროცესი მანამდე გრძელდება, სანამ კონკრეტულ კითხვებამდე არ მივალთ, რომლებზეც კონკრეტული პასუხების გაცემა იქნება შესაძლებელი.

კვლევის კითხვების ოპერაციონალიზაციის ალტერნატიული გზა ჰიპოთეზების წამოყენება და მათი შემოწმებაა. „კარგ“ ჰიპოთეზას რამდენიმე თვისება გამოარჩევს: პირველი - გამოკვეთილია, ის ცალმხრივია თუ არა: ცალმხრივი ჰიპოთეზა ადგენს განსხვავების მიმართულებას ორ პირობას ან მონაწილეთა ორ ჯგუფს შორის (მაგალითად, სტუდენტების მოსწრება იზრდება, თუ ისინი შინაგანად არიან მოტივირებული). ორმხრივი ჰიპოთეზა უბრალოდ წინასწარმეტყველებს, რომ იქნება განსხვავება ორ პირობას ან მონაწილეთა ორ ჯგუფს შორის (მაგალითად, სტუდენტები ერთმანეთისგან განსხვავდებიან შინაგანი მოტივაციის დონით) და არ აკონკრეტებს ეს განსხვავება მატებას გულისხმობს, თუ კლებას (სტატისტიკური მიზნებისთვის, ცალმხრივი ჰიპოთეზა ცალმხრივ კრიტერიუმს ითხოვს, ხოლო ორმხრივი ჰიპოთეზა ორმხრივ კრიტერიუმს იყენებს). ცალმხრივი ჰიპოთეზა ხშირად გამოიყენება, როდესაც წარსული კვლევა, წინასწარმეტყველებები ან თეორია გვაფიქრებინებს, რომ მონაცემები ერთი რომელიმე კონკრეტული მიმართულებით შეიძლება წავიდეს; ორმხრივი ჰიპოთეზა კი მაშინ გამოიყენება, როდესაც წარსული კვლევა ან თეორია ბუნდოვანი ან წინააღმდეგობრივია, ან წინასწარმეტყველება შეუძლებელია, ანუ როდესაც შედეგები შეუზღუდავია.

მეორე - „კარგი“ ჰიპოთეზა შემოწმებადი ფორმით არის დაწერილი ისე, რომ ნათელია, როგორ დაგეგმავს მკვლევარი ექსპერიმენტს ან გამოკითხვას ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად.

მესამე - „კარგი“ ჰიპოთეზა ისეთი ფორმით არის დაწერილი, რომ შესაძლებელია გაზომვადი შედეგების მიღება.

იგულისხმება, რომ როდესაც კვლევის დიზაინისა და მეთოდოლოგიის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია, მოქმედების კონკრეტული გეგმა უნდა მომზადდეს.

მონაცემების ანალიზი. მომზადებულმა მკვლევარმა უნდა გაიაზროს, თუ როგორ გააანალიზებს მონაცემებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან სპეციფიკურ გავლენას ახდენს ინსტრუმენტების შერჩევაზე. მაგალითად, მკვლევარმა ზედმიწევნით უნდა დაგეგმოს კითხვარის გამოყენებით გამოკითხვის სქემა და სტრუქტურა, რათა ხელი შეუწყოს კომპიუტერში მონაცემების შეტანას შემდგომი წაკითხვისა და ანალიზისთვის. შეუსაბამო სქემამ შეიძლება დაბრკოლება შეუქმნას მონაცემების შეტანას და, საბოლოო ჯამში, კომპიუტერულ ანალიზს. მონაცემების ანალიზის დაგეგმვისას უნდა გავითვალისწინოთ:

- რას ვუპირებთ შეგროვებულ მონაცემებს? როგორ დავამუშავებთ და გავაანალიზებთ მათ?

• როგორ დავასაბუთებთ, გადავამოწმებთ ან დავამოწმებთ ანალიზის შედეგებს?

მონაცემთა ანალიზის ფორმის არჩევის კრიტერიუმს განსაზღვრავს როგორც მიზნისთვის შესატყვისობა, ისე, ლეგიტიმურობა: მონაცემთა ანალიზის ფორმა უნდა შეესატყვისებოდეს შეგროვებული მონაცემების ტიპს. მაგალითად, არასწორი იქნება გარკვეული სტატისტიკების გამოყენება გარკვეული სახის რიცხობრივი მონაცემების მიმართ (მაგალითად, საშუალოს გამოყენება სახელდების სკალის მონაცემების შემთხვევაში), ან მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა სხვადასხვა ადგილას ჩატარებული კვლევების ანალიზისას.

შედეგების წარმოდგენა და ანგარიში. მომზადებულმა მკვლევარმა, მონაცემების ანალიზის მსგავსად, კვლევისა და მისი შედეგების წარდგინების ფორმაზეც უნდა იფიქროს და სათანადო ყურადღება მიაქციოს სხვადასხვაგვარი აუდიტორიის მოთხოვნებს (მაგალითად, აკადემიური აუდიტორიისთვის შეიძლება სხვა შინაარსი იყოს საჭირო, სულ სხვა - უფრო ფართო პროფესიული აუდიტორიისთვის და, მით უმეტეს, სულ სხვა - არაპროფესიონალებისთვის).

ფიქრობ, კვლევის ზემოთხსენებული თავისებურებები ხელს შეუწყობს განათლების სისტემაში კვლევის სწორ დაგეგმვას. მკვლევარი შეძლებს სწორად დასახოს მიზანი, რის საფუძვლეზეც კარგად შეადგინოს კვლევის სქემა და წარმართოს მიზანმიმართულად, შესაბამისად მიღებული შედეგები იქნება ხარისხიანი და არ გაუჭირდება მონაცემთა დამუშავება, ანალიზი და წარდგენა საზოგადოებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლუის კოჰენო, ლოურენს მანიონი, ქეთი მორისონი – კვლევის მეთოდები განათლებაში, თბილი, 2011წ.
2. წულაძე ლ. – რადენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში, თბილი, 2008წ.
3. ქურდაძე ირმა – პედაგოგიური კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები, თბილისი, 2008წ.

რეზიუმე

განათლების სფეროში კვლევის დაგეგმვას საკმაოდ დაფიქრება ჭირდება, მისთვის დამახასიათებელი გარკვეული ასპექტები და თავისებურებანი. კვლევის დაგეგმვის ერთი სწორი სქემა არ არსებობს. სქემების განსხვავებულობა დამოკიდებულია კვლევის მიზანზე, რადგან სქემა აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს მიზანს. კვლევის მიზანი განსაზღვრავს ასევე კვლევის მეთოდოლოგიას და დიზაინს.

კვლევის დაგეგმვაში ორი ფაზაა: დივერგენციის და კონვერგენციის. დივერგენციის ფაზა მკვლევარს არსებულ შესაძლო ვარიანტებს სთავაზობს, კონვერგენციის ფაზა კი გაფილტრავს ამ შესაძლებლობებს, ნახავს, მათ შორის რომელია სასურველი, რომელი რომელს შეესატყვისება, რომელი იმუშავებს მოცემულ სიტუაციაში და გადაინაცვლებს მოქმედების გეგმაზე, რომელიც რეალურად იმუშავებს.

კვლევა ოთხი ძირითად სფეროდ შეიძლება გაერთიანდეს: **საორიენტაციო გადაწყვეტილებები; კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია; მონაცემების ანალიზი; შედეგების წარდგენა და მოხსენება.**

საორიენტაციო გადაწყვეტილებები აწესებს კვლევის საზღვრებს ან შეზღუდვებს. მას მოყვება დიზაინი და მეთოდოლოგია, სადაც ხდება ოპერაციების ან ქცევების ერთობლიობის დადგენა.

მკვლევარმა უნდა გაიაზროს, თუ როგორ გააანალიზებს მონაცემებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან სპეციფიკურ გავლენას ახდენს ინსტრუმენტების შერჩევაზე, ასევე ეხმარება შედეგების წარდგენაში.

კვლევის თავისებურებები ხელს შეუწყობს განათლების სისტემაში კვლევის სწორ დაგეგმვას. ამით მკვლევარი შეძლებს სწორად დასახოს მიზანი, რის საფუძვლეზეც კარგად შეადგინოს კვლევის სქემა და წარმართოს მიზანმიმართულად, შესაბამისად მიღებული შედეგები იქნება ხარისხიანი და არ გაუჭირდება მონაცემთა დამუშავება, ანალიზი და წარდგენა საზოგადოებისათვის.

Ягор Баланчивадзе – Государственный университет Акакия Церетели. Академический доктор образования, приглашенный специалист.

Своеобразие планирования исследования в сфере образования

Резюме

При планировании исследования в сфере образования необходимо учесть, те аспекты и особенности, которые характерны для него. Не существует одной определенной схемы планирования исследования. Многообразие схем зависит от целей исследования, так как схема должна соответствовать цели. Цель исследования также определяет методологию и дизайн исследования.

Планирование исследования состоит из двух фаз: дивергенции и конвергенции. Фаза дивергенции предлагает исследователю существующие возможные варианты, а фаза конвергенции фильтрует эти возможности, находит из них более приемлемые, соответствующие друг другу, те которые будут работать в данной ситуации или же перейдут на реальный план действий.

Исследование может быть объединено в четыре основные сферы: **ориентировочные решения; дизайн и методология исследования; анализ данных; представление и сообщение итогов.**

Ориентировочные решения определяет или ограничивает границы исследования. За ним следует дизайн и методология, где происходит установление единства операций или поведения.

Исследователь должен определить то, каким образом поведет анализ данных. Это имеет большое значение, потому что специфически влияет на подбор инструментов, также помогает в представлении итогов.

Особенности исследования положительно повлияют на павильоне планирование исследования. Этим исследователь сможет правильно определить цель, на основании которой составит и целенаправленно поведет исследование, соответственно, полученные итоги будут качественными, а также ему не трудно будет обработать, проанализировать данные и представить их обществу.

Iagor Balanchivadze - Akaki Tsereteli State University, Academic Doctor of Education, Invited Specialist

The Peculiarities of Research Planning in the Sphere of Education

Abstract

Research planning in the sphere of education requires quite a great deal of thoughtful consideration. It is characterized by certain aspects and particular features. One cannot say that there is a perfect scheme for planning the research. The differentiation of the schemes depends on the purpose of the research, since the scheme should necessarily be in consistent with the purpose. The purpose of the research determines the research methodology and its design as well.

There are two phases of the research planning: divergence and convergence. The phase of divergence provides the researcher with all the possible variants, whereas the phase of convergence filters these possibilities. It implies figuring out the desired one, which is of which equivalent, and which will work in the given situation. Then, there comes switching to the action plan. The latter involves the activities that must be actually performed.

Normally, the research comprises four major spheres: orientation in decision-making, research design and methodology, data analysis, reporting and presenting results.

Research peculiarities will promote the proper planning of research in the education system. Owing to that, the researcher will be able to set the right goal, based on which s/he will prepare a research scheme in a well-organized way and will conduct the research as it has been predetermined within the framework of the research. Accordingly, outcomes achieved will be of quality. Besides, there would be no difficulty processing, analyzing the data and introducing the results to the public.

გულიზარ შენგელია - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მენტორ-მადიებლის მუშაობა საჯარო სკოლაში

სიტყვა მენტორი ნიშნავს მრჩეველს, დამრიგებელს. ლეგენდარული ოდისევსის მეგობარს მენტორი ერქვა. ჰომეროსის პოემა მოგვითხრობს, რომ სწორედ მენტორს მიაბარა აღსაზრდელად ოდისევსმა თავისი ვაჟი ტელემაქე, ტროაზე გალაშქრებამდე. ხშირად ოდისევსისა და ტელემაქეს დასახმარებლად ქალღმერთი ათენა მენტორის სახეს იღებდა.

დღევანდელ საჯარო სკოლაში მენტორი კვალიფიციური, გამოცდილი პედაგოგია, რომელიც მზადაა ხელი შეუწყოს მადიებელს, პრაქტიკული პედაგოგიური უნარჩვევების შეძენაში, საკუთარი პოტენციალის გამოვლენაში, გამოცდილების მიღებასა და პროფესიულ განვითარებაში.

მენტორი მადიებლის პროგრამის წარმატებას განაპირობებს. ეფექტურ მენტორზეა დამოკიდებული მადიებელში მასწავლებლის პროფესიისადმი პოზიტიური დამოკიდებულებისა და შინაგანი მოტივიზაციის გაღვივება-შენარჩუნება, კლასის მართვისა და სწავლების ეფექტური მეთოდებით აღჭურვა, თვითშეფასების კულტურის განვითარება, კოლეგებთან თანამშრომლობა და სხვა.

მენტორის ინსტიტუტი ძალზე მნიშვნელოვანია არა მარტო დამწყები მასწავლებლის მოტივირებისა და პროფესიული ზრდისათვის, არამედ თავად მენტორმასწავლებლისათვისაც. მენტორის მუშაობა მადიებელთან აუმჯობესებს სწავლების ხარისხს. თვით მენტორები აღნიშნავენ, რომ მადიებელთან გეგმასა და ზოგადად სწავლებასთან დაკავშირებით ახალ იდეების შთაგონება ხელს უწყობს ხელახლა გაიაზრონ საკუთარი გამოცდილება და დამოკიდებულება სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებით.

აშშ-სა და ევროპაში მენტორის ინსტიტუტი მოქმედებს არა მარტო განათლების სფეროში, არამედ ბიზნესსა და მედიცინაში. მენტორს უნდა შეეძლოს გააცნობიეროს მენტორობის არსი და საკუთარი როლი მადიებლის პროფესიული საქმიანობისადმი. მან უნდა გაითვალისწინოს მადიებლის პრობლემები და საჭიროებები მასწავლებლის სტატუსის მოპოვებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების გზაზე, მან უნდა დაგეგმოს და გაუძღვეს მადიებელთა მუშაობის პროცესს, ეფექტური მიდგომების სტრატეგიებისა და რესურსების გამოყენებით უნდა შეეძლოს პერიოდულად შეაფასოს საკუთარი მუშაობა მენტორის როლში და შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები პედაგოგიურ საქმიანობაში.

მადიებელი არის ის პირი, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში არის მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად. მასწავლებლობის უფლება შეიძლება მოიპოვოს იმ პირმა, რომელიც დადგენილი წესით გაივლის რეგისტრაციას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საქართველოში 2010 წლის 31 აგვისტოს დამტკიცდა მასწავლებლობის მადიებელთა რეგისტრაციისა და მადიებლის პერიოდის გავლის წესი. ეს წესი განსაზღვრავს მასწავლებლობის მადიებელთა რეგისტრაციის პროცედურას, მადიებლობის პერიოდის გავლის პირობებს, მადიებლის მენტორის და სკოლის ხელმძღვანელის უფლება მოვალეობებისა და მადიებლობის გავლის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების წესს. მენტორად აირჩევა მოწინავე, პროფესიონალი მასწავლებელი, რომელსაც უნარი აქვს გაუწიოს მადიებელს ყოველმხრივ დახმარება.

პროფესიონალმა პედაგოგმა უნდა შეძლოს, რომ მადიებელმა ერთწლიან პერიოდში მიაღწიოს შემდეგ შედეგებს: იპოვოს საკუთარი ადგილი სასკოლო საზოგადოებაში, დაეუფლოს პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, გამოიმუშაოს სწავლა-სწავლების პროცესისა და მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებისადმი კვლევითი რეფლექსური დამოკიდებულება, ქონდეს მზაობა პროფესიული საქმიანობის გაგრძელებისა და სერთიფიცირებისათვის.

დღევანდელ სკოლაში მენტორსა და მადიებელს შორის არის ურთიერთობის დემოკრატიული სტილი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მენტორი და მადიებელი ერთად სახავენ სამოქმედო გეგმას,

განიხილავენ პრობლემურ სიტუაციებს, ეცნობიან მასალებს, ერთობლივად დაგეგმილი პროცესის განხილვა-შეფასებაც წყვილში მიმდინარეობს.

მენტორსა და მადიებელს უნდა ჰქონდეს ერთობლივი მუშაობის დოკუმენტები. ამ დოკუმენტებში შედის ბიოგრაფია, დახასიათება, მოტივაციის წერილი, დიპლომის დანართი და ა.შ.

მენტორი მადიებელთან ატარებს მიზნობრივ ღონისძიებებს: თემატური შეჯამება, გამოცდილი მასწავლებლის მიერ სპეციალურად ორგანიზებულ გაკვეთილზე დასწრება, შეფასება და ამოცანების გადასინჯვა, მადიებლის პორტფოლიოს განხილვა. ეს ყველაფერი მიგვითითებს მენტორისა და მადიებელს შორის ეფექტურ ურთიერთობაზე.

მადიებელმა უნდა გაეცნოს ახალ ლიტერატურას. მენტორმა უნდა გადაამოწმოს ფლობს თუ არა მადიებელი კითხვის ტექნიკას.

გამოცდილი მასწავლებლის მიერ სპეციალურად ორგანიზებული სადემონსტრაციო გაკვეთილზე დასწრება მნიშვნელოვანია მადიებლისათვის პერიოდის პირველ ფაზაში. ამ დროს უყალიბდება მადიებელს ეფექტური სწავლებისა და სწავლის მკაფიო სურათი. კარგია თუ მენტორი წინასწარ გააცნობს მადიებელს გაკვეთილის გეგმას.

მენტორმა შეიძლება კითხვა დაუსვას მადიებელს გაკვეთილის დაწყებამდე, გაკვეთილის მსვლელობისას და გაკვეთილის დასრულების შემდეგ. აუცილებელია მადიებლის საქმიანობის შეფასება. ეს შეფასება უნდა იყოს მიმდინარე, შუალედური და შემაჯამებელი. ეს შეფასება ეხმარება მენტორს მეტად გააუმჯობესოს სამოქმედო გეგმა, ინსტრუქციები და საჭირო რესურსები. ამ შეფასებით თავად მადიებელი აუმჯობესებს თავის საქმიანობას. ამ შეფასებაში მთავარია გაეცეს პასუხი კითხვას- რას აღწევს მადიებელი.

მადიებლის მუშაობის პერიოდში ხდება მენტორის მიერ მადიებლის მუშაობის პერიოდული ანალიზი. მენტორი არკვევს რამდენად მისდევს მადიებელი მენტორთან ერთად შემუშავებულ გეგმას, რამდენად აღწევს წინასწარ განსაზღვრულ შედეგებს და რომელი ამოცანების შესრულებას სჭირდება საგანგებო ყურადღება. ამგვარ პროცესს მონიტორინგს უწოდებენ.

პორტფოლიო შეიცავს შემდეგ საბუთებს: სწავლასა და სწავლებასთან დაკავშირებულ ამა თუ იმ საკითხებს, პიროვნული გამოცდილების პედაგოგიურ ანალიზს, ეფექტური გაკვეთილის ამსახველ მასალას, პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის ამსახველი მასალას.

პორტფოლიოს წარმოებას მენტორი უნდა აკონტროლებდეს. მადიებლის შემაჯამებელი შეფასება ტარდება და შედეგები წარედგინება დირექტორს.

სკოლამ თავიდანვე მხარი უნდა დაუჭიროს მადიებელს, დადებითად უნდა განეწყოს სკოლა მადიებლის გამოჩენით, რაც ღიად უნდა გამოიხატოს. მადიებლის მიღება უნდა იყოს სასკოლო კულტურის კომპონენტი.

მენტორსა და მადიებელს შორის უნდა იყოს კარგი იურთიერთობა. არ შეიძლება მათი ურთიერთობა დაიძაბოს. მენტორმა უნდა იცოდეს, რომ მენტორსა და მადიებელს შორის ურთიერთობა ინდივიდუალურია. მადიებელს შეიძლება განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდეს იმ დახმარების მიმართ რასაც მას მენტორი სთავაზობს. პირველ წელს მენტორს შეიძლება ისეთ მადიებელთან მოუხდეს მუშაობა, რომელიც მენტორის რჩევებს მიიღებს და გაითვალისწინებს, ხოლო მეორე წელს შეხვდეს საძიებელი, რომელიც მის რჩევებს არ მიიღებს.

კარგმა მენტორმა უნდა შეძლოს საკუთარი სწავლების სტილი მადიებლის ინდივიდუალობას მოარგოს.

როგორ შეიძლება დავეხმაროთ მენტორს, რომ მისი მუშაობის სტილი მადიებლის საჭიროებებზე მოერგოს და გამოუმუშავდეს პოზიტიური დამოკიდებულება. ეს საკითხი უნდა იყოს გათვალისწინებული მენტორთა ტრენინგის პროგრამაში. ტრენინგის დროს ყურადღება უნდა დაეთმოს მენტორობაში ხელმძღვანელობის სტილის აღმოჩენასა და გაღრმავებას.

წარმატებული მენტორი მუდმივად უნდა სწავლობდეს კოლეგებისაგან, შეიძლება დამწყები მასწავლებლისაგანაც. მან თავის თავში უნდა აღმოაჩინოს უნარი, რომელიც მადიებლის პროფესიულ საქმიანობაზე ახდენს გავლენას და სწავლობს, თუ როგორია ეს უნარი მადიებლის საჭიროებაზე.

მენტორი უძღვება და ესწრება სემინარებს, ასწავლის დამამთავრებელ კლასებს, აქვეყნებს სტატიებს პროფესიულ ჟურნალებში. მენტორმა სისტემატიურად უნდა იკითხოს სპეციალური ლიტერატურა მენტორების შესახებ.

მენტორს აუცილებლად უნდა შეეძლოს დაარწმუნოს მამიებელი, რომ არსებული სიმძნელების გადალახვა და წარმატების მიღწევა შესაძლებელია.

ამჟამად, მამიებელი შეიძლება სკოლაში მენტორთან არ მუშაობდეს და მისი დახელოვნება ტრეინინგებით მოხდეს. მას მამიებელი არ ჰქვია, იგი არის კურსდამთავრებული, რომელიც მენტორის გარეშე, ტრეინინგებით ემზადება მასწავლებლობის სტატუსის მოსაპოვებლად.

ლიტერატურა:

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი ზოგადი განათლების შესახებ. თბ. 1996წ.
2. ჟურნალი "მასწავლებელი". თბ. 2010წ.
3. ეროვნული სასწავლო გეგმა. 2010-2011წ.
4. სკოლების განახლება საქართველოში. თბ. 2005წ.
5. მენტორის სახელმძღვანელო. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2010წ.
6. მამიებლის სახელმძღვანელო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2010წ.

რ ე ზ ი უ მ ე

მენტორ-მადიებლის მუშაობის პრაქტიკა საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო რეფორმის საფუძველზე დამკვიდრდა.

მენტორი მრჩეველს ნიშნავს, რომელიც უნდა იყოს გამოცდილი პედაგოგი და უნდა ეხმარებოდეს მადიებელს პედაგოგიური უნარ-ჩვევების შეძენაში, სკოლის მართვისა და სწავლების ეფექტური მეთოდებით აღჭურვაში, კოლეგებთან თანამშრომლობაში.

მენტორ-მადიებლის ერთობლივი მუშაობა ხელს უწყობს სკოლას, როგორც ცოცხალი ორგანიზმის განვითარებას.

მადიებელი სკოლაში მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად მიდის და მენტორთან იწყებს ურთიერთობას დემოკრატიული სტილით. ისინი ერთობლივად სახავენ სამოქმედო გეგმას, განიხილავენ პრობლემატიურ სიტუაციებს, ეცნობიან მასალებს და პედაგოგიურ ლიტერატურას.

მენტორი მადიებელთან ერთწლიან მუშაობის დამთავრების შემდეგ, აფასებს მადიებლის მუშაობას და არკვევს რას მიაღწია მადიებელმა.

მადიებელი უნდა აწარმოებდეს პორტფოლიოს, რომელიც არის თვალსაჩინო მასალათა კრებული.

Mentor teacher and mentee job description in public schools

R E S U M E

Mentor teacher and mentee job practice has been established in public schools due to educational reform.

Mentor means an adviser who must be an experienced teacher supporting the mentee (beginner teacher) in acquiring of new teaching skills, modern methods of teaching and cooperation ability with colleagues.

Mentor and mentee mutual work helps school to be developed as a living organism.

Mentees need school in order to get a teacher's qualification. They choose a democratic style of cooperation. They make a work plan, analyze problematic situations get acquainted with modern pedagogical issues, reports, articles and other materials.

After finishing the school year a mentor evaluates mentee's work, sends a report to the ministry of education and allows them to take teacher's certificate exams.

Portfolio is the collection of materials and work done by mentees.

Работа ментора и соискателя в публичной школе

Р Е З Ю М Е

Практика работы ментора и соискателя в публичной школе вытнвилась на основе реформы образования.

Ментор означает-советник, который должен быть опытным педагогом и должен помогать соискателю-начинающему учителю- в приобретении педагогических умений и навыков, в овладении эффективными методами преподавания и навыками управления классом, в сотрудничестве с коллегами.

Совместная работа ментора и соискателя способствует развитию школы как единого организма. Соискатель приходит в школу для получения статуса учителя и начинает сотрудничество с ментором на демократической основе. Они совместно разрабатывают план действий, обсуждают проблемные ситуаций, знакомятся с материалами и педагогической литературой. После окончания учебного года ментор оценивает работу соискателя и определяет, каких результатов достиг соискатель. Соискатель должен вести портфолио, которое является сборником наглядного материала.

თამარ ადეიშვილი - შპს „ლონე ქვეყნისა“ კერძო დაწყებითი სკოლის დირექტორი; პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტის ტრენერი.

სასწავლო პროცესში მოსწავლის სიმბოლური აზროვნების უნარისა და კონსერვაციის პრინციპის განვითარების საკითხები

სკოლაში დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებში ძირითადი ყურადღება მიმართულია მოსწავლეთა სიმბოლური აზროვნების უნარის განვითარებისაკენ, სიმბოლური აზროვნება წარმოადგენს ბავშვების უნარს, გონებაში წარმოისახონ და სიმბოლოების საშუალებით იფიქრონ საგნებზე და მოვლენებზე. ბავშვებს სჭირდებათ დახმარება გონებაში წარმოიდგინონ და გამოსცადონ საგნები და მოქმედებები. წინასწარ აღიქვან, თუ რა მოხდება მათი მოქმედების შედეგად; გავიხსენოთ, შვეიცარიელი ფსიქოლოგი, კოგნიტური თეორიის ერთ-ერთმა ავტორი, ჟან პიაჟე, მისი აზრით, სიმბოლური აზროვნება პრეოპერაციულ სტადიაზე მეტ ნაკლებად ვლინდება, თუმცა ბავშვებს ამ ეტაპზე არ ესმით კონსერვაციის (პრინციპი). კონსერვაციის პრინციპის დარღვევა ზოგჯერ ბავშვთა განვითარების შემდგომ ეტაპზედაც შეიმჩნევა, ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად, თანამედროვე სასწავლო პროცესი საშუალებას უნდა ქმნიდეს ისწავლოს ბავშვმა აზროვნება და ჩამოუყალიბდეს ცოდნის შენარჩუნების უნარი. სასწავლო პროცესში გამოყენებული ინოვაციური მეთოდები ხელს უნდა უწყობდეს კონსერვაციის პრინციპის ჩართვას მოსწავლის აზროვნებაში, აქცენტი მოსწავლის აზროვნების, ლოგიკური მსჯელობის, დასაბუთების, მოვლენებისა და ფაქტების ანალიზის უნარზე უნდა იყოს გადატანილი. სწორად განსაზღვრული გაკვეთილის მიზანი, მასწავლებელს მიზანმიმართული მუშაობის საშუალებას უნდა აძლევდეს, ხოლო მოსწავლეს ახალი მასალის ათვისების საშუალებას, რომელიც ორგანულად დაუკავშირდება ძველი ცოდნის განმტკიცება-გამეორებას და ნასწავლი მასალის კონსერვაციას.

სასწავლო პროცესში ვიყენებ კოგნიტურ თეორიას, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის ინფორმაციის გადამამუშავებელ სისტემებს. როგორც ვიცით ამერიკელი ფსიქოლოგის ჯერომ ბრუნერის აღმოჩენებით სწავლის თეორია კოგნიტური თეორიების რიცხვს ეკუთვნის. ასეთი თეორიების მიზანი შემეცნებითი პროცესების (გადაწყვეტილების მიღება, პრობლემის გადაჭრა, ანალიზი, სინთეზი, შეფასება, დამახსოვრება) სტრუქტურისა და ფსიქოლოგიური მექანიზმების აღწერაა. ვფიქრობ, კოგნიტური თეორია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათლებისთვის, რადგან ნათელ და თვალსაჩინო პედაგოგიურ მეთოდებსა და მოდელებს გვთავაზობს. სწავლა -ეს არის აქტიური პროცესი, როდესაც მოსწავლეები შეიცნობენ და აშენებენ ახალ იდეებს თავიანთ ძველ ცოდნაზე.

მოსწავლე არჩევს და განაახლებს ინფორმაციას, აშენებს ჰიპოთეზებს და იღებს გადაწყვეტილებებს, გამოთქვამს მოსაზრებებს ამა თუ იმ საკითხზე. შემეცნებითი სტრუქტურა უზრუნველყოფს მნიშვნელობის გაგებას, მოვლენების ორგანიზაციას და საშუალებას აძლევს აღსაზრდელს მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია. მასწავლებელმა და მოსწავლემ აქტიურ დიალოგში უნდა მიიღოს მონაწილეობა (სოკრატული სწავლება). მასწავლებლის მთავარი მიზანი და ამოცანაა გარკვეულ ფორმატში შესწავლილი ინფორმაციის ისე მიწოდება და თარგმნა, რომ ათვისებული მასალა შეესაბამებოდეს მიმდინარე ვითარებასთან მოსწავლის კონკრეტულ შემეცნებას. სასწავლო მასალა უნდა იყოს ორგანიზებული სპირალური სახით ისე, რომ მოსწავლე განუწყვეტილად ეყრდნობოდეს უკვე შესწავლილს.

თითოეულ სასკოლო საგანის სწავლებას თავისი წვლილი შეაქვს, როგორც სიმბოლური აზროვნების განვითარების პროცესში ასევე ნასწავლის კონსერვაციაში, რომელიც განპირობებულია, როგორც ამა თუ იმ მეცნიერების, ისე უშუალოდ საგნის სპეციფიკურობით, შინაარსობრივი ხასიათითა და მისი შესწავლის მეთოდებით. აღნიშნული პრიორიტეტების გათვალისწინებით, დაწყებით საფეხურზე, სასწავლო პროცესი, მათ შორის მათემატიკის სწავლების კურსი, დაფუძნებული უნდა იყოს ინტეგრაციისა და პრაქტიკული მიმართულების პრინციპზე, რაც გულისხმობს იმას, რომ მასალა და სწავლების საშუალებანი უნდა შეირჩეს იმგვარად, რომ

მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი თითოეული მოსწავლის აქტიური მონაწილეობა ყოველ გაკვეთილზე. ხშირად პედაგოგი ძირითად ყურადღებას უთმობს, მხოლოდ დარგობრივი ცოდნის დამახსოვრებას, რაც საერთო ჯამში არ გვაძლევს მაღალ განმავითარებელ ეფექტს და არ შეესაბამება დღევანდელი ეპოქისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარებას. პედაგოგს ძირითადი გეზი და მიმართულება აღებული უნდა ჰქონდეს-აღზარდოს პიროვნება, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს შეძენილი ცოდნა არა მხოლოდ სასწავლო დისციპლინის კონტექსტში, ასევე ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის თავისი საქმიანობის სფეროში. საგაკვეთილო პროცესის დაგეგმარებისას პედაგოგი მიმართული უნდა იყოს განსაზღვრული მიზნის სრულყოფისაკენ და მოსწავლის მიერ გაკვეთილზე მიღებული ცოდნის კონსერვაციისაკენ.

მე, შპს „ღონე ქვეყნისა“ კერძო დაწყებითი სკოლის, დირექტორი გახლავართ, ვანხორციელებ საგაკვეთილო პროცესს, წარმოდგენით განხორციელებული თემატური ერთეულის გაკვეთილის ორგანიზების ერთ-ერთი საფეხურს-გაკვეთილის წარმართვას.

გაკვეთილის თემა: II კლასის მოსწავლეთათვის დროის საზომი ხელსაწყო- საათის გაცნობა და მისი საზომი ხელსაწყო ისტორიის კვლევა.

მასწავლებლის მიზანია: მოსწავლემ შაგროვოს მონაცემები კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, განიმტკიცოს სიმბოლური აზროვნების უნარი; შეძლოს ნასწავლი მასალის კონსერვაცია. გაითვალისწინე, მიზნის მისაღწევად არჩეული აქტივობები და მეთოდები რომელი უნარების განვითარებას უწყობს ხელს, ე.ი. თითოეულ აქტივობას რა შედეგზე გაჰყვავს მოსწავლეები, აგრეთვე გავილისწინე, როგორ მოვახდენდი მოსწავლეების ორგანიზებას და როგორ მივუსადაგებდი სამუშაოს მათ შესაძლებლობებს. შევეცადე სწორად შემერჩია სასწავლო რესურსები, რადგან მათი სწორად შერჩევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის.

(I ეტაპი) ზემოთ აღნიშნული მიზნის მისაღწევად გაკვეთილის დაწყების პირველ წუთებში მოვახდინე მოსწავლეთა გამოწვევა /პროვოცირება, რომელიც გულისხმობს მოცემულ საკითხზე, კერძოთ საათზე არსებული ცოდნის, გაცნობის, შთაბეჭდილებების გააქტიურებას. მოსწავლეებმა გაიხსენეს რაც იცოდნენ საათზე, თუ უნახავთ სადმე: ოჯახში, დაეწესებულებაში, სკოლაში... როგორი ფორმის, ზომისა და დანიშნულების საათები უნახავთ, რისთვის არის საათი საჭირო, მოსწავლეებმა დაიწყეს საკითხზე ფიქრი, მოხდა მათი გააქტიურება, ინტერესის გაზრდა, რაც საკითხის კვლევის პროვოცირებას უწყობს ხელს. (II ეტაპი) სიმბოლური აზროვნების უნარის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საგაკვეთილო პროცესში, ინფორმაციული ტექნოლოგიების ჩართვას, ამ მიზნით გაკვეთილზე მოსწავლეები დაყვავი 5 მცირე ჯგუფად, თითოეულმა ჯგუფმა გამოიყენა თითო კომპიუტერი. გადავნიშნე ჯგუფები -I, II, III, IV, V. დაფაზე წინასწარ მივაკარი 5 სხვადასხვა ფერის სტიკერი, თითოეულმა ჯგუფმა აირჩია სასურველი ფერის სტიკერი, ჯგუფებს დავარქვი სახელები არჩეული ფერების მიხედვით, არჩეული ფერის შესაბამისად თითოეული ფერის სტიკერის გვერდით დავწერე ჯგუფის ნომერი, გადმოვაბრუნე სტიკერები, რომლებზეც გამოჩნდა წარწერები წარწერები, (1.გნომონი, 2. მზის სათი, 3. წყლის სათი, 4. ელექტრო სათი, 5.მექანიკური სათი), თითოეულმა ჯგუფმა ჩემთან ერთად მოიძია ინფორმაცია, იმ საკითხის შესახებ რომელიც ეწერა მათი ჯგუფის ფერს. დავეხმარე ჯგუფებს და მოძიებული ინფორმაცია პრინტერის საშუალებით ამოვბეჭდეთ თაბახის ფურცლებზე და დავაწებეთ, დაფაზე წინასწარ გაკრულ პლაკატზე სათაურით „სათი“. გაკვეთილის ეს ეტაპი ხელს უწყობს საკითხის შინაარსის გაგებასა აღქმას. მოსწავლე ეცნობა ახალ ინფორმაციას კვლევის ჩატარების საფუძველზე. ხდება არსებული ცოდნისა და ახალი ინფორმაციის შეჯერება. ამ ეტაპის უპირველესი ამოცანაა, I ეტაპზე გავიმძებრო ინტერესის შენარჩუნება. (III ეტაპი) მოსწავლეებმა შექმნილი პლაკატის მიხედვით გააკეთეს პრეზენტაცია, განიხილეს თავიანთი ჯგუფის მიერ მოძიებული ინფორმაცია, მოსწავლეები ამ ეტაპზე ამოვიანებენ არსებულ და ახლად მიღებულ ცოდნას, ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მსჯელობა. მოსწავლე საგაკვეთილო პროცესის აქტიური მონაწილეა, ისინი თავად აგებენ ცოდნას, მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეთა გააქტიურებას და ჩართულობას, ხდის მათ მოტივირებულთ, მოიძიონ ინფორმაცია, დაახარისხონ, გაანალიზონ, შეაფასონ და განაზოგადონ,

მასწავლებელი ცდილობს მოსწავლეებს განუვითაროს კვლევა-ძიებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარები.

ნასწავლი მასალის ირგვლივ თვალსაწიერის გაფართოების მიზნით მოსწავლეებს დავავალე ისტ-ის გაკვეთილზე მასწავლებლის დახმარებით შემდეგი ორი სახის დავალების შესრულება: 1. მასალის გასაღრმავებელი დავალება: უნდა მოეძიათ ინფორმაცია მსოფლიოში ცნობილი საათების შესახებ, 2. მოსამზადებელი დავალება, რომლის მიზანია მომავალი გაკვეთილის თემისათვის ინფორმაციული ფონის მომზადება, მოსწავლეებს უნდა მოეძიათ ინფორმაცია საათების დანიშნულების შესახებ.

მიღებული ცოდნის კონსერვაციისათვის მოეწყო სასწავლო შემეცნებით ექსკურსია ქუთაისის გელათის მონასტერში, სადაც მოსწავლეებმა, ჩემი მიმანიშნებელი სიმბოლოების დახმარებით აღმოაჩინეს ტაძრის კედელზე გამოსახული მზის საათი.

აღწერილი საგაკვეთილო პროცესი მოსწავლეს ანიჭებს არჩევანის თავისუფლებას, რაც ავითარებს დამოუკიდებელი სწავლისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარ ჩვევებს, მათ საშუალება ეძლევათ გონებაში წარმოისახონ და, სიმბოლოების საშუალებით იფიქრონ საგნებზე და მოვლენებზე. გამოხატონ თავიანთი აზრები და მიიღონ ინფორმაცია.

ლიტერატურა:

1. <http://mastsavlebeli.ge/>განვითარებისა და სწავლების თეორიები“ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008 / ანიტა ვულფოკი „განათლების ფსიქოლოგია“, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009) / სწავლება და შეფასება“ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი , 2011).

რეზიუმე

სკოლაში დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებში ძირითადი ყურადღება მიმართულია მოსწავლეთა სიმბოლური აზროვნების უნარის განვითარებისაკენ, სიმბოლური აზროვნება წარმოადგენს ბავშვების უნარს, გონებაში წარმოისახონ და სიმბოლოების საშუალებით იფიქრონ საგნებზე და მოვლენებზე. ბავშვებს სჭირდებათ დახმარება გონებაში წარმოიდგინონ და გამოსცადონ საგნები და მოქმედებები. წინასწარ აღიქვან, თუ რა მოხდება მათი მოქმედების შედეგად; თითოეულ სასკოლო საგანის სწავლებას თავისი წვლილი შეაქვს, როგორც სიმბოლური აზროვნების განვითარების პროცესში ასევე ნასწავლის კონსერვაციაში, რომელიც განპირობებულია, როგორც ამა თუ იმ მეცნიერების, ისე უშუალოდ საგნის სპეციფიკურობით, შინაარსობრივი ხასიათითა და მისი შესწავლის მეთოდებით. აღნიშნული პრიორიტეტების გათვალისწინებით, დაწყებით საფეხურზე, სასწავლო პროცესი, მათ შორის მათემატიკის სწავლების კურსი, დაფუძნებული უნდა იყოს ინტეგრაციისა და პრაქტიკული მიმართულების პრინციპზე, რაც გულისხმობს იმას, რომ მასალა და სწავლების საშუალებანი უნდა შეირჩეს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი თითოეული მოსწავლის აქტიური მონაწილეობა ყოველ გაკვეთილზე. ხშირად პედაგოგი ძირითად ყურადღებას უთმობს, მხოლოდ დარგობრივი ცოდნის დამახსოვრებას, რაც საერთო ჯამში არ გვაძლევს მაღალ განმავითარებელ ეფექტს და არ შეესაბამება დღევანდელი ეპოქისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარებას. პედაგოგს ძირითადი გეზი და მიმართულება აღებული უნდა ჰქონდეს-აღზარდოს პიროვნება, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს შეძენილი ცოდნა არა მხოლოდ სასწავლო დისციპლინის კონტექსტში, ასევე ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის თავისი საქმიანობის სფეროში. სტატიაში წარმოდგენილია განხორციელებული თემატური ერთეულის გაკვეთილის ორგანიზების ერთ-ერთი საფეხური-გაკვეთილის წარმართვა.

Resume

Pupils attention at primary level is directed towards the development of symbolic thinking, symbolic thinking of the children's ability to think about things through the mind . Imagine the minds of the children need help and test objects and actions. Perceive beforehand what will happen as a result of their action; Each subject taught in school contributes to the development of symbolic thinking as well trained in conservation, which is based, as in any science, as well as the specificity of the object, nature and content of its learning methods. These priorities in mind, the initial stages of the process, including the course of **mathematic**, should be based on the integration and practical guidance on the principle, which means that the materials and teaching techniques to be selected in such a way that it will be provided to each student's active participation in each lesson. The teacher is often the main focus, just remember sectoral knowledge, which gives us a total of no effect, and does not correspond to the present epoch **mathematicmathematic**for developing high competences. Primary teachers should have taken the path and direction - train people who can use the knowledge acquired in the context of not only academic discipline, as well as productive activities in the sphere of its activity.

The article presents the organization of the thematic unit lesson - one step - conducting lessons.

Резюме

В школе на начальной ступени обучения основное внимание направлено на развитие символического мышления. Символическое мышление-это способность детей, представить, вообразить в уме и помащью символов думать о предметах и явлениях. Дети мущаються в помощи, чтобы вообразить в уме и испытать предметы и действия. Они заранее воспринимают то, что произойдет в результате их действия. Обучение каждого школьного предмета вносит свой вклад, как в процессе развития мышления, так и в процессе консервации изученного, каторое обусловлено той, именно наукой или специфичностью самого предмета, характером содержания методами его обучения. С учетом, отмеченных приоритетов, на начальной ступение просесс обучения, среди них и курс обучения математику, должен быть обоснованна принципе интеграции и практического направления, что подразумевает то, что материал и средства обучения должны быть подобранные так, чтобы было обеспечено активное участие каждого ученика на каждом уроке. Часто преподаватель осионное внимание уделяет только запоминанию предметного знания, что в обицелe итога не дает нам высокого еффекта нужных компетенций для сегодняшней эпохе. Преподаватель допжен взять основное направление на то, чтобы воспитать такую личность, которая сможет прнменить полученные знания не только в контексте учебной дисциплины, а также для плодотворной работы в сфере своей деятельности.

В статье представлена осуществление организации одной из ступени математических единиц урока-проведение урока.

Khatuna Katamadze–Batumi Education Development and Employment Center (BEDEC), MD, MPH,
PhD Student - Faculty of Education, Day Center of Disable Children–Consultant.

The role of the Parents' Committee for filling the gaps in inclusive education

The parents are not very much involved in their children's rehabilitation and education, and in order to change attitudes and to have a successful program of inclusive education, it is extremely crucial to do this. When parents are involved in their children's education, everyone benefits – children, parents, teachers, schools and communities. Successful implementation of inclusive education program requires the involvement and support of the parents of children with special needs at all levels. Differences between parents in their level of involvement are associated with social class, poverty, health, and also with parental perception of their role and their levels of confidence in fulfilling it.

Parents can get involved in their child's education and rehabilitation activities in many ways. So, forming Parent Committees in schools will be the important way for increasing parental involvement. The Parents' Committee is an advisory committee to the School Board. In these committees parents share an interest in maintaining the quality that attracts their sons and daughters in schools.

The main activities the Parents' Committee representatives should do are offering a variety of learning and supportive activities for parents of children with special needs and others in a parental role, designed to enhance understanding of their own and their children's needs.

The main responsibilities of the committee should be:

- To encourage and support the participation of parents of children with special needs in School Board activities and committees,
- To improve achievement and well-being of children with special needs;
- To identify and eliminate barriers that may limit engagement of parents in school activities
- To provide information and advice to the board on the challenges children with special needs faced in the life
- Advocate, planning and undertake activities to help parents support their children's learning at home and at school.

A survey of parents of children with special needs was conducted for assessing parents' knowledge about inclusive education. They were asked about their views on inclusive education, their experiences of inclusion in a school setting, what practices they have found helpful and what they would like to see more of. There were participated thirty-two respondents. Most of them have had lack of knowledge about inclusive education. Some parents suggest that inclusion is not important for their children because their experiences have been so negative. It is clear, that parents do not understand that all children with special needs can benefit from inclusive practices.

Some of them answered that inclusion is important to them, because inclusive education provides children with an educational environment that meets their needs but there are still too many gaps and must be improved. Some of the difficulties for reaching successful inclusion that parents reported were:

- Teachers are not ready for accepting children with special needs; because of they are not well prepared to work with different type of needs.
- Pupils are not ready to accept the children who are “different” from them.
- Schools do not appropriately manage their children's behavior
- Peer awareness about the needs of children is very low
- School staff is not ready to prevent bullying.
- Less communication between school and them
- Lack of experience in one on one support
- Not flexible approach to timetabling
- Inclusive education decisions are not based on the needs of the children with special needs.

-Big class sizes, where children with special needs are paid less attention. Accordingly, the level of education services offered them at school is very low.

-Less participation in planning activities for their children in schools.

These responses show that parents are in need to be more and more involved in all issues planned for their children. They have feeling that they would like to do more – offer help but feel that school does not welcome them.

So, Developing strategies and initiatives to help parents to be involved in their children's learning and rehabilitation process at home and at school should be the main aim of parents' committee.

Parents' committee should be responsible to find ways to attract more parents and give them knowledge that will increase parents' skill in assessing the needs of their children and participate in decision making processes for improving their children's life.

Parents should understand that inclusion is important because it helps and prepares children with special needs to live more independently, give opportunity to children to feel part of a community. Children become more confident, get access to an education. Parents should increase the knowledge about the many benefits that successful inclusion can bring to their children, because inclusion is important not only for the experiences of their children while at schools, but also for their children to use this knowledge and experience for living independently in future.

The Parents' Committee represents the needs identified by the parents and interests to the school board. According to the survey, it is clear from parents' answers that inclusion works well when:

- Teachers and other school staff have training on children's special needs and practical knowledge how to work with them. They should have teaching skills to change the learning environment from learning individually, whole group, in pairs or small groups;

-Calm and smiling environment

-Small class sizes

-Good peer awareness

-Parents will be listened to, involved in planning activities and their advices will be taken into consideration by the school representatives.

-To work individually with children when needed.

-To help children with special needs to build social skills and confidence

-To improve infrastructure and provide schools with facilities according to needs of children.

-Children with special needs should be able to access the quality of provision that is available in schools.

- General and special education teacher efficacy;

-All children receive appropriate educational programs;

- All children should receive a curriculum relevant to their needs.

- All children must participate in co-curricular and extra-curricular activities.

- Peers should develop a sense of empathy;

-Importance of the reduction of bullying;

-There should be equality in accessing education for children with special needs. All children should have the right to the individual instructional and personal supports and services necessary for success regardless of label, language, or difference.

-Schools place children in age-appropriate regular classrooms.

- Schools should offer pleasant and clean places, easily accessible to all children.

-Schools must provide a positive inclusive climate through policies, programs and practices that are equitable for students.

All of these factors will make a huge difference to making successful inclusion work in schools. Parents' committee is important ring for reaching success in inclusive education because parents are persons who knows the needs of their children well and only through parents' committee they are able to advice the School Board to improve children's inclusive education and reach high levels of their achievement;

Finally, the committee's major role consists of representing parents' interests within the school board.

Only by parents' involvement in planning and decision making processes can all children with special needs be accepted members of their school community, in which their educational setting is the same as their nondisabled peers, whenever appropriate. Parents' Committee should be responsible to build effective co-operation and partnership between home and school, should promote the interests of the children with special needs in a school in co-operation with the board, teachers and pupils.

References

1. Anna Fairtlough* & Connie Geyer , Standards and training for work with parents across Europe: successes and challenges in developing a community of practice, European Journal of Social Work, Volume 14, Issue 4, 2011, pages 563-578
2. Roseann Maguire, Richard Brunner, Kirsten Stalker, June Mitchell- Disabled parents' involvement in their children's education: an examination of good practice, Department of Educational and Professional Studies, University of Strathclyde.
3. Quality Indicators for Effective Inclusive Education Guidebook, New Jersey Council on Developmental Disabilities, New Jersey Coalition for Inclusive Education
4. Tamar Isakadze-Guide for Parents, (The manual for parents of disable children), Tbilisi, 2010.
5. Robbie de Santos and Sasha Daly; Improving inclusion: getting inclusive education right for children with autism, September 2008, TreeHouse
6. link <http://inclusiveschools.org/inclusion-basics/>
7. link <http://inclusiveschools.org/files/274/>

ხათუნა ქათამაძე–განათლების და განვითარების ცენტრი,დოქტორანტი, კონსულტანტი.

მშობელთა კომიტეტების როლი ინკლუზიურ განათლებაში არსებული

ხარვეზების აღმოსაფხვრელად

რეზიუმე

სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, მშობლებსა და სკოლას შორის თანამშრომლობის გააქტიურება , მშობლების ჩართულობა დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელოვანია ინკლუზიური განათლების გაუმჯობესებისათვის. მშობელთა ჩართულობის გაზრდა სასკოლო ცხოვრებაში ხორციელდება მშობელთა კომიტეტების მეშვეობით. მშობელთა კომიტეტები წარმოადგენენ მშობელთა ინტერესებს ,რომელიც არ უნდა სცილდებოდეს საკანონმდებლო და დემოკრატიულ პრინციპებს და გამოდიოდეს სკოლის შინაგანაწესიდან. მშობელთა კომიტეტების როლი დიდია სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების საკითხების მოგვარების საკითხებში, კერძოდ პრობლემებისა, რომლებსაც სკოლებში ინკლუზიის შედეგად აწყდებიან.

Хатуна Катамадзе- Центр развития и образования , докторант, консультант.

Роль родительских комитетов при уменьшении проблем детей с особыми потребностями в школах

Резюме

Участие родителей в школьной жизни детей с особыми потребностями в развитии сотрудничества между родителями и школой, вовлечение родителей в процесс планирования и принятия решений очень важно для улучшения инклюзивного образования. Увеличение участия родителей в школьной жизни может быть достигнуто через родительские комитеты. Родительские комитеты представляют интересы родителей, которые не должны превышать правовых и демократических принципов. Родительские Комитеты играют большую и важную роль в решении проблем, с которыми сталкиваются дети с особыми потребностями в результате инклюзии в школах.

ქეთევან მოწინიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

პედაგოგიური ურთიერთობის სტილი და მათი ტექნოლოგიური დახასიათება

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა, რომელსაც პედაგოგიური პროფესია უყენებს მასწავლებელს, ეს არის მისი სოციალური და პროფესიული პოზიციების სიმყარე. პედაგოგის პოზიცია არის სამყაროს, პედაგოგიური სინამდვილისა და პედაგოგიური აქტივობის მიმართ ინტელექტუალურ და ემოციურ-შემფასებლურ დამოკიდებულებათა სისტემა. პედაგოგის სოციალურმა და პროფესიულმა პოზიციამ არ შეიძლება მოახდინოს ზეგავლენა მისი პედაგოგისა და მოსწავლის ინდივიდუალურ-ტიპოლოგიურ თავისებურებებზე. სწორედ ამიტომ, პედაგოგიური ურთიერთობის სტილი განიხილება პედაგოგიური საქმიანობის ზოგად სტილთან კავშირში. პედაგოგიური ურთიერთობის სტილში ვლინდება პედაგოგის საკომუნიკაციო შესაძლებლობები, პედაგოგის შემოქმედებით ინდივიდუალურობა, მოსწავლეებთან შექმნილი ურთიერთობის ხასიათი, მოსწავლეთა თავისებურებანი. ურთიერთობის სტილი უპირველესად ამოქლავებს მასწავლებლის პედაგოგიურ კულტურას, მის პროფესიონალიზმს. პედაგოგიური ურთიერთობის სტილი, მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით, იყოფა ავტორიტარულ, დემოკრატიულ და თავისუფალ (ნებაზე მიშვებული) სტილად.

ავტორიტარული სტილის დროს პედაგოგი ერთპიროვნულად წყვეტს ყველა საკითხს, რომელიც კლასისა და თითოეული მოსწავლის ცხოვრებას შეეხება. ეს სტილი უფრო მკვეთრად ვლინდება აღზრდის მიმართ ავტორიტარული მიდგომის დროს, როდესაც მოსწავლეები არ იღებენ მონაწილეობას იმ პრობლემის განხილვაში, რომელსაც მათთან პირდაპირი კავშირი აქვთ, ხოლო ინიციატივა ფასდება უარყოფითად. ურთიერთობის ავტორიტარული სტილი რეალიზდება დიქტატისა მეურვეობის ტაქტის მეშვეობით. მოსწავლეთა მხრიდან მხრიდან წინააღმდეგობის გაწევა უფრო ხშირად იწვევს კონფლიქტურ სიტუაციებს. ამ სტილით მომუშავე პედაგოგები არ აძლევენ მოსწავლეებს დამოუკიდებლობისა და ინიციატივის საშუალებას. მათი შეფასებები არაადეკვატურია და დაფუძნებულია მხოლოდ მოსწავლის მაჩვენებლებზე. ავტორიტარული პედაგოგი ყურადღებას ამახვილებს მოსწავლეთა ნეგატიურ ქცევებზე და არ ითვალისწინებს ამ ქცევის მოტივებს.

გარეგანი მაჩვენებლები გაკვეთილზე (მოსწავლა, დისციპლინა და ა.შ.), ამ დროს, ხშირად პოზიტიურია, მაგრამ სოციალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო ასეთ კლასებში, როგორც წესი, არასასურველია, რადგან მოსწავლის პიროვნება და ინდივიდუალობა რჩება ურთიერთმოქმედების სტრატეგიის გარეთ. ურთიერთობის ავტორიტარული სტილი აყალიბებს ნევროზს მოსწავლეებში, იწვევს გარემო მყოფთა მიმართ გარკვეულ ზიზღს, აჩვევს ბავშვებს უპასუხისმგებლობას და ძალაუფლების გამოვლენას, ფიზიკური ძალის გამოყენებას და ა.შ. განსჯისათვის გთავაზობთ პედაგოგიურ სიტუაციას: დაფაზე მასწავლებელმა აღმოაჩინა შპარგალკა იმ მათემატიკური ამოცანების გადაწყვეტისა, რომელიც ჯგუფს უნდა დაეწერა საკონტროლო წერაზე. მასწავლებელმა განუცხადა კლასს:

- ყველა შეფასება ამ საკონტროლო წერაზე იქნება ერთი ნიშნით დაბალი.
- ან მე თქვენ დამარქვით გერგილიანი მასწავლებელი, ან ყველა მიიღებს ორებს.
- დღეს გაკვეთილების შემდეგ კვლავ დაწერთ საკონტროლო წერას ახალი ამოცანებით.

თავისუფალი (ანარქიული, ნებაზე მიშვებული) სტილი ხასიათდება პედაგოგის სასწავლო პროცესში მინიმალური ჩართვით. ასეთი პედაგოგები ნორმალურად ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს, იფარგლებიან, მხოლოდ საგნის სწავლით. ნებაზე მიშვებული სტილი ჩაურევლობის ტაქტიკით ხორციელდება, რომლის საფუძველს შეადგენს გულგრილობა და სკოლის პრობლემებით დაუინტერესებლობა.

თავისუფალი და **ავტორიტარული** სტილის თავისებურებებს წარმოადგენს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დისტანციური ურთიერთობები, მათ შორის უნდობლობა, მასწავლებლის

გარიყულობა, თავისი დომინირებული მდგომარეობის დემონსტრაციული ხაზგასმა. მათ ალტერნატივას წარმოადგენს თანამშრომლობის ე.წ. დემოკრატიული სტილი. ამ დროს პედაგოგი ორიენტირებულია მოსწავლის სუბიექტური როლის ამაღლებაზე, ურთიერთგაგებასა და ურთიერთორიენტაციაზე. ღია და თავისუფალი მსჯელობისა და პრობლემის განხილვის შედეგად მოსწავლეები პედაგოგთან ერთად იღებენ ამა თუ იმ გადაწყვეტილებას. ამ სტილით მომუშავე პედაგოგთათვის დამახასიათებელია მოსწავლეთა მიმართ აქტიური დადებითი დამოკიდებულება, მათი შესაძლებლობების ადეკვატურად შეფასება, მათი წარმატების ან წარუმატებლობის გაზიარება და ა.შ. თავიანთი საქმიანობის გარეგნული მაჩვენებლებით დემოკრატიული სტილის პედაგოგები ვერ ჯობნიან თავიანთ ავტორიტარულ კოლეგებს, მაგრამ სოციალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო მათ კლასში გაცილებით დადებითია. პიროვნებათა შორის დამოკიდებულება გამოირჩევა ნდობითა და ერთმანეთის მიმართ მაღალი მოთხოვნილებით. პედაგოგო უბიძგებს მოსწავლეს შემოქმედებისაკენ, ინიციატივისაკენ და უქმნის თვითრეალიზაციის პირობებს. „ის ისე აგებდა გაკვეთილებს, რომ არ გამოირჩეოდა, როგორც ადამიანი, რომელმაც ყველაფერი იცის. არასდროს არ ეშინოდა, გამოეთქვა თავისი აზრი, მაშინაც კი, როდესაც ის არ იყო დარწმუნებული თავის სისწორეში. ჩვენ კლასიდან ყოველთვის გამოვდიოდით, როგორც სულით ამალღებულნი, შეიძლება ითქვას–თავის პატივისცემით. გაკვეთილზე, ის ყოველთვის ცდილობდა, მაქსიმალურად გამოეყენებინა შესაზღვებლობა თითოეული მოსწავლის და ჩვენ ხშირად გვეჩვენებოდა, რომ ის მხოლოდ იმყოფებოდა გაკვეთილზე. გაკვეთილი მიგვყავდა ჩვენ. ის არასდროს გვეუბნებოდა ჩვენ: „ეს ასე იქნება!“ როდესაც ჩვენ მართლები არ ვიყავით, ის გვამღევედა მიმართულებას. გვარწმუნებდა, გვიმტკიცებდა, გვთხოვდა, თათბირობდა, ჩვენთან როდესაც მისთვის რაღაც გაუგებარი იყო. ის არ თამაშობდა პედაგოგიურ შორსმჭვრეტელობას, არამედ ჩვენთან ერთად ცხოვრობდა–ასეთი იყო ჩვენი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. ზემოთ მოყვანილი პედაგოგიური სტილის დახასიათება მოცემულია სუფთა სახით. რეალურად კი პედაგოგიურ პრაქტიკაში ხშირად ადგილი აქვს ურთიერთობის უშუალო სტილს. პედაგოგს არ შეუძლია აბოსლუტურად გამორიცხოს ზოგიერთი ავტორიტარული ურთიერთობის ხერხები. როგორც გამოკვლევებმა ცხადყო, ისინი საკმაოდ ეფექტურნი არიან, განსაკუთრებით კი, დაბალი სოციალურ-ფსიქოლოგიური და პიროვნული განვითარების დონის კლასთან და მოსწავლეებთან მუშაობის დროს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი პედაგოგი ორიენტირებული უნდა იყოს დემოკრატიულ სტილზე. გარდა ძირითადისა, არსებობს ასევე ურთიერთობის შუალედური სტილი, როდესაც აღმზრდელობითი საშუალებელი მთლიანად დამოკიდებულია პედაგოგის პიროვნებაზე. უაღრესად რბილი და კეთილი პესტალოცი, მკაცრი და მომთხოვნი მაკარენკო, ლიბერალი, თავისუფალი აღზრდის მომხრე ლ. ტოლსტოი და დაუნდობელი თავისი მოთხოვნებით დისთერვერგი– ყველა აღწევდა აღზრდისა და სწავლების საქმეებში დიდ წარმატებას, რადგანაც ურთიერთობის სხვადასხვა სტილით მუშაობდნენ. საკმაო შედეგს იძლევა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის მეგობრული დამოკიდებულება. ის არის სტიმული ურთიერთობისა პედაგოგსა და მოსწავლეს შორის, მაგრამ მეგობრულობა უნდა იყოს პედაგოგიურად გაწონასწორებული, რადგან დისტანციურობის გარკვეული ზღვარი ინარჩუნებს სტატუსურ პოზიციებს და თითოეული სუბიექტის სუვერენულობას. ყველაზე გავრცელებულ სტილს წარმოადგენს, აგრეთვე, „ურთიერთობა–დისტანცია“ რომელსაც იყენებენ, როგორც გამოცდილი, ასევე დამწყები პედაგოგები. გამოკვლევები ადასტურებს, რომ ზედმეტი დისტანციურობა იწვევს პედაგოგსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულებათა ფორმალიზმს. დისტანცია უნდა შეესაბამებოდეს მათი დამოკიდებულებების საერთო ლოგიკას და წარმოადგენს პედაგოგის წამყვალ როლის მაჩვენებელს, მაგრამ უნდა ეფუძნებოდეს ავტორიტეტს.

ურთიერთობა–დისტანცია თავისი უკიდურეს გამოვლინებაში გადადის უფრო მკაცრ ფორმაში–ურთიერთობა–ურთიერთობა დაშინება. ის შედარებით პოპულარობით სარგებლობს დამწყებ პედაგოგთა შორის, რომლებსაც არ შეუძლიათ დაამყარონ პროდუქტიული ურთიერთობა ერთობლივი საქმიანის საფუძველზე. ამგვარი ურთიერთობის სტილი არა პერსპექტიულია პიროვნული განვითარების სტრატეგიისათვის. არანაკლებ უარყოფით როლს პედაგოგსა და

მოსწავლეს შორის ურთიერთობაში თამაშობს ურთიერთობა–შეთამაშება, რომელიც ასევე გამოიყენება დამწყები მასწავლებლების მიერ. რადგან ისინი მიისწრაფვიან, მალე დაამყარონ ბავშვებთან კონტაქტი, მოეწონათ მათ და ყოველგვარი საფუძვლის გარეშე იწყებენ მათთან შეთანხმებას. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, ის არის რომ მათ არ გააჩნიათ საჭირო საკომუნიკაციო კულტურა. ზემოთ დახასიათებული ურთიერთობის თითოეული სტილის ხშირი გამოყენება იწვევს მათ შტამპად გადაქცევას. მაგრამ პედაგოგმა, რომელიც ანალიზს უკეთებს თავის საქმიანობას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, თუ რომელი ურთიერთობის ხერხებია მისთვის უფრო ტიპური და გამოსაყენებელი, ან რა დონეზე უნდა ფფლობდეს პროფესიული თვითდინამიკის უნარ–ჩვევებს, რის გარეშეც არ ჩამოყალიბდება ურთიერთობის სტილი, რომელიც შეესაბამება მის ფსიქოფიზიოლოგიურ პარამეტრებს და უპასუხებს პედაგოგისა და მოსწავლის პიროვნული ზრდის ამოცანების გადაჭრას. სასკოლო პრაქტიკაში წარმოებულმა დაკვირებებმა გვიჩვენა, რომ პედაგოგიური ურთიერთობის სტილი უშუალო ზემოქმედებას ახდენს ფსიქოლოგიურ ატმოსფეროზე კოლექტივში, ემოციონალურ კეთილგაწყობაზე, რაც ბევრად განსაზღვრავს პედაგოგიური საქმიანობის შედეგიანობას. ისეთი ურთიერთობის სტილი, როგორც არი დაშინება, შეთანხმება და ურთიერთობა–დისტანციის უკიდურესი ფორმები, ხშირად იწვევენ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორისკონფლიქტურ დამოკიდებულებას. პასუხისმგებლობა კი ყოველთვის აწევს მასწავლებელს. ამასთან, განსაკუთრებულად უნდა იქნას შესწავლილი ურთიერთობის ფსიქოლოგიური კორექციის ტექნოლოგია, ანუ კონფლიქტების გადაჭრის ტექნოლოგია. კონფლიქტის ძირითად მიზეზად ხდება პარტნიორის ღირსების შელახვა. ფსიქოლოგიური შეუთავსებლობის, კონფლიქტების მოგვარების პირდაპირი და ირიბი მეთოდები არსებობს. პირდაპირ მეთოდებს მიეკუთვნება: კონფლიქტის მიზეზებისა და არსის თანმიმდევრული დალაგება, გადმოცემა (მხოლოდ ემოციების გარეშე ფაქტები); საჯაროდ პრეზენტაციების გამოთქმა; ადმინისტრაციული სანქციები გამოყენება; სხვადასხვა კლასების მიხედვით კონპლიქტური ჯგუფების დანაწილება. ირიბი მეთოდები ძირითადად ეყრდნობა შემდეგი პრინციპების რეალიზაციას: „გრძნობების გამოსვლას“, „ემოციურ ანაზღაურებას“, „პოზიციების გაცვლას“ და სხვა.

რეზიუმე

პედაგოგის სოციალურმა და პროფესიულმა პოზიციამ არ შეიძლება მოახდინოს ზეგავლენა პედაგოგისა და მოსწავლის ინდივიდუალურ-ტიპოლოგიურ თავისებურებებზე. სწორედ ამიტომ, პედაგოგიური ურთიერთობის სტილი განიხილება პედაგოგიური საქმიანობის ზოგად სტილთან კავშირში. პედაგოგიური ურთიერთობის სტილში ვლინდება პედაგოგის საკომუნიკაციო შესაძლებლობები, პედაგოგის შემოქმედებით ინდივიდუალურობა, მოსწავლეებთან შექმნილი ურთიერთობის ხასიათი, მოსწავლეთა თავისებურებანი.

Ketevan Dzotsenidze

The Style of Pedagogical technology and their characteristic

Summary

Pedagogical technology and skillfully are condition to solve of the problem temper by the teacher. For this it is necessary clearing up in pedagogical essence of the problem. Pedagogical problem's inevitable components are: Initial condition of the problem, thing as demand of problem in the pedagogical process may be become thing of problem, such material (height, strength, appearance and etc.) also ideal substances (knowledge, ability and etc.)

Кетеван Дзотсенидзе - ассоциированный профессор Государственного университета Акакия Церетели

Стили педагогических отношений и их технологическая характеристика.

Резюме.

Социальная и профессиональная позиции преподавателя не могут влиять на индивидуально-типологические особенности педагога и ученика. Именно поэтому стиль педагогических отношений обсуждается в связи с общим стилем педагогической деятельности. В стиле педагогических отношений проявляются коммуникационные возможности преподавателя, творческая индивидуальность, характер отношений с учащимися, особенности учащихся.

ქეთევან მოწინიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

პედაგოგიური სიტუაციებისა და ამოცანების არსი და სპეციფიკა

პედაგოგიური ტექნოლოგია და ოსტატობა განპირობებულია მასწავლებლის მიერ გადასაჭრელი ამოცანების ხასიათით. ამიტომ, საჭიროა გავერკვეთ პედაგოგიური ამოცანის არსში. ტერმინი „ამოცანა“ გამოიყენება სხვადასხვა მეცნიერებებში და მას განმარტავენ ფართოდ და ერთმნიშვნელოვნად, არაცალმხრივად: როგორც დასახული მიზანი, როგორც დავალება, როგორც საკითხი, რომელიც მოითხოვს გარკვეულ ცოდნასა და გააზრებას, როგორც პრობლემა და ა.შ. პედაგოგიური ამოცანის აუცილებელ კომპონენტებს წარმოადგენენ: ამოცანის საგნის საწყისი მდგომარეობა; ამოცანის მოთხოვნები პედაგოგიური პროცესის პირობებში ამოცანის საგანი შეიძლება გახდეს, როგორც მატერიალური (სიმაღლე, ძალა, ადამიანის გარეგნობა და ა.შ.) ასევე იდეალური (ცოდნა, უნარი და სხვ.) სუბსტანციები, რომელთათვის დამახასიათებელია რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები. ამრიგად, პედაგოგიური ამოცანა ნიშნავს გააზრებულ პედაგოგიურ სიტუაციას მასში მიზნის შეტანით, სინამდვილის შემეცნებისა და გარდაქმნის აუცილებლობასთან დაკავშირებით. პედაგოგიური სიტუაცია კი არის კონკრეტული პედაგოგიური სისტემის ობიექტური მდგომარეობა დროის განსაზღვრულ მომენტში. რაში მდგომარეობს პედაგოგიური ამოცანების სპეციფიკა? პედაგოგიური ამოცანების სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ მისი ანალიზისას არ შეიძლება მთლიანად აბსტრაქტირება სუბიექტის დახასიათებისაგან, რომლებიც მისი გადაჭრით არიან დაკავებულნი, ვინაიდან თავად მისი საგანი ემთხვევა სუბიექტ მოსწავლეს. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ პედაგოგიური ამოცანის საშუალებები, რადგან ისინი შეიძლება იყოს შინაგანი, რომლებიც დამახასიათებელი არის სუბიექტისათვის და გარეგანი, როლებიც სუბიექტისათვის არ არის დამახასიათებელი, მაგრამ მათ მიერ არის გამოყენებული. რაში მდგომარეობს პედაგოგიურ ამოცანათა ტიპები? განვიხილოთ და ამოცანათა გადაჭრის ეტაპები და მოკლედ შევძლოთ დახასიათება: პედაგოგიკაში გამოყოფენ პედაგოგიურ ამოცანათა სამ დიდ ჯგუფს:

სტრატეგიული, ტაქტიკური და ოპერატიული.

სტრატეგიული ამოცანები – ეს არის თავისებური ზემო ამოცანები, რომლებიც ასახავენ საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ მოთხოვნებს. საზღვრავენ პედაგოგიური საქმიანობის საწყის მიზნებსა და საბოლოო შედეგებს. რეალურ პედაგოგიურ პროცესში სტრატეგიული ამოცანები გარდაიქმნებიან **ტაქტიკურ ამოცანებად**. ისინი, ინარჩუნებენ რა მიმართულებას განათლების საბოლოო შედეგისაკენ, მიეკუთვნებიან სტრატეგიულ ამოცანათა გადაჭრის ამა თუ იმ გარკვეულ ეტაპს.

ოპერატიული ამოცანები . ეს არის მიმდინარე, უახლოესი ამოცანები, რომლებიც პედაგოგის წინაშე დგას მისი პრაქტიკული საქმიანობის თითოეულ მომენტში. ჩვენი აზრით, ცნება „პედაგოგიური ამოცანა“ უნდა განიხილებოდეს, აგრეთვე, მონათესავე ცნებებთან „ დიდაქტიკურ“ და „ აღმზრდელობით“ ამოცანებთან ერთად.

დიდაქტიკური ამოცანები – არის ის ამოცანები, რომლებიც მართავენ სასწავლო-შემეცნებით აქტივობას, ანუ სწავლებას. მასში მუდამ ჩართულია საწყისი და პერსპექტიულ პარამეტრებს შორის დაპირისპირება. დიდაქტიკურ ამოცანათა გადაჭრამ უნდა მიიყვანოს მოსწავლეები მოქმედების ორი კატეგორიის შესრულებამდე. სადაც ქვეამოცანათა ორი ჯგუფი გამოიყოფა. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება აქტივობები, რომლებიც სასწავლო საქმიანობას (პროცესს) ქმნიან, და ამოცანები, რომელთა გადაჭრაზე მიმართულია ეს აქტივობები (სასწავლო ამოცანები). მეორე ჯგუფს ქმნიან აქტივობები, რომლის განხორციელება და გადაჭრაც უნდა შეისწავლოს მოსწავლეებმა. (კრიტიკული ამოცანები).

აღმზრდელობით ამოცანათა მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ჯგუფად შეიძლება იქნეს გამოყოფილი ე.წ . ფსეულობით ორიენტირებაზე მიმართული ამოცანები. მათი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი შემეცნებითი ამოცანებისაგან განსხვავებით ,

მოიცავენ ფასეულობით პრობლემურ სიტუაციებს, როგორც ზნეობრივი ისე ფსიქოლოგიური თვალთაზრისით. პედაგოგიურ ამოცანას, მიუხედავად ჯგუფისა და ტიპისა, გააჩნია საერთო თვისებები, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ისინი სოციალური მართვის ამოცანებია და მათი მიზანი მიიღწევა კერძო შემეცნებითი და პრაქტიკული ამოცანების გადაჭრის შედეგად. სწორედ კერძო ამოცანებია პედაგოგიური ამოცანების გადაჭრის ეტაპები. პედაგოგიკაში ასეთი ეტაპი სულ ოთხია:

1. პედაგოგიური ამოცანის დასმა კონკრეტული პირობებისა და სიტუაციის ანალიზის საფუძველზე
2. პედაგოგიური ურთიერთმოქმედების ხერხის კონსტრუირება;
3. პედაგოგიური ამოცანის გადაჭრის პროცესი;
4. პედაგოგიური ამოცანის გადაჭრის შედეგების ანალიზი.

ამოცანათა თეორიაში მიღებულია, განვასხვავოთ ამოცანათა გადაჭრის პროცესი და ხერხები.

ხერხი ეს თანმიმდევრულად განხორციელებული ოპერაციების გარკვეული სისტემაა. პედაგოგიური ამოცანის გადაჭრისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ ირიბი შედეგის მიღების შესაძლებლობა, საგნობრივი და აღმზრდელობითი შედეგის შეფარდება. ბევრ შემთხვევაში მოქმედების ირიბი პროდუქტი შეიძლება არასასურველი გახდეს, რაც ართულებს პედაგოგიურ პროცესს, არღვევს პედაგოგიურად მიზანშეწონილ ურთიერთობებს და ა.შ. ამოცანის გადაჭრის ხერხებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ამოცანის გადაჭრის პროცესი, რომელიც მუდამ შემოქმედებით ხასიათს ატარებს. მის ეტაპობრიობაში გამოხატულია თეორიული და პრაქტიკული აზროვნების ურთიერთ გადასვლის დიალექტიკა. პირველ ეტაპზე ხორციელდება პედაგოგიური სიტუაციის ანალიზი, რომელიც მოიცავს მთელ რიგ ოპერაციებს, რაც დიაგნოსტიკური გადაწყვეტილებებით მთავრდება. თავად დიაგნოსტიკა ამ დროს მოიცავს ინდივიდუალური ან ჯგუფური საქციელის დიაგნოსტიკას, რის საფუძველზეც პროგნოზირდება სწავლებისა და აღზრდის შედეგები, აგრეთვე, მოსწავლეებში გამოწვეული შესაძლო სირთულეები და შეცდომები, მოწავლეთა საპასუხო რეაქციები პედაგოგიურ ზემოქმედებაზე და სხვა.

თეორიული აზროვნება, რომელიც სიტუაციის შესწავლაზეა მიმართული, გადაიზრდება კონკრეტული პედაგოგიური ამოცანის ეფექტურად გადაჭრის საშუალებად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პედაგოგიურ მიზანმიმართულებას თან ახლავს სასურველი შედეგის მიღწევის საშუალებების ანალიზი და აზრობრივი შერჩევა, რომელიც მთავრდება ზემოქმედებისა და ურთიერთმოქმედების პროექტირებით. როდესაც პედაგოგიური ამოცანა გადაჭრილია თეორიულად, დგება შემდეგი ეტაპი – მისი პრაქტიკაში განხორციელების ეტაპი. თეორიული აზროვნება კი სცენიდან არ მიდის, უკანა პლანზე გადაინაცვლებს და ასრულებს რეგულირებისა და კორეგირების ფუნქციას. მათი საშუალებით ხდება პედაგოგიური პროცესის გარდაქმნა მუდმივად მიღებული იფორმაციის საფუძველზე. აქვე ხორციელდება მიღებული შედეგების შეფასება. შეფასების ანალიზი, თავის მხრივ, ქმნის აუცილებელ ბაზას ახალი პედაგოგიური ამოცანის გადასაჭრელად. სხვადასხვა ჯგუფისა და სირთულის პედაგოგიურ ამოცანათა მაღალ პროფესიონალურ დონეზე გადაჭრა დაფუძნებულია ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნაზე, აღსაზრდელთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებზე. პედაგოგიური სიტუაციებისა და მასწავლებლის წარმატებული ქცევის ანალიზი გვამღვეს სასწავლო – აღმზრდელობითი პრობლემის დადებითად გადაწყვეტის შესაძლებლობას. ბევრ შემთხვევაში ამოცანის გადაჭრაში ჩართულია არა მარტო ცალკეული მასწავლებელი, არამედ მთელი პედაგოგიური კოლექტივი. კოლექტიური ძიების საგნად გამოიყენება შემდეგი საშუალებები:

– მთელი დროის ორგანიზაცია, რომელიც პედაგოგიური პროცესისათვის არის გათვალისწინებული;

– სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ინფორმაციის ორგანიზაცია, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეზე, სწავლების მთელი ციკლის განმავლობაში;

– პედაგოგიური ზემოქმედების თანმიმდევრობის ორგანიზაცია, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მისწრაფებას პროფესიონალიზმის მწვერვალებისაკენ;

– მოსწავლის გადაყვანა პედაგოგიური ზემოქმედების ობიექტიდან შემოქმედებითი ურთიერთობის ობიექტად; – მოსწავლეებში ახალი ცოდნის, ინტერესების, მოთხოვნილებების

ჩამოყალიბება, უნარების გამოვლინება, მათში ძლიერი მხარეების ძიება, რაც პროდუქტიულ თვითგანვითარებას უზრუნველყოფს. ამრიგად, პედაგოგიური ამოცანის პროდუქტიულად გადაჭრის მნიშვნელოვან წინაპირობას, ნებისმიერი ტექნოლოგიების დანერგვისას, წარმოადგენს პედაგოგიური პროცესის სუბიექტების პედაგოგებისა და აღსაზრდელების აქტიური დაინტერესებული ურთიერთმოქმედება. ამგვარი სიტუაციების ანალიზი საშუალებას აძლევს დამწყებ მასწავლებელს, თავიდან აიცილოს შედარებით უფრო ტიპური შეცდომები სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში.

რეზიუმე

პედაგოგიური ტექნოლოგია და ოსტატობა განპირობებულია მასწავლებლის მიერ გადასაჭრელი ამოცანების ხასიათით. ამიტომ, საჭიროა გავერკვეთ პედაგოგიური ამოცანის არსში. პედაგოგიური ამოცანის აუცილებელ კომპონენტებს წარმოადგენენ: ამოცანის საგნის საწყისი მდგომარეობა; ამოცანის მოთხოვნები პედაგოგიური პროცესის პირობებში ამოცანის საგანი შეიძლება გახდეს, როგორც მატერიალური (სიმაღლე, ძალა, ადამიანის გარეგნობა და ა.შ.) ასევე იდეალური (ცოდნა, უნარი და სხვ.) სუბსტანციები, რომელთათვის დამახასიათებელია რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები. სიტუაციების ანალიზი საშუალებას აძლევს დამწყებ მასწავლებელს, თავიდან აიცილოს შედარებით უფრო ტიპური შეცდომები სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში.

Ketevan Dzotsenidze

The characteristic of Pedagogic problems and situations.

Summary

The professional and social position can't make influence among teacher's and pupil's individual – standard peculiarities. And for this the style of Pedagogic consideration as the link of educational process.

In this two-way process it is clear teacher's creative individualism and pupil'

Кетеван Дзотсенидзе - доктор педагогических наук, ассоциированный профессор

Суть и специфика педагогических ситуаций и задач

Педагогическая технология и мастерство обусловлены характером поставленных преподавателем задач. Поэтому, необходимо разобраться в сути педагогической задачи. Обязательным компонентом педагогической задачи является начальное состояние предмета задачи. В условиях педагогического процесса требования задачи могут стать предметом задачи, как материальные (высота, сила, внешность человека ит.п.), так и идеальные (знание, навыки и т.п.) субстанции, для которых характерны количественные и качественные изменения. Анализ ситуаций дает возможность начинающему педагогу избежать типических ошибок в учебно-воспитательной работе.

ნატო დვალი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აკადემიური დოქტორი

მასწავლებელი დღევანდელ სოციალურ გარემოში

მასწავლებელი, რომელსაც დიდი კაცი შეარქვეს, როდესაც განათლება და ცივილიზაციის ერა იწყებოდა მსოფლიო აზროვნების ისტორიაში.

მასწავლებელი იყო ყველა დიდი ფილოსოფოსი, რომელთაგან მაინც გამოსაყოფია სოკრატე, რომელმაც კაცობრიობას ასწავლა აზროვნება, საკუთარი თავის შეცნობა და უბრალოება.

„მე ვიცი ის, რომ არაფერი არ ვიცი“. როცა ადამიანი ცნობილი ხდება დღემდე ამბობენ: „მისი მასწავლებელი ეს იყო“. მასწავლებელს შეცდომასაც არ პატიობენ. აკაკი წერეთელმა „გამზრდელში“ მოგვცა ისტორია მასწავლებლის და მოწაფის ურთიერთობის. „მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამ არ უშველა“. აკაკიმ მემკვიდრეულ თვისებებს, როგორც მოზარდის განვითარების აუცილებელ პირობას დიდი პასუხისმგებლობა მიანიჭა. მაგრამ, ყველაზე დიდი - მასწავლებელს.

ჰაჯი-უსუბის პასუხისმგებლობით თუ შეხედავს თანამედროვე მასწავლებელი, ძალიან მძიმე მდგომარეობაა. რატომ? სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ იმ სოციალურ გარემოზე, სადაც დღეს საზოგადოება ცხოვრობს.

გაუცხოების პრობლემა. ადამიანი გაუცხოვდა ადამიანთან, საკუთარ თავთან, შვილთან, მოსწავლესთან. რატომ? ცივილიზაცია ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ძალიან ჩქარა კლავს ურთიერთობებს. კანტი ამბობს: „არაფერი არ მალეღვებს ისე, როგორც ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და ჩემი შინაგანი ხმა, რასაც სინდისი ჰქვია“.

ნიცშემ გამოაცხადა : „მოკვდა ღმერთი!“ მას შემდეგ ეძებს აზროვნება ახალ ღმერთს, მაგრამ ვერ შეძლო პოვნა. იგივე ნიცშემ ღმერთის ადგილზე „ზე-კაცი“ დასვა, მაგრამ ვერ შეძლო ამ „ზე-კაცმა“ ადამიანური ბუნებრიობის შენარჩუნება.

ქრისტიანული რელიგია იგივე ზნეობა და მორალია თითოეული ადამიანისთვის. იყო პერიოდი, როცა ადამიანი და მთელი საზოგადოება ცხოვრობდა „ღმერთის ხილვით“. საიქიო ცხოვრებაა მისთვის აწმყოც, წარსულიც და მომავალიც. ამან, რა თქმა უნდა გამოიწვია აზროვნების განვითარების შეჩერება. ადამიანი მხოლოდ ლოცულობდა და დაიწყო მსხვერვეა ამ რწმენის.

ფილოსოფოსები და გენიოსი ადამიანები ყოველთვის ადრე გრძნობენ აზროვნების კრიზისს. და ისინი იწყებენ გზების ძიებას განვითარებისათვის.

პირველ ხანებში „რელიგიურმა“ მსხვერვეამ თითქოს შედეგი გამოიღო. დაიწყო ახალი ეპოქა კულტურის, მეცნიერების, განათლების ისტორიაში, რომელიც რენესანსის სახელით არის ცნობილი., მაგრამ დრო და დრო დაიმსხვრა ყველაზე მთავარი ადამიანისათვის. ის, რაც ყველაზე მეტად უყვარდა კანტს - შინაგანი ხმა ანუ სინდისი. თანდათან ადამიანის აზროვნება გაზულუქდა და აზროვნებაში ჯერ ნელ-ნელა, შემდეგ კი ძლიერად დაიმკვიდრა ადგილი ნიჰილიზმმა, რომლის რამდენიმე სახე არსებობს და ამ კლასიფიკაციას ფილოსოფოსები იძლევიან, მაგრამ ისინი მაინც ერთნაირი არ არის. მთავარი ნიჰილიზმისთვის არავის არაფრად ჩაგდებაა., მხოლოდ საკუთარი ნიჰილიზმის დაკმაყოფილებაა. ასეთმა აზროვნებამ წინ წამოსწია ხორციელის სიყვარული, მისით ტკბობა და სულიერის გაქრობა. ეს საკითხი მტკივნეულად დასვეს ისევ გენიოსებმა : დოსტოევსკიმ ”ძმები კარამაზოვები”, ჯოისმა ”ულისე”, ალბერ კამიუმ ”უცხო”, ოსკარ უაილდმა ”დორიან გრეის პორტრეტი” და ბევრმა კლასიკოსმა. კინოხელოვნებაში ეს პრობლემა ყველაზე კარგად დაგვანახა ფედერიკო ფელინიმ ”ამარკორდში”, ”ორკესტრის რეპეტიციაში” და სხვა.

ასეთ გარემოში უხდებოდა მასწავლებელს მასწავლებლობა და თავისი მოვალეობის პატიოსნად შესრულება. ეს ძალიან ძნელი იყო და არის დღესაც.

დღეს საზოგადოება და კაცობრიობა უბრუნდება ქრისტიანულ აზროვნებას და იქნებ შევძლოთ „გაუცხოებული“ ადამიანის გადარჩენა. მეორე ასევე დიდი პრობლემა არის თანამედროვე ტექნოლოგიები. ძნელია მასწავლებელი გელაპარაკოს ადამიანურ ურთიერთობებზე, როცა ტექნოლოგიური ურთიერთობები ასეთი მოდური და კონკურენტულია. ადამიანები ისე გაიტაცა ნივთების შეგროვებამ, ფუფუნების საგნების შეგროვებამ, განდიდების მანიამ, რომ ამისთვის ისინი

ყველაფერს კადრულობენ. არ რჩება დრო დარჩეს მარტო თუ გინდ ცოტა ხანი საკუთარ თავთან და უთხრას საკუთარ თავს ”დღეს მე ვის რა ვარგე”.

ეს პრობლემაც მასწავლებელმა უნდა დაძლიოს და დაამარცხოს. მასწავლებლის მიმართ არის იგივე მოთხოვნები: პროფესიონალიზმი, ობიექტურობა, ინტელექტი, ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნა, რომელსაც მასწავლებლის ტაქტს ვეძახით.

მასწავლებელმა უნდა მოგვეცეს ცოდნა, უნდა ასწავლოს აზროვნება, უნდა ჰქონდეს მოთხოვნილება შენი მოსმენის, ხანდახან - პატიების.

პიროვნებად მასწავლებელმა უნდა ჩამოგაყალიბოს. გზა ძალიან რთულია. იყო პიროვნება ნიშნავს, რომ იყო ინდივიდუალური და ხაზგასმული იყოს შენთვის შენი ინდივიდუალიზმი, რაც შერწყმული იქნება შენს სულიერებასთან.

დღეს თანამედროვე სკოლა და გაკვეთილი აძლევს ამის საშუალებას მასწავლებელს. იყო პერიოდი, როცა არავის აინტერესებდა მოსწავლის აზრი. მასწავლებელი არ ისმენდა განსხვავებულ შეხედულებებს ამა თუ იმ საკითხზე. მაგრამ სამწუხაროდ მაშინ უფრო მოაზროვნე თაობა იზრდებოდა (ვგულისხმობ 60,70,80-იან წლებს).

თანამედროვე გაკვეთილი ეს არის შემეცნებითი გაკვეთილი. სადაც არ არის მონოლოგიური ახსნა მხოლოდ მასწავლებლის. დღეს არის შესაძლებელი თამამი დიალოგი მასწავლებელს და მოსწავლეს შორის. ეს არ არის ახალი. ეს იმ დიდი მასწავლებლისგან მოდის სოკრატე რომ იყო, რომელიც თავის მოსწავლეებს ასწავლიდა კამათის, აზროვნების გზით აზროვნებას და ერთად მიდიოდნენ ჭეშმარიტებამდე.

თანამედროვე სოციალური გარემო, ტექნოლოგიები რაზეც საუბარი არის ჩემს თემაში რთულს ხდის მასწავლებლის და მოსწავლის ურთიერთობას. გაუცხოებულ გარემოში იკარგება სულიერება, რაც აუცილებელია პიროვნებისთვის, მაგრამ მე მინდა მჯეროდეს, რომ ამას შეძლებს 21-ე საუკუნის გაკვეთილი და მასწავლებელი.

რეზიუმე

მასწავლებლობა ყოველთვის ძნელი იყო. ძნელი იყო სოკრატეს დროს და ახლაც. ნიჰილიზმმა და თანამედროვე ტექნოლოგიებმა გამოიწვიეს ადამიანის გაუცხოება. ქრისტიანული რელიგია ყოველთვის ახერხებდა ზნეობის ურთიერთობების მოწესრიგებას.

”ღმერთის სიკვდილმა” კი ადამიანური ურთიერთობები აუტანელი გახადა. ძნელია ამ დროს მასწავლებლობა, როცა შენც ამ საზოგადოების წევრი ხარ., როცა გარეგნულმა ეფექტებმა ისე დაიპყრო ადამიანი, იგი ვეღარ ახერხებს ადამიანურის შენარჩუნებას. ბედნიერებაა, რომ საზოგადოება უბრუნდება ქრისტიანულ აზროვნებას. ეს ალბათ დადებითი იქნება სოციალური გარემოსთვის. ადამიანი ისწავლის ტექნოლოგიების სწორად მართვას და მას მოენატრება ბუნებრივი ურთიერთობები

მასწავლებელი კი ამ პროცესში ისევ ის ”დიდი კაცია”, რომელსაც ყველა უსმენს, რომელსაც ბევრი ენდობა ისევე, როგორც ენდობოდნენ სოკრატეს. მას ეს არ აპატიეს და სიკვდილით დასაჯეს. მაგრამ სოკრატემ შეძლო, მასწავლებლის როგორც დიდი ღირებულების შენარჩუნება. მან არ შეიცვალა თავისი მრწამსი.

ასე შეძლებს მასწავლებელი მსოფლიოს გადარჩენას და ”გაუცხოებულ სამყაროს” დაუბრუნებს ინდივიდუალურობას.

Nato Dvali

Teacher modern social surrounding.

Abstract

To be teacher always was very difficult. It was difficult in Sokrate's time and now. Nihilism and modern technologies gave to human unknown.

Christianity always try settled moral interrelations. The death of God the interrelations between people became unbearable. It is very hard to be a teacher when you are the member of society when numerous effects contain all human souls human can't be human.

It is luckily when society come back Christianity thinking. It will be positive the social surrounding. Human will learn right rule of technologies and she or he miss natural interrelations.

Teacher is also a big man whom everybody listen and everybody confidence how confidence to Sokrate. Do not forgive him but he can to protect the value of teacher/ He did not change his belief.

I hope modern teacher's can rescuing the world and unknown universe will give again individualism.

ნათო დვალი

Учитель в современной социальной среде.

Резюме.

Учительство было трудно во все времена. Трудно было оно и во времена Сократа, трудно и сейчас.

Нигилизм и современные технологии вызвали отчуждение человека. Христианской религии всегда удавалось упорядочить моральные отношения.

«Гибель бога» сделала невыносимой человеческие отношения. Трудно быть учителем, когда ты являешься членом этого общества, когда внешние эффекты так покорили человека, что он не может сохранить человечность. Это счастье, что общество возвращается к христианскому мышлению. Это, наверно, будет положительным для социальной среды. Человек научится управлять технологиями и ему станут необходимы естественные отношения.

ქეთევან ჭკუასელი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

განათლების პოლიტიკის საკითხები საქართველოში

განათლების პოლიტიკა სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის დარგია, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს მიზნებს განათლების სფეროში და ამ მიზნების განხორციელების გზებსა და საშუალებებს. თავის მხრივ, განათლების მიზნები სათავეს იღებს სახელმწიფოს განვითარების ზოგადი მიზნებიდან, მისი გეო-პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიიდან.

ქვეყნის განათლების პოლიტიკა ძირითადად წარმოდგენილია მთავარი მიზნების განსაზღვრის, დაფინანსებისა და ადმინისტრირების პროცესებით. განათლების პოლიტიკას გააჩნია სახელმწიფო და ინსტიტუციური დონეები. ბუნებრივია, განათლების პოლიტიკის ინსტიტუციური დონის ზოგადი ხაზი უნდა ემთხვეოდეს სახელმწიფოს ზოგად პოლიტიკურ ხაზს სფეროში. განათლების პოლიტიკის განხორციელებაში დაინტერესებული მხარეებია სახელმწიფო, საგანმანათლებლო დაწესებულებები და საზოგადოება (მომხმარებელი). დაინტერესებულ მხარეთა შორის ურთიერთობის ფორმები განათლების პოლიტიკით განისაზღვრება. განათლების პოლიტიკა, ჩვეულებრივ, გაწერილია სახელმწიფოს მიერ განათლების სფეროს ისეთ მარეგულირებელ დოკუმენტებში, როგორებიცაა: კონსტიტუცია, კანონები - პროფესიული, ზოგადი და უმაღლესი განათლების შესახებ, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სხვა კანონქვემდებარე აქტები.

განათლების სფერო მოიცავს მრავალ შრეს, განსხვავებული ტიპის ინსტიტუციებითა და მიზნებით (მაგ. სხვადასხვა საფეხურის სასწავლებლები). შესაბამისად, განათლების პოლიტიკას გააჩნია მრავალი მიმართულება და სხვადასხვა საკითხის/პრობლემის გადაჭრის ინსტრუმენტები/მექანიზმები. განათლების პოლიტიკა სახელმწიფო დონეზე განსაზღვრავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა - ბიუჯეტის წილი და დაფინანსების წყაროები განათლებაში, ინვესტიციებისათვის პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრა, მასწავლებლის პროფესიის მიმართ მოთხოვნები, სვალდებულო განათლების საფეხური და ა.შ. ინსტიტუციურ დონეზე ის შეიძლება ეხებოდეს შინაგანაწესით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აბიტურიენტების მიღებისათვის დამატებითი წინაპირობის შემუშავებას, პერსონალის ხელფასის ოდენობის განსაზღვრას, ადამიანური რესურსის პროფესიულ განვითარებას, ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის თანხების გადანაწილებას და ა. შ.

განათლების პოლიტიკა თანამედროვე ტერმინია. ისტორიული და მეცნიერულ-პედაგოგიკური თვალათხედვით, იგი აღზრდის მიზანთან იდენტიფიცირდება. აღზრდის მიზანს კი, ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, ჰარმონიული პიროვნების აღზრდა წარმოადგენს, რაც გულისხმობს ადამიანის სულისა და სხეულის თანაბარწონად განვითარებას. მაგრამ, ამავე დროს ცნობილია, რომ აღზრდის შინაარსი, ნებისმიერ დროში, განსაზღვრული იყო ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური კურსით, გეო-პოლიტიკური სტრატეგიით, განვითარების იმ ძირეული პრინციპებით, რომელიც არჩეული ჰქონდა ამა თუ იმ სახელმწიფოს. ანუ, სახელმწიფო თავისი განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად, განსაზღვრავს როგორი ტიპის მოქალაქის მომზადება სურს მას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რას წარმოადგენს აღზრდის მიზანი ამა თუ იმ სახელმწიფოსთვის.

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ტერმინი აღზრდის მიზანი შეიცვალა ტერმინით განათლების მიზანი, რაც, ჩვენი აზრით, გარკვეული მიზეზებით უნდა იყოს განპირობებული. განათლების ცნებას საგანმანათლებლო კონტექსტში მე-17 საუკუნიდან ვხვდებით. როგორც ვიცით,

ბურჟუაზიული ეპოქის კლასიკოსებმა, თავად ეპოქის მახასიათებლებიდან გამომდინარე, დაამკვიდრეს *საყოველთაო განათლების პრინციპი*, რაც ნიშნავს იმას, რომ სწავლის უფლება და შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ყველა მოქალაქეს. ამ პრინციპს, ბუნებრივად მოჰყვა *სავალდებულო განათლების პრინციპი*, ვინაიდან თუ საუბარია მოქალაქის შესაძლებლობაზე, მაშინ სახელმწიფომ უნდა აიღოს ვალდებულება განათლების გარკვეულ დონემდე (სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვა დონეს ირჩევს, საკუთარი პოლიტიკის შესაბამისად) დაფინანსებისა. განათლების სავალდებულობას კი თავისთავად მივყავართ განათლების მასიფიკაციაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს ყველა ბავშვმა დაწყებითი ან საბაზო საფეხური და ზოგიერთ ქვეყანაში სრული საშუალო სკოლა, სავალდებულო წესით უნდა გაიაროს. უფრო მეტიც, 21-ე საუკუნეში, მსოფლიოში გაიზარდა ტენდენცია უმაღლესი განათლების მიღებისა, ვინაიდან სწრაფად მზარდი ეკონომიკა ადამიანებისაგან საკმაოდ სერიოზულ კომპეტენციებს მოითხოვს, რომელთა დაძლევის მოქალაქისაგან უწყვეტი განათლების რეჟიმი ესაჭიროება. ასეთ ვითარებაში, სახელმწიფოების წინაშე დგება პრობლემა *განათლების მიზნისა* (და არა აღზრდის მიზნისა), ანუ იმ კონკრეტული მიზნისა, რა შედეგსაც გეგმავს ესა თუ ის სახელმწიფო საკუთარ მოქალაქეთა განათლების შედეგად. სწორედ ეს კონკრეტული მიზანი გამომდინარეობს სახელმწიფოს პოლიტიკური კურსიდან, მისი განვითარების სტრატეგიული ხედვიდან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ განათლების ეს მიზანი, ჩვეულებრივ, კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოში *სწავლის შედეგით* გამოიხატება. სამწუხაროდ, განათლების მასობრივ ხასიათს ეწირება აღზრდის მიზანი და, ასე განსაჯეთ, თავად აღზრდის ფენომენიც. მართალია, სწორედ განათლება და სწავლება ავითარებს პიროვნებაში ამა თუ იმ საზოგადოებაში არსებობისათვის საჭირო უნარებს, ჩვევებსა და კომპეტენციებს, მაგრამ აღზრდის, პიროვნების ფორმირების პროცესის, მხოლოდ განათლებამდე დაყვანა, აკნინებს აღზრდის ფენომენს, მის შინაარსსა და მნიშვნელობას. **განათლება და სწავლება აღზრდის მხოლოდ გზას, საშუალებას წარმოადგენენ და მათი გაიგივება აღზრდასთან ყოვლად დაუშვებელია.** ბუნებრივად იბადება აზრი, რომ კაცობრიობა ადამიანს ხედავს როგორც ეკონომიკის შემქმნელ რესურსს, თვითგადარჩენის ინსტიქტი არ აძლევს მას პიროვნების აღზრდის, მისი სრულყოფის პრობლემებზე ფიქრის საშუალებას. აღზრდის ფენომენი კაცობრიობისათვის ფუფუნებად იქცა და სახელმწიფო სტაბილურობისა და მართვის გარანტიად მოქალაქეთა კანონმორჩილებასა და არსებული ვითარების შესაბამისად გაჟღერებულ ეთიკური ნორმების დაცვას სახავს. თანამედროვე მსოფლიოში ასეთ თემებად მოიაზრება მულტიკულტურული განათლება, მშვიდობის განათლება, ეკოლოგიური განათლება, ინკლუზიური განათლება და სხვ. მაშასადამე, კაცობრიობას არ (ან ვერ) აინტერესებს მოქალაქის ზნეობა, რომელიც თავად, საკუთარი იმპერატივით აწესრიგებს საზოგადოების მოთხოვნათა ამ ფენომენებს. კაცობრიობა უფრო ზრუნავს მოქალაქეში გარედან შეიტანოს ხედვები ამ ფენომენებზე და ეს ხედვები ინსტრუქტაჟის, კანონმორჩილების რანგში აიყვანოს, ვინაიდან, ჩვენი აზრით, მასობრივი განათლების პირობებში იგი სხვა გზას ვერ ხედავს. არავინ იცის, ასეთი ვითარება, კაცობრიობის მომავალს რას უქადის.

საკითხის ამგვარი ხედვიდან გამომდინარე, საინტერესოა როგორი იყო და როგორია დღეს განათლების პოლიტიკა საქართველოში.

საქართველოს, როგორც უძველესი კულტურის მქონე ქვეყნის პოლიტიკა, ცხადია, განსაზღვრული იყო მისი მდებარეობით ევროპისა და აზიის მიჯნაზე. აღნიშნული მდგომარეობა კი, ეთნოფსიქოლოგიურ კონტექსტში, თავისთავად აყალიბებდა და ავითარებდა იმ ტიპის ცნობიერებას, რომელსაც გარკვეული ეროვნული, ავთენტური კულტურული პროდუქტის შექმნა ევალებოდა. ცნობილია, რომ კულტურის შექმნისა და განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, სწავლება და განათლება წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს მომავალი თაობისათვის არსებული ცოდნის(კულტურის) გადაცემასა და ამ ცოდნის განვითარების უნარების ფორმირებას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმგვარი აზროვნების უნარის ჩამოყალიბებას, რომელიც პიროვნების მხრიდან ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში საჭიროების შესაბამის ადეკვატურ მოქმედებას განაპირობებს. მაშასადამე, საქართველოს სახელმწიფოს უძველესი დროიდან ჰქონდა გარკვეული მიმართულება, კურსი,

მომავალი თაობის მომზადების პროცესში, რასაც ამჟამინდელი ტერმინოლოგიით შეიძლება განათლების პოლიტიკა ეწოდოს.

შემდგომში ისტორიულად, საკუთარი ქვეყნის *პოლიტიკური კურსის* შესაბამისად, სხვადასხვა პერიოდში, საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკური კურსი ჰქონდა მომავალი ქართველის აღზრდის პროცესში, კერძოდ, ისეთი კურსი, რომელიც *გათვლილი იყო ქვეყნის ეროვნულ საჭიროებაზე და მისი შესაბამისი მოქალაქის მომზადებაზე*. /სტატიის ფორმატი არ გვადმლევს საშუალებას უფრო ვრცლად ვისაუბროთ ამ თემაზე/.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს რუსეთთან შეერთებამ, ბუნებრივია, მთლიანად დაარღვია ქვეყნის ლოგიკური განვითარების გზა და საქართველო არსებითად მოექცა რუსული კოლონიალური პოლიტიკის სფეროში, რამაც, ცხადია, განსაზღვრა საქართველოში განათლების პოლიტიკა და მისი ფუნქციაც - *ეროვნული ცნობიერებისაგან დაცლილი, რუსეთის იმპერიის ერთგული ქვეშევრდომის მომზადება*.

თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი კაცი არასოდეს შერიგებია ამ ვითარებას და ძალღონეს არ იშურებდა საკუთარი ქვეყნის განთავისუფლებისა და ქართული განათლების აღსადგენად. ამის ნათელი მაგალითია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ლუარსაბ ბოცვაძის და სხვათა მეთაურობით, რომელშიც მთელი ქართველი ინტელიგენცია იყო ჩართული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მათმა თავდაუზოგავმა ბრძოლამ შეუნარჩუნა ქართველს მშობლიურ ენაზე მეტყველება და წერა-კითხვა. როგორც ვხედავთ, *სახელმწიფო პოლიტიკას სამოციანელებმა საკუთარი პოლიტიკა დაუპირისპირეს და გარკვეული წარმატება კიდევ მოიპოვეს*.

1918 – 1921 წლების დამოუკიდებლობა, სამწუხაროდ, ვერანაირად ვერ აისახა საქართველოს განათლების სისტემაზე. თუმცა, ამ უმოკლესი პერიოდის განმავლობაშიც მოახერხა საქართველომ საკუთარი პოლიტიკური კურსის დასახვა განათლებაში. მხედველობაში გვაქვს იმდროინდელი სასკოლო რეფორმის კომისიის თავმჯდომარის, პროფ. დიმიტრი უზნაძის მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა საქართველოს განათლების სისტემის მოწყობის შესახებ. ამ ხედვის თანახმად, ქართველის, როგორც მცირერიცხოვანი ერის გადარჩენისა და განვითარების უმთავრეს პირობას სულიერი ცხოვრების გაფართოება და გაღრმავება წარმოადგენს. მოვიტანთ ამონარიდს ამ მოხსენებიდან: *„სულიერი კულტურა ერთადერთი გზაა, რომელიც ცხოვრების ყოველმხრივი ეკონომიის მიზანი და მიმართებაა. აქედან დასკვნა: ზრუნვა ხალხის სწავლა-განათლებლასა და აღზრდის შესახებ ერთადერთი საწინდარია ჩვენი ხალხის ეროვნული ინდივიდუალობის ფარგლებში მისი კულტურული წინსვლისა და წარმატების შესაძლებლობისა.... საყოველთაო სავალდებულო და ერთიანი სკოლა - აი ის, რასაც ესწრაფვის და მოითხოვს ჩვენი სინამდვილისა და ჩვენი დროის თავისებურებათა ნათელი შეგნება.“* როგორც ვხედავთ, უზნაძე, ევროპაში განსწავლული მეცნიერი, საქართველოს განვითარების მომავალს მხოლოდ საყოველთაო და სავალდებულო განათლებაში ხედავს, რადგან, მისი აზრით, *„მცირერიცხოვანი ერის თავისი სიმცირის საკომპენსაციო უპირატესობა“ მხოლოდ სწავლა-განათლებაში შეიძლება ვეძიოთ*.

შემდგომ პერიოდში, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ხელახალი ანექსიის შედეგად, საქართველოს განათლების პოლიტიკა მთლიანად მოერგო საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ საჭიროებებს და, შესაბამისად, *აღზრდის მიზანი საქართველოში (ანუ განათლების პოლიტიკა) მიმართული იყო კომუნისტური აქტიური მშენებლის მომზადებაზე*.

ორი ათეული წელიწადია, რაც საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის გზას დაადგა. ამან კი ცხოვრების ყველა სფეროში არსებული ვითარების გადააზრება და ახალი ხედვების ჩამოყალიბება, ახალი პოლიტიკური კურსის შექმნა განაპირობა. განსაკუთრებული სირთულის წინაშე დადგა განათლების სისტემა, რომელსაც თანამედროვე, უწინდელისაგან სრულიად განსხვავებული, ყოფიერების შესატყვისი პიროვნების მომზადების ფუნქცია დაეკისრა. აუცილებელი გახდა საკუთარი განათლების პოლიტიკის შემუშავება, იმგვარი პოლიტიკისა,

რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლობას. მაგრამ ამისათვის, სახელმწიფოს, მინიმუმ, განსაზღვრული უნდა ჰქონდეს თავისი განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები, რათა შემდგომ, ამ პრიორიტეტების შესაბამისად, გამოიკვეთოს ქვეყნის მომავალი **მოქალაქის ტიპი და მისი** მომზადების ფორმები და საშუალებები. სწორედ ამ ხედვამ უნდა განაპირობოს სახელმწიფოს განათლების პოლიტიკა მოქალაქის აღზრდის მიმართ.

ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, საქართველო, როგორც ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, იბრძვის საკუთარი პოლიტიკური კურსის შემუშავებისა და განსაზღვრისათვის, მაგრამ, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებისა გამო, ქვეყნის განვითარების ეს კურსი ჯერაც ვერ არის განსაზღვრული და იგი მხოლოდ ძალზე ზოგადი, ევროპული ორიენტაციის მიმართულებითაა დეკლარირებული. სწორედ ამიტომ, ქვეყნის განათლების პოლიტიკა სრულიად უსისტემო და გაუცნობიერებელია, და განათლების სისტემის ესა თუ ის მესვეური, საკუთარი თუ გარეშე ძალების მიერ თავსმოხვეული თვალთახედვის შესაბამისად, ირჩევს ევროპული თუ ამერიკული პოლიტიკის მიმართულებებს განათლებაში და, სამწუხაროდ, **ჯერ არავის განუსაზღვრავს ის საჭიროებები, რომლებიც საკუთრივ საქართველოს მოქალაქის აღზრდისთვისაა აუცილებელი, ქართველი ადამიანის ფსიქოტიპური მახასიათებლების გათვალისწინებით არის შემუშავებული და ეთნოფსიქოლოგიურ წიაღს მორგებული.** ეს კი აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ქვეყანამ, ბოლოსდაბოლოს, აღიდგინოს ჭეშმარიტი სახელმწიფოებრიობა და დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიო თანამეგობრობის სივრცეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქ. ჭკუასელი, ი. ჭკუასელი, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, თბილისი, 2012
2. დიმიტრი უზნაძე, პედაგოგიური თხზულებანი, თბილისი, 2005, გვ. 402
3. განათლების ეროვნული მიზნები, თბილისი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2007
4. კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩო

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია განათლების პოლიტიკის რაობა, მისი მიმართება ისტორიულად დამკვიდრებულ ტერმინ - აღზრდის მიზანთან. ამასთან, ნაშრომში განხილულია საქართველოს განათლების პოლიტიკა ისტორიული რაკურსით და გამოტანილია დასკვნა, რომ თანამედროვე რეალობაში, სამწუხაროდ, საქართველოს ჯერ არ აქვს მკაფიოდ გამოხატული ის კურსი განათლების სფეროში, რომელიც საკუთარი ქვეყნის ინდივიდუალობის შენარჩუნებასა და განვითარებას შეუწყობს ხელს.

Кетеван Чкуасели – Тбилисский государственный университет имени Ивана Джавахишвили, факультет гуманитарных наук, профессор института Педагогиккиж

Вопросы политики образования в Грузии

Абстракт

В статье обсуждается вопрос о сути политики образования, соотношение политики образования с исторически установленным термином – цель образования. При этом, в статье рассмотренно политика образования Грузии в историческом ракурсе и сделан вывод, что, в настоящей реальности, к сожалению, Государство Грузии пока не определило тот конкретный курс политики образования, который содействует сохранению индивидуальности и развитию страны.

Ketevan Chkuaseli - Professor, Department Head, Doqtor of Pedagogical Sciences

Issues of Educational Politics in Georgia

Abstract

in this work The essence of Educational Politics is discussed, also its relationship with the historically settled term – the aim of upbringing. Herewith, here is examined Educational Politics in different political approach and is concluded, that in modern reality, unfortunately, Georgia has not already its own course in the Education sphere, which will help to maintain individuality and development

ზაქარია ქიტიაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი.

ქართული პედაგოგიკის ისტორიის ახლებური გააზრებისათვის

სოციალური ყოფიერება მკაფიოდ გამოხატულ დინამიურ ხასიათს ატარებს, რაც მასში მცხოვრები საზოგადოებისგან დროული, ქმედითი ნაბიჯების გადადგმას გულისხმობს, რათა მათ მიერ შექმნილი პროდუქტი დროის დაკვეთების შესატყვისი და აქტუალური იყოს. ისტორიული სინამდვილის აღქმა და შეფასებაც სუბიექტის მხრიდან დინამიური პროცესის კვალდაკვალ უნდა ხდებოდეს, რათა ესა თუ ის შეხედულება სტატიკურ, კონტექსტმოწყვეტილ მოცემულობად არ დეფინიცირდეს. რეცეფციის აქტი, მიუხედავად აღსაქმელ-შესამეცნებელი მასალის ხასიათისა, არ გამორიცხავს სუბიექტურ თვალთახედვას, რაც განპირობებულია დროის, შემეცნებლის წინარე ცოდნის, თვალსაწიერის მასშტაბურობისა და ეპოქის დაკვეთებით. შესაბამისად, სხვადასხვა მოცემულობა, საუკუნეების განმავლობაში ამა თუ იმ ეპოქალური ჭრილიდან დანახული, არაიდენტური ხასიათისა შეიძლება იყოს. ეს მსჯელობა პირდაპირპროპორციულად უკავშირდება ჩვენი თემის საკვლევ ობიექტს - ქართული პედაგოგიკის ისტორიას. მოგეხსენებათ, ცნობილია, რომ აღზრდის მეცნიერებას აქვს სპეციფიკური მეთოდოლოგიური აპარატი და მისი მეცნიერული შინაარსიც მრავალპლასტიანი და მრავალშრიანი. შესაბამისად, პედაგოგიკის ისტორიის გააზრებისათვის მრავალი მიმართულებით არის სამუშაო, რათა ჭეშმარიტებასთან მიახლოებული და მეცნიერულად ზუსტი აქცენტები დაისვას. აღნიშნულ საკითხებს ემატება კიდევ ერთი უმთავრესი დებულება - განათლება ყოველთვის იყო, არის და იქნება სახელმწიფოს მხრიდან კონტროლირებადი სფერო, რაც სახელმწიფო პოლიტიკას საშუალებას აძლევს ცალსახად დაუქვემდებაროს სისტემა საკუთარ თვალთახედვას, მით უფრო, თუ მართვა ცენტრალიზებულ ხასიათს ატარებს. აღნიშნული დებულება არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც ოდენ უარყოფითი მახასიათებელი განათლების პოლიტიკის წარმართვისა, რადგან ცენტრალიზებულობა, არაიმპერატიული მოთხოვნის პირობებში, როდესაც მართვა ჰორიზონტალურ ხასიათს ატარებს, დადებით მოვლენადაც უნდა იქნეს განხილული. მართალია, დეცენტრალიზებული მართვის პირობებში სისტემას განვითარების დამოუკიდებელი, უფრო ჯანსაღი პირობა აქვს, თუმცა ამ კონტექსტსმორგებულობა სისტემისაგან მკაფიოდ გააზრებული, დამოუკიდებლად გადადგმული ნაბიჯებისადმი მზაობას მოითხოვს. აღნიშნული კი, მხოლოდ განვითარებული პოლიტიკური აზროვნების და სოციუმის შინაგანი თავისუფლების ხარისხის პირობებში არის შესაძლებელი. ჩვენი აზრით, განათლების სისტემისათვის ყველაზე არამომგებიანი მდგომარეობა პოზიციის პოლარიზებულობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩეული კურსი არ შეიძლება იყოს ცალმხრივი, ერთგვაროვან ლოგიკას დაქვემდებარებული. სისტემის მართვის კონცეფცია ზუსტადაც რომ ცალსახად უნდა ეყრდნობოდეს მრავალფეროვან მიდგომას, შესაბამისს საკითხის ხასიათისა და სირთულისა. ეს კი ნიშნავს ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მიდგომების თვისობრივად საჭიროებებისგან განპირობებულ არჩევანის თავისუფლებას. კონკრეტული მოცემულობის შემთხვევაში ესა თუ ის ქვეყანა, პირველ რიგში, განათლების სფეროს საკუთარ პოლიტიკურ ხედვასა და კურსს უქვემდებარებს, რათა აღზრდა მისი პრინციპით, მისთვის მისაღები შინაარსითა და მეთოდოლოგიით წარმართოს. აქედან გამომდინარე, კონკრეტული ქვეყნის პედაგოგიკური აზრის ისტორია თავისდაუნებურად წარმოადგენს სახელმწიფოს განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე განათლების სფეროში გატარებული პოლიტიკის ხასიათისა და პოლიტიკური აქცენტების ერთგვარ რეტოსპექტივას. აღნიშნული საკითხი იდენტურ ხასიათს უნდა ატარებდეს ქართული პედაგოგიკის ისტორიის შესწავლისასაც. რათა ჩვენი მსჯელობა უფრო საგნობრივი ხასიათის გახდეს, ვფიქრობთ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი უმთავრესი მოცემულობა - ქართული პედაგოგიკის მეცნიერულად შესწავლის დროდ საბჭოთა პერიოდი უნდა მივიჩნიოთ. აღნიშნული დებულება კი უკვე თავისთავად წარმოადგენს მრავალმხრივი მსჯელობის პირობას და გვადლევს საფუძველს, ეჭვის თვალით შევხედოთ ამ ეპოქაში დასმულ, გააზრებულ და შეფასებულ

საკითხებს, რადგან საბჭოთა ცენზურა და იდეოლოგიური კონცეფცია ეყრდნობოდა მაშინდელ სახელმწიფო პოლიტიკას და, შესაბამისად, მეცნიერებაც ხისტი და, რაც მნიშვნელოვანია, სუბიექტური მახასიათებლებით უნდა ყოფილიყო დადგენილი.

არახალია, რომ „ განათლების სისტემის ხასიათი და მიმართულება განპირობებულია სახელმწიფოს საერთო მიზნებითა და ამოცანებით.“ შესაბამისად, სახელმწიფო ზრდის ისეთ საზოგადოებას, როგორც მის ხედვებსა და პოლიტიკურ კონცეფციას სჭირდება, ეს კი თავისთავად გულისხმობს იმას, რომ როგორცაა საზოგადოება, ისეთივეა მისი განათლების სისტემა. როგორც აღვნიშნეთ, ქართული პედაგოგიკის შეფასება საბჭოთა ეპოქაში დაიწყო, მოგეხსენებათ, დაწყებული 1801 წლის ქართლ-კახეთის ანექსირებიდან მოყოლებული, და გაგრძელებული 1921 წლის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებითა და მმართველობით, საწყის ეტაპზე რუსეთმა და შემდეგ უკვე საბჭოთა ხელისუფლებამ, არ გაუშვა შანსი გაეშვა ხელიდან კონტროლის მექანიზმები ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორც განათლება. საბჭოთა ქვეყნის აღზრდის მიზანი, ჩვენი აზრით, მრავალთა შორის გამორჩევით ორ უმთავრეს პოსტულატს გულისხმობდა - 1) მოქალაქეებში კომუნისტური იდეოლოგიის ფორმირებას და 2) ნებისმიერი სოციალური და მატერიალური ხასიათის მოცემულობის მეცნიერულ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის ჭრილში განხილვას. ორივე პოსტულატი, თავისი არსით, ეყრდნობოდა ათეისტურ იდეოლოგიას, რაც გულისხმობდა ყოველივე თეისტურის არაკანონზომიერად და ყალბად შერაცხვის მოტივს. ქართული პედაგოგიკური აზრის შესწავლის კონტექსტიც, შესაბამისად, ამ თვალთახედვით იყო განპირობებული. აღნიშნულის დასტურად მოვიხმობთ ამონარიდს 1974 წელს გამოცემული ქართული პედაგოგიკის ისტორიის სახელმძღვანელოდან - „ ქართული პედაგოგიკის ისტორიისათვის ძვირფას წყაროს წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, მარქსიზ-ლენინიზმის კლასიკოსთა თხზულებანი“ ; „პედაგოგიკის ისტორიის მიზანია, გამოავლინოს, დაადგინოს და მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე, საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ორგანულ კავშირში, მეცნიერულად გააანალიზოს პედაგოგიკური პრაქტიკისა და თეორიის ფაქტები და მოვლენები, დაასაბუთოს მათი წარმოშობის ისტორიული აუცილებლობა.“

როგორც ხედავთ, ეპოქის დაკვეთა იმ ადამიანებისადმი, რომლებიც ქართული პედ. ისტორიის შესწავლას ჰკიდებდნენ ხელს, ცალსახად სუბიექტური და ცალმხრივი იყო. ავტორების შემოქმედებითი და მეცნიერული მისწრაფებანი იდეოლოგიური პრიზმიდან უნდა ყოფილიყო ნასაზრდოები და პროდუქტიც, რომელიც მეცნიერულ შესწავლას უნდა შეექმნა, კომუნისტურ, ათეისტურ ბაზისს უნდა დაყრდნობოდა. სამეცნიერო წრეებში მხოლოდ იმ ავტორთა ნაშრომები იყო მისაღები და დასაშვები, რომელთა დამოკიდებულებები ცენზურის მოთხოვნებს ითვალისწინებდა და აყალიბებდა კომუნისტური იდეოლოგიით განსაზღვრული საბჭოთა მოქალაქის ცნობიერებას. ამ კონტექსტს უნდა დამორჩილებოდა ქართული პედაგოგიკური აზრის ისტორიის ყველა მკვლევარიც, რაც, თავისთავად, შაბლონის ფარგლებში, საყოველთაოდ აღიარებული ღირებულებებით ხელმძღვანელობას გულისხმობდა. ამგვარი ხასიათის რეცეფციას და შედეგად პროდუქტს, რა თქმა უნდა, გამოცლილი ექნებოდა ჭეშმარიტი მეცნიერული ღირებულება. შესაბამისად, ჩვენი მსჯელობის ამგვარი ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ ქართული პედაგოგიკის ისტორიის კვლევა თავისი შინაარსითა და ავტორთა მიერ დასმული აქცენტებით, დასაშვებია, იყოს ნაკლოვანია და, რაც შემთხვევებში, ყალბიც კი.

ამგვარი თამამი განაცხადის საფუძველს, გარდა ქართული პედაგოგიკის ისტორიაში აღწერილი შემთხვევებისა, გვაძლევს მსოფლიო პედაგოგიკის ისტორიის დამუშავების ცდაც, კონკრეტულად - იან ამოს კომენსკის პედ. შეხედულებები, რომელთა გადმოცემისასაც პედაგოგიკის ისტორიის სახელმძღვანელოში საერთოდ არ ვხვდებით ტენდენციას, რომ საკუთარი პედაგოგიკური შეხედულებების საფუძველად დიდი ჩეხი მასწავლებელი სწორედ რომ თეისტურ, რელიგიურ ღირებულებებს მიიჩნევდა. რომ ფასეულობები, რომლებიც აღმზრდელობითი ზეგავლენებით უნდა გადაეცეს მოზარდს, სწორედ სარწმუნოებრივ, ქრისტიანულ მორალს უნდა ეფუძნებოდეს. ამგვარი რელიგიური შინაარსისაგან დაცლილი მსჯელობა კი მის „ზუნებრივი შესაბამისობის პრინციპზე“, რა თქმა უნდა, მეცნიერულად არასრულ, კონტექსტმოწყვეტილ ხასიათს ატარებს.

ამავე ლოგიკურ ხაზს გააგრძელებს ქართული პედაგოგიკის ისტორიისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ავტორის, დავით გურამიშვილის ნააზრევით. პროფესიული საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ დავითიანის შინაარსი, თავისი ესთეტიკური ღირებულებებით, ფაქტობრივად, ქრისტიანული სწავლების შესატყვისი მახასიათებლებითაა უხვად გაჯერებული. გურამიშვილის შესწავლისას კი სახელმძღვანელოებში აბსოლუტურად იგნორირებულია აღნიშნული ხაზი და იგი მხოლოდ პროგრესულად მოაზროვნე დიდაქტიკოსის ამპლუაშია წარმოდგენილი. დავითიანში გაჟღერებული პედაგოგიკური აზრის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი სტრიქონებიც, რომლებიც ავტორებს ზემოდასახელებულ წიგნში აქვთ მოტანილი, წარმოდგენილია არჩილისა და სულხან-საბას ნააზრევთან შეთანადების ფორმით და იძლევა დასკვნას - დავითიანი იმით არის ღირებული და პროგრესული დიდაქტიკური ელფერის სახელმძღვანელო, რომ მასში „წამოყენებულია არა ერთი რომელიმე ფენის ან კლასის, არამედ ქართველი ხალხის ჭეშმარიტად ხალხური ზნეობრივი შეხედულებანი და უანგარო პატრიოტიზმი.“ ავტორთა დამოკიდებულება გასაგებია - გურამიშვილის შეფასებისას განსაკუთრებული აქცენტი უნდა დაისვას მის აღზრდის მეთოდებზე, რომლებიც პროლეტარებზე, მასებზე, გლეხებზე იყო მორგებული. რა თქმა უნდა, დაგვეთანხმებით, ამგვარი ცალმხრივი დამოკიდებულება დავით გურამიშვილის შემოქმედებისადმი არ იძლევა მოღვაწის ნააზრევის ადეკვატურად აღქმის შესაძლებლობას.

არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს დავით გურამიშვილის განსაკუთრებული, მასშტაბური და მრავალპლასტიანი ხედავადამიანის დანიშნულების, მისი სოციალური და, ამავდროულად სულიერი, ზნეობრივი შეგნებისა : „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:

ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო? „

ზემოაღნიშნული ორი ტაეპი ქართული პედაგოგიკის ისტორიის სახელმძღვანელოში ასეა განმარტებული - „ მოსწავლე თავიდანვე უნდა გაეცნოს თავისი ერის წარსულს, აწმყოს და მომავალს, მის ჭირსა და ლხინს, განიმსჭვალოს მშობელი ხალხის ინტერესებით, ცოდნასთან ერთად უნდა შეითვისოს და შეისისხლხორცოს საზოგადოებრივი მოვალეობა და მიზანი ცხოვრებისა“ აქ აღნიშნული დებულება, რა თქმა უნდა, მართებულია ამ ნაწყვეტთან მიმართებით, მაგრამ, აშკარად დაცლილი და ცალსახაა. აღნიშნული ნაწყვეტი თვალნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ცენზურის, მარქსისტულ-ლენინური პოზიციებისათვის ხარკის გადახდის შედეგად უდიდესი, ფაქტობრივად, გურამიშვილის პედაგოგიკური კონცეფციის ნიველირება და დაყვანა ყოფით, სოციალურ ინტერესებამდე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში, პროფესიული საზოგადოების წინაშე აშკარად დგას ქართული პედაგოგიკის ისტორიის გადახედვა-გადასინჯვის საკითხი. მართალია, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, თითოეული ეპოქის ჭრილში წარმოდგენილი ისტორიული ფაქტების აღქმა მეტ-ნაკლებად სუბიექტურ ხასიათს ატარებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ ამ საკითხის მეცნიერულად შესწავლა და ახლებური დამოკიდებულებების გაჩენა, ქართული პედაგოგიკური აზრის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს, აქტუალურ და ფასეულ შრომას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქეთევან ჭკუასელი, ივანე ჭკუასელი, „პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები“, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2012წ.
2. ქართული პედაგოგიკის ისტორია - ავტორთა კრებული, გ. სიხარულიძის რედაქციით, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1974წ.
3. პედაგოგიკის ისტორია - ავტორთა კრებული, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1964წ.

რეზიუმე

ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს და დაასაბუთოს ქართული პედაგოგიკის ისტორიის ახლებურად გააზრების საჭიროება. წარმოდგენილი მსჯელობისას განხილულია რიგი საკითხებისა, რომელთა შინაარსი და ხასიათი თვალნათლივ დაანახებს პროფესიულ საზოგადოებას ქართული პედაგოგიური აზრის გადასინჯვის აუცილებლობას. აქვე გაანალიზებულია სახელმწიფო პოლიტიკის ხასიათისა და განათლების სისტემის ურთიერთმიმართების საკითხები, რომლებიც, თავის წილ, გავლენას ახდენენ პედაგოგიური აზრის ისტორიის დამუშავებაზე. ნაშრომში მოხმობილია კონკრეტული მაგალითები აქამდე არსებული შეფასებების ცალმხრივობისა და არასრული მეცნიერული ხასიათის წარმოსაჩენად და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

Китиашвили Закария – асистент-профессор Учебно-научного института педагогики при Тбилисском государственном университете им. Ив.Джавахишвили.

О новом осмыслении истории грузинской педагогики.

Резюме

Целью данной статьи является представить и доказать необходимость нового осмысления истории грузинской педагогики. Представлены ряд вопросов, касающихся переосмысления сути грузинской педагогической мысли, содержание и характер которых даст возможность профессиональному педагогическому обществу заного переосмыслить историю грузинской педагогики. Кроме этого анализируются вопросы взаимовлияния характера государственной политики и системы образования, которые, в свою очередь, по своему влияют на обработку истории педагогической мысли. В данной работе представлены конкретные примеры до сих пор существующих односторонних оценок, а также, выявлены неполный научный анализ этого вопроса и сделаны соответствующие выводы.

Zakaria Kitiashvili – assistant professor of pedagogical institute, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

New Interpretation of the History of Georgian Pedagogics

Abstract

The aim of this article is to demonstrate the need for new interpretation of the history of Georgian pedagogics. The author discusses a number of problems which will provide the professionals in this field with evidence for the necessity of revising Georgian pedagogical thought. The work also presents some issues of the relationship between government politics and educational system, which undoubtedly has a major influence on the way the history of pedagogical thought is viewed and represented. The author provides some examples to illustrate partiality and scientific inaccuracy of the hitherto existing assessments and corresponding conclusions have been drawn.

Лия Инаишвили - Батумский университет им. Шота Руставели, Доктор педагогических наук, Ассоцииный Профессор

Технология решения педагогических ситуаций

Перед тем как перейти к рассмотрению педагогических ситуаций и технологиям их решений необходимо определить место исследуемого нами явления в педагогическом процессе и в образовательных технологиях.

Педагогическая ситуация является по своей структуре "клеткой" учебно-воспитательного процесса, его условной единицей. Любой аспект педагогической науки и практики может быть проедставлен определенной педагогической ситуацией. Именно наличие цели педагогических ситуаций может свидетельствовать о предметности какой-либо педагогической проблемы. При необходимости современные образовательные технологии могут быть описаны при помощи последовательности решений типовых педагогических ситуаций. С другой стороны, техгология решения педагогических ситуаций может являться частью образовательной технологии (И. Шакиров, А. Терешов 1998: 37).

Таким образом, педагогическая ситуация тесно связана с образовательными технологиями по нескольким аспектам.

Для того, чтобы в польной мере разобраться с понятием "педагогическая ситуация" мы должны выяснить значение составляющего это словосочетание понятия "ситуация". Наиболее простым определением термина "ситуация" является следующее: сочетание условий и обстоятельств, создающих определенную обстановку, положение. Однако психологическое определение данного понятия выглядит более полным: система внешних по отношению к субъекту условий, побуждающих и опосредующих его активность. К элементами ситуации могут относиться и состояния самого субъекта в предшествующий момент времени, если они обуславливаеого его последующее поведение. Ситуация подразумевает требования, которые выступают для индивида в качестве исходных данных. Реализация требований ситуации создает предпосылки для ее преобразования и преодоления.

Несмотря на то, что понятие "педагогическая ситуация" является понятием новым, в педагогической литературе имеются различные дефиниции этого термина М.Поташник предлагает определить "педагогическую ситуацию" как совокупность условий и обстоятельств, требующих от педагога быстрого принятия педагогически верного решения.

Другое определение мы находим в учебном пособии "анализ и решение педагогических задач" В. Сластекина: педагогическая ситуация есть объективное состояние конкретной педагогической системы в некотором, вполе определенном в ременном промежутке.

Обобщая сказанное, можно отметить, что для раскрытия научного понятия "педагогическая ситуация" следует учитывать роль сложившихся условной и обстоятельств педагогического процесса в определенном промежутке времени.

Для того, чтобы овладеть технологией решения педагогических ситуаций и представлять педагогическую технологию через последовательность решения учебно-воспитательных ситуаций, реобходимо разобраться с их классификаций и выделить основные типы педагогических ситуаций.

Для польной классификации педагогических ситуаций стоит использовать основания, предложенные В. Сластекиным. В дидактических целях ситуации подразделяются:

- По месту возникновения и протекания (в школе, в семье, во внешкольных воспитательных учреждениях, в других местах общества);
- По сущности педагогического просесса (ситуации дидактические и учебно-воспитательные);
- По взаимодействующим в ситуациях субъектам и объектам воспитания ("учитель-класс", "учитель-ученик", родители-дети", "личность впроцессе воспитания").

- По заложенным в ситуации воспитательным перспективам (стратегические, тактические, оперативные)

Особого рассмотрения заслуживают конфликтные педагогические ситуации. Заметим, что в последнее время этот вид педагогических ситуаций стал часто фигурировать в научных педагогических работах. Статистика утверждает, что частота возникновения конфликтов в школе в последние годы значительно увеличилась.

Конфликтная ситуация –это ситуация, в которой участники отстаивают свои, несовпадающие с другими, цели, интересы и объект конфликта.

Среди потенциально конфликтных ситуаций можно выделить следующие три подвиды-ситуации деятельности, ситуации поведения и ситуация отношений.

Ситуация деятельности-Конфликтные ситуации здесь могут возникать в случаях отказа учащегося выполнить задание. Чаще всего эти ситуации имеют учебный характер.

Ситуация поведения-Подобные ситуации возникают, как правило, в связи с нарушениями учащихся правил поведения.

Ситуации отношений-Они возникают тогда, когда затрагивают эмоции и интересы учащихся и учителей в процессе общения или деятельности.

Важным профессиональным качеством педагога является его умение управлять конфликтной ситуацией. Управление ею подразумевает следующие действия:

- Направленные на предотвращение инцидента;
- Связанные с подавлением конфликта;
- Дающие отсрочку конфликта;
- Ведущие к разрешению конфликта.

Мы рассматриваем конфликтную ситуацию, как вид педагогической ситуации. Поэтому технология решения конфликтных ситуаций будет содержать те же предписания, что и технология решения педагогических ситуаций вообще. При этом необходимо вычлнить те специфические положения, которые следует учитывать при решении именно конфликтных педагогических ситуаций:

- Педагогу следует понять и принять неизбежность встречи с конфликтными ситуациями в своей работе, психологическую готовность к конструктивному разрешению ситуаций;
- Вычлнить наиболее вероятные конфликтные ситуации и научиться заранее способам их разрешения;
- Осознать реальные причины таких ситуаций, увидеть трудности их разрешения и необходимость овладения способами их предупреждения;
- Различное понимание участниками событий и их причин;
- Конфликт легче предупредить, чем успешно его разрешить.

И. Шакиров и А. Трещев выделяют восемь блоков в технологии решения педагогических ситуаций.

Первый блок- Характеристика общественно-воспитательной среды

Второй блок- Выявление объектов и субъектов ситуации

Третий блок- Характеристика отношений в педагогической ситуации

Четвертый блок- Конкретизация воспитательных целей и содержание воспитания

Пятый блок- Формулировка педагогических проблем (вопросов)

Шестой блок- Анализ педагогических решений

Седьмой блок- Анализ исполнителской организаторский работы педагога

Восьмой блок- Общие оценки результатов педагогических воздействий

Технология решения педагогических ситуаций подразумевает прежде всего анализ содержания ситуации, выделение педагогических задач и их решения по следующим схемам.

Это требует, в свою очередь, профессионально педагогических навыков педагога. Наиболее существенные из них следующие: навыки выразительной речи; общение с учащимися; быстрота оценки общего психологического состояния учащихся, классного коллектива; самообладания; целесообразных движений, мимики, жестов; распределения внимания в процессе общения и учебной работы с учащимися.

Литература

1. Басиладзе И. Чохонелидзе Н. Костава Н. Интеактивные методы преподавания и обучения. Кутаиси, 2001
2. Нижарадзе К. Маклейн Т. Боль Т. - Образовательные и профессиональные среды Тб., 2008
3. Моделирование педагогических ситуаций. М.1991
4. Слостенин В. А. - Анализ и решение педагогических задач. М. 1998
5. Шакиров И. А. Терешев А. М. -Технология решения педагогических ситуаций и задач // Основы разработки педагогических технологий и инноваций. Астрахань. 1998

Резюме

В статье рассматривается технология решения педагогических ситуаций как часть образовательных технологий; подразделяется педагогические ситуации по группам в дидактических целях; подробно описывается конфликтная ситуация, являющейся их разновидностью и характеризующейся столкновением взглядов, целей и интересов сторон конфликта.

ლია ინაიშვილი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

პედაგოგიური სიტუაციების გადაწყვეტის ტექნოლოგიები

რეზიუმე

სტატიაში განხილულია პედაგოგიური სიტუაციების გადაწყვეტის ტექნოლოგიები, როგორც საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ნაწილი. დიდაქტიკური მიზნით პედაგოგიური სიტუაციები დაყოფილია ჯგუფებად, დეტალურადაა აღწერილი კონფლიქტური სიტუაცია, რომელიც განიხილავს კონფლიქტურ მხარეთა საპირისპირო შეხედულებებს, მიზნებსა და ინტერესებს.

Lia Inaishvili - Batumi Shota Rustaveli State University. Associated Professor
Summery

The article discusses the decisive technologies of teaching situations, as part of educational technology. Didactic purpose of teaching situations are divided into groups, conflict situation is described in details, which discusses the conflicting parties opposing visions, goals and interests.

თათია ნაკაშიძე-მახარაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

სტუდენტთა ცოდნის შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების შერჩევა უცხოური ენების სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ სწავლებისას

სტუდენტის მიერ უცხოური ენების სწავლება/სწავლის მიმართულების _ „კულტურათა დიალოგის“ მიღწეული დონის შეფასების ფორმების, მეთოდების, სქემების შერჩევის ძირითად პრინციპად მივიჩნით სწავლის შედეგების, კომპეტენციებისა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების (ECTS) სისტემის კრედიტების დაკავშირება.

პრობლემის უკეთ წარმოჩენისათვის განვიხილოთ სტუდენტის ცოდნის შეფასებასთან დაკავშირებული ახალი მიდგომები. როგორც ცნობილია, შეფასება საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. შეფასების ფორმებისა და პროცედურების სრულყოფის შესახებ მრავალი ნაშრომი და მოსაზრება არსებობს.

შეფასების ახალ მიდგომებთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ფრანკ სერაფინის სტატია (2001) „შეფასების სამი პარადიგმა: გაზომვა, პროცედურა, კვლევა-ძიება“. სტატიაში აღნიშნულია, რომ როცა მასწავლებელზე ორიენტირებული კურიკულუმიდან სტუდენტზე ორიენტირებულ კურიკულუმზე ხდება გადასვლა, საჭიროა შეფასების დანიშნულებისა და მეთოდების გადახედვა.

შეფასების პარადიგმით გაზომვა ობიექტურია, აქ სტანდარტში ჩასმა და სანდოობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მასწავლებლის ან სტუდენტის ჩართულობა. ტესტირების პროცესში ქულებს კომპიუტერი ანგარიშობს. ტესტები სამართლიანობის დასაცავად გასაიდუმლოებულია. შედეგები ერთმნიშვნელოვანია და ნაკლებად გამოიყენება შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

შეფასება, როგორც პროცედურა, უპირატესობას ანიჭებს ნამუშევრების შეგროვების პროცესს, კონკრეტულ ქმედებას. იგი ხშირად ორი პარადიგმის (გაზომვა და კვლევა-ძიებას) ნაზავია.

შეფასება, როგორც კვლევა-ძიება, მრავალფეროვან რაოდენობრივ და ხარისხობრივ ტექნოლოგიას იყენებს. ეს არის კვლევა-ძიების, ინტერპრეტირების პროცესი, სადაც შეფასება ხდება ათვისების დონის, დამოკიდებულების, წიგნიერების მიხედვით. იგი უკავშირდება სტუდენტის მიერ პორტფოლიოს შექმნას, სამეცნიერო პროსემინარში მონაწილეობას, რეფერატებს, მოხსენებებს, დამოუკიდებელი დავალებების შესრულებას.

საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობისათვის ევროპაში ჩატარებული კვლევების შედეგებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა შეფასების პრობლემამ. მიჩნეულია, რომ „შეფასება არ არის მხოლოდ სწავლებისა და სწავლის პერიოდის ბოლო ეტაპი, არამედ ფართო გაგებით ამ პროცესების ცენტრალური ელემენტია და პირდაპირ უკავშირდება სწავლის შედეგებს“ რობერტ ვაგენარ (2003).

ECTS სისტემით შეფასება შეიძლება იყოს შეფასებითი და განმავითარებელი. ეფექტურია უწყვეტი - მიმდინარე შეფასება, ანუ, როცა სტუდენტის სამუშაო ფასდება კურსის შესწავლის განმავლობაში და არა მხოლოდ საბოლოო გამოცდაზე, რაც ხელს უწყობს სტუდენტს წახალისდეს უკეთესი შედეგისათვის. განმავითარებელ შეფასების კომპონენტად განიხილება დიაგნოსტიკური შეფასება. დიაგნოსტიკური შეფასების დროს ხდება გარკვეული მომენტისათვის არსებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება, რათა ზუსტად დაგვემოს სწავლის პროცესი სუსტი და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით.

შეფასების ახალი სისტემის მოთხოვნების მიმოხილვიდან ცხადი ხდება, რომ სასწავლო კურსის/მოდულის „კულტურათა დიალოგის“ მიღწეული შედეგების შეფასებისათვის აუცილებელია კომპონენტებისა და კრიტერიუმების შერჩევა. საამისოდ გასათვალისწინებელია, რომ შეფასების კომპონენტი არის შეფასების ფორმის შემადგენელი ნაწილი. იგი სტუდენტისათვის მკაფიოს ხდის შესასრულებელ დავალებას.

განმავითარებელი შეფასების კომპონენტები შეიძლება იყოს: პედაგოგიური ან კვლევითი ესეი, პრეზენტაცია, პორტფოლიო, სქემების გამოყენება, ცხრილების ანალიზი და ა.შ.

შეფასების კრიტერიუმი გამოიყენება, როგორც მსჯელობის, გადაწყვეტილების საშუალება ან ნიშან-თვისება, რომლის მიხედვით რაიმეს აფასებენ ან განსაზღვრავენ. შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების შერჩევას ვყვრდნობით შეფასების ძირითად პრინციპებს, რომლებიც გაზიარებულია ევროპის უნივერსიტეტების მიერ: გამჭვირვალობა, ვალიდობა, ობიექტურობა, სანდოობა.

შეფასების კრიტერიუმების შერჩევის ერთ-ერთი პირობაა შეფასების ტიპის გარკვევა: განმავითარებელი თუ შემაჯამებელი (რისთვის ვაფასებთ სტუდენტს – მისი ცოდნის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობისთვის თუ მხოლოდ მიღწეული დონის დასადგენად).

შეფასებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შერჩეული კომპონენტის შესაბამისი კრიტერიუმის განსაზღვრას. შევიშუშავთ შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების შერჩევის პრინციპები: ლექციის სასწავლო მიზანთან და შესასწავლ მასალასა და აქტივობებთან შესაბამისობა. სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგით მისაღწევი კომპეტენციების, დაუფლების ხარისხი. სტუდენტთა შესაძლებლობების გათვალისწინება.

წარმოგიდგენთ კომპონენტებთან მიმართებაში შერჩეულ კრიტერიუმებს, რომლებიც „კულტურათა დიალოგის“ სწავლება/სწავლით მიღწეული შედეგების შეფასების პირადი სამწლიანი გამოცდილების მიხედვით ეფექტური გამოდგა.

კომპონენტი „ლექციაში ჩართულობა“ – შეფასდა შემდეგი კრიტერიუმებით: აქტიურობის ხარისხი; ჯგუფის მუშაობაში შეტანილი წვლილი; საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებულად გამოთქმა; კამათის წესების დაცვა; საკითხის გარშემო საუბარი.

კომპონენტი „პროექტის პრეზენტაცია“ – შეფასდა კრიტერიუმებით: თემისა და პრობლემის განსაზღვრა; მიზნის დასახვა; ამოცანების სიზუსტე და მიზანთან შესაბამისობა; საპრეზენტაციოდ მასალების მომზადების ხარისხი (კვლევის შედეგები, ფაქტები, სქემები, ვიზუალური საშუალებები), პროექტის მკაფიო სტრუქტურის ჩამოყალიბება; აუდიტორიის შემადგენლობის გათვალისწინება; აუდიტორიასთან მხედველობითი კონტაქტის შენარჩუნება; მეტყველების კულტურა; მოსმენის კულტურა; დებატების კულტურა; კითხვაზე პასუხის კულტურა; იუმორი. შეფასების კრიტერიუმების, კომპონენტების შერჩევისას მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა სასწავლო აქტივობა მოეთხოვებათ სტუდენტებს შესაფასებელი პროგრამის ფარგლებში.

აქვე ავღნიშნავთ, რომ აქტივობა შეიძლება იყოს: ლექციებზე დასწრება, ლექციაში ჩართულობა, სასურველი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმებში ან ბიბლიოთეკებში, მზარდი სირთულის, მცირე მოცულობის კვლევის წარმოება, პროფესიული უნარების გამოყენება პრაქტიკაში, ანგარიშების წერა, აღწერა, ჯგუფთან ერთად მუშაობა, პრობლემის გადასაჭრელად დროის გამოყენება, დემონსტრირება, ზეპირი მოხსენება, დიალოგის წარმართვა, დებატებში ჩართვა და ა. შ. აქტივობების მრავალფეროვნების შესაბამისად, შეფასებაც უნდა იყოს მრავალმხრივი. იგი უნდა შეესაბამებოდეს აქტივობას და მოიცავდეს სწავლის შემეცნებით, ემოციურ და ნებელობით-ქცევით ფორმებს.

შეფასების პრინციპებისა და სწავლის აქტივობების გათვალისწინება შესაძლებლობას უქმნის სტუდენტს – იცოდეს, რა კრიტერიუმით შეფასდება მისი ნაშრომი, რაზე გაამახვილოს ყურადღება, რომელი აქტივობა გამოიყენოს სავარაუდოდ, რა შედეგს მიაღწევს, მისთვის მოულოდნელი არ იქნება მიღებული შეფასება, ცხადი გახდება, სწავლის მიზანთან მიმართებაში რა შედეგს მიაღწია და რა მოითხოვს გაუმჯობესებას.

განვიხილავთ სტუდენტთა ცოდნის შეფასების იმ მეთოდებს, ფორმებსა და სქემებს რომელთა გამოყენებამ ჩვენს მიერ განხორციელებული საცდელი საქმიანობის პერიოდში 2008-2010 წლებში „კულტურათა დიალოგის“ სწავლება/სწავლის პროცესში სტუდენტთა მხარდაჭერა მოიპოვა და სწავლის შედეგის ხარისხის ამაღლებას შეუწყო ხელი. შეფასების მეთოდები შერჩეულია ECTS სისტემის რეკომენდაციების, სხვადასხვა უნივერსიტეტების გამოცდილების შესწავლის ინტერნეტრესურსების დახარისხების (Burgess,2004)(<http://bookshop.universitiesuk.ac.uk/downloads/measuring>) მიხედვით.

შეფასების რუბრიკა (ცხრილი) არის მკვეთრად განსაზღვრული კრიტერიუმებისა და მათი გამოყენების წესების ერთობლიობა, რომლის მიხედვით ფასდება სტუდენტის აკადემიური მოსწრება. რუბრიკის პირველ სვეტში მოცემულია კომპონენტი, რომელიც შერჩეულია სტუდენტის მოსწრების შესაფასებლად. შემდეგ მოცემულია აკადემიური მოსწრების სხვადასხვა დონეები და მათი შესაბამისი ქულები. შემოგთავაზებთ ნიმუშს – ეტაპობრივი (შუალედური) შეფასება (20 ქულა).

შეფასების რუბრიკა №1

შეფასების კრიტერიუმები	შეფასების დონეები, ქულები			
	I დონე 1-5	II დონე 6-11	III დონე 12-16	IV დონე 17-20
სტუდენტი ახერხებს მონაწილეობას ყოფით-საკომუნიკაციო დიალოგებში	ვერ ახერხებს თანამოსაუბრის რეპლიკებზე პასუხის გაცემას. თავადაც ვერ ადგენს დიალოგის რეპლიკას.	ნაწილობრივ ვერ ახერხებს თანამოსაუბრის რეპლიკებზე პასუხის გაცემას. ცდილობს თავადაც დასვას კითხვები.	თითქმის თავისუფლად ახერხებს დიალოგში მონაწილეობას, მაგრამ უჭირს დიალოგის წარმართვა.	თავისუფლად ახერხებს დიალოგის წარმართვასა და ყოფით საკომუნიკაციო დიალოგში მონაწილეობას.

რუბრიკების გამოყენებით დაცული იქნა შეფასების გამჭვირვალობის პრინციპი. სტუდენტებთან წინასწარ შეთანხმებით დადგინდა, რა კრიტერიუმებითა და ინსტრუმენტით შეფასდებოდა მათი ნაშრომი. ამის ცოდნამ კი საშუალება მისცა სტუდენტს უფრო მიზანმიმართულად წარემართა თავისი მომზადების პროცესი, ყურადღება გაამახვილა მნიშვნელოვან საკითხებზე, გააცნობიერა მოსალოდნელი შედეგები, განსაზღვრა – რა საჭირო სასურველი შედეგის მიღწევისთვის და აქვს თუ არა ამის შესაძლებლობა. რუბრიკამ ზუსტად განსაზღვრა შეფასების მიზანი და ასევე ზუსტად გაზომა ის, რის შესაფასებლადაც იყო განსაზღვრული. ამით დაცული იქნა ვალიდურობის პრინციპი. (თუ შეფასების მიზანია – თავაზიანობის ფორმების გამოყენების დაუფლების დონის შემოწმება, ხოლო დავალება მიმართულია ფაქტობრივი ცოდნის დაუფლებაზე, მაშინ დაუფლების დონე ვერ განისაზღვრება.)

კომენტარი, გამოხმაურება – განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი მეთოდია. ეს არის შეფასებითი ინფორმაცია, რომელიც სტუდენტს მიეწოდება კონკრეტული პასუხის ან შესრულების ხარისხის შესახებ. იგი მოიცავს პასუხს, სისწორის დადასტურებას, შექებას, გამხნეებას, რჩევას, მოწოდებას, შეცდომის აღნიშვნას, გასწორების გზას.

პრობლემის გადაჭრის უნარის შეფასება – კრიტიკული აზროვნების მიღწეული დონის შეფასების ერთ-ერთი მეთოდია. იგი ეხმარება სტუდენტს პრობლემის დანახვაში, განჭვრეტაში, მისი გადაჭრის სწორი გზის პოვნაში.

პროექტი – არის კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისაკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაო, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი, კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკულ აქტივობასა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხების შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ითვლება, თუკი მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად არის წარმოდგენილი (წერილობითი დოკუმენტი, მაკეტი, ინსცენირება, დებატები და სხვა.) პროექტის შეფასებისათვის განისაზღვრება კრიტერიუმები, მაგალითად: პრობლემის აქტუალობა, კვლევის მიზნის სიცხადე, კვლევის მეთოდების შესაბამისობა საკვლევ პრობლემასთან, სარგებლიანობა, პრაქტიკული გამოყენების არე, პროექტის წარმოდგენის უნარი.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სქემები სხვადასხვა სახისაა. სტუდენტებთან სილაბუსის განხილვისას ავირჩიეთ სქემები შესასწავლი თემებისა და შესასრულებელი დავალებების, აქტივობების მიხედვით. წარმოგიდგინებთ იმ სქემებს, რომლებიც გამოიყენებულ იქნა სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესში შესრულებული აქტივობების ან დამოუკიდებლად შესრულებული დავალებების წარმოდგენისას. აღწერთ შეფასების სქემის გამოყენების პროცედურას.

წერითი სამუშაოს შეფასების სქემა

დავალების პირობა: L მოცემული ცნობარის მიხედვით, ტურისტს დაუწერე ინფორმაცია, როგორ იპოვოს მისთვის სასურველი ადგილები. სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა 30. ქულათა რაოდენობა 10.

I პირობასთან სანდოობა	ქულები
სიტყვების რაოდენობის ზღვარი დაცულია	1
პირობის შინაარსობრივი მოთხოვნა დაცულია	2
II კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
ინფორმაცია გასაგებია	2
დაზუსტებულია რა მოქმედებაა საჭირო	2
III ენობრივი უნარ-ჩვევები	
ნასწავლი გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენება	2
მდიდარი ლექსიკის გამოყენება	2
IV შემოქმედებითი უნარ-ჩვევები	
ინფორმაცია ორიგინალურია	2

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სქემების გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია აქტიური ლექციის პროცესის სამივე ფაზაში. როგორც სასწავლო პროცესზე დაკვირვებამ და პირადმა გამოცდილებამ გვიჩვენა, შედეგიანია რეფლექსიის ფაზაში გამოყენება, ვინაიდან სტუდენტი ერთგვარად აზუსტებს, ახალი ცოდნა რა დონეზე შეიძინა, რას მიაღწია, რა აქვს გასაკეთებელი. სქემები გამოიყენება როგორც ინდივიდუალური, ასევე წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობის პროცესში.

ამდენად, შეფასება უდიდეს როლს ასრულებს სწავლის მოტივაციის ჩამოყალიბებაში. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ ვინ და რას აფასებს, „შეფასების საგანი შეიძლება იყოს სასწავლო მშუშაობის შედეგები, ხერხები, უნარ-ჩვევები. მნიშვნელოვანია არა მარტო ამოცანის ამოხსნა, არამედ ისიც, თუ რა გზით ამოიხსნა იგი“, – წერდა პროფ. ა. გობრონიძე (2000:203). შეფასება იძლევა სრულ ინფორმაციას სტუდენტის წინსვლის, საქმიანობისა და პრობლემების შესახებ. მეორე მხრივ, შეფასება გვიჩვენებს, რამდენად კარგად ასწავლის პროფესორი და რამდენად წარმატებულია ის მეთოდიკა, რომელსაც იგი იყენებს.

ლიტერატურა:

1. გობრონიძე ალექსანდრე, პედაგოგიკა, ბაუმი 2000
2. სერაფიმი ფ. შეფასების სამი პარადიგმა, ჟურნალი, „The reading Teacher” N54 2000/2001
3. განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის (2007).
4. ECTS User’s Guide: http://europa.eu.int/comm/education/Socrates_ects.html
5. Wagenaar, R., „A Methodology for designing and implementing integrated curricula”, Integrated Curricula Implications and Prospects. Bologna Follow-up Seminar. Mantova 11-12 April 2003, pp.24-26.
6. H.Ned Seelye “Teaching Culture” Strategies for Intercultural Communication”, Lincolnwood, Illinois U.S.A. 1987
7. <http://tuning.unideusto.org/tuning>

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სტუდენტის მიერ უცხოური ენების სწავლება/სწავლის მიმართულების – „კულტურათა დიალოგის“ მიღწეული დონის შეფასების ფორმების, მეთოდების, სქემების შერჩევის ძირითადი პრინციპები. განხილულია სტუდენტის ცოდნის შეფასებასთან დაკავშირებული ძველი და ახალი მიდგომები. სტატიაში საუბარია იმაზე თუ რა როლს ასრულებს შეფასება სწავლის მოტივაციის ჩამოყალიბებაში, თუ ვინ და რას აფასებს. განხილულია შეფასების სხადასხვა მეთოდები უცხოური ენის სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ მიღწეული დონის შეფასებისათვის. მოცემულია სქემები და ნიმუშები პრაქტიკული გამოცდილებიდან. განხილულია შეფასების პრინციპები და სწავლის აქტივობები, „კულტურათა დიალოგის“ სწავლება/სწავლის პერიოდში განმავითარებელი და შემაჯამებელი შეფასების ფორმები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები.

Tatia Nakashidze-Makharadze - Batumi Shota Rustaveli State University Associated professor

Summery

The article deals with discussion of “Dialogue of cultures” achieved level assessment forms, methods, schedule choosing and usage. Author considers that it important to select components and criterions for self-assessment. From forms of assessment priority were given to developing assessment, which give an opportunity to students to improve achieved results.

The Author offers basic assessment principles for choosing assessment components and criterions: transparency, validity, objectivity, reliability, which is shared and recognized by the European Universities. The appropriate activities are defined, considerable recommendations are formed, such as: assessment components and criterions should be corresponding with educational goals, it is desirable to define each component, criterions by points, assessment diversity encourages students to master learning different activities and strategies, the forms of assessment should be concrete. The web based assessment and testing by computer program is analised that became very popular. The assessment rubrics, tests, problem solving, skill assessment, project creating, analytical and holistic assessment are presented.

სწავლების მეთოდოლოგია/ Methodology of teaching

თეიმურაზ ვეფხვაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

საშუალო სკოლაში ნაშთა არითმეტიკის ელემენტების სწავლების შესახებ

საშუალო სკოლაში მათემატიკის სწავლების შინაარსს შემდეგ მოთხოვნებს უყენებენ: 1) საგან-მანათლებლო ღირებულებები. 2) გამოყენებებზე ორიენტაცია. 3) მათემატიკის გამოყენებების ჩვევების დაუფლება. 4) საშუალო სკოლის დამთავრებისა და უმაღლეს სკოლაში სწავლის გაგრძელების საშუალებების შექმნა. მათემატიკის განვითარებას ცვლილებები შეჰქონდა სასკოლო მათემატიკის შინაარსში – იცვლებოდა აქცენტები, რომლებიც საგანმანათლებლო ღირებულებებსა და გამოყენებებს უკავშირდება; ძველ საბერძნეთში მთელ რიცხვთა თვისებების შესწავლის დროს ვერავინ წარმოიდგენდა ამ თვისებების გამოყენებებს (კრიპტოგრაფიაში).

მათემატიკის განვითარების მესამე პერიოდის – მე-19 საუკუნის მიწურულს უკავშირდება დისკრეტული მათემატიკის ისეთი დარგების განვითარება, როგორცაა სიმრავლეთა თეორია და მათემატიკური ლოგიკა, კომბინატორული ალბათობის თეორია, კომბინატორული ანალიზი, გრაფთა თეორია, ალგორითმების თეორია, ავტომატთა თეორია, თამაშთა თეორია. დისკრეტული მათემატიკის დახასიათება და ანალიზი გადმოცემულია ალექსანდრე ხარაზიშვილის წიგნში ([1]): "ჩვენი აზრით, საჭიროა ამ ფაქტორის (ოცდამეერთე საუკუნეში დისკრეტული მათემატიკის მნიშვნელობა და მისდამი ინტერესი კიდევ უფრო გაიზრდეს) გათვალისწინება საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამაში. კერძოდ, აუცილებელია, რომ ამ სასწავლო პროგრამებში დისკრეტული მათემატიკის ხვედრითი წილი ცოტათი მაინც შეესაბამებოდეს იმ პროპორციას, რაც დღეს რეალურად არსებობს დისკრეტულ და დანარჩენ მათემატიკას შორის. ეს მეთოდოლოგიურადაც გამართლებული იქნება, რადგან ჩვენი ალფაბეტი, სასაუბრო ენა, მსჯელობის ფორმები და სხვადასხვა ტიპის გამოთვლითი პროცესები დისკრეტული ფენომენის ფორმებია. ამიტომ დისკრეტული მათემატიკის მეთოდები და ამოცანები ფსიქოლოგიურადაც შედარებით ადვილად მისაღებია მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის, თუკი მათ შესაბამის მასალას სათანადო თანამიმდევრობით მივაწვდით. შემთხვევითი არაა, რომ სახალისო მათემატიკის ამოცანები, რომლებიც ზეპირსიტყვიერებით ვრცელდება, როგორც წესი, დისკრეტული (კომბინატორული) მათემატიკის სფეროდანაა აღებული (იხ., მაგალითად, [2], [3]). კარგი იქნება, თუკი ახალგაზრდა ადრეულ ასაკშივე მიეჩვევა იმ კატეგორიებით აზროვნებას, რომელიც მას მომავალში უფრო გამოადგება. რასაკვირველია, ცუდი არ არის ის გარემოება, როცა მოსწავლე გაწაფულია სხვადასხვა ტიპის განტოლებების ამოხსნასა და ათასგვარი მათემატიკური გამოსახულებების გამარტივებაში, მაგრამ საჭიროა არსებითად გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ თანამედროვე კომპიუტერები მსგავს საქმიანობას ადამიანზე გაცილებით უფრო, კარგად, სწრაფად და ზუსტად ასრულებენ. ამიტომ ზოგ შემთხვევაში უპრიანი იქნება აქცენტები განტოლების ამოხსნის ტექნიკური დეტალებიდან იმავე განტოლების შედგენის პროცესზე გადავიტანოთ. უფრო ზუსტად, ბევრად მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ მათემატიკური მოდელირების შემოქმედებით პროცესს, ვიდრე გამოთვლითი ხასიათის ტექნიკურ პრობლემებს. აქვე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ბოლო დროს ამ მხრივ საშუალო სკოლების ზოგიერთი სახელმძღვანელოში უკვე შეიმჩნევა დადებითი ტენდენციები (იხ. მაგალითად, [4]). იმედია, რომ მომავალში ეს ტენდენციები უფრო გაღრმავდება და ანალოგიური ცვლილებები, შესაბამისად უფრო მკაფიოდ აისახება მათემატიკის პროგრამებში". აქ მითითებული სახელმძღვანელოს წერის პროცესში არ იყო ჯერ კიდევ შექმნილი მათემატიკის სასკოლო კურსის სტანდარტი. მაშინ ჩატარებული კონკურსების დებულების შესაბამისად პროგრამების შედგენაც სახელმძღვანელოების ავტორებს ევალებოდა. ჩვენს მიერ

შემუშავებული მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენის პრინციპები სრულიად ემთხვეოდა ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს.

2007 წლიდან იწყება ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმის შედგენა. ამჟამად სკოლებში 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი სახელმძღვანელოებია მოქმედებაში.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გამოყოფილია ოთხი მიმართულება: რიცხვები და რიცხვებზე მოქმედებები; გეომეტრია და სივრცის აღქმა; სტატისტიკა და ალბათობა; კანონზომიერებები და ალგებრა. მიმართულებებად დაყოფა არ ნიშნავს კურსის ანალოგიურ დაყოფას, იგი მხოლოდ წარმოაჩენს შესასწავლი მასალის სპექტრს. აღსანიშნავია, რომ მიმართულებების მიხედვით დიდი ადგილი აქვს დათმობილი დისკრეტული მათემატიკისა და მისი გამოყენებითი ასპექტების სწავლებას: ნაშთთა არითმეტიკა, კომბინატორიკა, კომბინატორული ალბათობა, ლოგიკა და დასაბუთების ხერხები, ალგორითმები, სიმრავლეთა თეორია; ისწავლება მათემატიკის სხვადასხვა მეთოდი – კოორდინატთა მეთოდი, ვექტორული ანალიზის მეთოდი. ყველა ამ სიახლემ ასახვა ჰპოვა ჩვენს მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებში ([5]).

მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ნაშთთა არითმეტიკისა და მისი გამოყენებების სწავლებას. ამ თეორიის საფუძველი ნაშთიანი გაყოფის შესახებ თეორემაა: თუ a და b მთელი რიცხვებია, $b > 0$, მაშინ არსებობს ისეთი მთელი q და r , რომ $a = bq + r$ და $0 \leq r < b$. ამ თეორემას ზოგიერთი ავტორი გაყოფის ალგორითმს უწოდებს (იხ., მაგ., [6]). მისი დამტკიცება იმ უდიდესი q რიცხვის არსებობის ინტუიციურ გააზრებას უკავშირდება, როცა bq არის b -ს ისეთი უდიდესი ჯერადი, რომელიც a -ს არ აღემატება, ანუ $r = a - bq$ არაუარყოფითია და $b(q+1) > a$. ამ ფაქტის ინტერპრეტაცია გასაგები ხდება რიცხვითი წრფის მოშველიებით; თუ $a > b$, მაშინ რიცხვით წრფეზე გადავდებთ b -ს ჯერადის ტოლ მონაკვეთებს $1 \cdot b$; $2 \cdot b$, ... – მანამ, სანამ a არ იქნება b -ს ამ ჯერადებზე ნაკლები.

დაწყებით საფეხურზე გეომეტრიული წარმოდგენების გამოყენება აადვილებს ნაშთის გააზრებას. უკვე მე-4 კლასში მოსწავლეს მოეთხოვება გამოთვლებზე ამოცანების ამოხსნისას, ნაშთით გაყოფის შემთხვევაში, ამოცანის კონტექსტის გათვალისწინებით ნაშთის ინტერპრეტაცია; მონაცემის ზომის ერთი ერთეულიდან მეორე ერთეულში გადაყვანის პროცესში ნაშთით გაყოფის გამოყენება, სიდიდეების სიმრავლის გაფართოებასთან ერთად ამ პროცესის ილუსტრაცია V და VI კლასებშიც გრძელდება, იწყება საათის არითმეტიკის ელემენტების გაცნობა.

საბაზო სკოლის საფეხურზე იწყება ნაშთით გაყოფის გამოყენება გაყოფადობის ნიშნების წარმოდგენისას, კონკრეტულ შემთხვევებში დასაბუთების ელემენტების შემოღებისა და გააზრების პროცესში.

მე-9 კლასის სახელმძღვანელოში აღნიშნულ თემას ჩვენ სპეციალური პარაგრაფიც დავუთმეთ და იგი "არაჩვეულებრივი არითმეტიკის" სახელწოდებით წარმოვადგინეთ. უცხოურ ლიტერატურაში (იხ., მაგ [7]) ეს თემა მოდულარული არითმეტიკის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ საკითხის სრულყოფილი გადაცემისთვის მასწავლებელი კარგად უნდა იცნობდეს აბსტრაქციის ერთ-ერთ ფორმას – გაიგივებას, რომელიც ხშირად გამოიყენება მათემატიკაში – ექვივალენტობის ყოველი კლასი (ჩვენს შემთხვევაში – ნაშთთა კლასი) აღიწერება და "წარმოიდგინება" მისი ერთი წარმომადგენლით (ამ შემთხვევაში – ნაშთით); კლასებზე "მოქმედებებს" ცვლის ნაშთებზე მოქმედებები, ნაშთთა კლასების სიმრავლე სასრული რგოლის მაგალითია; როცა მოდული მარტივი რიცხვია, მაშინ ეს რგოლი ველია (შებრუნებული დებულებაც სწორია – თუ ეს რგოლი ველია, მაშინ მოდული მარტივი რიცხვია). ძალიან მნიშვნელოვანია ჯგუფური მუშაობის შესრულება, როცა ვიხილავთ სხვადასხვა მოდულის შემთხვევებს, აქ ყურადღებას ვამახვილებთ ამ "არაჩვეულებრივი არითმეტიკის" ერთ უცნაურ თვისებაზეც – შეიძლება არანულოვანი ნაშთების ნამრავლი ნულის ტოლი იყოს.

ამ თემის შემდგომი განვითარება და გამოყენების ასპექტების წარმოდგენა საშუალო სკოლის მესამე საფეხურზე გრძელდება.

ეს საფეხური უმაღლეს სკოლაში სწავლის გაგრძელებისთვის მომზადებასაც ითვალისწინებს. მთელ რიცხვთა არითმეტიკის საკითხები მსოფლიოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის

ინფორმაციული ტექნოლოგიების შემსწავლელი ფაკულტეტების სასწავლო პროგრამების განუყოფელ ნაწილად იქცა. ეს არც არის გასაკვირი, მათემატიკის შესწავლის საგანი სხვადასხვა მათემატიკური სტრუქტურაა. ამ სტრუქტურათა ყველა მარტივი და გამორჩეული მაგალითი მთელ რიცხვთა სისტემაში შეიძლება ვეძიოთ (მაგალითად, ნაშთთა კლასების რგოლი, დაყვანილ ნაშთთა კლასების ველი). ამასთანავე, მთელ რიცხვთა თეორიას ჩვენ რეალობაში საკმაოდ ფართო გამოყენება მოეძებნება. ამ გამოყენებების წარმოდგენა "საათის არითმეტიკის" განხილვით იწყება. ამ არითმეტიკიდან, რომლის ნულოვანი ელემენტის როლს ასრულებს რიცხვი 12, იწყება გადასვლა ნაშთთა არითმეტიკაზე, რომლის ნულოვანი ელემენტი ნულით იქნება წარმოდგენილი.

დაშიფრვის პირველი მაგალითების განხილვა იწყება მე-10 კლასში – ანბანის წანაცვლების ოპერაციით, რომელიც ანბანში ასოების რაოდენობის მიხედვით განსაზღვრული მოდულის არითმეტიკაზე გადასვლით ხასიათდება. შედარების მიმართების განხილვა და უფრო არსებითი შესწავლა მე-11 კლასში უნდა დავიწყოთ. აქცენტი უნდა გაკეთდეს მთელ რიცხვთა იმ გამოყენებებზე (ინფორმაციის საიდუმლო გადაცემის ამოცანები – შიფრის შედგენის წესები), რომელმაც მთელი რიცხვის თვისებებისადმი ინტერესი თანამედროვე "კომპიუტერული რევოლუციის" შემადგენელ ნაწილად გახადა. ამ მიმართულებით კვლევა უკვე მე-20 საუკუნეში დაიწყო (იხ., მაგ., [8]): "კომპიუტერულმა რევოლუციამ, რომელმაც დიდი რიცხვების გამოყენების საშუალება მისცა ადამიანს, კვლავ მიაპყრო მეცნიერთა ყურადღება იმ კანონზომიერებებზე, რომლებიც ნატურალური რიცხვებით აღიწერება, კვლავ ააღორძინა და ახალი იმპულსი მისცა პითაგორელთა ინტერესს მთელი რიცხვებისა და მათი უდიდეს მნიშვნელობისადმი".

მე-11 კლასში შეიძლება დავიწყოთ ნაშთთა არითმეტიკის გამოყენების მაგალითების განხილვა (შეჯიბრების განრიგის შედგენა, წრფივი შედარების ამოხსნასთან დაკავშირებული შიფრის შედგენა). ეს პროცესი მე-12 კლასშიც უნდა გავაგრძელოთ; მოსწავლეთა ძირითადი აქტივობა ამ დროს უკავშირდება ორი ხსვადასხვა ტიპის შიფრის გამოყენებას – პირველი შიფრი დაკავშირებულია k რიცხვის შემოტანასა და m რიცხვით გამოსახული შეტყობინების რაიმე დიდი მარტივი p მოდულით mk რიცხვის p -ზე გაყოფისას მიღებული ნაშთით ჩანაცვლებაზე.

შემდგომი აქტივობები გაშიფრვის განხორციელებისათვის საჭირო ჩვევების დაუფლებას ეძღვნება – განვიხილავთ მაგალითებს, როცა საჭიროა $ax \equiv b \pmod{p}$ შედარების ამონახსნის პოვნა. აქ, ცხადია, შესაძლებელია ფერმას მცირე თეორემის გამოყენება, რომელიც კლასგარეშე მუშაობის დროს შეიძლება გაკეთდეს. ამ შედარებების ამონახსნების პოვნა კი შესაძლებელია სინჯვის მეთოდით, ან ევკლიდეს ალგორითმის გამოყენებით. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ორუცნობიანი განტოლების მთელ რიცხვებში ამოხსნების პოვნას უკავშირდება.

ნაშთთა არითმეტიკის ელემენტების სწავლება სკოლაში მათემატიკის სწავლების სხვადასხვა მიზნების განხორციელების ერთ-ერთი საშუალებაა: გარემომცველი სამყაროს შემეცნებისას მათემატიკური მეთოდების გამოყენება, ძირითადი ფოკუსის გადატანა, როგორც პრაქტიკული, ასევე, მეცნიერული ხასიათის პრობლემების გადაჭრაზე; მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა; შემოქმედებითი უნარის განვითარება; სწავლის შემდგომი ეტაპისათვის ან პროფესიული საქმიანობისათვის მომზადება; ცხოვრებისეული ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო ცოდნის გადაცემა და ამ ცოდნის გამოყენების უნარის განვითარება.

ნაშთთა არითმეტიკის ელემენტების სწავლების ეფექტურობა უკავშირდება სწავლების პროცესში მათემატიკური კვლევის ისეთი მეთოდების გამოყენებას, როგორცაა დაკვირვება, შედარება (სხვადასხვა მოდულის შემთხვევების შედარება), განზოგადება და სპეციალიზაცია (სხვადასხვა კონკრეტული მოდულის შემთხვევიდან ზოგად მარტივ, ან შედგენილ მოდულზე გადასვლა), აბსტრაქცია და კონკრეტიზაცია (გაიგივების აბსტრაქცია, კლასის "გაიგივება" კონკრეტულ ნაშთთან), ინდუქცია და დედუქცია (ინდუქციური და დედუქციური მსჯელობების გამოყენება დებულებების აღმოჩენისა და დამტკიცებისთვის).

ლიტერატურა:

1. ა. ხარაზიშვილი. მათემატიკური ესკიზები, ნაწ. 1. თბილისი, 2007, გვ. 35-37
2. ა. ბენდუქიძე. მათემატიკა სერიოზული და სახალისო, თბილისი, 1998.
3. რ. კურანტი, ჰ. რობინსი. რა არის მათემატიკა, თბილისი, 1965.
4. გ. გოგიშვილი, თ. ვეფხვაძე, ი. მეზონია, ლ. ქურჩიშვილი, ალგებრა, მეშვიდე კლასის სახელმძღვანელო, თბილისი, 2003.
5. გ. გოგიშვილი, თ. ვეფხვაძე, ი. მეზონია, ლ. ქურჩიშვილი, მათემატიკა, სახელმძღვანელოები I-XII კლასის მოსწავლეებისთვის, გრაფირებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2011 და 2012 წლებში, თბილისი, 2011-2012.
6. A. Baker. A concise introduction to the theory of numbers. Cambr. Univ. Press, 1995.
7. A. Angel, S. Porter. A Survey Mathematics with Application. Addison-Wesley Publishing Comp. 1993.
8. И. Яглом. Современная культура и компьютеры, Москва, 1990.

რეზიუმე

განხილულია ნაშთთა არითმეტიკისა და მისი პრაქტიკული გამოყენებების სწავლების საკითხები.

Teimuraz Vepkhvadze – Faculty of Exact and Natural Sciences I. Javakhishvili Tbilisi State University, Doctor of Science Physics and Mathematics, Full Professor

About the teaching of Elements of the Residue Arithmetic at School

Abstract

The problems of teaching of elements of the modular Arithmetic and its practical applications are given

Теймураз вепхвадзе – Факультет Точных и Эстественных наук Тбилисского гос. уни-та им. И. Джавахишвили, доктор физико-математических наук, Профессор

О преподавании элементов теории остатков в средней школе

Резюме

Исследованы вопросы преподавания элементов теории остатков и их приложений в средней школе.

ლამარა ქურჩიშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული პედაგოგი, აკადემიური დოქტორი;

ირმა ჭელიძე - გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში, პედაგოგი; განათლების მაგისტრი.

წრფივი კორელაციის საკითხები

წრფივი კორელაციის საკითხები უმაღლესი სკოლის საწყის ეტაპზეც ისწავლება და საშუალო სკოლის მე-12 კლასშიც სცადეს მისი ელემენტების შესწავლა. სავარაუდოდ, ეს მცდელობები ამ საკითხის მნიშვნელოვნებამ განაპირობა. ეს თემა მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდების პროგრამაშიც იყო შეტანილი.

ჯერ განვიხილოთ ამ საკითხის გადაწყვეტის მაგალითი უმაღლესი მათემატიკის მეთოდების გამოყენებით:

ვთქვათ, გვინტერესებს კვლევისას მიღებული მონაცემებიდან რამდენად წრფივია კავშირი ორ A და B სახის მონაცემებს შორის და ამ მონაცემების მისადაგების წრფის აგება, ანუ ისეთი წრფის აგება, რომლის გასწვრივაც რაც შეიძლება ახლოს განლაგდება მონაცემთა წყვილების შესაბამისი წერტილები.

A	B
1	5
2	3
3	3
4	1
5	0
6	-3

მონაცემთა გაფანტულობის დიაგრამით თვალსაჩინოა, რომ აზრი აქვს მისადაგების წრფის აგებას - მონაცემთა წყვილების შესაბამისი წერტილები მეტ-ნაკლებად წრფის გასწვრივაა განლაგებული.

თუ A და B მონაცემებს აღვნიშნავთ, შესაბამისად, ასობით x_i და y_i , $i = \overline{1, 6}$, მაშინ ასაგებია $y = kx + b$ წრფე ისეთი, რომ ყოველი $kx_i + b - y_i$ სხვაობა იყოს რაც შეიძლება მცირე, მცირეა ამ სხვაობების ჯამიც. მაგრამ სხვაობების ჯამის სიმცირიდან არ გამომდინარეობს სხვაობების სიმცირე, ამიტომ განვიხილავთ სხვაობათა კვადრატების ჯამს და ამოცანა მიიღებს სახეს: საძიებელია k და b -ს ის მნიშვნელობები, რომელთათვისაც $\sum_{i=1}^n (kx_i + b - y_i)^2$ ჯამი უმცირეს მნიშვნელობას მიიღებს. ეს ჯამი არის ორი (k და b) ცვლადის ფუნქცია, ე.ი. საძიებელია ორი ცვლადის $F(k; b)$ ფუნქციის უმცირესი მნიშვნელობა.

მათემატიკური ანალიზის კურსიდან ცნობილია, რომ ფუნქციას ექსტრემუმი შეიძლება ჰქონდეს იმ წერტილებში, სადაც სრულდება პირობა:

$$\begin{cases} F_k(k; b) = 0 \\ F_b(k; b) = 0 \end{cases} \quad (1)$$

(კერძო წარმოებულების ნულთან ტოლობა - ექსტრემუმის არსებობის აუცილებელი პირობა).

$$(1)\text{-დან} \quad \begin{cases} 2 \sum_{i=1}^n (kx_i + b - y_i)x_i = 0 \\ 2 \sum_{i=1}^n (kx_i + b - y_i) = 0 \end{cases}, \quad \begin{cases} k \sum_{i=1}^n x_i^2 + b \sum_{i=1}^n x_i = \sum_{i=1}^n x_i y_i \\ k \sum_{i=1}^n x_i + bn = \sum_{i=1}^n y_i \end{cases}$$

$\sum x_i$, $\sum x_i^2$, $\sum y_i$, $\sum x_i y_i$ ჯამები გამოვთვალოთ ცხრილიდან:

x_i	y_i	x_i^2	$x_i y_i$
1	5	1	5
2	3	4	6
3	3	9	9
4	1	16	4
5	0	25	0
6	-3	36	-18
$\sum x_i = 21 \quad \sum y_i = 9 \quad \sum x_i^2 = 91 \quad \sum x_i y_i = 6$			

მივიღებთ წრფივ განტოლებათა სისტემას k და b -ს მიმართ:

$$\begin{cases} 91k + 21b = 6 \\ 21k + 6b = 9 \end{cases}, \text{ საიდანაც } \begin{cases} k = -\frac{51}{35} \\ b = \frac{33}{5} \end{cases}.$$

არის თუ არა $\left(-\frac{51}{35}; \frac{33}{5}\right)$ მინიმუმის წერტილი, გამოვიკვლიოთ მეორე რიგის კერძო

წარმოებულებით:

$$a_{11} = F_{kk}(k; b) = 2 \sum_{i=1}^n x_i^2 = 182, \quad a_{12} = F_{kb}(k; b) = 2 \sum_{i=1}^n x_i = 42, \quad a_{22} = F_{bb}(k; b) = 2n = 12.$$

გავიხსენოთ, რომ თუ წერტილში, სადაც კერძო წარმოებულები 0-ის ტოლია, სრულდება

$$a_{11} \cdot a_{22} - a_{12}^2 > 0 \text{ უტოლობა, ფუნქციას აქვს ექსტრემუმი. კერძოდ, აქვს მაქსიმუმი, თუ } a_{11} < 0$$

და აქვს მინიმუმი, თუ $a_{11} > 0$. ჩვენს შემთხვევაში, $\left(-\frac{51}{35}; \frac{33}{5}\right)$ წერტილში $a_{11} \cdot a_{22} - a_{12}^2 > 0$ და

$a_{11} > 0$. ე.ი. $\left(-\frac{51}{35}; \frac{33}{5}\right)$ წერტილში ფუნქციას აქვს მინიმუმი და მოცემული მონაცემების

მისადაგების წრფეა $y = -\frac{51}{35}x + \frac{33}{5}$.

აღსანიშნავია, რომ გაფანტულობის დიაგრამის გარეშე - კორელაციის კოეფიციენტის საშუალებითაც შეგვიძლია დავადგინოთ რამდენად წრფივია დამოკიდებულება A და B მონაცემებს შორის და ავაგოთ მისადაგების წრფე. კორელაციის კოეფიციენტი

$$r = \frac{\frac{1}{n} \sum_{i=1}^n (x_i - \bar{x})(y_i - \bar{y})}{\sigma_1 \cdot \sigma_2}, \text{ სადაც } \bar{x} \text{ და } \bar{y} \text{ არის } A \text{ და } B \text{ მონაცემთა საშუალოები, } \sigma_1 \text{ და } \sigma_2 -$$

მათი საშუალო კვადრატული გადახრები:

$$\bar{x} = 3,5, \quad \bar{y} = 1,5;$$

σ_1 და σ_2 -ის გამოსათვლელად შევადგინოთ ცხრილები:

A მონაცემთა ერთობლიობისთვის

x_i	1	2	3	4	5	6
$x - \bar{x}$	-2,5	-1,5	-0,5	0,5	1,5	2,5
$(x - \bar{x})^2$	6,25	2,25	0,25	0,25	2,25	6,25

B მონაცემთა ერთობლიობისთვის

y_i	5	3	3	1	0	-3
$y - \bar{y}$	3,5	1,5	1,5	-0,5	-1,5	-4,5
$(y - \bar{y})^2$	12,25	2,25	2,25	0,25	2,25	20,25

$$\sigma_1 = \sqrt{\frac{17,5}{6}}, \quad \sigma_2 = \sqrt{\frac{39,5}{6}}, \quad r = \frac{-25,5}{\sqrt{17,5 \cdot 39,5}} \approx 0,96995$$

თუ $|r| = 1$, მონაცემებს შორის დამოკიდებულება წრფივია. რაც უფრო ახლოსაა $|r|$ ერთთან, მით უფრო ახლოსაა მონაცემებს შორის დამოკიდებულება წრფივთან. ამასთანავე, თუ $r < 0$, მაშინ მისადაგების წრფე OX ღერძის დადებით მიმართულებასთან ადგენს ბლაგვ კუთხეს, თუ $r > 0$ - მახვილ კუთხეს. მისი საკუთხო კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით:

$$k = r \cdot \frac{\sigma_2}{\sigma_1}; \quad b = \bar{y} - k \cdot \bar{x}$$

$$\text{მივიღეთ, } y = -\frac{51}{35}x + \frac{35}{5}.$$

მონაცემებს შორის ამ ტიპის კავშირების დადგენას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს: თუნდაც პროცესების მომავალი განვითარების კანონზომიერების აღმოჩენა და მომავალი საქმიანობის დაგეგმვისას გათვალისწინება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გვანჯი მანია, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, თბილისი, 1976
2. А.А.Боровков, Теория вероятностей, Москва, 1976
3. გ.გოგიშვილი, თ.ვეფხვაძე, ი.მებონია, ლ.ქურჩიშვილი, მათემატიკა, მასწავლებლის წიგნი, XII კლასი, თბილისი 2008.
4. ა.ქურჩიშვილი, უმაღლესი მათემატიკის ამოცანათა კრებული, თბილისი, 1990
5. Advanced Mathematical Concepts (Precalculus with Applications), Glencoe McGraw Hill, 2006.
6. Steve Dobbs, Jane Miller, Statistics 1,2,3 & 4, Cambridge Advanced Level Mathematics, 2003

რეზიუმე

ნაშრომში მკითხველს ვთავაზობთ მეთოდებს, რომელთა საშუალებით შესაძლებელია მონაცემთა ორ ერთობლიობას შორის წრფივი დამოკიდებულებასთან სიახლოვის დადგენა და მისადაგების წრფის განტოლების მიღება. ერთი მეთოდი ეყრდნობა მათემატიკური ანალიზის გამოყენებას, მეორე - კორელაციის კოეფიციენტის საშუალებით ხორციელდება. ამ ტიპის კავშირების დადგენა გამოიყენება პროცესების მიმდინარეობის კანონზომიერების აღმოჩენის და მომავალი საქმიანობის დაგეგმვისას.

Lamara Qurchishvili – Invited professor at I. Javakhishvili Tbilisi State University, PH.D.

Irma Chelidze –Math Teacher at the Guivy Zaldastanishvili American Academy in Tbilisi, Master of Education (Harvard Graduate School of Education)

Different Methods to Write Equation of the Regression Line

Abstract

This article addresses two methods to write equation of the regression line to model linear relation between two sets of data. The first one uses traditional methods of calculus, while the other one is based on the use of correlation coefficient. The prediction equation (in this case it is the equation of a regression line) is extremely important for long term planning as it shows the pattern that exists between two sets of data.

Вопросы линейной корреляции

В статье предложен метод, с помощью которого можно получить уравнение той прямой, которая устанавливает линейное соответствие между двумя совокупностями. Один метод опирается на применение математического анализа, второй осуществляется с помощью коэффициента корреляции. Такие связи применяются при выявлении закономерностей и планировании будущей работы.

ია მებონია - აკადემიური დოქტორი, ახალი ლიცეუმის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი, თსუ მოწვეული პედაგოგი

სასწავლო პროცესის ორგანიზების ზოგიერთი ფორმის შესახებ

არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში ადამიანთა საზოგადოება მარცვალ-მარცვალ აგროვებდა ცოდნას და შემდგომ ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ისახავდა დაგროვილის ახალ თაობაზე უდანაკარგოდ და ხარისხიანად გადაცემას. დროთა განმავლობაში იცვლებოდა ინფორმაციის შეგროვების, შენახვისა და გადაცემის საშუალებები; იცვლებოდა ახალგაზრდა თაობის აღზრდისა და სწავლების ფორმები და მეთოდები. უცვლელი მხოლოდ ისაა, რომ ნებისმიერ ეპოქაში განათლების კონცეფცია განისაზღვრება საზოგადოების მოთხოვნებითა და საჭიროებებით; ამასთანავე, სავალდებულოდ ესადაგება ახალგაზრდების განვითარების თავისებურებებს. ეს კი პედაგოგებისგან ნოვაციების მუდმივ ძიებასა და აუცილებელი ცვლილებების რეალიზებისთვის მზადყოფნას ითხოვს. პედაგოგი უნდა ესწრაფვოდეს გადასცეს მოსწავლეს არა უბრალოდ დიდი ფაქტობრივი მასალა, არამედ ასწავლოს ამ ცოდნის მოქნილი გამოყენება. ცხადია, ასეთი სწავლების მეთოდების ძიება და დახვეწა ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია.

საქართველოს განათლების სისტემაში ახლა რთული პერიოდია; დაირღვა უწინდელი სტრუქტურები და ურთიერთობები, ახალი კი მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესშია. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ ცვლილებები ერთდროულად შეეხო განათლების ყველა საფეხურს დაწყებული სკოლამდელი დაწყებული და დამთავრებული უნივერსიტეტებითა თუ აკადემიებით. ასეთ სიტუაციაში პედაგოგებს შორის იდეების გაზიარება, გამოცდილების კრიტიკული განსჯა, თანამშრომლობა, მოქმედებათა და სიახლეთა კოორდინირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ფასეული; აუცილებელია სასწავლო ტექნოლოგიების განვითარება/სრულყოფა მემკვიდრეობითობის პრინციპის დაცვით; საშუალო სკოლაში სწავლებისას უნდა გავითვალისწინოთ ის მოთხოვნები, რომელთაც კურსდამთავრებულებს უმაღლესი სასწავლებლები უყენებენ; ხოლო უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პროცესის ორგანიზებისას უნდა გამოვიდეთ იმ რეალობიდან, რასაც ამჟამად საბაზო-საშუალო განათლების სისტემა წარმოადგენს.

საიდუმლოს არ წარმოადგენს ის, რომ წიგნიერების დონე საქართველოში ახლა გაცილებით დაბალია, ვიდრე თუნდაც ოცი წლის უკან იყო. არ ვაპირებ მიზეზების ჩამოვსებას. მაგრამ შევნიშნავ, რომ ეს სიტუაცია გარკვეულ დადს ასვამს უმაღლეს განათლებას და მისი განხორციელების ტექნოლოგიების საფუძვლიანი რევიზია/განვითარების პრობლემის წინაშე გვაყენებს.

უმაღლესი სასწავლებლების ერთობლიობა განათლების სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია. მიუხედავად იმისა, რომ ეს სასწავლებლები იძლევიან სხვადასხვა მიმართულებისა და დონის განათლებას, მათ განსხვავებასთან ერთად აქვთ ბევრი საერთო, რაც უპირველეს ყოვლისა სასწავლო-მეთოდური ტექნოლოგიების ერთიანობით გამოიხატება. თანამედროვე განათლების კონცეფციის შესამაბისად, სპეციალობათა დიდ ნაწილში სასწავლო დისციპლინების ციკლების შესწავლა მათემატიკით იწყება. მათემატიკის საშუალებით აქტიურდება ყოველდღიურ ცხოვრებაში გონების გამოყენებადი ან ნაკლებად გამოყენებადი მექანიზმები; ვითარდება ვერტიკალური (მიზეზ-შედეგობრივი) და ლატერალური (ინტუიციურ-შემოქმედებითი) აზროვნება, მოკლევადიანი და ხანგრძლივი მეხსიერება, ყურადღება და ა.შ. ამასთანავე, საჭიროა გონებაზე დატვირთვის თანდათანობითი, კარგად გააზრებული ზრდა, რომ დამლევადი წინააღმდეგობების გადალახვით ის ავიდეს შესაძლებლობების ახალ საფეხურზე, განუვითარდეს ინდივიდუალური უნარები. მათემატიკის შესწავლისას ადამიანს უყალიბდება ლოგიკური მეტყველების, პრობლემის კორექტული ჩამოყალიბების უნარები. ამის გამო მრავალი სპეციალობისთვის მნიშვნელოვანია მათემატიკის საფუძვლიანი დაუფლება და არა უბრალოდ ფაქტების დამახსოვრება. თუმცა

მათემატიკის სწავლება დროის მოკლე პერიოდში და ყოველი პროფესიის მოთხოვნების შესაბამისი კურსის შემუშავება არის ძალზე რთული და მრავალმხრივი პროცესი. ეს მეთოდისტების მუშაობის კიდევ ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

უმაღლეს სასწავლებლებში დღესდღეობით სწავლების წამყვანი ფორმაა „ცოცხალი“ ლექცია, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. სალექციო პროცესი ხშირ შემთხვევაში „ათანაბრებს“ აუდიტორიას; მასალისა და კითხვის სტილის შერჩევისას ლექტორი, როგორც წესი, ორიენტაციას იღებს დამაკმაყოფილებელი ცოდნისა და საშუალო გონებრივი შესაძლებლობების სტუდენტებზე. ამ ვითარებას ობიექტური ახსნაც აქვს. მაგალითად, პედაგოგიური ფსიქოლოგიის სპეციალისტების დაკვირვებით (იხ., მაგალითად, [1]), იმისთვის, რომ ჩვეულებრივი მეხსიერების ოცდაათკაციანმა ჯგუფმა დაიმახსოვროს საშუალო სიძნელის მათემატიკური ფორმულა, ის უნდა გაუმეორონ არანაკლებ თვრამეტჯერ; ხოლო ძნელადდასაქმელი მასალის გადმოცემისას ლექტორმა ყოველი თხუთმეტი წუთის შემდეგ უნდა მოახდინოს სტუდენტების ყურადღების განტვირთვა - წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნება მსმენელების სრული დაკარგვის საშიშროება. საგნობრივი პროგრამებისა და სილაბუსების შედგენისას უნდა გვახსოვდეს, რომ საშუალოსტატისტიკური ადამიანის გონებას სრული დატვირთვით მუშაობა შეუძლია არაუმეტეს ოთხი-ხუთი საათი დღე-ღამეში; ამასთანავე, გონებრივი აქტივობის პერიოდი ადამიანის ინდივიდუალური მახასიათებელია. ამიტომაც ხდება სასწავლო პროცესის დაგეგმვა საშუალო მონაცემებიდან გამომდინარე. მაგრამ საშუალო მონაცემებიც ცვალებადი მახასიათებელი გახლავთ და აუცილებელია მისი პერმანენტული კვლევა და კონტროლი.

ყოველ ადამიანს აქვს გონების ინდივიდუალური წყობა; სრულიად ბუნებრივია, რომ ერთი ლექტორის გადმოცემის სტილი სტუდენტისთვის უფრო მისაღები აღმოჩნდეს, ვიდრე სხვა ლექტორისა. უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებს აქვთ ძირითად საგნებში ლექტორის არჩევის საშუალება. ანალოგიური პრაქტიკაა დანერგილი ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებშიც. გარდა სტუდენტის კომფორტული სასწავლო პირობების შექმნისა, მუშაობის ასეთი სტილის დანერგვა ხელს უწყობს ლექტორებს შორის ჯანსაღ კონკურენციას - ყოველი მათგანი ცდილობს ლექცია უფრო შინაარსიანი, საინტერესო და გასაგები გახადოს. ალბათ, შესაძლებელია ამ საყურადღებო მიდგომის საქართველოში აპრობაციაც.

თანამედროვე სასწავლო პროცესი ძნელი წარმოსადგენია კომპიუტერის გამოყენების გარეშე; მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტებში მრავალი აკადემიური პროცედურა სრულად ავტომატიზირებულია; ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი და უწყვეტი განვითარება კიდევ უფრო ზრდის კომპიუტერის გამოყენების საშუალებებს და, ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს კომპიუტერის მხოლოდ საბეჭდი მანქანის ფორმით მოხმარებას. კომპიუტერის შესაძლებლობები შეუცვლელია, მაგალითად, ინფორმაციის მიწოდება-მომიებისთვის, სწავლის ხარისხის სწრაფი მონიტორინგისთვის და სხვ. მეტიც, ახლა უკვე არსებობს სპეციალური დიაგნოსტიკური პროგრამები, რომელთა საშუალებით შეიძლება ადამიანის მიდრეკილებების დადგენა (იხ., მაგალითად, [http:// bitnet.ru](http://bitnet.ru)) და, შესაბამისად, მისთვის ოპტიმალური სასწავლო მეთოდების შერჩევა (იხ. მაგალითად, [http:// psy.com.ru](http://psy.com.ru)). ჩვენთან კომპიუტერის გამოყენების სფერო ჯერ კიდევ მწირია და უთუოდ მეტი ყურადღების მიქცევას საჭიროებს. მაგალითად, რა უშლის ხელს თუნდაც შუალედური მონიტორინგის პროცედურის კომპიუტერის საშუალებით ჩატარებას?

თანამედროვე უმაღლეს სასწავლებელში პრიორიტეტი არა პროფესორ-მასწავლებლებია ცოდნის ძირითადი „გადამცემების“ როლში, არამედ თვით სტუდენტთა აქტიური შემეცნებითი პროცესი. ეს სულაც არ აკნინებს პედაგოგების ფუნქციას; პირიქით, მათ მოღვაწეობას ახალი შინაარსითა და მოთხოვნებით ავსებს. ახალი მიდგომის მიხედვით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწავლების პროდუქტს, ანუ სტუდენტს, შეძენილი ცოდნითა და ჩამოყალიბებული უნარ-ჩვევებით, და არა სწავლების იმ კონკრეტულ მეთოდებსა და საშუალებებს, რომელიც გამოიყენება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. ეს გარემოება ბუნებრივად იწვევს პედაგოგის როლის შეცვლას; სულ უფრო ხშირად იგი გვევლინება არა ინფორმაციის გადამცემად, არამედ ინფორმაციის

სისტემატიზატორად, სასწავლო პროცესის კურატორად და ხელმძღვანელად. პედაგოგი უზრუნველყოფს სტუდენტის მოტივაციას, მასალის კრიტიკულ შერჩევას, ათვისების პრობლემების გამოაშკარავებასა და აღმოფხვრას. სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ხშირად განისაზღვრება თავად სტუდენტების საჭიროებებითა და აქტივობით; თუმცა ეს არ ამცირებს უმაღლესი სასწავლებლის პასუხისმგებლობას სწავლების მიზანმიმართულებასა და ხარისხზე.

სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა იწყება შევითხვით „რა ვასწავლოთ?“

აკადემიური დისციპლინის შინაარსი განსხვავდება შესაბამისი მეცნიერების შინაარსისგან როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი პარამეტრებით; სასწავლო კურსისთვის შეირჩევა საბაზისო ცნებები და დებულებები. თანამედროვე უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობაში გავრცელებული სასწავლო ტექნოლოგიების (educational technology) შესაბამისად, სასწავლო დისციპლინები წარმოდგენილია მოდულების (მასალის ლოგიკურად დამოუკიდებელი ერთეულების) ერთობლიობების სახით; ყოველი მოდული შეიცავს შემეცნებით და სასწავლო-პროფესიულ ნაწილებს; პირველი წარმოადგენს თეორიულ ცოდნას, მეორე — შეძენილი ცოდნის შესაბამის პროფესიულ უნარ-ჩვევებს. მოდული შეიძლება წარმოვადგინოთ ოთხი ძირითადი ბლოკის ერთობლიობად:

➤ **თეორიული ბლოკი** — ლექცია, რომელზედაც სტუდენტები ეცნობიან სასწავლო დისციპლინის მიზანს, გეგმასა და ძირითად შინაარსს; ამ პროცესში სტუდენტი შედარებით პასიურია, ის ინფორმაციის მიმღებია.

➤ **პრაქტიკული ბლოკი** — სასწავლო მასალაზე დამოუკიდებელი მუშაობა, რომელიც სტუდენტის აქტივობით ხორციელდება; ამ ეტაპზე შესაძლებელია ტუტორების ჩართვა.

➤ **მეთოდიკური ბლოკი** — შესწავლილი მასალის გამოყენება სასწავლო და არასასწავლო, მაგალითად, სამეცნიერო, მიზნებისთვის; ეს ბლოკი მოიცავს პრაქტიკულ და სემინარულ მეცადინეობებს, სამეცნიერო-შემოქმედებით მოღვაწეობას. გამოყენებითი ასპექტები შეირჩევა სტუდენტის მომავალი პროფესიის გათვალისწინებით, ანუ ხდება კურსის პროფილირება.

➤ **საკონტროლო ბლოკი** — შემოწმების ეტაპი, რომელზედაც ხდება სტუდენტის ცოდნისა და უნარ-ჩვევების მონიტორინგი.

სასწავლო დისციპლინის მოდულური ინტერპრეტაციის დროს მნიშვნელოვანია მოდულების ოპტიმალური ოდენობის გამოყოფა, ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს თითოეულის შინაარსობრივი სისრულეც და თეორიულ-პრაქტიკული ნაწილების გონივრული თანაფარდობაც. ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ მონიტორინგის შედეგი თანაბარი წილით ასახავს როგორც სტუდენტის შემეცნებითი აქტივობის წარმატებულობას, ასევე პედაგოგის მიერ შერჩეული სასწავლო ტექნოლოგიის ეფექტურობას.

ყოველი მოდულის დამთავრებისას სტუდენტთა ცოდნის ხარისხის შემოწმება შესაძლებელია სამი დონის მიხედვით — კრიტიკული, საკმარისი და ოპტიმალური.

➤ **კრიტიკული დონე** გულისხმობს სტუდენტის მიერ პრობლემის გადასაჭრელ ქმედებათა განხორციელებას წინასწარ მოცემული ალგორითმის მიხედვით.

➤ **საკმარისი დონე** — ალგორითმის არარსებობის შემთხვევაში ცალკეული ქმედებების შესრულებას, დამოუკიდებლად დაგეგმილ/განხორციელებულ ოპერაციებს.

➤ **ოპტიმალური დონე** — ოპერაციათა სრულად შეგნებულ შესრულებას როგორც ცალკეული ნაბიჯების განხორციელებისას, ისე პრობლემის მთლიანი გადაწყვეტისას.

თანამედროვე უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობაში მოქმედებს სტუდენტების შეფასების ე.წ. რეიტინგული სისტემა. ეს ნიშნავს სტუდენტის ყოველი აკადემიური აქტივობის ქულებით შეფასებას შესრულების ხარისხისა და ვადების დაცვის შესაბამისად; ამ ქულათა ჯამი სტუდენტის საბოლოო შეფასებაა. რეიტინგული შეფასების უპირატესობა შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ:

✓ ხორციელდება წინასწარი, მიმდინარე და საბოლოო კონტროლი, რაც წარმოადგენს სწავლებისა და უკუკავშირის საშუალებას;

✓ შეფასების დაშლა ცალკეულ დამოუკიდებელ რგოლებად უზრუნველყოფს მის სანდოობასა და ობიექტურობას; ასეთი კონტროლი აკმაყოფილებს სწავლების მიზნებისა და ფორმების შესაბამისობის მოთხოვნას; ახორციელებს სამოტივაციო და აღმზრდელობით ფუნქციებს; ხელს უწყობს სტუდენტის ობიექტური თვითშეფასების უნარის განვითარებას.

რეიტინგული შეფასების სისტემა განსაკუთრებით ეფექტურია სწავლების პირველ კურსზე. უმაღლესი სასწავლებლების ყველა პედაგოგი დამეთანხმება, რომ პირველკურსელებთან მუშაობა გამორჩეულად რთულია. ამას მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორი განაპირობებს, თუმცა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროცესების წარმართვის მეთოდოციკების განსხვავებაა; ეს განაპირობებს პირველკურსელთა ახალ სასწავლო გარემოში ადაპტაციის პრობლემებს. სწორი გამოყენებისას რეიტინგული შეფასების სისტემა წარმატებულად ახერხებს პირველკურსელთა ადაპტაციის პროცესის დაჩქარებას.

ცხადია, ერთი სტატია რაიმე პრობლემის სრულყოფილი ანალიზის საშუალებას არ იძლევა, მით უმეტეს, ისეთი სერიოზული და გლობალური პრობლემისა, როგორც თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების მოძიება და დანერგვის საშუალებების შერჩევაა. მიუხედავად ამისა, ერთმანეთის მეთოდოციკური გამოცდილების გაზიარება და ინოვაციების ერთობლივი კრიტიკული ანალიზი უთუოდ კარგ სამსახურს გაგვიწევს ღირსეული მოქალაქეებისა და ნებისმიერი დარგის კონკურენტუნარიანი სპეციალისტების აღზრდის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Л.С. Сергиенко, А.В. Багдужева, ОБРАЗОВАТЕЛЬНЫЕ ТЕХНОЛОГИИ ПРИ ОБУЧЕНИИ МАТЕМАТИКЕ // Современные наукоемкие технологии. – 2010. – № 7
2. Цукерман Г.А. Инновации в мировой педагогике — Рига, «Эксперимент», 1998 г.
3. Беспалько В. П. Слагаемые педагогической технологии. — М.: Педагогика, 1989 г.

რეზიუმე:

სტატია ეძღვნება უმაღლეს სასწავლებელში სასწავლო პროცესის ორგანიზების თანამედროვე ტექნოლოგიების მიმოხილვას; აღწერილია ზოგიერთი ინოვაციური მეთოდის სტრუქტურა და გამოყენების თავისებურებები; განხილულია ამ მეთოდების საქართველოში დანერგვის შესაძლებლობა/მიზანშეწონილობის საკითხი.

Résumé:

The article is a survey of modern educational technologies in higher education system. The structures and usage of some innovative methods are described. The questions of the desirability and feasibility of abovementioned methods in Georgia are also discussed.

Резюме:

Статья посвящена обзору современных учебных технологий высших учебных заведений. Описаны структуры некоторых инновационных методов и особенности их использования. Рассмотрен вопрос целесообразности и возможности использования этих методов в Грузии.

ქეთევან ზვიადაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
თეიმურაზ გიორგაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული
სპეციალისტი, აკადემიური დოქტორი

ფუნქციის ცნების განსაზღვრის სხვადასხვა ასპექტი

ფუნქციის ცნება მათემატიკის ერთ-ერთი ძირითადი (ფუნდამენტალური) ცნებაა, რომელიც წარმოიქმნა პრაქტიკული მოთხოვნებიდან.

XVII-XVIII საუკუნეებში საზღვაო მიმოსვლის განვითარებამ, ტექნიკურ მეცნიერებათა წინსვლამ მოითხოვა სხვადასხვა პროცესებისა და მოვლენების აღწერა მათემატიკური აპარატის გამოყენებით, რამაც მიგვიყვანა ცვლადისა და ფუნქციის ცნებამდე. ცვლადი სიდიდეები უკვე XVII საუკუნეში გვხვდება რ. დეკარტეს გეომეტრიაში, თანამედროვე ეტაპზე მათემატიკის პროგრამა იმ იდეას ექვემდებარება, რომ ფუნქციის ცნება გახდეს სასკოლო მათემატიკის ცენტრალური ღერძი, ვინაიდან არცერთი სხვა ცნება არ გამოსახავს რეალური სამყაროს მოვლენებს და პროცესებს ისე უშუალოდ, როგორც ფუნქციის ცნება, ფუნქციონალური დამოკიდებულების გეომეტრიული გამოსახულება.

ფუნქციის ცნების თანამედროვე განსაზღვრა დაკავშირებულია ნ. ი. ლობაჩევსკის, ბ. ბოლცანოსა და გერმანელი მათემატიკოსის ლეჟენ დირიხლეს სახელებთან. უნდა შევნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ ლობაჩევსკამდე, ბოლცანო და დირიხლე, ფრანგი მათემატიკოსი ჟ. ფურიე ახლოს მივიდნენ ფუნქციის ცნების თანამედროვე განსაზღვრასთან. ფუნქციის ცნება, როგორც შესაბამისობა, გვხვდება აგრეთვე ფრანგ მათემატიკოს ა. ლაკრუასთანაც. ფუნქციის ჩვენთვის ცნობილი ჩაწერა $y=f(x)$ შემოღებულ იქნა ლეონარდ ეილერის მიერ.

XIX საუკუნის დასაწყისში პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებლები მათემატიკის სწავლების გასაუმჯობესებლად მოითხოვდნენ სასკოლო მათემატიკის კურსში შეტანილი ყოფილიყო ფუნქციონალური დამოკიდებულების ელემენტები. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის რუს მათემატიკოსებს- მ.ოსტროგრადსკის, პ. ჩუბიშევის და დ. პერეგომჭიკოვს.

ფუნქციის ცნება პირველად გვხვდება უარყოფით და წილად მაჩვენებელთან დაკავშირებით პერეგომჭიკოვის სახელმძღვანელოში „გიმნაზიის წმინდა მათემატიკის კურსი“ /1837წ./, ხოლო ა. ტიხომანდრიცკის სახელმძღვანელოში „დაწყებითი ალგებრა“ /1853წ./ და ს. მარკოვის „ალგებრის კურსში“ /1864წ./ ფუნქციის ცნება შემოდის განტოლებების შესწავლასთან დაკავშირებით.

დ. პერეგომჭიკოვის, ა. ტიხომანდრიცკის და ს. მარკოვის სახელმძღვანელოებში ფუნქციის ცნებას არ მიუღია შემდგომი განვითარება, მისი პრაქტიკული მნიშვნელობა არ იხსნება კონკრეტული მაგალითების განხილვით და ამასთან, ფუნქციონალური დამოკიდებულების გრაფიკული გამოსახვაც უგულველყოფილია.

XIX საუკუნის ბოლო წლებში ფუნქციონალური დამოკიდებულების იდეის დანერგვას მოითხოვდნენ მათემატიკოს-მეთოდისტები : შოხორტოვსკი, სერდობინსკი, შერემეტიევსკი და სხვ. სათანადო ყურადღება ფუნქციის ცნების შეტანასთან ერთად ამ საფეხურზე ექცევა ფუნქციის გრაფიკულ გამოსახვას.

ფუნქციის ცნება საშუალო სკოლაში პირველად შემოღებულ იქნა საფრანგეთში 1902 წელს მათემატიკაში ფუნქციის ცნების შემოღებიდან თითქმის ორი საუკუნის შემდეგ. ამ საკითხის პრინციპულ დასაბუთებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ცნობილ გერმანელ მათემატიკოს ფელიქს კლეინს /1849-1925 წ წ. /.

ზოგიერთი მეთოდისტი მოითხოვდა, რომ საშუალო პროგრამიდან ამოღებული ყოფილიყო ყოველივე ის, რაც არ უწყობს ხელს მოსწავლეებში „ფუნქციონალური აზროვნების“ განვითარებას, ზოგიერთი მოითხოვდა პროგრამაში შეტანილი ყოფილიყო ის მასალა, რაც ავითარებდა „ფუნქციონალურ აზროვნებას“ და „სივრცით წარმოდგენას“.

საშუალო სკოლის მათემატიკის პირველი სასინჯი პროგრამა გამოვიდა 1918 წელს. მასში უმარტივესი ფუნქციების სწავლება გათვალისწინებული იყო სწავლების მეექვსე წელს. მის შემდეგ სასკოლო მათემატიკის პროგრამები არაერთხელ გადაამუშავდა. ყველაზე მეტი ძირეული ცვლილება

საშუალო სკოლის პროგრამებმა განიცადა 70-იან წლებში¹, სადაც სასკოლო მათემატიკის კურსში ფუნქციის ცნებამ, გრაფიკებმა და ელემენტარულმა ფუნქციებმა თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს.

ბუნებაში მიმდინარე პროცესების შესწავლისას ჩვენ ხშირად ვხვდებით რამდენიმე ცვლადი სიდიდის ერთდროულ ცვალებადობას, ურთიერთმოქმედებას.

სიდიდეების განხილვა ცვალებადობის პროცესში, მათი ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით ქმნის ახალ ცნებას - ფუნქციის ცნებას.

ამ ცნების ჩამოყალიბების ისტორიას გავლილი აქვს სხვადასხვა საფეხური თავისი სრულყოფილი სახის მიღებამდე.

სიტყვა „ფუნქცია“ წარმოშობით ლათინურია და ქართულში რუსული ენის გზით დამკვიდრდა. მათემატიკაში იგი აღნიშნავს აღსრულებას, მოძრაობას, შესრულებას². პირველად ეს ტერმინი „ფუნქცია“ გვხვდება 1694 წელს ლაიბნიცის მიერ ჰიუგენისადმი მიწერილ წერილში.

ლაიბნიცი ისე, როგორც მისი წინაპრები, ფუნქციას განიხილავს, როგორც მონაკვეთს, რომელიც იცვლება განსაზღვრული კანონით.

„ცვლადი სიდიდის ფუნქცია არის ამ სიდიდისა და მუდმივებისაგან შედგენილი ანალიზური გამოსახულება“ /იოჰანე ბერნული, 1718 წ./.

„ფუნქცია არის ხელით დახაზული წილი“ /ლეონარდ ეილერი, 1748 წ./ დროთა ვითარებაში საჭირო გახდა ფუნქციის ცნებისა და ფუნქციის ცარმოდგენის საკითხების ერთმანეთისაგან გათიშვა.

ფუნქციის ზოგად ცნებაში აღნიშნული უნდა ყოფილიყო მხოლოდ ცვლადებს შორის გარკვეული დამოკიდებულების არსებობა. ფუნქციის შემდეგდროინდელი განსაზღვრებანი სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა. ფუნქციის განსაზღვრა „როდესაც რომელიმე ოდენობა დამოკიდებულია სხვა ოდენობაზე ისე, რომ უკანასკნელის შეცვლით იცვლება პირველი ოდენობა, მაშინ პირველს ეწოდება მეორის ფუნქცია“ - ეკუთვნის ლ. ეილენს /1755 წ./.

„ყოველ რაოდენობას, რომლის მნიშვნელობა დამოკიდებულია ერთი ან რამდენიმე სხვა რაოდენობაზე, ეწოდება ამ უკანასკნელის ფუნქცია, იმისაგან დამოუკიდებლად, ცნობილია თუ არა, რა ოპერაციები უნდა ვაწარმოოთ, რომ გადავიდეთ მისგან პირველზე“ /ს.ლაკრუა, 1797 წ./.

„y ცვლადს ეწოდება x ცვლადის ფუნქცია, თუ x-ის ყოველ მნიშვნელობას შეესაბამება y-ის გარკვეული მნიშვნელობა“ /კოში, 1823 წ./.

ფუნქციის ცნების შემდგომ განვითარებად ჩაითვლება განსაზღვრებანი:

x-ის ფუნქცია არის რიცხვი, რომელიც მოცემულია ყოველი x-სათვის და x-თან ერთად თანდათანობით იცვლება. ფუნქციის მნიშვნელობა შეიძლება მოცემულ იყოს ან ანალიზური გამოსახულებით, ან პირობით, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავსინჯოთ ყველა რიცხვი. დამოკიდებულება შეიძლება არსებობდეს და რჩებოდეს უცნობი“ /ნ.ი. ლობაჩევსკი, 1834 წ. /.

„y - b ეწოდება x ცვლადის ფუნქცია $a \leq x \leq b$ არეში, თუ ამ არეში x-ის ყოველ მნიშვნელობას შეესაბამება y-ის სასვებით განსაზღვრული მნიშვნელობა, განურჩევლად რომელი ხერხითაც არ უნდა იყოს დამყარებული ეს შესაბამისობა“ /ლეჟენ დირიხლე, 1838 წ./.

დირიხლეს მიხედვით, განსაზღვრება არ გულისხმობს ამ წესის არსებობას, რომელიც x -ის ყოველ მნიშვნელობას შეუსაბამებს y-ის სრულიად გარკვეულ მნიშვნელობას, ლობაჩევსკის მიხედვით კი ფუნქციის განსაზღვრაში მთავარია გარკვეული წესის არსებობა³.

მეცნიერების შემდგომმა განვითარებამ, კერძოდ ფიზიკის მოთხოვნებმა, საჭირო გახდა ფუნქციის ცნების გაფართოება, განზოგადებული ფუნქციის ცნების შემოღება, რომლის ჩამოყალიბებაში დიდი დამსახურება მიუძღვის საბჭოთა მათემატიკოს ს. ლ. სიბოლევს.

¹ იხ. ფიზიკა-მათემატიკა სკოლაში, 1968, №3, გვ.6 .

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. VII, გვ.198 .

³ Г. Ш. Шилов, Что такое функция, “Математика в школе”, 1964, № I გვ. 2.

თუ გადავხედავთ ფუნქციის ცნების ჩამოყალიბების ისტორიას დავინახავთ, რომ მან გარკვეული საფეხური გაიარა, სხვადასხვა სახით გამოითქვა, სანამ იგი სრულყოფილ სახეს მიიღებდა. მისი ბოლო განსაზღვრა არ აძლევს დასასრულს ფუნქციის ცნების ჩამოყალიბების ისტორიას. უნდა ვიფიქროთ, რომ როგორც თვით მათემატიკის, ისე ფიზიკის, ბიოლოგიის, საზოგადოებრივი და სხვა მეცნიერებათა ახალ-ახალ მოთხოვნილებათა საფუძველზე ფუნქციის განსაზღვრა შეიცვლება. მასთან ყოველი შემდგომი ცვლილება, როგორც ადრე, ახალ ჰორიზონტს გაუხსნის მეცნიერებას და მიგვიყვანს ახალ საყურადღებო ფაქტებამდე.

ფუნქციის ცნება მოსწავლეებს უნდა მიეცეთ ისე, რომ იგი იყოს მეცნიერულად სწორი, გამართული და აგრეთვე თავისუფალი ზედმეტი გამოთქმებისაგან, სახელმძღვანელოებსა და მეთოდურ ლიტერატურაში მოცემულია ფუნქციის განსაზღვრება სხვადასხვა ფორმულირებით

1. „ ფუნქცია ეწოდება ცვლად სიდიდეს, რომლის რიცხვითი მნიშვნელობა იცვლება სხვა ცვლადის რიცხვით მნიშვნელობათა შეცვლით;“

2. „ყოველი ალგებრული გამოსახულება, დამოკიდებული რომელიმე სიდიდეზე, არის ამ სიდიდის ფუნქცია“;

3. „ y ცვლადს ეწოდება მეორე x ცვლადის ფუნქცია, თუ x -ის ყოველგვარ დასაშვებ მნიშვნელობას შეესაბამება y -ის ერთი ან რამდენიმე მნიშვნელობა“;

4. „ y ცვლადს ეწოდება x -ის ფუნქცია, თუ x -ის ყოველ მნიშვნელობას შეესაბამება y -ის გარკვეული მნიშვნელობა“⁴;

პასუხი კითხვაზე : რა არის ფუნქცია? შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

„ფუნქცია არის კანონი, რომელიც მიუთითებს რომელიმე ცვლადი სიდიდის /რომელსაც არგუმენტი, ანუ დამოუკიდებელი ცვლადი ეწოდება/ თითოეული დასაშვები მნიშვნელობისათვის მეორე სიდიდის /რომელსაც დამოკიდებული ცვლადი ეწოდება/ ერთ გარკვეულ მნიშვნელობაზე“⁵.

5. „თუ m სიმრავლის ყოველ x ელემენტს შეესაბამება N სიმრავლის რომელიღაც y ელემენტი, მაშინ ამბობენ, რომ m სიმრავლეზე მოცემულია ფუნქცია და წერენ $y=f(x)$ მასთან ცალკეულ x ელემენტს ეწოდება არგუმენტის მნიშვნელობა, ხოლო y ელემენტს ფუნქციის მნიშვნელობა“⁶.

6. „თუ X სიმრავლის ყოველ x რიცხვს რომელიმე წესით შეესაბამება Y სიმრავლის გარკვეული y რიცხვი, მაშინ ამბობენ, რომ X სიმრავლეზე მოცემულია ფუნქცია“⁷.

ეს ჩაიწერება ასე $y = f(x), x \in X$

f სიმბოლო აღნიშნავს მოცემული შესაბამისობის წესს. ეს წესი სხვა სიმბოლოებითაც შეიძლება აღინიშნოს. მაგალითად, ჩანაწერი $g(x)$ წესი გამოსახულია g სიმბოლოთი.⁸

7. აკად. ა. ნ. კოლმოგოროვის სტატიებში აზრი იმის შესახებ, რომ „ფუნქცია არის ერთი სიმრავლის გადასახვა მეორეზე“⁹ / ფუნქცია არის გადასახვა მის მნიშვნელობათა სიმრავლეზე/. E სიმრავლის ნებისმიერ f გადასახვას M სიმრავლეზე ვუწოდოთ ფუნქცია, რომლის განსაზღვრის არეა E . ხოლო მნიშვნელობათა სიმრავლე M “.

⁴ რ. კ. თავართქილაძე, ფუნქციონალური დამოკიდებულებების იდეა, როგორც პოლიტექნიკური სწავლების საფუძველი, „ცოდნა“, თბილისი, 1960, გვ.26.

⁵ ა. ბ. ბარსუკოვი, ალგებრა, სახელმძღვანელო VI-VIII კლასებისათვის, 1970, გვ.247-248.

⁶ Маркушевич А.Н. Вопросы преподавания математики в средней школе. Сборник статей. М., 1961, гв. 90.

⁷ Доброхотова М. А. Сафонов А. Н. Функция, ее предел и производная, „Просвещение“ М., 1969.

⁸ М. А. Доброхотова, А. Н. Сафонов, ее предел и производная, „Просвещение“, М., 1969. გვ.26.

⁹ აკად. ა. ნ. კოლმოგოროვი, „რა არის ფუნქცია“, გვ. 3-17; ფიზიკა- მათემატიკა სკოლაში, 1970, №3.

ამ უკანასკნელ ხანებში მათემატიკაში გადასახვის აღსანიშნავად იყენებენ ისარს. სიტყვა „ფუნქციის“ ნაცვლად „გადასახვას“ /სიტყვა „გადასახვა“ სიტყვა „ფუნქციის“ სინონიმია/. ფუნქციონალური დამოკიდებულება $f(x) = \sqrt{1-x^2}$ შეიძლება ჩაიწეროს ასე $x \rightarrow \sqrt{1-x^2}$.

ფუნქციის მნიშვნელობანი შეიძლება იყოს არა მარტო რიცხვები, არამედ კვირის დღეები, ბიჭები ან გოგონები, საერთოდ ნებისმიერი საგნები, ანუ ეგრეთწოდებული "ობიექტები".

აკად.ა.ნ. კოლმოგოროვი ფუნქციას ასეთნაირადაც განსაზღვრავს:

8. „ფუნქცია არის კანონი რომელიც E სიმრავლის ყოველ x ელემენტს შეუსაბამებს სრულიად გარკვეულ $y = f(x)$ ობიექტს“¹⁰. აქვე მითითებულია: „თუ მოვინდომებთ ფუნქციის ცნების განსაზღვრას „კანონის“ ცნების საშუალებით, მაშინ მოგვთხოვენ ტერმინ „კანონის“ მნიშვნელობის ზუსტ განსაზღვრას და ა. შ. ფუნქციის ცნება ჩავთვალოთ მათემატიკის ერთ იმ ძირითად ცნებად, რომლის აზრს ახსნა-განმარტებით გადმოვცემთ და არა ფორმალური განსაზღვრებით“.

ფუნქციის ცნება მოსწავლეებს თავიდანვე უნდა მიეცეს ისე, რომ მათ კარგად დაინახონ ის კანონზომიერება, რომელიც აკავშირებს სიდიდეებს ერთმანეთთან ცვალებადობის პროცესში.

ბევრი ცნობილი მათემატიკოსის აზრით, თანამედროვე ეტაპზე ფუნქციის ცნება მოსწავლეებს უნდა მიეცეთ სიმრავლისა და შესაბამისობის ცნებების გამოყენებით. ჩვენც ამ აზრს ვიზიარებთ.

ფუნქციის ცნება მოსწავლეებს სიმრავლისა და შესაბამისობის ცნების გამოყენებით ასე უნდა მივცეთ:

ფუნქცია ეწოდება X და Y სიმრავლეების ისეთ შესაბამისობას, რომლის საფუძველზე X სიმრავრავლის ყოველ x ელემენტს შეესაბამება Y სიმრავლის ერთადერთი y ელემენტი.

X სიმრავლეს უწოდებენ ფუნქციის განსაზღვრის არეს, ხოლო Y სიმრავლეს კი ფუნქციის მნიშვნელობათა სიმრავლეს.

ამას წერენ ასე: $y = f(x)$, (1), $x \in X$ /კითხულობენ: იგრეკი უდრის ეფ იქსს, როცა $x \in X$ /. აქვე მოსწავლეებს უნდა გავაცნოთ, რომ ფუნქცია არის E სიმრავლის ნებისმიერი f გადასახვა M სიმრავლეზე. სიტყვა „გადასახვა“ სიტყვა „ფუნქციის“ სინონიმია. /1/ სიმბოლური ჩაწერა შეიძლება მივცეთ სხვადასხვა სახითაც:

$$x \xrightarrow{f} x^2, \xi \xrightarrow{f} \xi^2, y \xrightarrow{f} y^2$$

$$f(x) = y = x^2, f(\xi) = \eta = \xi^2, f(y) = x = y^2$$

უპირატესობას ვაძლევთ /1/ ჩანაწერს. ასეთი ჩანაწერის არსში მოსწავლეები კარგად უნდა იქნენ გარკვეული. /1/ აღნიშვნაში ნიშანი f გამოსახავს წესს, კანონს, რომლის საშუალებით x და y ცვლადებს შორის დამყარებულია შესაბამისობა.

ლიტერატურა

1. Колмогоров А.Н. Что такое функция – Квант, 1970 г. №1
2. თავართქილაძე რ. "ფუნქციონალური დამოკიდებულების იდეა, როგორც პოლიტექნიკური სწავლების საფუძველი, თბ,1960.
3. ქ. ზვიადაძე, მ. დეისაძე, თ. გიორგაძე მათემატიკა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტათვის ქუთაისი. 1995 წ.
4. ჯ. ჯინჯიხაძე - მათემატიკის დაწყებითი კურსის მეცნიერული საფუძველები თბილისი 2012 წ.

¹⁰ ფიზიკა-მათემატიკა სკოლაში, 1971, №3, გვ. 4 .

რეზიუმე

თანამედროვე ეტაპზე სასკოლო მათემატიკის კურსში ფუნქციების შესწავლას ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, რისთვისაც აუცილებელია ფუნქციის ცნებაში საფუძვლიანი გარკვევა.

ნაშრომში ფუნქციის ცნების სხვადასხვა განსაზღვრებიდან ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ ფუნქციის ცნების განსაზღვრას სამართლისა და შესაბამისობის ცნების გამოყენებით.

Q.Zviadadze, T. Giorgadze

Different Aspects of defining the Concept of Function

Abstract

Nowadays, teaching of functions occupies an important place in school course of Mathematics. Thus, it is important to fully understand the concept of function. The article reviews various definitions of the concept of function and gives preference to the definition based on the concepts of sets and correspondence.

К. Звиаддзе, Т. Гиоргадзе

Разные Аспекты определения понятия функции

Резюме

На современном этапе изучение функции в Программе школьной математики занимает одно из выдающихся мест, поэтому необходимо в определении функции разобраться основательно.


Существует несколько понятий определения функции- мы преимущество отдаём тому определению, где использованы понятия множеств и соответствия.

მანანა დეისაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი, აკადემიური დოქტორი

წილადებზე ზოგიერთი ამოცანის გეომეტრიული ინტერპრეტება.

წილადების სხვადასხვა ასპექტით გააზრება და მათზე ამოცანების შესწავლა გეომეტრიული ინტერპრეტაციებით მეტად მნიშვნელოვანია სწავლების დაწყებით საფეხურზე. ჯერ კიდევ სწავლების დაწყებით საფეხურზევე უნდა ჩამოუყალიბდეს მოსწავლეს წილადის სხვადასხვა ასპექტის, როგორც მთელის ნაწილის, როგორც გაყოფის შედეგის გააზრება და შეძლოს მისი რიცხვით ღერძზე ინტერპრეტება.

გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერი ისაკ ნიუტონი წილადს შეფარდების მეშვეობით ასე განმარტავდა: წილადი არის ჩანაწერი, რომელშიც ორი რიცხვიდან ერთ-ერთი მეორის ქვეშ წერია და მათ შორის გავლებულია მოკლე ხაზი; იგი აღნიშნავს შეფარდებას, ანუ ზედა რიცხვის ქვედა რიცხვზე განაყოფს. ე.ი. $\frac{2}{3}$ ნიშნავს ერთის მხრივ 2-ის შეფარდებას 3-თან; მაგალითად, 2 ლარი როგორ გავუნაწილოთ 3 ბავშვს თანაბრად? მეორე ასპექტში იგივე $\frac{2}{3}$ შეიძლება გავიაზროთ როგორც მთელის ნაწილი ასე: მთელი გავყოთ 3 ტოლ ნაწილად და ავიღოთ 2 ნაწილი.




დამტრიახული ნაწილი გვიჩვენებს მთელი წრის $\frac{2}{3}$ ნაწილს.

განვიხილოთ სამი ტიპის ამოცანა წილადებზე და ვაჩვენოთ მათი ამოხსნა რიცხვითი წრფის გამოყენებით.


ამოცანა 1. იპოვეთ რიცხვით წრფის საშუალებით 52მ-ის $\frac{20}{13}$.

ვნახოთ, როგორ ამოვხსნიდით გეომეტრიულად.

I საფეხური- განვიხილოთ რიცხვითი წრფე და მასზე მოვნიშნოთ ერთეულოვანი მონაკვეთი.



II საფეხური- პირობითად მივიღოთ რომ ერთეულოვანი მონაკვეთი 52მ-ის ტოლია.




რადგანაც ამოცანაში $\frac{20}{13}$ ნაწილზეა საუბარი, ამიტომ ერთეულოვანი მონაკვეთი დაყავით 13

ტოლ ნაწილად და 1 წარმოვადგინეთ $\frac{13}{13}$.

თითოეული დანაყოფი ცხადია, $52:13=4$ (მ)-ის ტოლია და იგი $\frac{1}{13}$ -ია.


IV საფეხური- $\frac{20}{13}$ რომ გამოვსახოთ რიცხვით წრფეზე, ამისათვის 1-დან ანუ $\frac{13}{13}$ -დან კიდევ 7 დანაყოფი გვჭირდება. ე.ი. 1-დან, $\frac{13}{13}$ -დან კიდევ გადავზომოთ 7 დანაყოფი, ე.ი. სულ გვექნება 20 დანაყოფი. ანუ 20 მეცამეტედი, ე.ი. $\frac{20}{13}$.




თითოეული დანაყოფი 4მ-ის ტოლია და 7 დანაყოფის სიგრძე იქნება 28მ. სულ $52მ+28მ=80მ$. ე.ი. 52მ-ის $\frac{20}{13}$ ნაწილი ტოლია 80 მ-ის. თუ დავუკვირდებით, რა კავშირია 52-ს, $\frac{20}{13}$ -ს და 80-ს შორის, შევამჩნევთ, რომ: $52 \cdot \frac{20}{13} = 80$ მ. პრაქტიკამ აჩვენა, მოსწავლეების უმრავლესობა მაინც ამ ხერხს - ალგებრულ ხერხს ამჯობინებს. ადვილად პასუხობენ კითხვას, რომ რიცხვის წილადი ნაწილი რომ ვიპოვოთ, ეს რიცხვი უნდა გავამრავლოთ ამ წილადზე, მაგრამ რატომ?- პასუხის გაცემა უჭირთ. ამიტომაც, საჭირო ერთი და იგივე ამოცანის ამოხსნისადმი სხვადასხვანაირი მიდგომის უნარ-ჩვევები ჩამოუყალიბდეს მოსწავლეს ჯერ კიდევ დაწყებით კლასებშივე.

ამოცანა2. იპოვეთ რიცხვი, თუ მისი $1\frac{3}{5}$ არის 88? ალგებრული ხერხით არც კი შევეცადოთ პასუხის გაცემას. ამოვხსნათ გეომეტრიულად:

I საფეხური- განვიხილოთ რიცხვითი წრფე: პირობითად ერთეულოვანი მონაკვეთის სიგრძე იყოს საძიებელი x რიცხვის ტოლი.




II საფეხური- $1\frac{3}{5} = \frac{8}{5}$; ე.ი უნდა ვიპოვოთ რიცხვი, რომლის $\frac{8}{5}$ არის 88. რადგან ამოცანაში მეხუთედ ნაწილებზეა საუბარი, ამიტომ 1 წარმოვადგინოთ, როგორც $\frac{5}{5}$.




მოცემული ერთეულოვანი მონაკვეთი, სამიებული რიცხვით გამოსახული, დავყოთ 5 ტოლ ნაწილად. ერთი ნაწილი ცხადია არის $\frac{1}{5}$. ამოცანის პირობის თანახმად $\frac{8}{5}$ არის 88მ, ე.ი 1-დან კიდევ 3 დანაყოფის გადათვლა გვჭირდება და ე.ი სულ 8 დანაყოფი გვადმლევს 88 მ-ს, 1 დანაყოფი იქნება $88:8=11$ მ; ერთეულოვანი მონაკვეთი კი არის 5 დანაყოფი, ე.ი $11 \times 5 = 55$ მ. ე.ი. ის რიცხვი, რომლის $1\frac{3}{5}$ არის 88, არის 55.

ამოცანა 3- ტურისტმა გაიარა 5კმ, გზის რა ნაწილი გაიარა ტურისტმა, თუ მთელი გზა 13კმ-ია. ცხადია, პასუხი ადვილია $\frac{5}{13}$. მაგრამ როგორ მივიღოთ ეს რიცხვითი წრფის საშუალებით?

I საფეხური- განვიხილოთ რიცხვითი წრფე



აღვნიშნოთ ერთეულოვანი მონაკვეთი რიცხვით წრფეზე. პირობითად იგი ტოლი იყოს 13კმ.




რადგან ერთეულოვანი მონაკვეთი აღვნიშნეთ პირობითად 13კმ-ით, 1 მთელი წარმოვადგინოთ $\frac{13}{13}$ -ით.

II საფეხური- 1 მთელი მონაკვეთი დავყოთ 13 ტოლ ნაწილად. 1 მთელი ხომ 13 კმ-ია, $13:13=1$ კმ, 1 დანაყოფი არის 1 კმ, 5კმ-ისთვის გვინდა 5 დანაყოფი, ე.ი 5-ჯერ 1კმ, ანუ 5-ჯერ $\frac{1}{13}$, რაც იგივეა 5 მეცამეტედი, ე.ი. $\frac{5}{13}$. ე.ი. 5 კმ არის 13კმ-ის $\frac{5}{13}$.


ამოცანა-4. კატამ და მისმა კნუტმა ერთდროულად დაიწყეს ძეხვის ჭამა სხვადასხვა მხრიდან. თუ კატა მარტო მიირთმევს თავისი ნაწილს და გაიქცევა, კნუტს დარჩება 300 გრამით მეტი, ვიდრე კატამ ჭამა. ხოლო თუ კნუტი მარტო შეჭამდა მის წილს, კატას დარჩებოდა 500გრამით მეტი, ვიდრე კნუტმა ჭამა. რამდენი გრამი ძეხვი დარჩება, თუ თითოეული მიირთმევს თავ-თავიანთ წილს ორივე მხრიდან და გაიქცევიან?

ამოხსნა: გამოვსახოთ გეომეტრიულად. ვთქვათ, მთელი ძეხვი გამოვსახოთ რაიმე სიგრძის მონაკვეთით.

კატის წილი გამოვსახოთ მისი რაღაც ნაწილით მარჯვენა მხრიდან.



ე.ი დარჩენილი ნაწილი არის 300გრამით მეტი ვიდრე კატამ ჭამა, ამიტომაც დარჩენილი ნაწილი გამოვსახოთ კატის ნაწილს +300გრამი



ახლა იგივე სიგრძის მონაკვეთით გამოსახული კალბასის რაღაც ნაწილით მარცხენა მხრიდან გამოვსახოთ კნუტის წილი,

b	$b + 500$
-----	-----------

ხოლო დარჩენილი ნაწილი იქნება 500 გრამით მეტი, ვიდრე კნუტმა ჭამა, ამიტომ დარჩენილი ნაწილი გამოვსახოთ კნუტის წილს+500გრამი .

b	500 გრამი	b
-----	-----------	-----

შევადართ ორივე ერთად:

a	300 გრამი	a
b	500 გრამი	b

დაუკვირდეთ სურათს: 2 მთლიანი ძეხვიდან კნუტს და კატას შესაჭმელი დარჩებოდათ 800 გრამი, ხოლო 1 კნუტს და 1 კატას თავ-თავიანთი წილის მირთმევის შემდეგ, 1 ძეხვიდან მორჩებოდა 400 გრამი.

ცხადია, ასეთი სახის მსჯელობები უნვითარებს მოსწავლეს კრიტიკულ აზროვნებას. აჩვენებს მას დასაბუთებულ, არგუმენტირებულ მსჯელობას. უნვითარებს სწორი დასკვნების გამოტანის უნარს, რაც უმნიშვნელოვანესია მათემატიკური აზროვნების განვითარებისათვის. მოსწავლისათვის რომელიმე საკითხზე მუშაობა უდიდეს მნიშვნელობას იძენს მაშინ, როცა ის ლოგიკური მიზნისკენ არის მიმართული, როცა მოსწავლეს შეუძლია დასვას პრობლემა, განიხილოს მიზეზები და წარმოადგინოს ამოცანის ამოხსნის სხვადასხვა გზები, მოახერხოს ამოცანის გადაჭრის იდენტიფიცირება და გაანალიზება.

ლიტერატურა:

1. www.mecme.ru
2. გ.გოგიშვილი, თ.ვეფხვაძე, ი.მებონია, ლ.ქურჩიშვილი-გავიმეოროთ მათემატიკა, 2008წ.
3. ზ. ვახანია-საყმაწვილო მათემატიკა-5, 2005წ.
4. А.Я. Канель-Белов, А.К. Ковальджи. «Как решают нестандартные задачи». Под редакцией В.О. Бугаенко. М.: МЦНМО, 2001.

რეზიუმე

წილადების სხვადასხვა ასპექტით გააზრება და მათზე ამოცანების შესწავლა გეომეტრიული ინტერპრეტირებით მეტად მნიშვნელოვანია სწავლების დაწყებით საფეხურზე. ჯერ კიდევ სწავლების დაწყებით საფეხურზევე უნდა ჩამოუყალიბდეს მოსწავლეს წილადის სხვადასხვა ასპექტის, როგორც მთელის ნაწილის, როგორც გაყოფის შედეგის გააზრება და შეძლოს მისი რიცხვითი ღერძზე ინტერპრეტირება. ნაშრომში განხილულია წილადებზე ძირითადი ამოცანების ამოხსნის გეომეტრიული ხერხები. ცხადია, ასეთი სახის მსჯელობები უნვითარებს მოსწავლეს კრიტიკულ აზროვნებას. აჩვენებს მას დასაბუთებულ, არგუმენტირებულ მსჯელობას. უნვითარებს სწორი დასკვნების გამოტანის უნარს, რაც უმნიშვნელოვანესია მათემატიკური აზროვნების განვითარებისათვის.

Manana Deisadze

Some sum's geometrical interpretation of fraction's

RESUME

fraction's different aspect and among them sum's learning in geometrical interpretation is very important in secondary step of education.

In this time must formed to pupil fraction's different aspect as part of whole's, and the result of divided and can interpretate this in exist of number.

In this article I was discuss the main means of geometry. It is clear such point developed pupil critical thinking, and improved them to make right conclusions.

It is very important to develop mathematical thinking.

Манана Деисадзе

Геометрическая интерпретация некоторых задач на дроби

РЕЗЮМЕ

Осмысление дробей в различных аспектах и изучение задач с ними в геометрической интерпретации очень важно на начальной ступени обучения. Еще на начальной ступени обучения у учащихся должно формироваться осмысление различных аспектов дробей, как частей единого целого, как результата деления и они должны смочь интерпретировать их на числовой оси. В труде обсуждены геометрические способы решения основных задач на дроби. Очевидно, что суждения такого рода развивают критическое мышление учащихся, приучают их рассуждать обоснованно и аргументированно, развивают навыки вынесения правильных выводов, что чрезвычайно важно для развития математического мышления.

ნინო ჭელიძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, აკადემიური დოქტორი, მოწვეული პროფესორი

ფუნქციის ექსტრემუმის ამოცანების ამოხსნის ზოგიერთი ხერხი

არსებობს მათემატიკური ამოცანები, რომელთაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ კლასიკური. ერთ - ერთმა ასეთმა ამოცანამ განსაკუთრებული როლი შეასრულა მათემატიკის ისტორიაში: ეს არის ფუნქციის ექსტრემუმის მოძებნის ამოცანა. სწორედ ამ ამოცანასთან არის დაკავშირებული მათემატიკური ანალიზის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის – დიფერენციალური აღრიცხვის აღმოჩენა. დიდხანს არ არსებობდა ერთიანი მეთოდი, რომელიც ფუნქციის ექსტრემუმების მოძებნის ამოცანის ამოხსნის საშუალებას მოგვცემდა. 1629 წელს ფერმამ ჩამოაყალიბა წესი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ფუნქციათა საკმაოდ ფართო კლასის ექსტრემუმების მოძებნა. თანამედროვე აღნიშვნებში, თითქმის ყოველგვარი ცვლილების გარეშე, იგი ასე გამოითქმის:

ვთქვათ, გვინდა x ცვლადზე დამოკიდებული რაღაც f ფუნქციის მაქსიმუმის ან მინიმუმის პოვნა. ამისათვის დავეწროთ $f(x+h) \approx f(x)$ მიახლოებითი ტოლობა, სადაც h საკმაოდ მცირეა. გავამარტივოთ ეს ტოლობა, შევკრიბოთ მსგავსი წევრები, რის შემდეგაც გავყოთ იგი h -ზე ან h -ის უმაღლეს შესაძლებელ ხარისხზე, შემდგომ უკუვაგდოთ წევრები, რომლებიც ჯერ კიდევ შეიცავენ h -ს და მიახლოებითი ტოლობა ზუსტი ტოლობით შევცვალოთ. მივიღებთ განტოლებას, რომლის ამონახსნებია x - ის ის მნიშვნელობები, რომელთათვისაც f - ს შესაძლოა ჰქონდეს ექსტრემუმი. საინტერესოა ფერმას მიერ დეკარტისადმი გაგზავნილი ხელნაწერი თხზულება, რომელშიც ჩამოყალიბებულია ზემოთ მოყვანილი წესი და ორი ამოცანა, რომელთაგან ერთ - ერთი ეხება ფუნქციის ექსტრემუმის პოვნას. კერძოდ, AC მონაკვეთზე საპოვნია ისეთი E წერტილი, რომ მართკუთხედს, რომლის გვერდებია AE და EC, უდიდესი ფართობი ჰქონდეს. ვთქვათ, AC მონაკვეთის სიგრძეა a , ხოლო AE მონაკვეთის – x . მაშინ AE -სა და EC -ზე აგებული მართკუთხედის ფართობი ჩაიწერება, როგორც ერთი ცვლადის ფუნქცია:

$$S(x) = x(a - x)$$

ფერმა აგრძელებს ამ ამოცანის ამოხსნას მის მიერ შემოღებული წესის მიხედვით და იღებს განტოლებას: $a - 2x = 0$. ეს სწორედ ის განტოლებაა, რომელიც მიიღება ფუნქციის გაწარმოებით, საიდანაც ვღებულობთ, რომ საძიებელი მართკუთხედი კვადრატია. ამგვარად, ფერმას თავისი წესით შემოულია წარმოებული. ამიტომაც ლაგრანჟი, ლაპლასი და ფურიე ფერმას მიიჩნევდნენ დიფერენციალური აღრიცხვის აღმომჩენად, მის სახელს კი ატარებს დიფერენციალური აღრიცხვის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი თეორემა: თუ რაიმე შუალედში განსაზღვრული $f(x)$ ფუნქცია წარმოებადია შუალედის შიგა x_0 წერტილში და ამ წერტილში მას აქვს თავისი უდიდესი ან უმცირესი მნიშვნელობა, მაშინ $f'(x_0) = 0$.

დიდი ყურადღება ეთმობა ექსტრემუმების მოძებნის საკითხს არა მარტო უმაღლეს სასწავლებლებში მათემატიკური ანალიზის შესწავლისას, არამედ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ანალიზის საწყისების შესწავლისას, რაც აისახება ერთიანი ეროვნული გამოცდების მათემატიკურ ტესტებში. მაგალითად, ერთ - ერთი საგამოცდო ტესტის მე - 40 დავალებაში წარმოდგენილია შემდეგი ამოცანა:

ასაშენებელია თალი, რომელსაც უნდა ჰქონდეს მართკუთხედზე ზემოდან დამატებული ნახევარწრის ფორმა და 10 მ - ის ტოლი პერიმეტრი. ამ პირობებში რისი ტოლი უნდა იყოს მართკუთხედის გვერდები, რომ თალს ჰქონდეს უდიდესი ფართობი?

ამ ამოცანის ამოხსნის სხვადასხვა გზა არსებობს: ეროვნული სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით ეს ამოცანა შეიძლება ამოიხსნას კვადრატული ფუნქციის თვისებების გამოყენებით. მართლაც, ვთქვათ, მართკუთხედის ფუძის სიგრძე x მეტრია, ხოლო სიმაღლე - y მეტრი. რადგან თალის პერიმეტრი 10 მ -ია, ამიტომ გვაქვს განტოლება:

$$x + 2y + \frac{\pi x}{2} = 10, \text{ საიდანაც}$$

$$y = 5 - \frac{\pi + 2}{4} x.$$

თუ გამოვსახავთ თაღის S ფართობს x ცვლადის საშუალებით, მივიღებთ:

$$S(x) = 5x - \frac{\pi + 2}{4} x^2 + \frac{\pi}{8} x^2 = -\frac{\pi + 4}{8} x^2 + 5x.$$

მიღებული ფუნქციის გრაფიკი წარმოადგენს პარაბოლას, რომლის შტოები მიმართულია ქვემოთ, ამიტომ ფუნქციას ექნება მაქსიმუმი პარაბოლის წვეროში, ამასთან წვეროს აბსცისა

$$x_0 = -5 : \left(-\frac{\pi + 4}{4}\right) = \frac{20}{\pi + 4} \text{ მ,}$$

ხოლო მართკუთხედის მეორე გვერდის სიგრძე

$$y_0 = 5 - \frac{\pi + 2}{4} \cdot \frac{20}{\pi + 4} = \frac{10}{\pi + 4} \text{ მ.}$$

ეს ამოცანა შეიძლება ამოიხსნას წარმოებულის გამოყენებითაც: თუ განვიხილავთ თაღის ფართობს, როგორც ერთი ცვლადის ფუნქციას, მაშინ

$$S'(x) = 5 - \frac{\pi + 2}{2} x + \frac{\pi}{4} x.$$

თუ მიღებულ წარმოებულს გავუტოლებთ 0 - ს, მივიღებთ სტაციონალურ წერტილს

$$x = \frac{20}{\pi + 4},$$

რომლის მარჯვნივ რიცხვით ღერძზე ფუნქციის წარმოებული უარყოფითია, ხოლო მარცხნივ - დადებითი.

ე.ი. ფუნქციას აქვს მაქსიმუმი x წერტილში, ხოლო თავად მაქსიმუმი $y = \frac{10}{\pi + 4}$ - ის

ტოლია.

ახლა განვიხილოთ თაღის ფართობი, როგორც ორი ცვლადის ფუნქცია. მაშინ საქმე გვექნება ე.წ. პირობით ექსტრემუმთან. ეს ის შემთხვევაა, როცა ვემბთ ექსტრემუმებს ფუნქციისა, რომლის არგუმენტები დაკავშირებულნი არიან რაიმე დამოკიდებულებით. აქ ჩვენ ვიხილავთ ლაგრანჟის დამხმარე ფუნქციას:

$$L(x, y, \mu) = xy + \frac{\pi}{8} x^2 + \mu \left(x + 2y + \frac{\pi}{2} x - 10\right)$$

ლაგრანჟის მეთოდის გამოყენებით თაღის ფართობის ორი ცვლადის ფუნქციის პირობითი ექსტრემუმის ამოცანა დაიყვანება ლაგრანჟის ფუნქციის თავისუფალი ექსტრემუმის პოვნაზე. ეს მეთოდი გვაძლევს ექსტრემუმის არსებობის მხოლოდ აუცილებელ პირობას. ექსტრემუმის საპოვნელად ლაგრანჟის ფუნქციის კერძო წარმოებულებს ვუტოლებთ 0 - ს და ვხსნით შემდეგ სისტემას:

$$\begin{cases} y + \frac{\pi}{4} x + \mu \left(1 + \frac{\pi}{2}\right) = 0 \\ x + 2\mu = 0 \\ x + 2y + \frac{\pi}{2} x = 10 \end{cases}$$

საიდანაც ვღებულობთ:

$$\begin{cases} x = -2\mu \\ y = -\mu \\ \mu = -\frac{10}{\pi + 4} \end{cases}$$

რაც გვაძლევს საბოლოო შედეგს.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ექსტრემუმის საკითხი ძალიან აქტუალურია არა მარტო მათემატიკაში, არამედ ეკონომიკაში, არქიტექტურაში, ტექნიკურ, საინჟინრო და სხვა სფეროებში, რომელთა განხილვა და შესაბამისი პრობლემების გადაჭრა მოითხოვს მათემატიკური ხერხების გამოყენებას.

ლიტერატურა

1. ვლ. ჭელიძე, ე. წითლანაძე – მათემატიკური ანალიზის კურსი, ტ. I, II, 1975
2. ავთანდილ ბენდუქიძე – მათემატიკა, სერიოზული და სახალისო, 1988
3. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი – როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, მათემატიკა, 2008
4. Б.П. Демидович – Сборник задач и упражнений по мат. анализу.
5. В.А. Ильин, Э.Г. Позняк – Основы математического анализа, I,II

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ფუნქციის ექსტრემუმის მოძებნის ზოგიერთი ხერხი.

Nino Chelidze – Faculty of Exact and Natural Sciences I. Javakhishvili Tbilisi State University, PhD, Invited Professor.

Some methods of solving the function extremum problems

Summary

The article discusses some methods to solve the function extremum problems.

Нино Челидзе – Факультет точных и естественных наук Тбилисского гос. университета им. И.Джавахишвили, PhD, приглашенный профессор

Некоторые методы нахождения экстремумов функций

Резюме

В статье рассматриваются некоторые методы решения экстремальных задач.

მამული ბუჭუხიშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მზია მამასახლისი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი, აკადემიური დოქტორი

შემცნებითი აზროვნების გააქტიურება მათემატიკის გაკვეთილზე დაწყებით კლასებში

სწავლება არის მიზანმიმართული პედაგოგიური პროცესი, რომელიც სტიმულს აძლევს მოსწავლეს სასწავლო აღმზრდელობით პროცესში ჩაერთოს ისე, რომ გაააქტუროს საკუთარი აზროვნება, შემოქმედებითი უნარი და გაეცნოს მეცნიერულ მიღწევებს.

მასწავლებელმა ამა თუ იმ ფორმით უნდა გააღვიძოს მოსწავლეში აქტივობისა და ცოდნის დაუფლების სურვილი, სხვა შემთხვევაში სწავლება ნაკლებად ეფექტურია.

არსებობს მოსწავლთა აქტივობის მრავალი მეთოდები და მაგალითები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ სწავლების პროცესში. მათ შორის განსაკუთრებით ყურადსაღებია:

- ჯგუფური და წიგნთან სხვადასხვა ფორმით მუშაობა
- წახალისების ყველა შესაძლო ვარიანტის - მათ შორის, „საუკეთესო მათემატიკოსი“, „დიფირენცირებელი საშინაო დავალება“ - გამოყენება.
- მსგავსების გამოყენება დამოუკიდებელ მუშაობაში.
- პრობლემური სიტუაციების გამოყენება.
- ცოდნის მიღება დამოუკიდებლად ამოცანების ამოხსნისას.
- სხვადასხვ სახის ტესტირება.

სასწავლო პროცესში, ეფექტურად და შედარებით ხშირად გამოვიყენებთ ჯგუფურ მუშაობას. ამ დროს ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი არის თემის შერჩევა და კლასის განწყობა. ახალი მასალის შესასწავლად, დავამუშავებთ სწავლების ტექნოლოგიას და მისაღები შედეგების კონტროლის ფორმებს.

როდესაც ვიყენებთ სწავლების ასეთ მეთოდს აუცილებელია ჯგუფი დაიყოს მცირე ჯგუფებად და თითოეულ მათგანში ავირჩიოთ მოსწავლე „კონსულტანტი“, რომელიც მასწავლებლისაგან მიღებული ინფორმაციით კონსულტაციას გაუწევს ჯგუფს. შემდეგ შევადგინთ აღრიხცვის რუქას სადაც მოცემული გვექნება: მოსწავლის გვარი, სახელი, დავალებების რაოდენობა და მათი შესრულების შეფასება. როდესაც გვინდა გავიგოთ თუ როგორ არის ათვისებული ახალი მასალა, გაკვეთილის ბოლოს შეიძლება მოსწავლეებს მივცეთ პატარა ტესტი შესრულებული სამუშაოდან.


სწავლების პირველ საფეხურზე შემცნებითი აზროვნების გააქტიურების მიზნით უკვე შეიძლება შემოვიტანოთ გამოყენები ხასიათის ისეთი ამოცანები, რომელთა ამოხსნის პროცესში შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა მონაცემები: მაგალითად, განვსაზღვროთ ქალაქს მოსახლეობის რაოდენობა, სპორტულ ან სხვა სახის ღონისძიებებზე მაყურებელთა რაოდენობა, შევადგინოთ სხვადასხვა სახის სააზროვნო ლოგიკური ამოცანები და სხვა.

ამოცანა: განვსაზღვრეთ ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა თუ ერთი „+“ დასმულია 60000 კაცის ნაცვლად (ნახ. 1).

ბათუმი	++++
ქუთაისი	+++++
რუსთავი	+++
ზუგდიდი	++

ნახ. 1.

მოსწავლეს შეიძლება ასეთი ტიპის ამოცანა დაუსვათ სხვაგვარადაც. მოცემულია გარკვეული შკალა და მასზე ქალაქები. დავადგინოთ რამდენი მცხოვრებია ამა თუ იმ ქალაქში.



მოსწავლე მოცემულობის მიხედვით დაადგენს მოსახლეობის რაოდენობას და შეიძლება შევადგინოთ ცხრილი

ქალაქი	დამრგვალებული რაოდენობა
თელავი	
გორი	
ქუთაისი	
თბილისი	


ნახ. 3.

ანალოგიურად შეიძლება განვსაზღვროთ მოსწავლეთა მაყურებელთა რაოდენობა საფეხბურთო მატჩებზე. მათ დამოუკიდებლად შევადგინებ ამოცანას, იმ გუნდების მონაწილეობით, რომელსაც ისინი გულშემატკივრობენ (ნახ. 4).

საფეხბურთო გუნდი	მაყურებელთა რაოდენობა
ბარსელონა	
რეალი	
მილანი	
იუვენტუსი	
ლივერპული	

ასეთი ამოცანის დამოუკიდებლად შედგენისას მოსწავლე მაქსიმალურად იყენებს თავის ცოდნას სხვა საგნებიდან და მეტი ინტერესით შეადგენს მას. ამ დროს ამოხნის პროცესი შემოქმედებითად მიდის და შედეგიც კარგია.

მოსწავლეებს ასევე შევადგინებთ ისეთი სახის ამოცანას, რომელიც რაღაც ინტერესს ექვემდებარება და იწვევს მათში გარკვეული „აზარტს“, სადაც პირობაში აგმოჩნდება წამახალისებელი მომენტები. მაგალითად: მოცემული გვაქვს ოთხი ჭურჭელი, რომელშიაც მოთავსებულია ლურჯი და წითელი ბურთები: წითელი „+“, ლურჯ „-“; მოსწავლეს ავუხსნი, რომ შენ მოიგებ თუ ამოიღებ წითელი ბურთულას, ხოლო წააგებ ლურჯის ამოღების შემთხვევაში. რომელ ჭურჭელს აირჩევდი



მოსწავლეთა აზროვნების განვითარებისათვის საინტერესოა ისეთი ამოცანების ამოხსნა სადაც მათ დამოუკიდებლად უნდა გააკეთონ არჩევანი. მაგალითად ერთ ჭურჭელში მოთავსებულია 8 ბურთულა, რომლებზედაც დასმულია რიცხვები 1-დან 8-მდე. მოსწავლეს შეუძლია ამოიღოს მხოლოდ ერთი ბურთულა. მოცემული გვაქვს თამაშის სხვადასხვა წესი:

1. ყოველი კენტი რიცხვი იგებს
2. ყველა 3-ზე მეტი რიცხვი იგებს
3. 3-ის ჯერადი ყველა რიცხვი იგებს
4. 6-ის გამყოფი ყველა რიცხვი იგებს

დავსვათ კიხთვას: ა) დაწერე რომელი ბურთულა უნდა ამოიღო რომ მოიგო №1, №2, №3, და №4 წესებით?

ბ) რომელი თამაშის წესს აირჩევდი?

გ) რომელი თამაშის წესით არის ყველაზე დდი მოგების შანსი?

ანალოგიურად შეიძლება შევადგინოთ ამოცანები მოსწავლეებს მათთვის საყვარელ საჭმელზე და სხვადასხვა ნივთზე, სადაც საჭირო გახდება ზეპირი და წერიტი სწრაფი გამოანგარიშებები.

ასეთი მაგალითების ამოხსნის გზების შესწავლით მოსწავლეებისათვის კლასში იქმნება ისეთი ფსიქოლოგიური კლიმატი, რომელიც იწვევს მოსწავლეთა კმაყოფილებას. საუკეთესო ურთიერთობა მყარდება მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, გაკვეთილებზე მსჯელობისას არ იკარგება არც ერთი წუთი და აქედან გამომდინარე შედეგებიც ხელშესახება. რაც მთავარია მოსწავლე ეჩვევა სწრაფ, სწორ და დროში ორიენტირებულ აზროვნებას, რომელიც მომავალში საფუძველი ხდება მივალწიოთ ცოდნის მაღალ დონეს.

ლიტერატურა

1. გზამკვლევი მასწავლებლებისათვის მათემატიკა I-VI კლასი. ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი 2011
2. ეროვნული სასწავლო გეგმა საგნობრივი პროგრამა მათემატიკაში. 2011-2016
3. მოქმედი სასკოლო სახელმძღვანელოები

რეზიუმე

მოსწავლე სასწავლო პროცესში უნდა ჩაერთოს ისე, რომ მასწავლებელმა მასში გაადვილოს აქტივობისა და ცოდნის დაუფლების სურვილი, არსებობს მოსწავლეთა აქტივობის მრავალი ფორმა, რომელთა გამოყენება ხდება სწავლებაში. მათ შორის გამოიყოფა რამდენიმე რომელსაც განსაკუთრებული როლი ენიჭება.

სტატიაში განვიხილეთ აქტივობის ისეთი ფორმები, რომლებიც გამოიყენება შედარებით ხშირად და ეფექტურად. ისინი ხელს უწყობენ კლასის განწყობის შექმნას სწავლისათვის და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენები ცოდნის მაღალი დონის მიღწევას.

სწავლების პირველ საფეხურზე შემეცნებითი აზროვნების გააქტიურების მიზნით შემოვიტანეთ გამოყენებითი ხასიათის სხვადასხვა ტიპის ამოცანა. მათი დამოუკიდებლადმდეგენისას მოსწავლე მაქსიმალურდ იყენებს თავის ცოდნას სხვა და მონათესავე ლდისციპლინებიდან, ამიტომ ამოცანების ამოხსნის პროცესი მიდის შემოქმედებითად. და მოსწავლეებში იწვევს გარკვეულ „აზარტს“, რადგანაც ის ექვემდებარება მოსწავლის გარკვეულ ინტერესს.

სტატიაში ასევე განვიხილეთ ისეთი ამოცანები, სადაც მოსწავლემ დამოუკიდებლად უნდა გააკეთოს არჩევანი. ასეთი ამოცანების ამოხსნისას კლასში იქნება ისეთი ფსიქოლოგიური კლიმატი, რომელიც იწვევს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის საუკეთესო დამოკიდებულებას და შედეგი ხდება თვალსაჩინო.

MamuliBuchikhishvili – AkakiTsereteli State University, Associate Professor
MziaMamasakhlisi - AkakiTsereteli State University, Academic Doctor

The Activation of Cognitive Thinking in a Mathematics Lesson of Primary School Summary

During the study process, pupil must be involved so that teacher can awake his/her wish to be active and acquire the knowledge. There are existed many forms of pupils activity, which are used in their studies, and several ones can be picked out among them, which must be awarded with a special role.

The paper dwells on those forms of activity, which are often and effectively used. They contribute to the creation of class attitude for studying and by using the modern technologies, for reaching the high level of knowledge.

For the purpose of the activation of cognitive thinking at the first step of education, we have introduced the various types of applied nature problems, and pupils maximally use their knowledge in other and related disciplines when they independently construct them. Therefore, the process of problem solution goes creatively, and it awakes a certain excitement of pupils, since the solution of these problems is subject to pupil's certain interests.

There are also considered in a given article the problems, where the pupils must make their choice independently. During solution of these problems, there is created in classroom psychological climate, which arises the best relations between teacher and pupil, and consequently the result is obvious and positive.

Мамули Бучухишвили – ассоциированный профессор Государственного университета Акакия
Церетели
Мзия Мамасакхлиси – академический доктор Государственного университета Акакия Церетели

Активизация творческого мышления на уроке математики.

Резюме.

Ученик должен быть включен в учебный процесс таким образом, чтобы учитель мог пробудить в нем желание активности и овладения знаниями. Существует множество форм активности учащихся, применение которых осуществляется в процессе обучения. Среди них выделяется несколько, которым мы можем придать особую роль.

В статье мы обсудили такие формы активности, применение которых происходит довольно часто и эффективно. Они способствуют созданию в классе настроения к учебе и применяются с современными технологиями для достижения высокого уровня знаний.

На первом этапе обучения, с целью активизации творческого мышления, мы ввели различные типы задач прикладного характера, при самостоятельном составлении которых учащиеся максимально применяют свои знания из разных дисциплин. Поэтому процесс решения задач протекает творчески и вызывает среди учащихся определенный «азарт», так как решение такого рода задач вызывает определенный интерес учащихся.

В статье мы обсудили задачи, где ученик должен самостоятельно сделать выбор. Во время решения таких задач в классе создается такой психологический климат, который вызывает прекрасное взаимоотношение между учащимися и преподавателем и результат становится наглядным.

თეიმურაზ გიორგაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი, აკადემიური დოქტორი

ალბათობის თეორიის ელემენტების სწავლების ზოგიერთი ასპექტი

როგორც ცნობილია სტატისტიკა შერჩევის მიხედვით პოპულაციაზე დასკვნების გამოტანის მეთოდებს შეისწავლის. მისი საფუძველია ალბათობის თეორია, ვინაიდან ალბათობა განუსაზღვრელობისა და მასთან დაკავშირებული რისკის საზომია.

შემთხვევითი ექსპერიმენტი, ანუ უზრალოდ ექსპერიმენტი (ცდა) ეწოდება პირობათა რაიმე გარკვეული S კომპლექსის განხორციელებას, იგულისხმება რომ:

1. ექსპერიმენტის ჩატარებამდე შესაძლებელია ყველა შესაძლო ურთიერთუგამომრიცხავი შედეგის მითითება;
2. ექსპერიმენტის ჩატარებამდე შეუძლებელია მისი შედეგის ცალსახად განსაზღვრა;
3. შესაძლებელია ექსპერიმენტის მრავალჯერადი განმეორება.

ექსპერიმენტი აღიწერება (აღწერის დეტალიზაციის დონეს ექსპერიმენტის მიზანი განაპირობებს) მისი ურთიერთგამომრიცხავი შედეგების სრული ჩამონათვალი. ამ შედეგებს ელემენტარული ხდომილებები ეწოდება, ხოლო მათ სრულ ერთობლიობას - ელემენტარულ ხდომილებათა სივრცე (სიტყვა „სივრცე“ ამ კონტექსტში სავსებით ბუნებრივია, რადგან ექსპერიმენტის ყოველ შედეგს შეესაბამება სივრცის გარკვეული ელემენტი და პირიქით. სივრცის ელემენტს წერტილს უწოდებენ).

ელემენტარული ხდომილობების რაიმე ერთობლიობას შედგენილ ხდომილობას, ან უზრალოდ ხდომილობას უწოდებენ. ამრიგად, ხდომილობა ელემენტარულ ხდომილობათა სივრცის ქვესიმრავლეა (სიზუსტისთვის შევნიშნოთ, რომ საზოგადოდ Ω სივრცის ყოველი ქვესიმრავლე არაა ხდომილობა).

ვიტყვი, რომ ცდის შედეგად ხდება A ხდომილობა, თუ ცდას მოყვა ისეთი w ელემენტარული ხდომილობა, რომელიც A -ს ეკუთვნის. შემთხვევითი ექსპერიმენტის განსაზღვრიდან ცხადია, რომ Ω -ს ყოველი ქვესიმრავლე A , გარდა თვით Ω -სი და \emptyset ცარიელი სიმრავლისა (რომელიც არცერთ ელემენტარულ ხდომილობას არ შეიცავს), შემთხვევითი ხასიათისაა, ანუ შემთხვევითი ხდომილობა: ექსპერიმენტის ჩატარებამდე ვერ ვიტყვით, მოხდება თუ არა A . რაც შეეხება Ω -ს, იგი ცდის ყოველი ჩატარებისას ხდება, ანუ აუცილებელი ხდომილობაა, ხოლო \emptyset წარმოადგენს შეუძლებელ ხდომილობას, რომელიც ცდის არცერთი ჩატარებისას არ მოხდება.

როგორ ვხედავთ, ხდომილობა სხვა არაფერია, თუ არა სიმრავლეთა თეორიის ძირითადი ობიექტი - სიმრავლე; ამიტომ ოპერაციები შემთხვევით ხდომილობებზე ზუსტად იმდაგვარად განიმარტება, როგორც ჩვეულებრივ სიმრავლეებზე. უზრალოდ ამ ოპერაციებს სიმრავლეთა თეორიისაგან განსხვავებული სახელები ჰქვია (თუმცა, ხშირად მიმართავენ სიმრავლეთა თეორიის ენასაც). განვიხილოთ ცხრილი :

ჩანაწერი	სიმრავლეთა თეორიის ენა	ალბათობათა თეორიის ენა
Ω	სივრცე	აუცილებელი ხდომილობა
\emptyset	ცარიელი სიმრავლე	შეუძლებელი ხდომილობა
$\omega \in A$	ω ეკუთვნის A სიმრავლეს	ხდება ახდომილობა
\bar{A}	A სიმრავლის დამატება	A -ს საწინააღმდეგო ხდომილობა (A ხდომილობა არ ხდება)
$A \cap B$	A და B სიმრავლეების თანაკვეთა	A და B ხდომილობათა ნამრავლი (თანაკვეთა) (A და B ხდომილობები ერთად ხდება)
$A \cup B$	A და B სიმრავლის გაერთიანება	A და B ხდომილობის ჯამი (გაერთიანება) (ხდება ერთი მაინც A და B ხდომილობებიდან)
$A \setminus B$	A და B სიმრავლეების სხვაობა	A და B ხდომილობათა სხვაობა (ხდება A და არ ხდება B ხდომილობა)
$A \subset B$	A სიმრავლე B -ში	ახდომილობა იწვევს B -ს.

A და B ხდომილობათა $A \cup B$ ჯამი (ანუ გაერთიანება) ეწოდება ისეთ ω ელემენტარული

ხდომილებების ერთობლიობას, რომლებიც ეკუთვნიან ერთ-ერთს მაინც A და B ხდომილობათაგან.

A და B ხდომილობათა $A \cap B$ ნამრავლი (ანუ თანაკვეთა) ეწოდება ისეთ ω -ების ერთობლიობას, რომლებიც ეკუთვნიან A-ს და B-ს ერთდროულად. თუ $A \cap B = \emptyset$, მაშინ ვიტყვით რომ A და B ხდომილობები უთავსებადია (ისინი არ ხდება ერთდროულად).

ზოგჯერ A და B ხდომილობათა ნამრავლის (თანაკვეთას) ჩვენ აღვნიშნავთ $A \cdot B$; ხოლო უთავსებად A და B ხდომილობათა ჯამისთვის ვამჯობინებთ $A + B$ აღვნიშნავს.

A და B ხდომილობათა $A \setminus B$ სხვაობა ეწოდება ისეთი ω -ების ერთობლიობას; რომლებიც ეკუთვნიან A-ს და არ ეკუთვნიან B-ს.

A-ს საწინააღმდეგო ხდომილობაა $\bar{A} = \Omega \setminus A$.

ცხადია, რომ $A \setminus B = A \cap \bar{B}$; ხოლო $(\bar{A}) = A$. ამბობენ, რომ A ხდომილობა იწვევს B-ს (თუ მოხდა A, მოხდა B ხდომილობაც) და წერენ $A \subset B$, თუ A-ში შემავალი ყოველი ელემენტარული ხდომილობა შედის B-შიც.

ორ ხდომილობას ეწოდება ტოლი, თუ $A \subset B$ და $B \subset A$ ჩართვები ერთდროულად სრულდება.

ვთქვათ, შემთხვევით ექსპერიმენტს ელემენტარული ხდომილობათა Ω სივრცე შეესაბამება და $A \subset \Omega$.

ამ ექსპერიმენტის n-ჯერ ჩატარებისას A ხდომილობის სიხშირე

$v_n(A)$ იმ ცდათა რაოდენობაა, რომელთაც მოჰყვა A ხდომილობა. ცხადია, რომ ყოველი n-ისათვის

$$0 \leq v_n(A) \leq n; \quad v_n(\Omega) = n; \quad v_n(\emptyset) = 0$$

აგრეთვე, თუ A და B ხდომილობები უთავსებადია (ანუ $A \cdot B = \emptyset$, ე.ი. არ არსებობს ცდის ისეთი გამეორება, რომლის შედეგად დამდგარი ელემენტარული ხდომილობა A-საც ეკუთვნის და B-საც) მაშინ

$$v_n(A + B) = v_n(A) + v_n(B)$$

თუ ახლა შემოვიღებთ

$$f_n(A) = \frac{v_n(A)}{n}$$

ფარდობით სიხშირეს, მაშინ სიხშირეთა თვისებები მოგვცემს შემდეგ თვისებებს, რომლებიც სამართლიანია ნებისმიერი n-ისთვის:

1. ნებისმიერი A ხდომილობისათვის $0 \leq f_n(A) \leq 1$
2. $f_n(\Omega) = 1; f_n(\emptyset) = 0$
3. თუ $A \cdot B = \emptyset$; მაშინ $f_n(A + B) = f_n(A) + f_n(B)$

ფართობით სიხშირეთა შესანიშნავი და უმთავრესი თვისებაა მათი მდგრადობა, რაც შემდეგში მდგომარეობს. ფართობითი სიხშირის ყოფაქცევა ექსპერიმენტის განმეორებათა ზრდის კვალობაზე მცირედ იცვლება ცდათა საკმაოდ დიდი რაოდენობის მიღწევის შემდეგ და მრავალი ცდისაგან შემდგარი ერთი სერიიდან სხვა ასეთივე სერიაზე გადასვლისას.

ფართობითი სიხშირის მდგრადობა გვაფიქრებინებს დავუშვათ, რომ $f_n(A)$ ზომავს ობიექტურად არსებულ $P(A)$ რიცხვს - A ხდომილობის ალბათობას, რომელიც მოცემულ ცდაში ხდომილობის შესაძლებლობის ხარისხის მახასიათებელია: $f_n(A) = P(A)$ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ გაზომვის სიზუსტე და საიმედოობა იზრდება ცდათა რაოდენობის ზრდისას.

ლიტერატურა:

1. ნ. ლაზრივა, მ. მანია, გ. მარი, ა. მოსიძე, ა. ტორონჯაძე, თ. ტორონჯაძე, თ. შერვაშიძე. ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა ეკონომისტებისთვის. თბილისი 2000 წ.
2. თ. გიორგაძე ქუთაისი 2003. ალბათობის თეორიის ელემენტები.

რეზიუმე

როგორც ცნობილია სტატისტიკა შერჩევის მიხედვით პოპულაციაზე დასკვნების გამოტანის მეთოდებს შეისწავლის. მისი საფუძველია ალბათობის თეორია, ვინაიდან ალბათობა განუსაზღვრელობის და მასთან დაკავშირებული რისკის საზომია.

ნაშრომში საუბარია ალბათობის თეორიის ელემენტების სწავლების ზოგიერთ ასპექტზე.

Teimuraz Giorgadze

Some Aspects of Teaching the Elements of the Theory of Probability

Abstract

It is well-known that statistic studies the methods of using information from a sample to draw conclusions about the population. It is based on the Theory of Probability measures uncertainty and the risk connected with it. The work discusses some aspects of teaching the elements of the theory of Probability.

Теимураз Гиоргадзе

Некоторые аспекты преподавания элементов теории вероятности

Резюме

Как известно, статистика изучает методы помучения выводов о популяции посредством выбора её основой является теория вероятности, так как вероятность является мерой неопределённости и связанного с ней риска.

В труде речь идет о некоторых аспектах преподавания элементов теории вероятности.

თეიმურაზ გიორგაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი, აკადემიური დოქტორი

ქეთევან ზვიადაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ირმა ჩხიკვაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

თავსებად ხდომილობათა გაერთიანების ალბათობის ზოგიერთი პრაქტიკული ასპექტი

ალბათობის თეორია არის მათემატიკური მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს მასობრივი შემთხვევითი მოვლენების კანონზომიერებებს. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თუ დავაკვირდებით ერთგვაროვან შემთხვევით მოვლენათა ერთობლიობას შეგვიძლია აღმოვაჩინოთ გარკვეული კანონზომიერებანი, რომლებიც სწორედ მასობრივი მოვლენებისათვის არის დამახასიათებელი.

გავარჩიოთ ზოგიერთი პრაქტიკული შემთხვევა, რომელთაც ადგილი აქვს თავსებად ხდომილობათა გაერთიანების დროს.

ვთქვათ, A და B თავსებადი ხდომილობებია, მაშინ ორი თავსებადი ხდომილობის გაერთიანების ალბათობა ტოლია ამ ხდომილობების ალბათობების ჯამს გამოკლებული მათი ერთდროულად მოხდენის ალბათობა.

$$P(A \cup B) = P(A) + P(B) - P(A \cap B) \quad (1)$$

დავუშვათ, გვაქვს სამი თავსებადი ხდომილობა, მაშინ ამ ხდომილობათა გაერთიანების ალბათობა ტოლი იქნება შემდეგის:

$$P(A \cup B \cup C) = P(A) + P(B) + P(C) + P(A \cap B \cap C) - P(A \cap B) - P(A \cap C) - P(B \cap C) \quad (2)$$

განვიხილოთ მაგალითები:

1. აგორებენ ორ კამათელს, ვიპოვოთ ალბათობა იმისა, რომ ერთ-ერთ მათგანზე მაინც მოვა ექვსი ქულა.

ამოხსნა: აღვნიშნოთ ხდომილობები:

A – „პირველი კამათელის გაგორებისას მასზე მოვა ექვსიანი“.

B – „მეორე კამათელის გაგორებისას მასზე მოვა ექვსიანი“.

ჩვენი მიზანია ვიპოვოთ C = A ∪ B ხდომილობის ალბათობა.

რადგან A და B ხდომილობები თავსებადია, მასთან $P(A) = \frac{1}{6}$; $P(B) = \frac{1}{6}$ და $P(A \cap B) = \frac{1}{36}$;

ამიტომ ვისარგებლოთ (1) ფორმულით, გვექნება :

$$P(C) = P(A \cup B) = P(A) + P(B) - P(A \cap B) = \frac{1}{6} + \frac{1}{6} - \frac{1}{36} = \frac{11}{36}.$$

2. მაღაზიაში შესული მამაკაცი რაიმეს ყიდულობს 0,1- ის ტოლი ალბათობით, ხოლო მანდილოსანი კი – 0,6 –ის ტოლი ალბათობით. მაღაზიაში შევიდა ერთი მამაკაცი და ორი მანდილოსანი. ვიპოვოთ ალბათობა იმისა, რომ ერთ-ერთი პირი მაინც იყიდის რაიმეს.

ამოხსნა: აღვნიშნოთ ხდომილობები:

A – „ყიდულობს მამაკაცი“ ;

B_1 – „ყიდულობს პირველი მანდილოსანი“ ;

B_2 – „ყიდულობს მეორე მანდილოსანი“.

თუ C– თი აღვნიშნავთ ხდომილობას – „ ერთ-ერთი პირი მაინც იყიდის რაიმეს“, მაშინ $C = A \cup B_1 \cup B_2$ და (2) ფორმულის თანახმად გვექნება:

$$P(C) = P(A) + P(B_1) + P(B_2) + P(A \cap B_1 \cap B_2) - P(A \cap B_1) - P(A \cap B_2) - P(B_1 \cap B_2)$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ ხდომილობები A, B_1 და B_2 დამოუკიდებელია, მასთან ამოცანის პირობით $P(A) = 0,1$; $P(B_1) = P(B_2) = 0,6$; ამიტომ გვექნება:

$$P(C) = 0,1 + 0,6 + 0,6 + 0,1 \times 0,6 \times 0,6 - 0,1 \times 0,6 - 0,1 \times 0,6 - 0,6 \times 0,6 = 0,856.$$

3. ქუდის მოძებნის ამოცანა. ამ შემთხვევაში ხდომილებათა რაოდენობა ზოგადია: იანვრის ერთ საღამოს რამდენიმე მეგობარი ერთად შეიკრიბა, რადგან ძალზე ციოდა, ამიტომ თითოეულმა მათგანმა შემოსასვლელში დატოვა თავისი ქუდი და მოსასხამებით დასხდნენ სასაუბროთ სასტუმრო ოთახში. ღამით შუქი ჩაქრა, მეგობრები დაიშალნენ და შემთხვევით დაიხურეს ის ქუდი, რომელიც ხელში მოხვდათ. მათ გადაწყვიტეს მეორე დღეს კვლავ შეკრებილიყვნენ და თავთავიანთი ქუდები დაებრუნებინათ ერთმანეთისთვის. ერთ-ერთმა მათგანმა სანუგეშოდ თქვა: "ვიმედოვნებ, ერთ-ერთმა ჩვენგანმა მაინც დაიხურა ახლა თავისი ქუდი".

გამოვარკვიოთ, რამდენად საფუძვლიანი იყო მისი წინადადება.

ამოხსნა: დავნომროთ საღამოს შეკრებილი მეგობრები: 1,2,3,...,n. ვთქვათ, A_i ხდომილობაა ($i=1,2,\dots,n$) - "I მეგობარმა დაიხურა თავისი ქუდი", მაშინ ხდომილობაა $A = A_1 \cup A_2 \cup A_3 \cup \dots \cup A_n$ აღნიშნავს - "ყოველ შემთხვევაში ერთმა მეგობარმა მაინც დაიხურა თავისი ქუდი". რადგან ხდომილობები $A_1, A_2, A_3, \dots, A_n$ არ არიან უთავსებადი, ამიტომ $P(A)$ -ს გამოთვლა რამდენადმე რთულდება.

ვთქვათ, A_1 და A_2 ხდომილობები თავსებადი ხდომილობებია, მაშინ (1) ფორმულის თანახმად $P(A_1 \cup A_2) = P(A_1) + P(A_2) - P(A_1 \cap A_2)$, თუ A_1, A_2 და A_3 ხდომილობები - თავსებადი ხდომილობებია, მაშინ (2) ფორმულის თანახმად გვაქვს:

$$P(A_1 \cup A_2 \cup A_3) = P(A_1) + P(A_2) + P(A_3) + P(A_1 \cap A_2 \cap A_3) - P(A_1 \cap A_3) - P(A_1 \cap A_2) - P(A_2 \cap A_3)$$

$$P(A_1 \cup A_2) \text{ და } P(A_1 \cup A_2 \cup A_3) \text{ შედარება გვკარნახობს, რომ } P(A_1 \cup A_2 \cup A_3 \cup \dots \cup A_n) = S_{1n} - S_{2n} + S_{3n} - S_{4n} + \dots \pm S_{nn} \quad (3)$$

სადაც

$$\begin{aligned} S_{1n} &= P(A_1) + P(A_2) + \dots + P(A_n) \\ S_{2n} &= P(A_1 \cap A_2) + P(A_1 \cap A_3) + \dots + P(A_{n-1} \cap A_n) \\ S_{3n} &= P(A_1 \cap A_2 \cap A_3) + P(A_1 \cap A_2 \cap A_4) + \dots + P(A_{n-2} \cap A_{n-1} \cap A_n) \\ P_{nn} &= P(A_1 \cap A_2 \cap A_3 \dots \cap A_n) \end{aligned}$$

ჩვენი დაშვების ჭეშმარიტება შევამოწმოთ მათემატიკური ინდუქციის მეთოდით. დავუშვათ, რომ (3) ფორმულა ჭეშმარიტია და განვსაზღვროთ $P(A_1 \cup A_2 \cup A_3 \cup \dots \cup A_n \cup A_{n+1})$

ვთქვათ, ხდომილობა $B = A_1 \cup A_2 \cup \dots \cup A_n$, მაშინ

$$\begin{aligned} P(A_1 \cup A_2 \cup A_3 \cup \dots \cup A_n \cup A_{n+1}) &= P(B \cup A_{n+1}) = P(B) + P(A_{n+1}) - P(B \cap A_{n+1}) = S_{1n} - S_{2n} + \dots + S_{nn} + P(A_{n+1}) - P(B \cap A_{n+1}) = (S_{1n} + P(A_{n+1})) + \\ &+ (S_{3n} + P(A_1 \cap A_2 \cap A_{n+1}) + P(A_1 \cap A_3 \cap A_{n+1}) + \dots + P(A_{n-1} \cap A_n \cap A_{n+1}) - \dots \pm P(A_1 \cap A_2 \cap \dots \cap A_n \cap A_{n+1})) = S_{1,n+1} - S_{2,n+1} + S_{3,n+1} - S_{4,n+1} + \dots + S_{n+1,n+1} \end{aligned}$$

ეს კი ამტკიცებს (3) ფორმულის სამართლიანობას.

რამდენადაც n რაოდენობის ქუდი n მეგობარმა თავ-თავიანთ თავებზე შეიძლება დაუიხურონ n! ხერხით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ რომელიმე i-ური ნომრის მეგობარი თავზე მოიკრებს თავის ქუდს, მაშინ დანარჩენები ქუდებს დაიხურავენ (n-1)! ხერხით, ამიტომ

$$P(A_i) = \frac{(n-1)!}{n!} = \frac{1}{n}$$

თუკი ორი მეგობარი (i-ური და j-ური ნომრების) თავთავიანთ ქუდებს დაიხურავენ, მაშინ დანარჩენები ქუდს თავზე დაიხურავენ (n-2)! ხერხით, აქედან გამომდინარეობს, რომ

$$P(A_i \cap A_j) = \frac{(n-2)!}{n!} = \frac{1}{n(n-1)}.$$

შესაბამისად,

$$P(A_i \cap A_j \cap A_k) = \frac{1}{n(n-1)(n-2)};$$

$$P(A_1 \cap A_2 \cap A_3 \cap \dots \cap A_n) = \frac{1}{n!}.$$

S_{1n} ჯამს გააჩნია n წევრი, ამიტომ

$$S_{1n} = \frac{1}{n} \times n = 1,$$

S_{n2} ჯამს გააჩნია C_n^2 წევრი, ამიტომ

$$S_{2n} = \frac{1}{n(n-1)} \times \frac{n(n-1)}{2!} = \frac{1}{2!}$$

ანალოგიურად

$$S_{3n} = \frac{1}{3!}; S_{4n} = \frac{1}{4!}, \dots, S_{nn} = \frac{1}{n!}$$

თუ მიღებულ მნიშვნელობებს გავითვალისწინებთ (3) ფორმულაში გვექნება:

$$P(A) = 1 - \frac{1}{2!} + \frac{1}{3!} - \frac{1}{4!} + \dots \pm \frac{1}{n!}.$$

როგორი იქნება დამოკიდებულება $P(A)$ -სა და n -ს შორის?

შევაგსოთ შემდეგი ცხრილი:

n	3	4	5	6	7	100
P(A)	0,6667	0,625	0,63333	0,63196	0,63214	0,63212

შედეგები მოულოდნელია; ალბათობა იმისა, რომ სამი კაციდან ერთი მაინც მოირგებს თავზე თავის ქუდს იგივეა, რაც ალბათობა იმისა, რომ ასი კაციდან ერთი მაინც მოირგებს თავზე თავის ქუდს. ერთ შემთხვევაშიც და მეორეშიც ალბათობები ახლოს დგანან $\frac{2}{3}$ თან. ამიტომ დავასკვნით, რომ ნათქვამი წინადადება საფუძვლიანია.

რეზიუმე

ალბათობის თეორია არის მათემატიკური მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ამსობრივი შემთხვევითი მოვლენების კანონზომიერებებს. პრაქტიკაში ხშირად გვხვდება ისეთი მოვლენები, რომლებზედაც მოქმედებს უამრავი ფაქტორი, რომელთა მხედველობაში მიღება და დამუშავება მათემატიკის ეგრედწოდებული კლასიკური აპარატით ყოვლად შეუძლებელია.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თუ დავაკვირდებით ერთგვაროვან შემთხვევით მოვლენათა ერთობლიობას, შეგვიძლია აღმოვაჩინოთ გარკვეული კანონზომიერებანი, რომლებიც სწორედ მასობრივი მოვლენებისათვის არის დამახასიათებელი. ჩვენ ნაშრომში შევეცადეთ გვეჩვენებინა ზოგიერთი პრაქტიკული ასპექტი აღნიშნულთან დაკავშირებით.

T.Giorgadze, K. Zviadadze, I.Chkhikvadze - Akaki Tsereteli State University

Some Practical Aspects of the Unity of Compatible Occurrences

Abstract

The probability theory is a branch of mathematics which studies the principles of mass random events. In practical work, we often witness the events on which a large number of factors exert an influence, which cannot be treated and analyzed by means of a so-called classical apparatus of mathematics. That kind of application is just considered to be a sheer impossibility.

Practice reveals that if the full set of homogenous random events is closely inspected, it is likely to be discovered the certain principles precisely characteristic to mass events.

In this paper, we tried to present some practical aspects regarding mentioned above.

Т.Гиоргадзе, К.Звиададзе, И.Чхиквадзе - Государственный университет Акакия Церетели

Некоторые практические аспекты вероятности объединения

совместимых событий.

Резюме

Теория вероятности – отрасль математической науки, которая изучает закономерности массовых случайных явлений. На практике часто встречаются такие явления, на которые действуют многие факторы, которые совершенно невозможно учесть и обработать с помощью так называемого классического аппарата математики.

Практика показывает, что, если обратить внимание на совокупность однородных случайных явлений, мы можем обнаружить определенные закономерности, которые характерны именно для массовых явлений. В связи с вышеозначенным, в нашем труде мы попытались показать некоторые практические аспекты.

მანანა ზივზივამე-ნიკოლეიშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდოლოგიათა დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი

დაწყებით კლასებში ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიათა გამოყენების ზოგიერთი საკითხი

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები, როგორც მეცნიერულ კვლევათა პროდუქტი, არსებითად განსაზღვრავს განათლების მომავალს. ამით საფუძველი ეყრება სამყაროს განვითარებისა და მასთან ადამიანის ადაპტაციის ნორმალურ პირობებს.

საქართველოსთვის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის, განათლების განვითარების სტრატეგიულ მიზანს უნდა წარმოადგენდეს ქვეყნის კულტურულ და ისტორიულ ტრადიციათა და ფასეულობათა მოვლა-განვითარება, განათლების დონის ამაღლება და ქვეყნის ინტეგრაცია მსოფლიო საზოგადოებაში.

საგანმანათლებლო სისტემის თანამედროვე მოთხოვნები, ტექნიკური პროგრესი და ტექნოლოგიური პროცესები დიდ ზეგავლენას ახდენს განათლების არსებულ სისტემებზე. აქედან გამომდინარე, საჭიროა არსებულის ტრანსფორმაცია, მართვის ახალი ფორმებისა და ტექნოლოგიების, სწავლების მეთოდებისა და მიზნის მისაღწევ გზათა ძიება. სწავლების ეფექტურობის მისაღწევად საჭიროა არსებული პედაგოგიური გამოცდილებისა და მეცნიერული კვლევების შერწყმა თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან, რაც, ცხადია, გამოიწვევს საგანმანათლებლო სივრცის ხარისხობრივ ცვლილებებს.

ახალმა ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა, მიუხედავად დროის მცირე მონაკვეთისა, თითქმის მთლიანად გადაფარა მსოფლიოს საგანმანათლებლო სივრცე და იგი იქცა თანამედროვე პედაგოგიური პროცესების განსახორციელებელ საშუალებად. თანამედროვე პედაგოგიურ პროცესებს თან ახლავს მოვლენათა და სიტუაციათა მეტად რთული ასპექტები. ამ პროცესების სწორად წარმართვისა და ახალი მეთოდებისა და ხერხების დასაუფლებლად საჭიროა მთელი ძალისხმევა მიმართულ იქნეს სრულყოფილი ინფორმატიზების პრობლემებისადმი. საზოგადოების ინფორმატიზება მისი განვითარების ძირითადი ბერკეტია, რომელიც შეიძლება განხორციელდეს თანამედროვე საერთაშორისო გლობალური და ლოკალური ქსელების გამოყენებით, გამოთვლითი ტექნიკის სრულყოფით, კომპიუტერული სისტემების შექმნით, მძლავრი ელექტრონული საკომუნიკაციო არხების განვითარებით, პროგრამული და ალგორითმული უზრუნველყოფის შექმნით და ა.შ.

ცხადია, ინფორმაციული ტექნოლოგიების ასეთი დიდი მნიშვნელობის გამო, მის სწავლებას, დაწყებით კლასებში უნდა ჩაეყაროს საფუძველი.

სწავლების ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების უპირველეს ტექნიკურ საშუალებას, პერსონალური კომპიუტერი წარმოადგენს.

დაწყებით კლასებში დისციპლინათა სწავლების კომპიუტერიზებული მეთოდოლოგია უნდა მოიცავდეს აუდიო, ვიდეო, მულტიმედიისა და კომპიუტერული ტექნიკის ნაირსახეობათა ჩართვას სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში.

კომპიუტერის აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს ინდივიდუალური სწავლების რეჟიმს, მკვეთრად აუმჯობესებს პედაგოგის შრომის პირობებს, აღვივებს მოსწავლის ინტერესს შესასწავლი მასალისადმი, ხელს უწყობს მზაობასა და განწყობას, აჩქარებს სწავლების ხარისხს.

უნდა შევნიშნოთ, რომ დაწყებით კლასებში სწავლების კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვა ფრთხილ მიდგომას მოითხოვს. არ უნდა ჩავუნერგოთ ბავშვებს სუფთა „კომპიუტერული აზროვნების“ ჩვევები, რაც ლოგიკურად „რობოტიზმამდე“ მიგვიყვანს. ასეთი განვითარების ბავშვი უძლურია გადასინჯოს ალტერნატივები, შეაფასოს მიღებული შედეგები, გაერკვეს ახალშექმნილ სიტუაციებში. ბავშვს უნდა მივცეთ საშუალება აარჩიოს, შეინახოს და დაიმახსოვროს მისთვის საჭირო ინფორმაცია.

ფრთხილ მიდგომასთან ერთად, თამამად უნდა მოვახდინოთ პედაგოგიური ინოვაციების პრაქტიკული რეალიზაცია. სწავლების ძველი მეთოდები აუცილებლად მოითხოვს გადასინჯვას, დიფერენცირებას და ამის საფუძველზე მიღებული ცოდნის განვითარებას. რა თქმა უნდა, ამის საშუალებას იძლევა ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების შერჩეული დოზით გამოყენება.

ცხადია, იმისათვის, რომ სწავლებაში აქტიურად ჩავრთოთ ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია შემუშავებული იყოს ეფექტური მეთოდოლოგია, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერავითარი ტექნიკური საშუალება ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს. კომპიუტერის გამოყენება გულისხმობს იმ ძირძველი, ტრადიციული პედაგოგიური გამოცდილების რეალიზებას, რომელიც დღემდე შეუქმნია პედაგოგიურ მეცნიერებას. თანამედროვე სწავლება უნდა მოიცავდეს მოსწავლეს, მასწავლებელს, სახელმძღვანელოს, მეთოდოლოგიას და ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს.

დაწყებით კლასებში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება მოითხოვს დამუშავდეს ისეთი კომპიუტერული პროგრამები, რომელნიც უზრუნველყოფენ სწავლების პროცესში გრძნობის ორგანოების, აღქმის მექანიზმების, შეცნობისა და მოტივაციის ჩართვას. ასეთი ნაბიჯები ხელს შეუწყობს მომავალი სკოლის მოდელის ფორმირებას.

გვინდა შევხვით სწავლებაში ინტერნეტის გამოყენების საკითხს. ისმება კითხვა, რა საჭიროა ინტერნეტ-ტექნოლოგიები?

საგანმანათლებლო სისტემის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სწავლება და სწავლა, რომელიც ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენების პირობებში გამოდის ტრადიციული სასწავლო ჩარჩოებიდან და მოიცავს: სწავლების მართვის სისტემას, საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს ანუ კომპიუტერულ კურსებს, მულტიმედიური პროდუქტის შექმნასა და განვითარებას, სწავლების მეთოდოლოგიას და პოლიტიკის განსაზღვრას.

მასწავლებელი, რომელიც იყენებს ინტერნეტ-ტექნოლოგიებს თავის პედაგოგიურ მოღვაწეობაში, უფრო მეტად მობილურია, მიისწრაფვის სიახლეებისაკენ, პოულობს საერთო ენას მოსწავლეებთან, ითვისებს პიროვნებაზე ორიენტირებულ ცოდნას, მონაწილეობს მისთვის აქტუალური საკითხების გადაწყვეტისათვის საჭირო დისკუსიებში, რაც თანამედროვე სწავლების პრინციპებიდან გამომდინარეობს და ხელს უწყობს არსებული სიმწიფეების გადალახვას. პედაგოგი უნდა ფლობდეს შესაძლებლობებს მოიძიოს, მოამზადოს, მიიღოს და გადასცეს საჭირო ინფორმაცია და ამისათვის გამოიყენოს ინტერნეტ-ტექნოლოგიები. სწორედ ინტერნეტი გახდა ყველაზე ხელსაყრელი საგანმანათლებლო ინსტრუმენტი არა მარტო მოსწავლეებისათვის, არამედ მასწავლებელთათვისაც.

სწავლების პროცესში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა შემეცნებით თამაშობებს. ამ თვალსაზრისით მეტად მოსახერხებელი ფორმაა ტექნიკური საშუალებების, კერძოდ კი პერსონალური კომპიუტერის გამოყენება.

მასწავლებელმა ზედმიწევნით ზუსტად უნდა მოიფიქროს გაკვეთილის ჩატარებისა და შემეცნებითი ამოცანების შედგენა-ამოხსნის მთელი სისტემა, ისეთი, რომელიც მოსწავლეს საგრძნობლად დაეხმარება მატემატიკის საგნის ათვისებაში.

დაწყებით კლასებში ამოცანებზე მუშაობა მეტად მნიშვნელოვანია. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთ ამოცანებს, რომლის ტექსტუალური ნაწილი შეიცავს პრაქტიკულ (ცხოვრებისეულ) მაგალითებს. ამ დროს ბავშვი სწავლობს არა მარტო ამოცანის ამოხსნას, არამედ, იღებს უამრავ საინტერესო ინფორმაციას ამოცანის ტექსტიდანაც. თუ ამ პროცესში კომპიუტერს ჩავრთავთ, რომელთან ურთიერთობაც ბავშვისათვის მეტად სახალისოა, მაშინ უფრო ადვილად, ეფექტურად და ემოციონალურად მოხდება მასალის მიწოდება. კომპიუტერის გამოყენებით ამოცანის ტექსტში გადმოცემული ინფორმაცია, მოსწავლეს შეუძლია მონიტორზე იხილოს ბუნებრივად, ანიმაციური კლიპის სახით, რაც თავისთავად ხელს უწყობს გონებრივ განვითარებას. მიზანშეწონილად მივიჩნევთ მატემატიკური ამოცანების ტექსტებში აქცენტი გავაკეთოთ ქართული ზღაპრებისა და მათემატიკური ამოცანების ლოგიკურ კავშირებზე. ამ მიდგომას საფუძველად უდევს ის, რომ ტრადიციულად, საქართველოში, ბავშვის აღზრდისას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ

ხალხურ ზღაპრებს, ან იმ ზღაპრებს, რომლებიც ნათარგმნია ქართულ ენაზე და უკვე დიდი ხანია ადაპტირებულია ქართულ ყოფაში.

სწავლების ასეთი შემეცნებითი ფორმა მეტად ეფექტურია. ეს მიდგომა მოსწავლეებში იწვევს მზაობასა და განწყობას, რის საფუძველზეც შესასწავლი მასალა ადვილად ათვისებადია.

და ბოლოს ორიოდ სიტყვით გვინდა შევუხებთ ინფორმაციულ ტექნოლოგიათა გამოყენების ზომიერებასა და სიფრთხილეს დაწყებით კლასებში.

უპირველესად გასათვალისწინებელია მოზარდის ასაკობრივი თავისებურებები, რის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს კომპიუტერის მონოტორთან მუშაობის დროის ხანგრძლივობა. გაცილებით რთულია ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ანიმაციური პროგრამების რეალიზების დროს, მონიტორზე გამოტანილი ანიმაციური საგნების ფერის, მოძრაობის სინქრონიზების, მუსიკალური ტონალობის და ა.შ. შერჩევა. კიდევ უფრო დიდ სირთულესთან გვაქვს საქმე, მოზარდის მიერ ინტერნეტის ისეთ საიტებთან ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, რომელიც მის ასაკს არ შეეფერება და მისთვის მართლაც რომ აუნაზღაურებელი ზიანის მოტანა შეუძლია. ამ დროს მოსწავლე, ყოველგვარი კონტროლის გარეშე, ექცევა მისი ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ. საჭიროა, ვემოთ ეფექტური, არაამკრძალავი ხერხები და მივადწიოთ ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფას ინტერნეტში მომუშავე მოზარდისათვის. ინფორმაციული უშიშროება მთლიანად უკავშირდება სახელმწიფო პოლიტიკას, რათა უზრუნველყოს ამ სფეროს სამართლებრივი რეგულირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩაჩანიძე გ., სართანია ვ., „ინტერნეტ-განათლების ტექნოლოგიები და მისი განვითარების პერსპექტივები“, მონოგრაფია, თბილისი, 2004წ.
2. ჩაჩანიძე გ., განათლების სისტემის ინფორმატიზაციის პოლიტიკა და მისი პრობლემები, საქ. პედ. მეცნ. აკად. მოამბე №1, თბილისი, 2003წ.
3. ჩაჩანიძე გ., ზივზივამე მ., „კომპიუტერული პედაგოგიკა“, ჟურნ. „ინტელექტი“ №1(15), თბილისი, 2003წ.

რეზიუმე

ნაშრომში საუბარია, საგანმანათლებლო სისტემაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობაზე. აქცენტი გადატანილია დაწყებით კლასებში ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვაზე. სწავლების ეფექტურობის მისაღწევად საჭიროა არსებული პედაგოგიური გამოცდილებისა და მეცნიერული კვლევების შერწყმა თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან, რაც გამოიწვევს საგანმანათლებლო სივრცის ხარისხობრივ ცვლილებებს. კომპიუტერის გამოყენება სწავლებაში გულისხმობს ძირძველი ტრადიციული პედაგოგიური გამოცდილების რეალიზებას. საუბარია, აგრეთვე, ინფორმაციულ ტექნოლოგიათა გამოყენების ზომიერებასა და სიფრთხილეზე, მოზარდის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

Manana Zivzivadze-Nikoleishvili - Akaki Tsereteli State University, Department of Methodology, Assistant-Professor

IMPLEMENTING TECHNOLOGICAL DEVELOPMENTS IN THE PRIMARY SCHOOL CLASSROOMS

Abstract

It deals with the importance of using information technologies in the educational system. In an educational system great attention is paid to the use of information technologies from the viewpoint of country development, as it changes the potential opportunities of solving scientific legislative, economic or other kinds of problems. The inculcation of educational computer technologies needs careful approach not to elaborate the clear “computer thinking” skills of children, as it will lead us to logical “robotism”. The basic accent is made on the creation-elaboration of animated and multimedia systems of the process of knowledge transference and its computer realization method.

In order not to harm an adolescent by working on the Internet we should first of all take into consideration age peculiarities of an adolescent and according to it the duration of work with a computer should be defined.

Манана Зивзivadze-Николеишвили, Государственный университет Акакия Церетели, ассистент-профессор департамента методик преподавания педагогического факультета

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ПРИМЕНЕНИЯ НОВЫХ ИНФОРМАЦИОННЫХ ТЕХНОЛОГИЙ В НАЧАЛЬНЫХ КЛАССАХ.

Резюме

Речь идет о необходимости применения современных информационных технологий в системе образования. Акцент переносится на внедрение новых информационных технологий в начальную школу. Для достижения эффективного обучения необходимо слияние современного педагогического опыта и научных исследований с современными информационными технологиями, в результате чего произойдут качественные изменения в сфере образования.

Применение компьютера в обучении предполагает реализацию традиционного педагогического опыта. Также речь идет об умеренном и осторожном применении информационных технологий с учетом возрастных особенностей подростка.

მანანა ზივზივამე-ნიკოლეიშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდოლოგია დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი

სიმრავლეთა შორის შესაბამისობა და მისი გამოყენება დაწყებით კლასებში

შესაბამისობა მათემატიკის ფუნდამენტური ცნებაა. იგი საფუძვლად უდევს მათემატიკის ისეთ უმნიშვნელოვანეს ცნებებს, როგორცაა ფუნქცია, ასახვა. მის შესწავლას დაწყებით საფეხურზე უნდა ჩაეყაროს საფუძველი.


როგორც ვიცით, რიცხვის ცნების თანამედროვე გაგება ჩამოყალიბდა კაცობრიობის განვითარების ხანგრძლივი პროცესის შედეგად. რიცხვის წარმოშობა დაკავშირებულია დათვლასთან, რაც თავის მხრივ სიმრავლეთა შედარებას მოითხოვს.

საგანთა რაოდენობების შედარება, მათემატიკის სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია დაწყებით საფეხურზე. დაწყებითი კლასის მოსწავლეს უფრო უიოლდება საგანთა რაოდენობის აღქმა, ვიდრე ციფრებისა, ამასთან ვიზუალურად უკეთ აღიქვამს, ვიდრე წარმოსახვით, რადგან აბსტრაქტული აზროვნება ჯერ არა აქვს განვითარებული.

დაწყებით კლასებში, საგანთა რაოდენობების შედარების შესწავლა დაწყვილების, ანუ სიმრავლეთა შორის ურთიერთცალსახა შესაბამისობის დამყარების გზით ხდება და ეს მეთოდი გაცილებით მოსახერხებელია მოსწავლისათვის, ვიდრე მეტ-ნაკლებობის (<,>) ნიშნებით. მაგალითად, თავდაპირველად მოსწავლისათვის რთული აღსაქმელია ჩანაწერი 7>5, მაგრამ, თუ შედარების პროცესში, რაოდენობების აღსაქმელად გამოვიყენებთ საგნებს, შედარების პროცესი უფრო თვალსაჩინო და მარტივად გასაგები გახდება.


ორ სასრულ სიმრავლეში ელემენტთა რაოდენობის შედარება შეიძლება უბრალოდ ელემენტთა დათვლით, მაგრამ ეს შესაძლოა მოხდეს აგრეთვე, ამ სიმრავლეთა ელემენტებს შორის ურთიერთცალსახა შესაბამისობის დადგენითაც, როცა ერთი სიმრავლის ყოველ ელემენტს შეესაბამება მეორე სიმრავლის ერთი და მხოლოდ ერთი ელემენტი და პირიქით.

მაგალითად, გვინდა მოსწავლეებმა ერთმანეთს შეადარონ, რომელია მეტი: წრეები თუ სამკუთხედები (დათვლის გარეშე). ამ შემთხვევაში მოსწავლეებმა უნდა დააწყვილონ სამკუთხედები და წრეები შემდეგნაირად:



როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში სამკუთხედების სიმრავლესა და წრეების სიმრავლის საკუთრივ ექვსიმრავლეს შორის დამყარდა ურთიერთცალსახა შესაბამისობა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამკუთხედების რაოდენობა ნაკლებია წრეების რაოდენობაზე, თუმცა, შეიძლება არც ვიცოდეთ რამდენი სამკუთხედი და რამდენი წრე.

თუ წრეების სიმრავლის ყოველ ელემენტს შევუსაბამებთ სამკუთხედების სიმრავლის თითოეულ ელემენტს, ანუ თუ წრეების სიმრავლესა და სამკუთხედების სიმრავლეს შორის დამყარდება ურთიერთცალსახა შესაბამისობა, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ წრეები და სამკუთხედები ტოლი რაოდენობისაა:



ამ შემთხვევაშიც არ არის აუცილებელი ვიცოდეთ რამდენი სამკუთხედი და რამდენი წრე.

რასაკვირველია, მოსწავლეები არ არიან გარკვეული შესაბამისობებისა და მიმართებების მეცნიერულ რაობაში. ეს ცნებები მათ მიეწოდებათ მარტივი სავარჯიშოების სახით. ასე მაგალითად, მოსწავლეებს შეუძლიათ დაადგინონ, ტოლია თუ არა საკლასო ოთახში სკამების რაოდენობა და მოსწავლეების რაოდენობა. ამისათვის სულაც არ არის აუცილებელი მოსწავლეებისა და სკამების დათვლა. საკმარისია დავსხათ მოსწავლეები სკამებზე და თუ არ აღმოჩნდება ზედმეტი სკამი, ან არ დარჩება მოსწავლე სკამის გარეშე, ეს იმის მიმანიშნებელი იქნება, რომ სკამებისა და მოსწავლეების რაოდენობები ტოლია. აქ გათვალისწინებულია, რომ ყოველ მოსწავლეს უკავია მხოლოდ ერთი სკამი და ყოველი სკამი დაკავებულია მხოლოდ ერთი მოსწავლის მიერ. ასევე შეიძლება მოსწავლეებს დავამყარებინოთ ურთიერთცალსახა შესაბამისობა მოსწავლეთა სიმრავლესა და ჟურნალში მოსწავლეთა რიგით ნომრებს შორის, მოსწავლეებსა და წელიწადის თვეებს შორის (თუ ყოველ მოსწავლეს მისი დაბადების თვეს შეუსაბამებენ), დავავალოთ მოსწავლეებს მორიგეობის ცხრილის შედგენა დღეების მიხედვით და სხვა სახის პრაქტიკული სავარჯიშოები.

უნდა განვიხილოთ აგრეთვე ისეთი სავარჯიშოები, სადაც შესაბამისობები დამყარებული იქნება რიცხვებს შორის. მოსწავლეებს უნდა ვაჩვენოთ, რომ შესაბამისობა სიმრავლეთა ელემენტებს შორის შესაძლებელია მოცემული იყოს სხვადასხვა ფორმით. მაგალითად:

1) შესაბამისობა შეიძლება მოცემული იყოს ფორმულით:

2)
$$\boxed{n} \longrightarrow \boxed{(n \times 2) + 5}$$

ამ შესაბამისობით რა რიცხვი შეესაბამება 2-ს, 3-ს, 4-ს?

3) შესაბამისობა შეიძლება მოცემული იყოს ცხრილით; მაგალითად:

a) დაადგინეთ ცხრილის მიხედვით რიცხვებს შორის შესაბამისობა და შეავსეთ ცხრილი:

n	3	?	8	5	?
?	21	28	?	35	63

ბ) რომელი ფორმულა აღწერს შემდეგ შესაბამისობას:

a	3	4	5	6	7	8
b	10	13	16	19	22	25


I. $b = 2a$

II. $b = 2a - 1$

III. $b = 3a + 1$

4) შესაბამისობა შეიძლება მოცემული იყოს ისრებით; მაგალითად:

დააკავშირეთ ისრებით მოცემული გამოსახულებები შესაბამის რიცხვით მნიშვნელობებთან:



სწავლების დაწყებით საფეხურზე შესაბამისობებს ფართო გამოყენება აქვს ლოგიკური ამოცანების ამოხსნისას, აგრეთვე მონაცემთა წარმოდგენის ერთ-ერთი ხერხის – პიქტოგრამების ასაგებად. პიქტოგრამა წარმოადგენს პირობითი ნიშნების ან ნახატების გამოყენებით შესრულებულ ჩანაწერს, ცხრილს.






პიქტოგრამების გამოყენება მეტად სახალისოსა და საინტერესოს ხდის მათემატიკის გაკვეთილებს დაწყებით კლასებში.

ვნახოთ, როგორ შეიძლება გამოვიყენოთ შესაბამისობა პიქტოგრამის ასაგებად:

მაგალითად, გვაქვს ყვავილთა სიმრავლე {ია, ვარდი, ტიტა, გვირილა, მიხაკი};

კლასში გამოკითხული მოსწავლეებიდან, თუ რომელს რომელი ყვავილი მოსწონდა, გამოირკვა, რომ ვარდი მოსწონდა 12 მოსწავლეს, ია – 7 მოსწავლეს, ტიტა – 3-ს, გვირილა 5-ს, ხოლო მიხაკი არცერთ მოსწავლეს არ მოსწონდა.

ეს მონაცემები შეიძლება გამოვსახოთ შესაბამისობის საშუალებით შემდეგი პიქტოგრამით:

ყვავილების დასახელება	ერთეულები	ოდენობა
	—	7
	—	12
		3
	—	5
		0


ახლა განვიხილოთ ისეთი ტიპის ლოგიკური ამოცანები, რომლებიც შეიძლება ამოვხსნათ შესაბამისობის გამოყენებით.

ამოცანა 1. გიამ, ზურამ, ბექამ და ნიკამ დარგეს ხილის ხეები, თითოეულს თითო სახეობისა: ვაშლი, მსხალი, ქლიავი და ბალი. რომელმა ბიჭმა რომელი ხე დარგო, თუ ცნობილია, რომ:

- ზურამ არ დარგო ბალი;
- ბექამ არ დარგო ვაშლი და ბალი;
- ნიკამ დარგო ქლიავი;


ამოცანის ამოსახსნელად დავამყაროთ ურთიერთცალსახა შესაბამისობა ბიჭების სიმრავლის ელემენტებსა და ხეების სიმრავლის ელემენტებს შორის. ამოცანის ამოხსნა დავყოთ ეტაპებად:

ა) ნიკამ დარგო ქლიავი; ამიტომ, ნიკადან ისარი მივმართოთ ქლიავისაკენ;




ბ) ბექას არც ვაშლი დაურგავს და არც


ბალი, ქლიავი კი ნიკამ დარგო; მაშასადამე, ბექას მსხალი დაურგავს; მოვნიშნოთ შესაბამისობა ბექასა და მსხალს შორის;



გ) ზურამს ბალი არ დაურგავს; მაშასადამე მან დარგო ვაშლი (რადგან ქლიავი ნიკამ, ხოლო მსხალი ბექამ დარგო); ისარი ზურადან უნდა მივმართოთ ვაშლისაკენ;



დ) ცხადია, ბოლო წყვილი იქნება
 (გო, ბალი) და შესაბამისობის გრაფს ექნება
 შემდეგი სახე:




ამოცანა 2. თინა, ელენე და ქეთევანი ერთ სახლში ცხოვრობენ და სამივე მუსიკის რომელიმე დარგს ეუფლებიან: ერთ-ერთი მათგანი მომღერალია, მეორე – მევიოლინე, მესამე – პიანისტი. ცნობილია, რომ:


- ელენე და მომღერალი სხვადასხვა სართულზე ცხოვრობენ;
- პიანისტი ქეთევანზე უფროსია;
- თინა და მომღერალი ტოლები არ არიან;
- ელენე მევიოლინეზე მაღალია;

ამოცანის ამოხსნა აქაც ეტაპებად დავყოთ:


a) ელენე მომღერალი არ არის, რადგან, ელენე და მომღერალი სხვადასხვა სართულზე ცხოვრობენ; ელენე არც მევიოლინეა, რადგან ელენე მევიოლინეზე მაღალია. მაშასადამე, ელენე პიანისტია. მოვნიშნოთ შესაბამისობა ელენესა და პიანისტს შორის ისრით;



b) თინა მომღერალი არ არის, რადგან თინა და მომღერალი ტოლები არ არიან. თინა არ არის პიანისტი, რადგან ელენეა პიანისტი. მაშასადამე, თინა მევიოლინეა; შესაბამისად ისარი თინადან უნდა მივმართოთ მევიოლინესაკენ;



გ) დარჩა ბოლო წყვილი – (ქეთევანი, მომღერალი); და შესაბამისობას ექნება შემდეგი სახე:




მოცემული ამოცანის ამოხსნისას ჩვენ დავამყარეთ ურთიერთცალსახა შესაბამისობა მუსიკოს ქალთა სიმრავლესა და მუსიკალურ პროფესიათა სიმრავლეს შორის.

ამოცანა 3. ნათელას 4 შვილი ჰყავს: დემეტრე, ირაკლი, ირინა და ქრისტინე. დაალაგეთ მათი სახელები ასაკის ზრდის მიხედვით, თუ ცნობილია, რომ:

- ირინა არც პირმშოა და არც ნაბოლარა;
- არც ირაკლია ნაბოლარა;
- და-მმეში ქრისტინეზე უფროსი მხოლოდ ერთია;


ამოხსნა: დავამყაროთ ურთიერთცალსახა შესაბამისობა ნათელას შვილების სიმრავლესა და მათი დაბადების წლების (რიგითობის მიხედვით: პირველად დაბადებული, მეორედ დაბადებული და ა.შ.) სიმრავლეთა შორის. ამ ამოცანის ამოხსნაც დავყოთ შემდეგ ეტაპებად:

ა) რადგან ქრისტინეზე უფროსი მხოლოდ ერთია, ცხადია ქრისტინე ნათელას მეორე შვილი გამოდის. ამიტომ ქრისტინეს შევუ-




საბამოთ – რიცხვი 2;


ბ) ირინა არც პირმშოა, არც ნაბოლარა, ე.ი
 ის ნათელას მესამე შვილია; ისარი უნდა
 მივმართოთ ირინადან 3-საკენ;



გ) რადგან ირაკლი არ არის ნაბოლარა,
 ის პირველი შვილი გამოდის; მოვნიშნოთ
 შესაბამისობა ირაკლისა და 1- შორის
 ისრის საშუალებით;



დ) გრაფიდან ჩანს, რომ დემეტრე
 ნაბოლარაა; ამიტომ დემეტრეს შევუსაბამოთ
 რიცხვი 4; საბოლოოდ, გრაფს ექნება სახე:



ლოგიკური ამოცანების ამოხსნა შესაბამისობების გამოყენებით, მეტად ეფექტურია. ამოცანის ამოხსნისას შესაბამისობის გრაფისა და გრაფიკის გამოყენება განაპირობებს ამოცანის სრულ გაცნობიერებას.

ლიტერატურა:

1. ჯინჯიხაძე ჯ. „მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა და ტექნოლოგია“ თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011 წ.
2. დეისაძე მ. „ნატურალურ რიცხვთა სტრუქტურა მათემატიკის სასკოლო კურსში“ ქუთაისი, გ.ტაბიძის სახ.სტამბის საგამომცემლო ცენტრი, 1999წ.
3. გოგიშვილი გ. ვეფხვაძე თ. მეზონია ი. ქურჩიშვილი ლ. „მათემატიკა 4“, ნაწ. 1-2, თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2009-2013წ.
4. გოგიშვილი გ. ვეფხვაძე თ. მეზონია ი. ქურჩიშვილი ლ. „მათემატიკა 6“, თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2005წ.

რეზიუმე

შესაბამისობა მათემატიკის ფუნდამენტური ცნებაა. იგი საფუძვლად უდევს მათემატიკის ისეთ უმნიშვნელოვანეს ცნებებს, როგორცაა ფუნქცია, ასახვა. შესაბამისობის შესწავლას დაწყებით საფეხურზე უნდა ჩაეყაროს საფუძველი.

დაწყებით კლასებში რიცხვის ცნების შესწავლა დაკავშირებულია დათვლასთან, რაც თავის მხრივ სიმრავლეთა შედარებას მოითხოვს. საგანთა რაოდენობების შედარების სწავლება კი დაწყვილების ანუ სიმრავლეთა შორის ურთიერთცალსახა შესაბამისობის დამყარების გზით ხდება.

ნაშრომში განხილულია ლოგიკური ამოცანების ამოხსნის მეთოდიკა შესაბამისობების გამოყენებით. ამ მეთოდის საშუალებით სრულად ხდება ამოცანის გაცნობიერება მოსწავლის მიერ. მისი გამოყენება მეტად ეფექტურია.

ამოცანების ამოხსნა ხდება ეტაპობრივად. თითოეულ ეტაპზე ვახდენთ დაწყვილებას ამოცანაში მოცემულ სიმრავლეთა შესაბამის ელემენტებს შორის და თითოეული წყვილისათვის ვაგებთ გრაფებს. ყველა ეტაპის გავლის შემდეგ ვღებულობთ ამოცანებში მოცემულ სიმრავლეთა ელემენტებს შორის ურთიერთცალსახა შესაბამისობის გრაფს დასრულებული სახით, რაც პასუხობს დასმულ შეკითხვას.

Manana Zivzivadze-Nikoleishvili - Akaki Tsereteli State University, Department of Methodology, Assistant-Professor

Correspondence Between the Sets and Its Use in Primary Classes

Abstract

Correspondence is the fundamental concept of mathematics. It is the base of such important mathematical concepts as function, reflection. The grounds for learning the correspondence should be prepared on the primary level.

In primary classes the study of the concept of numbers is connected with counting which in its turn requires the comparison of sets. Comparing the number of objects is taught through establishing unequivocal correspondence between sets i.e. forming pairs.

The paper examines the method of solving logical problems using correspondence. This method enables young learners to fully understand a given task. It is very effective.

The solution of the problem has different phases. Each phase includes making pairs between the sets provided in the task and for each pair corresponding graph is constructed. After completing all the steps the graph of unequivocal correspondence of the elements of the sets provided in the task is obtained that can serve as a solution.

МАНАНА ЗИВЗИВАДЗЕ-НИКОЛЕИШВИЛИ – ассистент-профессор департамента методик преподавания Государственного университета Акакия Церетели

СООТВЕТСТВИЕ МЕЖДУ ВЕЛИЧИНАМИ И ИХ ПРИМЕНЕНИЕ В НАЧАЛЬНЫХ КЛАССАХ

Резюме

Соответствие является фундаментальным понятием математики. Оно лежит в основе таких значительных понятий, как функция и отображение. Обучение соответствию должно начинаться на начальной ступени образования.

В начальных классах обучение понятию числа связано со счетом, что в свою очередь требует сравнения величин. Обучение сравнению происходит путем образования пар, то есть установлением взаимно односторонних отношений между величинами.

В работе рассмотрена методика решения логических задач применением соответствий. С помощью этого метода происходит полное осознание задачи учащимися. Ее применение является эффективным.

Решение задач происходит поэтапно. На каждом этапе мы осуществляем образование пар между данными в задаче соответствующими элементами величин и для каждой пары строим графы. После прохождения всех этапов в окончательной форме получаем граф взаимно одностороннего отношения данных в задачах элементов величин, что является ответом на заданный вопрос.

ვლადიმერ ადგიშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი

სიუჟეტური არასტანდარტული ამოცანები დაწყებით კლასებში

ამოცანის კითხვაზე პასუხის მიღება არ არის ამოცანის მთავარი „მისია“. შესაძლებელია პასუხის გამოცნობა, ზეპირად გამოთვლა. ამოცანის ამოხსნის განმავითარებელი ეფექტი მიიღწევა მისი ამოხსნის ძიების დროს, ამოცანის პირობის სხვადასხვა მოდელის აგების, ამოხსნის და სხვადასხვა ხერხით ამოხსნის გაფორმების დროს, ამოხსნის სხვადასხვა ხერხის შედარების და შეპირისპირების დროს.

წინამდებარე ნაშრომში ყურადღება მივაქცევთ ამოცანის პირობების მოდელირების სხვადასხვა ხერხებს: სქემატურ ნახატებს, ცხრილებს, ნახაზებს.

ამოცანების მოდელირების პროცესი ეს არის მათი ამოხსნის ძიების პროცესიც. ზოგჯერ პასუხი მოიპოვება სწორი სქემის, ნახაზის აგების შედეგად. სხვადასხვა სახით ამოცანის პირობის გაფორმების სწავლება უნდა განვიხილოთ, როგორც ამოცანაზე მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი.

ზოგჯერ განსაკუთრებული როლი ამოცანის პირობის მოდელირებისას ეთმობა მონაკვეთებს. ნახაზის აგების დროს ხორციელდება ამოცანის პირობის „გადაყვანა“ მონაკვეთების არითმეტიკაზე. ყოველი რიცხვი მოცემულია მონაკვეთის სიგრძით, რიცხვებთან მოქმედებები კი დაყვანილია მონაკვეთებთან მოქმედებებზე. ამოცანის პირობის მიხედვით ნახაზის აგების პროცესს უკვე თავისთავად მოაქვს განმავითარებელი ეფექტი.

გარდა ამისა, ზოგ შემთხვევაში ნახაზი გვეკარნახობს ამოცანის ამოხსნის ხერხს, რომლის ამოცნობაც მონაკვეთების გარეშე ძნელია. მონაკვეთების დახმარებით ამოცანის პირობის მოდელირების სწავლება უნდა მიმდინარეობდეს თანდათანობით და უნდა იწყებოდეს ყველაზე მარტივი ნახაზებით. პირველი ნახაზები მასწავლებელმა უნდა შეასრულოს დაწვრილებითი კომენტარებით, მონაკვეთების აგება უნდა შესრულდეს რვეულების უჯრედებში. მოსწავლეები ამოცანების პირობით თანდათანობით უნდა მივიყვანოთ მონაკვეთების აგებასთან (დავუშვათ, მოცემული მონაკვეთი აღნიშნავს მოცემულ რიცხვს). ამ შემთხვევაში მთავარია არა მონაკვეთის სიგრძე, არამედ თანაფარდობა მონაკვეთების სიგრძეებს შორის, მათი ურთიერთგანლაგება, ჯამი, სხვაობა.

გამოთვლითი ხასიათის ამოცანების ამოხსნისას აქცენტი უნდა გაკეთდეს ამოხსნის არითმეტიკულ ხერხებზე, თუმცა ბევრი ამოცანის ამოხსნა შესაძლებელია განტოლებების შედგენის მეშვეობით. ამასთანავე, ერთი და იგივე ამოცანისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ამოხსნის სხვადასხვა ხერხი.

განვიხილოთ არასტანდარტული ამოცანების რამდენიმე ტიპი, რომელთა გამოყენება მასწავლებლებს შეუძლიათ როგორც მათემატიკის გაკვეთილებზე დაწყებით კლასებში, ასევე კლასგარეშე მუშაობაში. ამ ტიპის ამოცანებს გააჩნია გართულების ზოგიერთი ელემენტი („მოუხერხებელი“ რიცხვები, „ჩახლართული“ სიუჟეტი, დამატებითი პირობა და ა.შ.). ეს არის ე.წ. სიუჟეტური არასტანდარტული ამოცანები. მათში ელემენტარულ დონეზე ჩადებულია ლოგიკის, სიმრავლეთა თეორიის, კომბინატორიკის და ა. შ. ელემენტები.

ასეთ სიუჟეტურ არასტანდარტულ ამოცანებს ხშირად მიაკუთვნებენ ოლიმპიადური ციკლის ამოცანებს.

ეს ამოცანებია:

- შესაბამისობის დადგენაზე
- სიმრავლეში დალაგებაზე
- კომბინატორული ამოცანები
- შერჩევა-გადარჩევაზე
- გადასხმაზე

- აწონაზე
- ასაკზე
- მთელზე და ნაწილზე

ჩვეულებრივ, ასეთი ამოცანების ამოხსნა არ შეიცავს არითმეტიკულ მოქმედებებს და გამოთვლებს. ხანდახან ბავშვები უბრალოდ „გამოიცნობენ“ პასუხს. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მნიშვნელოვანია მათ შეძლონ საკუთარი პასუხის ნათლად და გასაგებად არგუმენტირება და ამოხსნის აუცილებელი ილუსტრაციით დადასტურება.

განვიხილოთ სიუჟეტური არასტანდარული ამოცანების ამოხსნა რამდენიმე მაგალითის საშუალებით.

ამოცანა შესაბამისობის დადგენაზე

ამოცანა. ეკას, მაკას, კოტეს, ანას და გაგას ჰქონდათ 4 ვაშლი და 1 მსხალი. რა ხილი ჰქონდა თითოეულ ბავშვს, თუ მაკას და კოტეს სხვადასხვა ხილი ჰქონდათ, გაგას და კოტეს კი ერთნაირი?

ამოხსნა. გვაქვს ორი სიმრავლე: 5 ბავშვი და 5 ხილი. უნდა გავარკვიოთ მათ შორის შესაბამისობა პირობების გათვალისწინებით:

- I. მაკას და კოტეს სხვადასხვა ხილი აქვთ;
- II. გაგას და კოტეს ერთნაირი ხილი აქვთ.

გვაქვს ორი სახის ხილი (ვაშლი და მსხალი). პირობითად ისინი აღვნიშნოთ ნიშნებით: „+“ და „-“. რომელი ნიშანით რომელ ხილს აღვნიშნავთ, მნიშვნელობა არ აქვს.

ამოხსნა გავაფორმოთ სქემის სახით. ბავშვები აღვნიშნოთ წერტილებით. „დავარიგოთ“ ხილი 1) და 2) პირობის და აღნიშვნების გათვალისწინებით. გაგას და მაკას – სხვადასხვა ხილი (მათ წინ დავსვათ სხვადასხვა ნიშანი), გაგას და კოტეს – ერთნაირი (კოტეს წინ ისეთივე ნიშანი, როგორც გაგას).



ახლა შეგვიძლია განვსაზღვროთ, რომელი ნიშანი შეესაბამება ვაშლს და რომელი – მსხალს. პირობის მიხედვით მსხალი მხოლოდ ერთია, ე.ი. მინუსი არ არის (ის უკვე ორია). ამრიგად, „+“ მსხალია და „-“ ვაშლი. მსხალი აქვს მაკას. დანარჩენმა ბავშვებმა მიიღეს ვაშლი. ვავსებთ სქემას და ვღებულობთ პასუხს.



ამოცანები სიმრავლეში დალაგებაზე

ამოცანა. ეზოში სკამზე სხედან ნანა, ნინო, ლელა და ეკა. თუ კი ლელა, რომელიც ზის მარცხნივ კიდეზე, დაჯდება ნანას და ნინოს შორის, მაშინ ნანა აღმოჩნდება მარცხნივ კიდეზე. ვინ სად ზის?

ამოხსნა. საჭიროა დავალაგოთ სიმრავლე, რომელიც შედგება ოთხი ელემენტისგან (ნანა, ნინო, ლელა, ეკა) ამოცანაში აღნიშნული პირობების გათვალისწინებით:

- 1) ლელა ზის მარცხნივ კიდეზე. ეს შეგვიძლია ასე აღვნიშნოთ:



- 2) თუ ლელა გადაჯდება, მაშინ მარცხენა განაპირა იქნება ნანა. ეს ნიშნავს, რომ ლელას შემდეგ იქნება ნანა:



3) ლელა დაჯდა ნინოს და ნანას შორის. ეს ნიშნავს, რომ ნინო ზის ნანას გვერდით:



ლელა



ნანა



ნინო



მარჯვენა განაპირა ზის ეკა:



ლელა



ნანა



ნინო



ეკა

კომბინატორული ამოცანა

ამოცანა. გვაქვს სამი სხვადასხვა სეიფის სამი გასაღები. რამდენი სინჯია საკმარისი, რათა მოვარგოთ გასაღებები სეიფებს?

ამოხსნა. გვაქვს სამი გასაღები (1, 2, 3) და სამი სეიფი (A, B, C). ავიღოთ ნებისმიერი გასაღები (მაგალითად, 1) და მოვარგოთ სეიფს.

პირველი სინჯი: ვთქვათ, 1A (გასაღები 1 და სეიფი A) – არ ერგება; მეორე სინჯი: 1B – არ ერგება. აქედან დავასკვნით, რომ გასაღები 1 მოერგება C სეიფს.

დასკვნა. იმისათვის, რომ სამიდან ერთი გასაღები მოვარგოთ სამ სეიფს, საკმარისია ორი სინჯი.

დარჩა ორი გასაღები (2, 3) და ორი სეიფი (A, B).

განვაგრძოთ სინჯები.

მესამე სინჯი: 2A არ ერგება.

თუ კი გასაღები 2 არ ერგება A სეიფს, ის მოერგება B სეიფს. მაშინ გასაღები 3 მოერგება A სეიფს.

დასკვნა. რათა მოვარგოთ ორი გასაღები ორ სეიფს, საკმარისია ერთი სინჯის გაკეთება.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ საბოლოო დასკვნა: მისათვის, რომ სამი გასაღები მოვარგოთ სამ სეიფს, საკმარისია სამი სინჯი.

პასუხი: სამი სინჯი.

ამოცანა შერჩევა-გადარჩევაზე

ამოცანა. დახაზე სამი მონაკვეთი: წითელი, ლურჯი და მწვანე. ამასთანავე, ლურჯი მონაკვეთი უნდა იყოს წითელზე მოკლე და მწვანეზე გრძელი, ხოლო სამივე მონაკვეთის სიგრძის ჯამი უდრის 15 სმ.

ამოხსნა. ამოცანის პირობიდან ვასკვნით, რომ მწვანე მონაკვეთი ყველაზე მოკლეა, წითელი კი ყველაზე გრძელი.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ თითოეული მონაკვეთის სიგრძე, უნდა შევარჩიოთ სამი სხვადასხვა რიცხვი, რომელთა ჯამი 15-ის ტოლია. ამის გაკეთება არაერთგვაროვნადაა შესაძლებელი. დავაფიქსიროთ შერჩევის შედეგები ცხრილში.

მწვანე მონაკვეთი ყველაზე მოკლეა. დავუშვათ, რომ მისი სიგრძე უდრის 1 სმ. ლურჯი მწვანეზე გრძელია. დავუშვათ, რომ მისი სიგრძე უდრის 2 სმ. მაშინ გამოვთვლით წითელი მონაკვეთის სიგრძეს: $15 - (1+2) = 12$ (სმ).

თუ მწვანე მონაკვეთის სიგრძე უდრის 1 სმ, ლურჯის კი 3 სმ, მაშინ წითლის იქნება – 11 სმ ($15 - (1+3) = 11$) და ა.შ.

მწვანე	1	1	1	1	1	2	2	2	2	3	3	4	15
ლურჯი	2	3	4	5	6	3	4	5	6	4	5	5	
წითელი	12	11	10	9	8	10	9	8	7	8	7	6	

ამის შემდეგ შესაძლებელია მოსწავლეებს რვეულში დავხაზოთ სამი მონაკვეთი (ნებისმიერი ვარიანტი).

ამოცანა გადასხმაზე

ამოცანა. ორი ოც-ოც ლიტრიანი კასრი ქვემოდან შეერთებულია მილით. ორივე კასრი სავსეა წყლით. რამდენი ლიტრი წყალი დარჩება თითოეულ კასრში, თუ კი პირველი კასრიდან ამოიღეს ექვსი ლიტრი წყალი?

ამოხსნა. კასრები შეერთებულია მილით. ეს ნიშნავს, რომ ისინი ზიარჭურჭელია, ანუ კასრებში წყალი სულ ერთნაირად იქნება, მიუხედავად იმისა, რომელი კასრიდან ამოიღეს წყალი და რომელში ჩაამატეს. ამ ფაქტის მოსწავლეებისათვის ახსნის შემდეგ ვიწყებთ ამოცანის ამოხსნას.

პირველი ხერხი

$20+20=40$ (ლ) – სულ იყო ორ კასრში

$40-6=34$ (ლ) – გახდა ორ კასრში

$34:2=17$ (ლ) – გახდა თითო კასრში

მეორე ხერხი

$20-6=14$ (ლ) – გახდა პირველ კასრში

$20+14=34$ (ლ) – სულ გახდა ორ კასრში

$34:2=17$ (ლ) – გახდა თითოეულ კასრში

მესამე ხერხი

$6:2=3$ (ლ) – გადმოასხეს ყოველი კასრიდან

$20-3=17$ (ლ) – გახდა ყოველ კასრში

პასუხი: 17 ლიტრი წყალი.

ამოცანა აწონაზე

აწონაზე ამოცანების პირობის მოდელირება ხდება პინიანი სასწორით. თუ სასწორი წონასწორობის მდგომარეობაშია, ნიშნავს, რომ სასწორის ორივე პინაზე ერთნაირი მასაა.

მოცემული ამოცანის პირობის მოდელირება ხდება ორი სასწორით, ამასთან, სასწორი ყოველთვის გაწონასწორებული უნდა იყოს.

აღნიშნული სახის ამოცანების ამოხსნისას უნდა მივემხროთ წესებს საგნების წონასწორობის შესახებ. წონასწორობა შენარჩუნდება, თუ:

სასწორის ორივე პინიდან მოვხსნით ერთნაირი მასის საგნებს;


სასწორის ორივე პინაზე დავამატებთ ერთნაირი მასის საგნებს;

ნებისმიერ პინაზე შევცვლით საგანს იგივე წონის სხვა საგნით.

შევასრულოთ პრაქტიკული მოქმედებები სასწორის წონასწორობის დარღვევის გარეშე.

ამოცანა. ძელი და კუბი აწონასწორებენ ორ ბურთულას. ერთ ძელს აწონასწორებს კუბი და ბურთულა. რამდენი კუბი აწონასწორებს ძელს?

ამოხსნა. ამოცანის პირობას შეესაბამება მოდელი ორი სასწორით:




გავითვალისწინოთ ტოლობა 2, გავაკეთოთ შეცვლა ტოლობა 1-ის მარცხენა ნაწილში:



ტოლობის ორივე ნაწილიდან ავიღოთ ერთნაირი საგნები (ბურთულები):



ტოლობა 2-ის მარჯვენა ნაწილში შევცვალოთ ბურთულა ორი კუბით;




პასუხი: ძელს აწონასწორებს სამი კუბი.

ამოცანა ასაკზე


ამოცანა. მამა და შვილი ერთად არიან 56 წლის. მამა უფროსია შვილზე 32 წლით. რამდენი წლისაა ყოველი მათგანი?

ამოხსნა. ამოცანისათვის ავაგოთ ნახაზი:



შემდეგ ამოვხსნათ ამოცანა ერთ-ერთი ხერხით.

ხერხი 1.



$56+32=88$ (წელი)

$88:2=44$ (წლის) – მამა

$44-32=12$ (წლის) – შვილი

ხერხი 2.



$56-32=24$ (წელი)

$24:2=12$ (წელი) – შვილი

$12+32=44$ (წელი) – მამა

პასუხი: შვილი 12 წლისაა, მამა 44 წლის.

ამოცანა მთელზე და ნაწილებზე

ჯგუფს „მთელი და ნაწილები“ მიეკუთვნება ტრადიციული ამოცანები რიცხვის პოვნაზე მისი ნაწილის მიხედვით და რიცხვიდან ნაწილის პოვნა, მაგრამ ასეთი ამოცანების პირობები რამდენადმე გართულებულია. ამავე ჯგუფში შედის ამოცანები, რომლებიც ხსნიან ცნების „ნახევარი“-ს არსს სხვადასხვა სიტუაციაში. ასეთი ამოცანების ამოხსნის საფუძველში ჩადებულია წესი: ნახევარი ყოველთვის არის ორი და ისინი ერთმანეთის ტოლია.

ამოცანა. დედამ სამ ბავშვს გაუყო მანდარინები. როდესაც მათ შეჭამეს ოთხ-ოთხი მანდარინი, ერთად დარჩათ იმდენი, რამდენიც თითოეულმა მიიღო. რამდენი მანდარინი ერგო თითოეულ მათგანს?

ამოხსნა. სამმა ბავშვმა მიიღო ერთნაირი რაოდენობის მანდარინი. შეჭამეს ოთხ-ოთხი მანდარინი, ანუ დარჩა მანდარინის სამი ტოლი ნაწილი, ყოველ ბავშვს თითო წილი. მაგრამ იმდენივე მანდარინი თავიდან ჰქონდა თითოეულ მათგანს. თითოეულს დარჩა ერთი ასეთი ნაწილი.

თუ თითოეულს ჰქონდა 3 ასეთი ნაწილი, ე.ი. მირთმეული მანდარინი (4 ცალი) შეადგენს ორ ნაწილს.


$4:2=2$ (მანდარინი) – შეადგენს 1 ნაწილს

$2+2+2=6$ (მანდარინი) – ერგო თითოეულს

შესაძლებელია სხვაგვარად მსჯელობაც.

აღნიშნოთ ნებისმიერი მონაკვეთით მანდარინის საწყისი რაოდენობა. ეს მონაკვეთი გავყოთ სამ თანაბარ ნაწილად. ყოველი ასეთი ნაწილი აღნიშნავს მანდარინის რაოდენობას, რომელიც თავიდან ჰქონდა ყველა ბავშვს (ტოლი რაოდენობა). ცნობილია, რომ მანდარინის საერთო რაოდენობიდან სამჯერ შეიჭამა ოთხ-ოთხი ცალი და დარჩა იმდენი, რამდენიც თავიდან ჰქონდა თითოეულ ბავშვს (ერთი პატარა მონაკვეთი).

$4 \times 3 = 12$ (მანდარინი) – შეჭამა სამმა ბავშვმა.



ნახაზზე ჩანს, რომ 12 მანდარინი შეესაბამება ორ ნაწილს. ერთ ნაწილს შეესაბამება 6 მანდარინი ($12:2=6$). ერთი ნაწილი აღნიშნავს მანდარინის რაოდენობას, რომელიც სამივე ბავშვს დარჩა ერთად და მანდარინის რაოდენობა, რომელიც თავიდან ჰქონდა თითოეულ ბავშვს.

პასუხი: 6 მანდარინი.

აღნიშნული ტიპის ამოცანების რეგულარული გამოყენება მათემატიკის გაკვეთილებზე აფართოებს დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მათემატიკურ თვალსაწიერს, ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარის განვითარებას, ამაღლებს მათი მათემატიკური მომზადების ხარისხს, შესაძლებლობას აძლევს უფრო მყარი ორიენტაცია ექნეთ მათ ირგვლივ არსებული სინამდვილის უმარტივეს კანონზომიერებებზე და აქტიურად გამოიყენონ მათემატიკური ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Фридман Л.М. Сюжетные задачи по математике: История, теория, методика: Учебное пособие для учителей и студентов педвузов и колледжей. – М.:Школьная Пресса, 2002. – 208 с.
2. Е. А. Ведилина. Нестандартные задачи в курсе математики начальной школы – Павлодар, 2008.
3. Левенберг Л.Ш. Рисунки, схемы, чертежи в начальном курсе математики. – М., 1978.
4. Левитас Г.Г. Нестандартные задачи в курсе математики начальной школы // Начальная школа. – 2001. – № 5. – С. 61-66.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია არასტანდარტული ამოცანების რამდენიმე ტიპი, რომელთა გამოყენება მასწავლებლებს შეუძლიათ როგორც მათემატიკის გაკვეთილებზე დაწყებით კლასებში, ასევე კლასგარეშე მუშაობაში. ამ ტიპის ამოცანებს გააჩნია გართულების ზოგიერთი ელემენტი („მოუხერხებელი“ რიცხვები, „ჩახლართული“ სიუჟეტი, დამატებითი პირობა და ა.შ.). ეს არის ე.წ. სიუჟეტური არასტანდარტული ამოცანები. მათში ელემენტარულ დონეზე ჩადებულია ლოგიკის, სიმრავლეთა თეორიის, კომბინატორიკის და ა. შ. ელემენტები.

აღნიშნული ტიპის ამოცანების რეგულარული გამოყენება მათემატიკის გაკვეთილებზე აფართოებს დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მათემატიკურ თვალსაწიერს, ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარის განვითარებას, ამაღლებს მათი მათემატიკური მომზადების ხარისხს, შესაძლებლობას აძლევს უფრო მყარი ორიენტაცია ექნეთ მათ ირგვლივ არსებული სინამდვილის უმარტივეს კანონზომიერებებზე და აქტიურად გამოიყენონ მათემატიკური ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

Vladimer Adeishvili -Akaki Tsereteli State University. Associate Professor Non-Standard Plot Tasks in Primary Grades Abstract

The paper discusses several types of non-standard tasks which teachers can use at math lessons in the primary grades as well as at extracurricular activities. These types of tasks contain some elements of complication ("clumsy" numbers, "complicated" story, additional conditions and etc.). These are the so-called non-standard plot tasks. They include basic elements of logics, theory of quantity, combinatorics and etc.

Normally, the solution of such tasks does not require arithmetic operations and computation. Sometimes children simply "guess" the answer. But this is not enough.

The regular use of this type of tasks at math classes expands primary school pupils' mathematical horizons, promotes intellectual and creative skills, enhances mathematical training level, enables them to have more stable orientation to the simplest regularities of the existing reality, and to actively employ mathematical knowledge in everyday life.

Владимир Адеишвили – Государственный университет Акакия Церетели СЮЖЕТНЫЕ НЕСТАНДАРТНЫЕ ЗАДАЧИ В НАЧАЛЬНЫХ КЛАССАХ Резюме

В труде обсуждены некоторые типы нестандартных задач, которые преподаватели могут применять как на уроках математики в начальных классах, так и во внеклассной работе. Задачи такого типа обладают некоторыми элементами осложнения («неудобные» числа, «закрученный сюжет», дополнительное условие и т.д.). Это так называемые сюжетные нестандартные задачи. В них на элементарном уровне заложены элементы логики, теории множеств, комбинаторики и т.д.

Обычно, решение таких задач не включает математических действий и вычислений. Иногда дети просто «угадывают» ответ. Но этого недостаточно. Важно, чтобы они могли аргументировать собственный ответ ясно и понятно и подтвердить решение необходимой иллюстрацией.

Регулярное применение такого рода задач на уроках математики расширяет математический кругозор учащихся, способствует развитию интеллектуальных и творческих навыков учащихся, повышает качество их математической подготовки, дает возможность иметь четкое представление о простейших закономерностях окружающей действительности и активно применять математические знания в повседневной жизни.

ინგა კახიანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კლასის მართვის პროგრამა Mythwere e-Learning Class

ჩვენ ინფორმაციის საოცარი მოზღვავეების ხანაში ვცხოვრობთ, როცა კომპიუტერი ჩვეულებრივი მოხმარების საგნად იქცა. ეს მოწყობილობა იმდენად ღრმად შემოიჭრა ჩვენს ყოველდღიურებაში, რომ ბევრს ვერც კი წარმოუდგენია ცხოვრება ტექნიკის ამ საოცრების გარეშე და ბავშვებისთვისაც მასთან ურთიერთობა ჩვეულებრივი მოვლენაა. ისინი დღეს კომპიუტერთან მუშაობას საკმაოდ ადრეული ასაკიდან იწყებენ. კომპიუტერის საშუალებით მუშაობენ სხვადასხვა განმავითარებელ პროგრამასა და კომპიუტერულ თამაშებში, რომლებიც ხელს უწყობს მეხსიერების, ყურადღების, აზროვნების, რეაქციის სისწრაფის, ხელის მოტორიკის განვითარებას, ერთი სიტყვით აცნობს ბავშვს გარემომცველ სამყაროს.

საქართველოს სკოლებში დაწყებით კლასებში უკვე მეორე წელია წარმატებით მიმდინარეობს პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“, რომლის მიზანია დაიგეგმოს და ჩატარდეს ინფორმაციულ სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიებით გამდიდრებული გაკვეთილები ე.წ. ბუკების საშუალებით. სწავლების ყველა არსებულ ტექნიკურ საშუალებას შორის, კომპიუტერი ყველაზე უფრო სრულად აკმაყოფილებს სწავლა-სწავლების საჭიროებებს. კომპიუტერს აქვს მთელი რიგი დამატებითი შესაძლებლობები, რომლებიც საშუალებას იძლევა ვმართოთ სასწავლო პროცესი და მაქსიმალურად მოვარგოთ იგი მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, უვითარებს ბავშვს ინფორმაციასთან მუშაობის უნარს, საშუალებას იძლევა გავამდიდროთ ბავშვის ინტერესი შესასწავლი საგნის მიმართ, ხელი შევუწყოთ ლოგიკური აზროვნების, გონებრივი შრომის კულტურის ამაღლებას, დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების ფორმირებას.

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა დაწყებით კლასებში:

- ზრდის მოსწავლეთა სასწავლო მოტივაციას.
- უვითარებს ბავშვს ინფორმაციასთან მუშაობის უნარს
- სასწავლო პროცესს ხდის მობილურს და ინდივიდუალურს.
- ზრდის სასწავლო მასალის აღქმადობის ხარისხს.
- ააქტიურებს მოსწავლეთა შემეცნების პროცესს.

კომპიუტერი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც საუკეთესო საშუალება ბავშვის ფსიქიკური განვითარებისა და სწავლა-სწავლების ეფექტურობის ასამაღლებლად, ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ვასწავლოთ ბავშვს იმ სამყაროში ცხოვრება, რომელიც მუდმივად ცვალებადი და ინფორმაციით სავსეა, ხოლო მოსწავლეებმა, პედაგოგებმა და მშობლებმაც შეძლონ ტექნოლოგიის ინტეგრირება თავიანთ ცხოვრებაში. ამ მიზნით კორპორაცია Intel-მა შექმნა სასწავლო სერია,

Intel-ის სასწავლო სერიის საშუალებით 1:1 ელექტრონული სწავლების დანერგვა გულისხმობს როგორც ტექნიკური, ისე პროგრამული საშუალებების ერთობლიობის დანერგვას სკოლაში. კერძოდ ამ სერიის ქვეშ მოიაზრება Intel-ის ტექნოლოგიის ბაზაზე შექმნილი მოსწავლის პერსონალური კომპიუტერი (CMPC), მშობელთა მონიტორინგის პროგრამა, 1:1 საკლასო გარემოს მართვა, სპეციალურად ამ გარემოსათვის შექმნილი ვებ-კამერა და ლაბ-კამერა, არტტექნიკის პროგრამა, აგრეთვე სპეციფიკური ტექსტური რედაქტორი.

Intel-ის ტექნოლოგიის ბაზაზე შექმნილი მოსწავლის პერსონალური კომპიუტერი (CMPC) - ძლიერი, ხელმისაწვდომი, ბავშვებისათვის მოსახერხებელი ნეთბუქია, რომელიც პასუხობს 5-14 წლის ასაკის მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებებს.

მასწავლებელი კლასში მრავალ ფუნქციას ასრულებს, მაგრამ ამ ფუნქციათა შორის უმნიშვნელოვანესია კლასის მართვა. პრაქტიკულად წარმოუდგენელია კლასი, რომელშიც სწავლისა და სწავლების დონე ეფექტურია, მაგრამ მისი მართვა გამწვანებული. იმ შემთხვევაში, როცა მასწავლებელს კლასის მართვა შეუძლია, კლასში სწავლა და სწავლება გაცილებით წარმატებულია. კლასის მართვის უნარი საკმაოდ ძნელად შესაძენია და ბევრ მასწავლებელს დიდი ძალისხმევა

სჭირდება კლასის მართვაში დასახელოვნებად. ეფექტური მასწავლებელი ბევრ ფუნქციას ერთდროულად ასრულებს. ეს ფუნქციები შეიძლება სამ ძირიდად ნაწილად დავეყოთ: 1) სწავლების მეთოდების სწორად შერჩევა და გამოყენება 2) სასწავლო გეგმის მორგება მოსწავლეთა საჭიროებებზე და 3) კლასის მართვის მეთოდების ეფექტურად გამოყენება.

განათლების სფეროში ჩატარებულ კვლევებზე დიდი ნაწილი სწორედ მასწავლებლის მიერ კლასის ეფექტურად მართვასა და საბოლოოდ შედეგზე ორიენტირებული გაკვეთილის ჩატარებას ეხება.


ნებისმიერი პედაგოგის წარმატების საზომად მისი კლასის აკადემიური მოსწრება ითვლება, თავის მხრივ მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევა კლასში შეუძლებელია თუკი მასწავლებელს არ აქვს კლასის მართვის უნარი. კლასის მართვა ეფექტური სწავლების განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. კლასის მართვის უნიკალურ საშუალებას იძლევა ბუკებში წარმოდგენილი საკლასო კოლაბორაციის პროგრამული უზრუნველყოფა: Mythwere e-Learning, რომლის გამოყენებითაც მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ იმუშაონ ერთობლივად, ეფექტურად გამოიყენონ ახალი ტექნოლოგიები, შეძლონ ერთმანეთთან კომუნიკაცია, შემოქმედებითად და კრიტიკულად იაზროვნონ ალტერნატივების შესახებ.

როგორც ავღნიშნეთ Intel-ის ტექნოლოგიის ბაზაზე შექმნილი მოსწავლის პერსონალური კომპიუტერის (CMPC) მართვა შესაძლებელია გაკვეთილის განმავლობაში Mythwere e-Learning Class პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. ძირითად ინსტრუმენტებს ამ პროცესში წარმოადგენს მოსწავლის CMPC, მასწავლებლის CMPC კომპიუტერი კლასის კოლაბორაციის პროგრამული უზრუნველყოფით და უკაბელო ინტერნეტ კავშირი. აღნიშნული ინსტრუმენტების წარმატებით ფუნქციონირების შედეგად მასწავლებლებს შეეძლება უკაბელოდ მართონ მოსწავლეთა CMPC-ები, კერძოდ შეძლებენ ფაილების გაცვლას, მოსწავლეთა CMPC-ების ზედამხედველობას, ტესტირების ჩატარებას და მოსწავლეთა კოლაბორაციის ხელშეწყობას.













კლასის მართვის პროგრამაში შესვლის დროს მასწავლებლის კომპიუტერის ეკრანზე შემდეგი ფანჯარაა ასახული:




სადაც ფიქსირდება მასწავლებლის სახელი, სისტემაში შესვლის პაროლი და გაკვეთილის სახელი. სისტემაში შესვლის შემდეგ მასწავლებლის ეკრანი შემდეგი სახისაა:




ეკრანზე ცენტრში ნათლად ჩანს დარეგისტრირებულ, მაგრამ არა დაკავშირებულ მოსწავლეთა რაოდენობა. დაკავშირებული მოსწავლეები შეგვიძლია დავინახოთ ჩართული ეკრანით. თუკი მოსწავლის კომპიუტერი არ არის დაკავშირებული მათ შავი ეკრანი ექნებათ. ეკრანის ზედა ნაწილში კლასის მართვის პროგრამის მენიუ არის გამოტანილი შესაბამისი პუნქტებით, რომელთა შორისაა:


-  -- ეკრანის გადაცემა, ამ რეჟიმში მასწავლებელს შეუძლია თავისი ეკრანი გადაუგზავნოს ერთ ან მეტ მოსწავლეს.
-  -- სტუდენტის ჩვენება, მასწავლებელს შეუძლია შერჩეული სტუდენტის ეკრანის გაზიარება სხვა მოსწავლის ან მთელი კლასისათვის.
-  -- ქსელის ვიდეორგოლი, მასწავლებელს საშუალება აქვს გაუგზავნოს ვიდეო ყველა ან შერჩეულ მოსწავლეს,
-  -- კამერა, მასწავლებელმა შეიძლება გადაუგზავნოს მიმდინარე ჩანაწერი მასწავლებლის ლეპტოპთან დაკავშირებული ვებკამერიდან ყველა ან შერჩეულ მოსწავლეს.
-  -- დაფის გაზიარება, მასწავლებელმა შეიძლება საკუთარი დაფა გაუზიაროს ერთდროულად 5 მოსწავლეს სხვადასხვა ნახატის შესასრულებლად.
-  -- მონიტორინგი და კონტროლი, შეიძლება საკუთარ ეკრანზე ასახოს შერჩეული მოსწავლის სრული ეკრანი და კონტროლი გაუწიოს მას, რათა იგი არ ჩამორჩეს სხვებს.
-  -- დისტანციური ბრძანება, ამ ბრძანებით მასწავლებელმა შეიძლება დისტანციურად გაუშვას რომელიმე მოსწავლესთან სასურველი პროგრამა, ან გათიშოს მოსწავლე ქსელიდან.
-  -- ჩეთი, უჩვენებს მოსწავლეებისგან შემოსულ შეტყობინებებს და მასწავლებელს კლასის მოდელში ყველა ან შერჩეული მოსწავლეებისათვის შეტყობინების გაგზავნის საშუალებას აძლევს.
-  -- ჯგუფური სწავლება საშუალებას აძლევს მასწავლებელს დაასახელოს თავისი „აქტიური“ მოსწავლე, რომელსაც შეეძლება თავისი ეკრანის სხვა მოსწავლეებისათვის გაგზავნა ,
-  -- ტესტი, ამ რეჟიმში შესაძლებელია ტესტირების ჩატარება წინასწარ მომზადებული ან მომენტალურად შესრულებული ტესტის მიხედვით.
-  -- გამოკითხვა,  -- ფაილების დარიგება, მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რომლის დროსაც მასწავლებელს შეუძლია გადაუგზავნოს ფაილები ერთ ან მეტ მოსწავლეს.

ფაილების კრებული გულისხმობს მოსწავლეებისგან მიწოდებული ფაილების შეგროვებას. ეკრანის

მარჯვენა ნაწილში მოცემულია  -- ერთი ან რამდენიმე დისციპლინის დამრღვევი

მოსწავლისათვის სიჩუმის რეჟიმის ჩართვას,  -- სიჩუმის რეჟიმის გამორთვა,

 -- მასწავლებელს შეუძლია ავტომატურად დაიკავშიროს კლასის ყველა ან შერჩეული

მოსწავლე,  -- მასწავლებელს შეუძლია ერთ კლასში შექმნას ცალ-ცალკე ქვეჯგუფები და კონტაქტი დაამყაროს ამ ქვეჯგუფებთან.

აღნიშნულ პროგრამაში მასწავლებელმა შესაძლებელია ჩაატაროს ტესტირება როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებისათვის. ტესტის მიზანი შეიძლება იყოს მოსწავლეთა სუსტი და ძლიერი მხარების გამოვლენა, რაც მასწავლებელს იმის განსაზღვრაში დაეხმარება, თუ როგორ უნდა წარმართოს სწავლება, რა უნდა შეცვალოს და რაზე გაამახვილოს ყურადღება. ასევე, შესაძლებელია ტესტის საშუალებით მას განსაკუთრებით ძლიერი მოსწავლეების გამოვლენა სურდეს ან ტესტს უფრო შემაჯამებელი ხასიათი ჰქონდეს, რათა მშობლებმა მათი შვილების მოსწრების შესახებ სრული ინფორმაცია მიიღონ. ყველა ამ ამოცანის რეალიზება მასწავლებელს შესანიშნავად შეუძლია კლასის მართვის პროგრამით. სადაც გადაცემული ტესტი ავტომატურად შეფასდება პროგრამის მიერ ქულების და ზოგადი სტატისტიკის ჩვენებით, ხოლო უკვე გასწორებული ნაშრომი შესაძლებელია დაუბრუნდეს მოსწავლეებს.

ყველა იმ ღირსების მიუხედავად, რაც მოსწავლის პერსონალურ კომპიუტერს (CMPC) გააჩნია, მისი ბოროტად გამოყენება მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე, იქმნება ხერხემალთან და მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები. Intel-ის სასწავლო სერიაში გათვალისწინებულია ზემოთ აღნიშნული საკითხები და ბუკებზე მუშაობს ე.წ. მშობელთა მონიტორინგის პროგრამა - Access Management, რომლის საშუალებითაც მასწავლებლებსა და მშობლებს საშუალება აქვთ დაუწესონ ბავშვს გარკვეული შეზღუდვები ბუკის გამოყენების დროზე და მის მიერ ვებ-გვერდებთან წვდომაზე, რითაც რეალიზებულია ბავშვის დაცვა არასასურველი ინფორმაციისაგან და მის მიერ კომპიუტერის განუსაზღვრელი დროით გამოყენებისაგან.

ამრიგად, Intel-ის ის სასწავლო სერია და კონკრეტულად კლასის მართვის პროგრამა- MyThwere e-Learning Class საშუალებას იძლევა ბავშვი დაწყებით საფეხურიდანვე მომზადდეს იმ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შესაბამისად, რომელიც მისთვის აუცილებელია სწავლების მაღალ საფეხურზე მოცემული ამოცანების გადასაჭრელად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რობერტ ჯ.მარზანო, იანა მარზანო, დებრა ფიქერინგი, „კლასის მართვა“
2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი: „1:1 ელექტრონული სწავლების დანერგვა“.
3. ჯეინ ფოლოქი, „რობერტ ჯ.მარზანო,დებრა ფიქერინგი, „ეფექტური სწავლება სკოლაში“
4. www.tpdc.ge

რეზიუმე

ნაშრომში გადმოცემულია კლასის მართვის პროგრამა Mythwere e-Learning Class-ის შესაძლებლობები, მასთან ურთიერთობის თავისებურებები. განხილულია მოსწავლის პერსონალური კომპიუტერით (CMPC) სარგებლობის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

Inga Kakhiani- Kutaisi State University

Abstract

The paper deals with the training series by Intel and one of its components Mythwere e-Learning Class.

It is noted that among all the technical means used for learning purposes computer is the one that fully meets teaching and learning needs. It has a number of additional features enabling to successfully manage learning process. It helps to develop the skill to process information and enables to promote logical thinking, shape independent work habits and attitude of young students.

Through the series produced by corporation of Intel implementation of 1:1 e-teaching involves introduction of the combination of both hardware and software at schools. Namely, the set of series involves a classmate personal computer (CMPC), a computer for a teacher with the software for collaboration, a wireless Internet connection, parental monitoring software, 1:1 classroom management, specially designed web and lab cameras, arts programs as well as a specific text editor.

Through successful functioning of the abovementioned tools teachers will be able to wirelessly manage the CMPCs, in particular they will be able to exchange files, give tests and encourage the collaboration.

Инга Кахиани- Кутаисский Государственный Университет

Резюме

В статье рассмотрена программа управления классом Mythwere e-Learning Class а также позитивные и негативные стороны использования персонального компьютера в начальных классах.

ცოტნე მარგველაშვილი - შპს საქაერო ნავიგაციის ქსელის ადმინისტრატორი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი.

3D ეფექტის მქონე 8*8*8 მატრიცის მქონე LED კუბის შექმნის განხორციელებული პროექტი

ვიზუალური აღქმის მოცემული მოდელი ხელს უწყობს კონცეპტუალური და აბსტრაქტული აზროვნების უნარების, ლოგიკური და მათემატიკური ფორმულების გაგების უნარის განვითარებას. მსგავსი ვიზუალური ეფექტების გამოყენებით მოსწავლეს უნვითარდება შემეცნების, მხატვრული, შემოქმედებითი და ვიზუალიზაციის უნარები. სწავლის პროცესში ჩართულია დაგეგმარების, კონსტრუირებისა და გონებაში წარმოსახვის უნარები. წარმოდგენთ ჩემს მიერ 3D ეფექტის მქონე 8*8*8 მატრიცის მქონე LED კუბის შექმნის პროექტს და მასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საკითხებს. LED ეკრანის შემთხვევაში მნიშვნელოვანია ფიქსელები ერთმანეთის გვერდით მჭიდროდ იყვნენ განლაგებულნი, რაც ჩვენების ხარისხზე აისახება. ხოლო LED Cube-ის შემთხვევაში საჭიროა სვეტებს შორის ხედავდე გამოსახულებას, ამისათვის მეტი დაშორებაა საჭირო LED ნათურებს შორის (voxel). მონიტორთან შედარებით რათქმაუნდა ნაკლები ხარისხი აქვს გამოსახულებას, მაგრამ რაც მთავარია მას აქვს 3D ეფექტი. LED დისფლეი 8*8 ფიქსელით საჭიროებს მხოლოდ 64 LED ნათურას, ხოლო LED Cube 8*8*8-ზე საჭიროებს 512 LED ნათურას, რაც შრომატევადს ხდის Cube-ის აწყობას. 512 LED ნათურიდან გამომდინარე საჭიროა თითოეულ ნათურაზე (voxel-ზე) გვექონდეს კონტროლი. გამოყენებული იქნა 512 IO პორტი, შესაბამისად მიკროკონტროლერი 512 პორტით დაკავშირებული სადენით თითოეულ ნათურასთან, მაგრამ LED Cube-ის აგების გასამარტივებლად გამოვიყენე მართვის სხვაგვარი სისტემა, რომელიც დამოკიდებულია ოპტიკურ მოვლენაზე (ოპტიკურ ილუზიაზე).

ავლნიშნოთ, რომ კუბის სამართავად საჭიროა 64+8 IO პორტი . პრაქტიკულად არ არის AVR მიკროკონტროლერი (DIP- dual inline package ტიპის) რომელსაც ექნება ამ რაოდენობის IO Line. რომ დაგვეკმაყოფილებინა 64 IO ხაზიანი მოთხოვნა ანოდის სვეტისათვის ჩვენ შევქმენით უბრალო Integrate circuit (ტრიგერების) მულტიფლექსური ჯაჭვი. ეს ჯაჭვი განხორციელებს მულტიფლექსურ გადაცემას 11 IO პორტით 64 გადამცემი ხაზისას. ეს ჯაჭვი გამოიყენებს კერძოდ 74HC574 სერიის IC-ის (ტრიგერს), რომელსაც აქვს შემდეგი პინები:

- ✓ 8 Input (DO-7)
- ✓ 8 Input (QC-7)
- ✓ 1-Triger tatch
- ✓ (CP) pin
- ✓ 1 (OE)

ეს ტრიგერების ჯაჭვი პატარა მეხსიერების მსგავსია, რომელიც 64 ბიტთან ინფორმაციას ინახავს. (დენზე დამოკიდებულია) თითოეულ IC-ის შეუძლია 8 ბიტის მოცულობის ინფორმაციის შენახვა და ეს 8 ბიტი იქნება წარმოდგენილი მის Input Pin-ებზე. როგორც ვიცით ტრიგერს აქვს CP პინი რომლის V+ გამშვებისას DO-დან უკვე გადადის მინაცემი QC –კენ და შესაბამიად Voxel-იც ინთება. CP იცვლება GND მდგომარეობიდან V+ მდგომარეობაში. ამისათვის, რომ 64 ბიტანი ინფორმაცია განვითავსოთ ტრიგერების ჯაჭვში, ამისათვის გვაქვს 8 ბიტანი შინა, რომელშიც დაერთებულია ყველა ტრიგერის DO-7 Pin-ები. მონაცემების ჩატვირთვისათვის ჩვენ ვიქცევით შემდეგნაირად:

ვტვირთავთ მონაცემებს პირველი ტრიგერისთვის, და CP-ის ვცვლით low, high-ით, შემდეგ ისე ვტვირთავთ მეორე ტრიგერისთვის და CP-ის ვცვლით low, high-ით. ანალოგიურად ვიქცევით დანარჩენი ტრიგერებისთვისაც. ერთ-ერთი რაც არის ეხლა ეს არის 8 IO ხაზი, რომლითაც ვმართავდით CP-ის მდგომარეობას თითოეული ტრიგერისათვის. ამისათვის მე გამოვიყენე 74HC138 სერიის IC-ი, რომელსაც აქვს 3 Input-ი და 8 –Output-ი, სადაც 8 –Output-ი დაკავშირებულია თითოეული ტრიგერის CP-ისთან, ხოლო შემავალი Input Pin-ებს ვიყენებთ სიგნალის განულებისათვის.

ეს გახლდათ ფუნქციონალური დაფის მუშაობის პრინციპი, რომელიც თავის მხრივ 16 pin დაკავშირებულია AVR დაფასთან, რომელიც არის მთავარი შემსრულებელი და მმართველი. AVR დაფა ეს არის ტვინი LED-cube-ის. AVR დაფაზე კი მთავარი კომპონენტი კი არის ATmel AVR Atmega32 სერიის მიკროკონტროლერი. ეს არის 8 ბიტისანი მიკროკონტროლერი 32 კბ-იანი მეხსიერებით და 2 კბ ოპერატიული მეხსიერებით. ATmega32 აქვს 32 GPIO (General Purpose IO) კონტაქტები. მათ შორის 2 pin-ს გამოვიყენებთ serial კომუნიკაციისთვის. სამი IO კონტაქტი გამოყენებული მაქვს IPS-ისთვის. (In circuit Serial Programming). 8-GPIO ჯგუფს ეძახიან პორტს. ე.ი. Atmega32 აქვს 4 პორტი Port A, Port B, Port C, Port D.

Port A დაკავშირებულია Data Bus-თან ტრიგერების მასივთან. თითოეული Port B-სი დაკავშირებულია Transistor-ების წყვილთან, რომლებიც მართავენ Cube-ის layer (ფენებს) შესაბამისად AVR, ISP პროგრამების გამოყენებით ხდება Atmega32-ზე პროგრამის ჩაწერა, რომლის მიხედვითაც იმართება ეს თითოეული პორტი, რომელიც თავის მხრივ მართავს ფუნქციონალურ დაფას და საერთო ჯამში LFD Cube-ის თითოეულ voxel-ს რომლის განათებით მივიღებთ პროგრამულად გაწერილ ეფექტებს. რომელიც განხილული იქნება ISP პროგრამირებაში. პროგრამული მახასიათებლები დაწერილია „C“ ენაზე და კომპილირდება „open-source“ კომპილიატორით „avr-gcc“-ზე. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმასა, თუ რატომაც ვიყენებთ ATMEL avr მიკროკონტროლერს. PIC სერიის მიკროკონტროლერებიც კარგი ვარიანტია, მაგრამ უმეტესობა „C“-ის კომპილიატორები მასზე ფასიანია და უფასო ვერსიები შეზღუდულია კოდის ზომაში.

„AVR“ მიკროკონტროლერები ძალიან ადვილი მოსახმარია, უბრალოდ საჭიროა გადმოწერა და დაყენება (avr-gcc compiler) რას მუშაობის საშუალებას მოგცემს. „AVR“-ის პროგრამა შეიცავს ორ კომპონენტს: Interrupt Routine და ანიმაციურ ეფექტებს. კავშირი მათ შორის ხდება მასივში. ეს მასივი იკავებს ცალ-ცალკე აღებულ კუბის დიოდს. ამ მომენტისთვის მე მას მოვიხსენიებთ კუბის მასივს. კუბის მასივი შედგება 8*8 ბაიტისაგან და თითოეული ბაიტი იკავებს 8 ბიტს. ეს მასივი ჩვენ გვამძლევეს 8სიგანეს, 8-სიმაღლეს და 8-სიგრძეს. „Interrupt Routine“-ში იგულისხმება, კუბის მასივში ასახული ინფორმაციის გამოტანა დროის განსხვავებულ ინტერვალში (POV ილუზია). ეფექტების ფუნქციები იწერება ამ მასივში, როგორც LED-ების სტატუსი (1;0) . მიკროკონტროლერებთან მუშაობისას კოდის ზომას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამისათვის გამოყენებული მაქვს ჩანაწერთა ბიბლიოთეკები სადაც მთავარი main() ფუნქცია იძახებს სხვადასხვა ჩანაწერში დაბალი დონის ფუნქციებს.პირველ რიგში რაც უნდა გავაკეთოთ ATmega- ზე ჩატვირთვის შემდეგ, ეს არის ფუნქციის ioinit() -ის გამოძახება.ეს ფუნქცია აყენებს IO პორტებს, Timer-ს, Interrupt Routine-ს და serial-ებს შორის კავშირს. ყველა IO პორტი ATmega-ზე აქვს თავისი დანიშნულება. Interrupt Routine ანუ წყვეტა ეს არის LED Cube-ის გული (შინაარსობრივად). ყოველ ჯერზე როცა მუშაობს წყვეტა და ირთვება ახალი ფენა ახალი მონაცემებით, ეს მეორდება შემდეგ წყვეტებზეც, მანამ სანამ არ გასუფთავდება ხელმეორედ. მონაცემების ჩატვირთვა მოხდება ტრიგერის მასივში და შემდეგი ფენა არ ჩაირთვება.ATmega32-ს აქვს 3 Timer/counters. მათ შეუძლია იმუშაონ შეუწყვეტლივ და გამოიძახონ წყვეტა ყოველ ჯერზე, როცა ისინი მიაღწევენ გარკვეულ მნიშვნელობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. [программирование МК AVR в ОС Ubuntu](#)
2. [программирование МК AVR в ОС Ubuntu. Часть 2 \(GUI\)](#)
3. http://cxema.my1.ru/publ/razdel_skhem_dlja_nachinajushhikh_radioljubitelej/konstrukcii_srednej_slozhnosti/svetodinamicheskoe_ustrojstvo_begushhaja_volna/24-1-0-3788
4. <http://www.cxem.net/sound/light/light44.php>
5. <http://avislab.com/blog/LEDCube/>
6. <http://chinaledscreen.com/>
7. <http://cxem.net/sound/light/light44.php>

რეზიუმე

ვიზუალური აღქმის მოცემული მოდელი ხელს უწყობს კონცეპტუალური და აბსტრაქტული აზროვნების უნარების, ლოგიკური და მათემატიკური ფორმულების გაგების უნარის განვითარებას. მსგავსი ვიზუალური ეფექტების გამოყენებით მოსწავლეს უნვითარდება შემეცნების, მხატვრული, შემოქმედებითი და ვიზუალიზაციის უნარები. სწავლის პროცესში ჩართულია დაგეგმარების, კონსტრუირებისა და გონებაში წარმოსახვის უნარები. წარმოდგენთ ჩემს მიერ 3D ეფექტის მქონე 8*8 მატრიცის მქონე LED კუბის შექმნის პროექტს და მასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საკითხებს. LED -კუბი – ესაა 3D მონიტორი, რომელიც სამგანზომილებიანი ანიმაციის დემონსტრირების შესაძლებლობას იძლევა და სადაც მთელ მოცულობაზე განლაგებულია მანათობელი დიოდები და ყოველი შუქდიოდი ცალ-ცალკე იმართება. LED კუბი ასახავს სხვადასხვა მანათობელ ანიმაციას, იმართება პროგრამის მიერ. LED კუბი თავისი, არსით, შინაარსით წარმოადგენს მოცულობით მონიტორს, რომელიც საშუალებას იძლევა ავსახოთ სივრცითი სტრუქტურები და გრაფიკა. ვიზუალიზაციის ინოვაციური, პროფესიონალური სისტემების წარმოების მსოფლიო ლიდერები (Planar Systems, Clarity NaturalColor™ და ა.შ.) ქმნიან ექსპლუატაციისათვის საიმედო, მკაფიო გამოსახულების მქონე გამოსახულებების LED ვიდეოკუბებს. სტატიაში წარმოდგენილია 3D ეფექტის, 8*8 მატრიცის მქონე LED კუბის შექმნის პროექტი და მასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საკითხები.

Tsotne Margvelashvili. doctorant candidate of technical university of Georgia. Network administrator.

LED Cube and application in the course of study

Summary

LED Cube-with devices (SDU) programmed algorithms allow to create big variety effects and to operate according to the program a large number of light elements. SDU with linear (smooth) management of brightness, unlike SDU with discrete management of brightness, demand application separate hardware SHIM-kontrollera on each canal. Therefore complexity of such device increases in proportion to number of light elements. In this work it is considered such light-emitting diode cube? It is a cube on which all volume light-emitting diodes are located. And each light-emitting diode (it is possible color) - copes separately. By means of a light-emitting diode cube it is possible to create various light shows and animation. The light-emitting diode cube can display various light animation which is already programmed in is mute. Difficult schemes 3D light-emitting diode cubes even can display various volume words and inscriptions. In other words the light-emitting diode cube in essence is the volume monitor, only with low permission which allows to display spatial structures and graphics. Certainly, this decision isn't suitable for video viewing, but can be well used for registration of show and presentations, for entertainments and exhibitions, advertizing and design. in given the project 3D of a light-emitting diode cube (LED Cube) with a matrix 8x8x8 Is represented to a subject.

Сотне Маргвелашвили - Докторант технического Университета Грузии. Сетевой администратор.

проект 3D светодиодного куба (LED Cube) с матрицей 8x8x8.

3D светодиодный куб (LED Cube) с матрицей 8x8x8 с устройствами запрограммированные алгоритмы (SDU) позволяет создавать большие эффекты разнообразия и управлять согласно программе большим количеством легких элементов. SDU с линейным (гладким) управлением яркостью, в отличие от SDU с дискретным управлением яркостью, требуют применение отдельных аппаратных средств на каждом канале. Поэтому сложность такого устройства увеличивается в пропорции к числу легких элементов. Это - куб, на котором расположены все светодиоды объема. С помощью куба светодиода возможно создать различные световые шоу и мультипликацию. Куб светодиода может показать различную легкую мультипликацию, которая уже запрограммирована. Трудные схемы 3D кубы светодиода даже могут показать различные слова объема и надписи. куб светодиода в основном - монитор объема, которое позволяет показывать пространственные структуры и графику. Это решение может хорошо использоваться для регистрации шоу и представлений, для развлечений и выставок, рекламируя и дизайна. В статье представлен проект создания 3D эффект. 8*8*8 матрицы -LED-куба и связанные с ним теоретические и практические вопросы

ლაშა გაგაშელაშვილი - შპს „ლონე ქვეყნისა“ კერძო დაწყებითი სკოლა. დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ინფორმაციის ძიების ოპტიმალური მეთოდის შემუშავების საკითხები

ინფორმაციული ტექნოლოგიების ჩამოყალიბებამ უზრუნველყო ინფორმაციის უზარმაზარი ნაკადის წარმოების, დამუშავებისა და გადაცემის შესაძლებლობა. ინტერნეტი ფართოდ გამოიყენება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და წარმოადგენს ინფორმაციის უდიდესს წყაროს. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გარეშე დღეს წარმოუდგენელია პროგრესი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში. შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება, ინფორმაციული საზოგადოების შექმნა და მსოფლიო ინფორმაციულ სივრცეში აქტიურად ჩართვა ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტულ ამოცანად არის მიჩნეული. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელშეწყობით შესაძლებელია ტექნიკური უნარ-ჩვევები შევსდინოთ მომხმარებელს, შევქმნათ ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოსაყალიბებლად.

თავისი მრავალფეროვნებიდან გამომდინარე ინტერნეტმა ფართო აღიარება ჰპოვა მოზარდებში ისინი მას მრავალი დანიშნულებით იყენებენ, მაგრამ აქ ყურადღებას გავამახვილებთ ინტერნეტის დახმარებით სწავლაზე.

ინფორმაციის ძიებისას ინტერნეტში ვაწყდებით სხვადასხვა სახის დაბრკოლებებს. კერძოდ არ ხდება ინფორმაციის აზრობრივი ძიება, ხშირ შემთხვევაში შემოთავაზებული საიტი წარმოადგენს არასასურველს და უფრო მეტიც შეიძლება აკრძალული შინაარსისაც კი იყოს, ხდება მოცდენა. შემოთავაზებული საიტი არ წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს, მაგრამ საკმაოდ მაცდურია იმისათვის, რომ მომხმარებელმა დაივიწყოს რას ეძებდა და გაერთოს. სწორედ ამიტომ საჭიროა შევიმუშოოთ ისეთი მეთოდები რომელიც ინტერნეტის მოხმარებას გახდის უფრო საქმიანს და სასარგებლოს. ნებისმიერი საძიებო სისტემა იყენებს ინფორმაციის ძიების ალგორითმს რომელიც მომხმარებელს წარუდგენს იმ საიტების სიას, სადაც ერთხელაც კი ნახსენებია ის საძიებო სიტყვა, რომელიც მომხმარებელმა მოითხოვა. საძიებო სისტემები იყენებენ საიტების მონაცემთა ბაზებს და ეს ბაზა დღითიდღე იზრდება. მომხმარებელს წარედგინება მის მიერ მიწოდებული საძიებო სიტყვის მიხედვით გაფილტრული საიტების რაოდენობა.

ყველა თანამედროვე საძიებო სისტემას გააჩნია შემდეგი სახის ნაკლოვანებები

- საკვანძო სიტყვებით ძიება იძლევა დიდი რაოდენობის ვებ-გვერდის ბმულებს და როგორც წესი მათი უმეტესობა უსარგებლოა
- ხშირად გაიცემა ბმულები ინფორმაციაზე, რომლებიც უკვე დიდი ხანია აღარ არსებობენ ინტერნეტში
- საძიებო სისტემები ისეთი სრულყოფილი არ არის, რომ გაიგონ ბუნებრივი ენა

ჩემს მიერ შემუშავებულია ისეთი ალგორითმი, რომელიც დააკვირდება მომხმარებლის მუშაობას ინტერნეტში და ჩაინიშნავს მხოლოდ იმ საიტებს რომლებზეც მომხმარებელმა გარკვეული პერიოდი გაატარა. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ის სასარგებლოა. სისტემა მოახდენს გამოყენებული საიტების რეიტინგების შედგენას და ანალოგიურ მოთხოვნაზე უკვე სხვა მომხმარებელს, წარედგინება ასეთი საიტების სია, რეიტინგის მიხედვით დალაგებული. საბოლოო ჯამში უნდა შევძლოთ და მოვახდინოთ ისეთი მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც მოგვაწოდებს ისეთ ინტერნეტ რესურსებს რომელთაგანაც თითოეული საჭირო და გამოსადეგი იქნება. იდეალური საძიებო სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მაჩვენებლებს

- ❖ გამოყენების სიადვილე;
- ❖ მკაფიოდ ორგანიზებული და განახლებადი ინდექსი
- ❖ მონაცემთა ბაზაში სწრაფი ძიება

❖ მიების მეთოდების სისრულე და სიზუსტე

რა თქმა უნდა აღნიშნული მეთოდი იდეალურიდან შორსაა მაგრამ წარმოადგეს გაუმჯობესებას იმისას, რაც ახლა გვაქვს. მისი ნაკლოვანება ისაა, რომ შეიძლება მომხმარებელმა უბრალოდ დააჭიროს ისეთ საიტის ლინკს, რომელიც არასასურველია და არც კი შეხედოს ისე მოშორდეს კომპიუტერს გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ამ შემთხვევაში სისტემა ჩათვლის, რომ საიტი სასარგებლოა და ჩაინიშნავს მას. სწორედ ამიტომ თავდაპირველად საჭიროა ასეთი სისტემა მოხვდეს პრფესიონალების ხელში, რათა მათ, მოახდინოს მონაცემთა ბაზის შევსება საჭირო საიტებით, სხვადასხვა საძიებო სიტყვების მიხედვით, რადგან თავიდან ავირიდოთ ანალოგიური სახის პრობლემები. მოცემული მეთოდი საშუალებას მოგვცემს, გამოვიყენოთ დრო უფრო ოპტიმალურად. დავამუშავოთ გაცილებით დიდი მოცულობის ინფორმაცია. მივიღოთ ზუსტი პასუხები კითხვებზე და ა.შ. ეს სასარგებლო იქნება ყველასთვის. მომხმარებელს უჩნდება უპირატესობები

- ⇒ დაზოგოს დრო
- ⇒ მიიღოს შედარებით აპრობირებული და ხარისხიანი ინფორმაცია
- ⇒ ბაზები იქნება მუდმივად განახლებადი

საზოგადოება დაინტერესებული უნდა იყოს, ხარისიანი და საჭირო ინფორმაციის მოძიებით. საგანმანათლებლო სივრცეში პროექტების წარმოება და მეცნიერული მუშაობის გაძლიერება განაპირობებს ხარისხიან ინფორმაციაზე მოთხოვნას

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016
2. დავით ზაუტაშვილი „ინტერნეტი“ ქუთაისი 2008

რეზიუმე

ინფორმაციის ძიებისას ინტერნეტში ვაწყდებით სხვადასხვა სახის დაბრკოლებებს. კერძოდ არ ხდება ინფორმაციის აზრობრივი ძიება, ხშირ შემთხვევაში შემოთავაზებული საიტი წარმოადგენს არასასურველს და უფრო მეტიც შეიძლება აკრძალული შინაარსისაც კი იყოს. ჩემს მიერ შემუშავებულია ისეთი ალგორითმი, რომელიც დააკვირდება მომხმარებლის მუშაობას ინტერნეტში და ჩაინიშნავს მხოლოდ იმ საიტებს რომლებზეც მომხმარებელმა გარკვეული პერიოდი გაატარა. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ის სასარგებლოა. სისტემა მოახდენს გამოყენებული საიტების რეიტინგების შედგენას და ანალოგიურ მოთხოვნაზე უკვე სხვა მომხმარებელს, წარედგინება ასეთი საიტების სია, რეიტინგის მიხედვით დალაგებული.

Resume

While search information on the Internet we meet different problems. In particular, there is no semantic information search, in most cases, the proposed site is undesirable and can even be prohibited substance. I have developed an algorithm that will monitor user activities on the Internet and store only the sites that consumers spent a certain period. We can say that it is useful. Such a system will be used for site development and a similar request to the other user-submitted list of such sites, ranking order.

Резюме

В поиске информации в интернете сталкиваются с различными препятствиями. В частности, нет никакого смыслового поиска информации, в большинстве случаев, предлагаемый сайт является нежелательным и даже может быть с запрещенным содержанием. Я разработал алгоритм, который будет наблюдать за работой действия потребителей и хранить только сайты с которыми потребители провели определенный срок. Мы можем сделать заключение, что это полезно. Такая система будет использована для развития сайта и для аналогичной просьбы другому потребителю представят список таких сайтов, в рейтинговом порядке.

თეიმურაზ სურგულაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი სრული პროფესორი

სულხან-საბა ორბელიანი და მათემატიკა

„სულხან-საბა ორბელისძე
სიბრძნით ახდა ორბების ზე“

სულხან-საბა ორბელიანის სახელი წარმოადგენს ერთ-ერთ უწმინდეს სახელთაგანს. შოთა რუსთაველის შემდეგველ საქართველოს არ ჰყოლია სულხან-საბა ორბელიანზე დიდი პიროვნება, წერს ცნობილი მეცნიერი სარგის ცაიშვილი. იგი იყო უდიდესი იგავთმწერელი, ახალი გზების გამკვალავი პოეტი და სწორუპოვარი ლექსიკოგრაფი. და ყოველივე ამასთან ერთად იგი იყო მრავალმხრივი მოღვაწე, ქართველი ხალხის მომავალი აღორძინებისათვის მუხლჩაუხრელი პიროვნება.

ჩვენ რა თქმა უნდა არ შევუდგებით სულხან-საბას ბიოგრაფიისა და მისი მრავალმხრივი და მეტდ მნიშვნელოვანი მოღვაწეობის აღწერას.

უდიდესია სულხან-საბა ორბელიანის წვლილი ქართული აზროვნების ისტორიაში. სულხან-საბამ, ვახტანგ მეექვსემ და მათმა თანამებრძოლებმა მართლაც დიდი გმირობა გამოიჩინეს, რათა კვლავ როგორმე გამოეცოცხლებინათ ჩვენი ხალხის შემოქმედებითი უნარი. ივანე ჯავახიშვილი წერს: „სწორედ გასაოცარი ხანა იყო ის დროც. ასეთი დაულაღავი, მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო და ღრმა ნიადაგი ეპყრა, უფლებას გვაძლევს ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა დავარქვათ სახელად. თითქმის ყველა იმდროინდელი მოღვაწის აზრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნამუშევარი და ნაჭირნახულები შეეკრიბათ, შეესწავლათ და შთამომავლობისათვის დამთავრებული ყოველმხრისვ წარმოადგენა და ცოდნა გადაეცათ“.

ასეთი განცხადების შემდეგ ბუნებრივია ვივარაუდოთ, და ეს ალბათ ასეცაა, რომ სულხან-საბას ჰქონდა ენციკლოპედიური განათლება.

ბუნებრივია ველოდეთ, რომ სულხან-საბას უკვდავ ნაწარმოებებში ასახვას პოვებდა იმდროინდელი საქართველოს მათემატიკური ცოდნის დონე. ცხადია დავით აღმაშენებლისა და თამარის ძლიერი საქართველო ვერ იარსებებდა მათემატიკური ცოდნის უმაღლესი მწვერვალების ფლობის გარეშე.

მონგოლთა შემოსევებმა, შინააშლილობებმა, ოსმალებისა და სპარსების განუწყვეტლივმა თავდასხმებმა ბუნებრივია მოშალა არა მარტო ქვეყნის მეურნეობა, არამედ სწავლის პროცესიც და მეცნიერული ცოდნის გამომუშავების ტრადიციებიც.

სავსებით დასაშვებია ვივარაუდოთ, რომ სულხან-საბას ხელი მიუწვდებოდა ძველ ქართველ მოაზროვნეთა ნაშრომებზე (იგულისხმება სულხან-საბა ორბელიანის ეპოქიდან საუკუნეებით ადრე მცხოვრები მოაზროვნეები), თვით სულმნათი შოთა რუსთაველის თანამედროვეთა ჩათვლით.

სულხან-საბა ორბელიანი თავის უკვდავ შედეგებს ქმნიდა, მაშინ როცა ევროპაში უკვე დასრულდა დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის ჩამოყალიბება, როცა უკვე დაბეჭდილია ისააკ ნიუტონის "ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკური საფუძვლები" და ვილჰელმ გოტფრიდ ლაიბნიცის დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვისადმი მიძღვნილი ტრაქტატები, როცა მეცნიერების ასპარეზიდან გავიდა ქრისტიან ჰიუგენსი, მაგრამ მალე არენაზე გამოვლენ ლეონარდ ეილერი და ბერნულები საგვარეულო. დადგა კლასიკური მექანიკის ჩამოყალიბების და განვითარების და მეცნიერების ტექნიკაში გამოყენების ეპოქა. მაგრამ ეს სამწუხაროდ მხოლოდ ევროპის განვითარებულ ქვეყნებს ეხებოდა.

ცხადია ჩვენი შეჭირვებული და ნაწილ-ნაწილ დაშლილი ქვეყანა, გარეშე მტრების შემოსევების მუდმივი საშიშროების ქვეშ მყოფი, ვერ შეძლებდა მეცნიერების და ტექნიკის მაშინდელი მიღწევების საფუძვლიანად გაცნობას და მის შესაბამის გამოყენებას პრაქტიკულ საქმიანობაში. მაგრამ საბედნიეროდ არსებობენ ისეთი ტიტანები, როგორიც იყო სულხან-საბა ორბელიანი,

რომლებიც ცდილობდნენ არ ჩაექროთ მეცნიერებისა და კულტურის ისედაც მინავლებული ალი და როგორმე გადაერჩინათ ქართველი ხალხის ინტელექტუალური შემოქმედების პროდუქტები.

სულხან-საბა ორბელიანი ეტყობა ძალზედ კარგად ფლობდა ლოგიკური აზროვნების უნარს და შეეძლო საკმაოდ რთული ლოგიკური ამოცანების ამოხსნა.

ამაზე მეტყველებს "სირძმე სიცრუისა" - ში მოყვანილი სამი ამოცანა თავისი ამოხსნებით.

უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ამოცანები ზუსტად იგივე ანდა ცოტა სახეცვლილი სახით მოყვანილია ლოგიკური ამოცანებისადმი მიძღვლი ბევრ წიგნში, მაგალითად შესანიშნავი ქართველი მათემატიკოსის ამირან ამბროლაძის წიგნში "1+1=10". მოვიყვანოთ ეს ამოცანები ისე როგორც ისინი მოყვანილია "სიბრძნე სიცრუისას" ტექსტში.

1. უთხრა ჯუმბერ:

— რადგან საჭურისი ხარ, ცვისათვის დიაცისა შეუქმნიხარ და მისი ქმნა შენი ხელია

სამნი ცოლ-ქმარნი და მდინარე

სამნი კაცნი უმეცარნი ერთის დიდის მდინარის კიდესა შეიყარნენ. სამთავ ცოლები ჰყვა თანა. მუნ წყალში ერთი მცირე ნავი ჰპოვეს, ორის მეტი კაცი ვერ დაეტეოდა. ამ მდინარესა ეს ექვსნი იმიერ ასე გაიყვანე, რომ ერთმან მეორის ცოლი ვერ იხელთოს.

რა გასინჯა რუქამ, ძნელი იგავი იყო, დია დაჭმუნდა და ვერა გაიგნო რა. შეიქმნა დიდი თქმულობა მეფესა, ვაზირსა და რუქას შორის: არა ასრეა, არა, ესე უნდა იყოსო. ვერა რომელმან დაასკვნა.

რუქამ ჰფიცა: ცუდი, უგვანი მოიგონას, თვარა არა ბრძნისაგან არ გაიყვანებაო.

უთხრა ჯუმბერ:

- ჰე, ნადირში კურდღელო და მფრინველში მერაო, და კაცთა შიგან შენვე იცი, რაცა ხარ, არ გასცუდებია!

რუქამ იგივე თქვა.

ლეონ აფიცა ჯუმბერს:

- შენვე გაიყვანე ეგენი, თუცა ფიცი არ გატეხოს!

რუქამ ნება დართო. ჯუმბერ თქვა:

- სამთა მათ კაცთა სახელები ესე არს: მელას, მეტურ და მარასან. მოილო მელას ნავი და ჩაჯდა, ჩაისვა ცოლი თვისი და გაჰხდა გაღმართ, გარდასვა ცოლი თვისი და გამოჰხდა ამიერ. ჩასხეს მათ ორთავ ცოლები და გაჰხდნენ მას ქალთან. ჩაჯდა მელას ცოლი, გამოიტანა ნავი და მოვიდა ქმართან. ჩასხდნენ მეტურ და მარასან და გაჰხდნენ თვითოს ცოლთან. ჩაჯდა მეტურ, ჩაისვა ცოლი თვისი და გამოჰხდა მელასთან. მეტურ და მელას ცოლნი იმიერ დაუტევენეს და თვით მარასანთან გამოჰხდნენ: ნავში მარასანის ცოლი ჩაჯდა, გამოჰხდა და მელას ცოლი გაიყვანა. მერმე ნავი მეტურ გამოართვა, თვისი ცოლი გიყვანა და წავიდნენ.

2. მოჩივარნი ძმანი

ამაზედან მოვიდნენ მოჩივრად სამნი ძმანი წინაშე მეფისა, რომელნი გაყრილიყვნენ ძმობისაგან. ყველა გაეყოთ და ოცდაათი თხა ჰყვათ, იგი ვერც გაეწილათ და ვერცა რიგდებოდნენ.

მოახსენეს მეფესა თხათა მათათვის:

- ათსა თხასა თითო თიკანი ჰყავს, ათსა ორ-ორი და ათსა სამ-სამი; ესრეთ გვინებს გაყოფა, არცა რომელმა ძმამან ძმაზე მეტი აილოს და არცა თიკანი დედას მოსწყდეს.

შეიქმნა ცილობა და თქმა. ვერა რომელმან გაყო. ჰკითხეს ჯუმბერს ძესა მეფისასა, და მან თქვა:

- ოცდაათი თხა არის და სამოცი თიკანი. იგი ათი თხა, რომელსა ორ-ორი თიკანი ჰყავს, მიეცით უხუცესსა, რომელ არს ათი თხა და ოცი თიკანი. იგი ათი თხა, რომელსა ჰყავს სამ-სამი თიკანი, ხუთი თხა საშუალოს მიეცით და ხუთი მრწემსსა, რომელი იქნება ხუთ-ხუთი თხა და თხუთმეტ თხუთმეტი თიკანი. იგი ათი თხა, რომელსა თითო ჰყავს, იგიცა ხუთ-ხუთი მიეცით მათ ორთავე, რომელი იქნება ათათი ტხა და ოც-ოცი თიკანი, არცა ძმასა ძმაზე მეტი მიჰხვდეს და არცა თიკანი დედასა მოსწყდეს.

ცხადია ამ ამოცანის ამოხსნა შეიძლება ალგებრულადაც, ოღონდ ამ შემთხვევაში უნდა შემოვიტანოთ ცხრა უცნობი და შევადგინოთ ოთხი განტოლებისაგან შემდგარი არასრულ

განტოლებეთა სისტემა. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ამოცანას აქვს სხვა ამონახსნებიც. მაგალითად შემდეგი: უზუცესს მიეცეს, მაგალითად ერთი ერთიკნიანი თხა, რვა ორთიკნიანი თხა და ერთი სამთიკნიანი თხა: მეორე ძმას მიეცეს ხუთი ერთთიკნიანი და ხუთი სამთიკნიანი თხა, ხოლო მესამე ძმას მიეცეს ოთხი ერთთიკნიანი, ორი ორთიკნიანი და ოთხი სამთიკნიანი.

ახლა მოვიყვანოთ ის მათემატიკური ტერმინები, რომლებიც მოყვანილია სიტყვის კონაში და შემდეგ გავაკეთოთ მათზე კომენტარები.

ტომი პირველი:

1. გვ.40 ათასი- ათჯერ ასი; უშუბი 2. გვ.40 ათი ორჯელ ხუთი 3. გვ.40 ათიათასი - განმარტებული არაა არის მხოლოდ მითითება ZAB4. გვ.48 ამდენი-ამტოლივით5. გვ. 53 ანგარიში-აღრიცხვა6. გვ. 56 აპოდიკტი - აღმოჩენითი7. გვ. 56 აპოდახსის - აღმოჩენა8. გვ. 56 აპოდიხსი-აღმოჩენა9. გვ. 62 არითმეტიკი- მეცნიერებაი რაოდენი თავით თვისით განსაზღვრებისაი იქმნების10. გვ. 66 ასი - ათჯერ ათი, ხუთმეოცი11. გვ.82. აწონილი - წონა ნაქმარი 12. გვ. 118 ბუნობა- არს , რა დღე და დამე გასწორდება მარტსა და სეკტემბერსა შინა, ხოლო მიქცევასა დღისასსა და მიკლებასა ივნისის თთვესა და დეკენბერსა მოკლებასა დამისასა ნაბუნობა ეწოდების13. გვ. 132 გამოცანა - ასახსნელი სიტყვა14. გვ. 141 განყოფა - (განყოფა და გაყოფა) გაყოფა15. გვ. 155 გეომეტრი (გეომეტარი) - ქვეყ(ა)ნის მზომელი16. გვ. 261 ვთვლი- ნახე ვთუალავ17 გვ. 261 ვთუალავ - ვრიცხავ18. გვ. 303 თვლა - ნახე თუალვა19. გვ. 310 თუალვა (თვლა , თულა) - აღრიცხვა20. გვ. 317 თხუთმეტი - სამჯერ ხუთი21. გვ. 324. იკოსაედრი -ნელიად მიმდრეკი, როგორც ვხედავთ ეს ტერმინი აქ გამოყენებულია სხვა შინაარსით, დღევანდელ მათემატიკაში ეს სიტყვა ნიშნავს წესიერ ოცწახნაგას ე.ი. ერთ-ერთს ხუთი წესიერი მრავალწახნაგათაგანს 22. გვ. 393 კუთხე ნახე საკუთხი ტ.2 -ში საკუთხი განსაზღვრულია, როგორც კუთხის ქვა 23. გვ. 427 მათემატიკა (მათემატიკა, მათემატიკება) - ცის მზომელობა24. გვ. 467 მეცნიერი - მცნობელი25. გვ. 471 მზის-მოქცევი - 28 წელიწადთა მოქცევა მზის მოქცევად იწოდების, ვინათგან მას შინა არიან სლვანი წელიწდისანნი თთვის დადგენი და დღენი ნაკთან და ხელთა ცხრილები და კალანდრანი, ხოლო ვინც მათემატიკას (მათემატიკას) ისწავლის, მრავალს სხვას(ა) ჰპოებს

აქ ამ სიტყვის განმარტება მოყვანილია იმიტომ, რომ მოცემულია მათემატიკის საოცრად ღრმა დახასიათება და მისი ცოდნის დიდად სარგებლიანობა. 26. გვ. 480 მილიონი - მილი და მილიონი ორივე(ე) ლათინურია. მილი არს ათასი, მილიონი - ბევრის -ბევრი. ქართულში მილი და მილიონი არ გაურჩევიან მთარგმნელ(ებ)თა27. გვ. 516 მრავალი - ესე არს ორიდან ათასამდე28. გვ. 517 მრუდი(+მრუდიცა) - ესრეთ განიყოფებიან: ელამი არს რაოდენგზის მრუდი (მრუდი რაოდენგზის) გამართო, აგრევე (ეგრეთვე) გამრუდდეს: დრკუ არს მრუდი ყოვლად განუმართველი; გვლარმნილი არს ვაკოანთა შინა სიმრუდე ღელოვან-ფოსოიანი, რომელსა მსოფლიონი ოღრო-ჩლოროდ უწოდებენ; დვლარჰნილი არს სიმრუდე მიგრეხილ-მოგრეხილი; რადი არს მცირედ ცალს მხარეს გამრუდებული

29. გვ. 519 მსგავსი (2,20 დაბად.) - სწორება და იგივეობაი ერთმყოფობასა და მისთანეობასა მოასწავებს რა თქმა უნდა წმინდა მათემატიკური ტერმინის განმარტება ეს არაა, მაგრამ საკმაოდ ამომწურავად გვაძლევს წარმოდგენას მსგავსობის მათემატიკურ ცნებაზე

30. გვ. 579 ნაშთი - ნაშთენი, ნეშტი დანარჩომი რა თქმა უნდა ამ ტერმინში სულხან-საბა ვერ ჩადებდა მათემატიკურ შინაარსს ისე როგორც ეს ჩვენ გვესმის კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიაში. 31. გვ. 579 ნაშრომი-შრომით ნაქნარი32. გვ. 598 ოთხი- ორჯელ (ორჯერ) ორი33. გვ.601 ორი - ერთი და ერთი34. გვ. 618 პითალორა - დიდი ფილოსოფოსი იყო

ტომი 2.

1. გვ. 4. რაზომი - სიმრავლის საზომი2. გვ. 4. რაოდენ - არიან რიცხვისა და საზომისა ქუვემდებარენი. ესე იგი არს განზომილნი და აღრიცხულნი3. გვ. 5 რაოდენობა - რამდენობა ესე არს შეკრებაი ერთ[თ]აი, რამეთუ ერთსა უკვე არა იტყვიან რაოდენად, არამედ დასაბამად რაოდ(ე)ნობისად, რამეთუ ერთისა და ერთისა იქმნების ორი, ვინაიცა არა განმწვალებელი არს რაოდენობაი, არამედ შემკრებელი 4. გვ. 9. რვა - ორჯელ ოთხი 5. გვ. 12 რიცხვ (რიცხვი) - სათვალავი,თვლან. გვ. 28 საზომი - ესე არს გოჯი, მტკაველი, წყრთა, ადლი, მხარი, ბიჯი და რაცა ზომათა შესატყობია 7. გვ. 29 საზღვარი - საზღვარი არს სიტყვა მოკლე საცნაურმყოფელი საქმისა

წინამდებარის არსებისა, მსწრაფლ გარემემცველი ძალსა გულისხმისყოფისასა, ხოლო საზღვარი განსამდგვრებასაცა და (3)ნიშნავს და საზღვრის დადებასა და დასასრულსა, ვითარ-იგი საზღვრად სახ(ე)ლისა ითქმის დასასრული მისი და რიცხვი, რომელ(ი) საზღვარ ყოს ვინმე 8. გვ. 29. სათავე-დასაწყისი9. გვ. 38 სამეოცი- ექვსათეული10. გვ. 38 სამეოცდაათი - შვიდათეულ11. გვ. 74 სახაზავი - ხაზის იარაღი12. გვ. 87 სიგრძე - წარზიდული13. გვ. 88 სიზრქე - სქელობა14. გვ. 89 სიმაღლე - მაღლობის ქონა15. გვ. 89 სიმგრგულე - მრგვალობის ქონება16. გვ.91 სიმძიმე- მძიმ(ე)ობის ქონა17. გვ. 96 სიფართე - ფართობა18. გვ. 96 სიფრიფანა - ესე არს, რომლის სიგრძე და სივრცე განიზომებოდეს და არა აქვდეს სიღრმე განსაზომი, ვითარცა ქარტა და მისთანანი, რომელსა ელლინი ეპიფანად სახელ-სდებენ.

როგორც ვხედავთ ეს განსაზღვრება ძალზედ ჩამოჰგავს ევკლიდეს "საწყისებში" მოცემულ ციბრტყის განსაზღვრებას. როგორც ცნობილია დღესდღეობით სიბრტყის ისევე როგორც წერტილის და სიბრტყის ცნებები მიღებულია საწყის ცნებებად და ისინი არ განისაზღვრებიან 19. გვ. 97 სიღრმე - ღრმის სიგძე20. გვ. 110 სტადიონი - უტეევანი

21. გვ. 120 სფერო (სფერო და სპირა) - ესე არს სიმგრგულე ცათა და მსგავსი მისი, რომელი ყოველთ (ყოველით) კერძო მრგვალ იყოს, არა მხოლოდ ზედათ, არამედ ქვედათაცა, რომელი იყოს მიზეზი ერთიმეორისა: სადა იწყოს, მუნვე დასრულდეს და, სადა დასრულდეს, მუნვე იწყოს. ეს განმარტება ძალზედ წააგავს ჩაკეტილი ზედაპირის განსაზღვრებას 22. გვ. 123 სწავლა - არს რაიც არა იცოდეს უთხრას და სწვართოს . სწავლა არს ქადაგება, ხოლო სხვა სწავლა არს საკანონოდ შოლტის მიღება, ვითარცა წერილ არს 2,12 ფსალმ.; 23, 22 ლუკა: "ვსწავლო ეგე და განუტეო"23. გვ. 157 უთუალავი - დაუთვლელი აქ მოცემულია უსასრულობის ცნება24. გვ. 166 უპირობო - პირ გაუთავებელი

ეს ტერმინი დღესდღეობით გამოიყენება მწკრივთა თეორიაში, მაგრამ როგორც ვხედავთ სულხან - საბას იგი აბსოლიტურად სხვა კონტექსტში აქვს მოყვანილი

25. გვ. 172 უუცხადოესი - უფროსად ცხადი26. გვ. 172 უტეევანი - უტეევანი არს სტადიონი, რომელსა სომეხნი ასპარეზს უწოდებენ, ხოლო ლათინნი და ელლენნი სტადის, რომელი 143 ბიჯი იქ(მ)ნების27. გვ. 178 უწყვეტი - ნახე უწყუეტი28. გვ. 178 უწყუეტი(უწყვეტი) - შეწყობილის სასიმაგრო(დ) გასაყარი ანალოგიურად ზემოთაღნიშნულისა ამ ტერმინებს სულხან-საბა მოიაზრებს დღევანდელიობისაგან განსხვავებულად .29. გვ. 192 ფილასოფოსი - სიბრძნის მოყვარე30. გვ. 239 ქვეყნის მზომელი - გეომეტრი31. გვ. 284 შედეგი - ჩამო, გინა მაზე(დ) ნაკლებინახმარია სხვა აზრით ვიდრე დღეს ხმარობენ32. გვ. 317 ჩაწდომ- სიღრმედ ხელის მიხლება33. გვ. 331 ცამეტი - ორჯელ ხუთი და სამი34. გვ. 332 ცარიელი - ჭურჭელში არა იყოს რა35. გვ. 332 ცდა - საქმის შებმა: ცდა არს რაი არა იცოდეს და მის სწავლას ეცადოს ანუ რაი არა აქვდეს შოება, მოიჭირვოს და ეგევითარნიროგორც ვხედავთ დახასიათებულია ცდის ძირითადი ასპექტები 36. გვ. 338 ცისმზომელობა - მათემატიკა37. გვ. 340 ცნება- ცნობის ნაწილია38. გვ. 348 ცხრა - სამჯერ სამი39. გვ. 348 ცხრილი- კინკლოსი

სიტყვა კინკლოსი მანმარტებულია პირველ ტომში გვ. 372 შედეგნაირად

კინკლოსი- ბერძნულია, ქართულად ცხრილი ჰქვიან , დაცხრილ(ვ)ისათვის 40. გვ. 350 ძალა - ძლიერების ნაწილი41. გვ. 363 წამი - აქვს ჟამსა ერთსა წამი სამოცი, ხოლო ერთსა წამსა წუთი სამოცი; წუთსა ერთსა -კესი 60; ერთსა კესსა -მასი 60; ერთსა მასსა - არდი 60; ერთსა არდსა -მეყი 60; ერთსა მეყსა - წენი 60; ერთსა წენსა -ვაწე 60; ერთსა ვაწესა ბლისი 60; ერთსა ბლის(ს)ა ნვინი (ნივნი) 60. ესე არს ცის-მზომელობათა ხარისხთანი,

რადგანაც ცისმზომელობას სულხან-საბა უწოდებს მათემატიკას ამიტომ ბუნებრივია ამ განსაზღვრების აქ მოყვანა.42. გვ. 371 წერა- დახატვა43. გვ. 374 წერტილი (წერტილი, წენტილი) (კათილორია) - წერტილი არს კალმით დას(ხ)მული მცირე წინწალი, გინა ნემსით ნაჩხვლეტი, რომელი არა განიზომების და არცა აღირიცხვის, ვიეთთა წენტილად აღუწერიათ გაუსინჯავად შევადართო სიფრიფანას განსაზღვრებას 44. გვ.376 წიბო- ერთი გვერდის ძვალი, ნაწიბურინაწიბური განსაზღვრულია, როგორც ლარის კიდური45 გვ. 376 წიგნი - წერილთაგან ერთი46. გვ. 376 წიგნის საცავი (წიგნსაცავი) - სახლი საწიგნე47. გვ. 376 წიგნის ტყავები - ეტრატი48. გვ. 394 წყვილი-

ლუწივით 49. გვ. 395 წყობა - წყობა(ა) - ლაშქრობის რაზმი, გინა რიგიან რაც დასდვა, გინა დაზავება და მისთანა.

ეს ტერმინი მათემატიკაში დღეს-დღეობით გამოიყენება კომბინატორიკაში, როგორც ვხედავთ სულხან-საბასთან მას სულ სხვა აზრი აქვს 50. გვ. 433 ხუთეული - ხუთი საგანი

51. გვ. 433 ხუთი - სამი და ორი

უცხო შესატყვისობანი (იტალიურ-თურქულ-სომხური)

ამ განყოფილებაში მოცემულია ქართული ტერმინების იტალიური, თურქული და სომხური თარგმანები, ზოგჯერ არა ყველა ენაზე

1. გვ. 476 ათასი 2. გვ. 476 ათეული 3. გვ. 476 ათი 4. გვ. 476 ათიათასი 5. გვ. 478 ანგარიში 6. გვ. 479 ასი 7. გვ. 505 ერთი 8. გვ. 505 ერიცხვა 9. გვ. 525 ლიტრა 10. გვ. 527 მათემატიკა 11. გვ. 532 მილიონი 12. გვ. 538 მცნება 13. გვ. 544 ოთხი 14. გვ. 544 ოთხმეოცდაათი 15. გვ. 544 ოთხმეოცი 16. გვ. 545 ორმეოცდაათი 17. გვ. 545 ოცდაათი 18. გვ. 545 ოცი 19. გვ. 549 რვა 20. გვ. 549 რიცხვი 21. გვ. 551 საზღვარი 22. გვ. 552 სამეოცდაათი 23. გვ. 552 სამეოცი 24. გვ. 552 სამი 25. გვ. 553 სამოცი 26. გვ. 556 სახაზავი 27. გვ. 583 ცამეტი 28. გვ. 585 ცოდნა 29. გვ. 588 წერტილი

30. გვ. 594 ხუთი

ამგვარად როგორც ვხედავთ სულხან-საბა ორბელიანის თხზულებებში საკმაოდაა წარმოდგენილი მათემატიკური ტერმინოლოგია, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საკამოდ ბევრ ტერმინებს მასთან ვერ იპოვიოთ, მაგალითად მის ლექსიკონში არაა მოყვანილი სიტყვები: სამკუთხედი, ოთხკუთხედი, პარალელური და ა.შ. თუმცა ეს ოდნავადაც არ ამცირებს დიდი სულხან-საბას შემოქმედების სიდიადეს.

ლიტერატურა

1. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, წიგნი I, გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1966
2. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, წიგნი II, გამომცემლობა "მერანი", თბილისი, 1993
3. მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, სულხან-საბა ორბელიანი სიბრძნე სიცრუისა, დავით გურამიშვილი დავითიანი, გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", 1979

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ის მათემატიკური მასალა, რომელსაც შეიცავს სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედება, კერძოდ მის "სიბრძნე სიცრუისა" და "ლექსიკონი ქართული".

Teimuraz Surguladze- Akaki Tsereteli State University

Sulkhan - Saba Orbeliani and Mathematic

Resume

In work it is considered, that mathematical material which contains in works of Sulkhan-Saba Orbeliani, in particular in "Wisdom of lie" and "The Georgian dictionary".

ინგა კახიანი-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლოკალური ქსელი კლასის მართვის პროგრამაში Mythwere e-Learning Class

კაცობრიობის მიერ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ინფორმაციის მოცულობა საოცარი სისწრაფით იზრდება. ჩვენი წარმოდგენაც გარემომცველ სამყაროზე ელვის სისწრაფით ძველდება და არააქტუალურიც ხდება. თანამედროვე მოსწავლისათვის ყოველი ამგვარი სიახლე სასწავლო პროცესის რადიკალურ ცვლილებას იწვევს. თუკი მანამდე მის მოვალეობას წარმოადგენდა თითოეულ საგანში გარკვეული მინიმალური ცოდნის დაგროვება დღეს ამის გაკეთება არა მარტო რთული, ხშირად საჭიროც არ არის. ვინ დაეხმარება მოსწავლეს მისთვის საჭირო და აქტუალური ინფორმაციის მოძიებაში? ინფორმაციის ანალიზში? რასაკვირველია მასწავლებელი, მაგრამ შეძლებს კი თანამედროვე მასწავლებელი სწრაფად აუღოს ალლო ყველა იმ სიახლეს, რაც ჩვენს სწრაფად ცვალებად დროში ხდება? ალბათ გაუჭირდება, მაგრამ გამოსავალი დღეს უკვე არსებობს-მოსწავლისათვის ძალზე კარგი დამხმარედ გადაიქცა კომპიუტერი, უფრო მეტიც ამ ინსტრუმენტმა შეიძლება არა მარტო დააჩქაროს საჭირო ინფორმაციის მოძიება, არამედ მისცეს ბავშვს თვითგანვითარებისა და ურთიერთობებისათვის საჭირო ჩვევები, რომელიც ასე აუცილებელია XXI საუკუნეში. სწორედ ასეთ ინსტრუმენტს წარმოადგენს მოსწავლის პერსონალური კომპიუტერი CLASSMATE PC (CMPC), რომელიც Intel-ის ფირმის მიერ არის შექმნილი და შემოთავაზებული.

მრავალ ღირსებას შორის, რომელიც ამ კომპიუტერს გააჩნია მთავარია ის, რომ იგი მოწოდებულია სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან ერთად, რომელიც მნიშვნელოვნად ამარტივებს კლასში მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობას.

იმისათვის, რომ მოსწავლე და მასწავლებელი კლასში ერთმანეთს დაუკავშირდეს, მათი ნოუტბუქები ჩართული უნდა იყოს ლოკალურ კომპიუტერულ ქსელში, ამის გარეშე მასწავლებელი ვერ შეძლებს იმის დაკვირვებას, თუ როგორ მუშაობენ მოსწავლეები მის მიერ დასმული ამოცანის ირგვლივ. ვერ განახორციელებს ტესტირებას, პრობლემები იქმნება საკლასო დისციპლინის თვალსაზრისითაც.

ლოკალური ქსელი შეიძლება იყოს კაბელიანიც და უკაბელოც. კაბელიანი ქსელი შეიძლება შექმნილი იქნეს ტრადიციული მოწყობილობებით, ამ დროს მასწავლებელი საკმაოდ შეზღუდულია სასწავლო ადგილის არჩევანში. ვინაიდან მას გაკვეთილის ჩატარება მხოლოდ კონკრეტულ კლასში მოუწევს, საბედნიეროდ ეს პრობლემა არ არსებობს უკაბელო ქსელის ორგანიზების შემთხვევაში.

უკაბელო ქსელის შექმნა სკოლაში საკმაოდ ადვილია. ამისათვის საკმარისია უკაბელო წვდომის წერტილის (Wi-fi როუტერის) შექმნა, ამასთან აუცილებელია ქსელის ნორმალური ფუნქციონირებისათვის რამდენიმე საკითხის გათვალისწინება, კერძოდ:


1. ქსელის ხელსაყრელი კონფიგურაციის განსაზღვრა.

შესაძლებელია Wireless-ით წვდომის ორი ვარიანტი:

- AP DHCP სერვისის გარეშე
- AP Router DHCP სერვისით.


ქსელის ორგანიზება სამი ხერხით შეიძლება განხორციელდეს:

1. პირდაპირ AP როუტერით; (ნახ.1)



ნახ. 1


2. AP-ით (DHCP სერვისის გარეშე) ამ დროს თითოეული CMPC-ს ხელით გაეწერება სტატიკური მისამართი. (ნახ.2)



ნახ.2

სტატიკური მისამართების სათითაოდ ყველა მოსწავლისთვის გაწერა საკმაოდ შრომატევადია, მითუმეტეს 30 მოსწავლიან კლასებში, თანაც კლასის მართვის პროგრამაში მუშაობის დროს მასწავლებლის პერსონალური კომპიუტერის გადატვირთვის გამო ხანდახან აუცილებელი ხდება სისტემის გადაყენება, რაც ნიშნავს მასწავლებლისა და მოსწავლეების პერსონალური კომპიუტერების თავიდან დაკავშირებას და შესაბამისად საკმაოდ დიდი დროის დანაკარგს.

3. კომბინირებულად AP-ით (DHCP სერვისით) და DHCP სერვერით, IP მისამართების ავტომატური დაყენებით. (ნახ. 3)



ნახ.3

ბოლო ვარიანტის მიხედვით ქსელის ორგანიზება საკმაოდ მომგებიანია როგორც მასწავლებლისთვის ისე IT მენეჯერებისთვისაც, რადგან პროცესი არ საჭიროებს გარედან ჩარევას, ყველაფერი ავტომატურ რეჟიმში მიმდინარეობს.

შესაბამისად რეკომენდირებულია 1 და 3 მეთოდი კლასის wireless არქიტექტურისთვის.


აქვე გასათვალისწინებელია შერჩეული wireless მოდელი და დასაყენებელია მისი კონფიგურაცია. ბუნებრივია ბაზარზე wireless საკმაოდ ბევრი მოდელი არსებობს, მაგრამ მათგან რეკომენდაცია შეიძლება გავუწიოთ Linksys-ის ფირმის E3000, E2000, E2500 მოდელებს და კონკრეტული პუნქტებით განვახორციელოთ მათი ოპტიმიზირება.

2. ქსელების „გადაფარვა“.

დიდი ქალაქების სკოლებში, სადაც რამდენიმე პარალელური კლასი ერთმანეთის გვერდით არის განთავსებული, აუცილებლად წარმოიქმნება ქსელების „გადაფარვის“ პრობლემა, რაც რეალურად იმას ნიშნავს, რომ ერთი კლასის მოსწავლე შეიძლება მეორე კლასის მოსწავლეს დაუკავშირდეს, იმის გამო, რომ ქსელი „გასცდა“ მოცემული კლასის ფარგლებს. ამ პრობლემის მოგვარება რამდენიმე გზით არის შესაძლებელი:

1. **პროგრამულად**-მოსწავლელმა კლასის მართვის პროგრამით შეიძლება „ჩაკეტოს“ თავისი მოსწავლე, ისე რომ იგი სხვა მოსწავლეს ვეღარ დაუკავშირდება.

2. **ტექნიკურად**-თუკი თითოეული კლასის AP გამოიყენებს მხოლოდ ერთ „არა გადაფარვად“ არხს. მეზობელი საკლასო ოთახების AP-მა არ უნდა გამოიყენინ იგივე არხი.



არხების ამგვარი გადანაწილება აუცილებელია, რათა შემცირებულ იქნეს მათი ურთიერთგავლენა.

თუკი კლასში მიუხედავად გატარებული ზომებისა AP-ის პრობლემები მაინც წარმოიქმნა აუცილებელია:

1. კლასის თითოეული მოსწავლის პერსონალური კომპიუტერის ტესტირება პროგრამა inSSIDer-ით. ამ პროგრამის საშუალებით შესაძლებელია უკაბელო ქსელის მონიტორინგი, საშუალება გვეძლევა დავაფიქსიროთ კლასის ირგვლივ მყოფ ვიფი ინტერნეტის მომხმარებლები.

2. ქსელი სახელი არჩევა.

3. სიგნალი სიმძლავრის არჩევა.

ამგვარად, კლასის მართვის პროგრამა - **Mythwere e-Learning Class**-ში მუშაობის დროს პროგრამის წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია საკლასო გარემოს გამართვა, რაც გულისხმობს პირველ რიგში ქსელის შეუფერხებელ მუშაობას. ყველა ზემოთ განხილული პრობლემა რეალობაა დღევანდელი სკოლებისთვის. პირველ რიგში აუცილებელია პრობლემის იდენტიფიცირება, შემდეგ კი შემოთავაზებული სამუშაოების ჩატარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.intel.com
2. www.classmate.com

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ლოკალური ქსელის მოწყობის თავისებურებები კლასის მართვის პროგრამა **Mythwere e-Learning Class**-ში. მოცემულია რჩევები კლასში უკაბელო ქსელის ორგანიზებასთან დაკავშირებით.

Inga Kakhiani- Kutaisi State University

Local Network In Classroom Management Software

Classmate PC (CMPC) created by Intel is the best tool for young students both for finding information at a high speed and developing communicative skills.

Among many advantages that come with the computer is the special software that simplifies communication between a teacher and pupils in the class. For this purpose, all computers should be connected using LAN.

The article states that the local network connections can be wired and wireless. The advantages of wireless connection are discussed. There are two types of wireless connections:

1. without AP DHCP service;
2. with AP Router DHCP service;

The network is formed according to three parameters:

1. directly with AP router;
2. with AP (without DHCP service); each CMPC is assigned a static address manually;
3. with AP-(DHCP service) and the DHCP server in combination. IP addresses are automatically obtained.

The article discusses the problems of network ‘overlapping’ as well. It can be resolved if each classroom uses different AP channels.

If the problems still arise it is recommended to:

1. test each PC by inSSIDer;
2. choose network name;
3. choose the signal power value.

Инга Кахиани- Кутаисский Государственный Университет

Резюме

В статье рассмотрены особенности локальной компьютерной сети в программе управления классом **Mythwere e-Learning Class**. Представлены полезные советы о создании и настройке беспроводной сети в классе.

გურამ გოგიშვილი - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, აკადემიური დოქტორი, სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი

მათემატიკის სწავლების რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტის შესახებ

მათემატიკის აბსტრაქტული არსი, ცხადია, მოსწავლის ემოციურ სამყაროს ვერ დამუხტავს ისეთი ღრმა შთაბეჭდილებებით, როგორც მძაფრი დრამატული ლიტერატურული ნაწარმოებები, ან ეფექტური ფიზიკური და ქიმიური ცდები. მოსწავლეები არც თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებით, ან დიდი ასტრონომიული აღმოჩენებით გამოწვეულ აღტაცებას უკავშირებენ ხოლმე უშუალოდ მათემატიკის მიღწევებს. მიუხედავად ამისა, მათემატიკას და მისი სწავლების ხელოვნებას ნამდვილად შეუძლია წარმოაჩინოს და ამოქმედოს მათემატიკის ის საოცარი შესაძლებლობები, რაც არსებითად უწყობს ხელს მოსწავლის მრავალმხრივ - ინტელექტუალურ, ზნეობრივ, ემოციურ, კულტურულ განვითარებას. ეს უნდა ხორციელდებოდეს, როგორც სასწავლო მასალის გადაცემის თანხლები პროცესი, მასთან დაკავშირებული გარკვეული „არამათემატიკური“ აქცენტებითა და დასკვნებით. ეს რთული პედაგოგიკური ამოცანაა, რადგან მათემატიკა შეისწავლის მხოლოდ აბსტრაქტულ ობიექტებს - მათემატიკურ სტრუქტურებს.

მასწავლებლის ძალისხმევით მათემატიკა მოსწავლეს უყალიბებს სწორი, გამართული აზროვნების უნარს, რაც გამორიცხავს გაუმართლებელი განზოგადებებითა და ანალოგიებით დასკვნების გამოტანის ჩვევებს. მათემატიკური ამოცანის განხილვისას მოსწავლეს უწევს ხოლმე ზრუნვა კლასიფიკაციის სისრულეზე, იგი ვალდებულია მოიძიოს ყველა შესაძლო შემთხვევა და გამოიკვილოს ისინი. ეს აქტივობები, არაერთგზის გამეორებული და მასწავლებლის მიერ ხაზგასმით წარმოჩენილი, მოსწავლეს არწმუნებს, რომ ყოფით პრობლემებშიც მისი არგუმენტაცია უნდა იყოს მაქსიმალურად სრულფასოვანი, რათა დამაჯერებელი გახდეს მისი თვალსაზრისი - გაუძლოს ოპონენტთა კრიტიკას. მათემატიკის გაკვეთილებზე სრულიად ბუნებრივად აღმოცენებულ და მასწავლებლის მიერ გონივრულად, სათანადო ტაქტით წარმართულ საქმიან პოლემიკაში აქტიური მონაწილეობა, საკუთარი პოზიციის დაცვა, სხვათა არგუმენტებში ხარვეზების აღმოჩენა, მოსწავლეს უყალიბებს და უმტკიცებს საკუთარი ინტელექტუალური ძალის რწმენას, სხვა ნებისმიერი სახის პოლემიკაში ჩართვისათვის წინასწარი საფუძვლიანი მომზადების აუცილებლობის განცდას, მასში გამარჯვების მოპოვების სურვილს და ამ გამარჯვების ღირსეულად აღქმას.

საყოველთაოდ ცნობილია მათემატიკის განსაკუთრებული როლი მოსწავლის აზროვნებისა და მსჯელობის გამორჩეული სტილის ჩამოყალიბებაში. ეს სტილი განსხვავდება ყველა სხვა მეცნიერებაში დამკვიდრებული სტილისგან. მათემატიკის მასწავლებელმა უნდა იზრუნოს, რომ მოსწავლეებმა „მათემატიკური“ სტილი გაითავისონ ჯერ თავად მათემატიკის ამოცანათა კვლევისას, შემდეგ კი ეს სტილი მაქსიმალურად მოარგონ მათი აქტივობების სხვა სფეროებს. ამ სტილის საფუძველი უხარვეზო ფორმალურ-ლოგიკური სქემაა, რომელიც გამოყენებისას აღიქმება, როგორც მწყობრი, კანონზომიერი ქარგა. მათემატიკის გაკვეთილებზე ამ სტილის თანდათანობით ათვისებისას, სათანადო უნარების გაღრმავებისას, მოსწავლე იმდღეს აზროვნების კულტურას ზოგადად, შეიცნობს არგუმენტაციის სისრულის აუცილებლობას ნებისმიერი საკითხის განხილვისას, საჭიროების შემთხვევაში ახდენს სათანადო კლასიფიკაციას და დაიხმარს თვალსაჩინო წარმოდგენებს, მისი მსჯელობა ხდება ნათელი, ზუსტი და ლაკონური. იმავდროულად, სხვა დისციპლინათა გაცნობის კვალობაზე, მოსწავლე აღმოაჩენს, რომ მსჯელობის ლაკონურობა დიდად არ უნდა სცილდებოდეს მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო დისციპლინათა საზღვრებს, ხოლო ყველა შესაძლო შემთხვევის განხილვის გარეშე დასკვნების გამოტანა საბუნებისმეტყველო დისციპლინებშიც კი დასაშვებია, რაც მათემატიკაში სრულიად მიუღებელია.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ მათემატიკის სახელმძღვანელოებით მოსწავლე ეუფლება მარტივი და მოხერხებული სიმბოლიკის შერჩევისა და გამოყენების ხელოვნებას.

ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება მათემატიკის ე.წ. „სიმშრალის“ შესახებ. ჩვენი მოსწავლეები რომ არ მიუერთდნენ ასეთი წარმოდგენის მქონე ადამიანებს, მათემატიკის გაკვეთილებზე აუცილებლად უნდა განვიხილოთ ხოლმე საინტერესო ამოცანები, რომელთა გადაწყვეტისას მოსწავლე ნათლად აღმოაჩენს მათემატიკის საოცარ ესთეტიკას.

მათემატიკამ, როცა მის სწავლებას შემოქმედი პედაგოგი უძღვება, შეიძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მოსწავლის ზნეობრივ დახვეწაშიც. კერძოდ, ნებისმიერი ჭეშმარიტი მათემატიკოსი, თავის სამეცნიერო მოღვაწეობაში დაუშვებლად მიიჩნევს არაობიექტურობასა და სიყალბეს, ხოლო უნებლიედ დაშვებულ შეცდომას მყისვე აღიარებს და შეეცდება მის გამოსწორებას.

მათემატიკის სახელმძღვანელოში ე.წ. „ტექსტური“ ამოცანების შინაარსის სათანადო შერჩევით, ან თავად პედაგოგების ძალისხმევით, შესაძლებელია ქვეყნის გმირული წარსულის ფრაგმენტების, გამოჩენილ მამულიშვილთა, მათ შორის მათემატიკოსთა ღვაწლის მინიშნება. ასეთი ცნობები, გონივრული ფორმით მიწოდებული, სიამაყის განცდით ამდიდრებს მოზარდის ცნობიერებას.

ზემოთ განხილული საკითხების შემდგომი კვლევა კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს მათემატიკის, სათანადო სასწავლო პროცესისა და მასწავლებელთა მნიშვნელოვან როლს მოსწავლეთა აღზრდისა და განვითარების ურთულეს პროცესში.

ლიტერატურა

1. А.Я. Хинчин. О воспитательном эффекте уроков математики, Знание, Математика как профессия, Москва, 1980.
2. А.Н. Колмогоров. Математика – наука и профессия, Москва, 1988.
3. Г.Фройденталь. Математика как педагогическая задача, Москва, 1982.
4. Д.Пойа. Математика и правдоподобные рассуждения, перевод с английского, Москва, 1975.

რეზიუმე

განხილულია მათემატიკის, როგორც სასწავლო დისციპლინის, საგაკვეთილო პროცესისა და მასწავლებლის მნიშვნელოვანი როლი მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებაში.

Guram Gogishvili – St. Andrew the First Called Georgian University, Chief of the educational centre.

On some important aspects of teaching mathematics

Abstract

An important role of mathematics, corresponding teaching process and a teacher in the all-round development of pupils is investigated.

Гурам Гогишвили – Грузинский Университет Имени Святого Андрея Первозванного, академический доктор, руководитель учебного центра.

О некоторых важных аспектах преподавания математики

резюме

Рассмотрена важная роль математики, соответствующего учебного процесса и учителя в разностароннем развитии ученика.

ჯემალ ჯინჯიხაძე - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

სემიოტიკის როლი მათემატიკური აზროვნებისა და მეტყველების განვითარებაში

ეროთეტიკურ სინტაქტიკაში კითხვები შეისწავლება მათი სტრუქტურის მხრიდან და მხოლოდ ამ მხრიდან, სადაც ეს სტრუქტურა წარმოდგენილია რომელიღაც ნიშნიერი წარმონაქმნებით. აქ სხვადასხვა კითხვებს შორის, აგრეთვე, კითხვებსა და პასუხებს შორის, მიმართებები შეისწავლება როგორც მიმართებები გარკვეული ტიპის ნიშნიერ წარმონაქმნებს შორის. ასეთი შესწავლის ერთ-ერთი ამოცანაა ის, რომ ნიშნიერი წარმონაქმნების სტრუქტურის მიხედვით, ან, მათი გარეგანი სახის (ფორმის) მიხედვით, გამორკვეულ იქნას, რომელი ნიშნიერი წარმონაქმნები წარმოადგენს კითხვებს (ან პასუხებს) და რომელი არ წარმოადგენს ასეთებს. ბუნებრივ ენაზე ასეთი გამორკვევა ხშირად რთულია, ამიტომ კითხვებისა და პასუხების ჩასაწერად იქმნება ხელოვნური ენები, სადაც დასმული ამოცანა ყოველთვის გადაწყვეტადია, ამოხსნადია.

ეროთეტიკური სინტაქსი ხსნის მეორე ამოცანასაც, არანაკლებ მნიშვნელოვანს, ვიდრე პირველი ამოცანაა. ეს ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ კითხვის სტრუქტურის მიხედვით მოინახოს ისეთი გამოსახულების სტრუქტურა, რომელიც მოცემული კითხვის პასუხი იქნება. ბუნებრივი ენისაგან განსხვავებით ხელოვნურ ენაში ეს ამოცანაც ეფექტურად იხსნება. ამ მხრივ ხელოვნური (ფორმალური) ენა უნივერსალურია. ფორმალური ენაში ჩაწერილი კითხვების ეროთეტიკურ სინტაქტიკას **ეროთეტიკური ლოგიკური სინტაქტიკა** ეწოდება.

ეროთეტიკურ სემანტიკაში შეისწავლება კითხვების *სემანტიკური მხარე*:

- კითხვებისა და პასუხების შესაძლო აზრები და მნიშვნელობები;
- მნიშვნელობები იმ წინადადებებისა, რომელთაც კითხვების წანამდგრები ეწოდება;
- კითხვების სემანტიკურად სწორი დასმის ხერხები;
- კითხვებისა და პასუხების დასაბუთების ხერხები.

თუ ეროთეტიკური სემანტიკა ეფუძნება კითხვების მნიშვნელობათა განსაზღვრის ეფექტურ ხერხებს (აღნიშვნების ეფექტურ სემანტიკურ წესებს) ანუ კითხვების აზრის განსაზღვრის ეფექტურ წესებს, მაშინ მას ეწოდება **ეროთეტიკური ლოგიკური სემანტიკა**. ეროთეტიკური ლოგიკური სემანტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, განსაზღვროს სემანტიკურად სწორად დასმული კითხვის ცნება, კითხვაზე გაცემული ჭეშმარიტი პასუხის ცნება და ა. შ.

ეროთეტიკურ პრაგმატიკაში შეისწავლება კითხვების *პრაგმატიკული მხარე*:

- კითხვის გაგება-გაცნობიერების პირობები იმასთან მიმართებაში, ვისთვისაცაა ეს კითხვა განკუთვნილი;
- კითხვების ემპირიული ამოხსნადობის პირობები, კითხვების პრაგმატიკური სისწორე; ეს სისწორე გამოიხატება, მაგალითად, კითხვების დასმის მიზანშეწონილობაში (მათ შორის პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით);
- ანალიზირდება კითხვების მნიშვნელობები მეცნიერების სხვადასხვა დარგებისათვის (პედაგოგიკის, იურისპრუდენციის, ფსიქოლოგიის და სხვ.).

მიუხედავად იმისა, რომ პრაგმატიკული ამოცანები ძალზე მნიშვნელოვანია, ჯერ კიდევ არ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ არსებობს მათი ამოხსნის წესების კარგად დამუშავებული სისტემა. ამიტომ, ეროთეტიკური სინტაქტიკისა და ეროთეტიკური სემანტიკისაგან განსხვავებით, ეროთეტიკური პრაგმატიკა არ შეადგენს ზუსტი ცოდნის სფეროს და იგი ძირითადად რჩება შინაარსობრივ-ინტუიციური გაგების არედა. ამის გამო, ეროთეტიკურ ლოგიკას (ანუ კითხვების ლოგიკას), როგორც ზუსტი ცოდნის სფეროს, მიეკუთვნება ეროთეტიკური ლოგიკური სინტაქტიკა და ეროთეტიკური ლოგიკური სემანტიკა, მაგრამ არ მიეკუთვნება ეროთეტიკური პრაგმატიკა. აქედან გამომდინარე, ეროთეტიკური ლოგიკური სინტაქტიკა და ეროთეტიკური ლოგიკური სემანტიკა შეიძლება აქტიურად იქნეს გამოყენებული მათემატიკის სწავლების პროცესში იმ სიმძლელების დასაძლევად, რომლებიც დაკავშირებულია კითხვების დასმასთან. თუმცა, ეროთეტიკურ პრაგმატიკასაც არანაკლები ყურადღება უნდა მიექცეს.

ამასთან კავშირში, ზოგად კონტურებში განვიხილოთ სწავლების პროცესში კითხვების დასმასთან დაკავშირებული სემიოტიკური ხასიათის სიმძნელეთა ზოგიერთი შემთხვევა.

სინტაქტიკური ხასიათის სიმძნელები. კითხვების დასმის პირველი სიმძნელე, რომელიც დაკავშირებულია ბუნებრივი ენის სინტაქსის თავისებურებებთან, შემდეგია: ბუნებრივ ენაში კითხვები გამოიხატება სხვადასხვა გრამატიკული ფორმის წინადადებებით, ამასთან, მხოლოდ წინადადების სინტაქსური სტრუქტურით ყოველთვის არ შეიძლება განისაზღვროს, წარმოადგენს იგი კითხვას თუ არა. თუ კითხვა გამოიხატება კითხვითი წინადადებით, მაშინ ეს გარემოება სინტაქსურად აღინიშნება კითხვის ნიშნით წინადადების ბოლოს. მაგრამ კითხვის ეს სინტაქსური ნიშან-თვისება არ არის კითხვის შეცნობისათვის ეფექტური. ჯერ ერთი, წინადადებაში კითხვის ნიშნის ქონა ყოველთვის არ მოწმობს იმას, რომ ეს წინადადება კითხვას გამოხატავს. მეორეცა და, კითხვას შეიძლება მახილის წინადადებაც გამოხატავდეს, მახილის წინადადებაში კითხვის ნიშანი სულაც არ არის. ასეთი კითხვები სინტაქსურად არასწორია. მაგალითად, სინტაქსურად არასწორია კითხვები:

- განა შეიძლება ასე დავამტკიცოთ?
- მომიყევი, როგორ ამოხსენი ამოცანა!

პირველი წინადადება, თუმცა მის ბოლოს კითხვის ნიშანია დასმული, არსებითად კითხვას არ გამოხატავს. იგი არ მოითხოვს პასუხს. მეორე წინადადება, თუმცა მის ბოლოს მახილის ნიშანია დასმული, გამოხატავს კითხვას: როგორ ამოხსენი ამოცანა?

მეორე სიმძნელე მდგომარეობს იმაში, რომ არის შემთხვევები, როცა კონტექსტის გარეშე (ზოგჯერ კონტესქტითაც) კითხვითი წინადადების სახის მიხედვით გაურკვეველია, რაში მდომარეობს კითხვა. სხვა სიტყვებით, გაურკვეველია, რომელ სიტყვას, ან სიტყვათა შეკავშირებას ეხება კითხვა. ამ შემთხვევაში კითხვა ცალსახა არ არის.

ამგვარად, ჩვენ ახალა ორი ცნება შემოვიღეთ:

- სინტაქსურად არასწორი კითხვა;
- სინტაქსურად გაურკვეველი კითხვა.

სემანტიკური ხასიათის სიმძნელები დაკავშირებულია კითხვების როგორც მნიშვნელობების, ისე მათი აზრების გამორკვევასთან.

თუ ვიგულისხმებთ, რომ დამღეულია სინტაქსური სიმძნელები, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, დგება საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა კითხვა სწორი სემანტიკური თვალსაზრისით, სემანტიკურად სწორად არის თუ არა დასმული იგი. სემანტიკურად სწორია კითხვა, თუ მასზე შეიძლება პასუხის გაცემა; სემანტიკურად არასწორია კითხვა, თუ მასზე პასუხის გაცემა შეუძლებელია. სემანტიკურად არასწორია, მაგალითად, კითხვა: „რომელი სამკუთხედია მეტი: ΔABC თუ $\Delta A_1B_1C_1$?“ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, რადგანაც გეომეტრიული ფიგურების სიმრავლეზე განსაზღვრული არა გვაქვს მეტობის მიმართება. ასევე სემანტიკურად არასწორია კითხვა: „რომელი რიცხვია მეტი: $2+3i$ თუ $3+2i$?“ აქაც ვერანაირი პასუხი ვერ გაცივება, რადგანაც კომპლექსური რიცხვების სიმრავლეზე მეტობის მიმართება შემოღებული არა გვაქვს. ასეთი მიმართება განსაზღვრულია ნამდვილ რიცხვთა სიმრავლეზე. სემანტიკურად სწორი იქნება კითხვა: „ ΔABC -ს ფართობია მეტი, თუ $\Delta A_1B_1C_1$ -ს?“ და სხვ.


სემანტიკური ხასიათის სიმძნელები მაშინ ჩნდება, როცა კითხვა სემანტიკურად სწორია (ე. ი. პასუხის გაცემა, ზოგადად რომ ვთქვათ, შესაძლებელია), მაგრამ კითხვის აზრი ცალსახა არ არის, ე. ი. კითხვა სემანტიკურად განუსაზღვრელია (ე. ი. პასუხიც შეიძლება არაცალსახად გაეცეს). სემანტიკურად განუსაზღვრელია, მაგალითად, კითხვა: „რა შეიძლება ვთქვათ $ABCD$ პარალელოგრამის შესახებ?“

კითხვის სემანტიკურად არასწორობის მიზეზი მრავალი რამ შეიძლება იყოს. ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მაგალითად, როცა კონტექსტი განსაზღვრავს კითხვის როგორც ცხად, ისე არაცხად წანამდღვრებს. ამასთან, არაცხადი (რომელიც ცხადად არ არის ჩაწერილი) წანამდღვრები ან სულ არ ვლინდება კითხვის წაკითხვისას, ან ვლინდება არაცალსახად. ვთქვათ, უკვე ცნობილია, რომ $ABCD$ პარალელოგრამს გააჩნია მართი კუთხე. ეს არაცხადი წანამდღვარი არ ვლინდება ზემოთ

მოცემული კითხვის წაკითხვისას. ამიტომ პასუხის გაცემა შეიძლება მხოლოდ ცხადად გამოვლენილი წანამდვრის საფუძველზე: „ $ABCD$ პარალელოგრამია“, რაც მოცემული გვაქვს კითხვის ფორმულირებაში. შესაძლებელია, მაგალითად, ასეთი პასუხი: „ $ABCD$ პარალელოგრამში AB გვერდი პარალელურია CD გვერდის, ხოლო BC გვერდი პარალელურია AD გვერდის“ ან, „პარალელოგრამის დიაგონალები კვეთის წერტილით შუაზე იყოფიან“. თუკი გავითვალისწინებთ გამოუთქმელ წანამდვარსაც, პასუხი შეიძლება იყოს: „ეს პარალელოგრამი მართკუთხედი“ ან: „მისი დიაგონალები ტოლია“. შევნიშნოთ, რომ ყველა ეს პასუხი სემანტიკურად სწორია.

კითხვის სემანტიკურობის განუსაზღვრელობის თავიდან აცილების მიზნით კითხვა შეიძლება ჩავწეროთ პირობითი წინადადების სახით, რომელშიც ანტეცედენტში (პირობაში) ამოიწერება ცხადი სახით ყველა ჭეშმარიტი წინადადება, რომლებიც კითხვის წანამდვრებს წარმოადგენს, ხოლო კონსეკვენტში (დასკვნაში) ჩაიწერება თვით კითხვა. მაგალითად, „თუ ცნობილია, $ABCD$ არის პარალელოგრამი და მისი ერთი კუთხე მართია, მაშინ რა შეიძლება ვთქვათ $ABCD$ ფიგურის შესახებ?“

კითხვის სემანტიკურად არასწორობის მიზეზი სხვაც შეიძლება იყოს. კერძოდ, ბუნებრივ ენაში კითხვები შეიძლება ისე იყოს ფორმულირებული, რომ გაურკვეველი დარჩეს, რომელ თვისებაზეა საუბარი: არაშეფარდებით, დამოუიდებელ თვისებებზე, თუ იმ თვისებებზე, რომლებიც ვლინდება მიმართებათა მეშვეობით. მაგალითად, თვისება „იყოს ბლაგვი კუთხე“ არაშეფარდებითია სხვა კუთხეების მიმართ. მისი განსაზღვრა ემყარება მხოლოდ ამ კუთხის გაზომვას. მაგრამ თვისება „იყოს გარე კუთხე“, უაზროა, თუ იგი რომელიმე სამკუთხედის მიმართ არაა განხილული. იგი ვლინდება მხოლოდ გარკვეულ სამკუთხედთან მიმართებაში. ისე, რომ კითხვა: „როგორია კუთხე BCD ?“ სემანტიკურად განუსაზღვრელია. თუმცა, სემანტიკურად სწორია. ეს კითხვა შეიძლება ორნაირად გავიაზროთ:



- როგორია კუთხე BCD -ს არაფარდობითი თვისებები?
 - როგორია კუთხე BCD -ს თვისებები ΔABC -სთან მიმართებაში? (ფარდობით?)
- ამის გამო, კითხვაზე „როგორია კუთხე BCD ?“ ორი პასუხის გაცემა შეიძლება:
- კუთხე არის ბლაგვი;
 - კუთხე BCD არის ABC სამკუთხედის გარეკუთხე.

ფრიად საინტერესოა **თემისა და რემის** საკითხი. ეს ცნებები მათემატიკის სწავლების მეთოდოლოგიაში სწორედ სემანტიკური ხასიათის სიმძლეების დაძლევისთან დაკავშირებითაა შესანიშნავი.

განვიხილოთ ორი წინადადება:

- კვადრატს გააჩნია მართი კუთხეები (1)
- მართი კუთხეები კვადრატს გააჩნია (2)

მართალია, ორივე წინადადება შედგება ზუსტად ერთი და იგივე სიტყვებისაგან, მაგრამ ეს წინადადებები პასუხობენ სრულიად სხვადასხვა კითხვებს. კერძოდ, პირველი წინადადება პასუხობს კითხვაზე: „როგორი კუთხეები გააჩნია კვადრატს?“ და ეს პასუხი სწორია; მეორე წინადადება პასუხობს კითხვაზე: „რომელ ფიგურას გააჩნია მართი კუთხეები?“ და ეს კითხვა არასწორია, რადგანაც მართი კუთხეები სხვა ფიგურასაც გააჩნია. ეს იმითაა განპირობებული, რომ პირველ წინადადებაში *თემა* კვადრატია, დანარჩენი – *რემა*, ხოლო მეორე წინადადებაში *თემა* მართი კუთხეები, დანარჩენი – *რემა*.

პრაგმატიკული ხასიათის სიმძლეები. თუ ჩავთვლით, რომ რომელიმე კონკრეტული კითხვის (ან კითხვების) გამოყენებისას დაძლეულია სინტაქტიკური და სემანტიკური სიმძლეები, გვრჩება,

იმაზე ვიფიქროთ, ხომ არა გვაქვს პრაგმატიკული ხასიათის სიძნელეები. ასეთ სიძნელეთა დაძლევა უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. მეთოდოლოგიური მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ კითხვა არც ძალიან ადვილი უნდა იყოს და არც ძალიან ძნელი. ამ შემთხვევებში კითხვა შემეცნებით ხასიათს არ ატარებს და მისი დასმა, ამდენად, უაზროცაა. სხვა სიტყვებით, თუ კითხვას, რომელსაც მოსწავლემ უნდა უპასუხოს, შევხედავთ გარკვეული ინფორმაციის მოთხოვნის თვალსაზრისით, რომელიც მოსწავლემ უნდა მოგვცეს, მაშინ კითხვა უნდა დაისვას ისე, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია იყოს ოპტიმალური, სწავლების ამოცანების შესაბამისად: არც ძალიან დიდი, არც ძალიან მცირე. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით სწორად დასმულ კითხვას ვუწოდოთ *პრაგმატიკულად სწორი*.

მივმართოთ კვლავ ზემოთ მოცემულ ნახაზს, *ABC* სამკუთხედს *BCD* გარეკუთხით. შეიძლება დავსვათ კითხვა: „არის თუ არა *BCD* კუთხე *ABC* სამკუთხედის გარეკუთხე?“ სემანტიკურად ეს კითხვა სწორია, მაგრამ არ არის იგი სწორი პრაგმატიკულად, რადგანაც პასუხი ცხადად ჩანს გარე კუთხის განსაზღვრისა და ნახაზის ერთი თვალის შევლებით. კითხვაზე პასუხს დაფიქრებაც კი არა სჭირდება. პრაგმატიკულად უფრო სწორი იქნებოდა კითხვა ასე დასმულიყო: „რომელი თვისებით ხასიათდება *BCD* კუთხე *ABC* სამკუთხედის მიმართ?“ ამ კითხვაზე პასუხი შეცავს *ABC* სამკუთხედის მიმართ *BCD* კუთხის მრავალი თვისებიდან ზოგიერთის შერჩევის შემთხვევებს.

პრაგმატიკულად სწორი კითხვები უნდა იწვევდეს მოსწავლის აქტიურ აზროვნებით პროცესს და ამ გამოწვევის საფუძველი უნდა იყოს ამ კითხვების **ენტროპიის** (განუსაზღვრელობითობის) ოპტიმალური რაოდენობა. ამასთან, უნდა განვასხვაოთ სემანტიკური განუზღვრელობა და პრაგმატიკული განუზღვრელობა. ამ უკანასკნელს შეიძლება ვუწოდოთ **კითხვის ენტროპია**. რაც უფრო მეტია კითხვის ენტროპია, მით უფრო მეტ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს პასუხი ამ კითხვაზე. ამიტომ, თუ კითხვა შეიცავს ძალიან დიდი რაოდენობის ენტროპიას, მაშინ იგი ვერ გამოიწვევს მოსწავლის აქტიურ აზროვნებით პროცესს, რადგანაც შესაბამისი დიდი ინფორმაცია მოსწავლეს ჩიხში მოამწყვდევს. ასევე, მცირე ენტროპიის კითხვებიც ვერ შეუწყობს ხელს მოსწავლის შემეცნებითი პროცესის გააქტიურებას თავისი შესაბამისი ინფორმაციის სიმცირის გამო.

მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: ვთქვათ, მასწავლებელმა დასვა კითხვა: „რამდენი წრეწირის გავლება შეიძლება სამ წერტილზე, რომლებიც არ მდებარეობენ ერთ წრეზე?“; მოსწავლეები ადვილად უპასუხებენ: – „ერთის“. შემდეგ მასწავლებელი კვლავ ეკითხება: „თუკი წერტილები ერთ წრეზე მდებარეობენ?“ მოსწავლეები აქაც ადვილად პასუხობენ: – „მაშინ არც ერთის.“ სრულიად ცხადია, რომ კითხვები პრაგმატიკულად არასწორადაა დასმული. საჭიროა ენტროპიის ამაღლება. უკეთესი იქნებოდა კითხვა: „რამდენი წრეწირის გავლება შეიძლება სამ წერტილზე?“ ამ კითხვაზე მზა პასუხი მოსწავლეს არა აქვს. იგი იძულებულია თვითონ გამოიკვლიოს სამი წერტილის ურთიერთმდებარეობა, განიხილავს რა ორ აპრიორულად შესაძლო შემთხვევას: „წერტილები ძვეს ერთ წრეზე“ და „წერტილები არ ძვეს ერთ წრეზე.“ მოსწავლე აყალიბებს პასუხს ორი პირობითი წინადადების სახით:

- თუ სამი წერტილი მდებარეობს ერთ წრეზე, მაშინ მათზე არ შეიძლება წრეწირის გავლება.
- თუ სამი წერტილი არ მდებარეობს ერთ წრეზე, მაშინ მათზე შეიძლება ერთი და მასთან მხოლოდ ერთი წრეწირის გავლება.

ჩვენ ვდგებით ზოგადი პრაგმატიკული ამოცანის წინაშე: რა მეთოდ-ხერხები არსებობს იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში ავამაღლოთ ან დავადაბლოთ კითხვების ენტროპია. ეს ამოცანა პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია.

უნდა აღინიშნოს, რომ სემიოტიკურ სიძნელეთა სამივე კომპონენტი დაძლევადაც და მათი თავიდან აცილება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ კითხვები და მათზე პასუხები თარმნილი იქნება ბუნებრივი ენიდან ხელოვნურ სიმბოლოზირებულ ენაზე, რომელსაც **ეროთეტიკური ლოგიკის ენა** ეწოდება. ასეთ ენაში ნებისმიერი აზრის ლოგიკური სტრუქტურა იმდენად კარგადაა გამოკვეთილი, დალაგებული და ზუსტი, რომ ხსენებულ სიძნელეთა გადალახვა სულაც არაა ძნელი. მაგრამ სკოლაში მათემატიკა არ ისწავლება სრული სიმბოლოზირების დონეზე. ამის გამო, პედაგოგიურ

პროცესში ზემოთ განხილული საკითხების სკოლაში დამუშავება მასწავლებლის შემოქმედებითი დახელოვნების დონეზე დიდადაა დამოკიდებული.

ლიტერატურა

1. ჯემალ ჯინჯიხაძე. მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდთა და ტექნოლოგია. თბილისი, 2011.
2. Ю.А. Петров, А.А. Столяр. О педагогическом аспекте семиотического анализа вопросов: в кн. Логика и проблемы обучения. М., 1977.
3. Пол Локхард. Плач математика. <http://fregimus.live> journal.com
4. Г. Фройденталь. Математика как педагогическая задача. М., 1982.
5. А.Г. Войтов. Самоучитель мышления. М., 2006.

რეზიუმე

სწავლების მეთოდთაში კითხვებისა და კითხვა-პასუხობითი პროცედურების ანალიზი სხვადასხვა მეთოდებით ხორციელდება. ეს მეთოდები როგორც შინაარსობრივი, ისე ფორმალური ხასიათისაა. აქ იგულისხმება „კითხვითი“ ლოგიკის აგებისადმი ზოგიერთი მიდგომა – ერთეულებრივი თუ ინტეროგატიული. კითხვების ანალიზისადმი ამ მიდგომის აზრი მდგომარეობს ჩვეულებრივი ბუნებრივი კითხვითი წინადადებების შინაარსობრივი განხილვიდან მათ ფორმალურ-ლოგიკურ წარმოდგენაზე გადასვლაში. ეს მიდგომა გულისხმობს კითხვებზე და მათ პასუხებზე ზოგად სემიოტიკურ შეხედულებას. ამის შესაბამისად, სტატიაში, სემიოტიკური ანალიზის მეშვეობით, კითხვის, როგორც ლოგიკურ-გრამატიკული ფორმის, პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური ასპექტი შეისწავლება სამივე თვალთახედვით: სინტაქტიკურით, სემანტიკურით, პრაგმატიკურით. ამ კუთხით გამოკვლეულია სწავლების პროცესში კითხვების დასმასთან დაკავშირებული სემიოტიკური ხასიათის სიმძნელეთა შემთხვევები: სინტაქტიკური ხასიათის სიმძნელები, სემანტიკური ხასიათის სიმძნელები, პრაგმატიკული ხასიათის სიმძნელები.

Jemal Jinjikhadze

The Role of Semiotics in Mathematical thinking and Speech Development

SUMMARY

In the methods of teaching the analysis of questioning and question - answer procedures are implemented by different methods. These methods are of contextual as well as formal character. It is here considered some approaches to logic construction as – erothetic and interrogative. Sense of this approach to questions analyze is movement from contextual viewing of usual natural interrogative sentences into their formal-logic representation. This approach considers some general semiotic views on questions and their answers. Accordingly, in this article, with the help of semiotic analysis pedagogic-methodic aspect of questions, as logical-grammatical form, is studied by the all three views: syntactical, semantical, pragmatical. From this point of view the cases of difficulties of semiotic character in relation to putting the questions within the teaching process are investigated: difficulties of syntax character, semantic character, pragmatic character.

Джемал Джинджихадзе

Роль семиотики в развитии математического мышления и речи

Резюме

В методике обучения анализ вопросов и вопросно-ответных процедур осуществляется разными методами. Эти методы существуют как содержательные, так и формальные. Здесь подразумеваются некоторые подходы – эротетические или интеррогативные. Сущность такого подхода состоит в переходе от содержательного рассмотрения обычных естественных вопросительных предложений на их формально-логические представления. Такой подход предполагает общие семантические взгляды на вопросы и их ответы. Соответственно этому, в статье, посредством семиотического анализа, педагогико-методический аспект вопроса, как логико-грамматической формы, изучается с трех точек зрения: синтаксической, семантической, прагматической. В этой связи исследованы трудности семиотического характера.

შორენა ლომთაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აკადემიური დოქტორი

პრაქტიკული კვლევების მნიშვნელობა მათემატიკის გაკვეთილებზე სწავლების მეთოდებისა და აქტივობების შერჩევისათვის

შესავალი

„საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთელ მსოფლიოში. იგი საშუალებას აძლევს მონაწილე ქვეყნებს, შეადარონ მოსწავლეთა მიღწევების დონე საერთაშორისო სტანდარტებს, გააანალიზონ, თუ რა ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა საგანმანათლებლო სისტემაში არსებული პოლიტიკა, სასწავლო გეგმები, სწავლების მეთოდიკა თუ საგანმანათლებლო რესურსები მოსწავლეთა მიღწევებზე; ამასთან, მკაფიოდ ავლენს ამა თუ იმ ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ ხარვეზებს და კარგ საფუძველს ქმნის იმის გადასაწყვეტად, რა და რატომ არის შესაცვლელი თუ დასახვეწი სწავლების პროცესში.“

გარდა მოსწავლეებისა, საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობენ კვლევაში ჩართულ მოსწავლეთა პედაგოგები, სკოლის დირექტორები და მშობლები. მათგან მიღებული ინფორმაცია გვეხმარება, გავაანალიზოთ ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევებზე.“ (იხ. TIMSS 2007, TIMSS 2011, PISA 2011). (საერთაშორისო კვლევები და საქართველო)

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, „მათემატიკა სასკოლო სასწავლო გეგმის ფუნდამენტური ნაწილია.“ სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებული ეროვნული კვლევის დასკვნა: საქართველოს მეოთხეკლასელთა 40-50% არ არის მზად მომდევნო კლასებში მათემატიკის სწავლისთვის. 2007-2011 წლებში ყველაზე აღიარებულმა საერთაშორისო ტესტირებებმა მათემატიკაში (TIMSS) (იხ. TIMSS 2007, TIMSS 2011, PISA 2011). მეოთხეკლასელთა შემდეგი შედეგები გვიჩვენა:

TIMSS	მონაწილეთა რაოდენობა	საქართველოს ადგილი	უმაღლესი ქულა	უდაბლესი ქულა	საშუალო ქულა	საქართველოს ქულა
2007წ.	43	37	607	224	500	438
2011წ.	50	40	620	230	500	450

მოწმდებოდა აზროვნების პროცესები ცოდნა, გამოყენება, მსჯელობა მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში.

მათემატიკა შინაარსი და კოგნიტური სფეროები			
შინაარსობრივი სფეროები		კოგნიტური სფეროები	
რიცხვები	50%	ცოდნა	40%
გეომეტრიული ფიგურები	35%	გამოყენება	40%
მონაცემთა გამოსახვა	15%	მსჯელობა	20%

წყარო: TIMSS, 2007.

ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპი არის შედეგზე ორიენტირება, რაც მასწავლებელს აძლევს გარკვეულ თავისუფლებას, თავად ეძიოს ის გზები და საშუალებები, რომლებიც დაეხმარება მას კლასის ყველა მოსწავლე დაინტერესოს და ჩართოს მათემატიკის სწავლების პროცესში. რათა თითოეულმა მათგანმა შეძლოს მიაღწიოს ეროვნული სასწავლო სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებს, შესაძლებლობების მაქსიმუმის ფარგლებში.

სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია სწავლების სათანადო მეთოდისა და მისი განხორციელებისათვის საჭირო აქტივობების სწორად შერჩევა. ეს კი თავის მხრივ დამოკიდებულია, თუ რამდენად ზუსტად არის იდენტიფიცირებული მასწავლებლის მიერ კონკრეტული საკითხის სწავლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემა. (ერთი და იგივე აქტივობის გამოყენებამ შეიძლება აბსოლუტურად სხვადასხვა შედეგზე გავლენას ახდენდეს სხვადასხვა მოსწავლესთან მიმართებაში).

კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი იყო, დაგვედგინა, როგორ შეგვიძლია გავზარდოთ მოსწავლეთა მიღწევები მათემატიკაში დაწყებით საფეხურზე. კვლევის ჩასატარებლად პრაქტიკული კვლევის მეთოდი შევარჩიეთ. შესაბამისად, კვლევა შემდეგი ეტაპებისგან შედგებოდა:

1. პრობლემის იდენტიფიცირება: ეს გულისხმობს არსებული პრობლემის მიზეზის ან მიზეზების განსაზღვრას, ასევე, საწყისი მდგომარეობის გაზომვას.
2. ინტერვენციის დაგეგმვა: პრაქტიკული კვლევის მეთოდოლოგია გულისხმობს, რომ ინტერვენციის განსაზღვრის პროცესში აქტიურად იყოს ჩართული ის მხარე, რომელსაც შემდგომ უწევს აღნიშნული ცვლილების მიღება და განხორციელება.
3. ინტერვენციის განხორციელება: შემუშავებული ცვლილების გეგმის გატარება
4. შედეგების შეფასება: ამ ეტაპზე ზემოთ ნახსენებ საწყის მდგომარეობას იგივე ინსტრუმენტის გამოყენებით შეგროვებულ ახალ, ინტერვენციის შემდგომ მონაცემებს ვადარებთ და ვზომავთ ინტერვენციის შედეგად მიღებულ ცვლილებას.

პრობლემის იდენტიფიცირება

აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი ახორციელებს დაწყებითი განათლების პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს ბაკალავრიატში მეექვსე და მეშვიდე სემესტრში პედაგოგიურ პრაქტიკას სკოლაში. ამ სკოლებთან უნივერსიტეტს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. პრაქტიკა 5-6 კვირის განმავლობაში გრძელდება. ამ პერიოდში სტუდენტის მოვალეობაა დაესწროს საჩვენებელ გაკვეთილს მეთოდისტთან ერთად, გააანალიზოს ის და შემდგომში შეიმუშავოს სტრატეგიები მის მიერ ჩასატარებელი გაკვეთილებისათვის.

2012 წლის ოქტომბრის თვეში ქუთაისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის ოთხ მესამე კლასში დავსწარით მათემატიკის გაკვეთილებს. შესასწავლი თემა იყო გამრავლება. ეროვნული სასწავლო გეგმის მესამე კლასის სტანდარტით წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები ამ მიმართულებით: მიმართულება, რიცხვები და მოქმედებები.III.3 მოსწავლეს შეუძლია გამრავლება გაყოფის მოქმედებების შესრულება. მათი შეკრება გამოკლების მოქმედებებთან და ერთმანეთთან დაკავშირება. წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და ინდიკატორები: ახდენს გამრავლების მოქმედების მრავალჯერადი შეკრებით დემონსტრირებას. ზეპირად ასრულებს გამრავლებას მარტივ შემთხვევებში.

მოსწავლეები საკმაოდ კარგად ფლობდნენ ზეპირად გამრავლების ტაბულას, რომელიც მათ სტანდარტით არ მოეთხოვებოდათ ამ ეტაპზე. თუმცა, როცა მათ მასწავლებელმა მისცა სავარჯიშო, გამოთვლების გარეშე შეედარებინათ ერთმანეთისათვის ორი ნამრავლი, მათ ეს ძალიან გაუჭირდათ. ისინი ჯერ ნამრავლს თვლიდნენ და შემდგომ მიღებულ შედეგებს ადარებდნენ. ჩვენ ვივარაუდეთ, რომ ბავშვებს დაზეპირებული ქონდათ გამრავლების ტაბულა, და არ ქონდათ გაცნობიერებული გამრავლების შინაარსი. მოსწავლეებს უჭირდათ მსჯელობა. კერძოდ ვერ სცემდნენ პასუხს კითხვაზე: რას ნიშნავს სამი გავამრავლოთ ხუთზე. და ა.შ. გადაწყვეტიტე ჩაგვეტარებინა კვლევა.

საწყისი მდგომარეობის შესაფასებლად შევადგინეთ სავარჯიშოები, რომლებიც შესაბამისობაში იყო სტანდარტით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებთან. თითოეულ მოსწავლეს დავურიგეთ ბილეთები, რომლებშიც შეტანილი იყო 6 სავარჯიშო. მათ მიეცათ შესაბამისი დრო 30 წთ. დავალება შესასრულებლად მიეცა 118 ბავშვს.

გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

- მოსწავლეთა უმეტესობა ვერ ახდენს გამრავლების მოქმედების მრავალჯერადი შეკრებით დემონსტრირებას და ტოლშესაკრებთა ჯამის წარმოდგენად ნამრავლის სახით.
- ვერ ანსხვავებს ემანეთისაგან „ით“ მეტს და „ჯერ“ მეტს.(ან პირიქით)
- ნამრავლის ტოლშესაკრებთა ჯამად დაშლის საფუძველზე ვერ ახერხებს ორი ნამრავლის შეადრებას
- ვერ აცნობიერებენ პირობის შესაბამის მოთხოვნებს; მეტწილად ასრულებენ დამატებით სამუშაოებს, რაც დროის არარაციონალურად ხარჯვას იწვევს.

I	II	III	IV	V	VI
ჩაწერე რიცხვითი გამოსახულება: 15 გავადიდოთ 3-ჯერ	ჩაწერე რიცხვითი გამოსახულება: 15 გავადიდოთ 3-ით	წარმოადგინეთ ნამრავლის სახით: 15+15+15+15+15+15	წარმოადგინეთ ნამრავლის სახით: (25-10)+(25- 10)+(25-10)	წამოადგინე ჯამის სახით: 25•4	შეადარეთ გამოთვლის გარეშე: 18•2 და 18•3
მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც დავალება შეასულა უშეცდომოდ					
9	102	32	2	74	4

ის დავალებები, რომელთა შესრულებაც გაუჭირდათ მეტი რაოდენობის ბავშვებს.

მასწავლებელს გამოყენებული ჰქონდა სხვადასხვა სახის აქტივობები, გამრავლების შინაარსის გასაცნობიერებლად, მაგრამ შედეგი არ იყო დამაკმაყოფილებელი. მაგალითად, პირველი დავალება შეასრულა მხოლოდ ცხრა ბავშვმა. მეოთხე მხოლოდ ორმა ბავშვმა. მეექვსე მხოლოდ ოთხმა ბავშვმა. დავალაგეთ სიხშირეების მიხედვით და შესაბამისად გაკეთდა ანალიზი, თუ რა იყო მიზეზი ამ დავალებების ბავშვების მიერ ვერ შესრულებისა.

ინტერვენციის დაგეგმვა და განხორციელება

გადავწყვიტეთ შეგვექმნა და გამოგვეყენებინა თემასთან შესაბამისობაში მოძრავი, ანიმაციური თვალსაჩინოებები. მოძრავი თვალსაჩინოებების ჩვენების დროს მოსწავლემ ჯერ თავისი სიტყვებით უნდა აღწეროს ის პროცესი, რაც დაინახა თვალსაჩინოებით და შემდეგ კი უნდა შეძლოს მისი ჩაწერა რიცხვითი გამოსახულებით. ეს კი ბავშვს უვითარებს მსჯელობის უნარს, ამავე დროს პროცესის შესაბამისი მოდელის შექმნის უნარს, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს საკითხის ღრმად გააზრებას.

შევიმუშავეთ სხვადასხვა აქტივობები, რომელთა გამოყენებაც, ჩვენი ვარაუდით, ხელს შეუწყობდა გამრავლების შინაარსის გაცნობიერებას მოსწავლეებში და ისინი შემდგომში შეძლებდნენ სასწავლო სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებზე გასვლას. ამავე დროს, ჩვენი ვარაუდით ასეთი სახის აქტივობები გამოიწვევდა მოსწავლეთა დაინტერესებას და სწავლების პროცესი გახდებოდა ბევრად უფრო ხალისიანი და ამავე დროს ნაყოფიერი. (მეორე კლასელებთან მუშაობის დროს, გასულ წელს, გვექონდა ასეთი გამოცდილება მიღებული ანიმაციურმა თვალსაჩინოებამ ძალიან დაინტერესა ბავშვები და გაუადვილათ საკითხის აღქმა.

ინტერვენციის შედეგები

ანიმაციურ თვალსაჩინოების გამოყენებას სწორად დასმულ კითხვებთან ერთად ჰქონდა საკმაოდ კარგი ეფექტი საკითხის აღქმისათვის. კერძოდ, დაკვირვების შედეგად გამოჩნდა, რომ:

- ორი კვირის შემდეგ, ბავშვებში აშკარად შეინიშნებოდა ლოგიკური მსჯელობის დახვეწა. გააცნობიერეს რა გამრავლების შინაარსი, მოსწავლეებს აღარ უჭირდათ სახელმძღვანელოში მოცემული სხვადასხვა სავარჯიშოების ამოხსნა, ხოლო დამოუკიდებელმა სამუშაომ გაცილებით უკეთესი შედეგები გვიჩვენა.
- მოსწავლეთა უმეტესობა ახდენს გამრავლების მოქმედების მრავალჯერადი შეკრებით დემონსტრირებას და ტოლშესაკრებთა ჯამის წარმოდგენას ნამრავლის სახით.
- მოსწავლეები ემანეთისაგან ანსხვავებს „ით“ მეტს და „ჯერ“ მეტს და პირიქით.
- ნამრავლის ტოლშესაკრებთა ჯამად დაშლის საფუძველზე კარგად ახერხებენ ორი ნამრავლის შეადრებას.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია პრაქტიკული კვლევა. კვლევის მიზანი იყო, დაგვედგინა, როგორ შეგვიძლია გავზარდოთ მოსწავლეთა მიღწევები მათემატიკაში დაწყებით საფეხურზე. კვლევის ჩასატარებლად პრაქტიკული კვლევის მეთოდი შევარჩიეთ. შესაბამისად, კვლევა შემდეგი ეტაპებისგან შედგებოდა: ა) **პრობლემის იდენტიფიცირება**- საწყისი მდგომარეობის შესაფასებლად შევადგინეთ სავარჯიშოები, რომლებიც შესაბამისობაში იყო სტანდარტით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებთან. თითოეულ მოსწავლეს დავურიგეთ ბილეთები, რომლებშიც შეტანილი იყო 6 სავარჯიშო. მათ მიეცათ შესაბამისი დრო 30 წთ. დავალება შესასრულებლად მიეცა 118 ბავშვს. ბ) **ინტერვენციის დაგეგმვა და განხორციელება** - გადავწყვიტეთ შეგვექმნა და გამოგვეყენებინა თემასთან შესაბამისობაში მოძრავი, ანიმაციური თვალსაჩინოებები. გ) **ინტერვენციის შედეგები** - ანიმაციურ თვალსაჩინოების გამოყენებას სწორად დასმულ კითხვებთან ერთად ჰქონდა საკმაოდ კარგი ეფექტი საკითხის აღქმისათვის.

Shorena Lomtadze

Practical research of teaching methods and activities at math lessons

Summary

In article “Practical research of teaching methods and activities at Math lessons” is discussed practical research

The aim of the research is to find out how we increase pupil’s achievement in Mathematics at elementary step. We have chosen the practical methods of the researching

According this, the research consists some several stages.

a) identity of problem – for this we made exercises which were relevant for result. Each pupil was given examination papers which consists of six exercises. They were given adequate time to 30 minutes. The assignment was given among 118 pupils.

b) The planning of intervention and implementation. We decided to create and use according this article moving animated visual aids

c) The results of intervention. The use of animation correctly with questions had a great affect the perception of research

Значение практических исследований при выборе методов обучения и активностей на уроках математики»

В работе рассматривается практическое исследование. Целью исследования было установить, как можно увеличить достижения учеников по математике на начальной ступени. Для проведения исследования мы выбрали метод практического исследования. Соответственно, исследование состояло из следующих этапов: а) **идентификация проблемы** – для оценки начального состояния, мы составили упражнения, соответствующие результатам, предусмотренным стандартом. Каждому ученику раздали билеты, содержащие 6 упражнений. Для выполнения задания, им было дано соответствующее время 30 минут. Задание было дано 118 ученикам. б) **планирование и осуществление интервенции** – мы решили создать и использовать соответствующие теме анимированные визуализации. в) **результаты интервенции** – применение анимированных визуализаций вместе с правильно поставленными вопросами дали достаточно хороший эффект восприятия темы.

შალვა კირთაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, აკადემიური დოქტორი

აქსიომათა დამოუკიდებლობა

აქსიომას ეწოდება დამოუკიდებელი, თუ არ შეიძლება მტკიცების გზით ამ აქსიომის მიღება დანარჩენი აქსიომებისაგან. თავსებადობისა და სისრულისაგან განსხვავებით დამოუკიდებლობის ნაკლები მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამ ცნებასთან დაკავშირებულია მნიშვნელოვანი ფაქტი ახალი თავსებადი აქსიომათა სისტემების აგებისა, რომელიც პირველად გვხვდება ლობაჩევსკის გეომეტრიაში. თუ α აქსიომა დამოუკიდებელია აქსიომათა A სისტემისგან, მაშინ A სისტემაზე α -ს საწინააღმდეგო აქსიომის დამატებით მიიღება ახალი, ლოგიკურად არასაწინააღმდეგო აქსიომათა სისტემა.

აქსიომათა სისტემის თავსებადობა, კატეგორიულობა და დამოუკიდებლობა მათემატიკის დაფუძნების ერთ-ერთი რთულ პრობლემას წარმოადგენს, რომელიც მათემატიკური ლოგიკის შუქზე ახალი სიძნელეებით წარმოსდგა. ამ საკითხების გადაწყვეტა გამოთვლითი ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებით რიგ შემთხვევაში აუცილებელია და იგი ცილდება მათემატიკის დაფუძნების ვიწრო საკითხებს. ამ საკითხების დამუშავებას სათავეში უდგნენ ა.ნ. კოლმოგოროვი, პ.ს. ნოვიკოვი, ა.ა. მარკოვი და სხვა დიდი მათემატიკოსები.

განვიხილოთ აქსიომათა სისტემა, რომელიც პირველად მოცემული იყო ფრეგეს მიერ (Фреге – 1848-1925. გამოჩენილი გერმანელი მათემატიკოსი, ფილოსოფოსი და ლოგიკოსი) შემდეგი სახით:

- 1) $A \Rightarrow (B \Rightarrow A)$
- 2) $(A \Rightarrow (B \Rightarrow C)) \Rightarrow (A \Rightarrow (A \Rightarrow C))$
- 3) $(A \Rightarrow (B \Rightarrow C)) \Rightarrow (B \Rightarrow (A \Rightarrow C))$
- 4) $(A \Rightarrow B) \Rightarrow (\bar{B} \Rightarrow \bar{A})$
- 5) $\bar{\bar{A}} \Rightarrow A$
- 6) $A \Rightarrow \bar{\bar{A}}$

შემდეგ ლუკასევიჩმა აჩვენა, რომ აქსიომათა ეს სისტემა შეიძლება შეიცვალოს აქსიომათა სისტემით (გამოჩენილი პოლონელი ლოგიკოსი და ფილოსოფოსი 1878-1956).

გამონათქვამთა აღრიცხვა დ. ჰილბერტის მიერ წარმოდგენილი იყო აქსიომათა შემდეგი სისტემით:

- (A₁) $(A \cup A) \Rightarrow A$
- (A₂) $A \Rightarrow (A \cup B)$
- (A₃) $(A \cup B) \Rightarrow (B \cup A)$
- (A₄) $(A \Rightarrow B) \Rightarrow [(C \Rightarrow A) \Rightarrow (C \cup B)]$

(იხ. Д. Гильберт, В. Аккерман. основы теоретического логики. М., 1947, стр. 49)

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით აქსიომათა სისტემისათვის მნიშვნელოვანია აქსიომათა სისტემის დამოუკიდებლობის საკითხი. არც ერთ დედუქციურ სისტემაში აქსიომათა დამოუკიდებლობის გადაჭრა არ ხერხდება საკუთრივი თეორიის ხარჯზე. საჭიროა ამ თეორიიდან გარეთ გამოსვლა. კონკრეტულად გამონათქვამთა აღრიცხვის აქსიომათა სისტემის დამოუკიდებლობის დამტკიცებისათვის საკმარისი არ არის ორნიშნა ლოგიკა და საჭირო ხდება სამნიშნა ლოგიკისადმი მიმართვა.

ახლა მოკლედ აქსიომათა სისტემის ინტერპრეტაციის მოდელის შესახებ.

როცა ფორმალური თეორიის სიმბოლოებს (ასოებს) მინიჭებული აქვთ გარკვეული შინაარსი ადრე ცნობილი შინაარსობრივი M თეორიის ელემენტებით, მაშინ ვამბობთ, რომ შინაარსობრივი M თეორიით განხორციელებული ფორმულა L თეორიის ინტერპრეტულია. მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითი: ჩვენ ვიცით ველის განსაზღვრა. ვიცით, რომ ველს ქმნის ნამდვილ რიცხვთა R სიმრავლე მასზე მოცემული შეკრებისა და გამრავლების ოპერაციებით. ეს არის ველის ერთი ინტერპრეტაცია,

მაგრამ არსებობს ველის სხვა ინტერპრეტაციებიც. მაგალითად, ავიღოთ სიმრავლე $\{0,1\}$ და ამ სიმრავლეში განვსაზღვროთ შეკრებისა და გამრავლების ოპერაციები შემდეგნაირად:

t	0	1
0	0	1
1	1	0

\bullet	0	1
0	0	0
1	0	1


აქ საქმე გვაქვს ნაშთა კლასების ველთან 2-ის მოდელით. ნაშთა კლასები $\bar{0}$ და T .

$\bar{0}$ კლასის ყოველი რიცხვი უნაშთოდ იყოფა 2-ზე T კლასის ყოველი წევრი 2-ზე გაყოფისას გვაძლევს ნაშთს 1-ს.

ინტერპრეტაცია გულისხმობს მათემატიკურ სიმბოლოებსა და ფორმულებში გარკვეული შინაარსის ჩადებას. ინტერპრეტაცია იგივეა რაც შინაარსი (ლათ. interpretatio – შუამავალი). განვიხილოთ კომპლექსური რიცხვების შეკრება:

$$(a,b) + (c,d) = (a+c, b+d)$$

რიცხვების შეკრება შეიძლება წარმოვადგინოთ სიბრტყეზე წერტილების შეკრების ინტერპრეტაციით:



ავიღოთ სიმბოლო „ \bullet “, იგი შეიძლება აღნიშნავდეს რიცხვის გაძრავლებას ან ორი ვექტორის სკალარულ გამრავლებას და ა.შ.

M სიმრავლეს, რომლითაც განხორციელებულია Y ფორმალურ თეორიის ინტერპრეტაციას უწოდებენ ამ თეორიის მოდელს. თუ M თეორიის ელემენტები აკმაყოფილებენ აქსიომებს ე.ი. წარმოადგენენ აქსიომებს ჭეშმარიტ წინადადებად და გამომდინარეობს წესების მეთოდები ამ ინტერპრეტაციაში ჭეშმარიტი წინადადები.

ფუნქციონალურ ტერმინებში ეს განისაზღვრება შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ. Y ფორმალური თეორიის ინტერპრეტაცია ეს არის ფუნქცია, რომლის განსაზღვრის არეა Y თეორიის პირველადი ტერმინების T სიმრავლე, ხოლო $f(T)$ არის საგანთა ცნობილი სიმრავლე ინდივიდებითა და მითითებებით, თუ $f(T)$ საგანთა M სიმრავლე აკმაყოფილებს Y თეორიის აქსიომებს, მაშინ მას ეწოდება Y თეორიის მოდული. ამრიგად, მოდულის ობიექტებსა და მითითებებს შორის სრულდება ის, რაც ნათქვამია აქსიომებში. როცა ეს ასეა, მაშინ ვამბობთ, რომ მიძღვნილია აქსიომათა სისტემის ინტერპრეტაცია ანუ განხორციელებულია აქსიომების რეალიზაცია აღებულ მოდულში.

ახლა ჩვენ გვინდა შევეხოთ აქსიომათა დამოუკიდებლობის საკითხს, რომლის გამოკვლევასაც ჩავატარებთ მოდულების ენაზე. ავიღოთ (*) სისტემის პირველი აქსიომა. შევადაროთ ცხრილი A, B პროპორციული ცვლადების ყველა შესაძლო მნიშვნელობისათვის.

A	B
1	1
1	0
0	1
0	0

A და B ცვლადების მნიშვნელობათა ყოველი სისტემისათვის (*) სისტემის პირველი ფორმულა $A \Rightarrow (B \Rightarrow A)$ ცხადია ჭეშმარიტია. შევამოწმოთ მეორე აქსიომა. ვთქვათ, $A \approx 1$, $B \approx 1$, მაშინ მეორე ფორმულა მიიღებს სახეს

$(1 \Rightarrow (1 \Rightarrow C)) \Rightarrow (1 \Rightarrow 1) \Rightarrow (1 \Rightarrow C)$ – I ცვლადი შეიძლება ღებულობდეს მნიშვნელობას 1 ან 0. თუ $C=1$, მივიღებთ $(1 \Rightarrow (1 \Rightarrow 1)) \Rightarrow (1 \Rightarrow 1)$, რომელიც ცხადია ჭეშმარიტია. თუ $C=0$, მივიღებთ

$$(1 \Rightarrow (1 \Rightarrow 0)) \Rightarrow ((1 \Rightarrow 1) \Rightarrow (1 \Rightarrow 0))$$

$$(1 \Rightarrow 0) \Rightarrow ((1 \Rightarrow 1) \Rightarrow (1 \Rightarrow 0))$$

$$0 \Rightarrow ((1 \Rightarrow 1) \Rightarrow 0)$$

$$0 \Rightarrow (1 \Rightarrow 0)$$

$$0 \Rightarrow 0, \text{ რომელიც ჭეშმარიტია.}$$

ასევე შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ როცა $A=0$, $B=1$ ან $A=0$, $B=0$ ფორმულა I ღებულობს ჭეშმარიტ მნიშვნელობას. ამრიგად, როცა ჭეშმარიტია $A \Rightarrow (B \Rightarrow A)$, ე.ი. ჭეშმარიტია (*) სისტემის მეორე ფორმულა, მაშინ ჭეშმარიტია პირველი ფორმულაც. მამასადაამე (*) სისტემის პირველი და მეორე ფორმულები ტოლფასი ფორმულებია.

სრულიად ანალოგიურად ვაჩვენებთ, რომ ტოლფასია (*) სისტემის პირველი და მესამე ფორმულა. აქედან გამომდინარე პირველი აქსიომა $A \Rightarrow (B \Rightarrow A)$, დამოკიდებულია დანარჩენი ორი აქსიომისაგან.

ანალოგიურად ვაჩვენებთ, რომ მეორე ფორმულა დამოკიდებულია პირველი და მესამე ფორმულისაგან, ხოლო მესამე ფორმულა დამოკიდებულია პირველი და მეორე ფორმულისაგან. გარდა ამისა, ჩვენ გადავწყვიტეთ აქსიომათა (*) სისტემის დამოუკიდებლობა.

Shalva Kirtadze

The independence of the axioms

The axiom is called independent if you can not prove the possibility of this axiom from the other axioms. In contrast to the compatibility and completeness, independence is less important, but this is an important fact related to the notion of building a new system compatible axioms, which first met in Lobachevsky's Geometry. If α is an axiom is independent from A system of axioms, then, by adding to the system of axioms A opposing α , we obtain a new, logically unrepugnant system of axioms.

Compatibility, categorical and independence of the axiom system is one of the difficult problems of the foundations of Mathematics, which is passing through a prism of mathematical logic appears in the form of new problems and difficulties. The development of computer technology makes it possible to solve such issues outside the scope of the main questions of the foundations of Mathematics. The research and working out on these problematic issues were led by outstanding scientists in the field of Mathematics, such as A. Kolmogorov, P. Novikov and A. Markov

დავით წამალაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დოქტორანტი, მოწვეული მასწავლებელი

ფუნქციის განსაზღვრის არის სწავლებისათვის საშუალო სკოლაში

სასკოლო მათემატიკის კურსში ფუნქციის სწავლებას განსაკუთრებული ადგილი უკავია, შეიძლება ითქვას, წამყვანი. ფუნქციონალური დამოკიდებულების პროპედევტიკა დაწყებით კლასებშივე შემოდის და შემდეგ საფეხურებზე კი არამარტო მათემატიკის შესწავლის საგანად, არამედ ყველა საბუნებისმეტყველო მეცნიერების საკვანძო საკითხად გვევლინება. ფუნქციის ცნების შემოტანა ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული, დღესაც კი ფუნქციის სწავლება ბევრი მეთოდისტი მათემატიკოსის განსჯის საგანია. ერთი რამ ფაქტია, რომ როგორც არ უნდა შემოვიტანოთ ფუნქციის ცნება, გვერდს ვერ ავუვლით ფუნქციის განსაზღვრის არის ცნების შემოტანას.

როგორც ვიცით ფუნქციის მოცემის სხვადასხვა ხერხი არსებობს. განსაზღვრის არის პოვნა შედარებით უიოლდებათ მოსწავლეებს მაშინ, როდესაც ფუნქცია მოცემულია გრაფიკულად ან ცხრილის სახით. ორივე შემთხვევაში უფრო მეტი თვალსაჩინოებაა, ვიდრე ფუნქციის ანალიზურად მოცემის შემთხვევაში. ალბათ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ანალიზურად მოცემული ფუნქციის განსაზღვრის არის პოვნა აბიტურიენტებს უმაღლესი ქულის მოპოვების საშუალებას აძლევს.

შევეცდები შემოგთავაზოთ მეთოდი, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება ანალიზურად მოცემული ფუნქციის განსაზღვრის არის სწრაფად და ზუსტად მოძებნაში. მოცემული მეთოდი დამყარებულია პრინციპზე: „რაც აკრძალული არაა - ყველაფერი ნებადართულია“.

„აკრძალვა №1“ არის შემდეგი ტიპის ფუნქციებში: $y = \frac{C}{N(x)}$ (C - მუდმივია) ან $y = \frac{M(x)}{N(x)}$.

მოსწავლეებს ვუსვამთ შეკითხვას, თუ რა არ შეიძლება მოხდეს მოცემულ შემთხვევაში, რა აკრძალვა ეხება ფუნქციას, უკეთ რომ ვთქვათ, მარჯვენა მხარეში მდგომ გამოსახულებას? ფაქტია, რომ გამოსახულების მნიშვნელი არ უნდა უდრიდეს 0-ს (სწორედ ეს არის „აკრძალვა“). კარგი იქნებოდა, მოსწავლეებს კიდევ ერთხელ გაეხსენებინათ, თუ რატომ არ შეიძლება ნულზე გაყოფა. ხშირ შემთხვევაში მოსწავლეებმა იციან ეს ფაქტი, მაგრამ არ იციან მიზეზი ამისა. ზოგიერთ მოსწავლეს მიაჩნია, რომ ეს მათემატიკოსების კაპრიზია - ასე გადაწყვიტეს მათემატიკოსებმა. მაშასადამე, მოცემული ფაქტის გახსენების შემდეგ, მოსწავლეები მიხვდებიან, რომ ნებისმიერ ასეთი სახით მოცემულ ფუნქციაში მნიშვნელი არ უნდა უდრიდეს ნულს. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

- ა) $f(x) = \frac{1}{x-8}$ ანუ $x - 8 \neq 0$
- ბ) $f(x) = \frac{2x+7}{3x-1}$ $3x - 1 \neq 0$
- გ) $f(x) = \frac{2x}{x^2-7x+12}$ $x^2 - 7x + 12 \neq 0$

ასე გვპასუხოვენ მოსწავლეები. ამის შემდეგ ყველაფერი უკვე ტექნიკის საქმეა, თუ რამდენად კარგად შეუძლიათ მოსწავლეებს განტოლების ამოხსნა.

„აკრძალვა №2“ გვხვდება შემდეგი ტიპის ფუნქციებში: $y = \sqrt[n]{M(x)}$. როგორც „აკრძალვა #1“-ში, აქაც კარგი იქნებოდა, მოსწავლეებს გაეხსენებინათ მიზეზები, თუ რატომ არ შეიძლება ლუწი ხარისხის ფესვის ამოღება გამოსახულებიდან, რომლის მნიშვნელობაც უარყოფითია, უფრო სწორად კი - თუ როგორი უნდა იყოს გამოსახულება, რომ მისგან შეიძლებოდეს ლუწი ხარისხის ფესვის ამოღება. შეიძლება ითქვას, განსაზღვრის არის მოძებნა იძულებულს გვხდის კიდევ ერთხელ შევაჯამოთ მათემატიკის ბევრი საკვანძო საკითხი. საბოლოოდ დავადგენთ, რომ ფესქვემა გამოსახულება არ უნდა იყოს უარყოფითი ე.ი. უნდა იყოს არაუარყოფითი, ანუ $M(x) \geq 0$.

მოვიყვანოთ შესაბამისი მაგალითები:

$$\begin{aligned} \text{ა) } f(x) &= \sqrt{x+8} & \text{ანუ } x+8 &\geq 0 \\ \text{ბ) } f(x) &= \sqrt[5]{4-3x+x^2} & 4-3x+x^2 &\geq 0 \\ \text{გ) } f(x) &= \sqrt[4]{1+\sqrt{x+1}} & \begin{cases} 1+\sqrt{x+1} \geq 0 \\ x+1 \geq 0 \end{cases} \\ \text{დ) } f(x) &= \sqrt{4-\sqrt[3]{x}} & 4-\sqrt[3]{x} &\geq 0 \end{aligned}$$

ამ ორი „აკრძალვის“ შემდეგ შეგვიძლია მოსწავლეებს შევთავაზოთ კომბინირებული ვარიანტი:

$$\begin{aligned} \text{ა) } f(x) &= \frac{\sqrt{x+4}}{5x} & \text{ანუ } \begin{cases} x+4 \geq 0 \\ 5x \neq 0 \end{cases} \\ \text{ბ) } f(x) &= \frac{5x}{\sqrt{x+4}} & x+4 > 0 \\ \text{გ) } f(x) &= \sqrt{\frac{x-1}{x^2-3x+2}} & \frac{x-1}{x^2-3x+2} \geq 0 \\ \text{დ) } f(x) &= \frac{1}{\sqrt{1-\sqrt[4]{x+2}}} & \begin{cases} 1-\sqrt[4]{x+2} > 0 \\ x+2 \geq 0 \end{cases} \\ \text{ე) } f(x) &= \sqrt{-x} + \frac{2}{\sqrt[5]{15+2x+x^2}} & \begin{cases} -x \geq 0 \\ 15+2x+x^2 > 0 \end{cases} \\ \text{ვ) } f(x) &= \frac{7}{\sqrt[3]{x-1}} & x-1 \neq 0 \end{aligned}$$

მოსწავლეები აღმოაჩენენ რომ, ხშირ შემთხვევაში, ფესვქვეშა გამოსახულება აღარ შეიძლება იყოს ნულის ტოლი, ანუ სავალდებულოა, იყოს მკაცრად დადებითი და თუ კენტი ხარისხის ფესვთან „აკრძალვა“ არ იყო, ზოგჯერ მაინც ხდება ხოლმე პრობლემა.

„აკრძალვა №3“ გვხვდება ლოგარითმულ ფუნქციაში: $f(x) = \log_{N(x)} M(x)$. ასევე, ვიხსენებთ ლოგარითმის თვისებებს და ვაჯამებთ მოცემულ საკითხს, რის შედეგადაც დავადგენთ, თუ რატომ

$$\begin{cases} M(x) > 0 \\ N(x) > 0 \\ N(x) \neq 1 \end{cases}$$

$$\begin{aligned} \text{ა) } f(x) &= \log_2(-x+1) + \log_3(-x^2-x+6) & \text{ანუ } \begin{cases} -x+1 > 0 \\ -x^2-x+6 > 0 \end{cases} \\ \text{ბ) } f(x) &= \log_{(x+2)}(x^2-5x-6) & \begin{cases} x^2-5x-6 > 0 \\ x+2 > 0 \\ x+2 \neq 1 \end{cases} \end{aligned}$$

ამ ყველაფრის შემდეგ ისევ შეგვიძლია ვისაუბროთ მათს კომბინირებულ ვარიანტებზე:

$$\begin{aligned} \text{ა) } f(x) &= \sqrt{1-\log_2 x} & \text{ბ) } f(x) &= \log_2(2-\sqrt{x}) & \text{გ) } f(x) &= \frac{\log_3(-x^2+4x+5)}{\sqrt{x-2}} \\ \text{დ) } f(x) &= \sqrt{\log_{0,4} \frac{x-1}{x+5}} & \text{ე) } f(x) &= \frac{\sqrt{x^2-3x+4}}{x \lg(x-5)} & \text{დ) } \\ f(x) &= \frac{1}{\log_2(x^2-2x-8)-4} \end{aligned}$$

$$\begin{aligned} \text{ზ) } f(x) &= \lg(3-\sqrt{x+1}) & \text{თ) } f(x) &= \frac{\sqrt{x+8}}{1-\log_{\frac{1}{5}}(1-x)} & \text{ი) } f(x) &= \lg(\lg x) \end{aligned}$$

„აკრძალვა №4“ ეხება $f(x) = \operatorname{tg} M(x)$ ფუნქციას, სადაც ე.წ. „აკრძალვა“ ის არის, რომ $M(x) \neq (2k+1)\frac{\pi}{2}$

$$\begin{aligned} \text{ა) } f(x) &= \operatorname{tg}(x-1) & \text{ბ) } f(x) &= \operatorname{tg}(\sin x) & \text{გ) } f(x) &= 2 \operatorname{tg}\left(-2x + \frac{\pi}{4}\right) \end{aligned}$$

ამის შემდეგ ყველაფერი იმავე ლოგიკით გრძელდება, როგორც ზემოთ იყო - კომბინირებული ვარიანტები.

შემოვიფარგლეთ მხოლოდ იმ ფუნქციებზე საუბრით, რომლებიც მათემატიკის მინიმალური სტანდარტის მიხედვით მოეთხოვებათ მოსწავლეებს. არც ერთი ამოცანა ბოლომდე არ არის მიყვანილი ამოხსნის თვალსაზრისით, საკმარისია, რომ საკითხის არსში ერკვეოდეს მოსწავლე, დანარჩენი კი - მათ ტექნიკის დონეზეა დამოკიდებული, თუ როგორ შეუძლია განტოლებებისა და უტოლობების ამოხსნა. რა თქმა უნდა, ყველა ჩამოთვლილი ფუნქციის შესწავლა ერთ რომელიმე გაკვეთილზე ვერ მოხერხდება, მით უმეტეს, რომ სხვადასხვა ფუნქცია, სხვადასხვა კლასში ისწავლება, მაგრამ ის კი ნამდვილად შესაძლებელია, დამამთავრებელ კლასებში ამგვარად გავიმეოროთ თემა - „ფუნქციის განსაზღვრის არე“. მოცემულ მეთოდს დიდ ეფექტს შესძენს ის, რომ მასწავლებელმა გაკვეთილზე კომპიუტერული ტექნოლოგიების საშუალებით ააგებინოს მოსწავლეებს ნახსენები ფუნქციების გრაფიკები. თვალსჩინოება არც ამ ასაკში კარგავს თავის უდიდეს მნიშვნელობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მინიმალური სტანდარტი მათემატიკაში
2. როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის. მათემატიკა - 2005-2013 წლის კრებულები.
3. Ляпин С.Е., Баранов И.В., Бочугова З.Г. Сборник задач по элементарной алгебре. Москва, 1973.
4. Дорофеев Г.В., Потапов М.К., Розов Н.Х. Пособие по математике для поступающих в вузы. Москва, 2007.
5. Вавилов В.В., Мельников И.И., Олехник С.Н., Пасиченко П.И. Задачи по математике. Начала анализа. Справочное пособие. Москва, 1990.
6. Шахно К.У. Сборник задач по элементарной математике повышенной трудности (изд. 3-е), Минск, 1966.
7. Ron Larson, Bruce H. Edwards. Calculus I with Precalculus. 2011.

რეზიუმე

ნაშრომის მიზანია დაგვანახოს ფუნქციის განსაზღვრის არის შესწავლის საჭიროება მოსწავლეებისათვის, განსაკუთრებით მათთვის ვინც უმაღლეს აკრედიტირებულ სასწავლებლებში აპირებენ მათემატიკის ჩაბარებას. განხილულია ელემენტარული მათემატიკის იმ ფუნქციების განსაზღვრის არის პოვნის წესები, რომლებიც მოეთხოვებათ მოსწავლეებს მათემატიკის მინიმალური სტანდარტის მიხედვით. მოცემული მეთოდი გამოადგებათ მასწავლებლებს ფუნქციის შემაჯამებელი გაკვეთილის დაგეგმვისას. ცალკეული სახის ფუნქციების განხილვისას მოყვანილია შესაბამისი მაგალითები, რომლებიც ძირითად ორიენტირს მისცემენ მათემატიკის პედაგოგებს.

David Tsamalashvili – The PHD student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University - Pedagogical Scientific-Research Institute, an invited teacher.

For the teaching of the domain of the function in secondary schools

Abstract

The aim of the work is to show the need of studying of the domain of the function for students, especially for those who are taking exams in Math in the accredited institutes of higher education. There is considered the subject of finding the rules of the domain of the function in the elementary mathematics that is required to maintain a minimum standard in mathematics. This method is useful for teachers in the summarizing functional lesson planning. While reviewing some private kinds of the functions the corresponding examples are given, which are the main benchmark for math teachers to give.

Давид Цамалашвили - Тбилийский Государственный Университет им. Иване Джавахишвили – докторант и приглашенный педагог Научно-исследовательского института Педагогики.

Обучения облости определения функций в средних школах

Резюме

Цель исследования заключается в том, чтобы показать необходимость обучения **облости определения** функции для учащихся, особенно для тех, кто собирается сдавать математику в выше аккредитованные учебные заведения. Изучаются правила выполнения основных функций при решении элементарной математики, которые требуются от учащихся по минимальному стандарту. Данный метод полезен для учителей при планировании заключительного урока. При решении некоторых отдельных функций приведены примеры, которые смогут стать основным ориентиром для учителей математики.

ქეთევან ჭელიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კომპიუტერული ტექნოლოგიების დეპარტამენტის პედაგოგი

ელექტრონული ცხრილის მონაცემთა ანალიზისა და დაცვის ზოგიერთი საკითხი

Microsoft ფირმის პროგრამა Excel წარმოადგენს ელექტრონულ ცხრილს, რომელიც განკუთვნილია საფინანსო, საბუღალტრო, მათემატიკური თუ სხვა სახის ამოცანების ამოხსნისათვის. აქვე შეიძლება მონაცემთა შენახვა ცხრილების სახით, მონაცემთა დალაგება და გაფილტვრა. ყველა საოფისე პროგრამაში ჩაშენებულია ვიზუალური პროგრამირების ინსტრუმენტალური სისტემა VBA (Visual Basic for Applications), რაც პროცედურებისა და ფუნქციების გამოყენებით დოკუმენტის მონაცემებზე მანიპულირების კარგი საშუალებაა.

დოკუმენტის თითოეული უჯრა შეიძლება შეიცავდეს მონაცემს (რიცხვს, ტექსტს, თარიღს) ან ფორმულას, რომელიც იწყება ტოლობის ნიშნით და წარმოადგენს არითმეტიკულ გამოსახულებას, ფუნქციათა ერთობლიობას.

თითოეული უჯრისათვის არსებობს მონაცემთა: რიცხვის, ვალუტის, თარიღისა და დროს სპეციალური ფორმატირების საშუალებანი (Home/Format/Format Cells...). (ათწილადი თანრიგების რაოდენობის განსაზღვრა, უარყოფითი რიცხვის წითელი ფერით გამოსახვა, თარიღის სხვადასხვა ფორმატი და სხვა.)

ელექტრონულ ცხრილის სხვა დამატებითი შესაძლებლობებიდან ერთ-ერთია პირობითი ფორმატირება (Home/Conditional Formatting), რომელიც გაცილებით ამარტივებს დიდი მოცულობის მონაცემთა ანალიზს. მაგ.: შეგვიძლია შევადაროთ უჯრის მონაცემი სხვა მონაცემს (რიცხვს თუ თარიღს), ან მოვძებნოთ ერთნაირი მონაცემები და სხვა. ამ შემთხვევაში შეიძლება რაიმე პირობაზე დამოკიდებულებით მონაცემის უჯრას შევუცვლოთ გამოსახულება (მაგ., ფონის ან შრიფტის ფერი).

ელექტრონული ცხრილის მონაცემები შეიძლება დავიცვათ შეტანისთანავე მონაცემების ნამდვილობის შემოწმებით (Data/Data Validation). ჩვეულებრივ, უჯრაში იწერება ნებისმიერი მონაცემი (Any value). მაგრამ შესაძლებელია უჯრას დავადოთ რაიმე პირობა. მაგალითად, უჯრისათვის დასაშვები იყოს მხოლოდ მთელი რიცხვი (Whole Number) 0-დან 100-მდე. თუ მომხმარებელი შეიტანს არასწორ მონაცემს, მაშინ ეკრანზე გამოჩნდეს შეტყობინება შეცდომის შესახებ. მონაცემთა დამალვა და დაცვა კი მათი შემთხვევითი დაზიანებისა თუ არასანქცირებული მიწვდომისაგან დაცვის კარგი საშუალებაა.

თანამედროვე განათლების სისტემა გულისხმობს სტუდენტის აკადემიური მოსწრების განსაზღვრას კრედიტების დაგროვების ევროპული სისტემის საშუალებით. რაც ემოჩილება გარკვეულ ალგორითმს. მაგ.: სემესტრის განმავლობაში სტუდენტი სწავლობს ამა თუ იმ საგანს, რომლის მაქსიმალური ქულაა 100 და ვთქვათ მოიცავს 5 კრედიტს. მასთან პედაგოგმა შეიძლება ასათვისებელი ქულა გადაანაწილოს რამოდენიმე შუალედურ გამოცდას (არაუმეტეს 3 გამოცდას), სტუდენტის აქტიურობასა და ფინალურ გამოცდას შორის (მაგ.: 25,25,10,40). სტუდენტს კრედიტი ათვისებულად ეთვლება თუ საბოლოოდ დააგროვებს 50 ქულაზე მეტს. თუ ფინალურ გამოცდამდე სტუდენტი დააგროვებს 11 ქულაზე ნაკლებს, მაშინ ის არ დაიშვება ფინალურ გამოცდაზე. თუკი დაიშვება და მიიღებს 15 ქულაზე ნაკლებს, თუნდაც ჯამური ქულა აღემატებოდეს 50-ს, მას კრედიტი ათვისებულად არ ეთვლება. ამ შემთხვევაშიც მხოლოდ მაშინ აქვს განმეორებით გამოცდაზე გასვლის უფლება (რომლის ქულა ემთხვევა ფინალური გამოცდას ქულას), როცა მიღებული ჯამური ქულა 40-ზე მეტია. მასთან სტუდენტი გამოცდებზე შეიძლება ვერ გამოცხადდეს რაიმე საპატიო ან არასაპატიო მიზეზის გამო.

პირობითი ფორმატირების პირობების სხვადასხვა სახე არსებობს. ჩვენს შემთხვევაში გამოვიყენოთ ფორმულების სახე: Conditional Formatting/New Formatting Rule/Use a formula to determine which cells to format ანუ თუ ჩაწერილი ფორმულა ჭეშმარიტია, მაშინ უჯრის მონაცემთა გამოსახულება (ფონის ფერი, შრიფტი) შეიცვლება. რაც მომხმარებლისათვის მიუთითებს, რომ პირობა შესრულდა.

თუ შევქმნით ამ მონაცემების ელექტრონულ ცხრილს, მაშინ ცხრილის უჯრაში დასაშვები მონაცემები არის მხოლოდ მთელი არაუარყოფითი რიცხვები, რომლებიც არ აღემატება გამოცდის ქულას და „ა“ ან „ს“ სიმბოლო შესაბამისად სტუდენტის გამოცდაზე არასაპატიო ან საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის აღნიშვნისათვის.

შევქმნათ ფორმულა: =AND(C7>C\$6;C7<>"ა";C7<>"ს") პირველი სტუდენტის მონაცემის პირობითი ფორმატირებისათვის (C7 უჯრისათვის) და გავავრცელოთ ის დანარჩენი 99 სტუდენტისათვის (დიაპაზონი: \$C\$7:\$C\$100): თუ C7 უჯრაში ჩაწერილი მონაცემი არ არის "ა" ან "ს" და მეტია ვიდრე დასაშვები C\$6, მაშინ შევუცვალთ უჯრას ფონის ფერი. ე.ი. შეცდომაა! (იხილეთ ცხრილი)

შეიძლება ასევე დავიცვათ ცხრილის უჯრები მონაცემთა ნამდვილობის შემოწმებით, რისთვისაც ავირჩიოთ ფორმულის შემთხვევა (Custom) და შევიტანოთ პირობა:

$$=OR(D7="ა"; D7="ს"; AND(D7>=0; D7<=D$6))$$

სტუდენტების მიერ ასათვისებელი კრედიტების ცხრილი

	A	B	C	D	E	F	G	H	I	J	K	L	N	M	O	P	Q	R
1		№ გვარი და სახელი	შესავალი ფილოსოფიაში								შესავალი კლასიკ. ფილოლოგიაში							
2			100								100							
3			ი. კუჭუხიძე								ზ. ლილუაშვილი, ვ. წერეთელი							
4			5								5							
5			I	II	III	ა	ფ	ბ	ECTS	ქულა	I	II	III	ა	ფ	ბ	ECTS	ქულა
6			30	30			40	40			25	25		10	40	40		
7	1	ბზიკაძე ინა	1	10			41		E	52	15						F	15
8	2	გადელია ლევანი	22	15			ს		F	35	15						F	15
9	3	გვილავა თამთა	21	10			დ		F	31	15						F	15
10	4	გორგოძე პავლე	20	15					F	35	15						F	15
11	5	თავაძე ბენია	21	23					Fx	44	18						F	18
12	6	კაცია ხატია	23	25					Fx	48	20						F	20
13		...																

ასეთი ფორმულების შექმნა საჭიროა ბევრი უჯრისათვის. ამისათვის გამოვიყენოთ VBA და შევქმნათ ქვეპროგრამა პირობითი ფორმატირებისათვის - Conditions_, რომელსაც გადავაწოდებთ პარამეტრებს: ConditionType - პირობის ტიპი (ე.ი. შემოწმდეს უჯრის მონაცემი - xlCellValue, თუ ფორმულა - xlExpression), FillColor - უჯრის ფონის ფერი და Formula - სტრიქონული ტიპის ცვლადი ფორმულისათვის:

Sub Conditions_(ByVal ConditionType As Byte, ByVal Condition As Byte, _
 ByVal FillColor As Long, ByVal Formula As String)

Selection.FormatConditions.Add Type:=ConditionType, Operator:=Condition, Formula1:=Formula

Selection.FormatConditions(Selection.FormatConditions.Count).SetFirstPriority

Selection.FormatConditions(1).Interior.Color = FillColor ' შევცვალთ უჯრის ფერი

End Sub

შევქმნათ შესატანი მონაცემების შემოწმების ქვეპროგრამა ValidateCells_, რომელსაც გადავაწოდებთ ფორმულისათვის სტრიქონული ტიპის ცვლადს (vf). ქვეპროგრამას ექნება სახე:

Sub ValidateCells_(ByVal vf As String)

With Selection.Validation

.Add Type:=xlValidateCustom, AlertStyle:=xlValidAlertStop, Operator:=xlEqual, Formula1:=vf

.IgnoreBlank = False

.InCellDropdown = True

.ErrorTitle = "Error!" ' შეცდომის ფანჯრის წარწერა

.ErrorMessage = "Error" ' შეცდომის ტექსტი

.ShowError = True

End With
End Sub

შევქმნათ ძირითადი პროგრამა:

Sub Formulas_ECTS_()

RowBegin = 7 'სტუდენტთა სიის საწყისი სტრიქონი

RowEnd = 100 'სტუდენტთა სიის საბოლოო სტრიქონი

RatingRow = 6 'გამოცდების ქულების სტრიქონი

Dim ar() 'სვეტების მასივი

ar = Array("C", "D", "E", "F", "G", "H") 'სვეტების დასახელება

geoA = Chr(34) & ChrW(4304) & Chr(34) 'ქართული „ა“ - არასაპატიო

geoS = Chr(34) & ChrW(4321) & Chr(34) 'ქართული „ს“ - საპატიო

quot = Chr(34) & Chr(34) 'ცარიელი სიმბოლო

For i = 0 To 3 'უჯრებში შეტანილი ქულები არ უნდა აღემატებოდეს გამოცდის ქულას

Range(ar(i) & RowBegin & ":" & ar(i) & RowEnd).Select 'მოვნიშნოთ დიაპაზონი

Selection.FormatConditions.Delete 'წავშალოთ ფორმატირების პირობა

f="=AND(" & ar(i) & RowBegin & ">" & ar(i) & "\$" & RatingRow & ";" _

& ar(i) & RowBegin & "<>" & geoA & ";" & ar(i) & RowBegin & "<>" & geoS & ")"

Call Conditions_(xlExpression, 0, rgbLightBlue, f) 'ფორმატირების ქვეპროგრამის გამოძახება

Next

i = 4 : Range(ar(i) & RowBegin & ":" & ar(i) & RowEnd).Select 'ფინალური გამოცდა

Selection.FormatConditions.Delete

f="=SUM(" & ar(0) & RowBegin & ":" & ar(3) & RowBegin & "<11" '=SUM(C7:F7)<11

Call Conditions_(xlExpression, 0, rgbPink, f)

'... ანალოგიურად შევქმნათ დანარჩენი პირობები

For i = 0 To 5

Selection.Validation.Delete 'მონაცემთა ნამდვილობის შემოწმების ქვეპროგრამის გამოძახება

Call ValidateCells_("=OR(" & ar(i) & RowBegin & "=" & geoA & ", " & ar(i) & RowBegin & "=" _

& geoS & ", AND(" & ar(i) & RowBegin & ">=0 , " & ar(i) & RowBegin & "<= \$" _

& ar(i) & "\$" & RatingRow & ")")

Next

Call ProtectFormulas 'მონაცემთა დაცვის ქვეპროგრამის გამოძახება

End Sub

ფინალური გამოცდის უჯრისათვის შევქმნათ პირობა იმ შემთხვევისათვის როცა სტუდენტმა ვერ დააგროვა გამსვლელ ქულაზე მეტი ($=SUM(C7:F7)<11$) და უჯრა გავაფერადოთ წითლად. ე.ი. სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება.

თუკი მას აქვს ფინალურ გამოცდაზე გასვლის უფლება ($=AND(SUM(C7:F7)>=11; G7="")$), მაშინ უჯრა გავაფერადოთ მწვანედ. თუ ფინალური გამოცდა ჩატარდა და სტუდენტმა მიიღო 15 ქულაზე ნაკლები ($=AND(SUM(C7:F7)>=11; ISNUMBER(G7); G7<15)$), მაშინ უჯრა გავაფერადოთ ყვითლად.

განმეორებით გამოცდაზე გასვლა ან არ სჭირდება სტუდენტს ან გარკვეული პირობების გამო არ შეუძლია (უჯრა წითელია). ამ შემთხვევაში ფორმულები უფრო რთულდება, რადგან მეტი პირობაა გასათვალისწინებელი. თუ $SUM(C7:G7)>50$ და ფინალურ გამოცდაზე მიიღო 15 ქულაზე მეტი, მაშინ სტუდენტმა კრედიტი აითვისა. ე.ი. განმეორებით გამოცდაზე გასვლას არ სჭიროებს. თუ $SUM(C7:F7)>=11$ და ფინალურ გამოცდაზე სტუდენტი არასაპატიო მიზეზის გამო ვერ გამოცხადდა ან $SUM(C7:F7)<11$ ან $SUM(C7:G7)<41$, მაშინ განმეორებითი გამოცდის უჯრა წითელია. გავაერთიანოთ ყველა ეს პირობა ერთ პირობით ფორმულად:

$=OR(SUM(C7:F7)<11; AND(ISNUMBER(G7); OR(SUM(C7:G7)<41; AND(SUM(C7:G7)>50; G7>=15))); AND(SUM(C7:F7)>=11; OR(G7="ა"; G7=""))$

განმეორებითი გამოცდის ქულა არასაკმარისია (ნაკლებია 15-ზე), უჯრა ყვითელია, კრედიტი არაა ათვისებული. ფორმულას ექნება სახე:

=AND(H7<15; ISNUMBER(H7); OR(SUM(C7:G7)>40; AND(SUM(C7:F7)>=11; G7="ს")))

უჯრის მწვანედ გაფერადებისათვის (განმეორებით გამოცდაზე გასვლის უფლება) გამოვიყენოთ ფორმულა:

=AND(H7="";OR(AND(SUM(C7:F7)>=11;G7="ს");AND(ISNUMBER(G7); OR(AND(SUM(C7:G7)>40; SUM(C7:G7)<51); AND(SUM(C7:G7)>=51; G7<15))))))

ECTS კრედიტის აღნიშვნისათვის I7 უჯრაში შევიტანოთ ფორმულა :

=IF(J7<41;"F";IF(J7<51;"Fx";IF(J7<61;"E";IF(J7<71;"D";IF(J7<81;"C";IF(J7<91;"B";IF(J7<=100;"A";" "))))))

და ა.შ. შევექმნით სხვა ფორმულებსაც და შევიტანთ მათ პროგრამულ კოდში.

ელექტრონულ ცხრილს აქვს საშუალება დამალოს და დაიცვას უჯრების მონაცემები არასანქცირებული ცვლილებისაგან პაროლის საშუალებით (Preview\Protect Sheet). ამისათვის შევექმნათ ქვეპროგრამა:

Sub ProtectFormulas()

Cells.Select: ActiveSheet.Unprotect ' *თუ ფურცელი დაცულია მოგხსნათ დაცვა*

' *მოვნიშნოთ მხოლოდ ფორმულებიანი უჯრები*

Selection.Locked = False: Selection.SpecialCells(xlCellTypeFormulas, 23).Select

Selection.FormulaHidden = True : Selection.Locked = True ' *დავმალოთ ფორმულები*

ActiveSheet.Protect Password:="pass" ' *დავიცვათ ფურცელი პაროლით - pass*

End Sub

შესაძლებელია ცხრილის მონაცემების გაფილტვრა პირობითი ფორმატირებით მიღებული ფერების მიხედვით. ე.ი. შეიძლება პასუხი გავცეთ მონაცემებთან დაკავშირებულ სხვადასხვა კითხვას. მაგ., შევექმნათ იმ სტუდენტთა სია, რომლებიც დაიშვება ფინალურ თუ განმეორებით გამოცდაზე ან რომლებმაც აითვისეს გამოცდის კრედიტი, მიიღეს შეფასება „A“ და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. John Walkenbach, Excel 2007 Formulas, John Wiley & Sons 2007;
2. Холи Р., Холи Д., Excel. Трюки. СПб.: Питер 2005;
3. MacDonald Matthew, Excel 2007: The Missing Manual, O'Reilly, 2006;
4. <http://msdn.microsoft.com>.

რეზიუმე

ელექტრონული ცხრილის უჯრების პირობითი ფორმატირების, მონაცემთა შემოწმებისა და მათი არასანქცირებული ცვლილებისაგან დაცვის დამატებითი შესაძლებლობები მომხმარებელს საოფისე პროგრამის უფრო ეფექტური გამოყენების საშუალებას აძლევს.

სტატიაში განხილულია სტუდენტის მიერ სასწავლო საგნებში ასათვისებელი კრედიტების ანალიზის ამოცანა. კერძოდ, ფორმულების საშუალებით შექმნილია პირობითი ფორმატირებისა, უჯრების მონაცემების შემოწმებისა და დაცვის სხვადასხვა პირობები. ასევე შექმნილია საოფისე პროგრამაში ჩაშენებული ინსტრუმენტალური სისტემის ქვეპროგრამები აღნიშნული პირობებისა და შემოწმების წესების სხვა უჯრების მონაცემებზე მარტივად გავრცელებისათვის.

Кетеван Челидзе - Государственный университет Акакия Церетели, педагог департамента компьютерной технологии

Некоторые вопросы анализа и защиты данных электронной таблицы

Резюме

В Microsoft Excel условное форматирование, с помощью изменения вида ячеек при определенных условиях, дает возможность просто и наглядно анализировать вводимые пользователем в ячейках данные. А проверка ввода некорректных данных в ячейку, скрытие и защита ячеек листа от изменений позволяет защитить данные.

Встроенный язык визуального программирования - VBA позволяет написать подпрограммы и применить их для автоматического распространения формул и условий на другие ячейки.

В статье рассмотрена задача вычисления экзаменационных баллов получаемых студентом по предметам. Построены различные условия (формулы) для условного форматирования и проверки корректности вводимых данных. Построены процедуры на VBA для автоматического распространения этих условий на другие ячейки листа, а также процедура скрытия и защиты данных от ошибочного и несанкционированного изменения формул.

Ketevan Chelidze - Akaki Tsereteli State University, A Teacher of the Department of Computer Technologies

Some Problems of the Spreadsheet Data Analysis and Protection

Abstract

Whenever a user analyses a big amount of data in Microsoft Excel a conditional formatting helps answer the specific questions about the data. Conditional formatting changes the appearance of a cell range based on a condition. Data validation is a feature that helps a user to control the type of data allowed in a cell.

A user can protect the worksheet by locking cells and by hiding their content to prevent data from unauthorized change. Built-in language of visual programming - VBA allows to write procedures and to apply them on other cells.

This article describes how Conditional formatting, Data validation, Data hiding and Protection work. There is considered the problem of calculation of examination points got by the student in subjects. Various conditions (formulas) for conditional formatting and data validation are constructed. Some procedures on VBA are created for an automatic application of these conditions on other cells of the worksheet.

Коцанова Г.Р. - кандидат педагогических наук, доцент. Каспийский государственный университет технологии и инжинринга им. Ш.Есенова, г. Актау. Казахстан

Научно-методические критерий отбора материалов экономического содержания в курсе математики

Задача отбора экономического содержания, изучения которого в процессе освоения курса математики полезно и для математики и для экономики - задача новая, в такой постановке она ставится впервые и окончательного решение пока не имеет.

В. С. Леднев [1] отмечает, что содержание образования - триединый процесс образования личности, состоящий из:

- а) усвоения опыта,
- б) развития личности,
- в) воспитания личности.

Усвоение опыта учащимися происходит по принципу «двойного-сквозного вхождения» базисных элементов в систему, которую образует триада «экономика –математика - жизнь». Проявляется усвоения опыта в приобретении знаний и умений, которые становятся основной для развития личности.

Двойное вхождение в эту систему означает, что, с одной стороны, экономическую информацию ученики получают, минуя школу и какие-либо учебники: из средств массовой информации, личного опыта предпринимательской деятельности.

Выбор понятийного аппарата и содержания экономической составляющей курса алгебры 7-9 и алгебры и начал анализа 10-11 классов требует решения основной проблемы методологического характера - четко определить назначение и характер рассматриваемых в математике экономических задач, их место, объем и значение.

Общеобразовательный аспект изучения элементов экономики в процессе изучения математики состоит в том, что учащихся вводят в совершенно новый круг вопросов, затрагивающих интересы как всего государства, так и каждой отдельной личности.

Прикладной аспект рассмотрения задач с экономическим содержанием в курсе математики общеобразовательной школы состоит в том, что учащиеся знакомятся с основными понятиями современной экономики, простейшими ее законами, получают навыки в решении реальных задач по определению важнейших характеристик рынка, бизнеса, предпринимательской деятельности и т.д. Решение задач с экономической фабулой развивает у учащихся умение применять математику, рассматривать ее вместе со всеми многообразными связями.

Говоря о воспитательном аспекте обсуждаемой проблемы отметим, что для развития интереса к математике, ее понятиям и методам, ученикам очень полезно демонстрировать ее тесные связи с сегодняшними задачами рыночной экономики, показывать им яркие, эффективные и неожиданные применения математики к задачам, стоящим лично перед учениками. Здесь следует отметить, что задачи с экономическим содержанием в своем большинстве «персонифицированы», т.е. их условия обращены персонально к ученику и их вопросы формируются чаще всего в редакции «найди», «выбери», «определи», «посоветуй» и т.д.

Таким образом, возникает проблема создания для каждого из классов, такого набора задач, который обладал бы двумя важнейшими свойствами:

1. По своему содержанию, по фабуле задачи должны иметь реальное экономическое содержание, связанное с рыночными отношениями, начислением процентов, налогообложением, функционированием банков и банковской системы, производительностью труда, стоимостью потребительской корзины и т.п.

2. Для решения этих задач должно быть достаточно программного материала курса математики соответствующего класса общеобразовательной школы.

Перейдем к обсуждению принципов и критериев отбора содержания экономической составляющей школьного курса математики.

Выбор экономического материала для включения его в круг обсуждаемых в математике проблем обусловлен следующими требованиями:

- он должен способствовать реализации практической и прикладной направленности курса математики, демонстрировать тесную связь математики с окружающим миром, в частности с экономикой, показывать эффективность и пользу применения математических методов при решении экономических задач;

- выбранный материал должен развивать как математическое, так и экономическое мышление школьника, способствовать развитию интереса к обеим наукам;

- он должен способствовать выработке навыка принятия решений, развивать свойства предприимчивости, творческую инициативу, формировать экономическую культуру школьника.

Отбор экономического материала для его имплантации в систему математического образования должен основываться на принципе целесообразности и критериях доступности, заинтересованности, значимости и осознанности. Реализация этих критериев способствуют те особенности межпредметных связей математики и экономики, о которых мы говорили выше. Речь идет, с одной стороны, о математических конструкциях, изучаемых в общеобразовательной школе и имеющих четкий экономический смысл.

С другой стороны, такие важнейшие понятия современной экономики, как поток платежей, мультипликаторы, бессрочная рента и другие, тесно связаны с такими понятиями школьного курса математики, как сумма членов геометрической прогрессии, сумма членов бесконечно убывающей геометрической прогрессии и т.д.

Ситуаций подобного типа в математике и курсе экономики достаточно много. Вот еще некоторые параллели:

- рыночное равновесие и системы уравнений;
- выбор банком годовой процентной ставки и степени с рациональным показателем;
- точки безубыточности и корни уравнений;
- прибыль фирмы и неравенства;
- изменение возможности суммарного кредитования системой коммерческих банков и уравнения с параметром;
- сложные проценты и степени с рациональным показателем;
- консолидированные платежи и дробно-линейные уравнения.

Описанный подход к отбору экономического материала показывает его прочные связи со школьным курсом математики, выясняет те разделы учебно-воспитательного процесса, использование которых позволяет учителю систематически реализовывать экономическую линию в изучении математики, формировать экономическую составляющую школьного курса математики и формировать активные познавательные потребности учащихся.

В начале убедимся, что экономическая составляющая, вносимая в программу курса математики, не противоречит нижеследующим принципам отбора содержания общего образования.

1. Принцип соответствия содержания образования требованиям развития общества. Экономический материал, включаемый в курс математики, бесспорно удовлетворяет этому принципу, ибо происходящая «экономизация» современного общества требует знания элементов экономики уже на школьной скамье.

2. Принцип единой содержательной и процессуальной стороны обучения. Введение экономической составляющей, которая реализуется путем создания новой содержательно-методической линии - экономической, будет удовлетворять этому принципу уже потому, что ему удовлетворяет курс математики, а экономическая составляющая, не внося в него существенных изменений, меняет лишь объекты математической деятельности, а не математические методы и приемы их исследования.

3. Принцип структурного единства содержания образования на различных этапах его формирования. Структурное единство экономической составляющей школьного курса математики обеспечивается и реализуется в концепции «приоритета развивающей функции в обучении математике», в системе организации, конструкции, усвоения экономических понятий и естественной пропедевтикой, возникающих в вопросах экономики важных понятий математики.

4. Принцип гуманитаризации содержания общего образования. Этот принцип обеспечивает приоритет общечеловеческих ценностей, свободное развитие личности ученика. Приоритет «развивающей функции в обучении математике» означает, что обучение математике ориентируется не столько на собственно математическое образование в узком смысле этого слова, сколько на формирование личности с помощью математики.

Гуманитаризации образования способствует «минимаксная» система содержания образования [2], [3], при которой школа должна предложить ученику содержание образования (и экономического в том числе) по максимальному уровню, а ученик обязан освоить это содержание по минимальному уровню.

5. Принцип фундаментализации содержания общего образования. Он требует интеграции гуманитарного и естественно научного образования, что и демонстрируется в интеграции образовательных областей «Математика» и «Экономика». Рассмотрение математических моделей реальных экономических ситуаций и выяснение экономического смысла математических конструкций вооружают учащихся методами добывания новых знаний и самостоятельного приобретения умений и навыков. При этом существует немалое количество экономических соотношений, которые можно установить пользуясь только математическими методами. Среди них - непрерывное начисление процентов, нахождение банковских мультипликаторов, определение предельных характеристик и т.д. Это еще раз демонстрирует пользу от интеграции математических и экономических знаний в рамках школьного курса математики.

Таким образом, рассмотрение принципов и критериев отбора содержания общего образования показывает, что внесение экономической составляющей в школьный курс математики этим принципам не противоречит.

Решение этой проблемы требует очень тщательного научно обоснованного отбора экономического материала - понятий, структур, методов рассуждений - систематизация которого позволила бы реализовать такие цели школьного математического образования, как выяснение практической направленности в обучении математике, демонстрация связи математических понятий с реалиями окружающего мира, интеграция математики с другими науками и т.д. При этом объем

вводимого экономического материала должен быть настолько разумно минимизирован, чтобы он не заслонял собой содержание курса математики.

При этом, отобранный материал должен быть социально необходим, т.е. должен удовлетворять современном социальным запросам общества. Более того, знания по экономике должны быть такими, чтобы их можно было бы ввести в учебный процесс двумя путями:

- опираясь на уже освоенный раздел программы по математике;
- используя обсуждение экономических вопросов для мотивации рассмотрения в программе математики тех или иных математических вопросов.

Итак, социальная необходимость и дидактическая обоснованность - необходимые условия для включения системы экономических знаний в круг вопросов, обсуждаемых в процессе изучения математики.

ЛИТЕРАТУРА

1. Леднев В. С. Содержание образования: сущность, структура, перспективы – М.: Высшая школа, 1991 – 224 с.
2. Хоркина Н. А. Методические особенности обучения учащихся классов экономического профиля на факультативных занятиях по математике на основе реализации межпредметных связей: Дис. ... канд. пед. наук – М., 2002 -205 с.
3. Концепция развития социально-экономического образования и воспитания в общеобразовательной школе / Авторск. колл. под рук. И. А. Сасовой – М.: Изд-во ИОСО РАО; Дидакт, 1997, №5 – с. 27-37.

Koshchanova G.R. - Caspian State University of Technology and inzhiring, Aktau. Kazakhstan

Abstract

The problem of selection of economic content, the study is in the process of learning mathematics course useful for mathematics and for the economy - a new challenge, in this formulation, it is put for the first time and the final decision has not yet.

განათლების ფილოსოფია და ფსიქოლოგია/ Philosophy and psychology of education

მერაბ მალრაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ობიექტივაციის ცნების ადგილი სწავლის ფსიქოლოგიურ დახასიათებაში

ობიექტივაციის ცნება, რომელიც **დ. უზნაძემ** თეორიულ პლანში მიმდინარე ქცევის ფსიქოლოგიური სპეციფიკურობის ნათელსაყოფად შემოიტანა, გულისხმობს შესამეცნებელი საგნის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) შესასწავლ ობიექტად გამოყოფას, რაც იმის აუცილებელი პირობაა, რომ მოცემული საგანი ცნობიერების შინაარსად იქცეს. ავტორის თანახმად, საზოგადოებრივი ცხოვრების შედეგად წარმოქმნილმა მეტყველების უნარმა ადამიანის სულიერი ცხოვრება განვითარების ისეთ საფეხურზე აიყვანა, სადაც მთელი სამყარო სიტყვების მეშვეობითაა კატეგორიზირებული. ამ დონეზე საგანი განიცდება არა მხოლოდ როგორც უშუალო გამღიზიანებელი, არამედ სიტყვებში რეპრეზენტირებული ფორმითაც, როგორც თავის თავთან იგივეობრივი მოცემულობა. ეს ადამიანს საშუალებას აძლევს, თუ საჭირო გახდება, თავისი სულიერი აქტივობა საგანზე შეაჩეროს და იგი ცნობიერი შესწავლის ობიექტად აქციოს. ცნობიერების მუშაობა, რაც უმაღლესი რიგის შემეცნებითი პროცესების აქტივაციაში გამოიხატება, მხოლოდ **ობიექტივაციის** საფუძველზეა შესაძლებელი. “თვითონ ობიექტივაცია არც არაფერს ამტკიცებს და არც არაფერს უარყოფს: იგი წარმოადგენს მხოლოდ დაყოვნების ფაქტს” [1: 319], რაც იმის აუცილებელი პირობაა, რომ სუბიექტმა საგნის (საკითხის, სიტუაციის და ა.შ.) თეორიული შესწავლა დაიწყო. რაიმეს მტკიცება ან უარყოფა, ერთი სიტყვით, საგნის შესახებ ამა თუ იმ აზრის ჩამოყალიბება, ცნობიერი ფსიქიკური აქტივობის ამოცანაა.

ცნობიერი ფსიქიკური აქტივობის ერთ-ერთი ნაირსახეობაა მიზანდასახული სწავლა, როგორც ადამიანური ქცევის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც ცოდნისა და უნარ-ჩვევების ახალი სტუქტურების დაუფლებაზეა მიმართული. ჩვენი **კვლევის მიზანია** გავანალიზოთ, თუ რა როლს ასრულებს ობიექტივაცია მოსწავლის სასწავლო აქტივობის პრაქტიკული მიმდინარეობის პროცესში. გარდა იმისა, რომ ეს საკითხი საინტერესოა თავისთავად, როგორც განწყობის თეორიაზე დამყარებული განათლების ფსიქოლოგიის ფუნდამენტური პრობლემა, მას სათანადო პრაქტიკული ღირებულებაც გააჩნია. მასზე პასუხი იმის გარკვევის საშუალებას გვაძლევს, თუ რა ახალი გზები ან მიდგომები შეიძლება მოიძებნოს სწავლება-სწავლის პროცესში მოსწავლის კოგნიტური საქმიანობის ეფექტურობის ასამაღლებლად.

სულიერი არსების ყოველგვარი აქტივობა (ქცევა) შესაბამისი განწყობის რეალიზაციის პროცესია. ქცევითი ამოცანის შესრულების პრაქტიკულად დაწყებამდე, სუბიექტი, როგორც მთლიანობითი ფსიქოფიზიოლოგიური სისტემა, სათანადოდ იცვლება (განწყობა) ქცევის საფუძველად მდებარე მოთხოვნილებისა და არსებული სიტუაციის შესატყვისად, რაც ქცევის აქტების მიზანშეწონილ მიდინარეობას უზრუნველყოფს. განწყობის შექმნა სრულიად საკმარისი პირობაა იმისთვის, რომ, გარეგანი შემაფერხებელი ფაქტორების არარსებობის პირობებში, ქცევა ავტომატურად წარიმართოს განწყობის შესატყვისად, ხოლო შეფერხების ფაქტი აჩენს ობიექტივაციის საჭიროებას, რის საფუძველზეც ქცევა პრაქტიკულიდან თეორიულ პლანში გადადის. ამის მიხედვით, **დ.უზნაძე** ერთმანეთისგან განასხვავებს ადამიანის სულიერი ცხოვრების ორ დონეს, როგორებიცაა **განწყობის დონე**, სადაც აქტივობა ცვლილებათა უწყვეტ ნაკადს წარმოადგენს და **ობიექტივაციის დონე**, სადაც აქტივობის ყველა პარამეტრი ობიექტივირებულ მოცემულობად იქცევა და შესასწავლ საგნად გვევლინება [1: 140-142].

ცხოველის ყოველი ქცევა, ისევე როგორც ადამიანის ქცევა მარტივ (არაპრობლემურ) სიტუაციაში, მხოლოდ განწყობის დონეზე აღიძვრის და მიმდინარეობს, ხოლო სპეციფიკურ-ადამიანური ქცევები იგეგმება ობიექტივაციის დონეზე, აზროვნებისა და ნებისყოფის პროცესების მონაწილეობით. მხოლოდ მას შემდეგ, რაც აზროვნების გზით მოინახება სუბიექტისთვის მისაღები

ქცევის ვარიანტი, ხოლო ნებისყოფის მეშვეობით სუბიექტიც მოცემული ქცევის შესასრულებლად განწყობა, იწყება ქცევის პრაქტიკული რეალიზაცია შესაბამის მოქმედებებსა და ოპერაციებში.

მიზანდასახული სწავლაც, როგორც ადამიანის ცნობიერი ფსიქიკური აქტივობის განსაკუთრებული ფორმა, ცხადია, ობიექტივაციის აქტით იწყება: სუბიექტი ჯერ აზროვნების გზით ახდენს იმის შეფასებას, თუ რატომაა საჭირო ამა თუ იმ კონკრეტული სასწავლო დავალების შესრულება, ხოლო შემდეგ, ნებისყოფის მეშვეობით, იღებს სათანადო გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილების აქტით შექმნილი განწყობა რეალიზდება იმ გონებრივ მოქმედებებსა და ოპერაციებში, რომლებსაც სუბიექტი (მოსწავლე) სასწავლო ამოცანის შესრულების მიზნით განახორციელებს.

სწავლის პრაქტიკული მიმდინარეობა, რაც სწავლის განწყობის რეალიზაციის პროცესში განხორციელებულ გონებრივ მოქმედებებსა და ოპერაციებში გამოიხატება, ყოველგვარი ცნობიერი აქტივობის დარად, მოითხოვს შესასწავლ მოვლენათა ობიექტივირებულ მოცემულობას. ამრიგად, სწავლაში ობიექტივაციის აქტის როლი მდგომარეობს არა მხოლოდ იმაში, რომ მოსწავლეს, სწავლის განწყობის შესაქმნელად, ამ ქცევის საზრისის (მოტივაციური საფუძვლების) და მიზნის ნათლად გაცნობიერება ესაჭიროება, არამედ იმაშიც, რომ სასწავლო აქტივობის პრაქტიკული მიმდინარეობა შესასწავლ მოვლენათა ობიექტივირებულ მოცემულობას საჭიროებს: რაიმეს შესწავლა მხოლოდ მისი ობიექტივაციის პირობით შეიძლება განხორციელდეს. ნამდვილ სწავლასთან (საკითხის მექანიკური დაზეპირებისგან განსხვავებით) მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც მოსწავლე ნათლად აცნობიერებს შესასწავლ მოვლენათა არსს. სწავლის მიზნით განხორციელებულ კოგნიტურ აქტივობას, რომელიც აუცილებლად ცნობიერ ხასიათს ატარებს და მამსადადმე, ობიექტივაციის დონეზე მიმდინარეობს, ისევ და ისევ განწყობა წარმართავს. მას შემდეგ, რაც სწავლისთვის მოტივირებული სუბიექტი შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს და სასწავლო აქტივობის განსახორციელებლად შეიცვლება (განწყობა), იგი თანმიმდევრულად ჩართავს საქმეში ყველა თავის კოგნიტურ უნარს და შესაძლებლობას.

ობიექტივაციის დონეზე შექმნილი განწყობა იმავე კანონზომიერების მიხედვით რეალიზდება ქცევის აქტებში, როგორც ზოგადად ყოველი განწყობა. ქცევის აქტები ფიზიკური მოძრაობების სახითაც შეიძლება იყოს მოცემული და თეორიული (კოგნიტური) პრცესების სახითაც. მართალია ადამიანის ყოველი ქცევა პრაქტიკულ მოქმედებებსაც ჩაირთავს და თეორიულსაც [3: 118], მაგრამ ზოგან პრაქტიკული მოქმედებების კუთრი წილია მეტი და ზოგან თეორიულის. სწავლა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მის მიზანს მოძრაობითი ჩვევების შემუშავება წარმოადგენს, ძირითადად თეორიული მოქმედებების განხორციელებას მოითხოვს. სწავლის განწყობის პრაქტიკული რეალიზაცია კოგნიტური ფსიქიკური პროცესების მიზანშეწონილ მიმდინარეობაში გამოიხატება.

ამ პროცესის მიმდინარეობა ზოგადად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: სწავლისთვის განწყობილი სუბიექტი, პირველ რიგში, ობიექტივაციის აქტის წყალობით, საკუთარ ცნობიერებას შესასწავლ საგანზე მიმართავს. ამით იგი საკუთარ ცნობიერებას ამზადებს იმ შინაარსების ნათლად განცდისთვის, რომელთა შეცნობაც სწავლის პროცესში უნდა განხორციელდეს. ეს მომზადება იმაში გამოიხატება, რომ ცნობიერების ცენტრალური არედან დროებით განიდევენება ყველა ის შინაარსი, რასაც მიმდინარე შემეცნებით საქმიანობასთან კავშირი არ აქვს და ცნობიერების ძალები სწავლის გზით მისაღებ შინაარსებზე მიიმართება. ამ პროცესს, როგორც ცნობილია, ყურადღება ეწოდება. საგანი (ვთქვათ, საკითხი, რომელიც ამ კონკრეტულ სასწავლო პროცესში უნდა იქნას ათვისებული) შესწავლის ობიექტია მანამ, სანამ სუბიექტს, ყურადღების ფსიქიკური პროცესის მეშვეობით, ცნობიერება მასზე აქვს მიპყრობილი. ამრიგად, ყურადღება არის საგანგებო ფსიქიკური მოქმედება, რასაც სუბიექტი, ობიექტივაციის საფუძველზე, სწავლის მიზნით განახორციელებს.¹

¹ ობიექტივაციის და ყურადღების ერთმანეთთან მიმართების საკითხზე უზნაძის თხზულებებში განსხვავებული მოსაზრებები გვხვდება, რასაც აქ ვერ მიმოვიხილავთ. დებულება, რომ ყურადღება ობიექტივაციის საფუძველზე განხორციელებული მოქმედებაა, გამომდინარეობს უზნაძის ბოლო ნაშრომში განვითარებული აზრიდან, რომლის მიხედვითაც, ყურადღების მოქმედება ობიექტივაციითაა განსაზღვრული [2: 197].

ამ პირობებში მიმდინარეობს შესასწავლი მოვლენების (საკითხების) ათვისებისთვის საჭირო რთული კოგნიტური აქტივობა, რომელსაც სუბიექტი (მოსწავლე) **პერცეპტული** (შესასწავლი მასალის აღქმა), **ინტელექტუალური** (შესასწავლი მასალის გააზრება, პრობლემის გადაჭრა) და **მნემური** (აღქმული და გააზრებული შინაარსების დასწავლა-დამახსოვრება) პროცესების კომპლექსური აქტივაციის გზით განახორციელებს. აღქმის, აზროვნების და მეხსიერების პროცესები არის ის ძირითადი შემეცნებითი მოქმედებები, რომელთა მიზანშეწონილი მიმდინარეობაც სწავლის მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს. ამ აქტივობის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე, შესასწავლი შინაარსი (ან შინაარსები) ობიექტივირებულ მოცემულობას წარმოადგენს. ამის გარეშე, ჩამოთვლილი პროცესების განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. მათ შორის ცენტრალური ადგილი უჭირავს აზროვნებას. რადგან, სულიერი აქტივობის ყველა ფორმა მხოლოდ იმით იძენს ცნობიერ ხასიათს, რომ მის მიმდინარეობაში აზროვნება მონაწილეობს [4: 110].

სწავლება-სწავლის ორგანიზაციული ფორმები, სხვა თავისებურებებთან ერთად, იმითაც განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ მოსწავლეს სასწავლო მასალის ობიექტივაციის და, შესაბამისად, სწავლაში აზროვნების აქტიური მონაწილეობის თვალსაზრისით განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებენ და სხვადასხვაგვარ პირობებს უქმნიან. თუ სწავლება-სწავლის პროცესში მასწავლებელი სასწავლო მასალას აწვდის ისეთი მზა ფორმით, რომ მოსწავლეს მის გასაგებად მნიშვნელოვანი ინტელექტუალური გარჯა არ ესაჭიროება, ხელი არ ეწყობა მასალის და მისი ათვისების პროცესის სრულყოფილ ობიექტივაციას. მოსწავლის წინაშე მდგარი ამოცანებიდან, აღიქვას, გაიაზროს და დაისწავლოს მოცემული მასალა, ყველაზე მნიშვნელოვანი, კერძოდ გაგების ამოცანა, რაც აზროვნების აქტივაციის გზით უნდა მოხდეს, წყდება მასწავლების მიერ. მოსწავლეს მხოლოდ მზა ფორმით მიწოდებული აზრების აღბეჭდვა მოეთხოვება. ისიც ითვისებს დიდი მოცულობის ცოდნას, მაგრამ არ შეუძლია მისი შემოქმედებითად გამოყენება ცხოვრებისეულ ამოცანათა გადასაჭრელად.

შესასწავლი სინამდვილის ობიექტივაციის და მის საფუძველზე სწავლაში შემოქმედებითი აზროვნების ჩართვის საუკეთესო პირობები იქმნება მაშინ, როდესაც სასწავლო მიზნის მიღწევის გზაზე სუბიექტი აწყდება პრობლემას, რომელიც თვითონ უნდა გადაჭრას, რათა დაწყებული ქცევა წარმატებით მიიყვანოს ბოლომდე. მასწავლებელი მხოლოდ ეხმარება (გეზის მიმცემი კითხვებით, მინიშნებებით და ა.შ.) მას ამ საქმეში, მაგრამ მის წინაშე აღძრულ ინტელექტუალურ ამოცანას მოსწავლე, საბოლოოდ, მაინც თვითონ უმკლავდება. სწავლების ასეთნაირად ორგანიზების ეფექტური გზაა სკოლაში ინტერაქტიური მეთოდების გამოყენება, რისი ფსიქოლოგიური საფუძვლებიც საგანგებოდ ამ საკითხისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში გვაქვს განხილული [5].

გამოყენებული ლიტერატურა

1. დ. უზნაძე, შრომები, ტ. 6, თბ., 1977
2. Д. Узнадзе, Основные положения теории установки, М. 1961
3. შ.ჩხარტიშვილი, განწყობა და ცნობიერება, თბ., 1975
4. მ. მაღრაძე, განწყობის თეორია და განათლების ფსიქოლოგიის ზოგადი საკითხები, ქუთ., 2008
5. მ. მაღრაძე, ინტერაქტიური მეთოდებით სწავლების ფსიქოლოგიური საფუძვლები, ქუთ., 2005

რეზიუმე

სწავლა, როგორც ადამიანის თეორიული საქმიანობის თავისებური ფორმა, შესასწავლი მოვლენების ობიექტივაციის საფუძველზე ხორციელდება. სტატიაში გაანალიზებულია, თუ რა როლს ასრულებს ობიექტივაციის აქტი ამ საქმიანობის მიმდინარეობის ცალკეულ ეტაპებზე (სასწავლო გადაწყვეტილების მიღება, შესასწავლ სინამდვილეზე ყურადღების მიპყრობა, მასალის აღქმა, მისი გაგება და დასწავლა).

Merab Magradze – The associated professor of state university A. Tsereteli, the candidate of psychological sciences

Place of concept of an objectivization in the psychological characteristic of the doctrine

Summary

The doctrine as a peculiar form of human activity, is carried out on the basis of an objectivization. In article it is shown what role executes the objectivization act at various stages of this activity (adoption of the educational decision, the attention direction on a training material, perception of a material, its understanding and storing).

Мераб Маградзе -Ассоциированный професор госуниверситета Ак. Церетели, кандидат психологических наук

Место понятия объективации в психологической характеристике учения

Резюме

Учение, как своеобразная форма человеческой деятельности, осуществляется на основе объективации. В статье показан какую роль исполняет акт объективации на различных этапах этой деятельности (принятие учебного решения, направление внимания на учебном материале, восприятие материала, ее понимание и запоминание).

მარინე სირბილაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

განწყობის დინამიურობა-სტატიკურობისა და სიტყვის გრძნობის უნარის მიმართების საკითხისათვის მეორე ენაში წარმატებულობის კონტექსტში

ცხოვრების ყველა სფეროში არსებულ იმოთხოვნა მეორე ენის დაუფლების თაობაზე დღეს სადავო არ არის. ამიტომ ენის შესწავლასთან დაკავშირებული საკითხები, პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს ფსიქოლოგიური საკითხები, მეტად აქტუალური ხდება.

არსებობს მრავალი გამოკვლევა და, შესაბამისად, განსხვავებული შეხედულებები როგორც ენის “ქმნადობის“, ისე მისი განმსაზღვრელი პირობების, ტიპოლოგიური განსხვავებების და სხვა საკითხების შესახებ.

ვ. ქუქი (1991) ენის დაუფლების პროცესს განიხილავს, როგორც „შემოქმედებითი კონსტრუქციის“ პროცესს, ჯენედი და პოლეტო (1994) თვლიან, რომ ბავშვები აშკარად „დაპროგრამებულნი“, არიან ენის შესასწავლად, ხომსკი და მაკნილი უშვებენ, რომ ადამიანის ტვინს აქვს ენის დაუფლების მექანიზმი (მოწყობილობა), რაც აძლევს შესაძლებლობას ბავშვებს, გამოიყენონ ენა, გადაამუშავონ, თუ რა არის ან რა არ არის ლინგვისტურად მისაღები, დულაი და ბერტი (1975) ფიქრობენ, რომ ლინგვისტური ათვისება იმართება სამი შინაგანი მექანიზმით: ფილტრით, ორგანიზატორით და მონიტორით და ა.შ.

ცხადია, ეს მტკიცებულებები საგულისხმო მომენტებს შეიცავენ, მაგრამ ჩვენ მართებულად გვესახება ენობრივი აქტივობის ფუნქციონირებისა და განვითარების პრობლემის გადაჭრა ენობრივი სისტემის ცნობიერებამდელი ასახვის მექანიზმის გახსნის ცდებით, რომლებიც ქართველ ფსიქოლოგთა შრომებშია მოცემული (ნ. ჭრელაშვილი, დ. რამიშვილი, ნ. იმედაძე, ა. ალხაზიშვილი). ეს შეხედულებები სათავეს იღებენ დ. უზნაძის განწყობის თეორიიდან და მისი კონცეფტუალური თვალსაზრისიდან ენის დაუფლების თაობაზე, რომლის ძირითადი არსი ასეა ფორმულირებული: „ენის შესწავლის პროცესი არსებითად ენის შინაფორმის დაუფლებაში მდგომარეობს. ენის შესწავლა თვითონ სუბიექტის, როგორც მთელის, გარდაქმნის პროცესია, იგი მისი ენობრივი განწყობის განვითარებასა და დაზუსტებაში პოოულობს თავის რეალიზაციას“ (დ. უზნაძე, 1947. გვ. 180).

განწყობა განიხილება, როგორც მეორე ენის დაუფლების ფსიქოლოგიური საფუძველი, ისევე როგორც უკვე დაუფლებული ენობრივი სისტემის გამოყენება შესაბამისი განწყობის აქტუალიზაციას წარმოადგენს - თუ რა ენაზე უნდა იქნას გამოთქმული ესა თუ ის შინაარსი, ე.წ. „წინაღინგვისტური“ ანუ ფსიქოლოგიური ფაქტორი განსაზღვრავს.

რა განსაზღვრავს ენობრივი განწყობის შექმნას? ენობრივი განწყობა ყოველ სუბიექტს უმუშავდება ე.წ. ენობრივ გარემოში, რაც მხოლოდ საურთიერთო მოთხოვნილების კონკრეტიზაციას სიტუაციას როდი წარმოადგენს. ის ამარაგებს ენის შესწავლის პროცესს ენობრივი მასალით, რომლის საფუძველზე სუბიექტს ენობრივი განწყობა უმუშავდება. ხოლო, მეორე მხრივ, შემსწავლელი სუბიექტის მიერ ენობრივ ფორმათა ხმარებაზე სხვადასხვაგვარი რეაქციის საუშალებით ენობრივი გარემო მართავს მასში ენობრივი განწყობის გამომუშავებისა და ფიქსაციის პროცესს (ა. ალხაზიშვილი, 1988).

ენის შესწავლა შეიძლება მიმდინარეობდეს როგორც ბუნებრივი პროცესის, ისე საკლასო ოთახის, ანუ ხელოვნური პროცესის სახით. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ენობრივი განწყობის (იმ ენის განწყობის, რომელსაც სწავლობს) გამომუშავებასთან. განსხვავებულია ამ განწყობის შემუშავების დეტერმინატორები და მახასიათებლები, მიუხედავად იმისა, რომ ენის შესწავლის პროცესი პრინციპში იმავე კანონზომიერებებს ემორჩილება, რასაც ნებისმიერი სახის აქტივობის აღმძვრელი და მარგანიზებელი განწყობა. ბუნებრივ გარემოში ენის შესწავლის პროცესი ემსახურება სუბიექტის სოციალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ენობრივი განწყობის აღმოცენებისათვის საჭირო სიტუაცია კი არსებობს როგორც ენობრივი გარემოს სახით, სადაც იმყოფება შემსწავლელი, ისე ენობრივი ფორმების სახით, რომელიც გადადის ცნობიერებაში

გარემოში არსებული მასალის ობიექტივაციის შედეგად. რაც შეეხება ენის შესწავლის ხელოვნურ პროცესს, მას ისეთ პროცესად განიხილავენ, როცა ენის შემსწავლელი არ იმყოფება შესასწავლი ენის გარემოში. ამ დროს ენის შესწავლას საფუძვლად უდევს ნებისმიერი ხასიათის მოთხოვნილებები ანუ ყველაფერი, რაც კეთდება არა ურთიერთობების ბუნებრივი მოთხოვნილების გამო, არამედ სუბიექტის ნებელობის ზეგავლენით (ა. ალხაზაშვილი, 1988).

თუ რომელ გარემოში ხდება ენობრივი განწყობის შემუშავება ადვილად: ბუნებრივ თუ ხელოვნურ პირობებში, ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული და დღესაც კვლევის საგანია. მაგალითად, კრემენისათვის (1988) ზოგადად, ენის შესწავლაში მნიშვნელოვანია ენობრივი ნიჭი და განწყობა (დამოკიდებულება) მეორე ენაში მიღწევასთან დაკავშირებით. იგი თვლის, რომ ნიჭი მნიშვნელოვანია ფორმალურ სიტუაციაში, დამოკიდებულება - ბუნებრივ სამეტყველო სიტუაციაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორივე ფაქტორი მნიშვნელოვანია და თითოეული მათგანი განიხილება როგორც ინდივიდუალური თავისებურება, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ენის შესწავლაში. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ სელინკერს (1972), რომელიც წერს, რომ მეორე ენის შესწავლის თეორია თუ ის არ ითვალისწინებს და ცენტრალურ ადგილს არ უთმობს ინდივიდუალურ განსხვავებებს შემსწავლელთა შორის, არ ჩაითვლება მისაღებად. მაგრამ საქმე იმაშია, როგორც ვ. ქუქი (1991) აღნიშნავს, რომ ამ განსხვავებათა ზუსტი, ნამდვილი ბუნება სრულყოფილად არ არის დამუშავებული, განსაკუთრებით, არ არის ნათელი, თუ რას მოიცავს: ა) არსებობს განვითარების ერთი მიმართულება, რომელსაც ყველა შემსწავლელი მიჰყვება, ინდივიდუალური განსხვავებები უბრალოდ ასახვენ, რამდენად სწრაფად ან რამდენად ღრმად აღწევენ წარმატებას სპეციალური შემსწავლელები ამ გზაზე; ბ) ინდივიდუალური განსხვავებები აიძულებენ შემსწავლელებს, წინ წავიდნენ განვითარების სხვადასხვა გზით, როცა ეცნობიან ენას.

ჰამერსი და ბლენკი (1994) აღნიშნავენ იმ კორელაციური გამოკვლევების შესახებ, რომელთა მიხედვით, ინდივიდუალური ცვლადების დიდი რაოდენობა ახდენს გავლენას მეორე ენის დაუფლებაზე. შუმანი (1978) კი, უფრო ადრე, განასხვავებდა სოციალურ, აფექტურ, კოგნიტურ, ბიოლოგიურ, პიროვნულ და ნიჭთან დაკავშირებულ შეთვისებას, ინსტრუქციონალურ ფაქტორებთან ერთად.

შესწავლის განსხვავებებზე შეიძლება იმოქმედოს სხვა ფაქტორებმაც, როგორცაა მასწავლებლის პერსონალური თვისებები, გამოყენებული ინსტრუქციული მეთოდები, დავალება ან ენობრივი მასალა, რომელიც უნდა იქნას შესწავლილი, საკლასო სიტუაცია, შფოთვა და ბევრი სხვა. როგორც ეს მითითებულია ერთ-ერთ დოკუმენტში (Erie Crearighthouse on Language and Linguistic Washington D.C.) (1989) - უკვე არის დრო, როცა ენობრივი ნიჭის ცნება მოითხოვს გაფართოებას და დახვეწას, რომელიც ურთიერთდამოკიდებულებაშია სხვადასხვა ფაქტორებთან.

როგორც ირკვევა, მეორე ენის შესწავლის პროცესში მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი (გენეტიკური, სოციალური, ნიჭი, კოგნიტური, აფექტური, ასაკი და სხვ.). ამ ფაქტორთა შორის მნიშვნელოვანია ნიჭისა და განწყობის მიხედვით არსებული ინდივიდუალური განსხვავებები.

სოდხი და კამინზი (1969, 1975) დაეყრდნენ რა ნ. იმედაძის თეორიულ დებულებას იმასთან დაკავშირებით, რომ მეორე ენის დაუფლების პროცესი შეიძლება წარმოვიდგინოთ სუბიექტის მიერ შესაბამისი ენობრივი განწყობის შემუშავების სახით, გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ განწყობის შემუშავების ფორმა წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს მეორე ენის დაუფლებაში განსხვავებისათვის, განწყობის ფიქსაციისა და გაქრობის პროცესი კორელაციაში უნდა იყოს მეორე ენის დაუფლების ნიჭთან. ნ. იმედაძე თვლის, რომ მეორე ენის დაუფლების პროცესი ინტერპრეტირდება, როგორც ფიქსირებული განწყობის გამომუშავება, რომლის აქტუალიზაცია შესაბამის სიტუაციაში განსაზღვრავს მოცემული ენის ფუქციონირებას და განიხილავს განწყობის ტიპოლოგიურ ასპექტს მეორე ენის დაუფლების წარმატებულობის ხარისხთან და დაუფლების ნიჭთან კავშირში, რამდენადაც განწყობის ფიქსაციისა და გაქრობის აღნიშნული თავისებურებები ვლინდებიან ინდივიდებს შორის ტიპოლოგიურ განსხვავებებში (ნ. იმედაძე, 1979). ავტორის აზრით, განწყობის მარგანიზებული, მაინტეგრირებული ფუნქცია გამოვლინდება მოპოვებული ენობრივი საშუალებების სამეტყველო აქტში რეალიზების, მათი ქცევის მთლიან სტრუქტურაში ჩართვის

უნარში. განწყობის ტიპოლოგიური თავისებურებები, ნ. იმედაძის აზრით, უნდა დაუპირისპირდეს არა ლინგვისტური ტექსტების ნებისმიერად ამორჩეულ მაჩვენებლებს, მეორე ენაში წარმატებებს, არამედ სამეტყველო აქტში ენობრივ საშუალებათა პრაქტიკული რეალიზაციის უნარს. გამომდინარე იქიდან, რომ ზოგს ადვილად უმუშავდება მეორე ენაზე მეტყველების განწყობა, სხვებს კი - ძნელად, უნდა განვასხვავოთ ენობრივ საშუალებათა ის მინიმუმი (ინსტრუმენტალური შესაძლებლობები), რომლებიც აუცილებელია მეორე ენაზე მეტყველების განწყობის შესაქმნელად. ავტორი ფიქრობს, რომ განწყობის ტიპოლოგიური დახასიათება ასახავს ინდივიდის დიფერენცირებულ უნარს ახალი განწყობის შესაქმნელად მინიმალური ინსტრუმენტალური შესაძლებლობებით. მინიმალური შესაძლებლობები განსხვავებულია სხვადასხვა შემთხვევაში, შესაბამისად, მისი განსაზღვრა, ავტორის აზრით, დამოკიდებულია: 1. ენის სპეციფიკაზე; 2. მოსწავლეთა ინდივიდუალურ და ასაკობრივ თავისებურებებზე. ამ მინიმუმის ფლობა საჭიროა იმისათვის, რომ გაკვეთილის გარემო გადაიქცეს მეორე ენაზე მეტყველების სიტუაციად. რაც შეეხება მოთხოვნილებას, როგორც ნ. იმედაძე აღნიშნავს, არ არის საჭირო, ვილაპარაკოთ უცხო ენაზე მეტყველების რაიმე სპეციფიკურ მოთხოვნილებაზე. ის, რომ ადამიანები გასხვადებიან ერთმანეთისაგან ენობრივი ფორმების საკომუნიკაციოდ გამოყენების უნარით, ნ. იმედაძე უკავშირებს განწყობის შექმნის სიმძლევ-სიადვილეს, ანუ განწყობის აგზნებადობის ხარისხს.

ეს დებულება ექსპერიმენტულად იქნა დასაბუთებული, ანუ საკვლევე საკითხი ფორმულირებული იყო შემდეგნაირად: უკავშირდება თუ არა მეორე ენის დაუფლების პროცესში გამოვლენილი ინდივიდუალური თავისებურებები განწყობის შემუშავებისა და გამოვლენის ინდივიდუალურ თავისებურებებს. ექსპერიმენტი ჩატარდა შესაბამისი მეთოდიკით. შედეგად გამოირკვა ის, რომ მოსწავლეები, რომლებსაც ნაკლებად უჭირთ სწრაფი გადანაცვლება ერთი ენიდან მეორეზე, უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მეორე ენის გაკვეთილზე. განწყობის შეცვლის ეს განსხვავებული უნარი შეპირისპირებულ იქნა იმავე მოსწავლეების წარმატებასთან მეორე ენის შესწავლაში. ცხადი გახდა, რომ განწყობის ტიპოლოგიური თავისებურებები, კერძოდ ის, რომ ზოგიერთ ადამიანში განწყობა ადვილად იცვლება, მეტი დინამიურობით ხასიათდება, ზოგში კი - ნაკლებად იოლად, ე.ი. ნაკლებ დინამიურობით ხასიათდება, მნიშვნელოვან დამოკიდებულებაშია მეორე ენაში წარმატებებთან. სწავლაში ძლიერი მოსწავლეები უფრო ადვილად გადადიან ერთი განწყობიდან მეორეზე, ავლენენ უკეთეს წარმატებას ენაში (ნ. იმედაძე, 1979). განწყობის ტიპოლოგიური დახასიათება ასახავს ინდივიდის დიფერენცირებულ უნარს ახალი განწყობის შექმნისადმი მინიმალური ინსტრუმენტალური შესაძლებლობებით.

როგორც მოცემული კონტექსტიდან ჩანს, ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ენობრივი ფორმების საკომუნიკაციოდ გამოყენების უნარით - ზოგს ნაკლები ცოდნით შეუძლია მეტყველება, ზოგს - მეტით. ეს უნარი ს. სოღხის და ნ. იმედაძის კვლევებით, მეორე ენაზე მეტყველების განწყობის შექმნის სიმძლევ-სიადვილეს უკავშირდება.

ენაში წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის, სადაც განწყობის დინამიურობაცაა, უმნიშვნელოვანესი როლი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლინგვისტურ უნარს ეკუთვნის და მისი გათვალისწინება აუცილებელია, მიუხედავად იმისა, ბუნებრივ თუ ხელოვნურ პირობებში მიმდინარეობს ენის შესწავლა.

ლინგვისტური უნარი ინტეგრალური ერთიანობის მქონე ფენომენია. ამ სტრუქტურაში სპეციფიკურ კომპონენტად ჩვენ მიერ განიხილება სიტყვის გრძნობის ანუ სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის შესატყვისობის განცდის უნარი, რომლის სტატუსი იმით არის განპირობებული, რომ როგორც ენობრივი მასალისთვის დამახასიათებელი ფენომენი, განსაზღვრავს ფონეტიკურ კოდირებას და ვერბალურ მეხსიერებას. ეს დადასტურებულია ექსპერიმენტული გამოკვლევებით - ჩვენ ვიკვლევთ ამ უნარის გამოვლინება სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით ჯერ უმცროს სასკოლო ასაკში (2005) შემდეგ უფროს სკოლამდელ ასაკში (2009). კვლევამ სხვა შედეგებთან ერთად აჩვენა, რომ ნიშანი-მნიშვნელობის შესატყვისობის განცდის უნარი, როგორც ინდივიდუალური თავისებურება, პირდაპირ დამოკიდებულებაშია ენაში მიღწეულ წარმატებებთან. კერძოდ, ჩვენ საგანგებოდ ვიკვლიეთ მიმართება ლინგვისტური უნარის გამოვლინების დონისა მეორე ენაში

მიღწეულ წარმატებასთან, ისევე როგორც ზოგად აკადემიურ მოსწრებასა და მშობლიურ ენაში მიღწეულ წარმატებებთან (მ. სირბილაძე, 2005). ეს მიმართებები პირდაპირია და სტატისტიკურად სანდოა.

გამომდინარე იქიდან, რომ წარმატება მეორე ენაში პირდაპირ კორელაციაშია განწყობის ცვლილების სიძნელე-სიადვილესთან, როგორც ინდივიდუალურ მახასიათებელთან, ან პირიქით, განწყობის დინამიურობა - სტატიკურობა - ენაში წარმატებასთან, ხოლო სიტყვის გრძნობის უნარის გამოვლინება როგორც ინდივიდუალური თავისებურება, ასევე პირდაპირ კავშირშია მეორე ენაში მიღწეულ წარმატებასთან, უნდა ვიფიქროთ, რომ სიტყვის გრძნობის უნარის მქონე ინდივიდებს (მოსწავლეებს) ადვილად შეუძლიათ მეორე ენის დაუფლების და შესწავლილის გამოყენების განწყობის შექმნა, ან პირიქით - დინამიური განწყობის მქონე სუბიექტები გამოავლენენ სიტყვის გრძნობის უნარს, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს წარმატებას მეორე ენაში. ნათელია, რომ განწყობის ტიპოლოგია და სიტყვის გრძნობის უნარი, როგორც ინდივიდუალური თავისებურება, ლოგიკურ მიმართებაში არიან ერთმანეთთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი მახასიათებელი განსაზღვრავს მეორეს და პირიქით. მეორე ენის დაუფლების და შეძენილი ცოდნის პრაქტიკულ გამოყენების მეტი გარანტიები იმ ინდივიდებს გააჩნიათ, რომლებსაც აღნიშნული თავისებურებები ახასიათებთ.

ლოგიკურად ეს მიმართებები მართებულია და სწორია. ვფიქრობთ, ასეა ემპირიულადაც, განწყობის ან სიტყვის გრძნობის ტიპოლოგიის შესწავლა იმის საშუალებას მოგვცემს, წინასწარ ვივარაუდოთ, რა სიძნელეებთან გვექნება საქმე მეორე ენის სწავლების პროცესში. თუ როგორ უნდა მოხდეს ამ სიძნელეების დაძლევა, ეს პედაგოგიკის საქმეა.

ლიტერატურა

1. ალხაზაშვილი ა. - განწყობის როლი უცხო ენის სწავლებაში. ჟ. „სკოლა და ცხოვრება“, № 3, 1974
2. იმედაძე ნ., უცხო ენის სწავლების ფსიქოლოგიური საკითხები განწყობილების თეორიის თვალთახედვით. ჟ. „უცხო ენები სკოლაში“, № 4, 1976
3. უზნაძე დ., ენის შინაფორმა, ფსიქოლოგია. ტ. IV, 1947
4. სირბილაძე მ., სიტყვის გრძნობის, როგორც ლინგვისტური უნარის კომპონენტის, განვითარება უმცროს სასკოლო ასაკში. ქუთ., 2008
5. Алхазашвили А., Психологические основы обучения устной иностранной речи. Тб., 1974
6. Имедадзе н., Экспериментально-психологические исследования овладения и владения вторым языком. Тб., 1979
7. Cook V., Second Language Learning and Language Teaching. New-York - Auckland, 1991
8. Krashen S., Second Language Acquisition and Second Language learning. New-York - London, 1988
9. Johnson K., - Applies Linguistics. London, 2001

რეზიუმე

მეორე ენაში წარმატებას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს. რომელ გარემოშიც არ უნდა მიმდინარეობდეს (ბუნებრივი თუ ხელოვნური) ენის შესწავლა, საქმე გვაქვს ენობრივი განწყობის შემუშავებასთან, რომლის დინამიურობა-სტატიკურობა პირდაპირ კავშირშია ენაში წარმატებასთან (სოდხი, იმედაძე). მიღწევას ენაში ჩვენი კვლევის თანახმად, ასევე მნიშვნელოვნად განაპირობებს ლინგვისტური უნარი, სადაც სპეციფიკურ კომპონენტად განვიხილავთ სიტყვის გრძნობის უნარს. აქედან გამომდინარე, ეს ინდივიდუალური თავისებურებები ანუ განწყობის ტიპოლოგია და სიტყვის გრძნობის უნარის გამოვლინება ლოგიკურ მიმართებაში არიან ერთმანეთთან. ვფიქრობთ, ეს მიმართება ემპირიულადაც ასეა. ამიტომ განწყობის ან სიტყვის გრძნობის ტიპოლოგიის შესწავლა მოგვცემს იმის საშუალებას, წინასწარ ვივარაუდოთ, რა სიმძნელებთან გვექნება საქმე მეორე ენის სწავლების პროცესში.

Marine Sirbiladze – Akaki Tsereteli State University, Doctor of psychology, associated professor

On the question about relation between the typology of set and word-feeling aptitude in the context of SLA success

Summary

Second language acquisition and learning are defines by the different sectors (social, genetic, age, affective, cognitive and others). According to the theory of set in the process of SLA and learning working out of set is being held wherever the process is going: in the natural or artificial environments. Set typology (dynamic-statical) has a direct correlation with the success in the SLA (Sodkhi, Imedadze, 1969, 1975). According to our investigation successes in the SLA are defined by the world-feeling attitude. Considered to be the specific component of the linguistic aptitude. It follows that the typology of set and individual peculiarity are in the logical relation. We think it would be confirmed empirically, therefore studying the typology of set or word-feeling peculiarity will show the possible difficulties in SLA teaching.

Марине Сирбиладзе – Государственный университет Акакия Церетели. Доктор Психологии, ассоциированный профессор

К вопросу о взаимоотношении типологии установки и способностью чувства слова в контексте успешности в овладении вторым языком

Резюме

Успешность в овладении второго языка определена многими факторами. Несмотря на то, происходит изучение в искусственной или естественной ситуации, субъект вырабатывает установку, динамичность которой прямо связано с успехом в овладении и использовании второго языка (Содхи, Имедадзе. 1969, 1975). По нашему исследованию, успешность во втором языке обусловлена лингвистической способностью, специфическим компонентом которой является чувства слова. Исходя из этого, эти индивидуальные особенности, т.е. типология установки и выявление чувства языка находятся в логическом взаимоотношении. Полагаем, что это отношение будет подтверждено эмпирически, тогда изучение типологии и установки и чувства слова даёт возможность, предполагать трудностей, существовавших в процессе обучения второго языка.

მანანა ბანძელაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ეკომპილობა და ეთიკური მსოფლმხედველობა

თანამედროვე ფილოსოფიური თეორიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა – ომისა და მშვიდობის საკითხი. ამ პრობლემას ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ადამიანის აზროვნებაში, თუმცა განვითარების დღევანდელმა ეტაპმა საკითხის მნიშვნელობა კიდევ უფრო მკაფიოდ წამოსწია წინა პლანზე. მასზე ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოების პროგრესის, ბედნიერების და ინტელექტუალური განვითარების გზა.

ბოლო პერიოდში გაიზარდა ბუნებაზე ანტროპოგენური ზემოქმედება, რომლის შედეგების განსაზღვრა საკმაოდ რთული პროცესია. აუცილებელი გახდა ადამიანმა გაიზაროს მშვიდობის ფასი და შეიქმნას ყველა პირობა ომების თავიდან ასაცილებლად. მათეა დამოკიდებული დედამიწაზე ცივილიზაციისადმი სიცოცხლის დაღუპვის თავიდან აცილების შესაძლებლობა.

ჯერ კიდევ, გერმანული ფილოსოფოსი კანტი აღიარებდა ადამიანებს შორის “მარადიული მშვიდობის” ცნების დამკვიდრების აუცილებლობას. ეს ცნება დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მან უნდა მოაწესრიგოს ქვეყნებს შორის ურთიერთობები და ადამიანთა აზროვნებიდან გამორიცხოს ომის ცნება. ომი, როგორც ფაქტი დაგმობილია ადამიანის მორალური, ჰუმანური პრინციპებიდან გამომდინარე, ვინაიდან იგი ხელს უშლის საზოგადოების განვითარების პროგრესულ გზას.

ომისა და მშვიდობის პრობლემა ორგანულ კავშირშია იმ გარემო პირობებთან, რომელშიც კონკრეტული საზოგადოების განვითარება ხდება. ომი ანადგურებს ბიოსფეროს უდიდეს ნაწილს. გარდა იმისა, რომ იგი სახელმწიფო პოლიტიკის გაგრძელებაა ძალადობის გზით. ომი დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან. იგი მიზნად ისახავს სხვისი ტერიტორიების დაპყრობას. ამ მიზნით იყენებს უახლოეს ტექნიკას. ომს გამორიცხავს მშვიდობისა და უშიშროების შესახებ არსებული თეორიები. ისინი ითვალისწინებენ რა განვითარების პერსპექტივებს, მიიჩნევენ, რომ თანამედროვე პროგრესის გზაზე მსოფლიო უშიშროების უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია ისეთი მექანიზმების შექმნა, რომელიც შედეგად მოიტანს განიარაღებას და პოლიტიკური დამაბულობის მოხსნას. მხოლოდ სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებშია შესაძლებელი, რომ მთელი ძალები მოხმარდეს ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების პრობლემების გადაწყვეტას. ეკომპილობის ცნება მნიშვნელოვანია არა ერთი რომელიმე სახელმწიფოსათვის, არამედ ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რადგან მისი გადაჭრა კაცობრიობის საერთო ბედთანაა კავშირში. სწორედ ამიტომ სახელმწიფოთა მიერ წამოყენებული იქნა ინიციატივა, რომ შემუშავდეს კონვენცია ბუნებაზე ზემოქმედების საშუალებათა მტრული მიზნით გამოყენების აკრძალვის შესახებ. ასეთ საშუალებებში იგულისხმება სამხედრო და სხვა ყოველგვარი საზიანო საშუალება, რომელსაც ბუნებაზე უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია. ომს თან მოჰყვება გარემოს მასიური დაჭურჭიანება და ახალ ლანდშაფტის ჩამოყალიბება. ამ თვალსაზრისით ნეგატიური პერიოდი ომებისათვის მზადებს პერიოდიც. იგი უკავშირდება საომარი ადგილების შერჩევას და საომარი იარაღების და მზადების ობექტად ბუნების გამოყენებას. ომებისაგან ბუნების წიაღში რჩება ნაერთები, რომლებიც დიდხანს ინარჩუნს უარყოფით თვისებებს და ანადგურებენ არა მარტო გარესამყაროს - ფლორას და ფაუნას, არამედ ადამიანსაც.

მრავალი გამოკვლევით დასტურდება ომებისა და ეთნოკონფლიქტების უარყოფითი გავლენა პიროვნების ფსიქიკაზე. ეს პროცესი მიზეზია ადამიანის ორგანიზმის გენეტიკური ცვლილებებისა. სტატისტიკური მონაცემები ადასტურებენ, რომ იძულებით დევნილ ახალშობილთა უმრავლესობა იბადება სხვადასხვა ნერვული დაავადებებით. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ფსიქოტრონიული იარაღის მოდიფიცირებული სახეობის არსებობა, რომელიც უშუალოდ ადამიანის ფსიქიკისკენაა მიმართული და გულისხმობს ინდივიდის ფსიქიკის

მართვას. ამავე დროს ეთნოკონფლიქტები იწვევენ ბუნების კატაკლიზმებს. არსებობს ბუნებაზე ზემოქმედების ისეთი ხელოვნური საშუალება, როგორცაა სეისმური იარაღი. იგი იწვევს კატასტროფულ მიწისძვრებს, წყალდიდობებს და სხვა გარემო პირობებისადმი საზიანო მოვლენებს.

ზემოთ მოყვანილი მოვლენებიდან გამომდინარე, ეკოლოგიურ ლიტერატურაში გაჩნდა ეკოლოგიური მშვიდობის ცნება. იგი კავშირშია პოლიტიკურ მშვიდობის ცნებასთან და ადამიანის და ბუნების ურთიერთობის ხასიათთან. გარემოს დაცვისთვის ბრძოლა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც კაცობრიობის ბრძოლა მშვიდობისა და თანაარსებობისათვის. გარემოს დაცვა უკავშირდება ეკოლოგიური მშვიდობის ცნებას. პოლიტიკური მშვიდობა არ არის სამწუხაროდ ეკოლოგიური მშვიდობის გარანტი.

ეკოლოგიური მშვიდობის პარამეტრებია: 1. ეკოლოგიური მშვიდობისკენ მიმართული ღონისძიებათა გლობალიზაცია; 2. სისტემათა პერმანენტული ხასიათი; 3. ექსკლუზიურ მოვლენათა განჭვრეტითი ხასიათი და მათი ნეიტრალიზება.

ცალკეულ სახელმწიფოთა მიერ ტარდება ეკომშვიდობის მიმართ ხელისშემშლელ ფაქტორთა გლობალიზაცია, რაც საერთაშორისო დონეზე გულისხმობს გაეროს, ევროკავშირის, იუნესკოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა მიერ მიღებული კონვენციებს, პაქტებს და ხელშეკრულებათა თანამიმდევრულ მიღებას, დამტკიცებას და კონტროლს.

ეკომშვიდობის ცნება უშუალო კავშირშია სოციალურ ეკოლოგიასთან. ამ საკითხის ირგვლივ სხვადასხვა საზოგადოებრივი მეცნიერებანი: ფილოსოფია, ეთიკა, სოციოლოგია, ფსიქოლოგია თავიანთ შეხედულებებს აყალიბებენ.

კავშირი ეკომშვიდობასა და სოციალურ გარემოს შორის შეიძლება იყოს როგორც მარტივი, ისე რთული. მარტივია მაშინ, როცა სოციალური კეთილდღეობა მაღლა მიიწევს. თუმცა მაშინ, როცა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა უარესდება, აქ საქმე რთულდება. მაგ., რთული უსახსრობის პერიოდში ადამიანი ივიწყებს თავის მოვალეობებს და პასუხისმგებლობას თაობების წინაშე. იგი იძულებული ხდება საწვავად გაჩეხოს ტყე. ამ დროს იგი პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ეკოლოგიური მშვიდობის ცნებასთან და იგი ფაქტიურად ეკოკრიმინალი ხდება. თუ ეს წონასწორობა თანდათან მწვავედება, ირღვევა ეკოწონასწორობა და მოვლენათა შეუქცევადობის პირობებში ეკოლოგიური კატასტროფებიც ჩნდება.

ეკომშვიდობის რღვევის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლებია: უკონტროლო სამეურნეო საქმიანობა, ბუნებრივი გარემოს მიმართ გამოხზული მომხმარებლური დამოკიდებულება და სხვა არაზნეობრივი მოქმედება ბუნებასთან მიმართებაში.

ეკომშვიდობის შენარჩუნების ერთ-ერთი საფუძველია მშვიდობის, განიარაღების და ეკონომიკური სტაბილურობისათვის ბრძოლა. ამის შემდეგ ხდება შესაძლებელი, რომ უზარმაზარი სახსრები, რომლებიც შეიარაღებაზე იხარჯება, მოხმარდება გარემოს გაჯანსაღების ღონისძიებებს, ჯანმრთელობის დაცვას, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისადმი მიმართული პროგრამების განვითარებას და სხვა აღმზრდელობით ღონისძიებებს.

ეკოლოგიური მშვიდობის საკითხი უშუალო კავშირშია ეთიკურ მსოფლმხედველობასთან. ჭეშმარიტ ეთიკურ მსოფლმხედველობაზე ბევრადაა დამოკიდებული ბუნებისადმი ადამიანის დამოკიდებულების შეფასების საკითხი. თუ ადამიანი ბუნებას განიხილავს მხოლოდ მატერიალურ ან ტექნიკური პოზიციებიდან, გარკვეულ წინააღმდეგობას წააწყდება. ეს საკითხი საჭიროებს დიალექტიკურ მიდგომას. რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ბუნება მუდმივ მოძრაობაშია, ასეთი უნდა იყოს ის შემეცნებითი თეორიებიც, რომლებიც მას ამა თუ იმ ასპექტით სწავლობს. დიალექტიკური უნდა იყოს ის ეთიკური მსოფლმხედველობა, რომელიც აფასებს ადამიანის ადგილს სამყაროში. საინტერესოა ეკოლოგიურ საკითხებთან მიმართებაში ეთიკის, მისი ძირითადი კატეგორიებისა და კანონების გამოყენება. ეთიკური მსოფლმხედველობა და ეკოლოგია წარმოუდგენელია ერთმანეთის გარეშე. ზნეობის გარეშე შეუძლებელია ბუნებისა და ადამიანის დამოკიდებულების საკითხის გარკვევა.

სამყაროში ყველაფრის საზომი და შემფასებელი ადამიანია. ამიტომაც, რომ ჩვენი ეთიკური მსოფლმხედველობის არსებითი ნიშანი ჰუმანიზმია. ჰუმანიზმის განცდა აახლოებს ეთიკას და ეკოლოგიას, როგორც ურთიერთდამოკიდებულ მეცნიერებას.

ეკოლოგიური პრობლემები აიძულებს ადამიანს მეტი იფიქროს პროცესის ჰუმანიზაციაზე, პროცესის მართვის ეთიკურ ნორმებზე. ეს კი თავის მხრივ საზოგადოებისაგან მოითხოვს რაციონალურ, ეთიკური ღონისძიებების გატარებას. ესენია: გადასვლა სუფთა საწვავზე, მრეწველობის ნარჩენების მეორადი გადამუშავება, ბუნების დაცვის გლობალური პროექტების შექმნა. საბოლოოდ კი ყველაფერი ზნეობრივ ამოცანებს უნდა ისახავდეს. ეთიკური მსოფლმხედველობა უზრუნველყოფს იმის გააზრებას, რაც კონკრეტულ საზოგადოებაში მცხოვრებ კონკრეტულ ადამიანს აქვს: საკუთარი კულტურა, ზნეობრივი ღონისძიებანი თავმოყვარეობა, ღირსება და რომ, საზოგადოებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ადამიანმა მათი სრულყოფილი დაკმაყოფილება შეძლოს.

ეკომშვიდობის ცნება აუცილებლობით მოითხოვს, რომ გადაარჩინოს გარემო, ხელი შეუწყოს ბოროტების აღმოფხვრას, ადამიანის ზნეობრივ ამაღლებას, სულიერ კეთილშობილებას. ამის საბოლოო გარანტი კი ეთიკური მსოფლმხედველობის სრულყოფილი ფორმირებაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არისტოტელე., დიდი ეთიკა. თბ., 1994
2. ბანძელაძე გ., ზნეობრივი პროგრესის თეორია და პრაქტიკა. თბ., “მეცნიერება”, 1982
3. ბერდიაევი ნ., ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში. თბ., 2003
4. კაკაბაზე ზ., ფილოსოფიური საუბრები. თბ., 1988
5. კუკავა თ., ეთიკა. თბ., 2001
6. მამედოვი ნ., ეკოლოგია და ტექნიკა. თბ., 2008
7. Фролов И., Перспективы человека. М., 1993

რეზიუმე

თანამედროვე ფილოსოფიური თეორიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა - ომისა და მშვიდობის საკითხი. ამ საკითხს ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ადამიანის აზროვნებაში. თუმცა დღეს ბუნებაზე ანტროპოგენური ზემოქმედების პირობებში კიდევ უფრო გამოიკვეთა ამ პრობლემის აუცილებლობა. მისი საშუალებით მოახერხებს ადამიანი გაიზაროს მშვიდობის ფასი და შექმნას პირობები ომების ასაცილებლად. ამაზე დამოკიდებული დედამიწის ცივილიზაციის დაღუპვის თავიდან აცილება.

მშვიდობის პრობლემა ორგანულ კავშირშია იმ გარემოს პირობებთან, რომელშიც საზოგადოების განვითარება ხდება. ომი ანადგურებს ბიოსფეროს. დღის წესრიგში დგება მშვიდობის შენარჩუნება.

თანამედროვე ეკოლოგიურ ლიტერატურაში არსებობს ეკოლოგიური მშვიდობის ცნება, მას აუცილებლობით უკავშირდება გარემოს დაცვის პრობლემა. ეს ცნება უკავშირდება ეთიკურ მსოფლმხედველობასაც და ეფუძნება ჰუმანიზმს. ჰუმანიზმის პრიციპებს ეყრდნობა ადამიანისა და ბუნების გონივრული დამოკიდებულების საკითხი.

Manana Bandzeldze - Akaki Tsereteli State University, Doctor of Philosophy, Associate Professor at the Department of Philosophy and Psychology

Ecopeace and Ethical Outlook

Resume

War and peace – this is one of the most significant issues for the modern philosophical theories. Actually, it has always dominated human’s mind. And especially now, in the period of anthropogenic influence on nature, the significant of this problem has become extremely noticeable. This issue can help us to properly value peace and provide the conditions to avoid wars. This is supposed to guarantee the future life of the civilization on Earth.

The problem of peace is directly connected with the outside conditions in which the society is being developed. War destroys biosphere. It is essential to maintain peace.

In the modern ecological literature there is a notion of Ecological Peace. It is related to the environmental protection problem, and also to the ethical outlook and is based on humanism. The sensible relationship between a person and the nature comes out of the very principles of humanism.

Экологический мир и этическое мировоззрение

Одной из важнейших проблем современных философских теорий – вопрос войны и мира. Эта проблема с давних времен терзает сознание человечества. Но на сегодняшний день, учитывая усиленное воздействие антропогенных факторов, осмысление этой проблемы стало гораздо актуальней.

С помощью этого, человек сможет познать истинную цену мира и предпринять шаги для предотвращения войны, от этого зависит спасение ченловеческой цивилизации.

Проблема сохранения мира находится в органичном сосуществовании с факторами, которые главенствуют в вопросе общественного развития. Война разрушает биосферу. Сохранение мира является главной целью для человечества.

В современной литературе встречается понятие «экологический мир». С ним связана проблема защиты окружающей среды, также оно связано с этическим мировоззрением и основывается на гуманизме. На принципы гуманизма опирается сосуществование человека и окружающей его среды.

ომარ დევიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

სწავლის განწყობის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები

თანამედროვე ეტაპზე აქტუალური გახდა დ. უზნაძის განწყობის თეორიის სასწავლო საქმიანობაში გამოყენების საკითხი. უთითებენ რა მოსწავლის სწავლის განწყობის შექმნის აუცილებლობაზე, ავტორები არ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, თუ რა ფაქტორები უზრუნველყოფს ამ განწყობის შექმნას და განწყობის მხოლოდ მთლიან-პიროვნული მოვლენის კონსტანტირების შემოიფარგლებიან. განწყობა მართლაცაა მთლიან-პიროვნული მდგომარეობა, მაგრამ ამ მთლიანობით განწყობას თავისი ფსიქოლოგიური საფუძვლები გააჩნია. ამ საფუძვლების ცოდნა ევალუა პირველ რიგში პედაგოგს, რათა წარმატებით მართოს მოსწავლის სწავლის განწყობის ჩამოყალიბების პროცესი. რას წარმოადგენს განწყობა?

დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგია ქცევის მიზანშეწონილობის პრობლემის საფუძველზე შეიქმნა. მის მიხედვით, განწყობა ორი ძირითადი ფაქტორის-მოთხოვნილებისა და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციის-ნიადაგზე აღმოცენდება. ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ ობიექტურ ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც ქცევას თავის სტრუქტურას, მოთხოვნილება კი დინამიკურ ხასიოს ანიჭებს. შემდგომში, დ. უზნაძის მოსწავლეების მიერ, განწყობის აღმოცენების მესამე ფაქტორიც, ქცევის ინსტრუმენტული შესაძლებლობებიც იქნა შემოტანილი, რაც უდაო ჭეშმარიტებას წარმოადგენს.

ცოცხალი არსება, მათ შორის ადამიანიც, გარესამყაროსთან ურთიერთობას მოთხოვნილების საფუძველზე ამყარებს. მოთხოვნილების გაჩენის შემთხვევაში ცოცხალი არსება აქტიურდება და მასში ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ქცევის სუბიექტი იწყებს ჩამოყალიბებას. ეს პროცესი იმაში გამოიხატება, რომ ცოცხალი არსება აქტიურად მიიმართება იმ ობიექტური სინამდვილისაკენ, რომელიც მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობებს შეიცავს. მოთხოვნილების მოდუსში მოქცეული ინდივიდი, რომელსაც ქცევის სუბიექტს უწოდებენ, მთელ სამყაროს მოთხოვნილების თვალთ ხედავს. გარესინამდვილე სუბიექტის წინაშე დგება არა როგორც ობიექტური სინამდვილის მოვლენათა შემთხვევითი თავყრილობა, არამედ ქცევის სიტუაცია, რომელიც მან ახლა უნდა განახორციელოს, რომ მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. ინდივიდის ბუნებაში არსებული აქტივობის შესაძლებლობები აქტიურ მდგომარეობაში გადადიან და მოცემული სიტუაციის შესატყვის სტრუქტურას იღებენ. ასახვის ეს ფორმა წარმოადგენს ცოცხალი არსების დინამიკურ მდგომარეობას, რომელშიც წინასწარაა გათვალისწინებული როდის, სად და რა უნდა იქნას გაკეთებული, რომ მისი მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს. სწორედ ასახვის ამ ფორმას უწოდებს დ. უზნაძე განწყობას. ის წარმოადგენს ქცევის უშუალო მიზეზს, რომელშიც ქცევის მიზანიცაა გათვალისწინებული. ამიტომ მის ნიადაგზე მხოლოდ მიზანშეწონილი და მიზანმიმართული ქცევის განხორციელებაა შესაძლებელი.

ის, რაც ზემოთ განწყობის შესახებ ითქვა, ეხება განწყობის ისეთ ზოგად კანონზომიერებას, რომელიც საერთოა ცხოველისა და ადამიანისათვის. კერძოდ, ამ შემთხვევაში, საქმე ეხება ცხოველისა და ადამიანის ბიოლოგიურ მხარეს, რომელიც ბიოლოგიური მოთხოვნილებების სახითაა წარმოდგენილი. ცხადია, განწყობის ასეთი გაგება არ გამოდგება ადამიანის, როგორც პიროვნების, როგორც სოციალური არსების და რაც მთავარია, სასწავლო ქცევის განწყობის დასახასითებლად. სწავლა პიროვნების ერთ-ერთ მთავარ თვისებას წარმოადგენს და აქედან გამომდინარე, მისი საფუძველი პიროვნების დონეზე შექმნილი განწყობა იქნება.

დ. უზნაძე თავის მოძღვრებაში დიდ ადგილს უთმობს ადამიანური, კერძოდ, პიროვნების დონეზე განწყობის ფორმირებისა და მოქმედების კანონზომიერებათა შესწავლის საქმეს. დ. უზნაძის აზრით, ადამიანს გააჩნია ისეთი მოთხოვნილებები, რომლებიც მკვეთრად განასხვავებს მას ცხოველთა სამყაროსაგან. ასეთია თეორიული, ესთეტიკური და ეთიკური მოთხოვნილებები.

მეორე ძირითადი თავისებურება ადამიანისა ისაა, რომ მას აქვს ცნობიერება-ინტელექტური პროცესი, რაც მას მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების ქცევის სიტუაციის გააზრებისა და პიროვნულ ღირებულებათა თვალთ შეფასების შესაძლებლობას აძლევს. ცნობიერება მაღალი ადამიანური მოთხოვნილებების პირველადი ფორმირების ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

პიროვნების დონეზე მოქმედ განწყობის თავისებურებათა გასათვალისწინებლად დ. უზნაძეს ობიექტივაციის ცნება შემოაქვს. მისი აზრით, ქცევის პრაქტიკული მიმდინარეობის პროცესში შეიძლება ისეთმა შინაგანმა ან გარეგანმა წინააღმდეგობამ იჩინოს თავი, რამაც ქცევის დაწყებას ან მის შემდგომ წინსვლას შეუშალს ხელი. პიროვნება, ასეთ შემთხვევაში, განწყობაში წინასწარ დაგეგმილი ქცევის პრაქტიკული აქტების განხორციელების ცდებს დროებით თავს ანებებს და ობიექტივაციის აქტს მიმართავს, რაც მას შემეცნების სუბიექტად ხდის, ხოლო დაბრკოლების მოვლენებს შემეცნების ობიექტად აქცევს. სუბიექტის წინაშე დგება პრობლემური სიტუაცია, რომელიც თეორიული მოთხოვნილების გაჩენის საფუძველი ხდება. თეორიული მოთხოვნილება და პრობლემური სიტუაცია ქმნის თეორიული ქცევის განწყობას, რის საფუძველზეც პიროვნება თეორიულ აქტივობას მიმართავს: აზროვნების საშუალებით არკვევს, რაში მდგომარეობს დაბრკოლების ბუნება და როგორ წარმართოს ქცევა შემდგომში. ობიექტივაცია მიჩნეულია აზროვნების წარმოქმნის საფუძველად დ. უზნაძის განწყობაში.

როცა სწავლის განწყობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში განწყობის ის მოდელი უნდა ვიქონიოთ, რომელსაც დ. უზნაძე პიროვნების დონეზე, ობიექტივაციის დონეზე შექმნილ განწყობას გულისხმობს. მთავარი აქ ისაა, რომ ობიექტივაცია აზროვნების, შემეცნებითი მოთხოვნილებების აღმოცენების საფუძველია და სასწავლო ქცევისათვისაც ეს მომენტი გადამწყვეტი. ნამდვილ სწავლასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა ის აზროვნების დონეზე მიმდინარეობს.

როგორ უნდა მოხდეს განწყობის ამ მოდელის რეალიზება სწავლის შემთხვევაში? რა არის სწავლის განწყობის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები? სწავლის ქცევის თავისებურება ისაა, რომ აქ საქმე გვაქვს სწავლებით სწავლასთან. ე.ი. პედაგოგი ასწავლის და მოსწავლე კი სწავლობს. ამდენად, სწავლის განწყობის შექმნა პედაგოგზეა დამოკიდებული.

სწავლის განწყობის ობიექტური ფაქტორი თვითონ სწავლის საგანია, ხოლო სუბიექტური ფაქტორი ამ საგნის შ მეცნების მოთხოვნილება. პედაგოგმა ისე უნდა მიაწოდოს მასალა მოსწავლეს, რომ მან მასში შემეცნებითი მოთხოვნილებების აღძვრაც შესძლოს. ამას კი სწავლის საგნის ობიექტივაციის დონეზე მიწოდება უზრუნველყოფს. ეს კი მიიღწევა სასწავლო საგნის მნიშვნელობის, სიახლის წინ წამოწევით, თანაც იმგვარად, რომ ის სწავლის სუბიექტში გაკვირვების გრძნობას და „რა არის ეს“ კითხვის დასმასაც უნდა იწვევდეს. მასალის ასეთი წესით მიწოდების შედეგად სწავლის სუბიექტში მიწოდებული მასალის შემეცნების მოთხოვნილებაც გაჩნდება და აზროვნების პროცესის აღძვრაც მოხდება, რამდენადაც ობიექტივაცია აზროვნების პროცესის აღძვრის საფუძველსაც წარმოადგენს, რაც მიწოდებული სასწავლო მასალის შ გნებულად და გააზრებულად ათვისებას უზრუნველყოფს.

ამდენად, შემეცნებითი მოთხოვნილებები და სასწავლო საგანი ანუ სიტუაცია სწავლის განწყობის საფუძველებს წარმოადგენს, რომელსაც სასწავლო ქცევა სწავლის მიზნის განხორციელებამდე მიჰყავს.

მაგრამ სწავლის განწყობა, ხშირად, მარტო სწავლის საგნის ობიექტივაციით არ მიიღწევა. საკმარისი არაა მხოლოდ ობიექტური სიტუაციის მნიშვნელობის და სიახლის გამოკვეთა. სწავლის საგნის ობიექტივაცია შესატყვის მოტივთა სფეროს ჩამოყალიბებასაც გულისხმობს. მოტივი ქცევის ღირებულებაა, რომელიც აზრს, მნიშვნელობას ანიჭებს ქცევას და უზრუნველყოს ქცევის თავის თავზე მიღებასაც. მოტივი ძლიერი, შინაგანი ფსიქოლოგიური საფუძველია, რომელიც მოსწავლის სწავლის განწყობის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს. ამდენად, ის სწავლის განწყობის სუბიექტურ ფაქტორს წარმოადგენს. ამიტომ მოსწავლის სასწავლო ქცევის ეს შინაგანი საფუძველი ყოველთვის გარკვეული უნდა იყოს პედაგოგისათვის,

ის პედაგოგიური ამოცანებს ამ შინაგანი მოტივების საფუძველზე უნდა სახავედეს. სწავლის განწყობის შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთი პედაგოგი, რომლის პიროვნული ნიშნები სრულად აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებულ მოსწავლის მოთხოვნებს. ფსიქოლოგიას შესწავლილი აქვს პედაგოგის ის ნიშან-თვისებები, რომლებსაც თხოულობს მოსწავლე მისგან. ასეთი ბევრია და მათგან მნიშვნელოვანია შემდეგი: მოსწავლეებთან მეგობრული დამოკიდებულება, იმსახურებს პატივისცემას, ტაქტიანია, შეუძლია თანამშრომლობა, თავაზიანად იძლევა შენიშვნებს, კეთილშობილია, სამართლიანია, აქვს იუმორის გრძობა, ყურადღებიანია, არ იცის მოსწავლის დაცინვა, მოქმედებაში დარწმუნებულია, მხიარული ხასიათი აქვს, ასრულებს დანაპირებს, შეუძლია საკუთარი პოზიციის დაცვა და ა.შ. ამ ნიშნების მქონე პედაგოგი ქმნის ემოციურად დადებით ფონს სწავლისათვის და მისგან გადაცემული მასალაც უფრო მისაღებია მოსწავლისათვის, ვიდრე ისეთი პედაგოგის მიერ გადაცემული მასალა, რომელიც ან არ ფლობს ზემოთ ჩამოთვლილ თვისებებს ან საპირისპირო თვისებების მფლობელია.

სწავლის განწყობის შექმნაში დიდ როლს თამაშობს ისეთი შინაგანი ფაქტორი, როგორც საკუთარი ძალების რწმენა. მოსწავლე დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ ის შეძლებს იმ ამოცანის დაძლევას, რომელიც მას ეძლევა სასწავლო საგნის სახით. ამ მხრივ დიდი როლის შესრულება პედაგოგს შეუძლია, რომელიც არა მარტო უნდა უხსნიდეს მოსწავლეს რა და როგორ გააკეთოს, არამედ დაარწმუნოს იგი საკუთარ შესაძლებლობებშიც.

სწავლის განწყობის შექმნაში დიდი როლი არა მარტო შემეცნებით მოთხოვნილებას და მოტივს აქვს, არამედ მოსწავლის პრესტიჟულ მოთხოვნილებასაც. მოსწავლე არც თუ იშვიათად სწავლობს აღიარებისა და ავტორიტეტის მოპოვების მოთხოვნილებებით. ამის კარგ საშუალებად სწორედ სწავლა წარმოადგენს. პედაგოგმა ეს გარემოება არ უნდა გაუშვას მხედველობიდან და თავისი საქმიანობა აღნიშნულ მოთხოვნილებებს უნდა დაუკავშიროს. ის ყოველთვის უნდა უცნობიერებდეს მოსწავლეს სწავლის ღირებულებას და უნდა ახდენდეს მისი წარმატების საჯაროდ აღნიშვნას.

ზემოთ აღწერილი ფაქტორების ცოდნა პედაგოგს მისცემს მყარ გარანტიას იმისას, რომ მან უზრუნველყოს სწავლის განწყობის წარმატებით ჩამოყალიბება მოსწავლეში.

ლიტერატურა

1. დ. უზნაძე. შრ. ტ. III-IV. თბ. 1965
2. დ. უზნაძე. შრ. ტ. VI. თბ. 1977
3. ა. ფრანგიშვილი. სწავლის ფსიქოლოგიის საკითხები. თბ. 1969
4. შ. ჩხარტიშვილი. განწყობა და ცნობიერება. თბ. 1975
5. მ. მადრაძე. განწყობის თეორია და განათლების ფსიქოლოგიის ზოგადი საკითხები. ქუთ. 2008.

რეზიუმე

სწავლა შემეცნებითი ხასიათის ქცევაა. ამდენად, სწავლის განწყობის სუბიექტურ ფაქტორს შემეცნებითი მოთხოვნილებები, ხოლო ობიექტურ ფაქტორს ესა თუ ის სწავლის საგანი წამოადგენს. ასეთი განწყობის შექმნას სასწავლო საგნის ობიექტივაციის დონეზე მიწოდება უზრუნველყოფს, რომელიც სწავლის სუბიექტის წინაშე გაკვირვების გრძნობის და „რა არის ეს“ კითხვის დასმასაც იწვევს. ეს კი სასწავლო საგნის სიახლისა და მნიშვნელობის გამოკვეთის გზით მიიღწევა. აღნიშნული გარემოება სწავლის სუბიექტში შემეცნებით მოთხოვნილებასაც და აზროვნების პროცესსაც აღძრავს, რომელიც მიწოდებული საგნის გააზრებულ შეთვისებას უზრუნველყოფს.

სწავლის განწყობის შექმნაში მონაწილეობს ისეთი ფაქტორებიც, როგორცაა: მოტივები, პრესტიჟული მოთხოვნილებები, მოსწავლის საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულობა და პედაგოგის ისეთი პიროვნული ნიშნები, რომლებსაც მოსწავლე თხოულობს მისგან. ასეთი ნიშნების მქონე პედაგოგი დადებით ფონს ქმნის სწავლის განწყობის შექმნაში.

Omar devidze - A. Tsereteli State University Academical Doctor of psychological sciences

Subjective and objective factors of study setting

Summary

Learning is a cognitive behavior. Thus subjective factors of a study setting represent cognitive necessity and objective factor-that or that subject of study. Creation of such attitude on the level of objectivation of subject of the study provides supply, which challenges surpris and evokes the question what is it? in the subject of study (a person). This in its turn is achieved by the novelty and importance of subject of the study. This circumstance provokes both cognitive necessity and the thinking process in the subject of study (a person), which provides conscious assimilation of an introduced subject.

in the creation of a study setting takes part such factors as motives, prestigious requirements, students confidence in his facility (potential) and teachers such personality characteristics, which his students demand from him. teachers with such personality characteristics make a positive background in creating a learning attitude.

Омар Девидзе - Государственный университет А. Церетели. Академический доктор психологических наук.

Субъективные объективные факторы установки учения

Резюме

Учение - деятельность познавательного характера. Таким образом, субъективные факторы установки учения - это познавательные потребности а объективные факторы - те или иные предметы учения. создание такой установки обеспечивается подачей предмета учения на уровне обективацинн, которая вызывает у субъекта учения чувство удивления и вопрос: "Что это"? А Это достигается выделением новизны и важности предмета учения. Вышеуказанное обстоятельство вызывает у субъекта учения познавательную потребность и мыслительную процесс, которая обеспечивает осмысленную усвоению данного предмета.

В создании установки учения участвуют также такие факторы как: мотивы, престижные потребности, уверенность ученика в своих возможностях и такие личностные характеристики педагога, которые ученик требует от него. педагог, обладающими такими личностными характеристиками, создает позитивный фон при создания установки учения.

ხათუნა კაპანაძე - სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათის საჯარო სკოლა, ბიოლოგიის სერტიფიცირებული, სქემამი ჩართული მასწავლებელი

მშობლის მზრუნველობის დეფიციტი - პედაგოგების და საზოგადოების საერთო სატკივარი

სკოლა, როგორც საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი საზოგადოებრივი ინსტიტუტი, საკუთარ თავში მოიცავს მრავალი მოვლენისა თუ პრობლემის პირდაპირ თუ ირიბ კავშირს, რომელიც გავლენას ახდენს სწავლა-სწავლების შედეგზე. პრაქტიკოსმა პედაგოგებმა კარგად იციან, რომ შედეგებზე გასვლა შეუძლებელია პრობლემის მიზეზის გარკვევისა და მისი აღმოფხვრისათვის გაწეული დიდი ძალისხმევის გარეშე. აუცილებელია, მოზარდებთან სისტემატური კავშირი, მათი ინდივიდუალური შინაგანი სამყაროს კარგად გაცნობა და მათზე მზრუნველობა.

იმ მრავალ გარემოებათაგან, რომელიც მოსწავლეთა მოტივაციასა და მათი ამბლები სტრატეგიებთან არის დაკავშირებული, ჩემთვის საინტერესო იყო ინფორმაციის მოძიება იმ მოსწავლეების შესახებ, რომლებსაც მშობლები სამუშაოდ ჰყავთ საზღვარგარეთ ან გარდაეცვალათ. მზრუნველობამოკლებული და მიტოვებული ბავშვების (მოზარდების) პრობლემები მტკივნეული და აქტუალური თემაა. მრავალმხრივი პრობლემების თავიდან ასაცილებლად, მათი სიხშირისა და ინტენსივობის შესამცირებლად, აუცილებელია სკოლებში შექმნილ მულტიდისციპლინარულ ჯგუფში განიხილონ არსებული პრობლემის არსი და დაისახოს პრევენციული ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვების ფსიქო-ემოციური, სოციალური, სენსორული, კოგნიტური და სასწავლო უნარ-ჩვევების განვითარებას და გააქტიურებას.

კვლევა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ჩემი მოსწავლეებიც (იდაძე ანა, ჯანგაძე ირინე, კუპრეიშვილი თამარი და ბიბილეიშვილი), იმ მიზნით ჩატარდა, რომ კარგად დაგვეჩვენა ის, თუ როგორ გავლენას ახდენს მშობლების მზრუნველობის დეფიციტი ამ მოსწავლეთა ფსიქოლოგიაზე, როგორ აისახება მათ მოტივაციასა და აკადემიურ შედეგებზე.

ეს ინტერესი გამიძლიერა მეცნიერთა მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შესახებ მიღებულმა ინფორმაციამ: პატარა მაიმუნები მოაშორეს დედას. ამან უარყოფითად იმოქმედა მათზე, ზოგიერთი დაიღუპა კიდევ. ზოგი დაშინდა, აღზნებული, აგრესიული გახდა, უარს ამბობდა საკვების მიღებასა და თამაშზე. აღმოჩნდა, იმისთვის, რომ თავი კარგად იგრძნონ და ნორმალურად განვითარდნენ, პატარა მაიმუნებს სჭირდებათ უფრო მეტი, ვიდრე კარგი, რეგულარული კვება.

დაიგეგმა ახალი ექსპერიმენტი სუროგატი დედებით. დამზადდა მავთულის კონსტრუქცია, რომელიც ზომით და ფორმით ახლოს იყო მაიმუნის ტანთან. მასზე მაგრდებოდა ბოთლი საწოვარათი. ზოგიერთი ასეთი მანეკენი ბეწვიანი ქსოვილით დაფარეს. მიუხედავად იმისა, თუ რომელ მანეკენს ჰქონდა მიმარებული რძიანი ბოთლი, პატარები უპირატესობას მაინც ქსოვილით დაფარულს ანიჭებდნენ. განსაკუთრებით მაშინ, როცა რაიმე აშინებდათ. პატარა მაიმუნებმა მჭიდრო კონტაქტი დაამყარეს ქსოვილით დაფარულ მანეკენებთან. ის მათთვის გახდა ფსიქოლოგიური მიზიდვის ცენტრი იმის მიუხედავად, იყო თუ არა ის საკვების წყარო. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ის პატარები, რომლებიც ურთიერთობდნენ ქსოვილით დაფარულ მანეკენთან, არ იყვნენ ისეთი შეშინებულები, ნერვიულები და აგრესიულები, როგორც სუროგატ დედას მოკლებული პატარები, თუმცა მას შემდეგ, რაც გაიზარდნენ, ყველა მათგანს ჰქონდა პრობლემები თანატოლებთან ურთიერთობისას და თავიანთი შთამომავლობისთვისაც ცუდი მშობლები აღმოჩნდნენ. როგორც ამ ექსპერიმენტებმა ცხადყვეს, სიამოვნება, რომელიც საკვების მიღებასთანაა დაკავშირებული, არ აღმოჩნდა მიჯაჭვულობის გაჩენის საფუძველი და მიჯაჭვულობის ობიექტის არყოფილად მოქმედებს განვითარებაზე.

რამდენად შესაძლებელია ცხოველთა ქცევის მოდელის გადმოტანა ადამიანზე? ითვლება, რომ მიჯაჭვულობა უვითარდება ყველა ნორმალური განვითარების ბავშვს და მყარი მიჯაჭვულობა საფუძვლად ედება ბავშვობის ასაკის ჯანსაღ ემოციურ და სოციალურ განვითარებას.

ჩვენი კვლევა

გადავწყვიტე, შეგვესწავლა ზოგადად იმ მოზარდების მდგომარეობა, რომლებსაც მშობლები გარდაცვლილი ჰყავთ ან წლების მანძილზე საზღვარგარეთ არიან სამუშაოდ წასული. იმდენად აუცილებელია ბავშვისთვის დედისა და მამის გვერდით ყოფნა, მათი მზრუნველი და თბილი ურთიერთობა, რომ შეუძლებელია მსგავსი პრობლემების კვლევის დროს არ აღმოვაჩინოთ მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ პორტრეტში ამ რეალობის ამრეკლავი შტრიხები.

აღნიშნულ პრობლემაში უკეთ გარკვევის მიზნით მოვიძიე ლიტერატურა, კომპეტენტური ადამიანები. ქუთაისის სამეცნიერო უნივერსალურ ბიბლიოთეკაში სამუშაოდ სათანადო ინფორმაციის სიმწირე აღმოვაჩინეთ. ვერ მოვიპოვეთ მსგავს პრობლემებზე ჩატარებული კვლევის ამსახველი მასალები. გადავწყვიტე, ანონიმური გამოკითხვის ჩატარებისათვის თავად შემერჩია შეკითხვები, რომლის პასუხებშიც სავარაუდოდ უნდა ასახულიყო მშობელთან / მშობლებთან ყოველდღიური ურთიერთობის დანაკლისის შედეგები.

ამ მიზნით შეიქმნა მოსწავლეებისა და კლასის ხელმძღვანელებისათვის ანონიმური ანკეტები.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს გელათის საჯარო და აგრეთვე მეზობელი - ორპირისა და კურსების საჯარო სკოლების 20 კლასის ხელმძღვანელებმა, 243 მოსწავლემ (მათგან 22,2% არიან ის მოსწავლეები, რომელთაც მშობლები სამუშაოდ ჰყავთ საზღვარგარეთ ან გარდაეცვალათ).

კვლევა მიმდინარეობდა 2013 წლის თებერვალში. ჩვენი და აგრეთვე პარტნიორი სკოლებისაგან მიღებული-ანონიმურ ანკეტებში დაფიქსირებული პასუხების სტატისტიკაზე მუშაობა ძალიან შრომატევადი და საინტერესო აღმოჩნდა.

პასუხების გაცნობის დროს აღმოვაჩინეთ რამოდენიმე გარემოება, რომელიც ზუსტი სტატისტიკური სურათის მიღებაში გვაბრკოლებს:

- ანკეტებში ზოგჯერ მოცემულია ორი ან მეტი პასუხი;
- ზოგიერთი კითხვა უპასუხოდ არის დატოვებული;
- ზოგჯერ პასუხი ზუსტი არაა, ბუნდოვანია

ჩვენი დიდი მუშაობის შემდეგ დაიდო ასეთი მონაცემები:

❖ მოსწავლეთა 36,6% მიიჩნევს, რომ სწავლობს კარგად, 58,4 % - საშუალოდ , დაბალ შეფასებას იმსახურებს - 5%,

❖ მოსწავლეთა 72,2% თვლის, რომ გაკვეთილზე კონცენტრირებულია, ხოლო 21,8 % აცხადებს, რომ გაფანტულია.

❖ ბენეფიციართა 56,9% აცხადებს, რომ მის მოწესრიგებას, სწავლას თვალყურს ადევნებს დედა, 33,3% მიიჩნევს, რომ მას მამა აკონტროლებს, 6,8%-ს - ბებია და ბაბუა, ხოლო 3%-ს ზედამხედველობას უწევს ოჯახის სხვა წევრები.

❖ კითხვაზე, რამდენჯერ აკითხავს მოსწავლეს სკოლაში მშობელი, მოსწავლეთა 46,9%-მა აღნიშნა, რომ მათი მშობლები იშვიათად მოდიან სკოლაში, 28,8 % -ს მშობელი ხშირად აკითხავს სკოლაში, 24,3% მიიჩნევს, რომ მას სისტემატურად აკითხავენ სკოლაში.

❖ გამოკითხულ მოსწავლეთა 84,7 % მიიჩნევს, რომ ოჯახის წევრები ხშირად საუბრობენ მისთვის საინტერესო თემებზე, ხოლო 9,8% აღიარებს, რომ მშობლები მცირე დროს უთმობენ მათთან საუბარს, ხოლო იშვიათად ინტერესდებიან შვილების ყოველდღიურობით 5,3% მოსწავლის ოჯახის მშობლები.

❖ მოსწავლეთა 7,8 %-ს უხარია, როცა მათი მშობლები ან ოჯახის წევრები არ ესწრებიან მშობელთა კრებას. ინდიფერენტული დამოკიდებულება გამოხატა 21,3%-მა, არ მოსწონს 70,9%-ს.

❖ კითხვაზე, გაუჭირდებათ თუ არა მშობლების გარეშე ცხოვრება, მოსწავლეთა 79,4%-მა აღიარა, რომ გაუჭირდება, 16,8%-მა - არ გაუჭირდება, თავი შეიკავა 3,8%-მა.

❖ მოსწავლეთა 32,2 % მიიჩნევენ, რომ სიტბოს და თანაგრძნობას ეძებს ოჯახის გარეთ, 53,4% -ს მიაჩნია, რომ არ ეძებს, ხოლო სიტბოს ეძებს ოჯახშიც და ოჯახს გარეთაც 13,6%, პასუხი არ დააფიქსირა 0,8%-მა.

❖ ბენეფიციალთა 43,6% აღიარებს, თუ მშობლებისაგან მომორებით მოუწევს ცხოვრება, ეს მოვლენა უარყოფითად აისახება მის ცხოვრებაზე, 10,2%-ის ცხოვრებაში არაფეტი შეიცვლება, 31,2% უფრო თავისუფალი გახდება, არ იცის რა შეიცვლება 4,5%-მა, პასუხს თავი აარიდა 8,5%-მა.

❖ მოსწავლეთა 34,9 % ოცნებობს წარმატებულ პირად ცხოვრებაზე, ამათგან მშობელსმოკლებული 15 მოსწავლეა. ირგვლივ მყოფთა ბედნიერებაზე ოცნებობს 6,1%, (მშობელსმოკლებული 2 მოსწავლე), მატერიალურ კეთილდღეობაზე - 5,7% (მშობელსმოკლებული 0), სასურველი პროფესიის დაუფლებაზე - 21,8% (მშობელსმოკლებული 10), მოგზაურობა სურს 9,4% (მშობელსმოკლებული 4), კითხვაზე არ უპასუხა 10,2%-მა (მშობელსმოკლებული 1)

❖ მოსწავლეთა 86,8% თვლის, რომ მშობლებთან ურთიერთობა აძლევს მათ სულიერ ღირებულებებს (მშობელსმოკლებული 47), პასუხს თავი აარიდა ან უარყოფითი პასუხი გასცა 10,7%-მა (მშობელსმოკლებული 4), 2,5%-ს აძლევს მხოლოდ ფულსა და კეთილდღეობას (მშობელსმოკლებული - 3)

❖ კითხვაზე: როგორი მშობელი იქნება თვითონ, ბენეფიციართა 92,5% მიიჩნევენ (მშობელსმოკლებული 42), რომ კარგი მშობელი იქნება, ფინანსურად უზრუნველყოფს შვილებს 0,4% (მშობელსმოკლებული 0), მშობლების შეცდომებს არ გაიმეორებს 0,4% (მშობელსმოკლებული 1), 11,9% ისე გაზრდის შვილს, როგორც მას ზრდიან (მშობელსმოკლებული 3) და პასუხი არ დააფიქსირა - 5,2%-მა (მშობელსმოკლებული 8)

❖ მოსწავლეთა 39,5% თვლის, რომ კარგი დამოკიდებულება ექნება მშობლებთან 5 წლის შემდეგ (მშობელსმოკლებული - 24), უარყოფითი პასუხი მივიღეთ - 14,9%-ისაგან (მშობელსმოკლებული 4) , 26,7% თვლის, რომ არ შეიცვლება ურთიერთობა (მშობელსმოკლებული -16) , დამოუკიდებლად ყოფნა სურს 6,5%-ს (მშობელსმოკლებული 3), პასუხი არ დააფიქსირა 12,4%-მა (მშობელსმოკლებული 7).

როგორც კვლევამ გვიჩვენა, რესპოდენტთა უმრავლესობა მიიჩნევენ, რომ ბედნიერები არიან, როცა მშობლების გვერდით ცხოვრობენ. ისინი მუდმივად გრძნობენ ყურადღებას, თვითონაც ხალისიანი და მოსიყვარულეები, კომუნიკაბელურები, ნაკლებად აგრესიულები და მომავალზე ორიენტირებულები არიან, კარგად ფლობენ სოციალურ უნარებს, რის დეფიციტსაც განიცდიან უდედოდ გაზრდილი ბავშვები. მზრუნველობამოკლებულებს ახასიათებთ გრძნობათა პოლარულობა, ცვალებადობა. თუმცა არიან მათ შორის ოპტიმისტურად განწყობილებიც, რომლებიც კარგად აფასებენ რეალობას და თითქმის არაფერით ჩამორჩებიან მშობლების სიყვარულით განებივრებულ თანატოლებს.

კვლევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მონაწილეობა მიიღეს კლასის ხელმძღვანელებმაც.

❖ მათი 30% აღიარებს, რომ თუ მისი მოსწავლე მშობლის გარეშე იზრდება, ეს აუცილებლად აისახება სწავლის პროცესში. ფსიქოლოგების დახმარების საჭიროება მიუთითა 65%, პასუხი არ დააფიქსირა 5%-მა.

❖ ბენეფიციართა 75% აცხადებს, რომ ეს მოსწავლეები მშობლის გარდაცვალების ან საზღვარგარეთ წასვლის შემდეგ უფრო გულჩათხრობილები და აგრესიულები გახდნენ. 25% თვლის, რომ არაფერი შეცვლილა. კლასის ხელმძღვანელთა 45% მიიჩნევენ, რომ ასეთი მოსწავლეები უფრო ხშირად ავლენენ ნეგატიურ ქცევებს, 46 % თვლის, რომ პირიქით, არ ავლენენ ცუდ ქცევებს და ისინი მეგობრულებიც არიან, 9%-მა თავი აარიდა პასუხის გაცემას.

❖ კითხვაზე, რა ტიპის შენიშვნებს იმსახურებენ ასეთი მოსწავლეები უფრო ხშირად, გამოკითხულთა 60% თვლის, რომ ეს შენიშვნები დაკავშირებულია აკადემიურ მოსწრებასთან, 25% მიიჩნევენ, რომ მათ საყვედურობენ ცუდი ყოფაქცევისათვის, 15% თვლის, რომ ასეთი მოსწავლეები ნაკლებად იმსახურებენ შენიშვნებს.

❖ მუშაობენ თუ არა კლასის ხელმძღვანელები ინდივიდუალურად ასეთ მოსწავლეებთან, 85%-მა პროცენტმა დადებითი პასუხი დააფიქსირა. 15% აღიარებს, რომ ინდივიდუალური მუშაობა არ დასჭირვებია.

❖ რაც შეეხება მოტივაციის ხარისხს, 70% თვლის, რომ ამ მოსწავლეთა მოტივაცია განცხვავდება, 15% მიიჩნევს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში განსხვავდება, 15% აფიქსირებს, რომ არ განსხვავდება.

❖ კითხვაზე, რამდენად ხშირად ურთიერთობენ ასეთი ბავშვების ოჯახის წევრებთან, 40% აცხადებს, რომ იშვიათად. 60%- ხშირად.

❖ 75% -მა ანკეტაში ჩაწერა, რომ მისთვის დახმარების გასაწევად ხშირად მოუმართავს მზრუნველობამოკლებულ მოსწავლეს, 25% უარყოფით პასუხს იძლევა.

❖ ბენეფიციართა 90% აღიარებს, რომ სკოლებში არსებობს მშობლის გარეშე დარჩენილი მოზარდის პრობლემა, თუმცა ბევრი მოსწავლე ამას არ აღიარებს, გაურბის ამაზე საუბარს და ა.შ.

კლასის ხელმძღვანელთა პასუხებში აისახა, რომ მათ კარგად ესმით და იციან მიტოვებული და სოციალურად დაუცველი მოზარდების ფსიქიკა, მათი შინაგანი სამყარო, სწორად აანალიზებენ მოსწავლეთა ემოციური და ქცევითი აშლილობის მიზეზებს, რაც უდაოდ დასაფასებელია.

კვლევის საფუძველზე შეიძლება შევიმუშავოთ რეკომენდაციები:

1. სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ობოლ და სოციალურად დაუცველ ბავშვებს.
2. უნდა მოხდეს მშობლების მზრუნველობისა და პასუხისმგებლობის ამალგა, ისინი აქტიურად უნდა თანამშრომლობდნენ პედაგოგებთან
3. შეიცვალოს ასეთი ბავშვების მიმართ მიდგომები: სხვათა თანდასწრებით არ უნდა განვსაჯოთ, არ მოვახდინოთ მათი ბიოლოგიური და სოციალური გახლეჩა (სხიზი)
4. სასურველია პედაგოგთან დაამყაროს აბვივალენტური მიჯაჭვულობა (დაცულობა), უნდა დავეხმაროთ სოციალიზაციაში, ზნეობრივი ღირებულებების ორიენტირებასა და გადაფასებაში, უნდა ავუმადლოთ თანაგრძნობისა და სხვაზე ზრუნვის უნარი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯანა კახიანი; ბავშვის სამყარო: ფსიქოლოგის რჩევები მშობლებს . თბილისი „შემეცნება“ 2010 წ.
2. არნოლდ გეგეჰკორი; აზროვნების სათავეებთან. თბილისი, „ნაკადული“ 1982 წ.
3. რემი შოვერი; ფუტკრიდან გორილამდე. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“ 1977 წ.
4. როგორ ვიმუშაოთ პედაგოგიურ კვლევებზე და სასწავლო პროექტებზე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენინგის მასალები სქემაში ჩართული მასწავლებლებისათვის. თბილისი, 2012 წელი.

რეზიუმე

სტატიაში საუბარია მოსწავლეთა ფსიქოლოგიაზე, იმ ფაქტის ნეგატიური გავლენის შესახებ, როდესაც მათი მშობლები ხანგრძლივი დროით საზღვარგარეთ სამუშაოდ არიან წასული ან გარდაცვლილი. ამ საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით ჩატარდა კვლევა, რომელშიც მონაწილეობდა სამი საჯარო სკოლის 243 მოსწავლე და 20 კლასის ხელმძღვანელი. ანონიმური გამოკითხვის შედეგების შესწავლამ კომპეტენტური ფსიქოლოგის დახმარებით ცხადყო, რომ ჩვენი რეალური ცხოვრებისათვის არც თუ იშვიათი ფაქტების მიღმა პედაგოგებისა და საზოგადოებისათვის მტივინეული რეალობა დგას, რაც გასათვალისწინებელია სკოლაში ასეთ მოზარდებთან მუშაობაში.

Khatuna Kapanadze - Tkibuli Region Gelati Public School - the certified teacher of biology. Involved in the scheme.

An Abstract

In this Article we talk about the pupils psychology when their parents are in abroad for a long time and they work there or they are dead. We made a research about this problem, where took part two hundred forty three pupils from three public schools and twenty teachers. The result of anonymous research with help of competent psychologists made sure that behind these rare facts stand our teachers and society painful reality which is foreseen at school when we work with such adults.

Хатуна капанадзе - преподаватель, сертифицированный, включенный в схему, Гелатская публичная школа Ткибульского муниципалитета

В статье рассказано о проблеме школьников психологического характера, на которые негативно влияет тот факт, что их родители долгое время работают в других странах или умерли. Для изучения этой проблемы, было проведено исследование, в котором участвовало 243 школьника и 20 классных руководителей. В результате анонимного опроса под руководством компетентного специалиста по психологии, выяснили, что за множеством таких фактов стоит уязвимая проблема для педагогов и общества, которую необходимо предусматривать в работе с такими подростками в школе.

ელისო მაწკეპლაძე - სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათის საჯარო სკოლა, ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული, სქემაში ჩართული მასწავლებელი

ასმათ დათიაშვილი - სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათის საჯარო სკოლა, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული, სქემაში ჩართული მასწავლებელი

ყველა ბავშვს აქვს განათლების უფლება

კვლევა ჩავატარეთ სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათის საჯარო სკოლის მასწავლებლებმა, ელისო მაწკეპლაძემ და ასმათ დათიაშვილმა იმერეთის რეგიონის სხვადასხვა სკოლებში. ფაქტიურად, ეს გაგრძელებაა იმ კვლევისა, რომელიც განვახორციელეთ 2012 წლის მარტში.

კვლევის მიზანია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა საზოგადოებაში ინტეგრაციის, სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის დროს შექმნილი პრობლემების შესწავლა იმერეთის ზოგიერთ სკოლაში.

ჩვენი კვლევა ასახავს:

1. სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და პედაგოგების შეხედულებებს, მათ გამოცდილებას სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვასთან დაკავშირებით.

2. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებთან მუშაობის დროს წარმოშობილი პრობლემების გადაჭრის გზებზე რეკომენდაციების შემუშავება.

შერჩეული სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, მასწავლებლებს დაურიგდათ ანონიმური კითხვარები, რომლის საშუალებითაც, ჩავთვალეთ, რომ ბენეფიციარი პასუხების გაცემის დროს უფრო გულწრფელი იქნებოდა, თან დავზოგეთ დრო და შრომა მონაცემთა შესაგროვებლად.


2013 წლის მარტში ჩატარდა გამოკითხვა იმერეთის რეგიონის 4 სკოლაში ინკლუზიური განათლების საკითხებთან დაკავშირებით. მონაცემთა მოპოვება მოხდა ანკეტირების საფუძველზე. შემუშავდა ორი ტიპის კითხვარი სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგებისათვის. პირველ ანკეტაში აქცენტი გაკეთდა სკოლებში ინკლუზიური გარემოს შექმნის დროს წარმოშობილ პრობლემებსა და ადმინისტრაციის შესაძლო და რეალურ როლზე მათ გადაწყვეტაში, ხოლო მეორეში - პედაგოგების მოსაზრებებსა და ხედვაზე, მათ პრაქტიკასა და საჭიროებებზე.

ანკეტები მიეწოდათ აღნიშნული სკოლების ბენეფიციარებს. გამოკითხვა მიმდინარეობდა პარალელურად. სულ გამოიკითხა 7 ადმინისტრაციის წარმომადგენელი და 98 პედაგოგი. სამწუხაროდ, პედაგოგთა ნაწილმა თავი აარიდა კვლევაში მონაწილეობას.


ზოგადად ბევრს წერენ იმაზე, რომ თანამედროვე საზოგადოება ითავისებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის სპეციალური სწავლების საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განათლების ხელმისაწვდომობას.

კვლევაში მონაწილე სკოლები ინკლუზიური განათლების გამოცდილების მხრივ ერთმანეთისაგან განსხვავდება. ყველა სკოლას აქვს მეტ-ნაკლები გამოცდილება, მაგრამ ეს გამოცდილება არ ატარებს მთლიანად სასწავლო პროცესის სრული პრაქტიკის ხასიათს და ეყრდნობა მხოლოდ რომელიმე (საუკეთესო ვარიანტში - რამდენიმე) მასწავლებლის ადამიანურ ან პროფესიულ გამოცდილებას. აღნიშნულ სკოლებში ოფიციალურად ირიცხება 9 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე (ძირითადად შემდეგ შეზღუდვებს აქვს ადგილი: სმენადაქვეითებულობა, კოგნიტური, მეტყველებისა და ფიზიკური შეზღუდულობა). თუმცა მასწავლებელთა დიდი ნაწილი უჩივის იმას, რომ სკოლებში არსებობენ ისეთი შშმ მოსწავლეებიც, რომლებსაც არ აქვთ შეზღუდულობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მათ „უჭირთ“ მოსწავლეთა შშმ პირებად აღიარება. ამას აქვს სხვადასხვა მიზეზი, მაგრამ მათ შორის უმთავრესი კი ის არის, რომ სკოლა ცდილობს „თავი აარიდოს“ იმ პროცესებს, რომელიც სწორედ ამ სტატუსს მიანიჭებს შშმ მოსწავლეს.

სკოლის შშმ პირთათვის ხელმისაწვდომობას დადებითად აფასებს გამოკითხულ ბენეფიციართა 85%, დაახლოებით 8%-მა უპასუხოდ დატოვა კითხვა, 3%-მა მიიჩნია, რომ მათ სკოლაში შშმ მოსწავლეებისათვის არ არის ხელმისაწვდომი გარემო, 4% მიიჩნევს, რომ მეტ-ნაკლებადაა ხელმისაწვდომი. 1 ბენეფიციარი აფიქსირებს, რომ კანონმდებლობა და დირექცია არ აბრკოლებს, თუმცა ზოგიერთი მშობელი შშმ მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვას შეიძლება ნეგატიური განწყობით შეხვდეს.




ნაწილობრივ ადაპტირებულობაზე საუბრობს გამოკითხულთა 66%, 22%-ს მიაჩნია, რომ სკოლის გარემო საერთოდ არაა ადაპტირებული. სკოლებს ადაპტირებულად მიიჩნევს 6%, კითხვა უპასუხოდ დატოვა 6%-მა. როგორც მოველოდით, ადმინისტრაციის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მათი სასკოლო გარემო სრულად ადაპტირებულია.




ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ დადებით შეფასებას აძლევენ უპირატესად ისინი, ვინც ადაპტირების დასტურად მიიჩნევს პანდუსის არსებობას სკოლაში. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზოგიერთი ბენეფიციარი შესაძლებელია ვითარებას კრიტიკულად განიხილავდეს და ნაწილობრივ ადაპტირებასაც უარყოფითად აფასებდეს.


კითხვაზე: რა სჭირდება თქვენს სკოლას მოსწავლისათვის ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად, გამოკითხულთა 31% ასახელებს, რომ საჭიროა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რესურსები ესაჭიროება 19%-ს, სკოლაში შშმ მოსწავლეებთან ფსიქოლოგის დახმარებას საჭიროდ მიიჩნევს 8%, მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას მხარს უჭერს 28 %, სპეციალური ლიტერატურა ესაჭიროება 6%-ს, ხოლო 6% თვლის, რომ კეთილგანწყობილი გარემოს შესაქმნელად სკოლას სჭირდება სწორად შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. 2%-მა არ უპასუხა შეკითხვას.




გამოკითხულთა 26% მიიჩნევს, რომ შშმ მოსწავლეთათვის სასურველი გარემოს შექმნაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველამ (სამეურვეო საბჭომ, მოსწავლეთა თვითმართველობამ, ადმინისტრაციამ), 11%-ს მიაჩნია, რომ ეს სამეურვეო საბჭოსა და ადმინისტრაციის მოვალეობაა, 6% თვლის, რომ ამ საქმეზე უნდა იფიქროს სამეურვეო საბჭომ და მოსწავლეთა თვითმართველობამ, 27% -მა დააფიქსირა, რომ ეს მხოლოდ ადმინისტრაციამ უნდა მოაწესრიგოს, 21% თვლის, რომ ასეთი გარემოს შექმნაში მხოლოდ სამეურვეო საბჭო უნდა ჩაერთოს, 5% მიიჩნევს, რომ მოსწავლეთა თვითმართველობამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, 2 % თვლის, რომ ადმინისტრაცია და მოსწავლეთა თვითმართველობა შეუწყობს ხელს, უპასუხოდ დატოვა შეკითხვა 2%-მა.



კითხვაზე: მოითხოვს თუ არა თქვენგან ზედმეტ ძალისხმევას შშმ მოსწავლეებთან მუშაობა, ბენეფიციართა 82%-მა უპასუხა, რომ მოითხოვს. 10% -მა უპასუხა, რომ არა, ხოლო კითხვას არ უპასუხა 8%-მა.




გამოკითხულთა 51% საჭიროების შემთხვევაში იყენებს ინდივიდუალურ გეგმებს, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი უმრავლესობა აღიარებს, რომ ისგ-ის შედეგისას დაშვებულია ხარვეზები. 31% არ იყენებს, რადგან ამათგან დაახლოებით 1/2 არ ასწავლის შშმ მოსწავლეებს. უპასუხოდ დატოვა კითხვა 18%-მა.




ბენეფიციარებმა ინკლუზიური განათლების დანერგვის შესახებ ინფორმაცია მიიღეს ძირითადად ადმინისტრაციიდან, ინტერნეტიდან, ტრენინგებიდან. მეთოდური ლიტერატურა მათთვის ძირითადად ხელმიუწვდომელია.

კითხვაზე: რა არის იმისათვის საჭირო, რომ მასწავლებლები აქტიურად ჩაერთონ ინკლუზიური განათლების დანერგვაში, ბენეფიციართა 5%-მა განაცხადა, რომ ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული. კითხვას არ უპასუხა დაახლოებით 8%-მა. სხვა მასწავლებლები აღიარებენ, რომ ისინი განიცდიან ინფორმაციის ნაკლებობას. მათ მიჩნიათ, რომ საჭიროა:

1. მეთოდური ლიტერატურის ხელმისაწვდომობა და შესაბამისი ტრენინგები (51%),
2. ფსიქოლოგის კონსულტაცია (13%),
3. რესურსები (18%)
4. თანამშრომლობა და გამოცდილებათა გაზიარება (3%)
5. მოტივაცია და საქმის სიყვარული (2%)



ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის განკუთვნილ ანკეტაში დამატებული იყო დავალება, მათ უნდა შეეფასებინათ ათბალიანი სისტემით ინკლუზიური სწავლებისათვის მათი სკოლის პედაგოგიური კოლექტივის მზაობა. ჩვენდა გასაოცრად, მიუხედავად უამრავი პრობლემისა, დაიწერა 1 - ცხრიანი, 2 - რვიანი, 2 - შვიდიანი, ორმა ბენეფიციარმა არ უპასუხა შეკითხვას.



კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლებში უფრო მეტი პრობლემაა ინკლუზიური განათლების დანერგვასთან დაკავშირებით, ვიდრე ამას ხმამაღლა აცხადებენ. მოსაწესრიგებელია ინფრასტრუქტურა (პანდუსები, რესურსოთახი...), საჭიროა რესურსები, მასწავლებელთა გადამზადება (სკოლიდან რამდენიმე მაინც უნდა გადამზადდეს), ფსიქოლოგის ინსტიტუტის გაძლიერება და მათი ჩართვა სასწავლო პროცესში, მასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს სპეციალური ლიტერატურა და, კიდევ ერთი, უნდა ამოქმედდეს მექანიზმები, რომლებიც მასწავლებლის მოტივაციის ზრდას შეუწყობს ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. როგორ ვიმუშაოთ პედაგოგიურ კვლევებსა და სასწავლო პროექტებზე, სატრენინგო მასალა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2012 წელი
2. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ხუთი კატეგორია, კლასის მართვა, რობერტ ჯ. მარზანო, იანა ს. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი, 2009 წელი
3. ინკლუზიური განათლება, ცნებები და ტერმინები - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნულ-სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2011 წელი

რეზიუმე

მოსწავლეთა საზოგადოებაში ინტეგრაციის, სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის დროს შექმნილი პრობლემების გამოვლენა იმერეთის 4 სკოლის მაგალითზე.

კვლევა ასახავს სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და პედაგოგების შეხედულებებს, გამოცდილებას სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვასთან დაკავშირებით. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთან მუშაობის დროს წარმოშობილი პრობლემების გადაჭრის გზებზე რეკომენდაციების შემუშავება.

გამოკითხვა ჩატარდა ანონიმური კითხვარების გამოყენებით 2013 წლის მარტში. წინასწარ შემუშავდა ორი ტიპის კითხვარი სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგებისათვის. პირველ

ანკეტაში აქცენტი გაკეთდა სკოლებში ინკლუზიური გარემოს შექმნის პრობლემებსა და ადმინისტრაციის შესაძლო და რეალურ როლზე მათ გადაწყვეტაში, ხოლო მეორეში - პედაგოგების მოსაზრებებსა და ხედვაზე, მათ პრაქტიკასა და საჭიროებებზე.

სულ გამოიკითხა 7 ადმინისტრაციის წარმომადგენელი და 78 პედაგოგი. სამწუხაროდ, პედაგოგთა ნაწილმა თავი აარიდა კვლევაში მონაწილეობას.

კვლევაში მონაწილე სკოლები ინკლუზიური განათლების გამოცდილების მხრივ ერთმანეთისაგან განსხვავდება. ყველა სკოლას აქვს მეტ-ნაკლები გამოცდილება, მაგრამ ეს გამოცდილება არ ატარებს მთლიანად სასწავლო პროცესის სრული პრაქტიკის ხასიათს და ეყრდნობა მხოლოდ რომელიმე (საუკეთესო ვარიანტში - რამდენიმე) მასწავლებლის ადამიანურ ან პროფესიულ გამოცდილებას. აღნიშნულ სკოლებში ოფიციალურად ირიცხება 9 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე (ძირითადად შემდეგ შეზღუდვებს აქვს ადგილი: სმენადაქვეითებულობა, კოგნიტური, მეტყველებისა და ფიზიკური შეზღუდულობა). თუმცა მასწავლებელთა დიდი ნაწილი უჩივის იმას, რომ სკოლებში არსებობენ ისეთი შშმ მოსწავლეებიც, რომლებსაც არ აქვთ შეზღუდულობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მათ „უჭირთ“ მოსწავლეთა შშმ პირებად აღიარება.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლებში უფრო მეტი პრობლემაა ინკლუზიური განათლების დანერგვასთან დაკავშირებით, ვიდრე ამას ხმამაღლა აცხადებენ. მოსაწესრიგებელია ინფრასტრუქტურა (პანდუსები, რესურსთახი...), საჭიროა რესურსები, მასწავლებელთა გადამზადება (სკოლიდან რამდენიმე მაინც უნდა გადამზადდეს), ფსიქოლოგის ინსტიტუტის გაძლიერება და მათი ჩართვა სასწავლო პროცესში.

Eliso Matskepladze - Tkibuli Region Gelati Public School - the certified teacher of Georgian language and literature. Involved in the scheme.

Asmati Datiashvili - Tkibuli Region Gelati Public School - the certified teacher of English language and literature. Involved in the scheme.

An Abstract

The aim of our research is disabled students' integration in a society and identification of those problems, that appear in the process of inclusive teaching implementation. The research is based on the example of 4 schools in Imereti region.

The survey reflects the views of teachers and school administration representatives, the experience of the implementation of inclusive education in schools.

According to the results of the research it may be possible to find the recommendations for those problems that appear during the working process with disabled students.

The survey was conducted by using anonymous questionnaires in March 2013. Two types of questionnaires were developed for the school administration and teachers.

The first questionnaire was focused on problems of creating an inclusive environment in schools, and the role of administration in the process of problem solution. The second one was focused on the teachers' views and vision, their practices and need.

The total number of interviewed people was the following: 78 teachers and 7 administration representatives. Unfortunately some teachers refused to participate in the survey.

According to their practices of inclusive teaching, schools participating in the research differ from each other.

Every school has its own experience, but this experience is not based on the practice of whole educational process but on professional experiences of the individual teachers. The schools officially have 9 students with disabilities. (Mostly following restrictions occur: (problems with talking or hearing, cognitive and physical disabilities). However, the majority of teachers complain that there are schools with disabled

children who do not have the documents, and it is difficult for them to recognize such students as “disabled students”.

The survey revealed that schools have more problems in the process of inclusive teaching than they say it out loud.

Infrastructure should be managed (special resource rooms ...), resources are needed for teachers as well. Some of them should be trained to have enough information how to work with disabled students. To develop or make stronger Psychological Institute, and to involve them in the learning process.

Элисо Мацкепладзе –преподаватель грузинского языка и литературы, сертифицированный, включенный в схему, Гелатская публичная школа Ткибульского муниципалитета.

Асमत Датиашвили – преподаватель английского языка и литературы, сертифицированный, включенный в схему, Гелатская публичная школа Ткибульского муниципалитета.

Р Е З Ю М Е

Наша работа – это исследование, цель которого интеграция учащихся с ограниченными способностями, выявление, на примере четырех имеретинских школ, проблем инклюзивного образования, возникших во время его внедрения в школах.

Исследование отображает взгляды педагогов, представителей школьной администрации; опыт, полученный в связи с внедрением в школах инклюзивного образования.

Опираясь на результаты исследования, появилась возможность решения проблем, возникших во время работы с учащимися ограниченных способностей.

Опрос проходил с помощью анонимного анкетирования в марте 2013 года.Заранее было разработано 2 типа анкеты – для администрации и педагогов школы в отдельности.В первой анкете акцент падал на реальную и возможную роль администрации в создании в школе среды ,необходимой для решения проблем инклюзивного образования, а во второй – на мнение и видении педагогов, их практике и необходимости.

Быдо опрошено 7 представителей администрации и 78 педагогов. К сожалению, часть педагогов не пожелала и воздержалась от участия в опросе.

Опыт работы по вопросу инклюзивного образования в школах, принимающих участие в опросе.отличается друг от друга. Каждая школа имеет более или менее опыта работы, но он не носит характер практики полного учебного процесса, а опирается лишь на некоторых (лучший вариант - нескольких) человеческих или профессиональных опытах учителя.

В отмеченных школах числится 9 учащихся с ограниченными способностями (в основном такие ограничения - глухота, немота, когнитивность, ограниченность речи). Но преподаватели жалуются, что в школе есть и такие учащиеся, которые не имеют документа ограниченности, и их трудно признавать учащимися с ограниченными способностями.

Результаты исследования выявили,что в школах проблем с внедрением инклюзивного образования наблюдается больше, чем об этом говорится. Необходимо привести в порядок инфраструктуру (пандусы, ресурсклассы...), нужны ресурсы, переподготовка преподавателей (по несколько из каждой школы), укрепление института психологии и их подключение в учебный процесс.

მანანა ქარქაშაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ადაპტაციის პრობლემის საკითხები

თანამედროვე ადამიანს უწევს ერთდროულად რამოდენიმე გარემოში ცხოვრება, რომელთაც თავისი ღირებულებები და შესაძლებლობები აქვთ. ეს შესაძლებლობები ადამიანის ცხოვრების პირობებს უმეტესწილად აყალიბებენ. ბუნებრივია, მათი სიმრავლე სტრესების, კონფლიქტური და პრობლემური სიტუაციების მიზეზი შეიძლება გახდეს. ასეთი სიტუაციების არსებობა, როგორც თითოეული ადამიანისათვის, ისე საზოგადოებისათვის სახიფათოა. როგორც ვიცით, თანამედროვე განათლება ითვალისწინებს არა წარსულის, არამედ მომავლის პრობლემების გადაწყვეტას. განათლების სისტემის ძირითადი ამოცანა მომავალზე ორიენტაციაა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ადამიანის ცხოვრებისა და პროფესიული მოღვაწეობისათვის დროული მომზადება, რაც სხვადასხვა გარემოსადმი ადაპტაციასაც გულისხმობს.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრესის შეჩერება შეუძლებელია და სამყაროს განვითარება სრულებით არ ითვალისწინებს ცალკეული ადამიანის ნება სურვილს, ამიტომ აუცილებელია არსებულ და მოსალოდნელ ცვლილებებთან ადაპტაცია და აღნიშნულ პრობლემაზე ყურადღების გამახვილება, რადგან პრაქტიკა აჩვენებს, რომ მოზარდებში ადაპტაციის პრობლემა არსებობს და აუცილებელია ამ კომპეტენციის თავიდანვე განვითარება, რათა ფორმალური სტადიაზე შეძლონ რთული და დახვეწილი სქემების პოვნა პრობლემური სიტუაციების გადასაჭრელად.

გავიხსენოთ, რომ კონფლიქტური და პრობლემური სიტუაციების დაძლევის, მოგვარების პროცესი წარმოადგენს პიროვნების სოციალურ ფსიქოლოგიურ ადაპტაციას. ამ პროცესში იგი სხვადასხვა ეტაპებზე შეძენილი უნარ-ჩვევებისა და ქცევის მექანიზმებს იყენებს ან ქცევისა და პრობლემების გადაწყვეტის ახალ ხერხებს, შიდაფსიქიკური პროცესების ახალ პროგრამებსა და გეგმებს პოულობს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს პროცესი, საკმაოდ რთულია, რადგან აქ იგულისხმება არა ერთი, არამედ ორი და მეტი სოციალური გარემოსადმი ადაპტაცია. ამაში მონაწილეობა უნდა მიიღოს განათლების სფერომ. რა თქმა უნდა სოციალურ-ფსიქოლოგიური ადაპტირებულობა გულისხმობს პიროვნების ნაყოფიერ მოღვაწეობას თავის საქმიანობის სფეროში ხანგრძლივი გარე და შიდა კონფლიქტების გარეშე. ადაპტაცია კი ისეთი სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესია, რომელსაც პიროვნება ადაპტირებულობის მდგომარეობისაკენ მიჰყავს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ცალკეულ გარემოში ადაპტაციური პროცესები განსხვავებულად წარიმართება, ამიტომ სხვადასხვა გარემოსადმი ერთდროული ადაპტაცია რთული პროცესია. შევეხოთ ნორმალური და დევიანტური ადაპტაციის პროცესებს. ნორმალური ადაპტაცია პიროვნების ადაპტაციის ისეთი პროცესია, რომელსაც იგი მისი სტრუქტურების პათოლოგიური ცვლილების გარეშე მდგრადი ადაპტირებისაკენ მიჰყავს და იმავდროულად, არ ირღვევა იმ სოციალური ჯგუფის ნორმები, რომელშიც პიროვნების აქტიურად მოღვაწეობს.

პიროვნების ნორმალური სოციალურ-ფსიქოლოგიური ადაპტაცია ორი სახისაა დამცავი და არადამცავი. ნორმალურ დამცავ ადაპტაციასთან გვაქვს საქმე, როდესაც პიროვნება იყენებს ისეთ ცნობილ დამცავ მექანიზმებსა და მოქმედებებს როგორცაა აგრესია, პროექცია, რაციონალიზაცია და სხვა. ეს მექანიზმები პათოლოგიური არ უნდა გახდეს.

არადამცავი ადაპტური პროცესები იმით გამოირჩევა, რომ ისინი არაფრუსტირებულ პრობლემურ სიტუაციებში იწყება, რომელიც პიროვნებისაგან რაციონალურ გადაწყვეტილებებს მოითხოვენ. ეს პროცესები ცნობილი დამცავი მექანიზმების მონაწილეობის გარეშე ხორციელდება. არაფრუსტირებული პრობლემური სიტუაციების პირობებში ადაპტირებულობის მისაღწევად პიროვნების შემეცნებითი პროცესები გამოიყენება, მიზნების ჩამოყალიბებისა და მიღწევის პროცესები, ჯგუფური სოციალურ ფსიქოლოგიური მექანიზმები და ამოცანათა გადაწყვეტილებები, სოციალური დათმობის სხვადასხვა ფორმა (კერძოდ, კონფორმული ქცევის ფორმა, ოღონდ დამცავი მექანიზმების მიზიდვის გარეშე), ურთიერთობისა და ინფორმაციის გაცვლის ინდივიდუალური ცხოვრებისეული გამოცდილების ინტელექტუალიზაციის პროცესები და სხვ. როგორც ამ მოკლე

ჩამონათვალიდან ჩანს არადამცავი ადაპტური მექანიზმები დიდი მრავალფეროვნებითა და მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა.

დევიანტური ადაპტაცია პიროვნების სოციალური ადაპტაციის ისეთი ფორმაა, რომელიც მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მოცემულ ჯგუფში ან სოციალურ გარემოში უზრუნველყოფს მაშინ, როდესაც ამ კონკრეტული პიროვნების ასეთი ქცევა სოციალური პროცესის დანარჩენ მონაწილეთა იმედებს არ ამართლებს.

განვიხილოთ დევიანტური ადაპტაციის ორ ჯგუფი არაკონფორმისტულ და ნოვატორულ (ინოვაციური, შემოქმედებითი) ადაპტაცია. არაკონფორმისტული ადაპტაციის შემთხვევაში პიროვნება შიდაჯგუფურ პრობლემურ სიტუაციას ძლევს ამ ჯგუფის წევრებისათვის უჩვეულო ხერხებითა და გზებით. ამის შემდეგ პიროვნება ჯგუფის ნორმების და მისი წევრების მიმართ კონფლიქტურ დამოკიდებულებაში აღმოჩნდება.

დევიანტური ადაპტაციის მეორე და ძალიან მნიშვნელოვანი სახესხვაობა ინოვაციური (ნოვატორული) ან შემოქმედებითი ტიპის ადაპტაციაა. იგი იმით ხასიათდება რომ მისი მიმდევრობის დროს ახალი ფასეულობანი იქმნება, მაგალითად მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგების განახლება ხორციელდება.

არსებობს აგრეთვე ე.წ პათოლოგიური ადაპტაცია. ეს ისეთი სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესია, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ცქვევის პათოლოგიური მექანიზმებისა და ფორმების დახმარებით ხორციელდება. ასეთი ადაპტაცია ხასიათის პათოლოგიური კომპლექსების წარმოქმნას იწვევს, რომლებიც ნევროტიულ და ფსიქოტიულ სინდრომებს განეკუთვნებიან. ასეთი ადაპტაცია შეიძლება არსებობდეს და არსებობს კიდევ, მაგრამ თუ იგი ადაპტაციის ყველა სხვა ტიპს აღემატება მაშინ საზოგადოება ჯანმრთელად ვერ ჩაითვლება.

ნორმალური და დევიანტური ადაპტაციის შედარების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სოციალურ-დემოკრატიული გარემოსთვის უფრო მეტად ნორმალური სოციალურ-ფსიქოლოგიური ადაპტაცია უნდა იყოს დამახასიათებელი. ბუნებრივია, რომ ამავე დროს უპირატესად არადამცავი ადაპტაციური პროცესები განხორციელდება. ასეთი პროცესები პიროვნების მიერ რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებას ემყარება. ასეთი გადაწყვეტილებების მიღების პირობები შესაძლებელია და სელსაყრელია შედარებით ნელაცვლად და პროგნოზირებად სოციალურ-დემოკრატიულ გარემოში. ამ გარემოსთვის უფრო ინოვაციური ტიპის დევიანტური ადაპტაციაა დამახასიათებელი, სოციალურ - დემოკრატიულ გარემოში მიმდინარე ადაპტაციური პროცესების გათვლა და პროგნოზირება შესაძლებელია. ადაპტაცია შეიძლება ისეთივე მოულოდნელი იყოს, როგორც ნებისმიერი შემოქმედებითი პროცესი, ამიტომ პიროვნებას უნდა შეეძლოს ადაპტაციის სხვადასხვა მექანიზმების გამოყენება.

დღევანდელ სამყაროში ადაპტაციური პროცესები სოციალურ სისტემებსა და არეებში მიმდინარეობს და ეს სისტემები ცოცხალი ადამიანები, სოციალური ჯგუფები და სახელმწიფოებია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკმაოდ პრობლემური საკითხია. ვფიქრობ, პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა საგანმანათლებლო პროცესში სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენებაა. სასწავლო პროცესში ისეთი აქტივობებისა და სტრატეგიების გამოყენება, რომელიც განუვითარებს მოზარდს საჭირო უნარ-ჩვევებს, კომპეტენციებს. ინტერპერსონალური კომპეტენციები თავისთავად გულისხმობს ადაპტაციის საკითხებს.

ადაპტაციის პროცესებს შორის არსებული განსხვავებანი პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური ადაპტაციისადმი სხვადასხვა მიდგომას მოითხოვს. სირთულე ის არის, რომ ყველა პიროვნება ერთიან სამყაროში ცხოვრობს და ამიტომ მან ყველა პირობასთან ადაპტირება უნდა მოახერხოს, მათ შორის ისეთებთან, რომლებიც სხვადასხვა გარემოსათვისაა დამახასიათებელი და ფრიად წინააღმდეგობრივია. ასეთი ადაპტაციის მექანიზმები კი, შესაძლოა, ერთმანეთისგან სრულებით განსხვავებული იყოს, ნორმალური და დევიანტური ადაპტაციის ერთდროულად გამოყენება მხოლოდ ადამიანთა ძალიან შეზღუდული წრისათვის არის შესაძლებელი. სხვადასხვა ადაპტაციური მექანიზმის გამოყენებით ადაპტაციის მცდელობამ ზოგჯერ შეიძლება ახალი კონფლიქტური სიტუაციები წარმოქმნას და პათოლოგიური ადაპტაციური პროცესები გამოიწვიოს.

პრობლემის მოგვარება პიროვნების მიერ შეძენილ უნარ-ჩვევებზეა დამოკიდებული, რომელსაც იგი გამოიმუშავებს სხვადასხვა ეტაპზე.

აღნიშნული უნარ-ჩვევები მოზარდს ადრეული ასაკიდან უნდა განუვითარდეს და ჩამოუყალიბდეს, რაც გულისხმობს მოსწავლის აზროვნების, შემეცნებითი თუ განსჯითი უნარებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარების გზით პიროვნების ეფექტური სოციალურ-ფსიქოლოგიური ადაპტაციის უზრუნველყოფას, რაც დაეხმარება მათ ქცევისა და პრობლემების გადაწყვეტის ახალ ხერხებსა, შიდაფსიქიკური პროცესების ახალ პროგრამებსა და გეგმების პოვნაში. ვეთანხმები რა, ფსიქოლოგ ლევ ვიგოტსკის მოსაზრებას, რომ საზოგადოება და კულტურა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოზარდის კოგნიტურ განვითარებას, ავლნიშნავ, რომ კულტურისა და განათლების დონის ამდლებით მიიღწევა სოციალურ-ფსიქოლოგიური ადაპტაციის პროცესის ეფექტურობის უზრუნველყოფა.

ლიტერატურა:

1. გოჩა ჩოგოვაძე. ინფორმაცია, თბილისი. 2003.
2. http://www.unideusto.org/tuningeu/images/stories/documents/General_Brochure_Georgian.pdf

რეზიუმე

თანამედროვე ადამიანს უწევს ერთდროულად რამოდენიმე გარემოში ცხოვრება, რომელთაც თავისი ღირებულებები და შესაძლებლობები აქვთ. აუცილებელია ადამიანის ცხოვრებისა და პროფესიული მოღვაწეობისათვის დროული მომზადება, რაც სხვადასხვა გარემოსადმი ადაპტაციასაც გულისხმობს. პრაქტიკა აჩვენებს, რომ მოზარდებში ადაპტაციის პრობლემა არსებობს და აუცილებელია ამ კომპეტენციის თავიდანვე განვითარება, რათა ფორმალუროპერაციულ სტადიაზე შეძლონ რთული და დახვეწილი სქემების პოვნა პრობლემური სიტუაციების გადასაჭრელად. ადაპტაცია შეიძლება ისეთივე მოულოდნელი იყოს, როგორც ნებისმიერი შემოქმედებითი პროცესი, ამიტომ პიროვნებას უნდა შეეძლოს ადაპტაციის სხვადასხვა მექანიზმების გამოყენება. ვფიქრობ, პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა საგანმანათლებლო პროცესში სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენებაა. სასწავლო პროცესში ისეთი აქტივობებისა და სტრატეგიების გამოყენება, რომელიც განუვითარებს მოზარდს ამ მხრივ საჭირო უნარ-ჩვევებს, კომპეტენციებს. კულტურისა და განათლების დონის ამდლებით მიიღწევა სოციალურ-ფსიქოლოგიური ადაპტაციის პროცესის ეფექტურობის უზრუნველყოფა.

Manana Qarqashadze. Professor.

adaptation problem

Resume

Contemporary people live in an environment with several of its values and capabilities. Early preparation is essential for human life and professional activities, as well as various environmental adaptation. The practice shows that there is an adaptation problem within adolescents, and it is necessary to adjust the initial development of competence in order to be able to stage a complex and find useful solutions to problem at the formal operational level. Adaptation can be just as surprised as any creative process, so the person should be able to adjust different mechanisms. I think one solution of the problem in educational process is to use different methodologies. Activities and strategies used in the learning process, which is necessary to develop adult's skills and competencies. Culture and education level reached by the social – psychological makes adaptation process effective.

Манана Каркашадзе. Профессор.

проблемы адаптацию

Резюме

Современные люди живут в разнообразной среде с несколькими со своими ценностями и возможностями. Ранняя подготовка имеет важное значение для адаптации и профессиональной деятельности в жизни человека. Практика показывает, что есть у подростков есть проблемы в адаптации, и это необходимо урегулировать на начальной стадии развития и обучения, чтобы они могли создавать усовершенствованные схемы для решения проблемных ситуаций на формальнооперативной стадии развития. Адаптация может быть столь же творческой, как и любой творческий процесс, поэтому человек должен уметь приспосабливаться к различным механизмам. Я думаю, что выход один - использовать образовательный процесс и различные методики. Активности и стратегии, используемые в процессе обучения, необходимы чтобы развивать навыки и компетенций. Культура и образование человеку помогает в достижении эффективного процесса в социально-психологической адаптации.

რობერტ გოლეთიანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

შემეცნებითი მსჯელობის და ღირებულების ურთიერთმიმართების საკითხი სწავლებისათვის (ზოგიერთი ასპექტი)

შემეცნება ადგენს ფაქტობრივ ვითარებას ისე, რომ მასში არ ჩანს სუბიექტის დამოკიდებულება საგნისადმი. ყოველივე შემეცნების უპირველესი პირობაა. შემეცნებაში მოცემულია საგანი. მისგან განსხვავებით შეფასებაში საგნისადმი სუბიექტის დამოკიდებულებაა გამოთქმული. ამ შემთხვევაში ფაქტობრივობა მეორე რიგშია გადაწეული და უმთავრესს წარმოადგენს თუ როგორია საგანი. სუბიექტისათვის შეფასების საგანი ღირებულია ანუ ჩვენ ადამიანები არ ვაფასებთ ისეთს, რაც არ არის ღირებული. არუნდა წარმოვიდგინოთ რომ ყოველი შეფასებული დადებითია, იგი შეიძლება იყოს უარყოფითი, თუმცა ან ერთი, ან მეორე მიმართულებით რაკი ის ფასდება ე.ი. ღირებულია.

მსჯელობა, რომელსაც სუბიექტი გამოთქვამს, რასაც იგი მიაწერს საგანს ღირებულის განზომილება აქვს, რაშიდაც გამოხატულია სუბიექტის დამოკიდებულება საგნისადმი. როცა დგინდება, რომ სუბიექტს მოსწონს K, მსჯელობა K-არის კარგი არსებითად გაბსხვავდება მსჯელობისაგან, D - არის ჭეშმარიტი. პირველ შემთხვევაში სუბიექტის მოწოდებაა K - სადმი, როდესაც არ არის გათვალისწინებული სუბიექტის დამოკიდებულება საგნისადმი. ე.ი. დამოკიდებულება არც მსჯელობაა და არც შინაარსის ნაწილი.

შემეცნებითი მსჯელობით გამოითქმება ჭეშმარიტება, ხოლო ღირებულების მსჯელობით ღირებულება. როგორც ვხედავთ ორი განსხვავებული ტიპის მსჯელობა იკვეთება, ესენია ჭეშმარიტებისა და ღირებულებისა, თითოეულს განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ.

ჭეშმარიტება არ არსებობს უსუბიექტოდ. რაკი ვაღიარებთ, რომ ჭეშმარიტება არის ჩვენი ცხოვრების გარკვეული შინაარსი, მისი არსებობა განუყრელია სუბიექტისაგან ასეთ შემთხვევაში აუცილებლად იგულისხმება პირველისა და მეორის ურთიერთ კავშირი, უფრო სწორად პირველი ითვალისწინებს (გულისხმობს) მეორეს. მაგალითისათვის შეიძლება ასეთი მინიშნება გავაკეთოდ: ხომ ფაქტია რომ სხეული სითბოსაგან გაფართოვდება რაც ჭეშმარიტებაა, მიუხედავად იმისა სუბიექტი აღიარებს თუ არა ჭეშმარიტება აზრობრივი ვითარებაა და არა საგნობრივი და იგი არარსებობს სუბიექტის გარეშე. ჭეშმარიტი მაშინ არის ჭეშმარიტი, როცა იგი სუბიექტის ცნობიერებაში წარმოდგენილია გარკვეული შინაარსის სახით.

ვმსჯელობთ რა ღირებულზე უნდა გვახსოვდეს, რომ ღირებულება არსებობს სუბიექტის გარეშე, ანუ ღირებული ყოველთვის ღირებულია. იგი ვინმესთვის არის თუ - ვინმეს გარეშე.

არასწორია ჭეშმარიტებისა და ღირებულების იგივეობის მოსაზრება, ეს მხოლოდ მოჩვენებითია, ხოლო მათი განსხვავება შინაგანი და არსებითია. ღირებულება ყოველთვის შეფასებაში გამოითქმება. გამოთქმის სხვა ფორმა მას არ აქვს, ჭეშმარიტება რომ ღირებულება ყოფილიყო, მაშინ ჭეშმარიტების გამოთქმა შეფასება იქნებოდა, რაც ჭეშმარიტების ცნებასთან წინააღმდეგობრივია. ჭეშმარიტება ეს ობიექტური ვითარების ობიექტური ასახვაა.

ჭეშმარიტება არ არის თვითონ ღირებულება. მისი თვითონ ღირებულება და თვითონ ჭეშმარიტება ორი განსხვავებული რამაა. ჭეშმარიტება კი არ არის ღირებულება, არამედ მას აქვს ღირებულება, პირველ რიგში კი შემეცნებითი ღირებულება. ჭეშმარიტი აზრი ღირებულია იმიტომ, რომ ის ჭეშმარიტია. რაკი ჩვენ ვმსჯელობთ ჭეშმარიტების ღირებულებაზე ე.ი. ჩვენ მას ვაფასებთ ე.ი. ჭეშმარიტება ამ შემთხვევაში შეფასების ობიექტია.

ღირებულებით ჭეშმარიტება უფრო მაღლა დგას, ვიდრე სხვა ობიექტი, თუმცა როგორც შეფასების საგანი ის ისეთივეა. ე.ი. გამოდის, რომ ჭეშმარიტება, ჭეშმარიტი მსჯელობა არის ღირებულების მატარებელი და არა თვითონ ჭეშმარიტება. ჭეშმარიტი მსჯელობა ფაქტის დესკრიფციაა, რაც მას არსებითად განასხვავებს ღირებულების მსჯელობისაგან.

ყურადსაღებია შემეცნებისა და ღირებულების მსჯელობის ურთიერთობა რაც ხშირად არასწორად გაიგება. მაგალითისათვის აქსიოლოგიისა და გნოსეოლოგიის გაგებათა ურთიერთ მიმართებაა. რიკერტის შემეცნებითი თეორიით ჭეშმარიტება მსჯელობის ღირებულებასთან არის გაიგივებული, მასთან შემეცნების თეორიის ძირითადი პრობლემა - ეს შემეცნების საგნის პრობლემაა, რაც შემდეგნაირად ყალიბდება: საგანი, რომ მეცნიერული შემეცნების საგანს წარმოადგენდეს, ობიექტური უნდა იყოს. ამიტომ შემეცნების შესაძლებლობის გარკვევა გულისხმობს იმის გარკვევას, თუ როგორი არის ე.ი. სუბიექტისაგან დამოუკიდებელი შემეცნების საგანი.

შემეცნება მსჯელობებში მდგომარეობს და მსჯელობების გზით ხორციელდება. მსჯელობას რომ ჰქონდეს ლოგიკური აზრი, მასში მტკიცება ან უარყოფა უნდა იყოს. მტკიცება და უარყოფა რიკერტის აზრით ღირებულებითი დამოკიდებულებაა. როდესაც ვმსჯელობთ „ვამტკიცებთ ან უარყოფთ, რაიმე არ მოგვწონს ანდა პირიქით - მოგვწონს, მისკენ მივდივართ, ანდა ვშორდებით. ე.ი. მსჯელობაში გამოთქმულია რაიმესადმი პრაქტიკული დამოკიდებულება“. როცა მსჯელობასთან დაკავშირებულია მოწონება ან დაწუნება, ასეთ ნიუანსებს ადგილი აქვს ყველა დროისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება თვითნებობა იყოს მსჯელობით გამოთქმული მტკიცება ან უარყოფა. სუბიექტი მატარებელია გრძნობის რაც შეიძლება იყოს დარწმუნებულობის გრძნობა ან ასე შეიძლება ეწოდოს მას, მან კი რაიმე შეიძლება ამტკიცოს ან უარყოს.

აღნიშნულთან ერთად შენარჩუნებულია განსხვავების აღიარება ჭეშმარიტსა და ღირებულებას შორის, თვით რიკერტის შეხედულების წინააღმდეგაც. შემეცნებითი მსჯელობის ბუნების დანახვა მის ღირებულებაში მოასწავლებს ორი სხვადასხვა ცნების აღრევას. კერძოდ ის, რომ გნოსეოლოგიის ძირითადი ცნებაა ჭეშმარიტება და არა ღირებულება, რომელიც საერთოდ არ არის გნოსეოლოგიის კატეგორია.

აუცილებელ ყურადღებას იმსახურებს აზრი იმის შესახებ, რომ შემეცნების საგანი მხოლოდ ობიექტური შეიძლება იყოს, რაც სწორია და ისიც სწორია, რომ შემეცნება მსჯელობაში მდგომარეობს, რომლისთვისაც დამახასიათებელია მტკიცება ან უარყოფა. რიკერტთან არ ირკვევა ეს მომენტი, ვინაიდან მტკიცების, ან უარყოფის დროს სუბიექტმა შეიძლება გამოხატოს თავისი პიზიციაც, მოიწონოს, ან დაიწუნოს იგი, თუმცა აქედან არ გამომდინარეობს ის, რომ მსჯელობის ჭეშმარიტებისათვის მოწონებას, ან დაწუნებას რაიმე - მითუმეტეს არსებითი მნიშვნელობა აქვს. მსჯელობა თავისთავად ჭეშმარიტია დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორია სუბიექტის მიმართულება მსჯელობის საგნისადმი.

ჭეშმარიტების მოთხოვნა ობიექტური შინაარსის მქონე მსჯელობის მოთხოვნაა, რაც ოდნავადაც არ ითვალისწინებს სუბიექტის მიმართულებას საგნისადმი, იმას თუ რა ღირებულება აქვს საგანს სუბიექტისადმი, მოსწონს თუ იწუნებს, ჭეშმარიტი მსჯელობის მოთხოვნით სუბიექტი თავის პოზიციას გამოხატავს, ეს უკანასკნელი კი მოთხოვნის გამომხატველი მსჯელობის (იმპერატივის) შინაარსის ნაწილია. მაშასადამე „უნდას“ აღიარება ღირებულების მსჯელობა იქნება და არა ჭეშმარიტება, და არა შემეცნებითი მსჯელობა.

ღირებულების მსჯელობა არ უნდა დავიყვანოთ შემეცნებით მსჯელობაზე, რადგანაც ადამიანის ინტერესები მხოლოდ შემეცნებას არ ემყარება. ეს რომ ასე იყოს მაშინ ყველა სადაო საკითხი მორალური ღირებულების შესახებ შემეცნების გზით გადაწყდებოდა.

ჩვენს მიერ განხორციელდა ცდა, რომ მოგვეწოდებინა ღირებულისა და შემეცნებითი მსჯელობის ურთიერთმიმართების ზოგიერთი ასპექტი და მივსულიყავით დასკვნამდე, რომ ღირებულების მსჯელობა არსებითად განსხვავდება შემეცნებითი მსჯელობისაგან, რითაც გამოითქმება ჩვენი ცნობიერების ჭეშმარიტი შინაარსი. ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ შემეცნებითი და ღირებულების მსჯელობა არამარტო განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მათ შორის შინაგანი კავშირი არ შეიძლება არსებობდეს. მორალურ მსჯელობასა და შემეცნებით მსჯელობას შორის არ არის აბსოლიტური ზღვარი. შემეცნებითი მსჯელობა წარმოადგენს ღირებულების არამარტო აუცილებელ წანამძღვარს არამედ მისი მნიშვნელობის ნაწილსაც. ღირებულების მსჯელობა ეს არის ინფორმაცია ფაქტობრივი ვითარების შესახებ, რაც მიგვანიშნებს, რომ შეცდომა იქნება წარმოვიდგინოთ ღირებულები მსჯელობისა და შემეცნებითი მსჯელობის აბსოლუტური დაპირისპირება.

აღნიშნულ მსჯელობათა ურთიერთმიმართების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადამიანის, როგორც მოაზროვნე არსების ღირებულებითი დამოკიდებულება სინამდვილისადმი, ეს არის თავისებური, შემეცნებისაგან განსხვავებული დამოკიდებულება, რაც ცალკე კვლევას განეკუთვნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის ანთოლოგია, II ტომი, I ნაკვეთი თბ. 2002 წ.
2. ო. ბაკურაძე - ПРИРОДА МОРАЛЬНОГО СУЖДЕНИЯ ТВИЛИСИ 1982Г.
3. გ. მახარაძე - XX საუკუნის 10 ქართველი ფილოსოფოსი ბათუმი - 2009 წ.

რეზიუმე

მსჯელობა რომელსაც სუბიექტი გამოთქვამს, რასაც იგი საგანს მიაწერს ღირებულის განზომილება აქვს, რაშიდაც გამოხატულია სუბიექტის დამოკიდებულება საგნისადმი, როცა დგინდება, რომ სუბიექტს მოსწონს K, მსჯელობა K არის კარგი არსებითად განსხვავდება მსჯელობისაგან. D - არის ჭეშმარიტი.

ჭეშმარიტება არის ჩვენი ცნობიერების გარკვეული შინაარსი, მისი არსებობა განუყრელია სუბიექტისაგან. ასეთ შემთხვევაში აუცილებად იგულისხმება პირველისა და მეორის ურთიერთ კავშირი, უფრო სწორად პირველი ითვალისწინებს (გულისხმობს) მეორეს.

არასწორია ჭეშმარიტებისა და ღირებულების იგივეობის მოსაზრება, ეს მხოლოდ მოჩვენებითია, ხოლო მათი განსხვავება შინაგანი და არსებითია. ღირებულება ყოველთვის შეფასებაში გამოითქმება, გამოთქმის სხვა ფორმა მას არ აქვს.

შემეცნება მსჯელობებში მდგომარეობს და მსჯელობის გზით ხორციელდება. მსჯელობას რომ ჰქონდეს ლოგიკური აზრი, მასში მტკიცება ან უარყოფა უნდა იყოს. რიკერტის აზრით მტკიცება ან უარყოფა ღირებულებითი დამოკიდებულებაა.

Robert GoleTiani

Resume

The discussion of the subject of what he calls the subject has a value dimension, where is expressed the person's attitude on the subject,when it is affirmed that the person like K the K discussion is good and is definitely different,D is truth.

The truth is the essence of our consciousness it's existence is inseparable from the person(subject).In this case,the first and the second refers to the relation between, the first means the second.

It isn't correct to think over the identities of the truth and the value. This is only perceived,but their difference is internal and main. Value is always expressed in the estimation it doesn't have other form of expression.

The cognition reveals in the discussions.If the discussion has a logical conception,it might have an affirmation or rejection. According to Rikerti affirmation or rejection is valuable attitude.

Резюме

Суждение о предмете, который он приписывает объект, имеет свою цену измерение, которое выражается по этому вопросу в предметной области, определенной теме, как K, K хорошая суждение по существу различные рассуждения. D - это истина

Истина, – содержание нашего сознания и часть субъекта, здесь подразумевается взаимосвязь и первого и второго.

Истинное и ценное отличаются друг от друга.

Ценное всегда выражается в характеристике и отличается своим выражением.

Суждение в нашем сознании, в нём и доказательство и опровержение. По мнению Рикерта эти категории ценные.

მადონა რობაქიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-არქეოლოგიის ასოცირებული პროფესორი

საქართველოს საეკლესიო მოღვაწენი XVIII ს. II ნახევარში (ანტონ პირველი)

XVIII საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფურცელია. საგარეო თუ საშინაო ურთიერთობების მოგვარების საქმეში. ეკლესიას უდიდესი ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული, რაოდენ დამპყრობელი, ქრისტიანული სარწმუნოების განადგურებით ცდილობდა ქართველი ხალხის წინააღმდეგობის გატეხას და ქვეყნის ხელში ჩაგდებას. ინგროდა და ნადგურდებოდა საუკუნეთა ქარცეცხლში გამოვლილი ეკლესია-მონასტრები – სიმბოლო რელიგიური მრწამსის, ენისა და ეროვნული კულტურისა.

ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელები გამუდმებით იბრძოდნენ სარწმუნოების გადასარჩენად და შესანარჩუნებლად. მათ შორის სათანადოდ წარმოჩნდება ანტონ პირველი.

ანტონ პირველი, ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი, დაიბადა 1720 წლის 17 ოქტომბერს. ის იყო ვაჟი ქართლის მეფე იესესი (იესე, ალი-ყული-ხანი მეფობდა 1714–1716 წწ. შვილიშვილი ვახტანგ მეხუთისა, ნახევარძმა ვახტანგ მეექვსისა) იესე იყო „ფრიად მოქცეული მაჰმადიანობასა ზედა,... „მუდამ განდგომილი მტერი“.¹ (ქართლის ცხოვრება IV, თბ., 1973, 493,494). ქართლში იესე „დროებით მეფედ“ და „დროებით ბოროტებად მიაჩნდათ, ნამდვილ საჭეთმპყრობელად ისევ ვახტანგი ეგულებოდათ და იმას ელოდნენ.

იესეს პირველ ცოლად ჰყავდა მარიამი, სულხან-საბა ორბელიანის დისწული. „თათრული რჯულით“ მეორე ცოლად შეირთო ელენე-ერეკლე I-ის ასული.

თეიმურაზი შვიდი წლისა იყო მამა რომ გარდაეცვალა (1727წ) ის ორ დასთან ერთად (ანასტასია და არიამი) თავისი დედის ანაზრად დარჩა. ალე თელავის სასახლეში გადაიყვანეს, სადაც თავის ბიძაშვილ ერეკლე მეორესთან ერთად იზრდებოდა (დები ადრე გარდაეცვალა) თეიმურაზ II-ისა და მისი მეუღლის თამარის მზრუნველობით.

პირველდაწყებითი აღზრდა-განათლება თეიმურაზმა იმ დროისათვის დიდად განათლებული დედისაგან მიიღო. შემდეგ დავით გარეჯის მონასტერში გააგზავნეს, რომელიც განთქმული იყო მდიდარი ბიბლიოთეკით და სწავლების მაღალი დონით. მისი მასწავლებლები იყვნენ მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი სპირიდონი, მონასტრის ბერი კოჰმა, თავადები ნოდარ ხერხეულიძე და იოსებ ფალავანდიშვილი. მათ შეასწავლეს თეიმურაზს საღვთო წერილი, ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, სპარსული და თათრული ენები. ბერძნულ ენაში წვრთნიდა თბილისში მცხოვრები პამფილიის მიტროპოლიტი პართენი. მან ეპოქის შესაფერისი ყოველმხრივი განათლება მიიღო, რადგან დიდი საერთო კარიერისათვის ამზადებდნენ. ვახტანგ VI-ის შთამომავლების რუსეთში გადახვეწის შემდეგ დედოფალი ელენე მიიჩნევდა, რომ სამეფო ტახტი შეიძლება თეიმურაზს დაეკავებინა.² (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, 2000, 124) ამ მიზნით იგი ქართლის თავადის, გივი ამილახვარის ასულ თამარზე დანიშნეს (15 წლის ასაკში), მაგრამ 1755 წელს თბილისში ლაშქრით შემოსულმა თამაზ-ხანმა (შემდგომში ნადირ-შაჰმა) საცოლედ წაგვარა, გივი ამილახვარი დაატყვევა, ხოლო ქართლის გამგებლად თეიმურაზის გამუსლიმანებული ძმა აბდულ-ბეგი დაადგინა.

თავზარდაცემული თეიმურაზი ჯერ დავით-გარეჯს შეეხიზნა, ხოლო შემდეგ იმერეთს გადავიდა. ერთხანს რუსეთსაც გაემგზავრა, რომ მხარდაჭერა ეპოვნა რუსეთის მთავრობაში, მაგრამ იმპერატორ ეკატერინეს ბრძანებით დედა-შვილს საზღვრის გადალახვა აკრძალათ და ჩერქეზეთს გადაასახლეს. მონაზვნად აღკვეცილმა ელენემ თეიმურაზი მალულად იმერეთს გაგზავნა.

1738 წელს თეიმურაზი ბერად აღიკვეცა გელათის მონასტერში ანტონ პირველის სახელით. ამგვარად, ქართლის ტახტის მაძიებლობას მან სასულიერო ასპარეზი არჩია, რაც მეტ საშუალებას აძლევდა დაეკამათებინა ცოდნის მიღების დიდი სურვილი, რაც ასე ჭარბად ქონდა ბუნებით მომადლებული.³ (გაზეთი „ივერია“ 1892 № 45).

ანტონის ბერად შედგომამ თავზარი დასცა მოსკოვში მცხოვრებ მის დედას, მონაზონ ელისაბედს, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ შვილს ქართლის სამეფო ტახტზე იხილავდა. მან საყვედურით სავსე წერილი გამოუგზავნა ანტონს: „რად შვილო ჩემო, მახვილი ეც გულსა ჩემსა, მწუხარესა უცხოებითა? ახლა დაიკარგა ყოველი იმედი ქვეყნად ჩვენისა მოქცევისა!... რად დაკარგე სამეფო და იმედი მეფობისა...“⁴ (პ. კარბელაშვილი, 1900, 145).

1739 წ. ანტონ პირველმა გელათის წინამძღვრობა მიიღო, ხოლო 1740 წ. ქუთაისის მიტროპოლიტი გახდა. მაგრამ იძულებული გახდა, კათედრა მალე დაეტოვებინა. 1741 წელს ოპოზიციონერმა თავადებმა ახალციხის ფაშას დახმარებით ალექსანდრე მეფე განდევნეს და ტახტზე მისი ძმა გიორგი აიყვანეს.

1742 წელს მძიმე ავადმყოფმა კათალიკოსმა დომენტი მესამემ ანტონი თბილისში მიიწვია თავის შემცვლელად. ამ მიზნით მან სასულიერო კრებაც მოიწვია მაგრამ 22 წლის ანტონმა თავი ღირსად არ ცნო ესოდენ პატივისა და უარი შეუთვალა, რის შემდეგ პატრიარქად არჩეულ იქნა ნიკოლოზ ხერხეულიძე რომელიც 1744 წლის 11 აგვისტოს ტარიელ თაზისშვილმა ხანჯლით განგმირა.⁵ (ქ. ცხ., 1973, 518).

1744 წელს ანტონ პირველი საქართველოს კათალიკოს–პატრიარქად აკურთხეს. საზეიმო ცერემონიალი მცხეთაში ჩატარდა. აქედან იწყება ანტონ I–ის საეკლესიო და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, რომელიც შერწყმული იყო თეიმურაზ II და ერეკლე II პოლიტიკასთან.

ცენტრალური საეკლესიო მმართველობის ჩამოყალიბებაში მთავარ საყრდენს კათალიკოსის აზრით, სამეფო ხელისუფლება წარმოადგენდა. ამიტომ აუცილებელი იყო მისი პოზიციების გაძლიერება. ამ მიზნით ანტონ პირველმა შეიუშავა უკვე დავიწყებული მეფედ კურთხევის ქრისტიანული წესი და თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში პირველად, 1745 წლის 1 ოქტომბერს, მცხეთობას, დიდი ზეიმით აკურთხა თეიმურაზ II ქართლის, ხოლო ერეკლე II კახეთის მეფედ. მაშინ, როცა ქართლის დიდი ფეოდალები რუსეთში გადახვეწილ ვახტანგ VI –ის მემკვიდრეებს ემხრობოდნენ და თეიმურაზის მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილი.

თავის მხრივ თეიმურაზიც ცდილობდა ანტონს დახმარებოდა – კათალიკოსმა სამონასტრო მფლობელობის გასარკვევად მოაგროვა მეფეთა მიერ სხვადასხვა დროს მონასტრებისათვის გაცემული ყველა წყალობის სიგელი და ხელახლა წარუდგინა მეფეს დასამტკიცებლად. ანტონ პირველი ევროპული ორიენტაციის მომხრე იყო და განსაკუთრებით დაუახლოვდა თბილისში მყოფ კათოლიკე მისიონერებს, რომლებსაც ღვთისმეტყველებასთან ერთად კარგად ჰქონდათ შესწავლილი ფილოსოფია, პოეზია, ისტორია, ახალი და ძველი ენები. ისინი ეკლესიებთან სკოლებს ხსნიდნენ, სადაც დაბალი წრის ბავშვებს სქოლასტიკური ხასიათის განათლებას აძლევდნენ. ქართველი ხალხის პატივისცემა მათ იმითაც მოიპოვეს, რომ ქართული ენა შეისწავლეს.

მ. თამარაშვილი ვარაუდობს, რომ ანტონის მიდრეკილება კათალიკოსისაკენ შეიძლება იმერეთში ყოფნამ განაპირობა, რაოდენ მისი მფარველი მეფე ალექსანდრე, კათალიკოსი ბესარიონი და როსტომ ერისთავი კათოლიკეები იყვნენ.⁶ (მ. თამარაშვილი 1902, 246).

1756 წელს მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, ანტონ “ „მწვალებლად“ აღიარეს, კათალიკოსებიდან გადააყენეს, მღვდელმსახურება აუკრძალეს და საპყრობილეში ჩასვეს.¹¹ მისი თანამოაზრეები კი სასტიკად დასაჯეს.

1756 წლის 4 აპრილს კვლავ შედგა საეკლესიო კრება, სადაც ანტონმა აღიარა თავისი დანაშაული, უარყო კათალიკობა და რუსეთში წასვლის ნებართვა ითხოვა ღვთისმსახურების უფლებით.

ეს თხოვნა კრება შეიწყნარა და ანტონი მოსკოვში გაემგზავრა.

ანტონის პატიება და რუსეთში გაგზავნა მეფე თეიმურაზის სულგრძელობით არ აიხსნება. გარკვეული წვლილი მეფე ერეკლეს ეკუთვნის, რომელიც თავის თანატოლ ანტონთან ძმასავით იყო შეზრდილი და მასთან დიდი მეგობრობა აკავშირებდა.⁷ (მ.ქანთარია, 1977, 189–190).

1756 წელს ანტონი რუსეთის სინოდის წინაშე წარსდგა და თავი იმართლა. მან რუსულ და ქართულ ენაზე დაწერილი „სარწმუნოების სიმბოლო“ წარადგინა. ამით იგი აღიარებდა მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ დაწესებულ ყველა დგომას. საბოლოოდ. სინოდმა ანტონი

მართლმადიდებლად ცნო და გაამართლა. თუმცა კათალიკოსის ტიტულის დატოვებაზე უარი უთხრეს.

1757 წ. აგვისტოს ანტონს სამწყსოდ ვლადიმერისა და არქიეპისკოპოსის კათედრა მისცეს, სადაც 1762 წლამდე მსახურობდა. მისივე თხოვნით თარჯიმნად ქართველი მღვდელი გიორგი დავითაშვილი დაუნიშნეს ქ. სვიაჟიდან.

ზუსტად არ ვიცით, როგორი იყო ანტონის მოღვაწეობა რუსი მრევლისათვის, მაგრამ ანტონისათვის რუსეთში გადასახლება ნაყოფიერი აღმოჩნდა. მან შეისწავლა რუსული და ლათინური ენები, ღვთისმეტყველება და ფილოსოფიური მეცნიერებანი.

ანტონის საუკეთესო ნაშრომებია „გრამატიკა“, „მზამეტყველება“ და „წყობილსიტყვაობა“. „მზამეტყველობა“ მიმართულია მონოფიზიტობის წინააღმდეგ, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული იმდროინდელ საქართველოში. „წყობილსიტყვაობაში“ სასულიერო ნაწილის გარდა საქართველოს მოკლე ისტორიაა წარმოდგენილი.

1762 წელს, თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ, ერეკლემ ანტონი კვლავ სამშობლოში მოიწვია და საკათალიკოსო ტახტი დაუბრუნა. ამას ზაქარია გაბაშვილისაგან მორიგი კონფლიქტი მოჰყვა.⁸ (მ. ქანთარია, 1977–95)

ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნისას, ანტონმა სხვა ნაშრომებთან ერთად საქართველოში ე.წ. „მიწყალეს თარგმანები“ გამოგზავნა. ეს იყო 50–ე ფსალმუნის ქართულად თარგმნილი ტექსტი. ზაქარიამ იგი საქართველოში გამოგზავნისთანავე აკრძალა, როგორც მწვალებლური ხასიათის ნაწარმოები და დააწვევინა.

1764 წლის 18 ოქტომბერს მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება,⁹ (ხელნაწერთა ინსტიტუტი ფონდი 1448) რომელმაც ზაქარია ცილისმწამებლად ცნო, რადგან იგი მეფეს, კათალიკოსს, ეპისკოპოსებს, საეკლესიო და წარჩინებულ პირებს „მწვალებლად“ აცხადებდა.

ზაქარია გაბაშვილმა არ მოინანია ცოდვები და 1767 წელს რუსეთში გაიპარა. მან 1768 წელს გაჭირვებით ჩააღწია პეტერბურგამდე და სინოდს ანტონის, ნათარგმნი ფსალმუნის წარუდგინა, რასაც თან დაურთო საჩივარი.¹⁰ (პ. კარბელაშვილი, 1900, 176–178; მ. ქანთარია 1977, 37) მაგრამ ამ საჩივარს სინოდის წევრებზე შთაბეჭდილება არ მოუხდენია. პირიქით, მათ ურჩიეს ზაქარიას ანტონ კათალიკოსისათვის შენდობა ეთხოვა.

განკვეთილი და გაუბედურებული ზაქარია 1783 წლის 6 თებერვალს იმერეთში გარდაიცვალა.

ანტონ კათალიკოსი ინტენსიურად განაგრძობდა საეკლესიო, სახელმწიფო და სამეცნიერო-ლიტერატურულ მოღვაწეობას. ის ერეკლე მეფის უახლოესი მრჩეველი იყო და ხელს უწყობდა რუსეთ-საქართველოს დაახლოების საქმეს. ამიტომ ერეკლემ ლევან ბატონიშვილთან ერთად, დიდი ამალის თანხლებით, 1772 წელს რუსეთში ელჩად გაგზავნა. რუსეთში ანტონ 1–ის უშუალო მონაწილეობით მომზადდა ნიადაგი 1783 წლის რუსეთ საქართველოს ტრაქტატისათვის. მისი დამსახურებაა 1762–63 წწ. ვახტანგ მეექვსისეული სტამბის განახლება, რომელიც 1782 წელს რეორგანიზებულ იქნა „ახალ სტამბად“. იგი ხელს უწყობდა კალიგრაფიული სკოლების, ბიბლიოთეკების, თეატრის შექმნას, მხატვრობის, პოეზიისა და ხელოვნების სხვა დარგების განვითარებას.

ანტონ პირველს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ქართული სასულიერო სეინარიის დაარსების საქმეში. 1755 წ. მისი უშუალო ინიციატივით კათალიკოსის სასახლესთან დაარსდა თბილისის სასულიერო სეინარია, რომლის პროგრამები და წესდება თავად შეიმუშავა.

ანტონმა ერეკლესთან ერთად შეიმუშავა სამი უმაღლესი სასწავლებლის დაარსების პროექტი (თბილისში, გორში და თელავში), მაგრამ ეს იდეა განუხორციელებელი დარჩა. მან თვითონვე მოჰკვიდა ხელი სახელმძღვანელო წიგნების შექმნას. ამ მიზნით გამოიყენა თავისი ორიგინალური და ნათარგმნი წიგნები „ქართული ღრამატიკა“, სხვადასხვა ავტორთა შრომები, ფიზიკის, მეტაფიზიკის, ლოგიკის და სხვ. დარგში. ანტონი არის აგრეთვე ავტორი პირველი ქართული ფიზიკის სახელმძღვანელოსი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ფიზიკის ქართული ტერმინოლოგიის დადგენაში.

ანტონ პირველის ენციკლოპედიურ ნაშრომში „სპეკალი“ თავისებურად არის მორიგებული ეკლესია და ფილოსოფოსთა მოძღვრება. მნიშვნელოვანია მისი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა, ქადაგებები და ეპისტოლეები, რომლებიც მხატვრული ოსტატობით გამოირჩევა.

ანტონ პირველმა აღზრდა შესანიშნავი მოწაფეები, შექმნა მთელი სკოლა, რომელმაც იმდროინდელ ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას, აზროვნებას და მწერლობას ღრმა კვალი დაამჩნია. ამ სკოლის წარმომადგენლები იყვნენ: იოანე გედევანიშვილი, ფილიპე ყაითმაზაშვილი, ამბროსი ნეკრესელი, გაიოზ და დავით რექტორები და სხვ.¹¹ (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, 2000–132)

ანტონ პირველმა ქართული აზროვნების ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა. მისი გონება და კალამი ემსახურება სახელმწიფო და კულტურული ცხოვრების ყველა უბანს. მასვე ეკუთვნის სიტყვები: „მოვიცალე სხვათა ყოველთა და კეთილთაგან და არა მოვიცალე საქართველოსა მსახურებისაგან“.

1783 წელს ანტონ პირველი დანიშნულ იქნა რუსეთის წმინდა სინოდის წევრად. ხუთი წლის შემდეგ, 1788 წლის 1(12) მარტს, 68 წლის ასაკში ანტონ 1 გარდაიცვალა ანჩისხატის საპატრიარქოში. დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოველის ტაძარში.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ანტონ I –კათალიკოზი საქართველოსა, გაზეთი „ივერია“ 1832 № 45
2. მ. თამარაშვილი, ისტორია კათალიკოზისა ქართველთა შორის თბ., 1902
3. პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელთმთავარნი, თბ., 1900
4. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი 1448 (ფონდში დაცულია საეკლესიო კრების გადაწყვეტილება ანტონ პირველის შესახებ)
5. საქართველოს კათალიკოს–პატრიარქები (რედაქტორი რ. მეტრეველი) თბ., 2000
6. მ. ქანთარია, XVIII საუკუნის საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან თბ., 1977
7. ქართლის ცხოვრება, ტ. IV თბ., 1973

რ ე ზ ი უ მ ე

XVIII საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფურცელია. საგარეო თუ საშინაო ურთიერთობების მოგვარების საქმეში ეკლესიას უდიდესი ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული, როდენ დამპყრობელი, ქრისტიანული სარწმუნოების განადგურებით ცდილობდა ქართველი ხალხის წინააღმდეგობის გატეხას და ქვეყნის ხელში ჩაგდებას. ინგროდა და ნადგურდებოდა საუკუნეთა ქარცეცხლში გამოვლილი ეკლესია-მონასტრები-სიმბოლო რელიგიური მრწამსის, ენისა და ეროვნული კულტურისა.

ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელები გამუდმებით იბრძოდნენ სარწმუნოების გადასარჩენად და შესანარჩუნებლად. მათ შორის სათანადოდ წარმოჩნდება ანტონ პირველი (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1744–1756 წწ).

წარმოდგენილი ნაშრომი საშუალებას გვაძლევს კიდევ ერთხელ გადავაგლოთ თვალი ანტონ პირველის საერო და საეკლესიო მოღვაწეობას.

Historu – Archaeologu Department, Associate Professor Madona Robakidze

THE CHURCH MEN OF GEORGIA IN THE SECOND HALF OF THE XIII CENTURY (ANTON THE FIRST)

Summaly

The second half of the VIII century is the main period in the history Georgia. The church had a great place to arrange foreign or home interrelatin because the congueror fried to destroy the Christianity religion and seared in country.

Many churches, cloisters, the symbolis of the Christianity religious we destroyed.

The leaders of the Georgian Church always were fought to rescue anereserve the religious. With them were Anton the first 9the Katolikos – patriarc of Georgi 1744-1756, 1762-1788).

The given work once more gives the possibility to look over about Anton the first.

Историко-археологический Департамент, Асоц. проф. Мадона Робакидзе

Церковные деятели Грузии второй половины 18-го века.

(Антон Первый)

Резюме

Вторая половина 18-го века одна из значительных страниц истории Грузии. В деле урегулирования внешних и зарубежных взаимоотноении страны церкви было присвоено величайшее место, так как завоеватель разгромом христианской веры старался сломить противостояние грузинского народа, захватить страну в руки. Рушились и уничтожались прошедшие в огонь и воду столетиями церкви и монастыри – символ веры языка и национальной культуры Грузии.

Главары грузинской церкви постоянно боролись за спасение и сохранение веры. В их числе достойно предстал Антон Первый (каталикос-патриарх Грузии в 1744 -1756, 1762-1788 г.г.)

Представленный труд дает возможность еще раз окинуть взглядом жизнь и церковную деятельность Антона Первого.

სალომე ხიზანიშვილი - სტუ-ს სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის, ფილოსოფიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ხათუნა კურტანიძე - სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიზნეს-ადმინისტრირების დოქტორანტი

„თვითგანვითარების“ შინაგანი და გარეგანი ფაქტორები

21-ე საუკუნეში _ ცოდნისა და ინფორმაციის ეპოქაში რეალობად იქცა ფრენსის ბეკონის ცნობილი გამოთქმა: „ცოდნა ძალაა“. სარწმუნო გახდა, რომ განათლებისა და სამეცნიერო სფეროებში ინვესტიციების ჩადება, საშურიცაა და გარდაუვალიც. რომ თანამედროვე სახელმწიფოს ეკონომიკური მახასიათებლები ქმედითუნარიანნი ვერ იქნებიან, თუ უპირველესად, ადამიანური კაპიტალის განვითარება არ მოხდა, არ ჩამოყალიბდა ცოდნისა და კვალიფიკაციის მყარი რეზერვები. თუ რა პირობებში ან რა პროპორციით იქმნება (ან იქმნებოდა ბოლო წლების განმავლობაში კონკრეტულად, საქართველოში) თანამედროვე სასწავლო დაწესებულებებში ინტელექტუალური კაპიტალის მარაგი და როგორ ხდება (ან ხდებოდა) მისი გამოყენება საჭიროების შემთხვევაში, თავის მხრივ, იმ მექანიზმების გამოვლენასა და შესწავლას ითხოვს, რის საფუძველზეც ამ სისტემებში ცვლილებების პროცესი უნდა განხორციელდეს.

რა მექანიზმებზე ან რა ფაქტორებზე საუბრობენ ფსიქოლოგები და განათლების ექსპერტები?

ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე მიძღვნილ ლიტერატურაში თითქმის ყველგან იკვეთება აზრი იმის შესახებ, რომ თანამედროვე შრომით თუ სასწავლო ორგანიზაციებში, კონკურენციისა და გლობალიზაციის დონის ზრდასთან ერთად, ადამიანური ფაქტორი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, რომ მოტივირებული და მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელი ნებისმიერი ორგანიზაციის ძვირფასი აქტივია და მის წარმატებასაც ის განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ ორგანიზაციაში ადამიანური რესურსების მართვის მთავარ მიზანს წარმოადგენს ორგანიზაციაში საკადრო პოლიტიკის შემუშავება და მისი გატარების უზრუნველყოფა. მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა, მათთვის შესაბამისი სამოტივაციო ველისა და პროფესიული პოტენციალის რეალიზაციისათვის საჭირო პირობების შექმნა, ორგანიზაციის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის ერთ-ერთ უცილობელი წინაპირობა და მისი მომავალი წარმატების ქვაკუთხედაა.

დიახ, ამიტომაც, რომ ამ ორიენტირებზე დაყრდნობით, მაღალი კვალიფიკაციის ორგანიზაციები თუ სასწავლო დაწესებულებები მზარდი ეკონომიკური ზონის ქვეყნებში, ცდილობენ მომუშავეებს შეუქმნან ჯანსაღი ატმოსფერო და ნორმალური სამუშაო პირობები, რათა მაქსიმალურად გამოავლინონ და გამოიყენონ მათი ცოდნა და გამოცდილება, ნიჭი და უნარი. ხოლო პროფესიული და პიროვნული პოტენციალის სრულად გამოყენებით, მომუშავეებს მიეცეთ შესაძლებლობა პროფესიული წინსვლისა და ცხოვრებისეული ყოფის გაუმჯობესებისათვის. პრაქტიკულად დასტურდება, რომ **ერთგული და მატერიალურად უზრუნველყოფილი მომუშავე პერსონალი ორგანიზაციის წარმატებულ საქმიანობის ყველაზე კონკურენტუნარიანი რეზერვია.**

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლების ქვეყნებში, ორგანიზაციული მართვის სისტემების განვითარება, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისიდან, სწორედ წარმატებული შრომის ფსიქოლოგიური გარანტიების მოძიებით დაიწყო. ორგანიზაციის მეცნიერული მართვის თეორიებში მკაფიოდ გამოიკვეთა (საუკუნის წინ შემუშავებული თვალსაზრისი ჩვენი რეალობისთვის დღესაც შორეულ გამოძახილად რჩება) აქტუალური აზრი იმის თაობაზე, რომ ორგანიზაციებში შრომის მაღალი ნაყოფიერება სამუშაო ძალის მაღალანაზღაურებთან და მისთვის შრომის პირობების გაუმჯობესების საფუძველზე უნდა განხორციელდეს. რაც დადასტურდა კიდევ.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ, ზოგიერთ ფსიქოლოგიურ თეორიას შევხებით. კერძოდ, ამერიკელი ფსიქოლოგების, მასლოუს მოტივაციის იერარქიულ თეორიას, ბ. ფ. სკინერის ბიჰევიორისტულ მიდგომასა და ავსტრიელი ფსიქოანალიტიკოსის, ფროიდის მიდგომას. ბიჰევიორიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ამერიკელი ფსიქოლოგის, ბ. ფ. სკინერის

(Skinner, 1904-1990) მიხედვით, ადამიანის ქცევის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ეკისრება გარე ფაქტორებსა და იმ გამოცდილებას, რომელსაც იგი სოციალურ გარემოში იძენს, ანუ ადამიანის ქცევა გარეგანი სტიმულებით კონტროლირდება.

ფსიქონალიზი, ფროიდის ხელმძღვანელობით, კვლევის ძირითადი ობიექტად ხდის არაცნობიერ ფსიქიკურ პროცესებსა და მოტივაციას, რის საფუძველზეც ადამიანის ქცევის ძირითად წარმართველ ძალად სწორედ შინაგანი, არაცნობიერი ძალები ცხადდება.

მასლოუს ჰუმანისტური თეორია აერთიანებს ბიჰევიორისტულ და ფსიქონალიტიკურ მიდგომებს და ორივეს თანაბარ მნიშვნელობას აღიარებს, იმ აზრზე დაყრდნობით, რომ ადამიანის ქცევაზე მნიშვნელოვან გავლენას ორივე ფაქტორი ახდენს, შინაგანიც და გარეგანიც.

აბრაჰამ მასლოუმ, ე.წ. "ადამიანის მოთხოვნილებათა პირამიდა" შექმნა. მან ადამიანის მოთხოვნილებები ასეთნაირად დააღაგა: „პირამიდაში“ ქვედა საფეხურზე ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებია მოთავსებული, რომელთა გარეშეც ადამიანის ბიოლოგიური არსებობა შეუძლებელია. მათ მოსდევს სხვა მოთხოვნილებები, სოციალურიდან პიროვნულ, სულიერ და შემეცნებით მოთხოვნილებამდე.

მასლოუს თანახმად, "პირამიდა" აჩვენებს, საშუალოდ როგორი თანამიმდევრობით იკმაყოფილებს ადამიანი თავის მოთხოვნილებებს. მას მიაჩნდა, რომ პირველი დონის, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები თანდაყოლილი და ნიშანდობლივია ყველა ადამიანისთვის. მათ რიცხვში შედის საკვები, წყალი, სამოსი, სექსი (შთამომავლობის გაგრძელება). უფრო მაღალი დონის მოთხოვნილებები კი ჩნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილებულია წინა დონის მოთხოვნილებათა განსაზღვრული ნაწილი. ანუ უსაფრთხოებისა და წესრიგის მოთხოვნილებები ჩნდება მას შემდეგ, რაც ადამიანი დაიკმაყოფილებს ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა არანაკლებ 85%-ს.

სოციალური მოთხოვნილებები (მეგობრობისა, პატივისცემისა, აღიარებისა, სიყვარულისა) ჩნდება იმ შემთხვევაში, როდესაც დაკმაყოფილებულია უსაფრთხოების მოთხოვნილების 70%.

იმისთვის, რომ ადამიანს გაუჩნდეს პატივისცემისა და აღიარების მოთხოვნილება, რომელიც განსაზღვრულ სოციალურ სტატუსამდე და დამოუკიდებლობამდე მიღწევას გულისხმობს, სოციალური მოთხოვნილებები 70%-მდე უნდა იყოს დაკმაყოფილებული.

თავმოყვარეობის 60% დაკმაყოფილებისას ადამიანს უჩნდება თვითაქტუალიზაციის, თვითგამოხატვის, საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციის მოთხოვნილება. ამ უკანასკნელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ყველაზე ძნელია, მაგრამ თვითრეალიზაციის 40%-ის მიღწევასას ადამიანი უკვე ბედნიერად გრძნობს თავს. თუმცა ამ დონეს მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 1-4 % თუ აღწევს.

ეს მონაცემები ვფიქრობთ, ბევრ საფიქრელს აჩენს ჩვენი ქვეყნის მაგალითზე. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სწავლებით უზრუნველყოფის, მომუშავე პერსონალის შრომითი მოტივაციისა და განსაკუთრებით, მისი მატერიალური ანაზღაურების კუთხით, ზემოთაღნიშნულ სკალაში, ეროვნული პოტენციალის გამოვლენის ზღვრული შესაძლებლობები აღნიშნულზე გაცილებით დაბალია. ჩვენ, უკეთეს შემთხვევაში, მესამე დონეზე ვართ. (გავიხსენოთ სკოლებში ან საჯარო უმაღლეს დაწესებულებებში პროფესორ-მასწავლებელთა სახელფასო ანაზღაურების მაგალითები). რაშია გამოსავალი?

ფსიქოლოგიური მეცნიერებების მონაცემების საფუძველზე ისიც დასტურდება, რომ ადამიანს მრავალმხრივი ინტელექტი აქვს (გავიხსენოთ გარდნერის მრავალმხრივი განვითარების თეორია) და მისი სამყაროში ექსისტენციალური ყოფა განვითარებას ითხოვს, თავისი ექსისტენციალური საწყისით ადამიანი თვითრეალიზაციისაკენ ბუნებრივად მიისწრაფვის. როგორც ინგლისელი თეორეტიკოსი ნოულისი (1989) ხატოვნად შენიშნავს: „ყველა ადამიანი თვითწარმართველი მოსწავლეა“. [1.1. გვ. 359] მაგრამ, მსგავსი დასკვნების მიუხედავად, „არანაირი ახალი შესწავლა არ მოხდება, თუ არ იქნა სწავლისა (და შრომისა, რასაკვირველია – ხ.ჩ.) პროცესის გააქტიურების სტიმული“, კიდევ ერთხელ გვარწმუნებენ თეორეტიკოსები (ჰარისონი, 1997). [2.1. იქვე]

აღნიშნული აზრის ნათელსაყოფად, დამეთანხმებით, შემდეგი ორი არგუმენტიც საკმარისია: ჯერ ერთი, გლობალურ სამყაროში, გაცილებით მეტი სიღრმთა და ინტენსივობით გამოიკვეთა „საკუთარი მეს“, როგორც ქმედითი, ასევე საორიენტაციო უნარების ფორმირების აუცილებლობა; ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ღია პროცესები მიმდინარეობს. გამომდინარე აქედან, თანამედროვე ადამიანს (განსაკუთრებით ახალგაზრდას), როგორც არასდროს, ესაჭიროება იცოდეს რა და როგორ ისწავლოს, როგორ მართოს საკუთარი ცხოვრება, იმსახუროს და დარწმუნდეს საკუთარ შესაძლებლობებში. და კდევ, დანარჩენზე რომ აღარაფერი ვთქვათ, კიდევ იმიტომ, რომ 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ, ტექნიკური ცივილიზაციის ეპოქაში და თანამედროვე ადამიანს არსებობისა და შემოქმედებითი საქმიანობისათვის უკეთესი პირობები ეკადრება.

დამაჯერებლობისათვის, კიდევ ერთხელ, გთავაზობთ „ადამიანური რესურსების მართვის“ ერთ-ერთი ცნობილი თანამედროვე ავტორის, საყურადღებო თვალსაზრისს: „თვითმართვადი ან თვითწარმართული სწავლა ნიშნავს იმას, რომ ადამიანი პასუხისმგებლობას იღებს, დაიკმაყოფილოს საკუთარი სწავლის მოთხოვნილება, რათა გაიუმჯობესოს მწარმოებლურობა, უზრუნველყოს კარიერისკენ სწრაფვის შესაძლებლობა (დამეთანხმებით, რომ ეს ჩვენს რეალობაში კვლავაც ცუდ ტონად ითვლება - ხ.ჩ.), გააფართოვოს სამუშაოზე მოწყობის შესაძლებლობა ორგანიზაციაშივე ან სხვაგან. ასეთი სწავლის საფუძველი შესაძლოა იყოს ის პროცესები, რომლებიც საშუალებას აძლევს ადამიანს, დაადგინოს, რა უნდა ისწავლოს საკუთარი გამოცდილებიდან და გაანალიზონ ის, რა უნდა იცოდნენ და რისი გაკეთება უნდა შესძლონ იმისათვის, რომ უკეთ იმუშაონ“. [3.1.იქვე, გვ. 359].

აღნიშნული ამონარიდი ასეთი ფართო დატვირთვით იმიტომაც შემოგთავაზეთ, რომ ინტელექტუალი ადამიანების, განსაკუთრებით, პროფესორ-მასწავლებელთა მოღვაწეობა უშუალო კავშირშია მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის წარმოუდგენლად საშურ საქმიანობასთან. მათი მატერიალური დაინტერესება კი ნულოვანი მაჩვენებლის ტოლია. ჩვენ არაერთგზის გვითქვამს, და კვლავაც დიდი დარწმუნებით გავიმეორებთ, რომ ცოდნისა და ინფორმაციის საუკუნეში (საკითხის განხილვა სწორედ ამ მოტივით დავიწყეთ), ნებისმიერი ეროვნული სახელმწიფოს, და მით უმეტეს პატარა სახელმწიფოების, უმთავრესი ინტელექტუალური პოტენციალი განათლებაა. (დამეთანხმებით, რომ მსოფლიო ბაზარი დიდი ხნის გადანაწილებულია). აქედან გამომდინარე, სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირი უნდა იყოს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადება და მათი მატერიალური უზრუნველყოფა. დიახ, ქვეყნის ტექნოლოგიური და მატერიალური აქტივები ამ სფეროში უნდა ჩაიდოს, გლობალიზაციის მომავალი ურთულესი შემოტევები ქვეყანამ ათვლის ამ წერტილიდანაც უნდა „მოიგერიოს“, – სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი საყრდენების შექმნით, რომელთა საშუალებით მთავრობები დაუმარცხებლად შესძლებენ ტრანსკულტურული კონფლიქტებისა და „დიდ კაცთა“ მიერ თავსმოხვეული ამბიციებიდან არა მხოლოდ თავის დაღწევას, არამედ ქვეყნის აღორძინებასაც. ჩვენ ამ იმედით გემშვიდობებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არმსტრონგი მაიკლ, ადამიანური რესურსების მართვა. თბილისი, 2002
2. ბეკი ულრიხ, რა არის გლობალიზაცია? თბილისი, 2003
3. განმარტებითი ლექსიკონი/ეროვნ. სასწ. გეგმებისა და შეფასების ცენტრი. - [თბ., 2008]. - 20სმ. [MFN: 76027] ნაწ. 2: განათლების სპეციალისტებისათვის /
4. რჩევები მასწავლებლებს - აბრამ მასლოუ. სიახლეების არქივი17 ივლისი, 2012
5. socpsi.blogspot.com Wednesday, October 27, 2010, მართვა მე2 ლექცია მე19 თავი

რეზიუმე

პროფესიული თვითგანვითარების პროცესი ხანგრძლივი და შრომატევადია. იგი არა მხოლოდ ახალი იდეის შემუშავებას გულისხმობს, არამედ შემოქმედებითი საქმიანობის ეფექტურ გამოყენებასაც. აქედან გამომდინარე, მეცნიერ-სპეციალისტისათვის აუცილებელია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც მას ექნება სტიმული, სადაც მის შემოქმედებით რისკებს საფრთხე არ შეექმნება, სადაც გარანტირებული სამართლიანობის პრინციპი იმუშავებს და სადაც მისი შრომის შედეგი დაფასდება. დიახ, ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე ფილოსოფია ღირებულებათა სისტემას ეფუძნება, სადაც „მთავარია ადამიანები“.

კარგი იქნება, თუ საყოველთაოდ აღიარებული შრომითი კრიტერიუმები ჩვენს რეალობაშიც დამკვიდრდება. ვიმედოვნებთ, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში მაინც გახდება შესაძლებელი სათანადოდ დაფასდეს პროფესიონალთა შრომა, რომელთა საქმიანობა თანაბრად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა არა მხოლოდ პირადად მათთვის, არამედ ქვეყანისთვისაც.

Salome khizanishvili - Associate Professor of the Department of Social Sciences, Philosophy and Public Relations Direction of Georgian Technical University, candidate of Philosophy

Khatuna kurtanidze - Doctoral of Georgian Technikal University, Business-engineering faculty of business administration

The internal and external factors of self-development

REZUME

The process of self-development is long and labor-consuming. It means to work out not only one new idea, but the effective utilization of creative work. Therefore, it is important to make such environment for scientist-specialist where she/he will have a stimulus and where their creative risks won't be endangered, where it should work the principles of guaranteed fairness and their work will be appreciate. Yes, the modern philosophy of the control of human resources is based on value system where “humans the most important”. It would be better if the acknowledged working inculcate in our reality.

We hope that it might be possible under a new government to appreciate the work of professionals appropriately, whose work is equally important and useful not only for them personally, but for our country.

ირმა კეცხოველი - სტუ-ს სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის, ფილოსოფიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების მიმართულების ასისტენტ პროფესორი

საქართველოში განათლების კულტურის საკითხისათვის

კულტურა ლათინურად დამუშავებას ნიშნავს. აქედან გამომდინარე დამკვიდრდა გამოთქმები, რომლებიც დაუკავშირდა შრომის, ფიზიკურ კულტურას, მეტყველების, ქვევისა და აზროვნების კულტურას, პოლიტიკურ და სამართლებრივ კულტურას, სწავლებისა და განათლების კულტურას. ბოლო ღირებულება, რომელიც ესოდენ ღრმად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში, დღემდე რჩება კვლევისა და ინტერესის სფეროდ.

თანამედროვე სკოლაშიც და უმაღლეს სასწავლებლებშიც გვეჩვენება, რომ ჩიხში შევიდა და მუდმივი ექსპერიმენტის მდგომარეობაში იმყოფება განათლების ესოდენ მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც, მაშინ, როდესაც სულ ცოტა ხნის წინათ, ასე თუ ისე, მოწესრიგებული იყო, თუმცა უნაკლო არაფერია. განახლებას ყველა სფერო მოიცავს, მითუმეტეს სწავლა-განათლება, რომელიც ქართველი კაცისათვის საერთოდ პრიორიტეტულად ითვლებოდა. ამ განწყობით იყო აგებული მთელი სისტემა, ამ განწყობით ცხოვრობდა მოსახლეობა, ამ განწყობით იქმნებოდა სოციალური გარემო და თქვენ წარმოიდგინეთ, ამ განწყობით იქმნებოდა ოჯახებიც, მართალია, თავისი პრეტენზიებით; თქვენ წარმოიდგინეთ გენდერული ბალანსითაც კი.

საქართველოში სწავლების კულტურა ყოველთვის ითვლებოდა აუცილებელ პირობად ადამიანის ჩამოყალიბების, განვითარებისა და პრესტიჟისათვის; თუმცა, სწავლება დროთა ვითარებაში ტრანსფორმაციასაც განიცდიდა, მაგრამ ეს მოვლენები არ იყო ძალდატანებითი და თავსმოხვეული, არამედ განწყობილებები და შემოთავაზებები მუდამ თანმიმდევრულ პროცესს წარმოადგენდა. ცნობილია, რომ კულტურული გარემო, რომელშიც საზოგადოება იმყოფება ყოველთვის ქმნის ისეთ მიკრო, თუ მაკრო სივრცეს, რომელიც მუდამყამს არის დამოკიდებული გლობალური კულტურის მოწყობის საკითხებთანაც. სხვადასხვა ორგანიზაციები ინსტიტუციონალური გეგმების და შემოთავაზებების მოდელით ძირითადად დამოკიდებულია იმ პროცესებთან, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო პროექტებთან, მაგრამ აქ ჩვენ შევეკამათებით მოვლენებს და პერსპექტივებსაც, რომლებიც ძირითადად შეეხება დიდი სახელმწიფოების და მსოფლიო მოწესრიგების საკითხს, რომლებიც მიესადაგება ან ემსახურება უფრო გლობალურ პროექტებს.

რას ვთავაზობთ ჩვენ მსოფლიოს?! ან სამყაროს?! რომელსაც მიუხედავად კომუნიკაციური შესაძლებლობებისა, ჩვენ თითქოს ჩამოვრჩით ზემოთხსენებულ პროცესებს; ჩემი აზრით, პროექტები, რომლებიც იქმნება, შემოთავაზებულია გეგმებისა და ვარიანტების სახით, ისინი მისაღები, თუ განხორციელებული უნდა იყოს ისეთ ქვეყანაში, რომელსაც გააჩნია სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის თვალსაზრისით მყარი მდგომარეობა. ჩვენს სინამდვილეში კი ბოლომდე სახელმწიფოებრიობაც არა გვაქვს ჩამოყალიბებული, არ გვაქვს შესაძლებლობა შევქმნათ ისეთი სოციალური გარემო, რომელიც განსაზღვრავს სწორ, ან შედარებით მისაღებ მიმართულებებს სწავლების კულტურაში, რათა ამ ეტაპზე მაინც ჩამოყალიბდეს ბოლოსდაბოლოს ჩვენი ქვეყნისათვის შესაფერისი სწავლების მეთოდიკა, შესაფერისი აწმყოსათვის, და პერსპექტივით. გამოკვლევები, რომლებიც ტარდებოდა და შემდგომში ჩატარდება ამ მიმართულებით, იმედია გადალახავს სიმწიფეებს, რომლებიც მუდამ იქმნება სწავლების მეთოდიკის ჩამოყალიბების პროცესში, ხოლო, რაც შეეხება პედაგოგებს, ისინი ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე უხეშად რომ ვთქვათ, მსხვერპლის როლში, რომელნიც ზოგჯერ თავსმოხვეული ტრენინგების ხარჯზე დაბნეულნი არიან. ღირებულებები კი, რომელიც გააჩნიათ, ახირებული დებულებების დამკვიდრების მცდელობით არის გამოხატული; ასეთ დროს იკარგება ის თვითმყოფადი კულტურის ელემენტებიც, რომლითაც ხშირად ვამაყოფდით კიდეც.

ჩვენი ქვეყანა არის დიდი აუდიტორია, რომელიც ბოლო წლებში ხშირად აღმოჩნდება ხოლმე უსასრულო გეგმებისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ; ამას გრძნობს მოსწავლე, ამას გრძნობს

სტუდენტი, ამას გრძნობს მშობელი, ამას გრძნობს საზოგადოება; რა მოეთხოვება თანამედროვე პედაგოგს ნებისმიერ სფეროში მისი აქტიური პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში? რა კრიტერიუმებით უნდა ისარგებლოს მან, ან როგორ ითანამშრომლოს სახელმწიფო პროგრამებთან, კონცეპტუალურ თუ თანასწორ სტრატეგიაში საერთაშორისო დონის სწავლების პრინციპების გათვალისწინებით?

აქვე მინდა გავიხსენო ცოტა რამ ჩვენი სწავლა-განათლების ცენტრების ისტორიიდან ძველ საქართველოში; 1799 წლის 10 მაისს ბატონიშვილმა იოანემ თავის მამას, გიორგი მეფეს მიართვა მოხსენება („წინადადება“) სახელმწიფოში სხვადასხვა აუცილებელი რეფორმის შესახებ, სადაც აღნიშნულია და გვაუწყებს იმას, რომ: „სამ ადგილს გაიმართოს სკოლა: ტფილისსა, გორსა და თელავსა შინა. მიეჩინოთ მუნ მცოდნენნი კაცნი, რათა ასწავლიდნენ სამეციეროსა სწავლას და სამხედროსაცა, აგრეთვე ენებსა. ამის მოურნედ იყოს განათლებისა მთავარი და ესე აძლევდეს რიგსა და ჯამაგირთა ოსტატებსა. ამა სასწავლებლებში მიუბარებოდნენ თავადაზნაურნი და პირველი მოქალაქეს შვილები. აგრეთვე იყოს ამაზედ მდაბალი სასწავლებლები, დუქნები ან სახლები; იმას შინა ისწავლიდნენ მსახური კაცის შვილნი და მდაბალ ვაჭართა შვილები. აგრეთვე გლეხისაც, ვის როგორად შეეძლოს. სასწავლებლებსა მას შინა სწავლობდნენ ქართულსა, სომხურსა, თათრულსა, რუსულსა და, თუ შეიძლება, ბერძნულსა და ლათინურსაც. უკეთესი იქნების, ოსტატები ანუ მასწავლებელნი იყვნენ მეფის ხარჯითა, ხოლო მოწაფენი თავეთ მშობელთ ხარჯითა, ვიდრე შემოსავალთ განვრცობამდე. ესე სახედვე სასულიერო სასწავლებლები იყოს განწყესებით, და ამის მეურნეობა აქენდეს კათალიკოსს და სულიერს მთავარს“ [1].

ეს ფაქტი მოვიყვანე იმისათვის, რომ ზოგჯერ გავიხსენოთ და არა მარტო ჩვენ, სხვებსაც შევახსენოთ, რომ განათლების ცენტრებზე ჩვენში რამოდენიმე საუკუნის და უფრო ადრეც ზრუნავდნენ სახელმწიფო მოხელეები და მოღვაწენი, რომელთაც ყოველთვის გული შესტკიოდათ თავისი მამულიშვილებისათვის და ა.შ. ეს მცირე გადახვევა იყო, მაგრამ ჩავთვალოთ შეხსენებად; სხვა ბევრი ისტორიული ფაქტის მოყვანა შორს წავიყვანდა.

ნებისმიერი სიახლე, რომელიც იწვევს ქვეყანაში, ალბათ თხოულობს ჩვენი მხრიდან უფრო მეტ დაკვირვებას და არა გაკვირვებას შემოთავაზებული გეგმებისა და პროექტების მიმართ. ჩვენს ქვეყანას ადრეც და დღესაც მცდელობა ბევრჯერ ჰქონდა და სურვილიც, რათა სწორად წარემართა თავისი ქვეყანაში სწავლა-განათლების საქმე, რა თქმა უნდა ნოვატორული შემოთავაზებების გათვალისწინებით. ვინაიდან ყველამ კარგად ვიცით რაოდენ ღირებულია სიახლე და ამავე დროს რაოდენ დამლუპველია ქვეყნისათვის სრულიად შეუფერებელი შემოთავაზებები ნებისმიერ სფეროში და მითუმეტეს განათლებაში.

ჩვენს ქვეყანას თითქმის ფორსმაჟორულ ვითარებაში უზდება ურთულესი საკითხების გადაჭრა, რომლებსაც სხვა ქვეყნებმა ათეულობით წლები მოანდომეს. დასაფიქრებელია ის მართალი, რომელმაც მთლიანად მოიცვა ჩვენი სწავლა-განათლების სისტემა. ამ დროს სრულიად ბუნებრივია, რომ უნდა გადაისინჯოს და განისაზღვროს განათლების ახალი პარადიგმა, რომელიც მასწავლებლისა და მსმენელის შემოქმედებით თანამშრომლობას ითვალისწინებს, რომელიც დაფუძნებულია, უმთავრესად, ბიბლიურ უნივერსალურ პრინციპებზე - ადამიანის მარადიული ღირებულება უკეთესობისაკენ, რომელიც აუცილებლობის ანუ უზენაესი სრულყოფილებისაკენ სწრაფვის პრინციპია [2]. აღნიშნული კონცეფცია ემთხვევა კლასიკური განსაზღვრის თვალსაზრისის პიროვნების აღზრდის საქმეში: თვითშემეცნება, ადამიანთა ურთიერთობის შემეცნება და გარესამყაროს შემეცნების მთლიანობა - „სავსე კაცის“ ილიასეული მოდელით. როგორია ამ დროს განათლების უნივერსალური მოდელი, შემოთავაზებული სხვადასხვა ევროპული, თუ ამერიკული სწავლების კონცეპტუალური გარიანტებით?

ჩემი აზრით, შემოთავაზებების ვარიანტთა ნუსხა, ალბათ, უსასრულოა, რომელზეც მუშაობენ სპეციალისტები და პროფესიულ დონეზე ცდილობენ შეიმუშაონ შესაფერისი პროექტები და გეგმები; მაგრამ არსებობს კიდევ ინტელექტუალური სივრცე, რომელიც მუდმივად არის ინფორმირებული და უფრო მეტიც, დაინტერესებული იმაში, რომ უფრო სხარტად, მობილურად და ჩვენი ქვეყნისათვის შესაფერისი კონცეფციით შექმნან და განავითარონ სასკოლო და უმაღლესი

სასწავლებლების თანამედროვე ნუსხა-პროგრამა. ვინაიდან ჩვენ არ გვაქვს დროის ფუფუნება, გასათვალისწინებელია ის იდეათა ბანკიც (ბანკი, რომელიც უამრავ ქვეყანაში არსებობს) გამოყენებულ იქნას ჩვენ ქვეყანაშიც და ამაში ჩვენ ცუდს ვერაფერს ვხედავთ, მოვიშოროთ მოკრძალებულობისა და თავმდაბლობის უსასრულო კლიშე, რომელიც მრავალი წლის მანძილზე აფერხებდა ჩვენი აზროვნების სათანადო სიმაღლეზე თავისუფლად განვითარებას.

ამავე დროს მინდა მოვიშველიო ისიც, რომ ვინაიან ადამიანის აზროვნება მეტაფორულია, ენაც მდიდარია მეტაფორებით, რომელიც სხვადასხვა კულტურებში სხვადასხვანაირად აისახება, გვამცნობს ამა თუ იმ ხალხის მიერ სამყაროს და გარემო სინამდვილის აღქმა-შემცნების პროცესს, რომელშიც მუდამ ჩაქსოვილია როგორც ზოგადი, ისე ეროვნული თვისებები. ამ დროს ჩვენს ვალდებულებად მიგვაჩნია, ყურადღება მივაქციოთ იმას თუ მასწავლებელი ან ლექტორი როგორ დაეხმარება მოსწავლეს ან სტუდენტს ყველაფერ იმაში, თუ როგორ შეძლებს გადასცეს ყველაფერი რაც ეხლა არის de-facto და ამავე დროს ემყარება ქართულ კულტურას, სიღრმისეული სწავლების სეგმენტს; ამავე დროს ვგულისხმობ სწავლებასაც, რომელიც არ არის მხოლოდ ქართული კულტურის მახასიათებელი. მოვიშველიებ კლასიკური ლიტერატურიდან - „ორი ბატონის მსახურებით“ არის წარმოდგენილი სწავლება, რომელიც დღეს ასე გამოიყურება: მოსწავლეს თუ სტუდენტს უჭირს განსაზღვროს, რომელ კულტურაზე გაამახვილოს ყურადღება, რომელი კულტურა არის მისთვის პრიორიტეტული; აქედან გამომდინარე, უნებლიეთ გადავედით ინტერკულტურული სწავლების მიმართულებაზე, ბუნებრივია, მეთოდებიც ამგვარად ჟღერს. მაშინ, როდესაც ჩვენს მოსწავლე-ახალგაზრდობას უკიჟინებდით, რომ ყველაფერი საუკეთესო ქართული და მხოლოდ ქართულია, დღეს კი ამერიკულია, ან ბოლონიურია და ა.შ. ვფიქრობ, თავისებურად ჩიხში ვართ - ეს რეალობაა; რეალობა, რომელიც გადაწყვეტას მოითხოვს არა მარტო ერთი ადამიანის, მეცნიერის თუ პერსონალის მიერ, არამედ ეს არის საკმაოდ კონცეპტუალური საკითხის შემუშავების მცდელობა ერთობლივი შემოთავაზებით ცალკეული უმაღლესი სასწავლებლების „გონის ბანკის“ მიერ, რომელიც ჩემი აზრით, შეიძლება მოგვარდეს პირველ ეტაპზე მაინც; რა არის საჭირო? დღეს, ხვალ და საერთოდ, ექსტრემალური გადაწყვეტილებების მიღება.

ჩვენ ხშირად მოგვიწოდებენ, რომ დემოკრატია ევროპაშია, ამერიკაში გაფურჩქნილია და თავისუფალი. ეს თუ ასეა, მაშინ ასეთი სულსწრაფობით რატომ არის მათი დამოკიდებულება ჩვენს მიმართ თითქმის დაჟინებული ფორმით შემოთავაზებული; თუ პირიქით, ხდება, და ჩვენი მოღვაწენი თავის მოწონების მიზნით თავს გვახვევენ და არქმევენ სახელს სხვათა მიერ შემოთავაზებულ პროექტებს. ასეთი მიდგომებით წლების მანძილზე მივიღეთ საკმაოდ ქაოტიური სურათი, რომელიც დღეს დრამად წარმოგვიდგა.

რაში მდგომარეობს ჩვენი როლი? ჩემი აზრით, ქართული კულტურა, ისტორია, გვამღვებს იმის საშუალებას, რომ უფრო ჩამოვყალიბდეთ და ბოლოსდაბოლოს წარმოვადგინოთ ისეთი პრინციპით შედგენილი სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს რეფორმის შესრულება-განვითარებას და მოისვენებს ერიც და ბერიც.

ჩვენი საზოგადოება ყოველთვის წარმოადგენდა არაძალადობრივ და კეთილი ნების გამომხატველ გარემოს. ყოველ შემთხვევაში, სწავლება და სწავლების კულტურის ატმოსფერო, გამორიცხავდა კონფლიქტს საზოგადოებასთან, კონფლიქტს სასწავლო პროგრამებისა და სწავლების პროცესთან; პირიქით, წარმოქმნიდა შესაძლებლობას იმისათვის, რომ ფსიქოლოგიური, პოლიტიკური და სხვა ზეწოლისგან განთავისუფლებული ყოფილიყო. საერთაშორისო კომისია, რომელიც XXI საუკუნეში შეიქმნა, თავის უმთავრეს პრინციპად მიიჩნევს სწავლებას, როგორც „ყოფნის კულტურას“ [3], რომელიც მთლიანად იზიარებს ჰუმანურობის პრინციპს და მშვიდობიან თანაარსებობას მსოფლიო კულტურებთან.

მსოფლიო კულტურა გულისხმობს იმას, რომ ადამიანი თავისი ბუნებით უნდა ღია იყოს, _ აღნიშნავდა ფრედერიკო მაიორი, _ რომელიც გაითავისებს სხვის კულტურას რა დარგშიაც არ უნდა იყოს და მონაწილეა სხვა პიროვნების ადამიანური ყოფიერების სიძნელეებთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხელნ.: H2155 „სჯულდება“ იოანე ბაგრატიონისა, გამოცემა ივ. სურგულაძისა, გვ. 27, პროფ. А Цагарели, Сведения 1, с. XXXVIII.
2. ლ. ჯოხაძე, კულტურათა შეპირისპირება კონცეპტუალური სწავლების პროცესში, Journal of American studies, თბ., 2006, გვ. 248-249.
3. Беттии А. Реадрон «Терпимость: на грани мира», из. Юнеско, 1997.

IRMA KETSKHOVELI - Assistant Professor of the Department of Social Sciences, Philosophy and Public Relations Direction of Georgian Technical University
CULTURAL OF EDUCATION IN GEORGIA
Summary

The process of Modern education is in difficult condition. Our aim is testimate not only values but at the same time existing problems of our country. Our object is to get specific offers for future study in primary schools and in higher education institutions. Education is always priority for Georgian culture. Due to present condition there are lots of complicated issues in our education system. As for us intellectual potential of our society should take pact in implementing consecutive reform to educational system of Georgia.

ირინე კიკვაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტის დოქტორანტი, ასოციაცია “სკოლა-ოჯახი-საზოგადოება” ხარისხის მართვის განყოფილების მენეჯერი, წერა და კითხვა კრიტიკული აზროვნების პროგრამის საერთაშორისო ტრენერი და სერტიფიკატორი

მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების ძირითადი ფსიქოლოგიური ასპექტები

შეფასება ნებისმიერი ადამიანისათვის პიროვნებად ფორმირების ფაქტორია. ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტური შეფასება ხელს უწყობს დასახული მიზნისკენ სწრაფვას, აძლიერებს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად თვითრეალიზების სურვილს და ქმნის საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრების შესაძლებლობას. სწორედ ამის გამო განათლების რეფორმის საფუძველზე სკოლაში აქტიურად ინერგება მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების განმავითარებელი სისტემა, რომლის მიხედვითაც მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს:

- **შემეცნებითი (კოგნიტური) სფერო** – მოიცავს ცოდნის შექმნასთან დაკავშირებულ მიზნებს. მისი დახმარებით მიმდინარეობს შესასწავლი მასალის გააზრება, პიროვნული ცოდნის მიღებულ ინფორმაციასთან შეჯერება და ახალი იდეების ტრანსფორმირება, კონსტრუირება სხვადასხვა მეთოდისა და პროცედურების გამოყენებით. შემეცნების სფეროს უმეტესად მიეკუთვნება სწავლების მიზნები, რომლებიც საგნობრივი პროგრამების შინაარსშია წარმოდგენილი.

- **აფექტური (ემოციურ - ნებელობით) სფეროს** – მიეკუთვნება ისეთი მიზნების ფორმირება, რომლებიც გარემომცველ სამყაროში მიმდინარე მოვლენების მიმართ ემოციურ-პიროვნულ დამოკიდებულებებს ასახავენ, რაც მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას უწყობს ხელს. ამ სფეროში თავსდება ისეთი მიზნები, როგორცაა: ინტერესთა და მიდრეკილებათა ჩამოყალიბება, ამა თუ იმ გრძნობათა განცდა, ურთიერთობებისა და საყოველთაოდ აღიარებული ღირებულებების ჩამოყალიბება, გაზიარება და მისი საქმიანობაში გამოვლენა.

- **ფსიქომოტორულ სფეროს** – განეკუთვნება მიზნები, რომლებიც დაკავშირებულია მოძრაე (მოტორულ) საქმიანობებთან, ნერვული სისტემისა და კუნთების კოორდინაციასთან. როგორცაა, წერის და მეტყველების, ფიზიკური აღზრდის, შრომითი სწავლების შედეგად ჩამოყალიბებული მიზნები და უნარები.

განმავითარებელი შეფასების რამდენადაც პროგრესულია, იმდენად რთულად განსახორციელებელი და გასააზრებელი აღმოჩნდა პედაგოგთა დიდი უმრავლესობისათვის. ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ მასწავლებლებს ბოლომდე არ აქვთ გაცნობიერებული მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების ეფექტური პარადიგმები. მათი უმრავლესობა მექანიკურად იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ისინი ვერ ახერხებენ ერთმანეთს დაუკავშირონ გაკვეთილის ფსიქოლოგიური ასპექტები, საგნის სტანდარტები და შეფასება. ამისათვის სპეციალურად შევჩერდები გაკვეთილის სამფაზიანი მოდელისა და შეფასების ფსიქოლოგიურ ასპექტებზე.

მოსწავლეზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესის ფსიქოლოგიური ასპექტების გასაანალიზებლად განვიხილოთ გაკვეთილის სამი ფაზა გამოჩენილი ფსიქოლოგების: დ. უზნაძის, ჟ. პიაჟესა და ა. მასლოუს მოსაზრებებზე დაყრდნობით.

დ. უზნაძის თეორიის ძირითად ცნებას განწყობა წარმოადგენს. ავტორმა თავისი თეორია შეიმუშავა ქცევის მიზანშეწონილობის პრობლემის ასახსნელად, რომლის მიხედვითაც, ყოველი ცოცხალი ორგანიზმის ქცევას განწყობა განსაზღვრავს. იგი ედება საფუძვლად ადამიანის ყოველგვარ აქტივობასაც. ამ აზრით, განწყობის თეორია ქცევის ზოგად თეორიას წარმოადგენს, რომელიც ყოველი კონკრეტული ქცევის მიზანშეწონილ ხასიათს თვით მის საფუძველში არსებული განწყობის ბუნებით ხსნის. განწყობის ბუნებას, მის გარკვეულობას კი ყოველთვის ორი ძირითადი ფაქტორის –

მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების სიტუაციის – ერთობლიობა ქმნის. მოთხოვნილება განწყობის შემუშავების სუბიექტური ფაქტორია, დაკმაყოფილების სიტუაცია კი – ობიექტური.

მოსწავლეს რომ სწავლის განწყობა შეექმნას (ეს იქნება სწავლის ე.წ. პერმანენტული განწყობა, მოცემული კონკრეტული მასალის ათვისების მიმართ თუ გაკვეთილის შინაარსისადმი), მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს სწავლის მოთხოვნილება. მაგრამ ყველა მოსწავლეს როდი შეიძლება გააჩნდეს სწავლის ინტელექტუალური მოთხოვნილება, ყველა საგნის მიმართ მაინც, ასეთ შემთხვევაში განწყობის შემუშავების სუბიექტური ფაქტორის როლში უნდა გამოვიდეს ნებისყოფა. ნათქვამიდან უკვე ნათელია, რომ შემეცნებითი მოთხოვნილებების აქტივაციასთან ერთად, მოსწავლეთა ნებისყოფის განვითარებაზე ზრუნვა მასწავლებელთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მაგრამ თავისთავად მოთხოვნილება და ნებისყოფა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს სწავლის განწყობის შემუშავებას. აუცილებელია ობიექტური ფაქტორიც, შესაბამისი სიტუაციაც, რომლის როლი განსაკუთრებით იზრდება მაშინ, როდესაც სწავლისადმი შემეცნებითი ინტერესი ან ნებისყოფა სათანადოდ არ აქვთ განვითარებული მოსწავლეებს. სწორედ ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებით საჭიროა ობიექტურ სიტუაციაში (კარგად გააზრებული და ჩატარებული გაკვეთილის, თვალსაჩინო მასალის, თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების, სათანადო სასწავლო მასალის, საინტერესო დამატებითი ლიტერატურისა და სხვა სახით) შემოვიტანოთ ისეთი სტიმულები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს ადვილად შეიმუშავოს სწავლის შესაბამისი განწყობა. ამრიგად, სწავლის განწყობის შემუშავებას ბევრად განსაზღვრავს სწავლებისა და სწავლის ოპტიმალური პირობების შექმნაც.

დავუბრუნდეთ გაკვეთილის სამფაზიანი მოდელისა და შეფასების ფსიქოლოგიურ საკითხებს. „გამოწვევის“, ანუ ინფორმაციის გონებაში აღდგენის ეტაპზე რამდენიმე მნიშვნელოვანი შემეცნებითი ქმედება ხორციელდება. მოსწავლეები აქტიურად იხსენებენ იმას, რაც იციან ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ეს აქტივობა უბიძგებს მათ, გადახედონ საკუთარ ცოდნას და დაფიქრდნენ იმ საკითხზე, რომელსაც მალე გამოიკვლევენ. „გამოწვევის“ ფაზის მეორე მიზანია მოწაფის გააქტიურება, ინტერესის გაზრდა. გააზრებული, შეგნებული, კრიტიკული აღქმის უნარის განვითარებისათვის მოსწავლე აქტიურად უნდა ჩაებას სასწავლო პროცესში, ე. ი. მოსწავლემ ინფორმაცია უნდა აღიქვას, გაიაზროს, ნააზრევი საკუთარი სიტყვებით წერილობით ან ზეპირად გამოხატოს. გარემო, რომელსაც ვუქმნით მოსწავლეებს, საშუალებას აძლევს მათ ბოლომდე გაიხსნან გაკვეთილზე, თავისუფლად გამოხატონ განსხვავებული თვალსაზრისი, დასვან შეკითხვები, რაც მძლავრი ბიძგია შემეცნებისათვის (ინტელექტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის). აქედან გამომდინარე, მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩართვისათვის სჭირდება სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც აამოქმედებს მის სათანადო ძალებსა და უნარ-ჩვევებს. მასწავლებელმა მოსწავლეს სამოქმედოდ განწყობილ ძალებზე გათვლილი სასწავლო აქტივობები უნდა მიაწოდოს. სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი ინტელექტუალური მოთხოვნილება, ცნობისმოყვარეობა, ე.წ. ცოდნის შეძენის წყურვილში გადაეზარდოს.

ბავშვისა და განათლების ფსიქოლოგიის თანამედროვე ტენდენციებმა ცხადად დაამტკიცა დ. უზნაძის შეხედულებების სიცოცხლისუნარიანობა. თითქმის ერთი საუკუნის წინ გამოთქმული მისი იდეები დღესაც აქტუალურია და სათანადოდ გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ვითარების საფუძვლიანი შეცნობა ახალი ინფორმაციის უკვე არსებულ აზრობრივ კონსტრუქციასთან შერწყმის პროცესს წარმოადგენს, გადაწყვეტია გონებაში „გამოწვევის“ სტადიის მესამე კომპონენტი. ის საკითხის კვლევის მიზნისა და ამოცანის განსაზღვრას გულისხმობს. მიზნისა და ამოცანის ნათლად განსაზღვრა არსებითია მოსწავლეთა სასწავლო განწყობის განსამტკიცებლად. „ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში დადასტურებულია რომ ადამიანი, რომელიც შორეული მოტივაციის საფუძველზე დაისახავს შორეულ მიზანს და მიიღებს მას, როგორც გარკვეული მიმართულებით მოქმედების პროგრამას, შემდეგში იგი ამ მიმართულებით თავისი მოქმედების თითოეულ რგოლში დაინახავს დასახული მიზნის მიღწევის აუცილებელ ეტაპს და მტკიცედ შეეცდება გადალახოს ის, რადგან სხვანაირად დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნება. ეს გარემოება, ბუნებრივია,

ხელს უწყობს ადამიანის მთელი ძალების მობილიზებას, მიზნის მიმართულებით შესაბამისი განწყობის შემუშავებას, რაც გარკვეულად აადვილებს განწყობის რეალიზაციას და მიზნის მიღწევას“ (ნ. ბარამიძე, „მორეული მოტივაციური ქცევა და სწავლა“, 1995წ. ბათუმი, გვ. 4).

გამოვკვეთოთ ორგვარი მიზანდასახულობა: 1) მასწავლებლის მიერ წარმართული ან ტექსტით ნაკარნახევი (გარე); 2) პიროვნული (შიდა), რომელიც უფრო მძლავრია. გაკვეთილის პირველ ეტაპზე, როდესაც მასწავლებელი სვამს მნიშვნელოვან შეკითხვას შესასწავლი თემის შესახებ: „რა იცით ან გგონიათ, რომ იცით...?“ და მოსწავლეებს შეუძლიათ დამოუკიდებლად თავისუფლად გამოთქვან მოსაზრებები (შიდა მოტივაცია), ამით მოსწავლის აფექტურ (ემოციურ-ნებელობით) სფეროზე ვახდენთ ზეგავლენას (გარე მოტივატორი).

გაკვეთილის პირველ ეტაპზე მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ მამიებლად ჩამოყალიბებას. ამ დროს ბავშვი ახდენს ადაპტაციას გარემოსადმი. პიაჟეს თეორიის მიხედვით, ცოდნა მოსწავლეს მზა სახით კი არ ეძლევა, არამედ მისი მონაწილეობით იქმნება. მოსწავლე, გარემოსთან აქტიური ურთიერთქმედებით, თავად ქმნის გარკვეულ წესთა ერთობლიობას. ცენტრალური ცნება პიაჟეს თეორიაში, აღნიშნავს მენტალურ სტრუქტურებს, რომელიც გადაამუშავებს ინფორმაციას. სქემა ინდივიდის გამოცდილებასთან ერთად იცვლება, ის არის ინფორმაციის გადამუშავების საშუალება, ხერხი. სქემა მოიცავს როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ პროცესებს. თავიდან ბავშვი იწყებს მარტივი სენსორული და მოტორული სქემებით, მაგ. მხედველობითი, ტაქტილური, გემოვნების, სმენითი, მოძრაობის. ბავშვისათვის ობიექტი არის საგანი, რომელსაც აქვს განსაზღვრული ფერი, გემო და ა. შ. მოგვიანებით ის ჩამოაყალიბებს მენტალურ სქემებს, როგორც არის კატეგორიზაცია, შედარება. განვითარების პროცესში ის უფრო რთულ სქემებს შეიმუშავებს, როგორც არის დედუქციური ანალიზი და სისტემური აზროვნება. ეს წინსვლა მარტივი სქემებიდან რთულისაკენ მიიღწევა შემდეგი სამი პროცესით: ასიმილაცია, აკომოდაცია, წონასწორობა.

ასიმილაცია არის გამოცდილების ჩართვა სქემაში. თუ ადამიანის მიერ მიღებული ინფორმაცია, პერცეპტული ხატები ან სუბიექტური განცდები შეესაბამება მისი ინტელექტის სტრუქტურას, მაშინ მოხდება ასეთი ინფორმაციის გაგება ანუ ასიმილაცია. სწორედ ამიტომ ხდება გაკვეთილის პირველ ეტაპზე მოსწავლეთა პიროვნული ცოდნის წინ წამოწევა. რადგან ინტელექტი ოპერაციათა სისტემაა, გაკვეთილის ამ ეტაპზე მასწავლებელი სწორედ ცალკეულ ოპერაციებს უნდა აფასებდეს.

გამოწვევის ეტაპზე შეფასების ობიექტი ხდება: სქემის გამოყენება და მისი განვითარება, პიროვნული ცოდნა, ღირებულებები, ფორმალურ - ლოგიკური აზროვნება, ფსიქო-ემოციური სფერო, დამოუკიდებელი აზროვნება.

მეორე ფაზის, შინაარსის რეალიზების, უპირველესი ამოცანა დაწყებული საქმიანობისათვის ხელის შეწყობა და გონებაში „გამოწვევის“ ფაზაზე გაღვივებული ინტერესისა და იმპულსის შენარჩუნებაა. მეორე უმთავრესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მხარი ავუბათ მოწაფეთა მცდელობას, გააკონტროლონ საკუთარი აღქმის უნარი. აქტიური მოსწავლე, როგორც კი ახალ ინფორმაციას წააწყდება, მაშინვე საკუთარ აღქმის უნარს აკონტროლებს. სწავლება/სწავლის დროს აღქმის უნარის შესუსტებისას ხელახლა უბრუნდება წაკითხულს (შესასწავლ საკითხს). მოსწავლე მიწოდებული მასალის მოსმენისას შეკითხვას სვამს ან სათანადო აღნიშვნებს აკეთებს, რათა შემდეგ ყოველივეს ნათელი მოჰვინოს. ამასთან, ისიც უნდა დავძინოთ, რომ როდესაც მოსწავლე საკუთარ აღქმის უნარს აკონტროლებს, იგი, ჩვეულებრივ, უკვე შემუშავებული სქემების მიხედვით ალაგებს ინფორმაციას. მოსწავლე მიზანდასახულად აკავშირებს ახალსა და უკვე ცნობილ ინფორმაციას, ე.ი ადგილი აქვს აკომოდაციის პროცესს.

აკომოდაცია არის სქემის შეცვლა ახალი ინფორმაციის შედეგად, ახალი ინფორმაცია, თავის მხრივ, მიღებულ იქნა ასიმილაციით. როცა ახალი ინფორმაცია არ ჯდება სქემაში, ხდება სქემის რეორგანიზება. აკომოდაციის საშუალებით ჩვენ რეორგანიზებას ვუკეთებთ ჩვენს უნარებს, ვაუმჯობესებთ ჩვევებს, ვცვლით სტრატეგიებს. ამრიგად, აკომოდაცია არის სქემების მოდიფიკაცია ახალი გამოცდილების შესაბამისად და ახალი სქემის შექმნა, როცა ძველი არ შეესაბამება სიტუაციას.

თუმცა აღსანიშნავია, რომ თუ ინფორმაცია არ შეესაბამება ინტელექტის სტრუქტურას, იგი მას განდევნის, ამდენად ინფორმაციის მიღების მზაობა წინაპირობაა აკომოდაციისათვის. ამ ეტაპზე შეფასების ობიექტი ხდება: ასათვისებელი შინაარსი, ინფორმაციის დამუშავების ტექნიკა, ტექნოლოგიების ცოდნა, მისი პრაქტიკაში გამოყენებისა და მეტაკოგნიტიური უნარ-ჩვევები, თვალსაზრისთა შეპირისპირება და შეჯერება.

მესამე – შეიძლება რეფლექსის ფაზაზე გამოიკვეთოს რამდენიმე დადებითი მომენტი. უმთავრესი ისაა, რომ მოსწავლისგან მოელიან იმ თვალსაზრისისა თუ ინფორმაციის საკუთარი სიტყვებით გამოხატვას, რომელიც მას გზადაგზა ხვდება. ეს აუცილებელია ახალი აზრობრივი სქემების ასაგებად. საფუძვლიანი შესწავლა და სიღრმისეული გაცნობიერება პიროვნებაზე დამოკიდებული. მოსწავლეს ყველაზე უკეთ ის ამახსოვრდება, რასაც მისთვის საცნაურ კონტექსტში ითვისებს და საკუთარი სიტყვებით გაიაზრებს. აღქმა მაშინაა საფუძვლიანი, როდესაც ინფორმაცია კონტექსტუალურ სქემაში თავსდება. ცნებათა ახლებურ ყალიბში მოქცევითა და ნაცნობ პიროვნულ ლექსიკაში ჩასმით პიროვნული, შინაარსით დატვირთული კონსტრუქცია წარმოიქმნება.

რეფლექსიის ფაზის მეორე ამოცანაა მოსწავლეთა შორის აზრთა ჯანსაღი გაცვლა-გამოცვლა და ამის საფუძველზე მათი თვალსაზრისის გამომხატველი ლექსიკონის გამდიდრება. რეფლექსიის ფაზაზე დისკუსიაში ჩაბმის წყალობით მოწაფეები ნაირნაირ კონსტრუქციას ეზიარებიან აზროვნების გასაღრმავებლად. ამ სტადიაზე ახალ-ახალი ინფორმაციის ინტეგრაციის მრავალგვარ საშუალებათა გაცნობა უფრო მოქნილ კონსტრუქციებს მიგვაახლოვებს, რომლებიც მომავალში შესაძლოა უფრო პრაქტიკულად და მიზანდასახულად გამოიყენონ. მყარდება წონასწორობა. ინტელექტი გამუდმებით იმის ცდაშია, რომ წონასწორობა შეინარჩუნოს ასიმბალანსისა და აკომოდაციის შორის და ეს უდევს საფუძვლად ადაპტაციას. წონასწორობის გზით ინდივიდი ერთმანეთთან აკავშირებს გარემოსა და საკუთარი აზროვნების სტრუქტურებს და ეს ეხმარება ადამიანს ინტელექტუალურ ადაპტაციაში.

ჩვენს საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია ა. მასლოუს შეხედულებაც ადამიანის მოთხოვნილებებისა და მათი მოტივაციური ღირებულებების შესახებ. როგორც ცნობილია, ა. მასლოუმ შექმნა მოთხოვნილებათა იერარქიის მოდელი, რომელშიც ბიოლოგიური მოთხოვნილებები ყველაზე დაბალ საფეხურზეა, ხოლო პიროვნების განვითარებისა და საკუთარი თავის რეალიზაციის მოთხოვნილება - ყველაზე მაღალ საფეხურზე. ადამიანს ჯერ დაბალი საფეხურის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ესაჭიროება, რომ უფრო ეფექტურად გადავიდეს მაღალი საფეხურის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. მოთხოვნილებათა იერარქიაში მასლოუ გამოყოფს:

- 1) ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები: კვება, წყურვილი, ჟანგბადი, თავშესაფარი, ძილი, სითბო, გამრავლება და ა. შ.
- 2) უსაფრთხოების მოთხოვნილება: სტაბილურობა, დაცვა, წესრიგი, უსაფრთხოების შეგრძნება.
- 3) მიკუთვნებულობისა და სიყვარულის მოთხოვნილება: ოჯახი, ჯგუფი, ურთიერთობები, ზრუნვა, თანაგანცდა.
- 4) პატივისცემის მოთხოვნილება: მიღწევა, სტატუსი, პასუხისმგებლობა, რეპუტაცია.
- 5) თვითაქტუალიზაცია: პიროვნების განვითარება და მისი შესაძლებლობების სრული რეალიზაცია.

მასლოუს მოტივაციის იერარქიული მოდელის ცოდნა საშუალებას აძლევს პრაქტიკოსს მასწავლებელს, დაადგინოს იერარქიის რომელ საფეხურზეა მოსწავლე, რა მოტივები უდევს საფუძვლად მის ქცევას, რის შემდეგაც შესაძლებელია სწავლის ადეკვატური სტრატეგიების შემუშავება და მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა. ასევე მნიშვნელოვანია ა. მასლოუს პირამიდის განხილვა შეფასების თვალსაზრისით.

ასე მაგალითად:

უსაფრთხოების მოთხოვნილება: სამუშაო წესების, შეფასების კრიტერიუმების შემუშავება მოსწავლეებთან ერთად მათში დაცულობის განცდას ზრდის. თუ მასწავლებელი შეფასებას არ იყენებს „სასჯელის“, „დაცინვის“, „იარლიყების მიკუთვნების“ საშუალებად, ჩნდება უსაფრთხოების

განცდა. შესაბამისად, მოსწავლეებში ყალიბდება სწავლისა და შეფასებისადმი პოზიტიური დამოკიდებულება, რის საფუძველზეც მატულობს მოსწავლეთა მოტივაცია. ნაკლებია მუდმივი შიში, შფოთი, უარყოფითი განცდები და ემოციები, მოსწავლე დარწმუნებულია საკუთარ ძალებში. შესაბამისად, მატულობს სწავლება-სწავლის ხარისხი.

მიკუთვნებულობისა და სიყვარულის მოთხოვნილება: ოჯახი, ჯგუფი, ურთიერთობები, ზრუნვა, თანაგანცდა. როდესაც საკლასო ოთახში ორმხრივი კომუნიკაცია და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებაა, სუფევს სიყვარულის ატმოსფერო. როდესაც პედაგოგი ქულის ნაცვლად იყენებს კომენტარებს, სადაც მისი პოზიტიური დამოკიდებულება ჩანს მოსწავლის მიმართ, მოსწავლეს თანადგომის განცდა ეუფლება. ბავშვი გრძნობს, რომ მასწავლებელი ეხმარება რჩევებით, რეკომენდაციებით, ასევე, საკუთარი მეგობრების შეფასებას, თუნდაც კრიტიკულს, ის უკვე პოზიტიურად აღიქვამს. მოსწავლეები გრძნობენ, რომ სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნებიან. სწორედ ეს უნარები აძლევს მათ საშუალებას სოციუმში ადგილის დამკვიდრებისათვის.

დაფასებისა და პატივისცემის მოთხოვნილება: შეფასების პროცესში მოსწავლეთა ჩართვა, მათი შესაძლებლობების გათვალისწინება, თვითგანვითარების გეგმის შემუშავება მასწავლებელთან ერთად, მათ გარკვეულ ფუნქციასა და სტატუსს მატებს, რაც თავის მხრივ ზრდის პასუხისმგებლობას. მოსწავლე ყალიბდება საზოგადოებრივად აქტიურ პიროვნებად.

თვითაქტუალიზაცია: (პიროვნების განვითარება და რეალიზაცია). თვითშეფასების გამოყენება შეფასების პროცესში მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, ობიექტურად განსაზღვრონ საკუთარი შესაძლებლობები. მიმართონ საკუთარი ძლიერი მხარეები სუსტის გამოსასწორებლად. გააცნობიერონ და მართონ საკუთარი ქცევა, დამოუკიდებლად დაისახონ მიზანი, ხოლო შემდეგ დაგეგმონ და განახორციელონ ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ღონისძიებები. იმის გადასაწყვეტად, რომელი ქცევა უნდა შევინარჩუნოთ და რომელი შევცვალოთ, აუცილებელია, ზუსტად ვაფასებდეთ ჩვენს ქმედებებს. ეს აძლევს საშუალებას პიროვნებას შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა ცხოვრებაში და ღირსეული ადგილის დამკვიდრება. თვითაქტუალიზაციისათვის, საკუთარი შესაძლებლობების სრულყოფილად რეალიზაციისათვის აუცილებელია ისეთი პიროვნული ძალა, როგორცაა ნებისყოფა.

შ. ჩხარტიშვილის განმარტებით: „ნებისყოფა არ არის ფორმალური ხასიათის ფუნქცია. იგი მხოლოდ იმ ქცევას უკეთებს ორგანიზაციას, რომელსაც ობიექტური (საზოგადოებრივი) ღირებულება აქვს. ამიტომ, ყოველი ქცევა, რომელიც ისეთი საგნებისა და მოვლენების შექმნის, მოვლის, დაცვისა და მიზანშეწონილი (შეგნებული) გამოყენების საქმეს ემსახურება, რომელსაც ობიექტური ღირებულება აქვს, ნებისმიერი ქცევაა. ასეთი ქცევა ყოველთვის პიროვნების დონეზე მიმდინარეობს, თვითონ პიროვნებას, როგორც ნებისყოფის სუბიექტს, მიჰყავს. სასწავლო ქცევას, პიროვნულ საზრისსა და ღირებულებას სუბიექტი ანიჭებს. ამიტომ სადაც ნებისყოფას არ აქვს ადგილი, იქ არც სწავლის, როგორც დამოუკიდებელი ქცევის, შესახებ შეიძლება ვილაპარაკოთ“. (შ. ჩხარტიშვილი, ექვსწლიანთა სასკოლო სწავლების საკითხები. თბილისი 1980წ. გვ. 80).

ამრიგად, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასების დახმარებით, მოსწავლეზე მუდმივი დაკვირვების შედეგად, ვიღებთ სრულყოფილ ინფორმაციას არა მხოლოდ მისი კოგნიტური განვითარების, არამედ ემოციურ-ნებელობითი და მოტივაციური სფეროს შესახებ. განმავითარებელი შეფასება ქმნის საუკეთესო პირობებს მოსწავლის თვითრეალიზაციისათვის, ასიმილაცია-აკომოდაციის მექანიზმების ეფექტური „მუშაობისა“ და მათში სათანადო ინტელექტუალური სქემების ჩამოყალიბებისთვის. განმავითარებელი შეფასება ზრდის საკუთარ განათლებაზე ზრუნვის პასუხისმგებლობას მოსწავლეებს უყალიბდებათ მეტაკოგნიტური უნარები (საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა-შეფასება, აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ), რაც ხელს უწყობს სწავლის სწავლას, უზრუნველყოფს მაღალ აკადემიურ მოსწრებას და ხელს უწყობს ზნეობრივი პიროვნების ამოყალიბებას.

Irina Kikvadze - Shota Rustaveli State University Batumi Department of Education and Science doctoral student. Association "School - Family - Society". Manager Quality Control. International trainer and certifier program to “Reading and Writing Critical Thinking”.

Students' knowledge and skills assessment of the psychological aspects

Assessment for everyone forming the personality factor. Knowledge and Skills - an objective assessment of aspiration contribute to the aim pursued, reinforcing their desire for self-fulfillment and creates possibilities for establishing the possibility of a decent society. That's why education reform is being implemented on the basis of students 'knowledge and skills - skills assessment, developing a system in which the students' knowledge and skills - the skills of some of the major issues include:

Learner-centered lessons in order to analyze the psychological aspects of eminent psychologists to consider the lessons of three phases: d. Uznadze, p. Piazhesa and so on. Based on the considerations maslous.

Thus, the students' knowledge and skills - skills assessment, a pupil at a constant observation, we obtain comprehensive information not only on the cognitive development, but also emotional - is a voluntary and Motivational area. Creates the best conditions for developing the student's self-realization, assimilation - accommodation arrangements effective "work" and the establishment of appropriate intellectual schemes. On an assessment of their responsibility to care for the education of pupils metakognituri acquire skills (to plan their own activities - assessment, thinking about their own thinking), which promotes the study of learning, ensures high academic achievement and promotes moral personality forming.

Ирине Киквадзе - Университет им. Ш. Руставели г.Ватумти факультет образования и науки, докторант. Ассоциация «Школа - Семья - Общество» Менеджер контроля за качеством. Международный тренер и сертифициатор программа по развитию критического мышления в чтении и письме.

Психологические аспекты оценки знаний и навыков студентов

Оценка для каждого человека является фактором развития личностных качеств. Объективная оценка знаний и навыков способствует целенаправленности учащихся, укрепляет их стремление к самореализации и создает возможность для адаптации в обществе. На основе образовательной реформы внесена система оценки знаний и навыков. Разработка системы оценки включает в себя: когнитивные (познавательные), аффективные и психомоторные сферы.

Таким образом, развивающая оценка позволяет нам постоянно наблюдать за развитием учеников, мы получаем исчерпывающую информацию не только о познавательных, но и о эмоциональных и мотивационных областях ребенка. Развивающая оценка создает наилучшие условия для самореализации ученика. Использование ассимиляции и акомодации в процессе обучения, создает соответствующую интеллектуальную схему, которая имеет важное значение для развития детей. Ученики приобретают метакогнитивные навыки (планирование собственной деятельности, оценка, размышление о своем собственном мышлении), которые способствуют изучению обучения, обеспечивают высокую успеваемость и способствуют становлению моральной личности.

განათლების მენეჯმენტი/ Education management

გიორგი ღვთაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სრული პროფესორი

უმაღლესი განათლების სისტემაში რეფორმების განხორციელების თეორიული საფუძვლები

თანამედროვე უნივერსიტეტი საკმაოდ რთული და დინამიკურად განვითარებადი ორგანიზმია. მისი ფუნქციური დატვირთვა აღარ შემოიფარგლება მხოლოდ განათლების მიწოდებით. დღის წესრიგში დადგა სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი, საკითხები, რომლებიც ერთობ ზრდიან უნივერსიტეტების მნიშვნელობას როგორც საზოგადოებრივი განვითარების, ისე სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში. „საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშე მდგომი გამოწვევები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია თვით უნივერსიტეტის იდეით, რომელიც ყოვლისმომცველ ხასიათს ატარებს და თავის თავში უპირატესად მოიცავს აზროვნების თავისუფლებას.“ (ღვთაძე გ., გვ. 197)

მიმდინარე ეტაპზე, მკვლევარებისა და ანალიტიკოსების არაერთი ნაშრომი ეძღვნება განათლების სისტემის სუბიექტების რეფორმირების მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის საკითხებს. გაწეული ანალიტიკური საქმიანობა ხელს უწყობს პოლიტიკის შემუშავებლებისა (თეორეტიკოსების) და განმახორციელებლების (პრაქტიკოსების) მიერ აღქმას იმისა, რომ რეფორმებს გააჩნიათ სასიცოცხლო მნიშვნელობა უნივერსიტეტების ცნობადობის ამაღლებაში, მათი მიმზიდველობის ზრდასა და ზოგადად, განვითარებაში. ამასთან, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ცვლილებების დაგეგმვის დროს ძირითადი აქცენტი უნდა კეთდებოდეს შემდეგზე:

- უნივერსიტეტებში მოქნილი საგანმანათლებლო სივრცისა და კვლევებზე ადაპტირებული გარემოს შექმნა;
- უნივერსიტეტების ფინანსურ გამლიერება და ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება;
- კონკურენციის ამაღლება როგორც უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს (უსდ) შორის, ისე უნივერსიტეტის შიგნით - ფაკულტეტებს შორის;
- უსდ-ების საქმიანობის გამარტივება, მათთვის მეტი თავისუფლების მინიჭების გზით;
- უნივერსიტეტის, როგორც ნოვაციათა უმთავრესი მხარდამჭერისა და საზოგადოებრივი განვითარების ძირითადი ლოკომოტივის როლის გათავისება, განვითარება და ა.შ

აღიარებულია, რომ ცვლილებები უნდა იწვევდეს ნდობასა და სტაბილურობის განცდას, რათა ცალკეული სუბიექტები ადეკვატურ რეაგირებას ახდენდნენ მათზე. როდესაც ვსაუბრობთ რეფორმებზე, ცხადია, მხედველობაში გვაქვს როგორც საერთო-სახელმწიფო დონეზე მიმდინარე ცვლილებები, ისე სიახლეები ცალკეული უნივერსიტეტის მართვაში. ამასთან, საუნივერსიტეტო განვითარების პრიორიტეტების გამოკვეთაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს მიერ განათლების სფეროში განხორციელებული ქმედებები და გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები. ცხადია, ეს დამოკიდებულება არ ატარებს ცალმხრივ ხასიათს და უნივერსიტეტები უნდა გამოდიოდნენ, როგორც საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავების ინიციატორები და მხარდამჭერები. ეს მაშინ ხდება შესაძლებელი, როდესაც რეფორმა და ცვლილებები მათთვის გასაგები და სასურველია. სხვა შემთხვევაში, პროცესი მნიშვნელოვან წინააღმდეგობას წააწყდება არა იმიტომ, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებები ხისტ წინააღმდეგობას გაუწევენ სიახლეების დანერგვას, არამედ უბრალოდ ისინი ვერ იქნებიან იმდენად აქტიურები, რამდენადაც ეს საჭიროა რეფორმის წარმატებისათვის.

მსგავსი დამოკიდებულება უნდა განვიხილოთ თვით უნივერსიტეტების დონეზეც, რაც ნიშნავს, რომ მიუხედავად არსებითი განსხვავებებისა, სხვადასხვა დონეებზე მიმდინარე რეფორმებს მაინც

გააჩნიათ პრინციპული მსგავსება შემუშავების, მხარდაჭერის, მოტივაციისა და სხვა არაერთი მიმართულებით.

სწორედ, ამ ზოგადი პრინციპების შესახებ თეორიული მსჯელობა წარმოადგენს წარმოდგენილი სტატიის ძირითად მიზანს, რადგან ზოგად მიმოხილვასა და ტენდენციების გამოვლენას ყოველთვის მივყავართ უფრო კონკრეტული დასკვნების გამოტანამდე, გადაწყვეტილებების მიღებასა და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობების განვითარებამდე. აქვე დავძენთ, რომ გარკვეულ ობიექტურ მოსაზრებათა გამო, სტატიაში მსჯელობის განვითარების დროს შეგნებულად არ ვაკონკრეტებთ რომელიმე უნივერსიტეტს. უბრალოდ, გვაქვს სურვილი საჯარო განხილვის საგანი გავხადოთ ის პრინციპები, რომელთაც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ეყრდნობოდა უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. აქვე გვინდა გამოვთქვათ იმედი, რომ კონფერენციის მონაწილეები არ დაიზარებენ საკუთარი მოსაზრებების გაზიარებასა და შენიშვნების გამოთქმას, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდით მათ.

დინამიურად ცვალებად გარემო პირობებზე ადაპტირების აუცილებლობას ყველა ხედავს და, შესაბამისად, ეთანხმება ცვლილებების აუცილებლობას. მაგრამ გაცილებით ნაკლები თანხმობაა მიღწეული იმაში, თუ როგორ ვმართოთ ცვლილებები საუნივერსიტეტო დონეზე, იმ პირობებში, როდესაც საერთო-სახელმწიფო დონეზე მიმდინარე პროცესები, ყოველი ახალი ან თუნდაც იმავე ხელისუფლების პირობებში, არსებით ცვლილებებს განიცდის დროის არც თუ ისე დიდ პერიოდში.

ზოგადად, რეფორმირების გატარების წინააღმდეგობრივი ხასიათი შეიძლება განპირობებული იყოს შემდეგი ფაქტორებით:

1. **სირთულეები დაგეგმვის ეტაპზე.** გასატარებელი რეფორმების ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია ხოლმე, რაც ერთობ ართულებს სწორი პრიორიტეტების შერჩევასა და ქმედებათა თანმიმდევრობის დაგეგმვას;
2. **სირთულეები განხორციელების ეტაპზე.** ასეთი გარდაქმნები ხშირად წინააღმდეგობებს აწყდება პიროვნებებისა თუ ცალკეული დაინტერესებული ჯგუფებისაგან, რადგან მათი შედეგები ქმნიან ახალ მოცემულობას, რაც ბევრისათვის შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს, რადგან ისინი საკუთარ თავს ვერ აღიქვამენ ახალ გარემოში. შესაბამისად, ცალკეული პირები (ზოგ შემთხვევაში ინსტიტუციებიც, რომლებიც, საბოლოო ჯამში, მაინც პიროვნებების ერთობლიობას წარმოადგენენ) შეგნებით, თუ მათდა უნებურად, წინააღმდეგობას უწევენ ცვლილებებს იმის ნაცვლად, რომ თვითონ შეიცვალონ;
3. **ინსტიტუციური ხასიათის სირთულეები.** ნებისმიერ სფეროში არსებული ვითარების გაუმჯობესებაზე მიმართული რეფორმები პრობლემებს ქმნიან ინსტიტუციონალურ დონეზე. მათი გატარება, როგორც წესი, მოითხოვს სხვადასხვა დეპარტამენტებსა და მმართველობის დონეებს შორის კოორდინაციას. ასევე საჭიროებს ფუნდამენტურ ინსტიტუციონალურ ცვლილებებს ორგანიზაციებში, სტიმულებსა და ქმედებებში, რომლებიც საკმაოდ რთული განსახორციელებელია.

ასეთ პირობებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ქვეყნებისა თუ უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარებას, რომლებმაც განახორციელეს რეფორმები და მიიღეს დადებითი შედეგები. თუმცა, იმ უარყოფითი გამოცდილების გაცნობაც აუცილებელია, რომლიდანაც სასარგებლო დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ.

მიუხედავად იმისა, რომ რეფორმა დინამიკურ პროცესს წარმოადგენს, ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე, გამოვყოფთ მის ორ ძირითად ეტაპს, რომელთაგან თითოეულს ამოცანებისა და პროცესების საკუთარი ნაკრები გააჩნია. კერძოდ:

1. **ინიციატივის მხარდაჭერა და რეფორმის შემუშავება:** პრიორიტეტების განსაზღვრა, რეფორმის ინიცირება, რეფორმასთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება და მათი მიღების უზრუნველყოფა;

2. რეფორმის განხორციელება და მისი სტაბილურობის უზრუნველყოფა: რეფორმის გატარების სტიმულებისა და პოტენციალის განვითარება და მისი მხარდაჭერისა და მონიტორინგის ინსტიტუციური მექანიზმების ფორმირება.

ასევე, შესაძლებელია, გამოიყოს ფაქტორების კიდევ ორი ჯგუფი, რომლებიც ზემოქმედებენ რეფორმირების პროცესზე: კონტექსტური ფაქტორები და პოლიტიკის შემუშავებლების მიერ კონტროლირებადი ფაქტორები. უნივერსიტეტში რეფორმების წარმატება და ხასიათი ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის საერთო საგანმანათლებლო პოლიტიკასა და ზოგადად პოლიტიკურ კულტურაზე. ერთობლივად ისინი მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ რეფორმების შედეგების მრავალფეროვნებას და მის ზეგავლენას უნივერსიტეტის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაზე.

რეფორმატორებმა არსებული ინსტიტუციები და შიდა ინტერესთა ჯგუფების სტრუქტურა უნდა მიიღონ როგორც მოცემულობა. თვით ამ ფარგლებშიც კი, და თუნდაც ფუნდამენტური პოლიტიკური რეფორმის არარსებობის პირობებში, მათ საკმარისი სივრცე გააჩნიათ რეფორმის პროცესის შემუშავებისა და მართვისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი თანმიმდევრულობა და მიღებულ იქნეს სასურველი შედეგები.

აღნიშნული თვალთახედვით, ცვლილებების განხორციელების პროცესში იკვეთება ერთგვარი სტადიები, რომელთა თანმიმდევრული განხორციელება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სიახლეთა დანერგვის სიიოლეს და მიღებული შედეგების დროში სტაბილურობას. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი:

- ძირითადი შემზღულდავი ფაქტორების გამოვლენა და თანმიმდევრული ნაბიჯების დაგეგმვა რეფორმის ფარგლებში;
- რეფორმათა „პაკეტის“ შერჩევა, მისდამი ნდობის გამოწვევისა და მისი განხორციელების მხარდაჭერის უზრუნველყოფისათვის;
- რეფორმების განხორციელებისათვის სტიმულებისა და პოტენციალის შექმნა;
- დაინტერესებული ჯგუფების წინააღმდეგობის „დამლევა“ და რეფორმის განხორციელება;
- რეფორმების განვითარებისა და მონიტორინგისათვის ინსტიტუციური მექანიზმის ჩამოყალიბება, რეფორმის შედეგების სიმყარის უზრუნველყოფა;
- რეფორმის ფარგლებში მიღწეული შედეგების ფართომასშტაბიანი ინფორმაციული მხარდაჭერა და მათი დაყვანა ფოკუსს ჯგუფებსა და საზოგადოების თითოეულ წევრამდე.

აღნიშნული მიმართულებით დაგროვილი მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მსგავსი პრობლემური საკითხების წინა პლანზე წამოწევით, რეფორმები უფრო დინამიურ და თანმიმდევრულ ხასიათს ატარებენ (როგორც მომზადების, ისე განხორციელების ეტაპებზე). თუმცა, იმავდროულად ყველა კვლევა ადასტურებს, რომ ცვლილებები მნიშვნელოვანწილად გამოხატავენ ეროვნულ მენტალიტეტსაც. ეს ნიშნავს, რომ არ არსებობს ყველასათვის ერთიანი პროცესი და არც შეიძლება არსებობდეს. განსხვავებები ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემით, რეფორმების დაგეგმვისა და განხორციელების პოტენციალით, ისტორიული გამოცდილებითა და თანამედროვე სასტარტო პოზიციებით, საზოგადოების მზადყოფნითა და ცვლილებებისადმი ადაპტირების შესაძლებლობით და ა.შ.

სვადასხვა რეფორმა განსხვავებულ ტექნიკურ, პოლიტიკურ თუ ინსტიტუციონალურ ამოცანათა ნაკრებს აერთიანებს და შესაბამისად, განსხვავებული მიდგომების გამოყენებასაც მოითხოვს, რაშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. „ქვეყნის კონტექსტს“. თუმცა, განსხვავებულობა ბევრად არის დამოკიდებული ცალკეული უნივერსიტეტის და შესაბამისი კოლექტივის სპეციფიკაზე, იქ არსებულ პრობლემებსა თუ პერსპექტივებზე, მოტივაციურ მექანიზმსა და რეფორმატორთა გუნდის პიროვნულ თვისებებზე.

ზოგადად, რეფორმები უნდა ეყრდნობოდეს და ითვალისწინებდეს შემდეგ ძირითად მომენტებს:

მოწინავე გამოცდილების დიაგნოსტიკური ინსტრუმენტებისა და აპრობირებული მეთოდების გამოყენება მნიშვნელოვნად აიოლებს რეფორმების პრიორიტეტების გამოვლენას. თანამედროვე ეტაპზე რეფორმების განხორციელებისათვის საკმაოდ არის დაგროვილი სხვადასხვა საშუალებები:

რაოდენობრივი ინდიკატორები, უნივერსიტეტების რეიტინგები და მათ მიერ განხორციელებული კვლევებისა თუ ანალიზის მონაცემები, რომლებიც რეფორმატორებს მიეხმარება ამა თუ იმ უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიაში „სუსტი ადგილების“ იოლად გამოვლენასა და გარდაქმნათა პრიორიტეტული მიმართულებების ფორმულირებაში.

უნივერსიტეტს რეფორმების სასტარტო პოზიციის ფორმირებაში მნიშვნელოვნად ეხმარება მისი ინტეგრირება საერთაშორისო საგანმანათლებლო კონკურენციულ ბრძოლაში. უნივერსიტეტის სიღიავე არამარტო ბიძგის მიმცემია მისი განვითარებისათვის, არამედ ხელს უწყობს მის შიგნით ცვლილებების მხარდაჭერას მოქნილი საგანმანათლებლო და კვლევითი სივრცის შექმნის მიმართულებით. მაგალითად, განათლების პოლიტიკის ლიბერალიზაცია ამაღლებს კონკურენციას უნივერსიტეტებს შორის და აიძულებს დაინტერესებულ ჯგუფებს მოახდინონ მარეგულირებელი სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის რეფორმების ლობირება. ასევე, გლობალური ინტეგრაციით გამოწვეული კონკურენტუნარიანობის ზრდა ამაღლებს უნივერსიტეტების დაინტერესებას, კიდევ უფრო მეტად დაუჭირონ მხარი რეფორმებს.

იმავედროულად ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ ზოგადად, ნაკლებად პოპულარულ და მოთხოვნად უმაღლეს სასწავლებლებს, როგორც წესი, ახასიათებთ სიღიავის ნაკლებობა, კონტაქტების გაფართოებისადმი ბარიერების შენარჩუნების ტენდენცია, სიახლეთა დანერგვის ნაკლები ინტენსივობა, სხვადასხვა ბიუროკრატიული ბარიერების არსებობა და ა.შ.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რეფორმების მხარდაჭერას ახალი ინფორმაციებითა და კვლევებით. სასწავლებელში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით ახალი კონკრეტული მონაცემების გენერირება შეიძლება გახდეს კატალიზატორი რეფორმებისა, რომლებიც კამათს იწვევს და ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფებს ეხება. მაგალითად, კორუფციით გამოწვეული დანახარჯებისა და დანაკარგების შესახებ ინფორმაციის გავრცელება შესაძლებელს გახდის შემუშავდეს ღონისძიებათა კომპლექსი დაინტერესებული ჯგუფების გავლენის შესასუსტებლად, რომლებიც შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების, სწავლების ახალი მეთოდების დანერგვის, საგამოცდო პროცესის ახალი ფორმატით (ერთიანი ცენტრალიზებული წესით, კომპიუტერების გამოყენებით და ა.შ.) დაგეგმვის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

საუნივერსიტეტო განვითარებისა და რეფორმების განხორციელების საკმაოდ მძლავრ სტიმულს წარმოადგენს რაოდენობრივი ორიენტირების განსაზღვრა და მათი რანჟირება. სხვადასხვა კლასიფიკატორებში (მსოფლიო თუ რეგიონულ ჭრილში) მოყვანილი ინფორმაციები ცალკეული უნივერსიტეტის მიხედვით, სტიმულს აძლევს რეფორმების განხორციელებას არაერთ სასწავლებელში (მ.შ. აწსუ-ში). უფრო მეტიც - მსხვილ უნივერსიტეტებში, რომლებიც რამდენიმე ფაკულტეტს თუ ინსტიტუტს აერთაინებენ და ავითარებენ ათეულობით საგანმანათლებლო პროგრამას, ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებს შორის კონკურენციის გამამაფრების გამო, რეფორმების დაჩქარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ცალკეული ფაკულტეტების განვითარების შედარებითი ანალიზის განხორციელება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ცალკეული ჩავარდნები თუ კრიზისული მოვლენები ფაკულტეტების განვითარების პროცესში საკმაოდ ნოყიერ ნიადაგს ქმნიან თამამი რეფორმების განხორციელებისათვის.

ვფიქრობ, რომ *მიმდინარე პროცესების თვალსაჩინოდ წარმოჩენასა და რეფორმების ხელშეწყობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ე.წ. საპილოტე პროექტები და სხვა პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებმაც შეიძლება დიდი საგანმანათლებლო ზემოქმედებაც მოახდინონ.* ცვლილებები ხშირად ხდება შესწავლისა და განვითარების სტრატეგიებში დანერგვის ობიექტი. კერძოდ, ცალკეული პროექტების პილოტირება ქმნის საჭირო იმპულსსა და ექსპერიმენტალურ საფუძველს შემდგომი უფრო ღრმა ცვლილებებისათვის, მიუხედავად ეჭვებისა და ძლიერი წინააღმდეგობების გაჩენისა. პილოტირება შესაძლებელს ხდის შეფასდეს სირთულეები, რომლებსაც შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა უფრო ფართომასშტაბიანი პროგრამების განხორციელების დროს და დაარწმუნონ სკეპტიკოსები იმაში, რომ ეს პროგრამები განხორციელებადია იდეური, ადმინისტრაციული, რესურსული და ა.შ. თვალსაზრისით.

შემდეგი მომენტი, რომელზეც ყურადღების გამახვილება გვსურს არის რეფორმების მხარდამჭერთა ზეგავლენის ზრდის, მათი უფლებებისა და ძალაუფლების გაძლიერების აუცილებლობა სწავლებისა და დიალოგის მეშვეობით. არსებული ან პოტენციური მხარდამჭერების სწავლება, ინფორმირებულობა, მობილიზაცია და ა.შ., საშუალებას გვაძლევს მოხდეს რეფორმების მხარდამჭერთაგან კოალიციის ფორმირება ცვლილებათა მხარდასაჭერად და განსაკუთრებული ინტერესის მქონე ჯგუფების მხრიდან რეფორმების პროცესისადმი წინააღმდეგობის შესაძლებლობების მინიმიზირება. რეფორმების გატარებისათვის, რომლებსაც შორს მიმავალი მიზნები და შესაბამისი შედეგები გააჩნიათ და რომლებიც შეიძლება შეეხოს არაერთ დაინტერესებულ ჯგუფს, ხშირად საჭირო ხდება ფართომასშტაბიანი განხილვებისა და დისკუსიების გამართვა.

თანამედროვე კვლევებში უნივერსიტეტებს განიხილავენ როგორც კომპანიებს და ხშირად საუნივერსიტეტო სტრატეგიების ფორმირების დროს თითქმის იმავე მეთოდებს იყენებენ, რომლებიც კერძო სექტორის საწარმოებშია პოპულარული. მაგალითად, რეფორმების პრაქტიკული განხორციელების სტიმულები და პოტენციური შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს „ცვლილებების მართვის“ თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, რომელსაც ძირითადად კერძო სექტორი მიმართავს ხოლმე. სხვადასხვა ტექნიკური და ადმინისტრაციული ხასიათის სირთულეები, განსაკუთრებით საშუალო და დაბალი დონის ტექნიკური თანამშრომლებისათვის, რომლებიც საკუთარ თავზე იღებენ უნივერსიტეტში რეფორმების დანერგვის მთელ სიმძიმეს, კიდევ ერთხელ ადასტურებს ურთიერთკავშირს უნივერსიტეტის წარმატებასა და საუნივერსიტეტო მმართველობის რეფორმირების აუცილებლობას შორის.

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მონიტორინგის განხორციელებას, რომელიც რეფორმების პროცესის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს. აღნიშნულში იგულისხმება როგორც უნივერსიტეტის ცალკეული საკვანძო თანამდებობის პირების ანგარიშვალდებულება სასწავლებლის საბჭოებისა და წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე, ისე საზოგადოებრივი ჩართულობის ზრდა და უნივერსიტეტში მიმდინარე ცვლილებების სისტემატიური განხილვა სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების, უპირველეს ყოვლისა, სტუდენტების, წინაშე. არანაკლები მნიშვნელობა აქვს გასულ პერიოდში განხორციელებული რეფორმების შედეგების კვლევასა და ანალიზს, რაც მომავალში დაგეგმილი ცვლილებების დაგეგმვის დროს შეიძლება იქნეს გამოყენებული.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში მსოფლიოს მასშტაბით განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგები ნათელი დასტურია იმისა, რომ პირობების შექმნა საზოგადოების თითოეული წევრისათვის სრულად გამოიყენოს საკუთარი ინტელექტუალური პოტენციალი არის როგორც ცალკეული პიროვნების წარმატების, ისე მთლიანად ქვეყნის განვითარების განმსაზღვრელი აუცილებელი წინაპირობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლავთაძე გ., აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის აქტუალური საკითხები თანამედროვე გამოწვევების ფონზე, აწსუ და ქუ ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ქუთაისი 12-13 იანვარი 2013;
2. საერთაშორისო კვლევები და საქართველო 2013, საქართველოს გამოცდების ეროვნული ცენტრის მირ ორგანიზებული კონფერენციის მასალები, თბილისი, 11-12 აპრილი, 2013, ხელმისაწვდომია: <http://www.naec.ge/centris-gamocemebi/saerthashoriso-kvlevebi-da-saqarthvelo-2013.html?lang=ka-GE> ;
3. Carlos Filipe Escobar Roa, Bringing together the voices for university reform, available at www.universityworldnews.com/article.php?story=20120502142250194, 6 May, 2012

George Gvatzdze - Full professor of Akaki Tsereteli State University

Theoretical Bases of Reforms in Higher Education System

Summary

A modern university is a complex and dynamically developing organism, not limited only to providing education any longer. Other important items have been placed on the agenda, which increase the importance of universities for the development of a society and building a state.

Currently many research works deal with the expediency of reforms in educational system. Analytical activities carried out foster understanding the vital importance of reforms.

At university level the reforms should rely on and consider the following aspects:

- Applying cutting-edge international and national experience
- Integrating into international educational competitive space.
- Sustaining reforms with new information and research works.
- Carrying out pilot projects and other practical activities in advance.
- Training and teaching reform supporters to boost their influence
- Strengthening monitoring as an inseparable part of reforms etc.

Жанпеисова Назия Маденовна - Актюбинский университет им.С.Баишева, д.филол.н., профессор

РЕФОРМА ОБРАЗОВАНИЯ И НАУКИ В КОНТЕКСТЕ СТРАТЕГИИ ИНДУСТРИАЛЬНО-ИННОВАЦИОННОГО РАЗВИТИЯ КАЗАХСТАНА

В статье на материале официальных документов рассматриваются основные направления реформирования образования и науки как одного из важнейших факторов инновационного развития Республики Казахстан.

Н.М.Жанпеисова, Актюбинский университет им.С.Баишева, доктор филологических наук, профессор.

In the article on material of official records basic directions of reformation of education and science are considered as one of major factors of innovative development of Republic of Kazakhstan.

Naziya Zhanpeissova, [Aktobe University named after S.Baishev](#), doctor of philological sciences, professor.

Формирование Национальной инновационной системы с эффективными механизмами взаимодействия государства, бизнеса, науки и образования рассматривается в Казахстане как один из ключевых приоритетов стратегии индустриально-инновационного развития страны [1].

Известно, что в развитых странах базовая методология инновационного развития основана на человеческом капитале, которая, по некоторым данным, составляет 70-80% национального богатства [2]. Именно поэтому руководство страны делает ставку на эффективное использование человеческого капитала, акцентируя внимание, в первую очередь, на реформировании системы образования и науки.

Так, еще в 2009 году Президент РК назвал 3 базовых аспекта формирования интеллектуальной нации: прорыв в развитии системы образования, развитие науки и повышение научного потенциала страны, развитие системы инноваций [3].

Изучение ситуации, сложившейся в системе науки и образования, позволило руководству страны очертить круг проблем, решение которых позволит эффективно интегрировать систему образования в национальный инновационный комплекс. К ним можно отнести малоэффективную традицию обмена научной информацией; слабое знание иностранных языков; демографический кризис в научной среде (кадровый потенциал науки в Казахстане за предыдущие годы не только количественно сократился, но и существенно «постарел»); недостаток инженеров-технологов и проектировщиков по целому ряду современных наукоемких направлений развития производства; проблему обновления и эффективного использования научного оборудования; проблему оценки научных исследований; финансовую и научную зависимость научно-исследовательских лабораторий и т.д. [4]; распространение на образовательном рынке недобросовестной конкуренции, приводящей к снижению качества высшего образования и девальвации отечественных вузовских дипломов [5].

В настоящее время казахстанская система образования «объединяет свыше 12 тысяч государственных учреждений дошкольного, общего среднего и профессионально-технического образования, 174 колледжа и 53 гражданских вуза, формируется негосударственный сектор образования.... Если в 1990 году на каждые десять тысяч жителей нашей республики приходилось пять тысяч учащихся, 68 студентов вузов, 25 специалистов с высшим образованием и столько же научных работников, то сейчас это соотношение сократилось более чем на четверть <...> за эти годы в Казахстане, как и в других странах СНГ, произошло резкое снижение ассигнований на научные исследования. Численность специалистов, занятых в сфере науки, сократилась на 37%» [6].

Эти и другие проблемы требовали незамедлительного решения, что и определило основные направления реформирования системы образования и науки в РК.

Ниже перечисляются некоторые из важнейших мер, которые нашли отражение в законодательных актах и других документах [7] и были озвучены Министром образования и науки РК Б.Т.Жумагуловым [8].

1. *В системе общего среднего образования.*

- Поэтапный переход на 12-летнее образование (2015 -2020гг.).
- Формирование «вертикали контроля качества» образования: введение централизованного контроля качества образовательных услуг в организациях образования на территории всей страны. Опыт развитых стран показывает, что при нарастающей децентрализации управления образованием контроль качества все же строго централизован.
- Исключение промежуточного государственного контроля (ПГК) и замена его системой внешней оценки учебных достижений (ВОУД) методом компьютерного тестирования.
- Существенное усиление требований к качеству учебников, учебно-методических комплексов, пособий.
- Коренное повышение статуса педагога (повышение оплаты труда педагога; предоставление возможности осуществления индивидуальной деятельности, не требующей лицензирования; модернизация системы повышения квалификации путем введения ваучерно-модульной системы финансирования; возможность выбора зарубежных центров повышения квалификации и т.д.)
- 100% освоение электронного обучения (с 2011 года в 44 организациях образования запускается пилотный проект межотраслевой программы внедрения электронного обучения).
- Изменение главного ориентира обучения – от усвоения фиксированной суммы знаний к освоению компетенций: умению применять их на практике и т.д.

2. *В системе профессионально-технического образования.*

- Введение норм социального партнерства и кооперативности обучения как формы организации профессиональной подготовки кадров, основанной на корпоративной ответственности государства, предприятия и учебного заведения.
- Внедрение принципиально новой модели технического и профессионального образования, которая основана на тесном взаимодействии с рынком труда и удовлетворении его требований к специалистам; активном привлечении работодателей к управлению системой профтехобразования и ее поддержке; изучении и адаптации лучшего мирового опыта.
- Создание новых структур корпоративного управления: Национального совета, Региональных и Отраслевых советов по подготовке кадров с участием бизнес-ассоциаций и работодателей, которые будут привлечены к выработке современных профессиональных стандартов.
- Модель технического и профессионального образования будет отрабатываться на базе 4-х новых Межрегиональных центров, которые станут такой же "точкой роста" интеллектуального капитала среднего звена специалистов Казахстана, как Назарбаев Интеллектуальные школы и Назарбаев Университет в своих сферах.

3. *В системе высшего образования.*

- Введение 6-уровневой классификации вузов (национальные исследовательские университеты, национальные высшие учебные заведения, исследовательские университеты, университеты, академии, институты). Для каждого уровня разработаны критерии, аналогичные мировой практике. «Вузы, не соответствующие этим критериям, будут понижаться в категории и, в конечном счете, объективно уходить с рынка образовательных услуг данного уровня. Особого внимания <...> заслуживает введение категории Исследовательских университетов – это системный прорыв в преодолении <...> традиции разделения сфер образования и науки. "Первой ласточкой" и моделью для распространения здесь стал Назарбаев Университет» [2].
- Создание нормативно-правовой базы для реализации основных принципов Болонского и Туринского процессов (законодательно обеспечена академическая мобильность студентов и профессорско-преподавательского состава вузов; система аккредитации вузов передана в

конкурентную среду и введена в международную модель; введен особый статус организации образования, предоставляющий возможность самостоятельного определения порядка приема на обучение, а также реализацию самостоятельно разработанных учебных программ, использования собственных норм и нормативов в учебно-научно-методической деятельности; программа «Болашак», в рамках которой тысячи молодых казахстанцев учатся за счет государства в лучших университетах мира, переориентирована на послевузовское образование (магистратура, докторантура); открыты новые возможности для введения в организациях образования современной модели корпоративного управления, деятельности попечительских советов и т.д.).

Таким образом, инновационная стратегия РК на законодательном уровне «однозначно определяет статус научно-образовательной деятельности как части национальной инновационной системы» [1]. Казахстан, занимающий, по данным американского общественно-политического журнала Newsweek, в рейтинге лучших стран мира 61-ю позицию из 100, по уровню развития образования находится на 14-й строке [9], что вселяет оптимизм относительно достойного будущего страны.

Инновационное развитие Казахстана подкреплено и значительным увеличением финансирования науки. Если расходы на науку в 2006 году составили чуть более 13 млрд. тенге [1], в 2009 году -18,5 млрд. тенге [3], то к 2014 году финансирование науки будет доведено до 1% от ВВП, что в 4 раза превышает сегодняшний уровень [2].

Литერატურა

1. Король Д.Ю. Интеграция высшего образования Республики Казахстан в национальную инновационную систему // Образовательная политика в области интеграции высшего образования в национальную инновационную систему. Аналитический обзор № 13 (январь - июнь 2006 г.) // Web-документ [http:// www.charko.narod.ru](http://www.charko.narod.ru). - Дата обращения: 14.11.2011.
2. По материалам выступления Министра образования и науки РК Б.Т.Жумагулова на конференции "Интеллектуальная нация: образование, наука, инновации" 21.04.2011 года // Web-документ <http://www.nomad.su>. - Дата обращения: 14.11.2011.
3. По материалам лекции Президента Республики Казахстан Н.А.Назарбаева в КазНУ им. аль-Фараби «Казахстан в посткризисном мире: интеллектуальный прорыв в будущее» 13.10.2009 года // Web-документ [http:// www.zakon.kz](http://www.zakon.kz). - Дата обращения: 14.11.2011.
4. По материалам выступления вице-министра образования и науки РК А.К. Абдымомунова «Концепция Государственной программы развития науки Республики Казахстан до 2015 года» 7.12.2005 года // Web-документ <http://www.science.kz/platform/004.php>. - Дата обращения: 14.11.2011.
5. Гуревич Л.Я. Жакенова К.А. Высшая школа Казахстана после десятилетия реформ: взгляд изнутри // Журнал "Евразия". №3.2001.
6. Акчурин А., Кайдаулов С. Обсуждаем проект закона РК "Об образовании". Способны ли мы принять вызов времени? // Казахстанская правда. № 308-309 от 24.09.2011. Web-документ <http://www.kazpravda.kz>. - Дата обращения: 14.11.2011.
7. Закон Республики Казахстан «О науке» от 18.02.2011 года № 407-IV ЗРК; Закон Республики Казахстан «О внесении изменений и дополнений в Закон Республики Казахстан "Об образовании"» от 24.10.2011 г. № 487-IV ЗРК; Стратегия индустриально-инновационного развития Республики Казахстан на 2003-2015 гг. // WWW-документ <http://ru.government.kz>; Государственная программа развития образования Республики Казахстан на 2011 – 2020 гг. // Там же; Стратегический план МОН РК на 2011 - 2015 годы // Web -документ <http://www.educontrol.kz>. - Дата обращения: 14.11.2011.
8. По материалам а) выступления Министра образования и науки РК Б.Т.Жумагулова на конференции "Интеллектуальная нация: образование, наука, инновации" 21.04.2011 г.// WWW-документ <http://www.nomad.su>; б) выступления Министра образования и науки РК Б.Т.Жумагулова на заседании правительства РК «О реализации государственной программы развития образования РК на 2011-2020 годы в 1 квартале 2011 года» 29.03.2011 г.// WWW-документ <http://www.naric.kz>; в) выступления Министра образования и науки РК Б.Т.Жумагулова в Сенате Парламента РК по проекту Закона Республики Казахстан «О внесении изменений и дополнений в Закон Республики Казахстан «Об образовании»». 22.09.2011 года // Web -документ <http://www.edu.gov.kz>. - Дата обращения: 14.11.2011.
9. Web -документ <http://aktau-news.kz>. - Дата обращения: 14.11.2011.

ნანა შონია - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტი

აუდიტორიის მართვის ზოგიერთი ასპექტები უმაღლეს სკოლაში

*„შეუძლებელია პიროვნებას რაიმე პირდაპირ ასწავლო,
ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მისი სწავლისათვის ხელსაყრელი პირობები შევქმნათ“.
კარლ როჯერსი*

ამერიკელმა ფსიქოლოგმა - კარლ როჯერსმა XX საუკუნის დასაწყისში ჩამოაყალიბა მოსწავლის გამოცდილებაზე დაფუძნებული (Student centered learning) სწავლების იდეა, როდესაც სწავლების პროცესში მაქსიმალურად ხდება მოსწავლის სურვილებისა და საჭიროებების გათვალისწინება. მისი აზრით გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების დროს მოსწავლე თვითონ არის აქტიური და ინიციატივიანი. იგი აცნობიერებს იმ მიზეზებს, რომლებიც ხელს უწყობს მისი სწავლისადმი ინტერესების გაზრდას. როჯერსის შეხედულებით, ადამიანებს სწავლის ბუნებრივი ნიჭი გააჩნიათ, მაგრამ აუცილებელია კატალიზატორის როლი ითამაშოს ვიღაცამ და ეს „ვიღაცა“ არის მასწავლებელი, რომელმაც სწავლების პროცესში უნდა შექმნას ისეთი ატმოსფერო, სადაც მოსწავლეს შეეძლება ასეთი ნიჭის გამოვლენა, კერძოდ:

- შექმნას პოზიტიური გარემო სწავლებისათვის;
- სწორად ჩამოაყალიბოს სწავლების მიზანი;
- სისტემაში მოიყვანოს სასწავლო რესურსები და გახადოს მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი;
- მოახდინოს სწავლების ინტელექტუალური და ემოციური კომპონენტების გაწონასწორება;
- შეძლოს, რომ არ იყოს დომინანტი, იზიარებდეს მოსწავლის განცდებსა და აზრებს.

კარლ როჯერსის სწავლების მეთოდების რეალიზება უმაღლეს სკოლაში აუდიტორიის ეფექტურ მართვაზე მეტყველებს, მაგრამ დღეს, ჩვენ, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მომუშავე აკადემიური პერსონალი სერიოზული პრობლემის წინაშე ვდგავართ, განსაკუთრებით ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების მომსახურე აკადემიური პერსონალი, კერძოდ: სტუდენტებს ვასწავლოთ ქვეყნისათვის აქტუალური ბიზნესიდეების ჩამოყალიბება, ბიზნესის დაწყება, ბიზნესის მართვა და ბიზნესის განვითარება. და, რაც მთავარია არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბიზნესის დაწყება და ეფექტური მართვა დაფუძნებულია ქვეყანაში, და არა მარტო ქვეყანაში, თვით კომპანიებში არსებული პრობლემების გადაჭრაზე.

აქედან გამომდინარე, ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს თეორიასთან ერთად უნდა ვასწავლოთ არსებული პრობლემების მიგნება, გამოვლენა და გადაჭრის გზების ძიება. ვაღიაროთ, რომ პრობლემის გადაჭრა ყოველდღიური ცხოვრების ძირითადი ნაწილია. ნებისმიერი ჩვენთაგანი, და მათ შორის ჩვენი სტუდენტები, გამუდმებით ვაწყდებით პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაც ჩვენი პერეოგატივაა, როგორ მოვახერხოთ სამუშაოსა და მოვალეობების შესრულება დროის განსაზღვრულ პერიოდში, როგორ მივალწიოთ წარმატებას გასაუბრებაზე, როგორ გავწყვიტოთ ურთიერთობა არასასურველ პიროვნებასთან და ა.შ. მრავალი პრობლემა წარმოადგენს რეალურ ცოდნასა და ჩვენთვის საჭირო ინფორმაციას შორის განსხვავების შედეგს. როდესაც პრობლემას ვწყვეტთ, ჩვენ ვამცირებთ ამ განსხვავებას საჭირო ინფორმაციის მოპოვებით. ფსიქოლოგიური კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ პრობლემის გადაწყვეტა არის აზროვნების პროცესი, რომელიც მიმართულია კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტაზე და საწყისი მომენტიდან მიზნის მიღწევამდე მიმდინარეობს მთელი რიგი ფსიქიკური ოპერაციების საშუალებით.

პრობლემების მიგნების, გამოვლენისა და გადაჭრის გზების სწავლებისათვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ქეისებით სწავლება, გამომდინარე იქედან, რომ ქეისებით სწავლების ძირითადი დანიშნულებაა, ასწავლოს სტუდენტებს ისეთი რთული არასტრუქტურული პრობლემების გადაჭრა, რომელთა ანალიზური ხერხით ამოხსნა შეუძლებელია. აღნიშნული მეთოდის უპირატესობად ითვლება პრობლემური სწავლების პრინციპების გამოყენება - რეალური პრობლემების გადაჭრის უნარების გამომუშავება, გარდა ამისა, ქეისებით სწავლების მეთოდი სტუდენტებში ავითარებს:

- შემოქმედებით აზროვნებას;
- ანალიტიკურ აზროვნებას;
- გუნდში მუშაობის უნარს;
- რეალური პრობლემების გადაჭრის უნარს;
- უმარტივესი განზოგადების უნარს;
- პრეზენტაციის უნარს;
- კითხვის ფორმულირებასა და პასუხის არგუმენტირების უნარს;
- ადამიანებს შორის „უმტკივნეულო ურთიერთობებს“.

ბიზნესქეისებით სწავლების დადებითი მხარეებიდან, განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანებს შორის „უმტკივნეულო ურთიერთობების“ უნარების ჩამოყალიბება, რადგანაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჯანსაღი კონკურენციის საწინდარს სწორედაც ადამიანებს შორის უმტკივნეულო ურთიერთობები წარმოადგენს. ამიტომ აუცილებელია სტუდენტებს, პირველ რიგში, ვასწავლოთ პრობლემის განსაზღვრა, კერძოდ - გააცნობიერონ განსხვავება არსებულ მდგომარეობასა და სასურველ მიზანს შორის, და შემდეგ არსებული პრობლემის გადაჭრის გზები ბიზნესქეისების გამოყენებით.

ამასთან, ლექტორმა სწავლების დროს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს სასწავლო კურსის მიზანი, ამოცანები და მისაღწევი შედეგები. სწორედ, აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა შექმნას ბიზნესქეისი, რომელიც იქნება საინტერესო, ადვილი და გასაგები ენით დაწერილი, ქეისი უნდა განსაზღვრავდეს პრობლემის არსს, წარმოაჩინდეს როგორც დადებით, ისე უარყოფით მაგალითებს, შეესაბამებოდეს შერჩეულ სტუდენტთა მოთხოვნილებებს, აწვდიდეს მათ აუცილებელ და საკმარის ინფორმაციას. და, რაც მთავარია, ამ მეთოდით მუშაობისას სტუდენტებმა უნდა გააკეთონ თანამიმდევრული ჩანაწერები პრობლემის გადასაჭრელად ჩატარებული სამუშაოს შესახებ.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ქეისებით სწავლების მეთოდი უფრო პროცესზეა ორიენტირებული და არა შედეგზე. მას პრობლემის გადაჭრის პროცესის შეფასებაც კი შეიძლება ვუწოდოთ.

იმისთვის, რომ პრობლემის გადაჭრის პროცესი უფრო ნათელი გახდეს, გავიხსენოთ, რა არის პრობლემა და ჩამოვთვალოთ მისი გადაჭრის შესაძლო ეტაპები, რომლებიც, რა თქმა უნდა, საგნისა და პრობლემის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა გარკვეულწილად სხვადასხვანაირი იყოს. პრობლემად ითვლება ისეთი სიტუაცია, რთული საკითხი, ამოცანა, რომელიც შესწავლას და მოგვარებას მოითხოვს. პრობლემის მოგვარება გულისხმობს განსაზღვრული პრობლემის ამოსახსნელი პირობების, ხერხების ან დამხმარე საშუალებების მოფიქრებას კრიტიკული და შემოქმედებითი გზით.

პრობლემის მოგვარება წარმოადგენს რთულ სააზროვნო უნარ-ჩვევას, რომელიც ცოდნასა და ლოგიკურ აზროვნებას ეფუძნება. ბიზნესქეისების მეთოდი სწორედ ამ პრობლემების მოგვარების შესაძლო ეტაპების სწავლას ითვალისწინებს, კერძოდ:

1. პრობლემის განსაზღვრა;
2. სათანადო ინფორმაციის შეგროვება;
3. პრობლემის შესაძლო მიზეზების დადგენა;
4. პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა ხერხის მოფიქრება;
5. პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის არჩევა;

6. პრობლემის გადაჭრის გეგმის ჩამოყალიბება;
7. შედეგების შემოწმება და შეფასება .

აუცილებელია პედაგოგის მიერ პრობლემების გადასაჭრელად სტუდენტების მიერ გადადგმული ნაბიჯების აღწერა, რომელსაც სამი მიზანი გააჩნია:

1. შეაფასოს, როგორ მოაგვარებენ სტუდენტები პრობლემებს;
2. განსაზღვროს, რამდენად კარგად ესმით და აღწერენ ისინი პრობლემის მოგვარების პროცესს;
3. შეისწავლოს სტუდენტთა აზროვნების პროცესი და მათთან ერთად განიხილოს პრობლემის გადაჭრის წარმატებული და წარუმატებელი გზები.

ეს მეთოდი საშუალებას აძლევს პედაგოგს, გააანალიზოს სტუდენტების ჩანაწერები. ჩანაწერების ანალიზის შედეგად მას შეუძლია გაიგოს, პრობლემის გადაჭრის როგორი უნარ-ჩვევები გააჩნია თითოეულ სტუდენტს და მისცეს დროული და მნიშვნელოვანი რჩევები, რომელთა დახმარებითაც ის უკეთ მიხვდება საკუთარ შეცდომას და, რაც მთავრია, პრობლემის მოგვარების პროცესის კონტროლს ისწავლის.

პრობლემის გადაჭრის ეფექტიანი პროცედურების ცოდნა და გამოყენება მნიშვნელოვანია ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ნებისმიერი სასწავლო კურსის შესასწავლად, მაგრამ პედაგოგმა პრობლემა ისე უნდა დასვას, რომ სტუდენტს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების საშუალება მისცეს.

და ბოლოს, არ უნდა დაგვავიწყდეს სტუდენტის მიერ პრობლემის მოგვარების პროცესის შეფასება, რომლის მიზანია:

- სტუდენტთა მიერ ნაცნობი პრინციპების განზოგადება და პრობლემებთან მისადაგება;
- პრობლემის მოგვარების უნარ-ჩვევების განვითარება;
- საგნის სპეციფიკის გათვალისწინება;
- სწავლის სტრატეგიებისა და უნარ-ჩვევების განვითარება;
- ქეისის ამოხსნისას საჭირო ცოდნისა და უნარის ტრანსფერი.

მაშასადამე, ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტური რეალიზების მიზნით აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები ისწავლებოდეს ბიზნესქეისების გამოყენებით (საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით), რაც სტუდენტს უყალიბებს შესაბამის კონპეტენციებს, კერძოდ: ადამიანებს შორის “უმტკივნეულო ურთიერთობებზე” დამყარებული პრობლემის გამოვლენის, გადაჭრის გზების მიგნებისა და მართვის უნარებს. სწორედ აღნიშნულში ვლინდება კარლ როჯერსის მიერ ჩამოყალიბებული იდეა - „გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება პიროვნების ცვლილებისა და ზრდის ექვივალენტურია“.

რეზიუმე

დღეს, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მომუშავე აკადემიური პერსონალი სერიოზული პრობლემების წინაშე ვდგავართ, განსაკუთრებით ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების მომსახურე ლექტორები, კერძოდ: სტუდენტებს ვასწავლოთ ქვეყნისათვის აქტუალური ბიზნესიდეების ჩამოყალიბება, ბიზნესის დაწყება, ბიზნესის მართვა და ბიზნესის განვითარება. და, რაც მთავარია არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბიზნესის დაწყება და ეფექტური მართვა დაფუძნებულია ქვეყანაში, და არა მარტო ქვეყანაში, თვით კომპანიებში არსებული პრობლემების გადაჭრაზე.

გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტური რეალიზების მიზნით პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები ისწავლებოდეს ბიზნესქეისების გამოყენებით (საგნის სპეციფიკის

გათვალისწინებით), რაც სტუდენტს უყალიბებს შესაბამის კონპეტენციებს, კერძოდ: ადამიანებს შორის უმტკივნეულო ურთიერთობებზე დამყარებული პრობლემის გამოვლენის, გადაჭრის გზების მიგნებისა და მართვის უნარებს. სწორედ აღნიშნულში ვლინდება ამერიკელი ფსიქოლოგის კარლ როჯერსის მიერ ჩამოყალიბებული იდეა - „გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება პიროვნების ცვლილებისა და ზრდის ექვივალენტურია“.

Nana Shonia - Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Department of Business Administration, Head of Undergraduate and Graduate Programs in Business Administration, Expert of the National Center for Educational Quality Enhancement

Some Aspects of Audience Management In the Higher Schools

Today, the academic staff of the institutions of the higher education is facing serious problems, especially the lecturers involved in educational programs of the faculty of Business Administration. To be more specific, students should be taught how to form business ideas, how to start up, manage and develop business. It should be taken into consideration that starting up a new business and its effective management is based on solving the problems existing not only in the country but in the company itself.

Thus, we consider it expedient to teach courses under the curriculum using business cases (considering the specifications of the subject) for the effective implementation of business administration program, that will enable students to develop their competences, namely they will be able to develop the skills of identifying problems, finding ways of solving and managing them. American psychologist Carl Rogers shared the same idea – ‘Experience-based learning is equal to personal change and growth’.

Нана Шония - Асоц.профессор департамента администрирования бизнеса, руководитель бакалаврской и магистерской программ «Администрирование бизнеса», эксперт Национального центра развития качества образования Кутаисского государственного университета Акакия Церетели

Некоторые аспекты управления аудиторией в высшей школе

На сегодняшний день, академический персонал, работающий в высшей образовательной системе, стоит перед серьезной проблемой, особенно преподавательский состав образовательной программы Администрирование бизнеса, в частности, мы должны обучать студентов как сформировать бизнес-идеи актуальные для страны, как начать бизнес, как управлять бизнесом и развивать его. И, что самое главное, мы не должны забывать то, что вопрос, как начинать бизнес и эффективно управлять им, основывается на решение тех проблем, которые существуют не только в стране, но и в самих компаниях.

Исходя из вышесказанного, считаем целесообразным, в целях эффективной реализации данной образовательной программы, осуществлять обучение предметов, предусмотренных программой, путем использования бизнес-кейсов (с учетом специфики изучаемого предмета), что сформирует среди студентов соответствующие компетенции, в частности, навыки выявления, решения и управления проблемами, основанных на оптимальных отношениях между людьми. Именно в вышеуказанном проявляется идея, сформулированная американским психологом Карлом Роджерсом – «Обучение, основанное на опыте, эквивалентно изменению и росту личности».

ნუნუ ქიქოძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მენეჯმენტის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

მენეჯერის როლი საგანმანათლებლო სფეროს მართვის ეფექტიანობაში

საგანმანათლებლო სფეროს ეფექტური ფუნქციონირებისა და განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა მმართველობითი საქმიანობის სრულყოფაა. დღეისათვის ნებისმიერი ორგანიზაცია(საკუთრების ფორმების, საქმიანობის მიზნებისდა სფეროების მიუხედავად) იძულებულია მუდმივად ცვალებად და ურთიერთსაწინააღმდეგო გარემო პირობებში იფუნქციონიროს. აქედან გამომდინარე, ორგანიზაციების და მათ შორის საგანმანათლებლო სფეროშიც წარმატებული და ეფექტური საქმიანობა, მათი მუშაობის სტაბილური ტემპები და კონკურენტუნარიანობა თანამედროვე პირობებში მენეჯმენტის მნიშვნელოვანი ხარისხით განისაზღვრება.

განათლების სისტემაში მმართველობითი საქმიანობის რაციონალური გაძლიერება, შრომითი კოლექტივის საქმიანობის მთელი სისტემის სწორად მართვა, მისი ცალკეული ნაწილების ურთიერთშეხამება, რიტმულობა, დამოკიდებულია უნარიან და პროფესიონალ მმართველებზე.

ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, თუ რა როლს ასრულებს მენეჯერი განათლების მენეჯმენტის ეფექტიანობის ამაღლებაში, რადგან ამ სისტემის წარმატება მისი აკადემიური ხარისხი სწორი, რაციონალური, ეფექტური და კვალიფიციური მმართველობითაა განპირობებული. ამიტომ მთელი სასწავლო-სააღმზრდელო და სამეურნეო ადმინისტრაციული საკითხების წარმატებით გადაწყვეტა სწორედ ისეთ მენეჯერებზეა დამოკიდებული, რომელთაც უნდა ახასიათებდეთ მაღალი პროფესიონალიზმი, კომპეტენტურობა, ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად და ჯეროვანი პასუხისმგებლობა - შედეგებისათვის.

ყოველ ადამიანს და განსაკუთრებით მათ, ვინც მენეჯერის კარიერისათვის ემზადება ან უკვე მენეჯერიცაა, თავიანთ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემებისა და კრიტიკული სიტუაციების დარეგულირების უნარი უნდა შესწავდეს. საკუთარი თავის მართვის, პირადი დროის ეფექტიანი დაგეგმვის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა თუ სხვა აპრობირებული მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, გამოსავლის პოვნა თვით ყველაზე რთული სიტუაციიდანაც არის შესაძლებელი. მაშინაც კი, როდესაც დარწმუნებული ვართ, რომ რეალური ვითარების შეცვლა ჩვენს ძალებს აღემატება.

ხშირად ხელმძღვანელი კარგავს რეალობის შეგრძნებას და წვრილმანებისათვის უამრავ დროს ხარჯავს, თუ ყურადღებით ადევნებთ თვალყურს, რით ხართ დაკავებული დღის განმავლობაში-ერიდეთ იმ საქმიანობას, რომელსაც დროის ფლანგვის მეტი არაფერი მოაქვს. შემლებთ აიმაღლოთ შრომის მწარმოებლურობა და გაცილებით ეფექტიანად გამოიყენოთ სამუშაო დღის თითოეული საათი.

იოლია- იყო დაკავებული, რთული - იყო შედეგიანი.

დღეისათვის ხელმძღვანელთა უმეტესობა თვლის, რომ მთავარია აკეთო საქმე და არ ფიქრობს მის შედეგებზე. აღნიშნული მიდგომით ისინი ამჯობინებენ:

- კარგად აკეთონ საქმეები, ნაცვლად იმისა, აკეთონ კარგი საქმეები;
- გადაჭრან პრობლემები, ნაცვლად იმისა, ეძიონ შემოქმედებითი ალტერნატივები, თავიდან აიცილონ პრობლემები;
- დაზოგონ საშუალებები, ნაცვლად იმისა, მოახდინონ მათი გამოყენების ოპტიმიზება;
- მოიხადონ ვალი, ნაცვლად იმისა, მიღწიონ მაღალ შეწდევებს;

ერთი შეხედვით, აქ საგანგაშო არაფერია, მაგრამ მსგავსი დამოკიდებულება არ შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად. პროგრესულად მოაზროვნე ადამიანის ძალისხმევა მუდმივი ძიებისაკენ და მაქსიმალური ეფექტიანობისაკენ არის მიმართული.

კარგი მენეჯერის მიზანია-ზედმეტი ძალისხმევის გარეშე შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები, მინიმალური დროის დანახარჯით მაქსიმალურად ეფექტიანად განახორციელოს დასახული ამოცანები, თავიდან აიცილოს სტრესები, აიმაღლოს კვალიფიკაცია და ა.შ. ამისათვის, ერთი მხრივ, აუცილებელია ცხოვრების ჩვეულებრივ, ყოველდღიურ წესად გაიხადოს მუშაობის რაც შეიძლება რაციონალური სტილი, ხოლო მეორეს მხრივ, აკონტროლოს ყველაზე დეფიციტური რესურსი-დრო. ხშირ შემთხვევაში, ხელმძღვანელები სათანადოდ ვერ აფასებენ დროის მართვის ეფექტიანობას, მის მნიშვნელობას პირად და სამსახურეობრივ საქმიანობაში. ამიტომ სწორი მენეჯმენტი ითვალისწინებს შრომის ეფექტიანობის ზრდის ისეთი საშუალების გამოყენებას როგორცაა ყოველდღიური საქმიანობის მენეჯმენტის მოწესრიგება.

მენეჯმენტის ცნობილი მკვლევარი მინცბერგი მენეჯერის როლს განსაზღვრავს, როგორც „განსაზღვრული ქცევის წესების ნაკრებს, რომელიც შეესაბამება კონკრეტულ დაწესებულებას ან კონკრეტულ თანამდებობას“. მისი აზრით, მსახიობების მსგავსად მენეჯერები იკავებენ განსაზღვრულ თანამდებობას ორგანიზაციაში განსაზღვრული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის სახით, რაც განაპირობებს კიდევ ძირითადად მათი სამსახურში ქცევის ხასიათს.

მინცბერგი თვლის, რომ მენეჯერები სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა ზომით ასრულებენ 10 სახის როლს. ისინი მან დაყო პიროვნებათაშორის, საინფორმაციო და გადაწყვეტილების მიღების როლებად. აქედან გამომდინარე, როცა ვსაუბრობთ განათლების მენეჯმენტზე უპირველეს ყოვლისა უნდა აუცილებლად გამოვყოთ ის როლები, რომლებსაც ასრულებენ მენეჯერები განათლების სისტემაში.

- საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ დაწესებულების წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილებით მენეჯერი ლეზულობს გადაწყვეტილებას, რაც მის მთავარ როლს შეადგენს. იგი კისრულობს პასუხისმგებლობას მისი შედეგებისათვის. გადაწყვეტილების მიღების უფლება (თავისი კომპეტენციის ფარგლებში) აქვს მხოლოდ მენეჯერს.
- მენეჯერის საინფორმაციო როლი. მენეჯერს ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა ჰქონდეს საჭირო ინფორმაცია განათლების მენეჯმენტის სისტემების განვითარების შესახებ. მენეჯერის მუშაობა შედეგი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, რამდენად ფლობს ნამდვილ ინფორმაციას და რამდენად სწორად და ნათლად დაიყვანს საჭირო ინფორმაციას შემსრულებლამდე.
- განათლების სისტემის შიგა და გარე ურთიერთობის ფორმირებისა მენეჯერი გამოდის მმართველის როლში, რამდენადაც იგი ახდენს შრომითი კოლექტივის წევრების მოტივაციას ორგანიზაციის პრაქტიკული და სტრატეგიული მიზნის მისაღწევად.

პრაქტიკით დადასტურებულია, რომ არიან მენეჯერები, რომელთაც შესწევთ უნარი საქმეში დაოსტატებული, მეგობრობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით განმსჭვალული, თავისი მოვალეობის მაღალი შეგნების, საქმის სიყვარულითა და პასუხისმგებლობის გრძნობით შეიარაღებული შრომითი კოლექტივი მჭიდროთ შეაკავშიროს თანამშრომელთა მთელი შემადგენლობა, წარმატებით გაართვას თავი სიძნელეებს, მეორე ნაწილი კი ანალოგიურ სიტუაციაში იმსახურებს უნდობლობას და კარგავს ავტორიტეტს.

ეფექტიანი მენეჯმენტი გულისხმობს შრომითი კოლექტივის მოტივირებას დასახული მიზნის მიღწევისათვის. ბევრი მენეჯერი ფიქრობს, რომ თანამშრომელთა მოტივირება ძალიან იოლია. მათ ჰგონიათ, სანამ ხელქვეითებს ღირსეულ ხელფას უხდებიან, ისინი მათი მორჩილნი იქნებიან.

რათქმა უნდა ფული საქმიანობის მაცოცხლებელი ძალაა, მაგრამ სულაც არ წარმოადგენს იმის გარანტს, რომ ყოველი მუშაკი გამოამქლავნებს თავის მონდომებას ან თუნდაც ინტერესს.

ადამიანის მოტივირება უნდა ეფუძნებოდეს წესს: „მოექეცი სხვას ისე, როგორც გსურს მოგექცნენ შენ, მხოლოდ ფული ვერაფერს აკეთებს.

თუკი რომელიმე თანამშრომელი ფიქრობს: “მართალია მაღალ ხელფასს მიხდებიან, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს მათთვის არაფერს წარმოვადგენ“-ნიშნავს, რომ მან დაკარგა სტიმული სამუშაოს მიმართ, რადგან იგრძნო, რომ არ აფასებენ როგორც პიროვნებას. მენეჯერის მმართველობით საქმიანობაში პირველ რიგში ორიენტაცია უნდა იყოს ადამიანებზე. ეს განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია განათლების სისტემისათვის, რადგან თანამშრომლების სურვილია მათი ლიდერი იყოს უპირველესად „ადამიანური სახის“ მენეჯერი, რომელსაც ექნება შესაბამისი სოციალურ-ფსიქოლოგიური მიმართულება. რამდენადაც ადამიანები და სიტუაცია სისტემურად ცვალებადია, მენეჯერი უნდა იყოს საკმაოდ მოქნილი, რომ შეძლოს ადაპტირება მუდმივ ცვალებადობაში, სიტუაციის აღქმა და ცოდნა იმისა, როგორ მართო ადამიანური რესურსებით - ეფექტიანი მენეჯმენტის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

როგორც ცნობილია მენეჯერი საქმეში წარმატებას „სხვისი“ ხელებით ახდენს, როგორ მომართოს სხვისი ხელები მას ამისათვის დიდი განსწავლულობა მართებს ადამიანების ფსიქოლოგიაში და კარგად უნდა იცნობდეს დარგს.

ნებისმიერი მენეჯერის მუშაობის გარანტი მისი პიროვნული თვისებებია. ისეთები როგორცაა: თვითდაჯერებულობა, ხასიათის სიმტკიცე, თავის ფლობა, მიხვედრილობა, აზროვნების სისწრაფე, კომუნიკაბელურობა, ორგანიზაციული ტალანტი, შემოქმედებითი მუშაობის მიდრეკილება და სხვა. პ.დრუკერი, რომელსაც „მისტერ მმართველს“ უწოდებენ, აღნიშნავს, უმაღლესი მმართველის ერთპიროვნულობა ორგანიზაციის განვითარების მთავარი მუხრუჭია“. მისი აზრით „მენეჯერი დიდი ორკესტრის დირიჟორია, მაგრამ აქ იგი მხოლოდ დირიჟორი კი არაა, რომელსაც ესმის თითოეული ინსტრუმენტის შესრულება, იგი ამავე დროს კომპოზიტორიცაა“.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ მენეჯერი თავის მმართველობითი საქმიანობის რეალიზებას ახდენს შრომითი კოლექტივის მეშვეობით. ამიტომ მან უნდა იპოვოს გზა, გამოიყენოს ხელქვეითთა შესაძლებლობები მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად, მაგრამ პროცესი უარყოფითად არ უნდა აისახოს მის რეპუტაციაზე. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, მაღალი შედეგების მისაღწევად აუცილებელია კოლექტივისა და ხელმძღვანელის ერთობლივი ძალისხმევა „შრომის რაციონალური ორგანიზება, რის ფონზეც, როგორც კოლექტივი, ისე ხელმძღვანელი წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს.

მენეჯერისათვის ნდობის მოპოვების საუკეთესო ხერხი ყველაფრის დაუფარავად კეთებაა. გულახდილად უნდა აუხსნათ, რა გსურთ მათგან და რა მნიშვნელობა აქვს მათ საქმიანობას დადებითი შედეგის მისაღწევად.

მენეჯერს გავლენა აქვს თანამშრომლებზე, მაგრამ ზოგიერთ სიტუაციაში ხელქვეითებსაც აქვს გავლენა მენეჯერზე, რამდენადაც მენეჯერი დამოკიდებულია შრომით კოლექტივზე ისეთ საკითხებში, როგორცაა გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელი ინფორმაციის მიღება. არაფორმალური კონტაქტები მათთან და სხვა.

მენეჯერებს განათლების სისტემაში ხშირად უხდებათ კონფლიქტური სიტუაციის გადაწყვეტა იგი ასრულებს ასრულებს შუამავლის როლს კონფლიქტის დარეგულირებისას. ხელმძღვანელის, როგორც შუამავლის საქმიანობა, გულიახმობს კონფლიქტური სიტუაციის ანალიზს და მის დარეგულირებას.

კონფლიქტური სიტუაციის ანალიზის ეტაპებია: კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, სათანადო მონაცემების შეგროვება, მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი, ინფორმაციის უტყუარობის შემოწმება და კონფლიქტური სიტუაციის შეფასება.

დარეგულირება გულისხმობს კონფლიქტური სიტუაციის მოგვარების მეთოდის შერჩევას, შერჩეული მეთოდის რეალიზებას, ინფორმაციისა და მიღებული გადაწყვეტილების დაზუსტებას, კონფლიქტის შემდგომ დაძაბულობის განეიტრალებას ოპონენტების ურთიერთობაში. კონფლიქტის დარეგულირების გამოცდილების ანალიზს.

ყველა ზემოთ აღნიშნული ხერხის გამოყენება მენეჯერის მხრიდან ემსახურება მენეჯერის მმართველობითი საქმიანობის ამაღლებას. ასევე მნიშვნელოვანია მენეჯერის მმართველობით საქმიანობაში მისი პირადი ავტორიტეტი. ავტორიტეტი ესაა დამსახურებული ნდობა, რომლითაც სარგებლობს იგი ხელქვეითებში, ზემდგომ ორგანიზაციებში, ხელმძღვანელობაში, კოლეგებთან სამუშაოზე. ესაა პიროვნების აღიარება კოლექტივის მიერ. მენეჯერის სუბიექტური თვისებების და მისდამი ობიექტური მოთხოვნების შესაბამისად გაკეთებული შეფასება.

მენეჯერის მმართველობითი საქმიანობა წარმატებული, რომ იყოს იგი სისტემატურად უნდა ზრუნავდეს თავისი ავტორიტეტის ამაღლებაზე. მენეჯერის ავტორიტეტი მართვის გაიოლების და მისი ეფექტიანობის ამაღლების ფაქტორია.

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი: განათლების სისტემაში ეფექტიანი მენეჯმენტის განხორციელებისათვის მენეჯერისაგან მოითხოვს შეასრულოს წარმართველი როლი, რისთვისაც მას უნდა ჰქონდეს, როგორც თეორიული ცოდნა მმართველობითი საქმიანობის შესახებ, ასევე უნდა გააჩნდეს პიროვნული თვისებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., 2007
2. არახამია მ., სკოლამცოდნეობა. ქუთ., 2006
3. ბაბუნაშვილი გ. და სხვ., მენეჯმენტი. 2005
4. ცუცქერიძე ზ., ორჯონიკიძე ნ., განათლების თანამედროვე თეორიები, თბ., 2005

რეზიუმე

საგანმანათლებლო სფეროს ეფექტური ფუნქციონირებისა და განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა მმართველობითი საქმიანობის სრულყოფაა.

განათლების სისტემის ორგანიზაციების მუშაობის სტაბილური ტემპები და კონკურენტუნარიანობა მენეჯმენტის მნიშვნელოვანი ხარისხით განისაზღვრება.

ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, თუ რა როლს ასრულებს მენეჯერი განათლების მენეჯმენტის ეფექტიანობის ამაღლებაში. რადგან ამ სისტემის წარმატება, მისი აკადემიური ხარისხი სწორ, რაციონალურ, ეფექტურ და კვალიფიციურ მმართველობაზეა დამოკიდებული.

როგორც ცნობილია, მენეჯერი არის პროფესიონალი მმართველი, რომელსაც თეორიულ ცოდნასთან ერთად აქვს ის პიროვნული თვისებები, რომლითაც იგი „სხვისი“ ხელებით აღწევს საქმეში წარმატებას. ამიტომ მას ამისათვის სჭირდება დიდი განსწავლულობა ადამიანების ფსიქოლოგიაში და კარგად უნდა იცნობდეს დარგს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალი მენეჯერის საქმიანობაში არის მუშაობის რაციონალური სტილი, ასევე დროის კონტროლი როგორც ყველაზე დეფიციტური რესურსი.

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი: განათლების სისტემაში ეფექტიანი მენეჯმენტის განხორციელებისათვის მენეჯერისაგან მოითხოვს შეასრულოს წარმართველი როლი, რისთვისაც მას უნდა ჰქონდეს, როგორც თეორიული ცოდნა მმართველობითი საქმიანობის შესახებ, ასევე უნდა გააჩნდეს პიროვნული თვისებები.

Nunu Qiqodze - Akaki Tsereteli State University, Doctor of Management Sciences

Manager's Role in the Effective Educational Management

Summary

A necessary condition for the effective functioning and development of the educational sector is to improve the management activities.

Stable pace and competitiveness of organizations working in the he educational system is defined by the quality of management.

Our goal is to demonstrate the role of educational manager to increase the effectiveness of management. The success of this system, its academic quality depends on the correct, rational, effective and qualified management.

As it is known, the manager is a professional who has the personal characteristics, together with theoretical knowledge, by which he reaches the success. For this reason, it requires a great knowledge of human psychology, and should be familiar with the field. One important aspect of manager activity is to work in a rational manner. He should be able to control time, as the most deficient resource.

So, the conclusion can be formulated as follows: Education system for effective management requires managers to play a leading role, for which it ought to have a theoretical knowledge of management activities, and also have personal characteristics.

Нуну Кикодзе - Акакий Церетели государственный Университет. Доктор наук менеджмента

Роль менеджера в эффективности управления в области менеджмента

Резюме

Необходимым условием для эффективного функционирования и развития сферы образования является повышение эффективности менеджмента. Устойчивый темп работы и конкурентоспособность организации сферы образования определяется качеством менеджмента.

Нашей целью является показать роль менеджера вповышении эффективности управления образованием. Успех этой системы, академическое качество зависит от правильного, рационального, эффективного и квалифицированного управления.

Как известно, менеджер является профессиональным менеджером, который, наряду с теоретическими знаниями личных характеристик, по которым он добивается успеха в бизнесе. По этой причине, всё это требует большого знания человеческой психологии, и менеджер должен быть хорошо знаком с системой образования. Одним из важных аспектов деятельности менеджера является работа в рациональной манере. Он должен быть в состоянии контролировать время, как самый дефицитный ресурс.

Таким образом, вывод может быть сформулирован следующим образом: система образования для эффективного управления требует от руководителей, чтобы играть ведущую роль, для которой он должен иметь теоретические знания управленческой деятельности, а также личные характеристики.

მალვინა შანიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი, განათლების აკადემიური დოქტორი

წარმატებული ტრენინგის ჩატარების კომპონენტები და ფორმატი

ტრენინგის ჩატარებისათვის *ხუთი ძირითადი კომპონენტი*ა მნიშვნელოვანი:

1. მიზნები და მისაღწევი შედეგები;
2. სასწავლო გარემო;
3. სასწავლო რესურსი;
4. აქტივობები;
5. უკუკავშირი და შეფასება.

წარმატებული ტრენინგის ჩატარება ტრენინგისგან მოითხოვს თითოეული კომპონენტის სიღრმისეულ ცოდნასა და პრაქტიკაში მისი რეალიზების საჭირო უნარ-ჩვევებს.

მიზნები და მისაღწევი შედეგები მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ავტენტურ საჭიროებებზე დაფუძნებული უნდა იყოს. ტრენინგის დაწყებამდე უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ გათავისებულ აქვს დასახული მიზნები და მისაღწევი შედეგები. იმის მიხედვით, თუ რა ხანგრძლივობისაა ტრენინგი, იგი ვალდებულია ყოველი დღის დასაწყისში გააცნოს მონაწილეებს ეს მიზნები. მნიშვნელოვანია, რომ ყოველი საკვანძო აქტივობის დასრულების შემდეგ, შეახსენოს მონაწილეებს მიღწეული და მისაღწევი შედეგების შესახებ. ტრენინგი ვალდებულია პერიოდულად მისცეს მონაწილეებს ტრენინგის შედეგების ზეპირი თუ წერილობითი შეფასების საშუალება.

სასწავლო გარემო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ტრენინგისა. იგი უსაფრთხო, მოწესრიგებული და კომფორტული უნდა იყოს მსმენელთათვის. ამავე დროს აქტიურ სწავლაზე, ინტერაქციასა და ყველა მონაწილის დაფასებაზე ორიენტირებული.

შესაფერისი პირობების შესაქმნელად უზრუნველყოფილი უნდა იყოს ერთობლივი (ჯგუფური) სწავლისათვის შესაფერისი *ფიზიკური გარემო*, როგორცაა: განათება, ტემპერატურა, ჰაერი და სხვ. აგრეთვე აუცილებელია ავეჯის, აღჭურვილობის, სასწავლო რესურსების იმგვარად განლაგება, რომ მონაწილეებს არ გაუჭირდეთ ინტერაქცია.

დროის მართვა ერთ-ერთი რთული ფაქტორია ტრენინგის მსვლელობისას. საჭიროა ზუსტად მართონ ტრენინგმა დრო, რათა არ დაირღვეს წინასწარ გაწერილი განრიგი. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება *აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარებას*. ამისათვის ხშირად გამოიყენება ვერბალური და არავერბალური გზავნილები, რომლებიც ორიენტირებულია აუდიტორიაში მონაწილეთა გააქტიურებაზე, თანამშრომლობასა და ურთიერთდაფასებაზე.

სასწავლო რესურსები მრავალფეროვანი, სასწავლო პრაქტიკაში მუდმივად გამოსადეგი, კონკრეტული აქტივობის შესატყვისი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა მონაწილისათვის. ისეთები, როგორებიც არის: საპრეზენტაციო სლაიდები, დიდი ფურცლები, დასარიგებელი სამუშაო ქაღალდები, რეკვიზიტები, ბუტაფორიები, რეპროდუქციები, სქემები და ა. შ.

აქტივობები უნდა იყოს ინტერაქტიული, თანმიმდევრული, აქტიურ სწავლაზე დაფუძნებული, მრავალფეროვანი და შედეგების მიღწევაზე ორიენტირებული. ტრენინგმა უნდა აწარმოოს მონაწილეთა ჩართულობის მონიტორინგი, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის პროცესში კი გაუწიონ მონაწილეებს მიზნობრივი დახმარება.

უკუკავშირი და შეფასება ტრენინგის დამაგვირგვინებელი, შემაჯამებელი დასკვნითი ნაწილია. მისი მახასიათებლების მიხედვით იქნება: განმავითარებელი, მრავალფეროვანი, ობიექტური და რეგულარული. სასურველია ტრენინგმა გამოიყენოს უკუკავშირის ფორმალური და არაფორმალური სახეები, ზეპირი და წერილობითი კომენტარები. ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეებს მიეცეთ საშუალება გამოხატონ თავიანთი შთაბეჭდილებები და დამოკიდებულებები ტრენინგის ხუთივე ასპექტის შესახებ; გააცნობიერონ საკუთარი მიღწევები და განვითარების ტრაექტორია.

ტრენინგის ფორმატი

არსებობს **ტრენინგის ოთხი ძირითადი მეთოდი** - ლექცია, მართული დისკუსია, დემონსტრირება და ინდივიდუალური პრაქტიკა. კარგი ტრენერი ყველა ამ მეთოდს თანაბრად უნდა ფლობდეს და შესაბამისად იყენებდეს საჭიროებებიდან გამომდინარე.

ტრენინგ-პროგრამა ისე უნდა შეადგინოს ტრენერმა, რომ მისი **შინაარსის სხვადასხვა ფორმატში** გამოყენება იყოს შესაძლებელი. მასალის ნაწილს ტრენინგზე ინტენსიური მუშაობისას წარადგენს იგი, სხვა ნაწილებს კი დამოუკიდებელი მუშაობისთვის ან ადგილებზე სასწავლო ჯგუფებში განსახილველად გამოიყენებს.

ტრენერის მიერ წარმართული აქტივობები შემდეგ საბაზისო სტრუქტურას მიჰყვება:

1. თეორიული მიმოხილვა - საკითხის დასმა და მოლოდინების ჩამოყალიბება.

აღნიშნული და ქვემოთ ჩამოთვლილი ფაზებიდან თითოეული მათგანი უნდა განხორციელდეს ერთობლივი თანამშრომლობის გზით, რათა მონაწილეებს მკაფიო წარმოდგენა შეექმნათ კონკრეტული საკითხის (რა ვასწავლოთ), საკლასო პრაქტიკისა (როგორ ვასწავლოთ) და სასწავლო პროცესის შეფასების (მოსწავლეების სწავლისა და საკუთარი ეფექტიანობის მონიტორინგის) შესახებ.

2. დემონსტრირება - შესავალი ნაწილი, აქტივობის მოდელირება.

ყოველი ახალი საკითხის შესწავლის საშუალება მისი პრაქტიკაში გამოცდაა. ტრენინგზე აუცილებლად განიხილება იმიტირებული სადემონსტრაციო აქტივობები, რომელთა უმეტესობა საკითხის სწავლების უკვე არსებულ გამოცდილებას დაეფუძნება. ეს საშუალებას მისცემს მონაწილეებს, საფუძვლიანად აითვისონ დემონსტრირებული მეთოდების ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი.

3. დისკუსია/დებრიფინგი - პრობლემის დასმა, მსჯელობა, შეჯამება.

თითოეული სადემონსტრაციო გაკვეთილის შემდეგ ტრენერი წარმართავს დისკუსიას ანუ პედაგოგიურ დებრიფინგს. დისკუსიის პირველ ნაწილში ტრენერი დასვამს კითხვებს, რომლებიც მონაწილეებს საშუალებას მისცემს, დააკვირდეს სადემონსტრაციო გაკვეთილის, მეთოდის ყოველ ნაბიჯს, რათა დარწმინდეს, რომ ესმის თითოეული მეთოდის შემადგენელი ელემენტები. შემდეგ ტრენერი სთხოვს მსმენელებს, ისაუბრონ საკუთარ დამოკიდებულებაზე მიმოხილულ საკითხებთან დაკავშირებით, ბოლოს კი ავალებს, წარმოადგინონ საკუთარ სასწავლო გარემოსთან ადაპტირებული ვარიანტები.

4. მართული პრაქტიკა - დაგეგმვა, ცდა, უკუკავშირი, შეჯამება.

მეთოდის დემონსტრირებისა და საკითხის მომიხილვის შემდეგ, მონაწილეები კოლეგებთან ერთად (წყვილებში ან მცირე ჯგუფებში) იმუშავებენ, რათა თავად შექმნან გაკვეთილის ნიმუშები. ისინი გამოიყენებენ როგორც სასკოლო სახელმძღვანელოებს, ისე ტრენინგისთვის მომზადებულ საკითხავ მასალებს. ტრენერი ვალდებულია ნებისმიერი სირთულის დამლევადი დაეხმარონ მსმენელებს. ასევე მნიშვნელოვანია ტრენინგის ყოველი მონაწილის მოსაზრების გათვალისწინებაც. მართული პრაქტიკა გულისხმობს ტრენინგზე დაგეგმილი რამდენიმე აქტივობის ჩატარებას და მათზე უკუკავშირის მიღებას კოლეგებისა და ტრენერებისაგან. ეს დაეხმარებათ, კიდევ უფრო გაიღრმავონ ტრენინგზე ათვისებული ინფორმაცია და შეძლონ მისი გამოყენება დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში.

5. გამოყენება-დანერგვა - გეგმის დაზუსტება, წარმართვა, შეფასება.

აუცილებელია, ტრენერმა აუხსნას მონაწილეებს, რომ ტრენინგების დასრულების შემდეგ, მიღებული გამოცდილება გადაიტანონ საკუთარ სასკოლო გარემოში.

წარმატებული ტრენერობისთვის რამდენიმე საბაზისო კომპეტენციის ფლობაა საჭირო. ესენია:

1. კომუნიკაცია;
2. პრეზენტაცია;
3. კითხვის დასმის ტექნიკა;
4. ეფექტური ინსტრუქციები;
5. კონსტრუქციული უკუკავშირი.

კომუნიკაცია

გამოიყენეთ ხმის სხვადასხვა ტონი, რათა თქვენი საუბარი მონოტონურად არ ჟღერდეს. ხმის ტონისა და სიმაღლის შეცვლა მსმენელებს მისცემს მინიშნებებს, თუ სად მთავრდება წინადადება და მესიჯის რომელი პუნქტი უნდა დაიმახსოვრონ.

იმეტყველეთ აუდიტორიისათვის გასაგებ ენაზე. შეარჩიეთ ისეთი თვალსაჩინო მაგალითები, ხუმრობა და ლექსიკონი, რომელიც მსმენელებს შეეფერება.

დაამყარეთ პიროვნული ინტერაქცია თითოეულ მსმენელთან. სესიამდე, სესიის შემდეგ და შესვენებისას მსმენელებთან საუბარი პიროვნული ურთიერთობის დამყარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

თავი შეიკავეთ ზედმეტი მანერულობისაგან და შეინარჩუნეთ წონასწორობა.

ნუ ისაუბრებთ მაშინ, როცა სახე დაფისკენ გაქვთ მიბრუნებული ან როცა სხვა რომელიმე დამხმარე საშუალებით სარგებლობთ.

ნუ ისაუბრებთ მაშინ, როცა დაფაზე წერთ, ვინაიდან ამ დროს მსმენელები ვერ გაიგონებენ თქვენს ნათქვამს და საუბარი არაეფექტური იქნება.

პრეზენტაცია

არ წაიკითხოთ ტექსტი ზეპირი პრეზენტაციისას.

გულდასმით მოემზადეთ ტრენინგის ჩასატარებლად.

შეინარჩუნეთ ვიზუალური კონტაქტი მთელს აუდიტორიასთან. ხშირი ვიზუალური კონტაქტის შედეგად მსმენელები ყურადღებას და მოტივაციას ინარჩუნებენ.

ფოკუსირებული იყავით მსმენელებზე და პრეზენტაციაზე.

კითხვის დასმის ტექნიკა

ტრენინგის მსვლელობისას სხვადასხვა დროს დასმული კითხვები სხვადასხვა მიზანს ემსახურება.

ტრენინგის სესიების მსვლელობისას დასმული კითხვები გეხმარებათ იმაში, რომ:

- მიიქციოთ მსმენელთა ყურადღება;
- დააწყებინეთ მსმენელებს ფიქრი;
- მიმართეთ მსმენელთა ყურადღება კონკრეტული თემისაკენ.

პრეზენტაციის დროს დასმული კითხვები გამოიყენება იმისათვის, რომ:

- ხაზი გაუსვათ მთავარ საკითხებს და სცადოთ მათზე ფოკუსირება;
- წახალისეთ მსმენელები, მიიღონ აქტიური მონაწილეობა;
- რეაგირება მოახდინეთ მსმენელთა გამოხმაურობაზე პრეზენტაციის პროცესში.

პრეზენტაციის შემდგომი კითხვები გამოიყენება იმისათვის, რომ:

- ჩართოთ მსმენელები საკითხის განხილვაში;
- სიცხადე შეიტანოთ დასაზუსტებელ საკითხებში;
- დარწმუნდით, რომ მსმენელებმა სათანადოდ აითვისეს მასალა;
- გააღრმავეთ სწავლის პროცესი.

შეკითხვები ეხმარება **მსმენელებს**:

- ძირითად საკითხებზე ყურადღების კონცენტრირებაში;
- მონაწილეობს მოტივაციის ამაღლებაში;
- სწავლის პროცესის გაღრმავებაში.

შეკითხვები ეხმარება **ტრენერს**:

- მსმენელთა გააქტიურებაში;
- გამოხმაურების უზრუნველყოფაში;
- მსმენელთა ინტერესისა და ყურადღების შენარჩუნებაში.

ეფექტური ინსტრუქციები

კონკრეტული სამუშაოს შესასრულებელი ინსტრუქციების მიცემამდე, ყოველთვის ჩამოაყალიბეთ მუშაობის წესები.

საგანგებოდ განმარტეთ თითოეული დავალება.

განსაზღვრეთ დრო ყოველი დავალების შესასრულებლად.

ჰკითხეთ ტრენინგის მონაწილეებს, ხომ არა აქვთ რაიმე შეკითხვა მუშაობის დაწყებამდე.

კონსტრუქციული, ეფექტური უკუკავშირისას:

მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოთ სათქმელი შესაფერისი სიტყვებისა და ტერმინების გამოყენებით;

ხაზი გაუსვათ საქმიანობის პოზიტიურ მხარეებს;

მსჯელობა წარმართეთ კონკრეტულ საკითხებზე, ნუ გამოიყენებთ ზოგად კომენტარებს;

მეტი აქცენტი გააკეთეთ ქცევაზე და არა პიროვნებაზე; კერძოდ, ქცევის იმ ასპექტზე, რომლის შეცვლასაც მიიჩნევთ საჭიროდ;

შეფასებისას აღწერეთ სიტუაცია;

გაიპიროვნეთ უკუკავშირი. ე. ი. ისაუბრეთ პირველ პირში. გამოიყენეთ „მე“ და არა „თქვენ“ ფორმულირება.

არასწორად შერჩეულ დროს გაკეთებული ბუნდოვანი, კრიტიკული ან გამოუსადეგარი უკუკავშირი არ იქნება ისეთივე ფასეული, როგორც კონკრეტული, აღწერითი, პრაქტიკული და დროული.

სასარგებლო რჩევები ტრენინგს:

• ჩართეთ ტრენინგის მონაწილეები პროგრამისა და აქტივობის დაგეგმვაში.

• ტრენინგის მონაწილეთა შორის წახალისეთ თანამშრომლობა და არა კონკურენცია.

• ტრენინგის მონაწილეთა გამოცდილება გამოიყენეთ მათი თანამონაწილეობისა და პრაქტიკული მაგალითების წყაროდ.

• ტრენინგის მონაწილეებზე ორიენტირებული აქტივობების გამოყენებით ჩართეთ მონაწილეები სასწავლო პროცესში.

• შეაფასეთ, რამდენად მიიღწევა ტრენინგის მიზნები, სრულად თუ ნაწილობრივ. ტრენინგის მონაწილეთა პროგრესის, წინსვლისა და მიღწევების შეფასებაში თავად მონაწილეები ჩართეთ.

• დაეხმარეთ ტრენინგის მონაწილეებს დაინახონ, თუ როგორ დაეხმარება ეს ტრენინგი მათ პროფესიულ ყოველდღიურობაში არსებულ სპეციფიკურ პრობლემათა გადაჭრაში და როგორ მოახერხებენ პრაქტიკულად გამოიყენონ ტრენინგზე შეძენილი ცოდნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კითხვის სწავლება დაწყებით საფეხურზე, საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი G-PriEd, თბ., 2013 წ.
2. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები, პირველი ნაწილი, სახელმძღვანელო ტრენერთათვის, საქ. განათლების სამინისტრო, პროექტი - ილია ჭავჭავაძე, თბ., 2004.
1. 3. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები, სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარების ტრენინგ-პროგრამა, მეორე ეტაპი, თბ., 2004.

Malvina Shanidze- Akaki Tsereteli State University, Education Academic Doctor

Successful Training components and formats

Resume

There are five basic components for holding training: goal and result, studying environment, activities, reflex ion and estimation. To hold a successful training it is necessary for trainer to have a deep knowledge of each components and practical abilities.

There are four basic methods of training: lection, discussion, demonstration and individual practice. A good trainer must know all of these methods and must use them correctly in case of need.

Basic structures of directed activities are: theoretical review (raising a question, discussion and summation), dirigible practice (planning, trying, reflex ion, and summation), and using-introduction (specification, direction and estimation of a plan).

There are some basic components for being a successful trainer, these are: communication, presentation, a technique of making a question, effective instructions and constructive reflex ion.

Мальвина Шанидзе - Государственный университет Акакия Церетели, академический доктор просвещения

Компоненты и формат проведения успешного тренинга

Для проведения тренинга важны пять основных компонентов : цели и достижимые результаты, учебная среда, учебный ресурс, активности, обратная связь и оценивание. Проведение успешного тренинга требует от тренера глубокого знания каждого компонента и необходимых для реализации на практике умений и навыков.

Существует четыре основных метода тренинга: лекция, управляемая дискуссия, демонстрация и индивидуальная практика. Хороший тренер должен владеть всеми этими методами одинаково и применять их по необходимости.

Успешные активности тренера следуют за базовой структурой: теоретический обзор (постановка вопроса и формирование ожидания), демонстрирование (вводная часть, моделирование активности), дискуссия\дебрифинг (постановка проблемы, обсуждение, подведение итогов), управляемая практика (планирование, опыт, обратная связь, подведение итогов), применение – внедрение (уточнение плана, проведение, оценивание).

Для того, чтобы быть успешным тренером необходимо обладать несколькими базовыми компетенциями, такими как коммуникация; презентация; техника постановки вопроса; эффективные инструкции и конструктивная обратная связь.

Ираида Кротенко - Кутаисский университет Акакий Церетели, доктор фил.наук, профессор
Мая Чоладзе - Кутаисский гос. Университет Акакия Церетели, доктор фил.наук, ассоц.проф

Дистанционное обучение в системе современного вузовского образования в Грузии

На протяжении многих лет существует традиционная форма образования: посещение занятий и лекций, экзамены и оценочная система. Однако в последние 10–15 лет, в связи с глобализацией и развитием технологий, параллельно успешно развивается и дистанционная. С 2005 года Кутаисский университет Акакия Церетели включен в общеобразовательную Болонскую систему, которая предусматривает внедрение новых технологий. Эта форма обучения имеет как свои преимущества, так и недостатки, активно обсуждается в прессе. Основным преимуществом обучения на базе коммуникационных технологий является: бесконкурсное поступление; самостоятельное планирование времени и темпа занятий; отсутствие фиксированных сроков обучения; возможность учиться дома и посредством компьютера, подключенного к Интернету; доступ к мировым ресурсам, виртуальным библиотекам и базам данных. Набор на дистанционное обучение проводится в течение всего года. Кроме того, наличие персонального преподавателя-куратора позволяет более качественно осваивать изучаемый материал, а на специальных форумах имеется возможность обсуждать темы и идеи с другими студентами. Таким образом, вопрос изолированности обучающегося не является актуальным при данной форме обучения. Стоимость интернет-образования значительно ниже, она варьируется в зависимости от специальности, формы обучающей программы и вида учебного заведения. Также существуют различные образовательные гранты и стипендиальные программы, позволяющие бесплатно или при частичном финансировании обучаться в дистанционной форме. Более того, в данном случае отсутствуют расходы на перелет в страну обучения, на проживание, питание, медицинскую страховку и др. Дистанционная форма обучения помогает обойти психологические барьеры, связанные с коммуникативными качествами человека: стеснительность, страх публичных выступлений, и др. Есть у этой системы и недостатки. Большинство населения в республике на сегодняшний день не имеют возможности использовать современные коммуникационные технологии по финансовым и другим причинам. Техническая оснащенность в Грузии значительно уступает ведущим странам мира. Кроме того, человек, желающий обучаться дистанционно, должен обладать знаниями компьютерных технологий и программ. Не последним фактором для успешного получения дистанционного образования является и личностная характеристика индивидуума. Не секрет, что при отсутствии ежедневного контроля, как это принято при традиционной очной форме обучения, необходимо иметь четкую мотивацию. Несомненно, социальная интеракция в виде живого обмена идеями, опытом, психологическая поддержка группы и момент соревновательности при дистанционной форме в некоторой степени утрачены. Именно поэтому такая форма обучения в меньшей степени подходит для людей, не имеющих личностных качеств самоорганизации и дисциплины. Дистанционная форма обучения в большей степени подходит для получения образования в области фундаментальных наук, гуманитарных специальностей или технологий. Технические специальности, по сравнению с гуманитарными, пользуются меньшим спросом при такой форме обучения, так как освоение их требует проведения большого количества практических и лабораторных работ. В настоящее время учебный процесс базируется на использовании информационных и коммуникационных технологий и представляет собой целостный образовательный процесс, включающий в себя кроме традиционных форм занятий и контроля знаний также поиск подходящей информации в сети, общение в on-line с тьютором, с авторами курса, другими обучающимися, использование электронных библиотек, баз данных, прохождение тестовых испытаний и других способов проверки знаний. В системе вузовского образования в Грузии опыт применения новых дистанционных технологий еще небольшой. Опыт подобного рода успешно апробирован в вузах Германии, Америке, России, Азербайджане, Испании. С 2008 года эта система активно апробировалась в вузах республики, однако она еще не получила должного практического применения, активно обсуждаются его плюсы и минусы, неизбежные при внедрении новых технологий и методов обучения. С 2011 года Министерство образования Грузии утвердило программу по внедрению дистанционного образования. Неизбежно одно, система дистанционного

обучения относится к сфере интеграции различных научных достижений в области гуманитарных и точных наук, следовательно, за ней будущее. Опыт немецких специалистов, создавших систему Exelearning, Moodle показывает, что использование дистанционного обучения повышает качество образования за счет максимального использования технического, методологического и кадрового потенциала вузов. Однако данные образовательные технологии должны внедряться в учебный процесс за счет роста контингента без дополнительных нагрузок на аудиторный фонд университета. Эта наиболее трудновыполнимая на данный момент проблема. В настоящей статье рассмотрим методическое руководство формирования электронного курса на тему «Романтизм в европейской литературе», предназначенного для студентов бакалавриата в качестве выборочного предмета. Разработчики выбрали смешанную форму обучения, считая ее наиболее целесообразной. Выбор темы членами группы преподавателей неслучаен, так как все участники пилотного проекта Кутаисского университета Акакия Церетели - гуманитарии. Выбран такой ракурс разработки курса, который отвечает уровню подготовки преподавателей, их профессиональным интересам и общеуниверситетской программе, направленной на повышение общеобразовательного уровня студентов-бакалавров не только гуманитариев, но и негуманитарных дисциплин. Цель и задачи курса, количество часов и кредитов для специалистов нашего уровня не составило труда, так как в данном случае помогает профессиональная подготовка в данной области. Однако подготовка данного курса в дистанционном формате поставила создателей перед целым рядом трудностей. Возникла необходимость разработки смешанной системы оценки, а также и двух видов тестов для аудиторной и дистанционной формы. Если в формате аудиторной работы преподаватель знакомит студента с слайдом, то система дистанционного курса имеет в своей основе информационную структуру, включает сведения об авторе, авторах, краткую научную биографию, основные публикации, фотографии, видеоролик. У студента создается четкое представление не только о цели и задачи курса в программе, но и представление об уровне профессиональной подготовки преподавателя, то есть выстраивается желаемая вертикаль взаимоотношений. Важной проблемой является выбор обучаемого контингента, их разный уровень подготовки, владение фоновыми и страноведческими знаниями, не говоря уже о способности работать с электронными носителями и в сети. Это немаловажный фактор, от него зависит разработка дизайна страницы. Электронные учебные курсы с использованием гиперсреды должны удовлетворять требованию простоты ориентации обучающихся при перемещении по ссылкам. Ссылки должны предусматривать возможность быстрого и целенаправленного перемещения по учебному материалу. На первый взгляд, это легкопреодолимая проблема, но тут возникают и задачи нового общения между преподавателем и виртуальным студентом, новая этика отношений. Приходим к выводу, что еще не сложилась должная форма виртуального общения, что необходимо обучать и форме общения с преподавателем, уметь ясно и коротко формулировать вопросы, своевременно отвечать, работать в чате и форуме, которые вовсе не являются побочными методами обучения и на которые ложится не меньшая нагрузка, чем на аудиторную работу. Необходимо разработать методику самостоятельной работы студента, так называемого самоконтроля. В процессе аудиторной работы также отводятся часы для самостоятельной работы студента, но при данной форме обучения этой функции отводится большее место. Поэтому методы самоконтроля должны содержать подробное описание рациональных приемов обучения, критериев правильности решений, рекомендации по эффективному использованию консультаций. Необходимо также избегать ошибок при создании учебных курсов и программ в виде использования электронных копий стандартных печатных учебников. Постараемся показать возможности электронного курса на практических примерах, хотя отмечаем, что наш опыт еще далек от совершенства. Информационные технологии предоставляют в распоряжение преподавателя мощный набор инструментов, которые должны эффективно использоваться для достижения целей учебного процесса при дистанционном обучении. Неясным пока для создателей курса остается проблема оценки активности студента. Например, студент выполняет вовремя все задания, тесты, но не желает работать в группе. Каждый дистанционный курс разрабатывается усилием целой группы преподавателей, менеджером, тьютором, программистом, следовательно, от студента также необходимо требовать умения работать в группе, только подобная форма отношений создаст благоприятные условия для перспективы освоения нового уровня. Разработка критериев оценки также составляет сложность для создателей пилотного курса. Несомненно, тестирование апробировано в вузовской аудитории, но в дистанционной системе

обучения тестирование качественно меняется. Тестовое задание в системе дистанционного обучения формируется из вопросов, занесенных в базу данных. Увеличение количества вопросов в базе данных повышает достоверность результатов тестирования, поэтому и составлению тестов и их уровней преподавателю приходится уделять больше времени, чем в аудиторной работе. При разработке тестов могут быть реализованы несколько уровней сложности. Например, первый уровень для самоконтроля студентов, второй уровень – собственно контроль освоения дисциплины. Тесты служат для проведения промежуточного и итогового контроля с целью выявления пробелов в усвоении учебного материала и определения тем для повторения. При использовании тестирования в учебном процессе важно помнить, что каждый вопрос не должен иметь многоцелевую направленность: он призван выявлять лишь один определенный аспект. Организация тестирования в системе управления обучением предоставляет преподавателю большие возможности по настройке разнообразных вариантов проведения сеанса тестирования. Тестовые вопросы и ответы на них могут входить в тест случайным образом. Преподаватель может определить срок сдачи тестов, после которого они становятся недоступными, дополнительно установить пароль на доступ к тестированию, разрешить доступ к тесту только с определенных IP-адресов, задать число попыток сдачи теста. Обучающийся может пройти тест с одной или с нескольких попыток. Поэтому различны и методы оценки теста. Преподаватель сам выбирает метод оценивания. Он может использовать самый высокий балл, последний результат, нижний балл или средний балл. После прохождения тестирования студент может получить отзыв на выполненный тест, может просмотреть результаты последней попытки. Тестовые задания должны быть систематизированы по категориям. Каждая категория может соответствовать определенной теме или модулю курса. Предпочтительнее второй способ построения тестов. Эта методика создания тестов и их контроля пока нова и для преподавателя и для студента, требует нового уровня отношений, так называемого уровня политики курса. Это далеко не полный перечень проблем по созданию дистанционных форм обучения. Однако необходимо отметить, что дистанционное образование через Интернет — это не просто удобная форма обучения, но и серьезная альтернатива традиционной форме в будущем. По мнению Американской ассоциации исследований в сфере образования (American Educational Research Association), уже к 2010 г. около двух третей студентов мира обучаются дистанционно.

Литერატურა:

1. გელაძე დ., სწავლების ახალი მეთოდოლოგია - ონლაინ სწავლება. gesj.internet-academy.org.ge/download.php?id=1962.pdf&t=1
3. ზაქარაიშვილი მ., ელექტრონული სწავლება და ქართული პერსპექტივა. inso.ge/inso2011/tech2011/35.zakarashvili.doc
2. ჩაჩანიძე გ., სწავლების ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში. სტუ-ს საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომები "საბუნებისმეტყველო და საინჟინრო დარგები განვითარების ისტორიის საკითხებზე". თბილისი, 2000 გვ. 100-115.
3. ჩაჩანიძე გ., სანთარია ვ., ინტერნეტ-განათლების ტექნოლოგიები და მისი განვითარების პრესპექტივები. თბილისი 2004. გვ. 132-136.

Резюме

В работе рассматривается процесс разработки, внедрения и перспективы создания электронных форм обучения в вузах Грузии. Определяется круг проблем и трудностей при создании пилотного курса, учитываются недостатки и преимущества данной формы обучения, опыт европейских стран по внедрению дистанционного обучения в систему образования. Выводы и наблюдения, разработчиков пилотного курса подкрепляются презентацией конкретного материала.

ირაიდა კროტენკო, მაია ჭოლაძე

**დისტანციური სწავლება საქართველოს უმაღლესი განათლების თანამედროვე სისტემაში
რეზიუმე**

ნაშრომში აღწერილია სწავლების თანამედროვე ელექტრონული ფორმის დანერგვის პროცესი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. მასში განხილულია ამჟამად მიმდინარე საპილოტე პროექტის შექმნის პროცესი, თანმხლები პრობლემები და სირთულეები; გათვალისწინებულია ელ-სწავლებისა და სწავლების ტრადიციული ფორმების უპირატესობები და ნაკლი; საინტერესოა სწავლების ელ-ფორმის შესახებ საზღვარგარეთული უნივერსიტეტების გამოცდილების იმპლიმენტაციის პროცესი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში. საპილოტე კურსის მიმდინარეობა, დასკვნები და შედეგები კონკრეტულად წარმოდგენილია თანდართულ პრეზენტაციაში.

Iraida Krotenko - Doctor of Philology, Professor Kutaisi Akaki Tsereteli State University

Maia Choladze - PhDr, Associated Professor

Distant Education in Modern Educational Institutions of Georgia

Summary

In the article we overview the development and implementation process and the prospects of electronic educational modes in the universities of Georgia. We are trying to identify the problems and difficulties related to the pilot course. We make an attempt to define the advantages as well as disadvantages of this educational mode. We take into consideration the experience of European countries. The output and observation of the developers of the pilot course are confirmed by the presentation of the particular material.

შრომების კრებული დაიბეჭდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბაში.
ნაბეჭდი ფორმა 55; ტირაჟი 130